

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის
საქართველოს საისტორიო საზოგადოება

აფხაზეთის ორგანიზაცია

*ექვეყნება შოთა მესხიას
დაბადებიდან 90-ე წლისთავს*

საისტორიო ძიებანი

VIII-IX

წელიწდეული

თბილისი – 2006

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის ყოველწლიური სამეცნიერო გამოცემის (წელიწადულის) – „*საისტორიო ძიებანი*“ VIII-IX ტომი ეძღვნება გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსისა და სასიქადულო მამულიშვილის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ **შოთა მესხიას** დაბადებიდან 90-ე წლისთავს. მასში დაბეჭდილია სტატიები საკუთრივ მეცნიერის ცხოვრებასა და ისტორიოგრაფიულ მემკვიდრეობაზე, მოგონებები მასზე; აგრეთვე სტატიები საქართველოს ისტორიის, მსოფლიო ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, რელიგიის ისტორიის, პოლიტოლოგიის აქტუალურ პრობლემებზე და ა.შ.

კრებული განკუთვნილია როგორც სპეციალისტების, ასევე ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

მთავარი რედაქტორი

ზურაბ პაპასქირი

სარედაქციო კოლეჯია: თენგიზ ანთელავა, ჯამბულ ანჩაბაძე, ჯონი აფაქიძე, ლია ახალაძე, მალხაზ ბარამიძე, მეუფე დანიელი (ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი), ბორის კვარაცხელია, ავთანდილ კილასონია, თეიმურაზ პაპასქირი, ოთარ ჟორდანიას, დავით ჩიტიას, ბეჟან ხორავა, ვახტანგ ჯაფარიძე, დანშირ ჯოჯუა

© ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება, აფხაზეთის ორგანიზაცია, 2006

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება
აფხაზეთის ორგანიზაცია
საისტორიო ძიებანი, 8-9, 2006

შოთა მესხია – 90

შოთა მესხია, მარია ლორთქიფანიძე

მრუდე სარკმში

*ერთ ისტორიულ რომანში საქართველოს ისტორიის
წარსულის გაყვლების გამო**

გასულ წელს დიდი ტირაჟით გამოიცა გ. ხ. ვერმიშევის ისტორიული რომანი „ამირსპასალარი“.**

წიგნი ეძღვნება XII-XIII საუკუნეების მიჯნის საქართველოს სახელმწიფოს ერთ-ერთი დიდი მოხელის ამირსპასალარ ზაქარია მხარგრძელის მოღვაწეობას და, ბუნებრივია, რომ რომანის ავტორს ვრცელი მსჯელობა უხდება ფეოდალური საქართველოს ღირსშესანიშნავ ეპოქაზე, ჩვენი ქვეყნის წარსულის ისეთ დიდ პოლიტიკურ მოღვაწეებზე, როგორც იყვნენ დავით IV აღმაშენებელი, გიორგი III, თამარ მეფე, დავით სოსლანი და ბევრი სხვა.

ასეთი დიდი და საპატიო ამოცანა ავტორისაგან მოითხოვდა კეთილსინდლიერად გასცნობოდა ყველა იმ წყაროსა და სათანადო ლიტერატურას, ქართულს, სომხურს თუ სხვას, რაც კი ამ ეპოქის შესახებ მოგვეპოვება, და სწორედ ამ წყაროთა და მეცნიერული ლიტერატურის საფუძველზე შეექმნა ისტორიული

* სტატია წარმოადგენს სახელდახელო რეცენზია-გამოხმაურებას გ. ვერმიშევის გახმაურებულ ისტორიულ რომანზე „ამირსპასალარი“, რომელიც 1968წ. გამოაქვეყნა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო გამომცემლობამ. აღნიშნული გამოხმაურება პირველად დაიბეჭდა კომუნისტური საქართველოს ოფიციალურ ორგანოში, გაზ. „კომუნისტში“ (12.I.1969). იბეჭდება უცვლელად.

** **Г. Вермишев.** Амирспасалар. Военное издательство Министерства обороны СССР. М., 1968.

რომანისათვის საჭირო ობიექტური ისტორიული ქარგა. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ისტორიული რომანი არ არის ისტორიული მონოგრაფია, გამოკვლევა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ისტორიული რომანი ისევე არ შეიძლება დაიწეროს სათანადო წყაროებისა და ლიტერატურის გაუთვალისწინებლად, როგორც თვით ისტორიული მონოგრაფია.

ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ გ. ვერმიშევი არ იცნობდეს ძირითად (მათ შორის ქართულ) წყაროებს, მაგრამ მისი მიდგომა ამ წყაროებისადმი ცალმხრივია, ან კიდევ ტენდენციური. ამასთანავე, ავტორი არავითარ ანგარიშს არ უწევს ქართულ ისტორიულ სამეცნიერო ლიტერატურას და ისტორიული მასალის მთელი ანალიზი არსებითად ასევე ცალმხრივ და, ხშირ შემთხვევაში, ტენდენციურ სომხურ ისტორიულ ლიტერატურაზე აქვს დამყარებული.

ამრიგად, გ. ვერმიშევის ისტორიული რომანი XII-XIII საუკუნეების მიჯნის საქართველოს ისტორიის შესახებ არსებითად დაიწერა ქართული სამეცნიერო ლიტერატურის უგულებელყოფით, სრული იგნორირებით.

და ეს, ცხადია, შემთხვევითი არ არის... ქართული წყაროებისა და ლიტერატურის კეთილსინდისიერი გამოყენებით, რა თქმა უნდა, ვერ დაიწერებოდა გ. ვერმიშევის „ამირსპასალარი“; ქართველი ხალხის მდიდარი წარსულის დამდაბლებისა და გაყალბების ტენდენციით გამსჭვალული წიგნი.

საგაზეთო წერილის ფარგლებში ძნელი იქნებოდა ყველა იმ სიყალბეზე თუ საქართველოს ისტორიის უცოდინრობით გამოწვეულ შეცდომებზე შეგერდეთ, რაც რომანში ასე უზვად არის მიმობნეული; მაგრამ ჩვენ მიერ ზემოგაკეთებული განცხადების საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითს მაინც მოვიყვანთ.

ოთხი ნაწილისაგან შემდგარი ვრცელი რომანის უკანასკნელი ორი ნაწილი არსებითად ამირსპასალარ ზაქარია მხარგრძელის განდიდებისა და გაიდუალებისადმი მიძღვნილი, წინა ორი ნაწილი კიდევ ამირსპასალარის ასე განდიდებისათვის სათანადო ნიადაგის მოსამზადებლად არის დაწერილი; ასეთი ნიადაგი კი ავტორმა XIII ს. საქართველოს ისტორიის გაყალბებით და იმ დროის

დიდ პოლიტიკურ მოღვაწეთა როლის დაკნინებით მოამზადა.

გ. ვერმიშევის „კონცეფციის“ მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, XIII. ფაქტიურად არ არსებობდა ერთიანი ქართული სახელმწიფო, საქართველოს სახელმწიფო თავისი ვრცელი საზღვრებით, ზღვიდან ზღვამდე, ოვსეთიდან არეგაწამდე, ვერმიშევის მიხედვით, საქართველოს მეფეები, არსებითად, ქართლის მეფეები იყვნენ. შემთხვევითი არ არის, რომ გ. ვერმიშევი თითქმის ყველგან, თავისი რომანის მთელ სიგრძეზე მხოლოდ „ქართლს“ ხმარობს საქართველოს მნიშვნელობით და არსად საკუთრივ „საქართველოს“. მისი სიტყვით, თამარი თურმე აკურთხეს „ქართლის მეფეთა-მეფედ“ (გვ. 149), ივანე ორბელი იყო „ქართლის ამირსპასალარი“ (გვ. 25), „თბილისი ქართლის დედაქალაქი“ (გვ. 103, მდრ. აგრეთვე გვ. 51, 99, 148, 149, 164, 166 და სხვ.). გარდა იმისა, რომ ავტორი ამით ჩქმალავს იმდროინდელი საქართველოს სახელმწიფოს შინაარსს და აყალბებს ისტორიული წყაროების მითითებებს (საკმარისი იქნებოდა საამისოდ გაგვეხსენებინა XIII. საქართველოს მეფეთა მხოლოდ ტიტულატურა), გ. ვერმიშევის სურს XIII. საქართველოს სახელმწიფო წარმოგვიდგინოს ქართულ და სომხურ, უკეთ, ქართლისა და სომხეთის „ფედერაციულ“ სახელმწიფოდ. მხოლოდ ამ შინაარსით წარმოუდგენია ავტორს „საქართველო“, საკუთრივ ქართული სახელმწიფოს აღმნიშვნელად კი ამიტომ მიაჩნია მას „ქართლი“. ასე რომ, „საქართველო“ მხოლოდ ერთგვარი კრებითი ცნება შეიძლება ყოფილიყო, რომელშიც, მართალია, სომხური ტერიტორიებიც ივარაუდებოდა, მაგრამ ეს უკანასკნელი კრებით სახელმწიფოში დამოუკიდებლობით სარგებლობდა. ეს – სომხეთის დამოუკიდებლობა ზაქარია მხარგრძელის დროიდან მაინც, არის მთავარი და ძირითადი ხაზი, რომელზეც აგებულია რომანის ავტორის მთელი „კონცეფცია“.

ბუნებრივია, თუ კი ყოველივე ამის, საქართველოს ისტორიის ასე გაყალბების, შემდეგ საქართველოს სამეფოს ერთ-ერთი მოხელე, ამირსპასალარი, სავსებით ხელოვნურად სომხეთის მეფედ, „შაჰინშაჰად“ ქცეული ზაქარია მხარგრძელი არანაკლებ (ზოგ შემთხვევაში უფრო მეტი) უფლებებით მოსილ საქართველოს მეორე „მეფედ“ წარმოუდგენია მას თამარის შემდეგ.

მართლაც, თუ ვერმიშევს დაუუჯერებთ, ზაქარია მხარგრძელი დამოუკიდებლად აწარმოებდა საგარეო ურთიერთობებსაც კი, იღებდა და გზავნიდა ელჩებს რომის პაპთან, კილიკიის სამეფოში (იხ. გვ. 523-25); მას ჰყავდა ორი სამეფოს არმია (გვ. 525); იწოდება არა მარტო საქართველოს ამირსპასალარად, არამედ საერთოდ „აღმოსავლეთის მხედართმთავრად“ (გვ. 526); ცხადია, საგნებით დამოუკიდებელი იყო იგი აგრეთვე სამხედრო ოპერაციებსა და საერთოდ სამხედრო საქმეებში. ავტორის სიტყვით, მას ხელთ უპყრია ორივე სამეფოს მთელი ძალაუფლება (გვ. 352); შემთხვევითი არ არის ისიც, რომ რომის პაპთან მისული ელჩი, პაპის შეკითხვაზე, თუ ვინ არის იმ ქვეყნის მეფე, სადაც ასეთი დიდი კონეტაბლი (მხედართმთავარი) იმყოფებაო, საჭიროდ არ მიიჩნევს იმ ქვეყნის მეფის ხსენებასაც კი და მხოლოდ ზაქარიასა და მის 10000-იან ლაშქარზე ლაპარაკობს (იხ. გვ. 476).

ჩვენ ამჯერად ვერ გავმართავთ ისტორიული რომანის ავტორთან ვრცელ კამათს, ეს ზედმეტადაც მიგვაჩნია, აღვნიშნავთ ოღონდ, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული XII-XIII სს. საქართველოს ისტორიული სინამდვილის მხოლოდ გაყალბების წარუმატებელ ცდად შეიძლება იქნას მიჩნეული.

საქართველოს სამეფოსთან დავით აღმაშენებლის დროიდან შემოერთებული სომხეთის ნაწილი ერთიანი პოლიტიკური საქართველოს შემადგენლობაში შევიდა. და მას არც XIII ს. დამდეგს მიუღწევია პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის, ამისთვის მაშინ არ არსებობდა არც საშინაო და არც საგარეო პირობები. იმჯერად აღმოსავლეთის ძლიერი სახელმწიფოს – საქართველოს შემადგენლობაში უშუალო შესვლით შეეძლო სომეხ ხალხს უცხო დამპყრობთა ბატონობისაგან თავის დახსნა და ენისა და კულტურის შენარჩუნება.

ზაქარია მხარგრძელი საქართველოს მეფის მხოლოდ მოხელე იყო, სამეფოს ამირსპასალარი და, იმდროინდელ საქართველოში არსებული წესის მიხედვით, ამ სახელოსათვის (თანამდებობისათვის) განკუთვნილ ადგილთა მფლობელი. თამარის დროინდელი ისტორიკოსიც სწორედ ამიტომ იხსენიებს ზაქარიას „პატრონად ლორისა“ და „მჯდომად სომეხთა მეფისა ადგილსა“ და

არა თვით მეფედ (იხ. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, კ. კეკელიძის გამოც. თბ., 1941, გვ. 95). ლორე და ანისი, ცხადია, მხარგრძელებს სამეფო ხელისუფლებისაგან ებოძა „სათავადლოდ (სათავკაცლოდ) და სამთავროდ“ (საგამგებლოდ) და არა სამეფოდ (იქვე, გვ. 78). ამიტომაც იყო, რომ ზაქარია ამირსპასალარი, ისევე როგორც სამეფო კარის სხვა მოხელენი, საშინაო თუ საგარეო საქმეებში მეფეთა მეფის თამარის თუ მეფე დავით სოსლანის ბრძანებებით მოქმედებდა (იხ. იქვე, გვ. 83, 104 და სხვ.).

ზედმეტია ლაპარაკი იმაზეც, რომ ზაქარია შეუძლებელია ყოფილიყო „ორი სამეფოს“ (მეორე ასეთი სამეფოს არარსებობის გამო) ლაშქრის ამირსპასალარი, იგი სარდლობდა საქართველოს სამეფო ლაშქარს, რომელშიც ქართველთა გარდა, სხვა ეროვნების, მათ შორის, ცხადია, სომეხი მოლაშქრენიც ივარაუდებოდნენ.

რომანის ავტორი მხარგრძელთა განდიდებას საქართველოს დიდ პოლიტიკურ მოღვაწეთა როლის დამცირებით აღწევს. ასე, მაგალითად გიორგი III, ნიჭიერი მხედართმთავარი და პოლიტიკოსი, დავით აღმაშენებლის აქტიური საგარეო და საშინაო პოლიტიკის დიდი გამგრძელებელი, უცოდინარ, სამხედრო თუ სამოქალაქო საქმეებში ჩაუხედავ პიროვნებად არის მიჩნეული. გ. ვერმიშევს თუ დაუუჯერებთ, გიორგი III-ეს ისიც კი არ სცოდნია, თუ საიდან მომდინარეობდა მისი საკუთარი საგვარეულო, შეიძლებოდა თუ არა ქალის აყვანა ტახტზე და ისიც კი – იყო თუ არა ოდესმე ქალი მეფედ საქართველოში; უფრო მეტიც, ამ საკითხების მცოდნე, როგორც რომანიდან ჩანს, საერთოდ ქართველთაგან არავინ აღმოჩენილა და ალბათ ამიტომ, გიორგი III იძულებული გამხდარა სომეხი სჯულმდებელი მხითარ გოში ეხმო სასწრაფოდ თბილისში სათანადო ცნობების მისაღებად (იხ. „ამირსპასალარი“, გვ. 69). ასევე, ვერმიშევის მიხედვით, გიორგი მეფე არც სამხედრო საქმეებში ყოფილა მაინცდამაინც ჩახედული. თუ არა სარგის მხარგრძელი და მისი თავგანწირული მოქმედება და რჩევები, 1161წ. ქ. ანისის აღება გიორგი III-ის მიერ სრულიად შეუძლებელი იყო (იხ. იქვე, გვ. 40-41, 54 და სხვ.).

ძნელი წარმოსადგენია ასეთი რამ დაიწეროს XIII ს. საქართველოს, სწორედ იმ ქვეყნისა და ეპოქის შესახებ, სადაც და

როდესაც შოთა რუსთაველი თავის გენიალურ „ვეფხისტყაოსანში“ მეფე ქალის მამაკაცთან თანასწორობას ქადაგებდა და ამით არსებითად საქართველოში თამარის – ქალის გამეფების კანონიერების დასაბუთებას იძლეოდა. ასევე განა მტკიცება სჭირდება იმას, რომ საქართველოს მეფისათვის სავსებით ცნობილი უნდა ყოფილიყო საქართველოს სამეფო დინასტიის – ბაგრატიონთა, წარმომავლობა. ამის შესახებ XII ს-ზე ადრე საკუთრივ საქართველოში არაერთი საგანგებო საისტორიო თხზულება იყო შექმნილი (სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება ბაგრატიონიანთა“, „ქართლის მატთანე“ და სხვ.). რაც მთავარია, ბაგრატიონთა ვინაობა არა მარტო საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც კარგად იყო ცნობილი და ამის შესახებ წერდნენ ჯერ კიდევ X ს. უცხოელი პოლიტიკური მოღვაწენი და ისტორიკოსები (მაგ. კონსტანტინე პორფიროგენეტი). ნუთუ შეიძლება ვინმემ, თუ არა საქართველოს ისტორიის გაყალბებით დაინტერესებულმა პირმა, წარმოიდგინოს, რომ ყველაფერი ეს სავსებით უცნობი იყო გიორგი III-ის თუ მისი თანამედროვე ქართველი მოღვაწეებისათვის?

სავსებით ზედმეტად მიგვაჩნია ვილაპარაკოთ გიორგი III-ის როგორც ნიჭიერი მხედართმთავრის შესახებ. საბედნიეროდ, მის თანამედროვე ქართველ თუ სომეხ ისტორიკოსებს არაერთი ცნობა შემოუნახავთ გიორგი III-ის სარდლობით ჩატარებული ბრძოლებისა და ბრწყინვალე გამარჯვებების შესახებ, მაგრამ ასეთი ცნობები გარკვეული ტენდენციით შექმნილი რომანის ავტორისათვის, ცხადია, გამოუსადეგარი იყო.

კიდევ უფრო დამცრობილი ჩანს თამარის მეუღლის, მეფე ქმრის დავით სოსლანის წარმომავლობა თუ როლი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. გ. ვერმიშევი ყალბ წარმოდგენას უქმნის მკითხველს, როცა დავით სოსლანს წვრილ ფეოდალურ საგვარეულოდან გამოსულად, მეფეთა მეფის სავსებით უუფლებო ქმრად და ზაქარია მხარგრძელის ბრძანებების შემსრულებელ პიროვნებად მიიჩნევს (იხ. რომანის გვ. 297, 313-314, 602 და სხვ.).

საისტორიო წყაროები კი ამ შემთხვევაშიც სრულიად საწინააღმდეგოს მოგვითხრობენ. დავით სოსლანის თანამედროვე თუ მის შემდეგდროინდელმა ქართველმა ისტორიკოსებმა (თამარის

ისტორიკოსებმა, ვახუშტი), კარგად იცოდნენ, რომ დავითი, როგორც დედით, ასევე მამითაც (მეხუთე შტო) ბაგრატიონთა შთამომავალი იყო და არა წვრილ ფეოდალურ საგვარეულოდან; ასევე კარგად არის ცნობილი მისი, როგორც მეფე-ქმრის მნიშვნელოვანი როლი XIII ს. საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და ისიც, რომ ზაქარია მხარგრძელი თუ მისი მსგავსი სხვა მოხელენი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, არა მარტო მეფეთა მეფის (თამარის), არამედ, აგრეთვე, მეფე დავითის ბრძანებას ემორჩილებოდნენ და ამის მიხედვით მოქმედებდნენ (იხ. მაგ., ისტორიანი და აზმანი, გვ. 104). შეუძლებელია ყოველივე ეს არ იცოდეს ისტორიული რომანის ავტორმა, მაგრამ ეჭვიმუტანელი ისტორიული ცნობების გამოყენება, ცხადია, მას ხელს არ აძლევდა ზაქარია ამირსპასალარის განდიდების საქმეში.

რომანის ავტორს კიდევ უფრო ყალბი სურათი აქვს დახატული თვით ქართული სამეფო დინასტიის წარმომავლობის თუ XIII ს. სამეფო მოხელეთა ეროვნული კუთვნილების თვალსაზრისითაც. ავტორის „კონცეფციით“ რაკი „ქართლის ყველა ფეოდალი“ თავისი ბუნებით სამეფო ხელისუფლების მოღალატე იყო (გვ. 28), ან კიდევ, მეკობრე და მძარცველი (იხ. გვ. 72, 75, 106), სამეფო ხელისუფლება იძულებული ხდებოდა სხვა, არაქართული წარმოშობის მოხელეები გაეჩინა და მათ დამყარებოდა. ვერძიშვიის მტიცებით, ყივჩაყი იყო არა მარტო მართლაც ნაყივჩაყარი ყუბასარი, არამედ აგრეთვე მსახურთუხუცესი აფრიდონი (გვ. 139, 140), მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლუ-არსლანი (გვ. 104), სომხები იყვნენ ორბელები (იხ. გვ. 601), „ქართლის ერისთავთ-ერისთავი“, რუსთავისა და „შვიდთა მთეულთა“ „პატრონი“ აბულასანი (გვ. 68, 69, 76, 103 და სხვ.), გუზან ტაოსკარელი, რა თქმა უნდა მხარგრძელები და ბევრნი სხვანი.

ფანტაზიის ნაყოფია აფრიდონის, ყუთლუ-არსლანის ყივჩაყობა. ყუთლუ-არსლანი და აფრიდონი მართლაც ყივჩაყები, ან კიდევ ნაყივჩაყარები ყოფილიყვნენ, ეს მხედველობიდან არ გამორჩებოდათ მათ წინააღმდეგ მებრძოლ დიდგვაროვან ფეოდალებს და ისე როგორც ნაყივჩაყარ ყუბასარს, მათაც მსგავს (ყივჩაყობის) ბრალდებას წაუყენებდნენ. ცხადია, არაფრის მოქმელია ამ მხრივ

ყოთლუ-არსლანის უცხოური (თურქული) სახელიც. როგორც ნ. მარმა თავის დროზე მიუთითა, ასეთი სახელები იმ დროისათვის კავკასიის ხალხებში ფართოდ იყო გავრცელებული და ყოველთვის ასეთი სახელის მატარებლის ეროვნულ კუთვნილებაზე როდი მიუთითებდა.

ყალბ მონაცემებზეა აგებული აგრეთვე აბულასანის სომხობაც, მისი გამოცხადება ამირ-კურდ-არწრუნად. გ. ვერმიშევი ამ შემთხვევაში პროფ. ს. ერემიანის დიდი ხნის წინათ გამოქვეყნებულ, არსებითად ტენდენციურ და ქართველ ისტორიკოსთა მიერ საფუძვლიანად გაკრიტიკებულ, წერილს დამყარებია. ჩვენ აქ ვერ გავიმეორებთ ს. ერემიანის მტკიცებათა წინააღმდეგ თავის დროზე დამოწმებულ საბუთებს, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ XIII ს. საქართველოში „საქვეყნოდ გამრიგე“ მოხელეთა (პროვინციების გამგებელთა) განაწილების (დანიშვნის) არსებული წესის მიხედვით, სავსებით წარმოუდგენელია მანკაბერდის მფლობელი სომეხი ფეოდალისათვის ქართლის ერისთავთ-ერისთაობა და მით უფრო „შვიდთა მთეულთა“ (ყინვანითურთ), პატრონობა (გამგებლობა) ებოძებინათ, ისევე როგორც წარმოუდგენელი იყო კახეთის რომელიმე ფეოდალი ოდიშის თუ სვანეთის ერისთავთ-ერისთავად დაენიშნათ და პირიქით.

საყოველთაოდ ცნობილია მხარგრძელთა წარმომავლობაც. სათანადო წყაროთა მონაცემების საფუძველზე აკად. ი. ორბელი წერდა: „Князья Долгорукие (მხარგრძელნი) курды по происхождению“ (იხ. კრებული, „Памятники эпохи Руставели“. Л., 1938, გვ. 5). მაგრამ სარწმუნოებით ისინი სომხები იყვნენ. თუმცა არც წარმომობილობა და არც სარწმუნოებრივი მიმდევრობა არ შეიძლება ამა თუ იმ მოღვაწის კულტურული და ეროვნულ-პოლიტიკური კუთვნილების უმთავრეს განმსაზღვრელად მივიჩნიოთ. ისტორიული და კულტურულ-პოლიტიკური თვალსაზრისით ისინი არსებითად ქართულ სამყაროს ეკუთვნოდნენ და ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებას ემსახურებოდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ გ. ვერმიშევის მიერ ასე განდიდებული ზაქარია მხარგრძელის ძმა, ფეოდალური საქართველოს ისტორიაში არანაკლებ პოპულარული ივანე მხარგრძელი, საქართველოს ამირსპასალარი და ათაბა-

გი, სარწმუნოებრივადაც ქართველი იყო (იხ. ისტორიანი და აზმანი, გვ. 123). არაფერს ვამბობთ სავსებით უსაფუძვლო და ტენდენციურ მტკიცებაზე აბულასანის ძმად მიჩნეული გუზანის და ორბელების სომხური წარმოშობის შესახებ. ყველაფერი ეს ჩვენ მხოლოდ რომანის ავტორის მიზნის წარმოსაჩენად მოვიყვანეთ – ეს კი სავსებით ნათელია – ავტორის „კონცეფციით“ XIII. საქართველოს სამეფოს მაღალი სამოხელეო თანამდებობანი არსებითად არაქართველებს ეკურათ და არა მარტო მაღალი თანამდებობის პირები, ხელოვან-ხელოსნებიც, არაქართველები იყვნენ და თვით ხელოვნებაც არაქართული იყო. ასე, მაგალითად, ვერმიშევის მტკიცებით, „**ჯჰრის ტიპის გუმბათოვანი ტაძრები სომხეთიდან მთელ მსოფლიოში** (მაშასადამე, საქართველოშიც, – რეცენზ.) გავრცელდა“ (გვ. 366) და არა პირიქით, საქართველოდან, როგორც ეს საბჭოთა სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია დამტკიცებულია (იხ. აკად. გ. ჩუბინაშვილის ფუძემდებლური შრომები).

მაგრამ საქართველოს წარსულის გაყალბებას ამით არ ამთავრებს ისტორიული რომანის ავტორი. იგი სიყალბის გზას კიდევ უფრო შორს მიჰყვება და სურს მკითხველს საქართველოს თვით სამეფო დინასტიის არაქართულობაც დაუმტკიცოს. შემთხვევითი არ არის, რომ გიორგი III-სთან საამისოდ მონობილი სომეხი სჯულმდებელი მხითარ გოში უარყოფს ბაგრატიონთა ვინაობა-შთამომავლობის შესახებ მის დროს არსებულ საგანგებო საისტორიო თხზულებათა ყველა მონაცემს და საქართველოს მეფეს ახალ ვერსიას სთავაზობს – ბაგრატიონების ზემო მესობოტამიის სომხური პროვინციიდან, ანგელტუნიდან, წარმომავლობის შესახებ (გვ. 80). მხითარ გოში თავისი მოსაზრების სისწორეში თითქოს იმდენად არწმუნებს საქართველოს მეფეს, რომ გიორგი III მზად იყო ტახტის მემკვიდრეობა სომეხ ბაგრატიონთა რომელიმე წარმომადგენლისათვის დაეთმო კიდევ, თუ კი ასეთი აღმოჩნდებოდა (იქვე, გვ. 79-82).

ყოველივე ეს, ცხადია, სხვა არაფერია, თუ არა სომხური ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ისტორიოგრაფიის ყალბი „თეორიის“ გამოცოცხლების, „მკვლრებით აღდგენის“ მავნე და უბად-

რუკი ცდა.

დიდი ხანია საბჭოთა ქართულმა და სომხურმა ისტორიოგრაფიამ სავსებით საფუძვლიანად უარყო ბაგრატიონთა სომხური წარმომავლობის ნაციონალისტური „თეორია“.

საგაზეთო წერილი შესაძლებლობას არ გვაძლევს დეტალურად შევეხოთ ყველა იმ სიყალბესა და შეცდომას, რაც ზოგ შემთხვევაში ავტორის უვიცობითაც არის გამოწვეული, მაგრამ ზოგის აღნიშვნა მაინც საჭიროდ მიგვაჩნია: რა თქმა უნდა უცოდინარობას იჩენს გ. ვერმიშევი, როცა წერს, რომ გიორგი III დრომდე „ქართლში (იგულისხმება საქართველო – რეც.) არავითარი კანონები არ ყოფილა“ (გვ. 69), რომ იმ დროს არსებობდა „წითელი ხიდის“ („Красный мост“) სახელწოდების ხიდი (75, 314 და სხვ.), რომ „დარბაზის ერი“ იყო „ცხენოსანთა გვარდია“ (გვ. 51), რომ ვახტანგ გორგასალი VI საუკუნეში მეფობდა (გვ. 53), რომ „ბაყათარი“ ქართულია და რუსულ „ბაგატირს“ ნიშნავს (გვ. 56), რომ XII საუკუნეში ამირახორად იყო ვინმე ცინიშვილი, რომ ამირეჯიბი ცერემონმაისტერია (გვ. 159) და სხვა მრავალი.

მაგრამ წიგნის მანკიერების მიზეზი მაინც ავტორის უვიცობა კი არ არის, არამედ მისი „კონცეფცია“ და მიზანი XII საუკუნის საქართველოს წარმოდგენა ქართველი პოლიტიკური მოღვაწეებისა და ქართველ შემოქმედთა გარეშე, ქართველი ხალხის წარსულის უბრწყინვალესი ეპოქის დამცრობა-დაკნინება.

ასე რომ, რომან „ამირსპასალარის“ გამომცემელთა და წინასიტყვაობის ავტორის სტ. ზლობინის წინასწარი შეპირება წიგნის კეთილშობილური დანიშნულებისა და მისი ისტორიული მასალის დოკუმენტურობისა თუ ჭეშმარიტების შესახებ მხოლოდ ყალბ რეკლამად შეიძლება მივიჩნიოთ. გ. ვერმიშევის ისტორიული რომანი „ამირსპასალარი“, როგორც ზემოთ ვნახეთ, მხოლოდ საწინააღმდეგო დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა – მისი არც ისტორიული მასალაა დოკუმენტური და ეჭვმიუტანელი და, მით უფრო, არც დანიშნულებაა კეთილშობილური, უფრო მეტიც, იგი მავნეა. გ. ვერმიშევის წიგნის ასე დიდი ტირაჟით (65000!) გავრცელებულმა „ისტორიულმა რომანმა“ შეიძლება მხოლოდ ზიანი მოუტანოს საქმეს.

ШОТА А. МЕСХИЯ, МАРИАМ Д. ЛОРДКИПАНИДЗЕ

В КРИВОМ ЗЕРКАЛЕ

В связи с искажением истории Грузии в одном историческом романе

Статья представляет собой отзыв авторов на исторический роман Г. Вермишева „*Амирспасалар*“, опубликованном военным издательством Министерства обороны СССР в 1968г. Отзыв впервые был напечатан в официальном органе советской Грузии в газ. „*Комунисти*“ в 12 января 1969г. (на груз. яз.). В нём приведены конкретные факты искажения истории Грузии XII-го – начала XIIIв. Отмечено, что допущенные автором романа „оплошности“ вызваны, с одной стороны, незнанием им соответствующих исторических источников и специальной научной литературы и, с другой стороны, стремлением Г. Вермишева принизить роль крупных государственных и политических деятелей Грузии (Давида IV Строителя, Гиоргия III-го, царицы Тамар, её супруга Давида-Сослана и др.) и на этом фоне показать всё величие представителей рода Мхаргдзели. Особо подчёркивается неправомочность утверждения о существовании в XII-XIIIвв. (вместо единого Грузинского государства) некоего грузино-армянского федеративного объединения, в котором ведущую роль якобы играли представители армянской феодальной аристократии и, в первую очередь, род Мхаргдзели, армянское происхождение которого у автора романа не вызывает никакого сомнения.

SHOTA MESKHIA, MARIAM LORDKIPANIDZE

IN THE DISTORTING MIRROR

Regarding One Distortion of History of Georgia in the Historical Novel

The paper represents the reprint of the review on G. Vermishev's historical novel "*Amirspasalar*", which was published in the Military Publishing House of the Ministry of Defence of the USSR in 1968. For the first time this review was published in newspaper "*Komunisti*" on January 12, 1969 (in Georgian). The authors have stressed the facts of distortion, especially regarding the history of Georgia of the 12th and beginning of the 13th centuries. It is mentioned that the "blunders" made by the author of the novel are caused, first, by his lack of knowledge of the corresponding historical sources, and second, by desire to depreciate the role of the prominent Georgian political and state leaders (David IV the Builder, Giorgi III, King Tamar, her husband David Soslan, etc.), and show all the brilliance of Mkhargrdzeli family. Special emphasis is put on the illegitimacy of the statement that in the 12-13th centuries there existed some kind of the Georgian-Armenian federative union (instead of the unified Georgian state) in which the representatives of the Armenian feudal aristocracy, and first of all, the Mkhargrdzeli family, whose Armenian origins are indisputable for Vermishev, played the leading role.

როინ მებრეველი

ცხოვრება და ღვაწლი სახელოვანი მეცნიერისა

90 წელი შესრულდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მამამთავრის, დიდი ივანე ჯავახიშვილის და მისი მოწაფეების სიმონ ჯანაშიას და ნიკო ბერძენიშვილის ღირსეული მემკვიდრის შოთა მესხიას დაბადებიდან. იგი ადრე, 56 წლის ასაკში წავიდა ამ ქვეყნიდან, მაგრამ ბევრის გაკეთება შეძლო. თავისი ხანმოკლე, მაგრამ შინაარსიანი ცხოვრება და შემოქმედება მშობლიური ქვეყნის – საქართველოს ისტორიის კვლევას მოახმარა.

შოთა მესხია დაიბადა 1916 წლის 27 აპრილს სოფ. ობუჯში (ახლ. წალენჯიხის რ-ნი) გლეხის – ამბაკო მესხიას ოჯახში. დედა – ლიდა შენგელაია გამოჩენილი ქართველი მწერლის ლეო ქიაჩელის ახლო ნათესავი იყო. შოთას დაბადებიდან ერთი წლის შემდეგ მესხიების ოჯახი ობუჯიდან სოფ. გაგიდაში (თანამედროვე გალის რაიონში) გადასულა. იქ რამდენიმე წელი უცხოვრიათ და შემდეგ (1920-21წწ.) ზუგდიდში დასახლებულან. 1923 წელს შოთა ჩაურიცხავთ ზუგდიდის არასრულსაშუალო სკოლაში, რომელიც მან 1930 წელს დაამთავრა.

სკოლაში სწავლის პერიოდში იგი დაეწაფა პოლიტიკურ ლიტერატურას, ბევრს კითხულობდა და მეცადინეობდა. როგორც შ. მესხია აღნიშნავს თავის მოგონებებში, ლეო ქიაჩელი ხშირად ჩადიოდა თურმე ნათესავების მოსანახულებლად ზუგდიდში და მშობლიურ ობუჯში. მისი ყოველი გამოჩენა დიდი სიხარული იყო ყველასათვის, განსაკუთრებით ბავშვებისათვის. მწერალი ყოველთვის რალაცით ასაჩუქრებდა ახალგაზრდებს. ერთხელ მას პატარა შოთასათვის საჩუქრად ჩაუტანია თავისი საბავშვო მოთხრო-

ბების კრებული „ზღვა, მზე და ოთარიკო“. შესანიშნავად ილუსტრირებულ და კარგად გამოცემულ წიგნს შოთაზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია. ლეო ქიაჩელმა საერთოდ კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა მომავალი მეცნიერის ცხოვრებაზე.

1931 წელს შოთა მესხია შედის ზუგდიდის სატყეო სასწავლებელში, რომელსაც 1933 წელს ამთავრებს. ყმაწვილს არ აკმაყოფილებს მიღებული ცოდნა და იგი სწავლის გაგრძელებაზე ოცნებობს. და აი, იმავე 1933 წელს შოთა მესხია შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. აქედან მოყოლებული, ფრთები ესხმება ცოდნასმოწყურებული ახალგაზრდა კაცის ოცნებასა და სურვილებს. იგი ისმენს გამოჩენილი ქართველი მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების – ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, შალვა ნუცუბიძისა და სხვათა ლექციებს, მთელი სიღრმით შეიგრძნობს თავისი ქვეყნის დიდ სიყვარულს, პატივისცემის აუცილებლობას წარსულისადმი და მომავლის დიდ პერსპექტივას. სტუდენტობის წლებში ეყრება საფუძველი შოთა მესხიას, როგორც საქართველოს ისტორიის მკვლევრის ფორმირებას. ივანე ჯავახიშვილი და სიმონ ჯანაშია ღრმა გავლენას ახდენენ ახალგაზრდა ისტორიკოსზე.

სტუდენტობის წლებში შოთა მესხია ლეო ქიაჩელის ოჯახში ცხოვრობდა. „რომ ლეო ქიაჩელი და მისი ოჯახი არა, ალბათ ვერ შევძლებდი სწავლის გაგრძელებას, ვერ ველირსებოდი სტუდენტობას, რომელიც ასე სანატრელი იყო ჩემთვის, ისე როგორც ყველა ახალგაზრდისათვის საერთოდ“, – იკონებდა შემდგომ შ. მესხია. თბილისში, ლეო ქიაჩელის ოჯახში, შოთა მესხიას ცხოვრებისა და სწავლის კარგი პირობები შეექმნა. იგი მწერლის შვილებთან – ნათელასა და ოთართან ერთად იზრდებოდა. რაიონიდან ჩამოსული ახალგაზრდისათვის დიდი მწერლის ოჯახში ცხოვრება მეორე უნივერსიტეტი იყო და პიროვნების ჩამოყალიბებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანი. მწერლის გულისხმიერება, კეთილი თვისებები, იშვიათი ტაქტი, დამოკიდებულება ოჯახის წევრებთან თუ მეგობრებთან, მისაბაძი მაგალითი იყო მოზარდებისათვის.

შოთა მესხიას ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა

ჰქონდა გამოჩენილ ქართველ ისტორიკოსს სიმონ ჯანაშიას, რომელმაც, როგორც სტუდენტობისას, ისე შემდგომ პერიოდში თავისი მადლი დაატყო მომავალი მეცნიერის გზას. შოთა მესხიამ 1937 წელს წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტი და იმავე წლის 1 სექტემბრიდან დაინიშნა ზუგდიდის რაიონის სოფ. კახათის საშუალო სკოლის დირექტორად, სადაც იმუშავა 1938 წლის 2 ოქტომბრამდე. პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად იგი ემზადებოდა სამეცნიერო მოღვაწეობისათვის.

1938 წელს შოთა მესხია შედის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის (ენიმიკის) ასპირანტურაში. აქ ახალგაზრდა მეცნიერი წრთობას გადის აკად. სიმონ ჯანაშიას ხელმძღვანელობით და იწყებს ფეოდალური საქართველოს ისტორიის მეტად მნიშვნელოვანი პრობლემის – ხელოსნური წარმოების ისტორიის შესწავლას. 1939 წლის 13 მარტს ენიმიკის ისტორიის განყოფილების საჯარო სხდომაზე შოთა მესხიამ გააკეთა მოხსენება თემაზე: „*თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა*“. შემდგომში ეს გამოკვლევა დაიბეჭდა კრებულში – „*მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*“ (1939, ნაკვ. I). ასპირანტურა შოთა მესხიამ 1941 წელს დაასრულა. საკანდიდატო დისერტაცია დაამთავრების სტადიაში იყო. საჭირო იყო შეგროვებული უხვი მასალის სისტემატიზება და ყველა დაკვირვება-დასკვნის ქალაქში გადატანა.

მაგრამ კარგად დაწყებული საქმის დაგვირგვინება ამჯერად ვერ მოხერხდა... დაიწყო ომი... შოთა მესხიამ თავისი მეცნიერული გეგმები გვერდზე გადადო, დატოვა ახლად შერთული მეუღლე, ხელში შაშხანა აიღო და ფრონტის ხაზს მიაშურა. ჯერ საწვრთნელი სწავლება გაიარა, შემდეგ კი, როგორც საბჭოთა არმიის ოფიცერი, მამაცურად იბრძოდა ჩრდილო კავკასიის ფრონტებზე. შოთა მესხიას ოცეულს სხვადასხვა საბრძოლო დავალების შესრულება უხდება ჩრდილოეთ კავკასიაში, მონაწილეობს ანაპის ბრძოლებში. გამოჩენილი ვაჟკაცობისათვის იგი დაჯილდოვდა სამამულო ომის II ხარისხის ორდენით და მედლით „*კავკასიის დაცვისათვის*“. 1942 წლის 13 მარტს ერთ-ერთ ბრძო-

ლაში (ქერჩის მახლობლად) შოთა მესხია დაიჭრა და ბრძოლის ველის დატოვება მოუხდა. იგი სხვა დაჭრილებთან ერთად ჯერ კისლოვოდსკის ჰოსპიტალში მკურნალობდა, შემდეგ საქართველოში ჩამოვიდა და თავის საქმეს – მეცნიერულ კვლევას დაუბრუნდა.

შოთა მესხიამ მუშაობა დაიწყო ენიმკის უმცროს მეცნიერთანამშრომლად, შეუდგა სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო გაფორმებას და ოთხი თვის დაძაბული, ინტენსიური მუშაობის შემდეგ დაასრულა იგი. ჯერ პროფ. ნიკო ბერძენიშვილი გაეცნო ამ გამოკვლევას და მოიწონა, შემდეგ აკადემიკოს სიმონ ჯანაშიასაგან იქნა ხელდასხმული. 1942 წლის 15 დეკემბერს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში შ. მესხიამ დაიცვა დისერტაცია თემაზე – „ხელოსნობა ძველ საქართველოში V-XII სს“. ოფიციალური ოპონენტები იყვნენ პროფესორები სიმონ ყაუხჩიშვილი და ვარლამ ღონღუა. სამეცნიერო საბჭომ ერთხმად მიანიჭა შ. მესხიას ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

სამეცნიერო ხარისხის მინიჭების შემდეგ მესხია ინიშნება ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. ნიჭიერი მკვლევრის ცოდნა და დიდი ენერჯია პედაგოგიური მუშაობის სარბიელზეც იყო საჭირო. 1943 წლიდან შოთა მესხია მიიწვიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრაზე უფროს მასწავლებლად. 1945 წელს, როცა ომი ჯერ კიდევ მძვინვარებდა, შოთა მესხია მეცნიერულ მოღვაწეობასთან ერთად ფართო საზოგადოებრივ საქმიანობასაც იწყებს. 1945 წლიდან იგი საქართველოს ისტორიის კათედრის დოცენტია და დაუღალავად გადასცემს ახალგაზრდობას თავის ცოდნას, უკითხავს საქართველოს ისტორიას, დიდი გატაცებით ასწავლის სტუდენტებს საქართველოს წარსულს. ამ პერიოდში მეცნიერი ფართო კვლევით მუშაობას ეწევა. იგი დაინტერესებულია წყაროთმცოდნეობის ცალკეული საკითხებით, განსაკუთრებით კი ყურადღებას ამახვილებს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის პრობლემებზე.

შოთა მესხიას სამეცნიერო კვლევის სფეროში ექცევა ფეო-

დალური საქართველოს ქალაქები და საქალაქო წყობილება. ეს პრობლემა ფაქტობრივად შეუსწავლელი იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში. გარდა საკითხის შესახებ არსებული ქართული და უცხოური წყაროების შესწავლისა, საჭირო იყო რუსული და დასავლური ისტორიოგრაფიის მიღწევების საფუძვლიანი გაცნობა. ამ მხრივ მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შოთა მესხიას მივლინებას მოსკოვში 1951 წელს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დოქტორანტურაში. აქ იგი გამოჩენილი რუსი ისტორიკოსის, აკადემიკოს მიხეილ ტიხომიროვის მეთვალყურეობითა და ხელმძღვანელობით აწარმოებს ინტენსიურ კვლევა-ძიებას. 1953 წლის დეკემბერში შოთა მესხიამ დაასრულა დოქტორანტურის სრული კურსი და თბილისს დაუბრუნდა. 1954 წელს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით შოთა მესხია დაჯილდოვდა მედლით „შრომითი მამაცობისათვის“. 1955 წლის 24 იანვარს, მოსკოვში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მან წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე: „*ფეოდალური საქართველოს ქალაქები და საქალაქო წყობილება*“, რისთვისაც მიენიჭა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

1954 წლიდან შოთა მესხია მუშაობას იწყებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად და ასრულებს ფეოდალური პერიოდის საქართველოს ისტორიის განყოფილების გამგის მოვალეობას. 1956 წელს შოთა მესხია დაინიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგედ; იმ კათედრისა, რომელსაც სხვადასხვა დროს განაგებდნენ შოთა მესხიას მასწავლებლები და უფროსი კოლეგები, აკადემიკოსები: ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი. ამიერიდან ჯერ კიდევ ახალგაზრდა მკვლევარს სხვა მოვალეობებთან ერთად მეცნიერების ორგანიზებაც ეკისრებოდა, რადგან კათედრა, რომელსაც ჩაუდგა იგი სათავეში, საქართველოს ისტორიის კვლევის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო რესპუბლიკაში. სწორედ ამ კათედრაზე, თავის კოლეგებთან ერთად მოღვაწეობდა შოთა მესხია. მისი თაოსნობითა და

რედაქტორობით მოეწყო არაერთი სამეცნიერო სესია, გამოიცა სამეცნიერო შრომების არაერთი კრებული. იგი დიდ დახმარებას უწევს უძცროს კოლეგებს, ასპირანტებს. თვითონ ზედმიწევნით ბეჯითი, შრომისმოყვარე და კეთილსინდისიერი მკვლევარი, იგი სამაგალითო იყო ყველასათვის. 1957 წელს შ. მესხიას პროფესორის წოდება მიანიჭეს. 1961 წელს იგი დაინიშნა თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანად. ამ თანამდებობაზე, ისე როგორც საქართველოს ისტორიის კათედრის გამგის თანამდებობაზე, მეცნიერი გარდაცვალებამდე მუშაობდა.

1966 წელს ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის შ. მესხია დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით. 1967 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. იმავე 1967 წელს შ. მესხია აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. 1971 წელს, გერმანელ მეცნიერთა მიწვევით, შ. მესხიამ იმოგზაურა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სადაც ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტში ლექციები წაიკითხა საქართველოს ისტორიის შესახებ. ეს ლექციები შემდეგ ცალკე წიგნად გამოიცა გერმანულ ენაზე.

მეცნიერის მუშაობა სამოციანი წლებიდან მეტად ნაყოფიერად და მრავალმხრივად წარიმართა; მას მომავალი მუშაობის საინტერესო და ფართო გეგმები ჰქონდა დასახული, მაგრამ მოულოდნელმა, მძიმე, განუკურნებელმა სენმა ნაადრევად შეწყვიტა მისი სიცოცხლე. იგი გარდაიცვალა 56 წლის ასაკში 1972 წლის 15 მაისს. შ. მესხია დაკრძალულია ქართველ მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

შოთა მესხიამ მნიშვნელოვანი მეცნიერული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. იგი ავტორია ასამდე გამოქვეყნებული გამოკვლევისა; შესწავლილი აქვს შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის პრობლემები: სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის საკითხები, ქალაქების ისტორიასა და საქალაქო წყობა; მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის საკითხებს.

მეცნიერის ერთ-ერთი ძირითადი ნაშრომი – „ხელოსნობა ძველ საქართველოში (V-XII სს.)“ – მიძღვნილია ფეოდალური საქართველოს ისტორიის მეტად აქტუალური პრობლემის – ხელოსნური წარმოების ისტორიისადმი. მან საგანგებოდ შეისწავლა ხელოსნობის ყველა ის დარგი, რომელიც ცნობილი იყო V-XII საუკუნეების საქართველოში, გაარკვია ხელობისა და ხელოსნობის აღმნიშვნელი ტერმინები. ნიშანდობლივია, რომ კავკასიისა და საქართველოს ხელოსნობის მკვლევრები ძირითადად XVIII-XIX საუკუნეებით ინტერესდებოდნენ და ამქრობის ისტორიით იფარგლებოდნენ. V-XII საუკუნეები საინტერესო პერიოდი საქართველოს ისტორიაში და, ცხადია, ამ დროის ხელოსნობის საფუძვლიანმა შესწავლამ წინ წასწია ქართული ისტორიული მეცნიერება. სხვადასხვა სახის მასალაზე (წერილობითი წყაროები, მატერიალური კულტურის ძეგლები) დაყრდნობით მან დაასაბუთა, რომ ძველ საქართველოში ხელოსნური წარმოება საკმაოდ განვითარებული იყო და რომ აქ გვხვდება შუა საუკუნეების მსოფლიოსათვის ცნობილი თითქმის ყველა სახეობა.

კაპიტალურ გამოკვლევაში – „ქალაქები და საქალაქო წყობილება ფეოდალურ საქართველოში“ – მეცნიერმა გამოიკვლია ფეოდალური საქართველოს ქალაქების ისტორია, გაარკვია მათი ადგილი და როლი ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, შეისწავლა ფეოდალური საქართველოს ქალაქების აღმოცენების პროცესი, განსაზღვრა მათი განვითარების ცალკეული ეტაპები, ქალაქების ეკონომიკური მდგომარეობა, სასაქონლო წარმოებისა და ვაჭრობის განვითარება, სოციალური ურთიერთობანი. ამასთან, წარმოაჩინა ქალაქების დამოკიდებულება სამეფო ხელისუფლებასთან, საქალაქო მმართველობის ხასიათი, ფეოდალურ ურთიერთობათა გავლენა საქალაქო წყობილებაზე; დეტალურადა განიხილა ხელოსნური და სავაჭრო ორგანიზაციების აღმოცენების პირობები, მათი როლი საქალაქო ცხოვრების განვითარების ცალკეულ ეტაპებზე, განსაზღვრა ქართული ქალაქების ძირითადი ტიპები და გარეგნული სახე.

შ. მესხიამ ფართოდ წარმოაჩინა XVII-XVIII საუკუნეების საქართველოს ქალაქების ვაჭრობა-ხელოსნობის სპეციფიკუ-

რი მხარეები, შეეცადა განესაზღვრა ქალაქების მოსახლეობის რაოდენობა, სოციალური სტრუქტურა; დაადგინა, რომ „მოქალაქის“ წოდება“, როგორც მოსახლეობის ერთი ნაწილის პრივილეგია, XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე წარმოიშვა. მეცნიერმა გარკვევა XVII-XVIII საუკუნეების ფეოდალური ქალაქების მმართველობა (მოურავი, მამასახლისი, მეღიქი, ქალაქის ნაცვალი, მოურავის თანაშემწე და სხვა თანამდებობები, ქალაქის „ქეთხუდები“); შეეხო რა ხელოსნურ და სავაჭრო ორგანიზაციებს მოგვცა ამქრის შინაგანი სტრუქტურა, წარმოადგინა „შეგვირდისა“ და „ქარგლის“ ინსტიტუტები, ამქრის როლი საქალაქო ცხოვრებაში.

საყოველთაო აღიარებით, შ. მესხიას აღნიშნული მონოგრაფია პრობლემის აქტუალობით, გამოკვლევის მასშტაბურობითა და სიღრმით, მიღებული შედეგებით ფუნდამენტური ხასიათისაა და ქართული ისტორიოგრაფიის დიდ შენაძენს წარმოადგენს.

შუა საუკუნეების საქართველოს ქალაქების სოციალური ურთიერთობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხის – საქალაქო კომუნის შესწავლას მიუძღვნა შოთა მესხიამ თავისი გამოკვლევა – *„საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში“* (გამოიცა 1962 წელს). აქ საკმაოდ თამამი დასკვნებია თბილისის საქალაქო თვითმმართველობის წარმოშობის დროსა და პირობებზე. სათანადო წყაროებზე დაყრდნობით მეცნიერი ასკვნის, რომ „X-XI საუკუნეთა თბილისის ამირები, ხალიფას ადრინდელი მოხელეები, იოანე საბანისძის დროინდელი „მსაჯული ამირები“ კი არ იყვნენ, არამედ თბილისისა და მისი მიდამოების, ე.წ. „თბილისის საამიროს“ ფეოდალი მფლობელები“. მართლაც, „ამირა“ ამ პერიოდიდან არაბ მოხელეს კი არ ეწოდებოდა, არამედ თბილისისა და მისი მიდამოების მამულთა მფლობელს. მეცნიერი ასაბუთებს, რომ XI ს. ორმოციანი წლებისათვის საქალაქო თვითმმართველობას თბილისში ჩამოყალიბებული სახე ჰქონდა. ამავე საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან კი ქალაქის თვითმმართველობა დამოუკიდებლობაში გადაიზარდა და თბილისი არსებითად ქალაქ-კომუნად იქცა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ „ქალაქის გამგებლობა ამიერიდან მთლიანად „ქალაქის ბერების“, „უხუცესთა საქალაქო კრებულის“ ხელში გადავიდა“. ქალაქის უხუცესთა საბჭოსაგან გამოყოფილ გამგე-

ბელს, შ. მესხიას ვარაუდით, „ქალაქის უხუცესი“ ან „ქალაქის თავადი“, ან კიდევ „ქალაქის მთავარი“ ერქვა.

მეფის ხელისუფლება საქალაქო თვითმმართველობას, გარკვეულ შემთხვევაში თავის სასარგებლოდ იყენებდა დაპირისპირებული ფეოდალების წინააღმდეგ ბრძოლაში. ქალაქელებიც, გარკვეულ პერიოდში, მხარს უჭერდნენ ცენტრალური ხელისუფლებას. შოთა მესხია სრულიად მართებულად მიიჩნევს, რომ დავით აღმაშენებელმა ოპოზიციურ ფეოდალურ ძალებზე გამარჯვებისათვის სწორედ ქალაქებთან კავშირი გამოიყენა. ამასთან, ხელისუფლების ცენტრალიზაციის პირობებში დავით აღმაშენებლის ძლიერი მონარქია ვერ შეურიგდა თავის მიწაზე დამოუკიდებელი ერთეულების არსებობას და ზედიზედ დაიმორჩილა (შემოიერთა) სამშვილდე (1110წ.), რუსთავი (1115წ.), გიში (1117წ.), ლორე (1118წ.) და სხვ. მას შემდეგ, რაც დავით IV აღმაშენებელმა თბილისი შემოიერთა, დასრულდა მისი თვითმმართველობის ისტორიაც. მეცნიერმა ყურადღება გაამახვილა XIII ს. ქალაქების სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარ დიდ გარდატეხაზე, რასაც დასაბამი მისცა მონღოლთა გაბატონებამ. ზოგმა ქალაქმა საკვებით დაკარგა თავისი მნიშვნელობა და დაეცა, ზოგი კი უმნიშვნელო დასახლებულ პუნქტად იქცა.

ცალკე უნდა აღინიშნოს თბილისის ისტორიის კვლევა. ჯერ კიდევ 1952 წელს გამოიცა დავით გვრიტიშვილისა და შოთა მესხიას მონოგრაფიული გამოკვლევა „*თბილისის ისტორია*“: აქ შ. მესხიას მიერ დაწერილი იყო თავები: „*ქალაქ თბილისის წარმოშობა*“, „*თბილისის ტერიტორია და გარეგანი სახე*“, „*თბილისის ეკონომიკური სახე*“, „*თბილისის მმართველობა და საქალაქო წყობა*“ და სხვ. მოგვიანებით „*თბილისის ისტორია*“ ხელმოწერედ გამოიცა გაფართოებული სახით შოთა მესხიას, დავით გვრიტიშვილის, მამია დუმბაძისა და აკაკი სურგულაძის ავტორობით. ამ წიგნის რედაქტორი შოთა მესხია გახლავთ. მონოგრაფიაში განზოგადებულია მეცნიერის მიერ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე წარმოებული კვლევა-ძიების შედეგები. ავტორთა კოლექტივის მიერ შექმნილი „*თბილისის ისტორიის*“ გამოცემა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში და

შ. მესხიას ღვაწლი, როგორც ამ წიგნის მნიშვნელოვანი მონაკვეთების ავტორისა და რედაქტორისა, დიდად დასაფასებელია.

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი გმირული ისტორიის ერთ-ერთ ბრწყინვალე ფურცელს – დიდგორის ბრძოლას შოთა მესხიამ მიუძღვნა თავისი მონოგრაფია – „*დიდგორის ბრძოლა*“, რომელიც 1965 წელს გამოიცა, ხოლო გადაბეჭდვებული და შევსებული სახით და ახალი სახელწოდებით – „*ძლევაძ საკვრველი*“ – ხელმეორედ დაიბეჭდა 1972 წელს. ამ ნაშრომისათვის 1974 წელს, გარდაცვალების შემდეგ, შოთა მესხიას სიმონ ჯანაშიას პრემია მიენიჭა.

1958 წელს გამოვიდა შოთა მესხიასა და იასე ცინცაძის წიგნი – „*Из истории русско-грузинских взаимоотношений (X-XIII вв.)*“, რომელშიც რუსეთ-საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორიის საკითხებია გამოკვლეული.

მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ გამოვიდა უაღრესად მნიშვნელოვანი ნაშრომი საქართველოს საშინაო პოლიტიკისა და სამოხელეო წყობის შესახებ („*საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში*“, თბ., 1979). ნაშრომში განხილულია და ახლებურადაა გადაწყვეტილი ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორცაა საქართველოს ფეოდალური მონარქიის ცენტრალური გამგებლობის სისტემის შექმნა, სავაზიროს წარმოქმნის პრობლემა, მეფის თვითმპყრობელობის საკითხი („ერთნებობისა და თანადგომის“ პრობლემა), „დარბაზის რიგის“ მოხელეთა ვინაობა და ფუნქციები, XIII ს. საქართველოს ფეოდალურ საგვარეულოთა ისტორია და სხვ.

ფასეულია შოთა მესხიას დასკვნა, რომ თამარის მეფობის უკანასკნელი წლებიდან შექმნილმა ვითარებამ საფუძველი დაუდო ცვლილებებს სამოხელეო წყობილებაში საერთოდ და, მხარგრძელთა შემდგომ განდიდებას კერძოდ. მეორე მხრივ, სამეფო ხელისუფლების დასუსტებამ თავისთავად განაპირობა ცენტრალური ხელისუფლების აპარატის მოხელეთა მნიშვნელოვანი შემცირება და ზოგი სამოხელეო ინსტიტუტის გადაგვარებაც. ამას თან სდევდა ადგილებზე წარგზავნილ მოხელეთა ზრდა და, შესაბამისად, დეცენტრალისტური ძალების გაძლიერება. ცენტრა-

ლური სამოხელეო აპარატი ამიერიდან ვეღარ ასრულებდა მასზე დაკისრებულ წამყვან როლს; ცენტრალური აპარატის მოხელეთა ინტერესები თანდათან მთავართა ინტერესებამდე დავიდა. ეს კი პირვანდელ მნიშვნელობას უკარგავდა მხარგრძელთა მოხელეობას სამეფო კარზე, რაც კიდევ უფრო ამკარაა XIIIს. 80-იანი წლებიდან, როცა მხარგრძელთა მოხელეობა საქართველოს სამეფო კარზე არსებითად ფიქცია გახდა.

შოთა მესხიას სახელთან არის დაკავშირებული ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატეანის, ე.წ. „*ძველი ერისთავთა*“ მეცნიერულად გამოკვლეული ტექსტის გამოცემა. მეცნიერმა ლენინგრადში მივლინებით ყოფნისას (1949წ.) ყურადღება გაამახვილა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში, მარი ბროსეს ყოფილ არქივში, ამ უკანასკნელის მიერ აკინძულ მასალებზე, რომელსაც საერთო წარწერა ჰქონდა: *«Voyages de M. Dimitri de Gori, 1848-1850»*. აქ აღმოჩნდა მოთავსებული დიმიტრი ძელვინეთუხუცესიშვილის „*გორში მოგზაურობის*“ გარდა, „*მოგზაურობა და მიმოხილვა იმერეთისა*“, „*მოგზაურობანი ტფილისის ლუბერნიასა შინა*“, „*ცხოვრება და მეფობა ირაკლი მეორისა*“, „*ინდიკტიონი ღირსსახსოვარ შემთხვეულებათა*“, „*მოკონება ანუ ლაშქრობა პირისპირ იმაში შამილისა 1854 წელსა*“ და სხვ.

შოთა მესხიამ გაარკვია, რომ „*ძველი ერისთავთა*“ დაწერილია ქსნის ერისთავთ-ერისთავის ვირშელ III-ის სიცოცხლეში (1348-1400წწ.), ამ დროს ცნობილი ლარგველი მოღვაწის, მწიგნობრისა და მხატვრის აგვაროზ ბანდაისძის მიერ. XIV საუკუნე ქსნის საერისთავოს ჩამოყალიბების პერიოლია. ამ დროს უკვე არსებობს ქსნის ერისთავთა „*დარბაზოვანი*“ და „*თავადი ციხე*“ ქვენიფნევს, საგვარეულო მონასტერი კი – ლარგვისს. ამდენად, „*ძველი ერისთავთა*“ შექმნა XIV საუკუნის დასასრულისათვის სავსებით კანონზომიერი იყო და რეალურად შეესაბამებოდა არსებულ პოლიტიკურ ვითარებას. მეცნიერმა ტექსტის კრიტიკულ შესწავლასთან ერთად გაასწორა მასში არსებული ხარვეზები, დაურთო ლექსიკონი და საკუთარ სახელთა საძიებლები და ისე გამოსცა. შოთა მესხიას მიერ აღმოჩენილი, გამოკვლეული და გამოცემუ-

ლი „*ძველი ერისთავთა*“ არის თანამედროვე წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის მოთხოვნათა დონეზე შესრულებული პუბლიკაცია და თავისი მნიშვნელობით მეტად თვალსაჩინო ადგილი უკავია საქართველოს ისტორიის შესახებ არსებულ წყაროთა შორის.

შოთა მესხიას კვლევის თვალსაწიერში ისტორიოგრაფიის საკითხებიც მოხვდა. ვახუშტი ბაგრატიონი, თეიმურაზ ბაგრატიონი, ნიკო დადიანი, ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, ნიკოლოზ ბერძენიშვილი – აი, ის ისტორიკოსები, რომელთა ცხოვრება და შემოქმედება ფრამენტულად თუ მთლიანობაში, მოექცა გამოჩენილი მეცნიერის ისტორიოგრაფიული კვლევის სფეროში. შ. მესხიას ისტორიოგრაფიული ხასიათის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მის მონოგრაფიას სიმონ ჯანაშიას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. აქ ღრმა მეცნიერულ კვლევასთან ერთად ჩანს უდიდესი სითბო და სიყვარული გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწისადმი.

შოთა მესხიამ მნიშვნელოვანი ამაგი დასდო „*საქართველოს სსრ ატლასის*“ შედგენას. მან მამია ღუმბაძესთან და ალექსანდრე ასლანიკაშვილთან ერთად შეადგინა XVIII ს. მეორე ნახევრის საქართველოს რუკა.

სტუდენტებთან და ასპირანტებთან ინტენსიური მუშაობის გარდა, შოთა მესხია დიდ ყურადღებას უთმობს საშუალო სკოლების მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეს. 1959 წელს მისი მონაწილეობით გამოდის ავტორთა კოლექტივის მიერ შედგენილი „*საქართველოს ისტორიის*“ სახელმძღვანელო საშუალო სკოლებისათვის. შემდეგ ისტორიკოს ვიქტორ გუჩუასთან ერთად წერს „*საქართველოს ისტორიის*“ ახალ სახელმძღვანელოს საშუალო სკოლებისათვის. აღნიშნულმა წიგნმა გაიმარჯვა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ „*საქართველოს ისტორიის*“ სახელმძღვანელოების დახურულ კონკურსში და წლების მაძილზე გამოიყენებოდა საშუალო სკოლაში.

მეცნიერი დიდ ყურადღებას აქცევდა საქართველოს ისტორიის სწავლებას საშუალო სკოლაში. 1971 წელს „*ლიტერატუ-*

რულ საქართველოში“ იგი ბეჭდავს ვრცელ პოლემისტურ სტატიას – „საცნობლად თავისადაო“. მეცნიერი წუხდა იმის გამო, რომ იმჟამად საქართველოს ისტორიის სწავლებას საშუალო სკოლაში (VII, VIII, IX და X კლასები) დათმობილი ჰქონდა საათების მცირე რაოდენობა. მას არასწორად მიაჩნდა, რომ „საქართველოს ისტორია“ არ იყო შეტანილი არც რვაწლიანი სკოლის დამთავრების მოწმობასა და არც საშუალო განათლების ატესტატში. მეცნიერი მიიჩნევდა, რომ საქართველოს ისტორია უნდა ყოფილიყო საატესტატო საგანი, ე. ი. ამ საგანში მიღებული ნიშანი საშუალო განათლების ატესტატში უნდა შეტანილიყო ცალკე. ამ წერილში აღძრულია კიდევ არაერთი საკითხი ისტორიის მასწავლებელთა დახმარებისა თუ საერთოდ სწავლების გაუმჯობესების შესახებ.

შოთა მესხია სასარგებლო მუშაობას ეწეოდა საზოგადოება „ცოდნაში“. იგი საქართველოს ისტორიის სექციის თავმჯდომარე იყო და ინტენსიურად მუშაობდა, როგორც ლექტორი. მას ხშირად ნახავდით საქართველოს სხვადასხვა სოფელსა თუ ქალაქში, სადაც მეცნიერი დარბაისლური ქართულით მოუთხრობდა მსმენელებს საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ეპიზოდს.

შოთა მესხია თავდაუზოგავად იბრძოდა საქართველოს ჭეშმარიტი ისტორიის გაყალბების წინააღმდეგ. 1969 წლის 12 იანვარს გაზეთ „კომუნისტში“ ის ბეჭდავს წერილს – „ძრუდე სარკეში“ (თანავტორი მარიამ ლორთქიფანიძე), რომელშიც სააშკარაოზე გამოაქვს საქართველოს წარსულის გაყალბების ფაქტები გრიგოლ ვერძიშვილის ისტორიულ რომანში – „ამირსპასალარი“. საკუთარი თავისადმი მომთხონი მეცნიერი პრინციპული იყო სხვების მიმართაც. ზედმიწევნითი თავაზიანობა და თავმდაბლობა არ უშლიდა მას ხელს მიუკერძოებელი ყოფილიყო ამა თუ იმ საკითხის გარკვევისას. იგი იყო მკაცრი ხელმძღვანელი თავისი ასპირანტებისა და მეტად მომთხონი ოპონენტი დისერტანტებისა. მისი ხელდასხმით არაერთი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია იქნა დაცული.

შოთა მესხია საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე სხვადასხვა მოვლენის ცენტრში იყო. ისტორიული მეცნიერებების ფრონ-

ტზე არ ყოფილა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი საქმე, მონაწილეობა რომ არ მიეღო. იგი აქტიურად საქმიანობდა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რედაქციის მომზადებისას. მისი რედაქტორობით გამოვიდა (1973წ.) „ნარკვევების“ II ტომი, რომელიც მოიცავს IV-X საუკუნეების საქართველოს ისტორიას. შ. მესხია დანიშნული იყო III ტომის რედაქტორად, მაგრამ უდროო გარდაცვალებამ მას არ დააცალა ამ საქმის შესრულება.

შოთა მესხია აქტიურად ჩაება 1965 წელს შექმნილი ქართული ენციკლოპედიის სამეცნიერო რედაქციის საქმიანობაში, სათავეში ედგა საქართველოს ისტორიის საბჭოს. მისი მეთვალყურეობით შეიქმნა საქართველოს ისტორიის სიტყვანი; მისი ხელმძღვანელობით მომზადდა ენციკლოპედიის პირველი ტომის ბევრი სტატია.

ქართველი საზოგადოება, კოლეგები, მეგობრები, მოწაფეები დიდი მოწიწებით აღნიშნავენ სახელოვანი მეცნიერისა და სასიქადულო მამულიშვილის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ შოთა მესხიას დაბადებიდან 90 წლის იუბილეს და პატივს მიაგებენ მის ნათელ ხსოვნას.

РОИН В. МЕТРЕВЕЛИ

ЖИЗНЬ И ДЕЯТЕЛЬНОСТЬ СЛАВНОГО УЧЁНОГО

Статья представляет собой краткий биографический очерк, в котором освещена жизнь и деятельность видного грузинского учёного-историка, достойного продолжателя дела корифеев грузинской исторической науки, академиков Иванэ Джавахишвили, С. Н. Джанашия и Н. А. Бердзенишвили, члена-корреспондента АН Грузии, заслуженного деятеля науки, профессора Шота Амбаковича Месхия (1916-1972).

Научное наследие Ш. А. Месхия включает около 100 научных публикации, среди которых особенно ценным являются фундаментальные исследования о городах и городском строе средневековой Грузии, о внутренней политике и государственном строе Грузии во второй половине XII века, по социально-экономической и политической истории Грузии, источниковедению и историографии. Много и плодотворно работал Ш. А. Месхия над созданием учебной литературы по истории Грузии, как для высших учебных заведений, так и средних школ. Перу учёного принадлежат также краткие курсы истории Грузии (обзорного характера) на русском, английском немецком и французском языках изданные как в Грузии, так и за рубежом (в Германии).

ROIN METREVELI

LIFE AND ACTIVITIES OF THE FAMOUS SCHOLAR

The paper represents the brief biographical sketch about the life and activities of Shota Meskhia (1916-1972), the famous Georgian scholar, historian, the corresponding member of Georgian Academy of Sciences, the worthy successor of the coryphaei of Georgian historical science – academicians Ivane Javakhishvili, S. Jannashia and N. Berdzenishvili.

Shota Meskhia's scientific heritage includes around 100 publications. The fundamental researches about the cities and the urban system in the Medieval Georgia; about the internal policy and the state order in the second half of the 12th century Georgia; on the social, economical and political history of Georgia; in source studies and historiography are the most worthy among his works. Sh. Meskhia has done the prolific work in composing the educational literature both for the universities and schools. From the scholar's pen came the concise courses in History of Georgia in Russian, English, German and French, which were published in Georgia and abroad (in Germany).

ზურაბ პაპასქირი

ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაკენი*

გამოვიდა გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის, ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პროფ. შოთა მესხიას ვრცელი გამოკვლევა „*სამინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში*“. აღნიშნული ნაშრომი მხოლოდ ნაწილია იმ დიდი ჩანაფიქრისა, რომლის განხორციელებაც განსვენებულ მეცნიერს არ დასცალდა.

როგორც სათაურიდან ჩანს, ნაშრომი ეძღვნება XII ს. საქართველოს სახელმწიფოს შინაპოლიტიკური ცხოვრების მეტად მნიშვნელოვანი პრობლემის – ქვეყნის სამოხელეო სისტემის შესწავლას. მასში ფუნდამენტალურადაა გამოკვლეული აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებული ყველა საკვანძო საკითხი. პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში შესწავლილია XII-XIII სს. საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი ფეოდალური საგვარეულოს მხარგრძელთა სახლის ისტორია.

ნაშრომის პირველ თავში, რომელიც სავაზიროს წარმოქმნის პრობლემას ეძღვნება, შ. მესხია უარყოფს ისტორიოგრაფიაში გაბატონებულ შეხედულებას სავაზიროს, როგორც სათათბირო ორგანოს, XII საუკუნეში ჩამოყალიბების შესახებ. მკვლევა-

* წარმოდგენილი გამოცხილი შოთა მესხიას მონოგრაფიაზე პირველად გამოქვეყნდა წიგნის გამოსვლისთანავე გაზეთ „*საბჭოთა აფხაზეთში*“ (№82, 1980წ. 25 აპრილი). მასალა იბეჭდება უცვლელად, თითო-ოროლა კორექტურული შეცდომის ჩასწორებით.

რი გულდასმით ანალიზებს წყაროების მონაცემებს ვაზირის ან ვაზირთა შესახებ და ასკვნის, რომ XIII ს. საქართველოს ისტორიის ამსახველ მასალებში ყველგან იხსენიება მხოლოდ ერთი ვაზირი – მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, რომ თამარის მეფობის ბოლო წლებამდე (ათაბაგობის დაწესებამდე) „სავაზირო, როგორც საგანგებო დაწესებულება, ვაზირთა სათათბირო, საკრებულო ორგანო“ არ არსებობდა.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აგრეთვე განსვენებული მეცნიერის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ე.წ. „გუნია ყაღის“ წარწერის მონაცემები არ შეიძლება მიჩნეულ იქნას თამარის დროს მეფის ხელისუფლების შეზღუდვის მაჩვენებლად.

შ. მესხიას აზრით, ასევე უსაფუძვლოა თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში ნახმარი ფრაზის „ერთნებობისა და თანადგომის“ გამოყენება „თამარის სამეფო ხელისუფლების შეზღუდვისა და მეფესა და დიდებულთა შორის ხელისუფლების განაწილების მოწმობად“. მკვლევარი მიუთითებს, რომ აღნიშნული ფრაზა წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ ზოგად გამოთქმას და ის არ შეიძლება გამოცხადდეს „თამარის ეპოქისათვის დამახასიათებელ პოლიტიკურ დოქტრინად“. აქედან გამომდინარე, შ. მესხია ასკვნის, რომ მიუხედავად დიდებულთა არაერთგზის მცდელობისა, თამარმა მაინც შეძლო თავისი თვითმყოფელური ხელისუფლების შენარჩუნება და (ისევე როგორც გიორგი III) მართავდა ქვეყანას არა ყოვლისშემძლე სავაზიროს, მეფის ხელისუფლების შემზღვეველი საგანგებო დაწესებულების მეშვეობით, არამედ „დარბაზის რიგის“ მაღალი რანგის ერთგულ მოხელეებზე დაყრდნობით, რომელთაც მეთაურობდა „მეფის უპირველესი მოხელე – ვაზირი – მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი“.

ნაშრომის მეორე თავი ეძღვნება სამეფო ხელისუფლების ცენტრალური აპარატის – „დარბაზის რიგის“ მაღალი რანგის მოხელეთა ვინაობის დადგენასა და მათი როლის შეფასების საკითხს ქვეყნის საშინაო-პოლიტიკურ ცხოვრებაში. აღნიშნულ პრობლემაზე მსჯელობას შ. მესხია იწყებს ვაზირის – მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის ინსტიტუტის შესწავლით. აკრიტიკებს რა

ზოგიერთი მეცნიერის (ს. კაკაბაძე, ს. ერემიანი) მტკიცებას არაქართველ (ყივჩაყ, სომეხ) მოღვაწეთა მოძღვარებისა და გადამწვეტი როლის შესახებ ქვეყნის მმართველობაში, ავტორი აღნიშნავს, რომ საკითხისადმი ამგვარი მიდგომის მიზეზად იმდროინდელი საქართველოს სამოხელეო წყობის არასწორი გაგება, პირველ რიგში კი ვაზირის – მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის როლის შეუფასებლობა – უგულებელყოფა უნდა მივიჩნიოთ.

როგორც ცნობილია, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის თანამდებობა ღვათ აღმაშენებლის მეფობის დროს შეიქმნა და იგი იმთავითვე მეფის თვითმყრობელური ხელისუფლების მთავარ დასაყრდენად იქცა. შ. მესხია, მიუთითებს რა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის ხელისუფლების როლზე ერთიანი ფეოდალური მონარქიის გაძლიერებისა და განმტკიცების საქმეში, ჩვენი აზრით, საკმაოდ დამაჯერებლად ასაბუთებს მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის სახელს შემდგომ ზრდასა და განმტკიცებას თამარის ეპოქაში. მკვლევარის აზრით, ამის მაჩვენებელი უნდა იყოს მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლისათვის პროტოუპერტიმოსის, ანუ სამეფოს უპირველესი მოქალაქის ტიტულის მინიჭება. განსაკუთრებით აღსანიშნავია შ. მესხიას მიერ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის სამხედრო ფუნქციებზე ყურადღების გამახვილება. უაღრესად მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით, მეცნიერის დასკვნა იმის შესახებ, რომ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს არა თუ ხელი მიუწვდებოდა სამხედრო უწყებაზეც, არამედ ის ზღუდავდა და აკონტროლებდა ამირსპასალარის ხელისუფლებას.

შ. მესხია საფუძვლიანად იკვლევს XIIს. საქართველოს სამეფოს ცენტრალური ხელისუფლების სხვა ორგანოებს: მანდატურთუხუცესის, ამისპასალარის, მეჭურჭლეთუხუცესის, მსახურთუხუცესის და სხვა სახელოების ჩამოყალიბების ისტორიას და არკვევს ამ თანამდებობებზე მყოფ პირთა ვინაობას. ავტორი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ხელისუფლების მართვის ცენტრალური აპარატის ჩამოყალიბება დაიწყო საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის შექმნიდან (X-XI საუკუნეების მიჯნა) და მან „უფრო გამოკვეთილი სახე მიიღო“ ღვათ აღმაშენებლის მოღვაწეობის ხანაში. მკვლევარმა დაადგინა, რომ ამ ხანაში

გამოიკვეთა საქართველოს ლაშქრის მთავარსარდლის – ამირსპასალარის თანამდებობა. ამავე ხანაში ჩამოყალიბდა მანდატურთუხუცესის (შინაგანი საპოლიციო სამსახურისა და მეფის ღაცვის უფროსის) სახელო, რომელიც მეცნიერის აზრით, დავით აღმაშენებლის დროს მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის შემდეგ ყველაზე ძლიერი ხელისუფალი გახდა. დავითის მეფობის ხანას აკუთვნებს შ. მესხია აგრეთვე მეჭურჭლეთუხუცესის სახელოს ფორმირებასაც.

უარყოფს რა პ. ინგოროყვას მოსაზრებას ჯერ 1178-84 წლების საქართველოში „სავაზიროს რეფორმისა“, ხოლო შემდეგ 1184-1191წწ. სამოხელეო წყობაში ერთგვარი „რესტავრაციის“ ჩატარების შესახებ, შ. მესხია აღნიშნავს, რომ მიუხედავად დიდგვაროვანთა მრავალგზის მოთხოვნებისა, თამარმა შეძლო უმნიშვნელოვანეს თანამდებობებზე ძირითადად სამეფო ხელისუფლების ერთგულთა დაწინაურება. მეცნიერის აზრით, ეს იყო არა გიორგი III მიერ „ორბელთა აჯანყების“ ჩახშობის (1178წ.) შემდეგ დამხობილ საგვარეულოთა რესტავრაცია (როგორც ამას ფიქრობს პ. ინგოროყვა), არამედ „თამარის თვითმყრობელური ხელისუფლების სიძლიერისა და ოპოზიციურ ძალებზე გამარჯვების ძირითადი მოწმობა“, გიორგი III საშინაო-პოლიტიკური კურსის გაგრძელება.

ნაშრომის მესამე – ყველაზე ვრცელი თავი მიძღვნილია მხარგრძელთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიის შესწავლისადმი.

როგორც ცნობილია, მხარგრძელებს ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეკავათ ამისპასალარის, ხოლო შემდეგ ათაბაგის თანამდებობებიც და მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ იმდროინდელი საქართველოს შინაპოლიტიკურ ცხოვრებაში, განსაკუთრებით კი თამარის მეფობის დროს. ქართულ და სომხურ ისტორიოგრაფიაში არ არის ერთი აზრი მხარგრძელთა წარმომავლობის, კონფესიური კუთვნილების, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი როლისა და დ სხვა საკითხების შესახებ.

შ. მესხიამ თავი მოუყარა მხარგრძელთა მოღვაწეობის ამსახველ ყველა საინტერესო წყაროს და მათი მონაცემების სკრუ-

პულოზური ანალიზის შედეგად დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ: ა) მხარგრძელები არ არიან არც ქართული და არც სომხური წარმოშობის და მომდინარეობენ ერთ-ერთი ქურთული ტომიდან, რომელიც გადმოსახლდა სომხეთში XI ს. 50-60-იან წლებში; მხარგრძელი იყო ერთადერთი გვარსახელი მთელი საგვარეულოსი; ეს „წმინდა ქართული ფორმა – „მხარგრძელი“ არის დადასტურებული სომხურ წარწერებშიც და მიუთითებს მხარგრძელთა ადრევე (არაუგვიანეს XIII ს. შუა წლებისა) გაქართველებაზე, „ქართულ-ფეოდალურ საგვარეულოდ გადაქცევაზე“; ბ) თავდაპირველად მონოფიზიტი და ტაშირ-ძორაკეტში გადასვლის შემდეგ სომხურ გრიგორიანულ ეკლესიას შეკედლებული მხარგრძელთა წინაპრები დავით აღმაშენებლის მიერ ჩრდილოეთ სომხური მიწების შემოერთების შემდეგ თანდათანობით მთლიანად რელიგიურადაც გაქართველდნენ. ქართულმა სახელმწიფოებრიობამ და მისმა გარემომ ქურთული წარმოშობის საგვარეულო „მხარგრძელთა“ ქართულ საგვარეულოდ აქცია; გ) მხარგრძელთა აღზევება და იწყო დავით აღმაშენებლის დროს. განსაკუთრებით კი ისინი დაწინაურდნენ გიორგი III მეფობის ბოლო წლებში, როდესაც ორბელთა დამხობის (1178წ.) შემდეგ ამ საგვარეულოს მთავარი წარმომადგენელი – სარგის მხარგრძელი მტკიცედ ჩადგა „იმ ქართველ დიდებულთა შორის, რომელთაც მეფის ნდობა, ერთგულება და სიყვარული დაიმსახურეს“. მიუხედავად იმისა, რომ თამარის ეპოქაში მხარგრძელები კიდევ უფრო ამაღლდნენ სამოხელეო კიბეზე და მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, ისინი ისევე ემორჩილებოდნენ მეფე-ქალს, როგორც ამ თანამდებობაზე მყოფნი დავით აღმაშენებელს, დემეტრე I თუ გიორგი III. მხარგრძელები სომხურ ტერიტორიებს მართავდნენ არა როგორც დამოუკიდებელი თუ ნახევარდამოუკიდებელი „ზაქარიანები“, არამედ როგორც საქართველოს მეფის უერთგულესი მოხელეები.

ამრიგად, შოთა მესხიას ნაშრომი „საშინაო-პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII ს. საქართველოში“ ქართული ფეოდალური სახელმწიფოს განვითარების ამ უმნიშვნელოვანესი პერიოდის შინაპოლიტიკური ისტორიის ფუნდამენტალურ გამოკ-

ვლევას წარმოადგენს. მასში საფუძვლიანადაა შესწავლილი და ახლებურადაა გადაჭრილი XIII. საქართველოს შინაპოლიტიკური ცხოვრების და სამოხელეო წყობის მთელი რიგი საკვანძო საკითხები. ამის საშუალება მეცნიერს მისცა, როგორც სამართლიანად აღნიშნავენ წიგნის რედაქტორ-გამომცემლები, აკ. სურგულაძე და ნ. შოშიაშვილი, „საკვლევი საკითხების წყაროთმცოდნეობითი ბაზის გაფართოებამ, წინამორბედ მკვლევართან შედარებით წყაროების ახლებურმა კვლევამ და ინტერპრეტაციამ, ქართული ისტორიოგრაფიის უახლესი მიღწევების გამოყენებამ, გამოცდილი, მაღალკვალიფიციური ისტორიკოსის ალლომ, ტრადიციულ თვალსაზრისთა კრიტიკული შემოწმებისა და გადასინჯვის უნარმა“.

ყოველივე ზემოაღნიშნული უფლებას გვაძლევს შოთა მესხიას წიგნის გამოსვლა მივიჩნიოთ მნიშვნელოვან მოვლენად, წინ გადადგმულ ნაბიჯად ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში.

ЗУРАБ В. ПАПАСКИРИ

БОЛЬШОЙ ВКЛАД В В ГРУЗИНСКУЮ ИСТОРИОГРАФИЮ

Настоящая статья представляет собой отзыв на фундаментальное исследование выдающегося грузинского учёного-историка, члена-корреспондента АН Грузии, проф. Ш. А. Месхия: „*Внутриполитическая обстановка и государственное устройство Грузии XII века*“ (Тб., 1979), который был опубликован сразу же после выхода в свет данной книги в грузинской газете: „*Сабчота Абхазети*“ (№82, 25 апреля 1980г.). В ней, вкратце, изложены основные положения, развитые в монографии Ш. А. Месхия. Отмечено, что рецензируемый труд даёт однозначный ответ на некоторые спорные вопросы формирования структур центральной власти страны; роли визиря – Мцигнобартухуцеси-Чкондидели, а также руководителей отдельных ведомств: амирспасалара, мандатурт-ухуцеса и т.д. Высоко оценивается вклад Ш. А. Месхия в изучение истории знатного феодального рода Мхаргрдзели. Подчёркнута правильность и обоснованность вывода учёного о том, что представители этого рода, несмотря на своё негрузинское происхождение, уже ко второй половине XII века стали типичными грузинскими вельможами, носителями общегрузинского национально-государственного менталитета, наиболее последовательными борцами за единство и могущество Грузинского государства, а не создателями некой армянской династии „Захарянов“, якобы добывающегося раскола Грузии и восстановления независимой армянской государственности.

ZURAB PAPASKIRI

GREAT CONTRIBUTION TO THE GEORGIAN HISTORIOGRAPHY

The paper represents the comment on the fundamental research of the famous Georgian historian, the corresponding member of the Georgian Academy of Sciences, Professor Shota Meskhia: *“The Internal Political Situation and the State Order of the 12th Century Georgia”* (Tbilisi, 1979), which was published in the Georgian newspaper *“Sabchota Abkhazeti”* (№82, April 25, 1980) shortly after the above-mentioned book had been printed. Author briefly gives the basic theses, which are unravelled in Sh. Meskhia’s monograph. It is mentioned that the reviewed work gives unambiguous answer to some disputed questions regarding the formation of the structure of the central government; on the role of vizier – Mtsignobartuxucesi-Chkondideli, and several other authorities: Amirspasalar, Mandaturtuxucesi, etc. The paper highly praises Shota Meskhia’s contribution in the study of history of the noble feudal family Mkhargrdzeli. It emphasizes the correctness and validity of the statement that the representatives of Mkhargrdzeli family, despite their non-Georgian origins, by the second half of the 12th century became the typical Georgian grandees and were bearers of the common Georgian national and state mentality. They were the most consistent fighters for the unity and strength of the Georgian state, and not the founders of some Armenian house of “Zakharians”, which allegedly was seeking for the split of the Georgian state and re-establishment of the independent Armenian statehood.

მარიამ ლორთქიფანიძე

მცირე მოგონება შოთა მესხიაზე

შოთა მესხია იმ ქართველ ისტორიკოსთა ერთ-ერთი წარმომადგენელია, რომელიც, უაღრესად მნიშვნელოვან სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად, ქართული ეროვნული ინტერესების დაცვას ისახავდა მიზნად. ამ თვალსაზრისით, ის განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა საქართველოს სკოლებში საქართველოს ისტორიის სწავლების საკითხისადმი. ის ვიქტორ გუჩუასთან ერთად არის „*საქართველოს ისტორიის*“ საშუალო სკოლის სახელმძღვანელოს თანაავტორი, ამავე დროს სხვადასხვა წლებში აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის რედაქტორობით გამოსულ სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოთა ავტორთა კოლექტივის წევრი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მის მცდელობას, რათა საქართველოში საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატში საქართველოს ისტორია შეტანილიყო ცალკე საგნად სათანადო შეფასებით (ნიშნით), მითუმეტეს, რომ საქართველოს ისტორია, მართალია, ძალიან მცირე საათების რაოდენობით, მაგრამ მაინც ცალკე საგნად ისწავლებოდა. ატესტატში ნიშნის არსებობა სასურველი იყო საგნის სწავლებისადმი პასუხისმგებლობისა და სწავლის დონის ამაღლებისათვის. ამ დროს შოთა ბადრიძემ მას მოუტანა ერევნის რომელიღაც სკოლის ატესტატი, სადაც სომხეთის ისტორია ცალკე საგნად იყო შეტანილი, სათანადო შეფასებით. შოთა მესხიამ ამ საკითხზე გაზ. „*ლიტერატურულ საქართველოში*“ (№24, 11.06. 1971) საგანგებო წერილი გამოაქვეყნა, რომელსაც დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი ჰქონდა.

ამასთან დაკავშირებით მახსენდება ერთი ფაქტი: მოსკოვში

განათლების სამინისტროში ერთ-ერთი მორიგი სხდომა მიმდინარეობს. რესპუბლიკების სკოლებში ეროვნული ისტორიის ცალკე საგნად სწავლების ამოღებას და მის სსრკ ისტორიასთან შერწყმულად სწავლებას მოითხოვენ. ჩვენ, სომხები და ბალტიისპირელები ვიცავთ ეროვნული ისტორიის ცალკე საგნად სწავლების აუცილებლობას. ამ საკითხს არაერთი თათბირი მიემდგვნა და ბოლოსდაბოლოს შევინარჩუნეთ საკუთარი ისტორიის ცალკე საგნად სწავლების უფლება. და აქ მოხდა ერთი საინტერესო ფაქტი. შესვენების დროს მე და სომხეთის დელეგაციის ერთი წევრი ვსაუბრობთ ჩვენს გაჭირებაზე ეროვნული ისტორიის სწავლებასთან დაკავშირებით და ის მეუბნება, რომ სომხეთის უმაღლეს სასწავლებლებში სომხეთის ისტორია ყველა ფაკულტეტზე იკითხება, როგორც სავალდებულო საგანი. როდესაც მე ვკითხე, თუ როგორ მიაღწიეთ ამას? მაშინ მითხრა, დავაშავე, რომ გითხარით, თქვენ ეხლა დაგვაბეზღებთ (ДОНЕСЬТЕ НА НАС) და ჩვენ ამის გამო უსიამოვნებები შეგვხვდება. როდესაც შეურაცხყოფილმა ვკითხე, რას ნიშნავდა მისი ეს განცხადება, მიპასუხა: ქართველმა პროფესორმა შოთა მესხიამ გაზეთში გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც ის გამოთქვამდა თავის გულიწყრომას იმის გამო, რომ საქართველოს სკოლების დამთავრების მოწმობაში არ არის ცალკე საგნად შეტანილი საქართველოს ისტორია, სათანადო ნიშნით, ხოლო სომხეთში განათლების სამინისტრო იცავს ეროვნულ ინტერესებს და მიუთითა ერევნის სკოლის ატესტატზე, სადაც ამ საგანს თავისი ადგილი აქვს, რის გამოც ჩვენ ბევრი უსიამოვნება შეგვხვდა.

ვფიქრობ, საზოგადოებისათვის საინტერესო უნდა იყოს ერთი ფაქტი. დამირეკა ტელეფონით გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილემ ბ-მა გურამ გოგიაშვილმა და მკითხა, თუ ვიცნობ ვერმიშევის წიგნს „ამირსპასალარ“-ს*. ვუპასუხე, რომ არ ვიცი ასეთი წიგნის არსებობა. მაშინ შემომთავაზა, რომ გამომიგზავნის ამ წიგნს, რათა წავიკითხო და თუ საჭიროდ ჩავთვლი, დავწერო ჩემი აზრი, გაზეთი გამოაქვეყნებს. გამაფრთხილა, არა-

* Г. Вермишев. Амирспасалар. Военное издательство Министерства обороны СССР. М., 1968.

ვისთვის მეთქვა. წიგნი არის პასკვილი თამარ მეფის დროინდელ საქართველოზე და თვით თამარზე. საშინელი შთაბეჭდილების ქვეშ რომ ვარ, უნივერსიტეტში შემხვდა შოთა მესხია. მიუხედავად გაფრთხილებისა, მას გავანდე საიდუმლო. მთხოვა, ერთი დღით და ღამით მათხოვეო. მივეცი. აღშფოთდა და მითხრა, თუ შენ წინააღმდეგი არ იქნები, ერთობლივი რეცენზია გავაკეთოთ. დაწვერეთ. შემდეგ შოთამ ყოყმანი დაიწყო, იქნებ არ ღირს, დავანებოთ თავი, მაგრამ მე აღარ მოვეშვი და დავითანხმე რეცენზიის გურამ გოგიაშვილისათვის მიცემაზე. ველავთ, არ ვიცით, გამოაქვეყნებენ თუ არა და გვიბარებენ გამომცემლობაში კორექტურის გასაკეთებლად. მივედით, გავაკეთეთ კორექტურა და მოვდივართ. გვიანია, ბნელა, ქალაქში თოვლი დევს. გვეეჭვება, რომ გამოაქვეყნებენ, თუმცა გაზეთი უკვე აწყობილია. შოთა ბრაზობს, რას აყვევი ქალის ჭკუას, რა მინდოდა... 1969 წლის №10 გაზეთში გამოქვეყნდა ჩვენი სტატია „*მრუდე სარკეში*“ (იხ. ზემოთ, გვ. 3-14) ატყდა ტელეფონის ზარები, ზოგი მაღლობას გვეუბნება, ზოგი ეჭვს გამოთქვამს, ღირდა თუ არა სტატიის დაწერა და სხვა. ამ დროს კომპარტიის ცკ-ის მდივანი დევი სტურუა მოსკოვში იმყოფებოდა. როგორც ამბავი მოგვიტანეს, უკმაყოფილება გამოუთქვამს, მაგრამ მოგვთხოვა, სასწრაფოდ გაგვეკეთებინა „*კომუნისტ*“-ში გამოქვეყნებული წერილის რუსული ვარიანტი გაზ. „*Известия*“-ში გამოსაქვეყნებლად, ამასთანავე ვრცელი (წყაროებისა და ლიტერატურაზე მითითებით) ვარიანტი სუსლოვისთვის (საკავშირო კომპარტიის ცკ-ის მდივანი იდეოლოგიის დარგში). საჩქაროდ შევასრულეთ დავალება, გაუგზავნეთ ბატონ დევის. „*Известия*“-ში არაფერი გამოქვეყნებულა, სუსლოვამდე მივიდა თუ არა სტატია, არ ვიცი.

ჩამობრძანდა ბატონი დევი და შოთა და მე დავგიბარა თავისთან. საერთოდ ძალიან ტაქტიანი, ამჯერად გამწვრალია და ვერ მაღავს თავის უკმაყოფილებას. მოგვცა საკმაოდ ვრცელი წერილი, გამოგზავნილი საკავშირო მწერალთა კავშირის სომხეთის განყოფილების მიერ. ხელს აწერს ხელმძღვანელი, ვინმე Армен-ი. ვთხოვეთ, მოეცა ეს წერილი წასაკითხად. გვითხრა, რომ ამ შენობიდან წერილის გატანა არ შეიძლება, დაბრძანდით და წაიკით-

ხეთ. ეს იყო ბრალდება ჩვენს მიმართ, გაზეთის ხელმძღვანელობის და რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიმართ, რომ ჩვენ ვალვივებთ წინააღმდეგობას მეზობელ რესპუბლიკებს შორის. საინტერესოა, ვერმიშევს აქვს უფლება მოგვაყენოს შეურაცხყოფა, ჩვენ თავის დაცვის უფლება არ გვაქვს. ბატონ ღვეის ჩვენი აზრის მოსმენა არ სურს. ბოლოს გვეკითხება, მე რა ვქნაო? მე ვუთხარი, ერთადერთი, რაც შეგიძლიათ, მიგვაყენოთ კედელთან (к стенке!). წაბრძანდითო, გვითხრა, არც კი დაგვეშვებოდა. ჩემთვის ხშირად უთქვამთ, რად გინდა, რომ გამოხვალ და ამბობ რამეს ან დაწერ? ვინ გიგდებს ყურს? მართალია, მაგრამ მიმაჩნია, რომ აზრი უნდა დაფიქსირდეს. 1971 წელს მოსკოვში ვერმიშევის წიგნის მეორე გამოცემა გამოვიდა, დიდი ტირაჟით. წერე და იკითხე, მაგრამ მაინც უნდა წერო და თქვა.

МАРИАМ Д. ЛОРДКИПАНИДЗЕ

КРАТКОЕ ВОСПОМИНАНИЕ О ШОТА МЕСХИЯ

В публикуемом материале приведены отдельные факты из жизни проф. Ш. А. Месхия, свидетельствующие о его заботе об улучшении преподавания истории Грузии, а также о борьбе учёного против фальсификаторов истории Грузии.

MARIAM LORDKIPANIDZE

BRIEF RECOLLECTION ABOUT SHOTA MESKHIA

The paper deals with the some facts from the life of Professor Shota Meskhia about his concern with the improvement of teaching of history of Georgia, and his fight against the falsificators of history of Georgia.

ზურაბ კაკასძირი

დიდი მეცნიერის ბასსენება

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ შოთა მესხია, XXს. 50-70-იანი წლების დამდეგის ქართული საისტორიო მეცნიერების ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული წარმომადგენელი და ლიდერი, ისტორიკოსთა ჩემი (და არა მარტო ჩემი) თაობისათვის ნამდვილი კუმირი იყო. ის, თავისი მაღალი ინტელექტითა და ერუდიციით, გარეგნული და შინაგანი არისტოკრატიზმით, კაცური კაცობით, მშობლიური ქვეყნისადმი უსაზღვრო სიყვარულითა და მისი ისტორიული მონაპოვრების დაცვისთვის თავგადაღებული ზრუნვით, დიდი ზნეობრივი მაგალითი იყო თანამედროვეთათვის.

დიდია შოთა მესხიას ღვაწლი საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლის საქმეში. მისი ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობა ფასდაუდებელი შენაძენია არა მხოლოდ საკუთრივ ქართული საისტორიო მეცნიერებისათვის, არამედ მას ზოგად-ეროვნული კულტურული მნიშვნელობაც გააჩნია. უაღრესად ფართო იყო შ. მესხიას მეცნიერული ინტერესების წრე. ის არის ავტორი საეტაპო გამოკვლევებისა შუა საუკუნეების საქართველოს ქალაქებზე და საქალაქო წყობაზე, სახელმწიფო წყობის, სამოხელეო სისტემისა და საშინაო პოლიტიკური ცხოვრების საკითხებზე. არაერთი ორიგინალური დაკვირვებითა და პრინციპული ხასიათის მეცნიერული მიგნებებით გამორჩეულია მეცნიერის წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული ხასიათის ნაშრომები. თაობები გაიზარდნენ საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოზე, რომლის ავტორები შოთა მესხია და ვიქტორ გუჩუა იყვნენ.

შოთა მესხია ახალგაზრდების დიდი მოძღვარი და მოამაგე

გახლდათ. მან არაერთ მათგანს გაუწია ჭეშმარიტად მამობრივი მზრუნველობა და გაუკვალა გზა სამეცნიერო ასპარეზზე. უფრო მეტიც, შოთა მესხია იმ თითზე ჩამოსათვლელ დიდ მეცნიერთა (ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი...) შორისაა, რომლებმაც შექმნეს საკუთარი სამეცნიერო სკოლა. ამ სკოლის ღირსეული წარმომადგენლები იყვნენ და არიან „გაზრდილნი მისნი“: თამარ გამსახურდია, შოთა ბადრიძე, ლოვარდ ტუხაშვილი, ჯემალ სტეფნაძე, გულივერ იობაშვილი, ილია ანთელავა, გიორგი აფრასიძე, როინ მეტრეველი, ნათელა ვაჩნაძე, შანშე დარჩიაშვილი და ა.შ. ერთ-ერთი იმათგანი, ვისაც ბედმა გაუღიმა და ისტორიული მეცნიერების ანბანს უშუალოდ შოთა მესხიას ხელმძღვანელობით დაეწაფა, მეც გახლდით.

პირველად შოთა მესხიას სახელი ჩემს (ისევე როგორც ჩემი თანატოლების) ცხოვრებაში საშუალო სკოლაში სწავლისას შემოვიდა, როდესაც მისი და ვიქტორ გუჩუას ავტორობით გამოცემული „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოთი და ვიწყეთ მშობლიური ისტორიის შესწავლა. მოგვიანებით (უკვე მაღალ კლასებში) გავეცანი აკად. ნიკო ბერძენიშვილის რედაქტორობით შედგენილ „საქართველოს ისტორიის“ როგორც სასკოლო, ისე საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებსაც, რომელთა ავტორი, სხვა ცნობილ მეცნიერებთან ერთად, შ. მესხიაც იყო. სწორედ ამ წიგნებმა გამიღვიძეს ინტერესი ჩვენი ქვეყნის ისტორიისადმი და შემაყვარეს ის. მაგრამ იმხანად, რატომღაც, ისტორიკოსობაზე არ ვფიქრობდი და სამომავლოდ სულ სხვა გეგმები მქონდა. ყველაფერი შეცვალა ერთმა დაუეწიყარმა ღღემ, რომელიც შოთა მესხიას ოჯახში გავატარე.

ეს იყო 1967 წლის გაზაფხულზე, როდესაც მე, X (დამამთავრებელი) კლასის მოსწავლე ზუგდიდიდან თბილისში ჩამომიყვანეს და „წარმადგინეს“ ბატონი შოთას წინაშე. ამ „ლონისძიების“ ინიციატორები იყვნენ ჩემი დიდი ბიძა (ბებიის ძმა) მიშა მესხია და მისი ქალიშვილი ნარგიზა. მართალია, სამსონ მესხიას (ბებიანემის მამა) და ამბაკო მესხიას (ბატონი შოთას მამა) ოჯახებს პირდაპირი ნათესაობა (ბიძაშვილობა) არ აკავშირებდათ, მაგრამ ისინი ობუჯში ერთ უბანში ცხოვრობდნენ და, შეიძლება ით-

ქვას, ძია მიშა და პატარა შოთა (მათ შორის ასაკობრივი სხვაობა, სულ რაღაც, 5-6 წელს თუ შეადგენდა) ერთად იზრდებოდნენ. მოგვიანებით ეს ურთიერთობა დიდ მეგობრობაში გადაიზარდა და ისინი, ფაქტობრივად, ძმებივით იყვნენ. სწორედ ამ ახლობლობამ განაპირობა, რომ მიშა ბიძიას ქალიშვილი – ნარგიზა მესხია (წლების მანძილზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე) სტუდენტობის პერიოდში და მოგვიანებითაც, დიდი ხნის განმავლობაში, შ. მესხიას ოჯახში ცხოვრობდა და ბატონ შოთას და მის მეუღლეს, შესანიშნავ ადამიანს – ქალბატონ მაროს ქალიშვილებში გამორჩეული არ ჰყავდათ.

მესხიების ოჯახში – მაშინდელი გერცენის (ამჟამად შოთა მესხიას) ქუჩაზე – დილადრიან მისულებს (მამაჩემსა და მე), კარი თვით ბატონმა შოთამ გაგვიღო და სახლში შეგვიძღვა. იმთავითვე მოვიხიბლეთ ამ დიდი პიროვნების თავაზიანობითა და უბრალოებით. საუზმისას მან ყურადღებით გამოძკითხა, თუ რას ვაპირებდი სკოლის დამთავრების შემდეგ. მაშინ, ერთგვარად, „მოდას“ აყოლილი ვიყავი და იურისტობის სურვილი მქონდა, თუმცა დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, თუ რატომ. საუზმის დამთავრების შემდეგ ბატონმა შოთამ კაბინეტში გამიხმო და, როგორც „მომავალ იურისტს“ (ეს მისი სიტყვებია), ხელში ჟურნალი „*საბჭოთა სამართალი*“ დამაკავა, რომელშიც დაბეჭდილი იყო, შემდგომში თვალსაჩინო მეცნიერის, სამართლის ისტორიკოსის, პროფ. ვახტანგ აბაშმადის (ნაწილობრივ, მე მასაც შოთა მესხიას სკოლას მივაკუთვნებდი) სტატია ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლაზე. ბატონმა შოთამ მთხოვა ამ სტატიის წაკითხვა და მასზე „ჩემი თვალსაზრისის“ წარმოდგენა. მე მართლაც გულდასმით გადავიკითხე აღნიშნული პუბლიკაცია, თან გაოგნებული შევცქეროდი თაროებზე ლამაზად და აკურატულად შემოწვობილ უამრავ წიგნს, რომელთა შორის ჩემი განცვიფრება განსაკუთრებით გამოიწვია „*დაბადებისა*“ და რუსული „*აქტები*“-ს („*Акты, Собранные Кавказской Археологической Комиссией*“) ვებერთელა ტომებმა.

სადამოს, სამსახურიდან მობრუნებულმა, ზოგი რამ გამოძკითხა წაკითხულიდან. მეც, შეძლებისდაგვარად, ვუპასუხე. ამის შემდეგ დაიწყო ჩემი ნამდვილი გამოცდა. პირველი, რაც დამავალა, იყო იმ თხზულების დაწერა, რომელიც წინა კვირას მქონდა შესრულებული სკოლაში. აქ ყურადღება მინდა გავამახვილო შოთა მესხიას პედაგოგიურ მიდგომასა და ტაქტზე. მან დასაწერად მომცა არა ნებისმიერი თემა, რითაც თავიდან ამაცილა გარკვეული უხერხულობა, არამედ ზუსტად ის თემა, რომელიც უკვე მქონდა დამუშავებული. მისთვის მთავარი იყო გაერკვია, თუ რამდენად პერსპექტიული ვიყავი მე და როგორ შევძლებდი შესწავლილი, ხაზს ვუსვამ, **შესწავლილი** მასალის კვალიფიციურ გადმოცემას. მიუხედავად გასაგები მღელვარებისა და ერთგვარი შებოჭილობისა, საბედნიეროდ, ეს დავალება საკმაოდ კარგად შევასრულე და ჩემი „ნაშრომი“ მაღალმა კომისიამ (თვითონ ბატონმა შოთამ და ნარგიზამ) „ხუთიანზე“ შეაფასა.

ქართული ლიტერატურის შემდეგ ჯერი ისტორიაზე მიდგა. აქ, ჩემდა გასაკვირად, გამოკითხვა დაიწყო არა ე.წ. „სსრკ ისტორიაში“, რომელიც, როგორც ცნობილია, ფაქტობრივად, რუსეთის ისტორია იყო და ბარდებოდა უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებზე, არამედ „საქართველოს ისტორიაში“, რომლის სწავლების დონე საშუალო სკოლაში იმჟამად საკმაოდ დაბალი იყო. ამ ფონზე ძალიან გამომადგა ჩემი „ნაკითხობა“, კერძოდ, ის, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, გაცნობილი ვიყავი „საქართველოს ისტორიის“ სხვადასხვა (მათ შორის უმაღლესი სკოლის) სახელმძღვანელოს, აგრეთვე, წაკითხული მქონდა ცალკეული ისტორიული რომანები (კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, ლევან გოთუას „გმირთა ვარაძი“, ანა ანტონოვსკაიას „დიდი მოურავი“ და ა.შ.). ბატონი შოთა სასიამოვნოდ გააკვირვა ჩემმა გათვითცნობიერებამ ამ სფეროში. განსაკუთრებით დამამახსოვრდა მისი განცვიფრება იმით, რომ მე ვიცოდი გიორგი სააკაძისა და შაჰ-აბას I-ის გარდაცვალების თარიღი, ისიც, თუ როდის და სად გარდაიცვალა პოეტი და დიპლომატი ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი). ამ თითქმის ერთსაათიანი „გამოცდა-გასაუბრების“ შემდეგ, რომლის დროსაც მთელი მისი ოჯახი

ბ-ნი შოთას დედით, დიდი ქალბატონით – ლიდა შენგელაიათი დაწყებული და მაშინ ჯერ კიდევ პატარა მარინეთი (შ. მესხიას უმცროსი ქალიშვილი) დამთავრებული მხურვალედ მგულშემატკივრობდა, მან გამოძიჭანა, ჩემი აზრით (დღევანდელი გადასახედიდანაც კი), ერთადერთი სწორი „განაჩენი“ და უყოყმანოდ განაცხადა, რომ მე ისტორიკოსი უნდა გავმხდარიყავი. მართლაც, იმავე წელს, წარმატებით ჩავაბარე მისაღები გამოცდები უნივერსიტეტში და გავხდი ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი.

თავდაპირველად, მე მოვხვდი უშუალოდ შ. მესხიას ინიციატივით იმ წელიწადს გახსნილ „ხელოვნებათმცოდნეობის“ ჯგუფში, მაგრამ მოხდა ისე, რომ ამ განყოფილებაზე ერთი დღეც არ მისწავლია, ვინაიდან „ისტორიის“ სპეციალობაზე ჩარიცხული ერთ-ერთი სტუდენტი (რეზო ეგაძე – შემდგომში ცნობილი კინომცოდნე, ჟურნალისტი) იმთავითვე გადავიდა „ხელოვნებათმცოდნეობის“ სპეციალობაზე და შოთა მესხიამ, რომელიც, როგორც ცნობილია, მაშინ ფაკულტეტის დეკანი იყო, მისი ადგილი მე შემომთავაზა. არასოდეს დამავიწყდება 1967 წლის 18 სექტემბრის მზიანი დღე, როდესაც ბატონმა შოთამ თვითონ ამიყვანა უნივერსიტეტის I კორპუსის 95-ე აუდიტორიაში, სადაც უნდა ჩაეტარებინა ლექცია „საქართველოს ისტორიაში“ და ჯგუფხელს გოგა რჩეულიშვილს (ამჟამად ცნობილ არქეოლოგს) ჩემი ჟურნალში ჩაწერა უბრძანა. ასე, შოთა მესხიას პირველი ლექციით დაიწყო ჩემი მომავალი ისტორიკოსობა.

შოთა მესხიამ მე და ჩემს ამხანაგებს, რომელთა შორის დღეს არაერთი ცნობილი მეცნიერია (დემიტრი შველიძე, ელდარ ნადირაძე, როლანდ თოფჩიშვილი, ელვერ კუპატაძე, გიორგი რჩეულიშვილი, ემილ კოპალიანი და სხვ.), საქართველოს ისტორიასთან ერთად, პირველ რიგში, მამულისა და მოყვასის სიყვარული გვასწავლა. ბევრი რამის გახსენება შეიძლება სტუდენტობის პერიოდში ბატონ შოთასთან ურთიერთობებიდან, მაგრამ მე მხოლოდ ზოგიერთი ფაქტის გახსენებით შემოვიფარგლები.

XX საუკუნის 60-იან წლებში, როგორც ცნობილია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა პარტნიორობის ხელშეკრულება გააფორმა მაშინდელი გერმანიის დემოკრატიული რესპუბ-

ლიკის იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტთან, რომელმაც სათავე დაუდო ხანგრძლივ მეგობრობას თბილისის უნივერსიტეტსა და უძველეს გერმანულ უნივერსიტეტს შორის. ამ ურთიერთობის ერთ-ერთი მებაირახტრე და ბურჯი იყო შოთა მესხია, რომელიც მეგობრობდა იენის უნივერსიტეტის ავტორიტეტულ მოღვაწესთან, აღნიშნული უნივერსიტეტის ჰუმანიტარული პროფილის სპეციალობათა ინსტიტუტის დირექტორთან, პროფესორ დიტერ ფრიკესთან. ეს უკანასკნელი, გარდა იმისა, რომ იენის უნივერსიტეტის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა იყო, მთელ აღმოსავლეთ გერმანიაში ცნობილი პიროვნებაც გახლდათ. მას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იმჟამინდელ ლიდერთან ვალტერ ულბრიხტთან ერთად დაწერილი ჰქონდა გერმანიის მუშათა კლასის ისტორიის ორტომეული, რისთვისაც ავტორებს გდრ-ის უმაღლესი ჯილდო – კარლ მარქსის პრემია მიენიჭათ. პროფ. დ. ფრიკე რამდენიმეჯერ იყო საქართველოში, ორჯერ კი ოჯახით (მეუღლესთან და ქალიშვილთან ერთად) სტუმრობდა შოთა მესხიასთან, მის აგარაკზე ბაბუშერაში (აფხაზეთი).

მე მქონდა ბედნიერება, ორჯერ შევხვედროდი ბ-ნ დ. ფრიკეს ბაბუშერაში. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო მეორე შეხვედრა 1971 წლის ზაფხულში. იმ დროს ისტორიის ფაკულტეტის IV კურსის საქართველოს ისტორიის ჯგუფის სტუდენტები, მაშინ ახალგაზრდა დოცენტის, შ. მესხიას ერთ-ერთი უსაყვარლესი მოწაფის, ბ-ნ შოთა ბადრიძის ხელმძღვანელობით გაგდიოდით ე.წ. „საექსკურსიო პრაქტიკას“ აფხაზეთში. აღსანიშნავია, რომ ამ პრაქტიკის ორგანიზება მოხდა თვით ბ-ნ შოთასა და გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფ. გიორგი ძიძარას ერთობლივი ძალისხმევით. 1970-1971 სასწავლო წლის II სემესტრში უშუალოდ ბატონი შოთას ინიციატივით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „აფხაზეთის ისტორიაში“ ლექციების წასაკითხად მოწვეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი პროფ. გიორგი ძიძარია. არ ვიცი, შემთხვევით, თუ რაიმე სხვა გარემოე-

ბის გამო, ბატონი გიორგისთვის რატომღაც შეირჩა ჩვენი (IV) კურსი და ის ერთი კვირის განმავლობაში, ყოველდღე, გვიკითხავდა კიდევ XIX საუკუნის აფხაზეთის ისტორიას რუსულ ენაზე. მე და ჩემი ამხანაგები ინტერესით ვისმენდით ამ ლექციებს, რამაც, ეტყობა, ჩვენს სტუმარზე შთაბეჭდილება მოახდინა და მან ბატონ შოთას შესთავაზა, გამოეგზავნა აფხაზეთში სტუდენტთა ჯგუფი სასწავლო პრაქტიკის გასავლელად. ასე მოვხვდით სოხუმში მე, ბუხუტი ქასრაშვილი, ნანა დოლიძე და ნათელა აფციაური. მოვიარეთ სოხუმის შემოგარენი, ბიჭვინთა, მოქვი...

ერთ მშვენიერ დღეს, ჯგუფის ხელმძღვანელმა, ბ-მა შ. ბადრიძემ ბაბუშერაში თავისი მასწავლებლის მონახულება გადაწყვიტა. იმ დროს, ჩვენი ჯგუფის წევრს ბ. ქასრაშვილს ტყიბულიდან მამა – ბ-ნი დავით ქასრაშვილი ჰყავდა „გამომახებული“, თავისი „სამსახურებრივი ვილისით“, რომლითაც განზრახული გვქონდა (ეს შ. ბადრიძის ინიციატივა იყო) ისტორიული ძეგლების დათვალიერება. ვისარგებლეთ ამ შემთხვევით და ვესტუმრეთ ბატონ შოთას, რათა ის და მისი გერმანელი სტუმარი რომელიმე ისტორიული ძეგლის დასათვალიერებლად დაგვეპატიჟნა. მასპინძელმა გულთბილად მიგვიღო. ქალბატონმა მარომ სახელდახელოდ გამალა სუფრა და შ. ბადრიძე (ის შ. მესხიას ოჯახთან გაშინაურებული იყო) თამალობასაც კი შეუდგა. მაგრამ იმ დღეს ვერ მოხერხდა ჩვენი ერთობლივი გასვლა. მეორე დღეს კვლავ გავწვიეთ ბაბუშერისკენ. ამჯერად გაგვიმართლა და ბატონი შოთა და მისი „ამალა“ – თვით პროფ. დიტერ ფრიკე, მისი მეუღლე და ქალიშვილი, აგრეთვე ბატონი შოთას ქალიშვილები: მანანა და მარინე – სრულ მზადყოფნაში იყვნენ.

გეზი ახალი ათონის სამონასტრო კომპლექსისკენ ავიდეთ. აქამდე მომყვება ის ემოციები, რომლითაც იმ დღეს დავიტვირთე. გზაში, ახალ ათონში და განსაკუთრებით ეშერის რესტორანში – უკანმობრუნებულზე, სადაც ბ-ნმა დავით ქასრაშვილმა ბატონი შოთასა და მისი სტუმრის პატივსაცემად „მეფური პურმარილი“ გამალა, ყველა ჩვენგანი შოთა მესხიას ტყვეობაში ვიყავით. იშვიათად მინახავს ასეთი დახვეწილი მანერების კაცი (თუმცა მაშინ ამას ნაკლებად ვაცნობიერებდი). მისი ყოველი მოძრაობა გან-

საკუთრებული სისადავითა და სინატიფით იყო გამორჩეული, ხოლო თითოეული სიტყვა – უაღრესად მოზომილი.

მე მანამდეც არაერთხელ მოვხვედრილვარ სუფრაზე ბატონ შოთასთან (სხვათა შორის, იმავე პროფ. დ. ფრიკეს კომპანიაშიც – ბაბუშერაში – 1969 წელს) და შევსწრებივარ მის თამალობას, მაგრამ ეს, ძირითადად, შინაურ გარემოში ხდებოდა და ამიტომაც ადრე ამისთვის, მაინცდამაინც, საგანგებოდ ყურადღება არც მიმიქცევია. ამჯერად კი ვითარება რამდენადმე ოფიციალური იყო და, როგორც იტყვიან, თამადის თითოეულ სადღეგრძელოს განსაკუთრებული (თუ გნებავთ, პოლიტიკურიც) დატვირთვა ჰქონდა. იმ დღეს, ძირითადად, საუბარი ქართულ და ინგლისურ ენებზე მიდიოდა (თარჯიმნის ფუნქციას ქ-ნი მანანა მესხია ასრულებდა), თუმცა, უნდა შევნიშნო, რომ, შიგდაშიგ, შ. ბაღრიძე გერმანულ სტუმარს მის მშობლიურ ენაზეც ებაასებოდა, რაც ამ უკანასკნელს ძლიერ სიამოვნებდა. როდესაც სუფრა ემზ-ში შევიდა და ჩვენც გვარიანად შევზარხოშდით (თამადას ეს სულაც არ დატყობია), ბატონმა შოთამ, მოულოდნელად, სადღეგრძელოს გერმანულად წარმოთქმა შემომთავაზა (დღევანდელისაგან განსხვავებით, ამ ენაზე მაშინ ერთ-ორ წინადადებას მაინც ვაკოწიწებდი), მეც ნაწილობრივ ღვინისაგან, ნაწილობრივ კი დ. ფრიკესთან მანამდელი „დილოგით“ (რომელიც რამდენიმე საათით ადრე ბაბუშერაში – ზღვის ნაპირზე შედგა* და რომლის შესახებაც, როგორც ჩანს, უკვე იცოდა მასპინძელმა) გათამამებულმა, რის ვაი-ვაგლახით, თავი მოუყარე მთელ ჩემს სიტყვიერ მარაგს და „ვგლიჯე“ საქართველოსა და გერმანიის მეგობრობის სადღეგრძელო. ღვინომოკიდებულმა სტუმარმა აღტაცება ვერ დამალა, გერმანული სიღინჯე ერთბაშად დაივიწყა, გახარებულმა ტაში შემოკრა და მაღლობის ნიშნად ხელი ჩამომართვა. დღესაც თვალწინ მიდგას ბატონი შოთას ამაყი, კმაყოფილებით სავსე გამოხედვა. ამის შემდეგ კიდევ ერთი-ორჯერ გავბედე „ხმის ამო-

* სხვათა შორის, მე გაცემული დავრჩი, როდესაც ბ-ნმა დ. ფრიკემ არათუ მიცნო ორი წლის წინ, ერთხელ ნანახი, არაფრით გამორჩეული ყმაწვილი, არამედ სახელითაც კი – „ხუდაბი“ (გერმანულად მოუქცია) მომმართა და ყურადღებით მომიკითხა.

ლება“ გერმანულად, რამაც უცხოელი სტუმარი უფრო მეტად გაახალისა. ვერ ფარავდნენ სიხარულს ბ-ნი შოთა და მისი ქალიშვილები. თავს უბედნიერეს კაცად ვგრძნობდი იმის გამო, რომ ჩემს სათაყვანო პიროვნებას მცირედით ვასიამოვნე.

შოთა მესხია ხშირად აოცებდა თავის თანამოსაუბრეებს არაორდინარული აზროვნებითა და შეფასებებით. მახსენდება ერთი შეხვედრა 1970 წლის შემოდგომაზე მის ოჯახში. იმჟამად სტუდენტებში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოსკოვში გამართულ ისტორიკოსთა მსოფლიო კონგრესზე (1970წ. ზაფხული) დასავლეთ გერმანელ ისტორიკოსებს თავიანთ მოხსენებაში კომუნიზმი და ფაშიზმი ერთი მედლის ორ მხარედ გამოუცხადებიათ, რასაც თურმე საბჭოთა კომუნისტურ-ტოტალიტარული რეჟიმის მესვეურთა რისხვა გამოუწვევია. მე დავინტერესდი, თუ რამდენად შეეფერებოდა სიმართლეს ეს ინფორმაცია. ბატონმა შოთამ დამიდასტურა ამ ფაქტის რეალურობა და თავის მხრიდან ჩემთვის აბსოლუტურად მოულოდნელად დაამატა: „რა, არაა მართალი თუ? ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ფაშისტები უფრო ზრუნავდნენ ხალხის მატერიალურ კეთილდღეობაზე, ვიდრე კომუნისტებიო“. ამ პასუხით დავრწმუნდი, რომ ისიც „სხვაგვარად მოაზროვნე“ („ИНОКОМЫСЛЯЩИЙ“) იყო. ამ დღიდან ის ჩემს თვალში ერთი-ორად ამალდა.

შოთა მესხია ყურადღებით აკვირდებოდა ჩემს „საქმიანობას“ უნივერსიტეტში და ზოგჯერ უაღრესად საჭირო რჩევა-დარიგებებსაც მაძლევდა. მახსოვს, I კურსზე, ჩავეწერე სკკპ ისტორიის კათედრასთან არსებულ სტუდენტთა სამეცნიერო წრეში. მან ეს რომ გაიგო, ჯერ გაიკვირვა, შემდეგ კი ხუმრობანარევი ირონიით მითხრა: „რა, რაიკომის მდივნობა ხომ არ გინდაო“. დარცხვენილმა, მეორე დღესვე მივაშურე სკკპ ისტორიის სტუდენტთა სამეცნიერო წრის თავმჯდომარეს, სასწრაფოდ იქიდან ამოვეწერე და საქართველოს ისტორიის წრეში გავწევრიანდი. შოთა მესხია იყო ჩემი პირველი დამკვალიანებელი „სამეცნიერო ასპარეზზე“. ეს მისი რჩევით დავამუშავე IV კურსზე, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე წასაკითხად, მოხსენება დემეტრე უფლისწულის აჯანყებაზე, რომლის თეზისები დაბეჭ-

და კიდევ. ის იყო ამ ნაშრომის პირველი შემფასებელი. V კურსზე კი სწორედ ბატონმა შოთამ შემიძრია სადიპლომო შრომის თემა – „საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობები XIს. მიწურულსა და XIIს. I მეოთხედში. დავით IV აღმაშენებლის ეპოქა“. ის დაინიშნა მეცნიერ-ხელმძღვანელადაც. საგანგებოდ უნდა აღვნიშნო, რომ ეს ნაშრომი იყო ბოლო სადიპლომო შრომა, რომლის სატიტულო გვერდს ამშვენებდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფ. შოთა მესხიას სახელი. ვაგლახ, რომ ეს სახელი და გვარი მაშინ უკვე ჩარჩოში იყო ჩასმული, ვინაიდან 1972 წლის 15 მაისს, სადიპლომო შრომის დაცვამდე სულ რაღაც ერთი თვით ადრე, მისმა მეცნიერ-ხელმძღვანელმა, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ დატოვა წუთისოფელი და ზეციურ საქართველოში გადაინაცვლა.

ამასთან დაკავშირებით, მინდა გავიხსენო ერთი ფაქტი, რომელიც, ერთი შეხედვით, შეიძლება უმნიშვნელოდაც მოგვეჩვენოს, მაგრამ, ვფიქრობთ, ის მეტად ლამაზ შტრიხს მატებს შოთა მესხიას პორტრეტს. სადიპლომო თემის დამუშავების წინ, პირველი, რაც მან მიიჩნია, იყო ის, რომ გაცნობილი აკად. სიმონ ჯანაშიას ბოლოსიტყვაობას, დართულს კონსტანტინე გამსახურდიას რომანის „დავით აღმაშენებლის“ რუსული გამოცემისათვის (1945წ.), რომელშიც მოცემული იყო დავით აღმაშენებლის ეპოქის მოკლე, მაგრამ საკმაოდ ამომწურავი მიმოხილვა. და ეს მაშინ, როდესაც უკვე იყო გამოსული (1965წ.) თვით ბატონი შოთას ბრწყინვალე წიგნი – „დიდგორის ბრძოლა“, რომელიც თავად წარმოადგენდა დავით IV აღმაშენებლის ეპოქის საქართველოს ისტორიის ერთგვარ სახელმძღვანელოს და რომელიც სადიპლომო ნაშრომზე (მოგვიანებით კი საკანდიდატო დისერტაციაზე) მუშაობისას ჩემთვის მთავარი გზამკვლევი გახდა. ე. ი. ამ დიდმა კაცმა, მიუხედავად იმისა, რომ მისი ნაშრომი გაცილებით მეტ ინფორმაციას და არანაკლებ მეცნიერულ ანალიზს შეიცავდა აღნიშნული პერიოდის საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობებზე, უპირატესობა მაინც თავისი მასწავლებლის სრულიად უპრეტენზიო პუბლიკაციას მიანიჭა და სიტყვაც არ დაუმრავს საკუთარ დამსახურებაზე აღნიშნული მიმართულებით. მარ-

თლაც რომ მეცნიერული მოკრძალების (იქნებ გადაჭარბებული-საც) იშვიათი მაგალითია.

შოთა მესხიას უდროოდ გარდაცვალებამ შესძრა სრულიად საქართველო. ის ამქვეყნიდან შემოქმედებითი გაფურჩქვნის ასაკში წავიდა. მას არ დასცალდა ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი ჩანაფიქრის აღსრულება. მაგრამ ის, რაც მან დაგვიტოვა მუდამ დარჩება ქართული ისტორიოგრაფიის საგანძურში. მისი ფუნდამენტალური გამოკვლევები შუა საუკუნეების საქართველოს ქალაქებზე და საქალაქო წყობაზე, XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფო წყობის, სამოხელეო სისტემისა და საშინაო პოლიტიკური ცხოვრების საკითხების შესახებ და ა.შ. მათ შორის, გამოვარჩევი მონოგრაფიას: „*საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში*“. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ჩემი, როგორც მკვლევრის ფორმირებაზე გადამწყვეტი როლი სწორედ ამ გამოკვლევამ და შ. მესხიას ზემოთ ნახსენებმა „*დიდგორის ბრძოლამ*“ (უპირატესად, ამ ნაშრომის მეორე შევსებულმა გამოცემამ – „*დიღვაი საკვრველმა*“) ითამაშა.

შოთა მესხიას მეცნიერულ ინტელექტზე მსჯელობისას არ შეიძლება არ გამოვყოთ ოპონირების მაღალი კულტურა. მისი კრიტიკა ყოველთვის დამაჯერებელი და მყარად არგუმენტირებული იყო. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა თამარის მეფობის დროინდელი საქართველოს სახელმწიფო წყობის პრობლემური საკითხებისადმი მიძღვნილ კაპიტალურ მონოგრაფიაში, რომელიც მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ – 1979 წელს გამოიცა. ამ ნაშრომში მან მთელი დამაჯერებლობით აჩვენა მხარგრძელთა საგვარეულოს სომხურ-გრიგორიანული წარმომავლობით სპეკულირების მცდელობის სრული უსაფუძვლობა.

შოთა მესხიას ამ ნაშრომის გამოსვლა მოვლენა იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში. მან არა მარტო სამეცნიერო წრეების, არამედ ფართო საზოგადოებრიობის ცხოველი ინტერესი გამოიწვია. დაიბეჭდა რამდენიმე რეცენზია. ერთ-ერთი პირველი, ვინც გამოეხმაურა შ. მესხიას მონოგრაფიის გამოსვლას, მეც ვიყავი. აფხაზეთის ასსრ-ის ოფიციალურ გაზეთში: „*საბჭოთა აფხაზეთში*“ 1980წ. გამოქვეყნდა ჩემი (მაშინ დამწყები მკვლევრის, „ახლად

გამომცხვარი“ მეცნიერებათა კანდიდატის) მოკრძალებული რეცენზია, რომელშიც საგანგებოდ იყო ხაზგასმული შ. მესხიას წვლილი მხარგრძელთა ეთნო-კონფესიური იერსახისა და მათი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის შესახებ არსებული სომხური თვალსაზრისის კრიტიკაში. მაშინ ასეთ „საჩოთირო“ თემებზე ყურადღების გამახვილებას და თანაც პერიოდულ პრესაში მის აუთიტირებას (რასაც შეიძლებოდა ეროვნებათა შორის გარკვეული დაძაბულობა გამოეწვია) ერთგვარი სიფრთხილით ეკიდებოდნენ (განსაკუთრებით 1977-1978 წლების აფხაზთა მორიგი სეპარატისტული „ამბოხის“ ფონზე). ამიტომაც ჩემი რეცენზია ერთბაშად არ გამოქვეყნებულა. ბოლოს, პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო ბატონმა ზურაბ ნაყოფიამ, იმჟამად გაზეთის მთავარი რედაქტორის მოადგილემ, ცნობილმა მწერალმა და ჟურნალისტმა, ნადდმა პატრიოტმა, რომელმაც, ჩემთან ცალკეული საკითხების დაზუსტების შემდეგ, უცვლელად დაბეჭდა რეცენზია.

შოთა მესხია იყო პატრიოტი ისტორიკოსი. მისი ყოველი ნაშრომი გამსჭვალულია მშობლიური ქვეყნისა და მისი ისტორიისადმი ამალღებული სიყვარულით. იგი ყოველთვის აქტიურად იბრძოდა საქართველოს ისტორიის გამყალბებლების წინააღმდეგ და მედგრად იდგა ჩვენი ეროვნული ფასეულობების სადარაჯოზე. მისი კრიტიკა დიხანაც იყო „გამოსარჩლებითი“, თუმცა არა „ურა-პატრიოტული“. მისთვის წინა პლანზე, პირველ რიგში, მეცნიერული კეთილსინდისიერება და ობიექტურობა იდგა. ამ მხრივ შოთა მესხია დიდი ივანე ჯავახიშვილისა და თავისი მასწავლებლის აკად. სიმონ ჯანაშიას ღირსეული მემკვიდრე იყო. სხვათა შორის, ამ კუთხით მე მას რამდენადმე თავის მოსკოველ კონსულტანტს, აკად. მიხეილ ტიხომიროვსაც (რომლის უშუალო ხელმძღვანელობითაც შ. მესხია მუშაობდა სადოქტორო დისერტაციაზე) შევადარებ. თავის დროზე (მოსკოვის უნივერსიტეტში – ასპირანტობის პერიოდში), მე მეტ-ნაკლები სისრულით გავცანი გამოჩენილი რუსი ისტორიკოს-მედიევისტების, აკადემიკოსების: ბორის გრეკოვის, მიხეილ ტიხომიროვის, ბორის რიბაკოვის ლევ ჩერეპნინის, სხვა წამყვან მეცნიერთა ისტორიოგრაფიულ მემკვიდრეობას და ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მათ

შორის აკად. მიხეილ ტიხომიროვი გამოირჩეოდა ზომიერი „პატრიოტული მუხტით“ (აკად. ბ. რიბაკოვისგან განსხვავებით, რომელიც ამ მხრივ ცოტას აჭარბებდა).

რადგან სიტყვა მოსკოვზე და რუს მეცნიერებზე ჩამოვარდა, ერთ ფაქტსაც გავიხსენებ. 1972 წელს თბილისის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, სწავლის გაგრძელებამ მომიწია მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში – სსრ კავშირის ფეოდალიზმის ხანის ისტორიის კათედრაზე, რომლის გამეგ მაშინ გახლდათ პროფესორი გიორგი ნოვიცკი. ეს იყო 70 წელს მიტანებული კაცი, უადრესად განსწავლული და კეთილშობილი პიროვნება (თუმცა ისტორიოგრაფიაში რაიმე განსაკუთრებული ღვაწლი არ ჰქონია). პირველივე შეხვედრაზე პროფ. გ. ნოვიცკის ვუხსენე თუ არა შოთა მესხიას სახელი, ეს ადამიანი ჩემდამი იმთავითვე სიმპათიით განიმსჭვალა და იმ დღიდან არ მომკლებია მისი ყურადღება. თურმე ისინი ერთმანეთს ვარშავაში, რომელიდაც საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმზე გაცნობიან და ბატონ შოთას მოსკოველ კოლეგაზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. პროფ. გ. ნოვიცკი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა შ. მესხიას მაღალ ინტელექტს და ინტელიგენტურობას. შოთა მესხიას პატივისცემით იხსენებდნენ სხვა ცნობილი ისტორიკოსებიც. არაერთი თბილი სიტყვა მსმენია მასზე ჩემი მეცნიერ-ხელმძღვანელის, შემდგომში გამოჩენილი რუსი მეცნიერის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ერთი პერიოდი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სსრ კავშირის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის, პროფ. ანატოლი ნოვოსელცევისაგან.

შოთა მესხიას დიდი ავტორიტეტი ჰქონდა აფხაზეთში. ზემოთ უკვე ვისაუბრეთ ბატონი შოთას მეგობრულ ურთიერთობებზე პროფ. გიორგი ძიძარიასთან. ის, რომ აფხაზ ისტორიკოსთა თავკაცი მან ლექციების წასაკითხად მოიწვია თბილისის უნივერსიტეტში, არ იყო რიგითი მოვლენა. ეს, უთუოდ, სცილდებოდა ორი მეცნიერის თანამშრომლობის ფარგლებს და იმ ვითარებაში საზოგადოებრივ-პოლტიკურ ჟღერადობასაც იძენდა. სრულიად ამკარაა, რომ ეს იყო ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში (1967

წელს აფხაზეთში მომხდარი სეპარატისტული გამოსვლის* ფონზე) შექმნილი დაძაბულობის განმუხტვის მცდელობა. მისი დიდი მეგობარი იყო აფხაზეთის უნივერსიტეტის პირველი რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ. ზურაბ ანჩაბაძე. შოთა მესხიას პატივს მიაგებდნენ და აფასებდნენ სხვა აფხაზი მეცნიერებიც. მათგან განსაკუთრებით მინდა გამოვეყო ცნობილი აფხაზი ისტორიკოსი, თბილისის უნივერსიტეტის აღზრდილი გიორგი ამიჩბა, რომელიც ყოველთვის მაღლიერებით იხსენებდა ბატონ შოთას, მის გულისხმიერებასა და ამაგს. რაც შეეხება აფხაზეთში მოღვაწე ქართველ ისტორიკოსებს, მათთვის ის უბრალოდ სათაყვანო პიროვნება იყო. ეტყობა, იმ სიტომ და სიყვარულმა, რომელსაც შ. მესხია ყოველ ნაბიჯზე გრძნობდა აფხაზეთში, მნიშვნელოვანწილად განაპირობა, რომ მან ბაბუშერაში აგარაკი შეიძინა და თავისი სიცოცხლის უკანასკნელი რამდენიმე ზაფხული იქ გაატარა.

შოთა მესხია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძალიან ადრე წავიდა ამქვეყნიდან. მისი დასაფლავება ამ დიდი კაცის (არ შევცდები, თუ ვიტყვი – ნამდვილი ერისკაცის) მეცნიერული და მამულიშვილური ღვაწლის საყოველთაო აღიარების ერთგვარ დემონსტრაციად იქცა. ის მთელმა საქართველომ დაიტირა. მე დღესაც თვალწინ მიდგას დიდი კონსტანტინე გამსახურდიას თავში წაშენილი ხელები და კოლხური დატირება დიდუბის პანთეონში (თუმცა კარგად არ მახსოვს ეს დასაფლავებისას იყო თუ მეორ-

* სხვათა შორის, შოთა მესხია უშუალოდ მონაწილეობდა 1967 წლის აფხაზეთის კრიზისთან დაკავშირებულ „ბატალიებში“. კერძოდ, ცნობილია, რომ ის სხვა წამყვან ქართველ მეცნიერებთან (გიორგი წერეთელი, გიორგი მელიქიშვილი, მამია დუმბაძე, ირაკლი ანთელავა, მარიამ ლორთქიფანიძე და სხვ.) ერთად გამოძახებული იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში ბიუროს სხდომაზე, რომელზედაც მათ, როგორც იგონებს აკად. მ. ლორთქიფანიძე, მოახერხეს ბიუროს დადგენილების პროექტის შეცვლა და აკრძალვას გადაარჩინეს აკად. ნიკო ბერძენიშვილის წიგნის „*საქართველოს ისტორიის საკითხების*“ III ტომი (აფხაზეთა ამ სეპარატისტული გამოსვლის შესახებ დაწერ. იხ: **ზ. პაპასქირი**, სეპარატისტული გამოსვლები აფხაზეთში XX საუკუნის 50-70-იან წლებში. – *საისტორიო ძიებანი*, წელიწადი, VII. თბ., 2004, გვ. 3-25).

მოცე დღეს). ასევე არასოდეს დამავიწყდება დასაფლავებაზე გერმანიიდან სპეციალურად ჩამოსული პროფ. დიტერ ფრიკეს ცხარე ცრემლები*. ჩემზე განსაკუთრებით იმოქმედა ბატონ შოთასთან გამოთხოვების ბოლო სცენამ, როდესაც თბილისის უნივერსიტეტის I კორპუსში დასვენებულ ცხედართან საპატიო ყარაულში ერთად ჩადგნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ძველი და ახალი პრეზიდენტები: ნიკო მუსხელიშვილი და ილია ვეკუა, აგრეთვე საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი, აკად. გიორგი ჯიბლაძე და უნივერსიტეტის ახლად დანიშნული რექტორი, პროფ. დავით ჩხიკვიშვილი. ამის მიზეზი იყო ერთი, მაშინ ყველასათვის ცნობილი გარემოება – სულ რაღაც რამდენიმე ხნის წინ უნივერსიტეტის რექტორის პოსტზე სწორედ შოთა მესხიას კანდიდატურა განიხილებოდა და მხოლოდ უკურნებელმა სენმა არ მისცა მას ამ დიდი და ფრიად საპატიო თანამდებობის დაკავების შესაძლებლობა. ამ სცენას ვერ გაუუძელი და მწარედ ავქვითინდი.

და მაინც, შოთა მესხია ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ქურუმი, მისი ნამდვილი მშვენება, ჩემში მუდამ დარჩება ღიმილიან კაცად, რომელიც ყოველთვის მხნეობასა და ოპტიმიზმს მატებდა ღიღსა და პატარას.

* ბ-ნი დ. ფრიკეს, თავდაპირველად, ოჯახში, მისამძიმრებისას, თავი მკაცრად ეჭირა და მაინცდამაინც ემოციები არ გამოუმჟღავნებია. მაგრამ, მოგვიანებით, უკვე ქვემოთ, ქუჩაში, როდესაც მას ზემოთ ნახსენები ჩემი დიდი ბიძა – მიშა მესხია აცრემლებული გადაეხვია (ისინი ბაბუშერის შეხვედრებიდან იცნობდნენ ერთმანეთს), ეს სულით და ხორციტ ვეროპელი კაცი ერთბაშად გატყდა. და იდგა თბილისის ცენტრში – გერცენის ქუჩაზე – ეს ორი, თავისი ცხოვრების წესით დიამეტრალურად განსხვავებული ადამიანი და სახალხოდ, ცხარე ცრემლებით დასტიროდა უდროოდ გარდაცვლილ მეგობარს.

ЗУРАБ В. ПАПАСКИРИ

ВОСПОМИНАНИЯ О ВЫДАЮЩЕМСЯ УЧЁНОМ

В публикуемом материале автор вспоминает отдельные эпизоды из жизни выдающегося грузинского учёного, члена-корреспондента АН Грузии, проф. Ш. А. Месхия.

ZURAB PAPASKIRI

**RECOLLECTIONS ABOUT THE PROMINENT
SCHOLAR**

In the paper author recalls some episodes from the life of Professor Shota Meskhia, the prominent Georgian scholar, the corresponding member of the Georgian Academy of Sciences.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ი ს ტ ო რ ი ა

კახაბერ ფიფია

ციხე-ქალაქ აფსაროსში გომების ლაშქრობის ისტორიისათვის

ახ.წ. III საუკუნეში რომაული სამყარო უკიდურეს კრიზისში აღმოჩნდა. იმპერიის შინაგან დასუსტებას, ცენტრალური ხელისუფლების არასტაბილურობას, პოლიტიკურ დეცენტრალიზაციასა და სოციალურ-ეკონომიკურ სტაგნაციას თან დაერთო ბარბაროსთა გააქტიურება თითქმის ყველა საზღვარზე. იმპერიის ჩრდილოეთით მოსაზღვრე ბარბაროსულ სივრცეში ისტორიის ასპარეზზე გამოდიან ტომთა ახალი გაერთიანებები. გერმანული ტომების ერთმა ნაწილმა – გოთებმა, ვანდალებმა, ბურგუნდებმა და ლანგობარდებმა, რომლებიც ბალტიის ზღვის სანაპიროზე ცხოვრობდნენ, სამხრეთისაკენ დაიწყეს გადაადგილება. გზადაგზა მათ სხვა ტომებიც უერთდებოდნენ და, საბოლოო ჯამში, ბარბაროსთა ეს უზარმაზარი, მოძრავი მასები რომის საზღვრებში შეიჭრა¹.

რომაულ სამყაროში მიმდინარე ამ მოვლენებმა გავლენა იქონია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის, ისტორიული კოლხეთის პოლიტიკურ ცხოვრებაზეც და აქ არსებული, რომის პროტექტორატის ქვეშ მყოფი ცალკეული პოლიტიკური გაერთიანებები იმპერიის ყველაზე საშიში მტრების – გოთების თავდასხმის არეალში მოექცა.

¹ **Т. Моммзен.** История Рима. V. М., 1949, გვ. 205-206; **С. И. Ковалев, Е. М. Штаерман.** Очерки истории Древнего Рима. М., 1956, гв. 272-273; **История Европы.** Т. I. М., 1988, гв. 598-599; **А. Х. М. Джонс.** Гибель античного мира. Ростов-на-Дону, 1997, гв. 20; **В. И. Кузищин, И. Л. Маяк и др.** История Древнего Рима. М., 2000, гв. 315-320.

გოთების გერმანული ტომი რომის იმპერიასთან უშუალოდ შეხებადღე ანტიკური ცივილიზაციის პერიფერიაში იმყოფებოდა. სამხრეთისაკენ მოძრავი გოთები III ს. დასაწყისში მიაღწენ იმპერიის ჩრდილოეთ საზღვრებს და დაიწყეს გამანადგურებელი თავდასხმები როგორც ხმელეთზე – ქვემო ღუნაის მხრიდან, ასევე ზღვით – შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროდან². პერმანენტული ომების შედეგად გოთები III ს. შუახანებში გაბატონდნენ ყირიმსა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში. რომაელები იძულებული გახდნენ, დაეცალათ ეს რეგიონი, ბოსფორი კი მოთარეშე გოთების ძირითად ბაზად იქცა. ბოსფორის მმართველმა წრეებმა, რომლებსაც არავითარი ძალა არ გააჩნდათ გოთების წინააღმდეგ საბრძოლველად, მომთაბარებთან შეთანხმება დადეს, რის საფუძველზეც გოთებმა აზოვის ზღვიდან შავ ზღვამდე თავისუფლად გადაადგილების უფლება მიიღეს.

ამასთან, მათი გადაადგილება ბოსფორელებს საკუთარი ხომალდებით უნდა უზრუნველყოთ³. ამან საშუალება მისცა ბარბაროსებს, მოეწყოთ საზღვაო ლაშქრობათა მთელი სერია კავკასიის სანაპიროზე, მცირე აზიასა და დასავლეთ შავიზღვისპირეთში⁴. გოთების წარმატებებს ხელს უწყობდა ისიც, რომ ამ დროისათვის შავ ზღვაში რომაული სამხედრო ფლოტი ფაქტობრივად უკვე აღარ არსებობდა. მართალია, III ს. შუახანებისათვის

² **Т. Моммзен.** История Рима, V, გვ. 206; **А. Р. Корсунский, Р. Гюнтер.** Упадок и гибель Западной Римской Империи и возникновение германских королевств. М., 1984, გვ. 30; **Г. А. Цветаева.** Боспор и Рим. М., 1979, გვ. 19; **В. М. Зубарь.** Северное Причерноморье и Септимий Север. – *Вестник древней истории*, 1993, №4, გვ. 35-37.

³ **Zosim,** Hist. Nova, I, 31; **ზოსიმე.** ახალი ისტორია. – *გეორგია.* ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. I. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს *ალ. გამყრელიძემ* და *ს. ყაუხჩიშვილმა*. თბ., 1961, გვ. 265-266.

⁴ **А. М. Ременников.** Борьба племен Северного Причерноморья с Римом в III веке. М., 1954, გვ. 91; **А. М. Ременников.** Война между Римской империей и племенами Северного Причерноморья в 250-251 гг. н.э. – *Вестник древней истории*, 1951, №2, გვ. 210; **В. Ф. Гайдукевич.** Боспорское царство. М.-Л., 1949, გვ. 441-445; **Н. Wolfram.** Geschichte der Goten. München, 1979, გვ. 10-15.

რომაული ფლოტი – Classic Flavia Moesica Gordiana – რამდენჯერმე იხსენიება შავი ზღვის დასავლეთ რაიონებში, მაგრამ მთელი ამ ხანგრძლივი ბრძოლების დროს მას არაფრით გამოუჩენია თავი და იგი უკვე აღარ წარმოადგენდა რეალურ სამხედრო ძალას⁵.

აზოვის ზღვიდან შავ ზღვაზე პირველი მარბიელი ექსპედიცია 255/256 წელს, იმპერატორების ვალერიანესა (253-260წწ.) და გალიენეს (253-268წწ.) ერთობლივი მმართველობის დროს მოეწყო⁶. V-VI საუკუნეების ბიზანტიელი ავტორის ზოსიმეს ცნობით, შავ ზღვაში შემოსული გოთები პიტიუნტის რაიონში გადასხდნენ, მაგრამ იქ დისლოცირებულმა რომაულმა გარნიზონმა სასტიკად დაამარცხა ბარბაროსები⁷. თუმცა ამ წარუმატებლობამ ვერ დააფრთხო მეოტური ტომები და 257 წლის შემოდგომაზე მათ უფრო დიდი ძალით შემოუტეს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ქალაქებს. ამჯერად, გოთ-ბორანებთან ერთად ლაშქრობაში მონაწილეობდნენ ოსტგოთებიც⁸. ბარბაროსებმა პირველი იერიში ქალაქ ფასისზე მიიტანეს, მაგრამ რომაულმა გარნიზონმა, ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით, შეძლო მათი უკუგდება, რის შემდეგაც გოთებმა კვლავ პიტიუნტისაკენ აიღეს გეზი. ბარბაროსებმა სასტიკად ააოხრეს პიტიუნტი, ხოლო იქ მდგომი რომაული გარნიზონი მთლიანად ამოწყვეტეს. გოთებმა ხელთ იგდეს უამრავი ზომალდი, რომლებზედაც ნიჩბების ხმარების მცოდნე ტყვეები დასვეს და ტრაპეზუნტისაკენ გაემართნენ. ბარბაროსებმა აიღეს ტრაპეზუნტი, გაძარცვეს და მდიდარი ალაფით დატვირთულები ისევ უკან, ბოსფორში დაბრუნდნენ⁹.

⁵ **А. М. Ременников.** Борьба племен..., გვ. 92; **В. Ф. Гайдукевич.** Боспорское царство, გვ. 446.

⁶ **В. Ф. Гайдукевич.** Боспорское царство, გვ. 444; **А. М. Ременников.** Борьба племен..., გვ. 93; **И. Т. Кругликова.** Боспор в позднеантичное время. М., 1966, გვ. 19; **Г. А. Цветаева.** Боспор и Рим, გვ. 20.

⁷ **Zosim,** Hist. Nova, I, 32. ზოსიმე ამ ბარბაროსულ ტომებს კრებით სახელს – „სკვითებს“ უწოდებს, თუმცა მათ შორის ცალკეულ გოთურ ტომებსაც – ბორანებს, კარპებსა და ურუგუნდებს იხსენიებს (**Zosim,** Hist. Nova, I, 27; I, 31).

⁸ **Zosim,** Hist. Nova, I, 32-33; **В. Ф. Гайдукевич.** Боспорское царство, გვ. 445.

⁹ **Zosim,** Hist. Nova, I, 32-33.

შავი ზღვის სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროებზე მცხოვრები ხალხების სხვა ადგილზე მოხსენიების მხრივ ზემოდასახელებული ავტორები გამონაკლისი არ არიან. ასე, მაგალითად, ფსევდოარიანე (Vს.) შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე მცხოვრებ ჰენიოხებს კასპიის ზღვისპირეთში მოიხსენიებს⁶. სწორედ აღნიშნულ პრობლემას მიუძღვნა სპეციალური გამოკვლევა აკად. ს. ერემიანმა. მან ეს საკითხი „ზოროასტრის ქაბას“ წარწერაში მოხსენიებულ ქვეყანა „მახელონიას“ ლოკალიზაციასთან დაკავშირებით გააანალიზა და დაასკვნა (სიზუსტისათვის ტექსტი რუსულ ენაზე მომაქვს): „...Рассмотренные нами сведения первоисточников показывают, что как на кавказском побережье Черноморья, так и на прикаспийском побережье с древнейших времен жили родственные между собою племена и народности: «сарматские» – черкесо-абхазские, лезгинские и мегрело-чанские племена и «скифские», т.е. скифо-иранские племена и народности, из которых наиболее значительными были массагеты, имевшие своё государство. Дошедшие до нас данные этнонимики показывают, что прикаспийское побережье являлось зоной смешения «сарматско»-кавказских и «скифо»-иранских этнических миров. К этой зоне относится прежде всего интересующая нас страна «Махелония» греческой версии трехязычной надписи Кааба-и – Зардушт. Наши разыскания, таким образом, показывают, что, наряду с «Царством махелонов и гениохов» на черноморском побережье, существовало другое одноименное политическое образование – «Махелония» – на

⁵ **Ибн-Хаукал.** – *Н. А. Караулов.* Сведения арабских географов IX и X ввков. Тифлис, 1907, გვ. 101.

⁶ **Псевдо-Арпиан.** *Объезд Эвксиинского Понта.* – *ВДИ*, 1948, № 4, გვ. 228. შდრ.: ანონიმი (Vს. ახ.წ.). მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. – წიგნში: **ფლავიუს არიანე.** მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. *ბ. კეჭალაძის* გამოცემა. თბ., 1961, გვ. 89.

прикаспийском побережье“.⁷

„ზოროასტრის ქაბას“ სამენოვანი წარწერა ირანის შაჰის შაბურ I-ის (239-272წწ.) ბრძანებით 260 წელს ქ. ედესასთან რომაელებზე გამარჯვების აღსანიშნავად იქნა ამოკვეთილი. მასში შავი ზღვის სამხრეთით მდებარე მახელონია ქართლთან, ალბანეთთან და სომხეთთან ერთად ირანისადმი დამორჩილებულ ქვეყანათა შორის იხსენიება. ს. ერემიანის დასკვნიდან გამომდინარე კი მახელონები ჩერქეზ-აფხაზებთან და მეგრულ-ჭანებთან ერთად კასპიის ზღვის სანაპიროზეც ცხოვრობდნენ და „Каспийское побережье являлось зоной смешения «сарматско»-кавказских и «скифо»-иранских этнических миров“.

მეგრულ-ჭანების-აფხაზების, მახელონებისა და ჰენიოხების განსახლების შესახებ აკად. გ. მელიქიშვილი არაერთხელ მსჯელობს თავის ცნობილ მონოგრაფიაში „*К истории древней Грузии*“ (Тб., 1959), იგი კარგად იცნობს „ზოროასტრის ქაბას“ წარწერის ტექსტსაც, მაგრამ არსად არა წერს ზემოდასახელებული ჰენიოხ-მახელონები ჩერქეზულ-აფხაზურ და მეგრულ-ჭანურ მოსახლეობასთან ერთად კასპიის ზღვის სანაპიროზეც რომ ცხოვრობდნენ. ამიტომ 1970 წელს გამოცემულ „*საქართველოს ისტორიის ნარკვევების*“ I ტომში, სადაც იგი ძირითადად „*К истории древней Грузии*“-ს ტექსტს იმეორებს, მოსალოდნელი იყო, რომ 1967 წელს ს. ერემიანის მიერ გამოთქმულ ზემომოტანილ მტკიცებულებებს სათანადო პასუხს გასცემდა, მაგრამ გ. მელიქიშვილმა რატომღაც ს. ერემიანის გამოკვლევა უყურადღებოდ დატოვა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მას შემდეგ დასმული საკითხი – რატომ იხსენიება „აბხაზი“ მათი განსახლების არეალიდან შორს – აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ან კასპიისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სპეციალურად არავის უკვლევიან. აქ, რა თქმა უნდა, ძნელია აკად. ს. ერემიანის მიერ მოხმობილი ყველა ის მასალა გავაანალიზო, რომელთაც იგი ეყრდნობა კასპიისპირეთში ზემოდასახელებული ხალხების განსახლების მტკი-

⁷ С. Т. Еремян. Страна «Махелония» надписи Кааба-и-зардушт. – ВДИ, 1967, № 4, გვ. 58.

ცებისას, იმას კი აღვნიშნავ: ფსევდოარიანეს ცნობა („За генио-
хами же выше лежит море, называемое Каспийским“) და ვარ-
დან ღიდის განმარტება („Абхаз – это страна мазкутов, находя-
щаяся на берегу моря Врканской страны“) ს. ერემიანს მართ-
ლაც აძლევდა ზემომოტანილი დასკვნის გამოტანისათვის გარკ-
ვეულ საფუძველს, მაგრამ, ვფიქრობ, უკეთესია, ის ვიკვლიოთ,
თუ რას უნდა განეპირობებინა ძველ ავტორებთან ასეთი ცნობე-
ბის გაჩენა (და არა ამ ცნობათა რეალურობა ვამტკიცოთ). ქვე-
მოთ სწორედ დასმული საკითხის გარკვევას შევეცდებით.

აფხაზთა განსახლების ადგილიდან შორს, „აბხაზის“ მოხ-
სენიების შესახებ ძველ ავტორთა მონაცემების განხილვას ცნო-
ბილი არაბი ისტორიკოსის ატ-ტაბარის (გარდ. 923წ.) ცნობით
დავიწყებთ. ტაბარის თანახმად, თურქთა კაგანის ბუშინის ძმამ –
სინჯიბუმ (იგივე ისტემი, გარდ. 576წ.) ევტალიტების დამარც-
ხების შემდეგ, დაახლოებით 566 წლის მომდევნო ხანაში ჩრდი-
ლო კავკასიაში დაიმორჩილა „ბანჯარი“, „ბელანჯარი“, „აბხაზი“
და დერბენდის კედელს მიაღწა, საიდანაც მუქარა შეუთვალა ირა-
ნის შაჰს⁸.

ტაბარის მიერ დერბენდის ჩრდილოეთით აფხაზის მოხსენი-
ების ფაქტი სამეცნიერო ლიტერატურაში არარეალურადაა მიჩნე-
ული. ასე, მაგალითად, ხაზართა ისტორიის ცნობილი მკვლევარი
მ. არტამონოვი ფიქრობდა, რომ რადგან აფხაზები შავი ზღვის
აღმოსავლეთ სანაპიროზე ცხოვრობენ, ტაბარის ტექსტში „აბხა-
ზის“ მაგიერ ხაზარი უნდა იყოს⁹. ა. გადლოს აზრით კი, ტაბარი
ცდება, როცა ტექსტში ხაზარის ნაცვლად აბხაზს ასახელებს¹⁰.

თავისთავად ცხადია, მკითხველი იკითხავს, როგორი აზრის
არიან აღნიშნული საკითხის შესახებ აფხაზი ისტორიკოსები. აფ-
ხაზეთის ისტორიის ცნობილი მკვლევრის, პროფ. ზ. ანჩაბაძის 1959
და 1976 წელს გამოცემულ მონოგრაფიებში ტაბარის ზემოთ მოყ-

⁸ *Geschichte der Perser und Araber zur zeit der Sassaniden, aus der Arabischen Chronik des Tabar*. Übersetzt von **Th. Nöldeke**. 1887, გვ. 159-160.

⁹ **М. И. Артамонов**. История хазар. Л., 1962, გვ. 126.

¹⁰ **А. В. Гадло**. Этническая история Северного Кавказа IV-X вв. Л., 1979, გვ. 96, შენ. 80.

ვანილი ცნობის შესახებ არაფერია ნათქვამი¹¹. 1976 წელსვე შ. ინალ-იფამ, როცა ვრცლად განიხილა მის მიერ „აფხაზურ ტოპონიმებად“ მიჩნეული ადგილის სახელები (საქართველოს ტერიტორიაზე), მოსალოდნელი იყო, რომ ტაბარის ცნობაზე კომენტარს გააკეთებდა, მაგრამ ტაბარის ცნობა მანაც უყურადღებოდ დატოვა¹².

რადგანაც ტაბარი „აბხაზს“ დერბენდის კედლის ჩრდილოეთით იხსენიებს, როგორც ჩანს, ამისათვის მას გარკვეული საფუძველი ჰქონდა. ამიტომ, ვფიქრობ, არ შეიძლება ტაბარის ტექსტში „აბხაზის“ მაგიერ ხაზარის ჩასმა, როგორც ამას მ. არტამონოვი აკეთებდა¹³. საქმე ისაა, რომ VI საუკუნის შუახანებისათვის ხაზარები ჯერ კიდევ არ იყვნენ მოსულნი ჩრდილო კავკასიაში და ტაბარის წყარო იმ დროისათვის ასეთ ფაქტს ვერ დააფიქსირებდა. უეჭველია, ტაბარის წყარომ ან ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ აფხაზთა მონათესავე ხალხის ყოფნა აღნიშნა „აბხაზ“-ით, ან, რაღაც ტრადიციაზე დაყრდნობით, ტაბარიმ „აბხაზ“-ი თვით მიიჩნია დერბენდის ჩრდილოეთით მცხოვრებად.

ახლა ვნახოთ, ძველ ავტორებს თუ ჰქონდათ რაიმე საფუძველი დერბენდის ჩრდილოეთით, თურქული მოდგმის ბანჯარისა და ბელანჯარის ტომების გვერდით კავკასიური წარმოშობის ხალხის – „აბხაზ“-ის ყოფნაზე, ხოლო ჰირკანიაში (კასპიის ზღვის სამხრეთით) „აბხაზთა ქვეყნის“ არსებობაზე მიეთითებინათ.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნო: როცა ალ-მასუდი წერს, მდ. მტკვარი „აბხაზის საზღვრებში“ მიედინებაო, აქ, რა თქმა უნდა, „აბხაზში“ იგი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიას გულისხმობს („აბხაზ“ – რანის ტერიტორიაზე, როგორც ჩანს, ქალაქის სახელიც იყო). რაც შეეხება ტაბარის ცნობას, მის მიერ დერბენდის ჩრდილოეთით დასახელებულ, ეთნონიმ „აბხაზ“-ის სახელის ქვეშ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვ-

¹¹ **З. В. Анчабадзе.** Из истории средневековой Абхазии (VI-XVIII вв.). Сухуми, 1959, გვ. 34; **З. В. Анчабадзе.** Очерк этнической истории абхазского народа, Сухуми, 1976.

¹² **Ш. Д. Инал-Ипа.** Вопросы этно-культурной истории Абхазов. Сухуми, 1976.

¹³ **М. И. Артамонов.** История хазар..., გვ. 126.

რები – ძველი ქართული წყაროების აფხაზს, მართლაც ვერ ვიგულისხმებთ. უფრო მოსალოდნელია, ტაბარის ამ ტერმინის ქვეშ ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები აბაზა-ავსუსთა მონათესავე რომელიმე ეთნოსი დაეფიქსირებინა.

VI საუკუნის შუახანებში, როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ ევროპას ცენტრალური აზიიდან წამოსული ახალი დამპყრობლები – ავარები მოეგვლინენ. ჩრდილო კავკასიაში მოსვლისთანავე, როგორც VI ს. ბიზანტიელი ავტორი მენანდრე პროტიქტორი წერს, ავარებმა ომი დაიწყეს ჰუნური მოდემის ზალებთან და გაანადგურეს საბირთა ძალები¹⁴ (კასპიის ზღვის ჩრდილო-დასავლეთით მცხოვრები საბირების ერთი ნაწილი ამიერკავკასიაში გადმოსახლდა). ჩრდილო კავკასიის ხალხების დამორჩილების შემდეგ ავარებმა გზა დასავლეთ ევროპისაკენ გააგრძელეს. მათ ხელში მოექცა უზარმაზარი ტერიტორია ჩრდილო კავკასიიდან ბალკანეთამდე.

ჩრდილო კავკასიის ხალხთა ბატონებად ავარები დიდხანს არ დარჩენილან. აღმოსავლეთ ევროპისაკენ ცენტრალური აზიიდან ავართა გამომძევებელი თურქები მოიწვედნენ. სანამ მდ. ვოლგას გადმოლახავდნენ, თურქებმა ირანელებთან კავშირში 567 წელს ეფთალიტთა გაერთიანება დაამარცხეს, შემდეგ არაერთი თურქული და უგორული ტომი დაიმორჩილეს (სწორედ ისინი ავსებდნენ თურქთა ლაშქარს). ვინც მათ არ დამორჩილდა, აიყარა და აღმოსავლეთ ევროპისაკენ გადმონაცვლა. დაახლოებით 567 წელს, როგორც ითქვა, ისტემის ლაშქარი უკვე დერბენდის ჩრდილოეთით იმყოფებოდა.

ჩრდილო კავკასიაში ახალი დამპყრობლის გამოჩენას ყოველთვის თან სდევდა იქ მყოფი ხალხების ადგილგადანაცვლება. IV ს. 70-იან წლებში ჰუნთა პირველი ტაღლების მოსვლისას, ალანთა ნაწილი მათ თუ თან გაიყოლეს, დარჩენილნი უფრო ღრმად შევიდნენ კავკასიის მთიანეთში. ასე იყო ავართა გამოჩენის დროსაც. ავართა მოსვლამ ჩრდილო კავკასიის მკვიდრი ჯიქების (ბიზანტიური წყაროების ზიხები) ადგილგადანაცვლება რომ

¹⁴ **Менандр Византиец.** История. Перевод с греческого. – *Византийские историка.* СПб., 1861, გვ. 323-324.

გამოიწვია, ამის შესახებ ცნობა აქვს VIს. ბიზანტიელ ისტორიკოსს პროკოპი კესარიელს. იგი მიუთითებს ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები ზიხების ექვსინის პონტოს (ე. ი. შავი ზღვის – ვ.გ.) ნაპირზე დამკვიდრების შესახებ¹⁵. აღნიშნული ცნობა იმაზე მიგვითითებს, რომ VIს. შუახანებადღე ჯიქებს გაცილებით აღმოსავლეთით უნდა ეცხოვრათ. გამორიცხული არაა, ამ დროს ზიხების ერთი ნაწილი დერბენდის ჩრდილოეთითაც გამოჩენილიყო.

VIს. შუახანებში ჩრდილო კავკასიაში ავართა გაბატონებამ რომ იქ მყოფი მოსული და აბორიგენი მოსახლეობა აამოძრავა, ამის დასტურად პროკოპის ზემომოტანილ ცნობასთან ერთად, აფშერონის ნახევარკუნძულზე, ქ. ბაქოს გარეუბანში ტოპონიმ „ზიხის“ არსებობა უნდა მივიჩნიოთ¹⁶. ზიხების შესახებ საინტერესოა ზ. ანჩაბადის მოსაზრება. როგორც იგი წერს, შავიზღვისპირეთში მცხოვრები ზიხების ეთნიკური კუთვნილება ჯერ კიდევ არაა სათანადოდ დადგენილი, არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ამ სახელით ადრეფეოდალურ ეპოქაში გამოდიან არა მარტო ადიღური (ჩერქეზული) ტომები, არამედ აფხაზეთთან ახლო ურთიერთობაში მყოფი ეთნიკური ჯგუფები. ამასთან დაკავშირებით, მეცნიერი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ადიღელები დღემდე აფხაზებს „ა-ზეგა“-ს უწოდებენ¹⁷. ი. ფიოდოროვის თანახმად, ზიხები აფხაზების (იგულისხმებიან თანამედროვე აფხაზთა წინაპრები – ვ.გ.) მონათესავე ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები აბაზების უშუალო წინაპრებად უნდა მივიჩნიოთ. საკუთრივ აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთით, – წერს იგი, – მდ. ბზიფს გადაღმა „მცირე აფხაზეთი“ მდებარეობდა, რომელიც შუა საუკუნეებიდანვე დასახლებული იყო აბაზების ტომებით¹⁸.

¹⁵ პროკოპი წერს: „За пределами абасгов, у само Кавказа, живут брухи, находясь между абасгами и аланами. По берегу же Понта Эвксинийского утвердились зихи“. **Прокопий Кесарийский**. Война с готами. Перевод с греческого **С. П. Кондратьева**. М., 1950, გვ. 383.

¹⁶ **А. Гусенинзаде**. О происхождении топонима Зих. – *Ономастика Кавказа*. Орджоникидзе, 1980, გვ. 110-111.

¹⁷ **З. В. Анчабадзе**. Из истории средневековой Абхазии., გვ. 34.

¹⁸ **Я. А. Федоров**. Историческая этнография Северного Кавказа. М., 1983, გვ. 98.

ზემონახსენები ხალხებიდან აბაზები, როგორც ითქვა, უშუალოდ ემეზობლებოდნენ აფხაზებს (სახლვარი მდ. ფსოუზე გადიოდა). „აფხაზთა“ სამეფოს წარმოქმნის შემდეგ „აფხაზმა“ მეფეებმა თავიანთი ხელისუფლება მათზე და ჯიქებზეც გაავრცელეს. ჯიქებს ერისთავი დაუნიშნეს. ამ დროიდან ისინი, ცხადია, „აფხაზი“ მეფეების სამხედრო ოპერაციებშიც ლებულობდნენ მონაწილეობას. ასეთ ვითარებაში ჯიქებისა და აბაზების გარკვეული ნაწილი მათთან ახლო ნათესაობაში მყოფ აფხაზეთის მოსახლეობას შერწყნენ.

რაც შეეხება ირანულენოვანი, სარმატული წარმოშობის ალან-ოსებს, ადრე შუასაუკუნეებში ისინი აფხაზების ჩრდილოეთით, ახლანდელი ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. მათთან აფხაზებს მარუხისა და ქლუხორის ზეკარები აკავშირებდა (ეს უკანასკნელი ბიზანტიურ წყაროებში „აფხაზთა გზათაც“ იწოდება). როგორც ზ. ანჩაბაძე წერს, ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებმა ალანებმა, ჯიქებთან ერთად, „сыграли определённую роль в этнических судьбах абхазского народа“.¹⁹

თვით ალან-ოსები ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნისათვის ეთნიკურად არაერთგვაროვანი იყვნენ²⁰. ალანთა თანაცხოვრება შემდეგშიც აბორიგენი და თურქულენოვანი (მათ შორის ბულგარების) ეთნოსების გვერდით გრძელდებოდა. ვ. კოვალევსკაიას თანახმად, ეს VI-VIII სს. ზემო ყუბანის სამაროვნებიდან შეიძლება ვივარაუდოთ²¹. ალბათ ამან განაპირობა ის, რომ თუ აფხაზები (ძირითადად მდ. კოდორსა და ლალიძვას შორის მცხოვრები აბჟუები) ოსებს „აუაპს“ („ауап“), ასევე „აუაპსკვას“ ეძახიან²², აფხაზთა მეზობელი სვანებისათვის ისინი „მუსავ“ (ნ. ვოლკოვას თანახმად, ეს იგივე „савир“ – ე. ი. საბირი) არიან²³.

¹⁹ **З. В. Анчабадзе.** Очерк этнической истории..., გვ. 48; **З. В. Анчабадзе.** Из истории..., გვ. 34-35.

²⁰ **Е. И. Крупнов.** Аланы. – *Советская историческая энциклопедия* (შემდგომში СИЭ), т. I. М., 1961.

²¹ **В. Б. Ковалевская.** Кавказ и аланы. М., 1984, გვ. 174.

²² **Ш. Д. Инал-Ипа.** Вопросы этно-культурной истории..., გვ. 354.

²³ **Н. Г. Волкова.** Этнонимы и племенные названия Северного Кавказа. М., 1973, გვ. 109.

ამრიგად, ადიღეელებისათვის აფხაზი (აფსუა – ვგ.) დღესაც თუ აზგაა, იგივე ზიხია (ზ. ანჩაბადე), მეორეს მხრივ, ზიხები აფსუების მონათესავე აბაზების უშუალო წინაპრებადაა მისაჩნვეი (ი. ფიოდოროვი) და ზიხებთან ერთად აფხაზი (აფსუა) ხალხის „ეთნიკურ ბედზე“ ინდოევროპული მოდემის ალანებმაც გარკვეული როლი შეასრულეს (ზ. ანჩაბადე), მაშინ, ცხადია, VI საუკუნისათვის ატ-ტაბარის წყაროს დერბენდის ჩრდილოეთით გამოჩენილი ზიხისათვის შეეძლო „აბხაზ“-იც ეწოდებინა, მითუმეტეს X საუკუნისათვის, როცა არაბი ავტორები მთელ საქართველოს აფხაზეთად მოიხსენიებენ²⁴. რაც შეეხება ვრკანის ქვეყანაში „აბხაზის“ მოხსენიებას, ამ შემთხვევაში ძველი ტრადიციიდან მომდინარე ცოდნასთან გვაქვს საქმე, რის დასაბუთებასაც ქვემოთ შევეცდებით.

როგორც აკად. ს. ერემიანი წერს, სომეხი ავტორის ვარდან დიდის (გარდ. 1271წ.) „გეოგრაფიაში“ „აბხაზი“ „მაზკუტთან“ (ე. ი. მასაგეტთან) არის გაიგივებული. იგი „აბხაზს“ ასე განმარტავს: „აბხაზი – ესაა მაზკუტთა ქვეყანა, მდებარეობს ზღვის პირას ვრკანის ქვეყანაში“ („Абхаз – это страна мазкутов, находящаяся на берегу моря Врканской страны“)²⁵.

ძველი სომეხი ავტორის განმარტება, რომ „აბხაზი“ „მაზკუტთა ქვეყანა“ და იგი ზღვის პირას „ვრკანის ქვეყანაში“ მდებარეობს, მართლაც, უცნაურად გამოიყურება. დერბენდის ჩრდილოეთით „ზიხის“ შესაბამისად „აბხაზის“ მოხსენიებას თუ რაღაც საფუძველი შეიძლება ჰქონოდა, „ვრკანის ქვეყანაში“ – კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთით მდ. გურგანისა და ატრეკის აუზში მდებარე ჰირკანიაში (ჰირკანია ამ მხარის ბერძნული სახელია, ძველსპარსულად „ვრკანი“ ერქვა. აქ მოსახლე ჰირკანებისაგან მიიღო კასპიის ზღვამ თავისი ერთ-ერთი სახელი)²⁶ აფხაზთა ქვეყნის არსებობა ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

²⁴ ბ. სილაგადე. იაჰია ანტიოქიელის ცნობები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ X ს-ის ბოლო მეოთხედსა და XI ს-ის პირველ მეოთხედში. – *ქართული წყაროთმცოდნეობა*, VI. თბ., 1985, გვ. 116-117.

²⁵ С. Т. Еремян. Страна «Махелония» надписи Кааба-и-зардушт, გვ. 55.

²⁶ იხ. სტატიები: Гиркания, СИЭ, г. 4; Каспий, СИЭ, г. 7.

ასე რომ, ტაბარი „აბხაზ“-ს თუ ღერბენდის ჩრდილოეთით – კასპიის ზღვის დასავლეთით ასახელებს, ვარდან დიდი, ფსევდოარიანეს მიერ კასპიისპირეთში დასახელებული ქვეყანა მახელონიის კვალდაკვალ, „აბხაზთა ქვეყანას“ კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით ათავსებს. ამჯერად, როგორც ვხედავთ, მეტად საინტერესოა გაირკვეს, რატომ დაუკავშირა სომეხმა ავტორმა „აბხაზი“ „მაზკუტთა ქვეყანას“ და მისი მდებარეობა ჰირკანიაში რატომ მიუთითა.

აფხაზების სარმატიის ქვეყანაში ცხოვრების შესახებ სხვა ავტორთანაც გვაქვს ცნობა. ასე, მაგალითად, სომეხი ისტორიკოსი სტეფანოს ტარონელი (ასოლიკი) (X-XI სს.), სომხეთის მეფის აბასის (928-952 წწ.) მოღვაწეობის ამბის გადმოცემისას, აღნიშნავს, რომ აბასმა ბოლო მოუღო სომხეთზე ივერიელთა და სარმატთა თავდასხმებს და დასძინა: „В это время князь Апхазов [вышедший] из земли Сарматов, что по ту сторону гор Кавказских, предпринял поход во главе войска в несколько десятков тысяч“. ეს ლაშქარი აფხაზთა მთავრის ბერის სარდლობით მდ. მტკვრის ნაპირზე დადგა და ბერს განზრახვა ჰქონდა, – წერს სტეფანოსი, – მთელი ჩვენი ქვეყანა გაენადგურებინა²⁷.

სტეფანოსი, როგორც ვხედავთ, საგულდაგულოდ მიუთითებს, რომ აფხაზთა მთავარი კავკასიის მთებს იქით მდებარე სარმატთა მიწიდან გადმოვიდა სომხებთან საბრძოლველად. უეჭველია, სტეფანოსისათვის, კარგად იყო ცნობილი სომხების წინააღმდეგ მებრძოლი აფხაზთა მთავარი და მისი ლაშქარი დასავლეთ საქართველოში არსებულ ეგრის-აფხაზეთის ქართულ სახელმწიფოს რომ განეკუთვნებოდა, მაგრამ სტეფანოსი, როცა მათ მაინც ჩრდილო კავკასიიდან მოსულებად აცხადებს, ჩანს, ისევე როგორც ვარდან დიდი, რაღაც ტრადიციას ეყრდნობა.

სანამ ამ ტრადიციის შესახებ ვისაუბრებ, ვნახოთ, როგორ

²⁷ *Всеобщая история Степаноса Таранского – Асохика по прозванию писателя XI столетия*. Пер. с армянского Н. Эминым. М., 1864, გვ. 117. მსგავსი ცნობა აქვს ვარდან არეველცის (იგივე ვარდან დიდს). იხ. **ვარდან არეველცი**. მსოფლიო ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნეს **ნ. შოშიაშვილმა** და **ე. კვაჭანტირაძემ**. თბ., 2002, გვ. 113.

დამთავრდა აფხაზთა მთავრის ბრძოლა სომხების წინააღმდეგ. მდ. მტკვრის სანაპიროზე მდგომმა ბერმა ელჩები გააგზავნა სომეხთა მეფესთან და მოსთხოვა ეკლესიები არ ეკურთხებინათ წმიდა გრიგორის მართლმადიდებლური წესით, სანამ თვითონ არ მივიდოდა და ქალკედონური წესის მიხედვით არ აკურთხებდა. ამ დროსო, – დასძენს სტეფანოსი, – მეფეს აშენებული ჰქონდა კათედრალური ტაძარი ქ. ყარსში.

სომეხი ისტორიკოსის ცნობით, როცა სომეხთა მეფემ ამ ლაშქრობის ამბავი გაიგო, მრავალრიცხოვანი ცხენოსანი ჯარით მივიდა მდ. მტკვართან და განლაგდა ბერის ლაშქრის მოპირდაპირე მხარეს. რამდენიმეღლიანი შეტაკებების შემდეგ, თავზარდაცემული ჩრდილოეთის ხალხი („Северный народ“) გაიქცა. სომეხებმა დაატყვევეს აფხაზთა მთავარი ბერი, მიიყვანეს ქ. ყარსში და თვალები დასთხარეს. აფხაზებმა ოქროს ფასად გამოისყიდეს დაბრმავებული მთავარი და სომეხებთან ფიცით ზავი დადეს²⁸.

როცა ზემოთ მოტანილ ცნობას ა. აბდლაძე შეეხო, აღნიშნა: „სარმატთა ქვეყნის“ ხსენება „აფხაზთა მთავართან“ დაკავშირებით მაინცდამაინც არ უნდა გაგვიკვირდეს. ასოლიკს ბაგრატ III-ის შესახებაც ნათქვამი აქვს, რომ „აფხაზთა მეფე მრავალრიცხოვანი ჯარით დაიდრა სარმატთა ქვეყნიდან“-ო. „ეტყობა, – წერს ა. აბდლაძე, – კავკასიონის კალთების მოსახლეობას სომეხი მემატრიანეები სარმატებადაც ნათლავდნენ ხოლმე“.²⁹

რაც შეეხება ასოლიკის მიერ „აფხაზთა მთავრად“ დასახელებული ბერის ვინაობას, ა. აბდლაძის სიტყვით, მის შესახებ სხვა წყაროებიდან არაფერია ცნობილი. იგი არ შეიძლება ყოფილიყო „აფხაზთა“ (ლიხსიქითა) მეფე, რამდენადაც ცნობილია, „აფხაზთა“ არც ერთ მეფეს სახელად ბერი არ რქმევია. შესაძლოა, ასოლიკისეული ბერი უფლისწული ყოფილიყო. თუმცა, ბერის უფლისწულობის შესახებაც ჭირს ლაპარაკი. ასოლიკთან სახელი ბერი არც დამახინჯებული უნდა იყოს, რადგან იგი „აფხაზთა მთავარს“ ბერს აღარებს ბიბლიურ ბერს, იგივე ნებროთს, ბერ-

²⁸ *Всеобщая история Степаноса Таранского...*, გვ. 117-118.

²⁹ ა. აბდლაძე. ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში. თბ., 1988, გვ. 227.

საც, ბერის მსგავსად, ამპარტავნად, ქედმაღლად მიიჩნევს³⁰. ა. აბდალაძემ ყურადღება მიაქცია Xს. 20-იანი წლებით დათარიღებულ ჭალისუბნის წარწერაში ნახსენებ ცხრაზმისხვეის ხელისუფალ ბერის პიროვნებას და დასვა კითხვა, ხომ არ შეიძლება მასთან გავაიგივოთ ასოლიკისეული ბერი, რადგან იგი ლიხსიქეთის მეფის მოხელე ყოფილა³¹.

ასე რომ, ასოლიკის მიერ აფხაზთა მთავრად დასახელებული ბერის ვინაობა ჯერჯერობით გაურკვეველი რჩება. ა. აბდალაძის თანახმად, ასოლიკის ცნობიდან მხოლოდ იმის დასკვნა შეიძლება, იმ ხანად, სომეხთა მეფე აბასის დროს, ურთიერთობა ლიხსიქეთისა და სომხეთის (ბაგრატუნთა) სამეფოებს შორის მეტისმეტად მწვავე ყოფილა. სომეხი ბაგრატუნები მთელ ამიერკავკასიაში ლიხსიქეთა მეფეებს სერიოზულ წინააღმდეგობას ვეღარ უწევენ. ამ საქმეში „აფხაზთა“ მეფეებს მხარს უბამს ქართული ეკლესიაც, რომელსაც სომხეთის ბაგრატუნთა სამეფოს დედაქალაქ ყარსში ახლად აგებული ეკლესიის „ქართული წესით“ კურთხევა, ე. ი. მისი ქალეკლონურ კერად გადაქცევა განუზრახავს³².

ზემოთ მოყვანილი მასალების მიხედვით ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: არა მარტო ჩრდილო კავკასიაში – თურქულ-სარმატულ გარემოში განსახლებული, აფსუათა მონათესავე აბაზა-ზიხების, არამედ კავკასიის ქედს სამხრეთით მცხოვრები ქართველ-აფხაზების საცხოვრებელი ადგილიც კი შუა საუკუნეების არაბი და სომეხი ავტორებისათვის მაზკუტ (მასაგეტების) – სარმატების ქვეყანა იყო. ამასთან ერთად, ეს ხალხი მათთან, საერთოდ ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებლებად მოიაზრებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც ზემოთ ითქვა, სრულიად მოსალოდნელი იყო ატ-ტაბარის წყაროს VIს. შუახნებისათვის დარუბანდის ჩრდილოეთით „ბანჯარ“, „ბელანჯარ“-თან ერთად, დასახელებულ „აბხაზ“-ში აბაზა-ზიხი მიეჩნია.

ახლა რაც შეეხება სომეხ ავტორებს. როგორც ვნახეთ, დასახელებული სომეხი ავტორების მოღვაწეობის დროისათვის,

³⁰ ა. აბდალაძე. ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა..., გვ. 228.

³¹ ა. აბდალაძე. ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა..., გვ. 229.

³² ა. აბდალაძე. ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა..., გვ. 229.

მართლაც, არსებობდა გარკვეული ტრადიცია აფხაზეთის (და არა მარტო აფხაზეთის) სკვითეთში ან სარმატიაში განთავსების შესახებ, მაგრამ, ვიმეორებთ, დაუჯერებელია, XIIIს.-ში მცხოვრებ სომეხ ავტორს – ვარდან დიდს არ სცოდნოდა, „აფხაზთა ქვეყანა“ კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით – ჰირკანიაში რომ არ მდებარეობდა. ასევე, ვფიქრობ, სტეფანოს ტარონაციმაც კარგად იცოდა სომეხთა მეფე აბასთან მებრძოლი აფხაზთა ჯარი ლიხსიქითა საქართველოში არსებული ქართულ-აფხაზური სახელმწიფოსი რომ იყო. ასეთი ცოდნის მიუხედავად, მათ თხზულებებში ზემოთ მოტანილი ცნობების არსებობა, მართლაც, გაკვირვებას იწვევს და მხოლოდ ძველ ტრადიციაზე დაყრდნობით მათი ახსნა გაჭირდება.

უძველესი დროიდან მომდინარე ტრადიცია შავი ზღვის სამხრეთითა და ამიერკავკასიაში მცხოვრები ხალხების „მაზკუტა“ (მასაგეტთა) ქვეყანაში ან სარმატიაში ბინადრობის შესახებ XIIIს. ბიზანტიაში ჯერ კიდევ არსებობდა. ძვ.წ. IIIს.-ში ეგვიპტის ქ. ალექსანდრიაში მოღვაწე ბერძენი პოეტი ლიკოფრონის³³ თხზულების – „კასანდრა“ – საღმი დართულ კომენტარებში XIIIს. ბიზანტიელი ავტორი იოანე ცეცე აბაზგებს მასაგეტებთან აკავშირებს: ერთ სქოლიოში იგი მიუთითებს, რომ „კოლხები, რომლებიც ლაზებადაც იწოდებიან, ცხოვრობენ აბაზგების, რომლებიც ასევე მასაგეტებად იწოდებიან, მახლობლად“ –³⁴ო³⁴. ხოლო სხვაგან წერს: „კოლხები იწოდებიან აგრეთვე აზიის სკვითებად და ცხოვრობენ აზიის მიდამოებში მდ. ფასისთან, ხოლო ევროპის სკვითეთი მდებარეობს მეოტიდასთან და ტანაისთან. იოსებ ებრაელი, – დასძენს იოანე ცეცე, – ევროპელი სკვითების ტომებს უწოდებს იმავე მეოტიდისა და ტანაისთან, ალექსანდრეს მიერ რკინის კარით ჩაკეტილი ჰირკანებისა და კასპიელების გასასვლელთან მცხოვრებ ალანებსაც – „აბაზგები ძველი მასაგეტებია“ –³⁵ო³⁵.

³³ ლიკოფრონის შესახებ. იხ. **В. В. Латышев.** Известия древних писателей о Скифии и Кавказа. – *ВДИ*, 1947, № 3, გვ. 264; ლიკოფრონი. – *სსე*, ტ. 6.

³⁴ **В. В. Латышев.** Известия древних писателей о Скифии и... გვ. 268.

³⁵ **В. В. Латышев.** Известия древних писателей о Скифии и... გვ. 269.

ზემოთ მოტანილი ციტატის შემდეგ, ვფიქრობ, ყველაფერი ნათელია, მაგრამ იოანე ცეცეს კომენტარის შესახებ მაინც მოვიტან ტექსტის გამომცემლის ვ. ლატიშევის შენიშვნას. კასპიის კარებში, – წერს იგი, – პირველ რიგში, იგულისხმება მთიანი გასასვლელი ჩრდილო ირანში, რომელიც გაიარა აღმოსავლეთისაკენ მიმავალმა ალექსანდრე მაკედონელმა. გვიან ეს სახელწოდება გადატანილი იქნა ჩრდილო კავკასიიდან ამიერკავკასიაში გადმომავალი დარიალისა და ასევე კასპიის ზღვის სანაპიროსთან მდებარე დერბენდის გასასვლელზე. იოსებიდან გამოდის, რომ მეოტიდასთან და ტანაისთან მცხოვრები ალანები იმავდროულად ჰირკანებისა და კასპების გასასვლელთან ცხოვრობდნენ³⁶.

აფხაზთა მეზობელი ალანებიც რომ ჰირკანიაში ცხოვრობდნენ, ამის შესახებ იოანე ცეცეს ცნობა, როგორც ვხედავთ, ცნობილი ებრაელი ისტორიკოსის იოსებ ფლავიუსის (გარდ. ახ.წ. 100წ.) თხზულებიდან აუღია. შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ იოანე ცეცეს უნდა სცოდნოდა ალანები ჩრდილო კავკასიიდან ამიერკავკასიაში გადმომავალი დარიალის ზეკარის ჩრდილოეთით რომ ცხოვრობდნენ, ამიტომ მას ფლავიუსიდან მომდინარე, ერთი შეხედვით, „შეცდომა“ არ უნდა გაემეორებინა. მაგრამ, როგორც ვ. ლატიშევი შენიშნავს, დარიალისა და დერბენდის ზეკარებს ჰირკანიის კარი გვიან კი არ ეწოდა, თვით იოსების მოლვაწეობის დროისათვის ასეთი ცოდნა უკვე დამკვიდრებული ყოფილა. იოსები როცა წერს: „ალანთა ტომი სკვითები არიან და ცხოვრობენ ტანაისთან და მეოტიდის ტბასთან“-ო, იქვე დასძენს: ისინი ფიქრობდნენ მიდიაში და მასზე უფრო შორს შეჭრას ძარცვის მიზნით და ამიტომ ჰირკანელთა მეფესთან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ. ეს იმიტომ, რომ [ჰირკანელთა მეფე] იყო იმ გასასვლელის მფლობელი, რომელიც მეფე ალექსანდრემ რკინის ბჭეებით ჩაკეტა³⁷.

იოსებ ფლავიუსი, როგორც ვხედავთ, საკმაოდ კონკრეტუ-

³⁶ **В. В. Латышев.** Известия древних писателей о Скифии и... გვ. 269, შენ. 4.

³⁷ **იოსებ ფლავიუსი.** – წგნ.: *ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ*. ბერძნულიდან თარგმნა **თ. ყაუხჩიშვილმა**. თბ., 1983, გვ. 61-62.

ლად მიუთითებს „ჰირკანელთა მეფის“ ტერიტორიაზე რომ გადიოდა ტანაისთან (მდ. დონი) და მეოტიდასთან (აზოვის ზღვა) მცხოვრები ალანების გზა და ამიტომ სთხოვდნენ მას მიდიაში სალაშქროდ გზა მიეცა მათთვის. აღნიშნულს გარდა, როგორც იოანე ცეცე განმარტავს, ტანაისთან და მეოტიდასთან მცხოვრები „ევროპელი სკვითები“ – ალანები, მართალია, „ჰირკანელებისა“ და „კასპიელების“ გასასვლელთანაც ცხოვრობდნენ, მაგრამ ამ უკანასკნელ მითითებაში საკუთრივ კასპიის ზღვის სამხრეთით მდებარე კასპიის კარი არ იგულისხმება. 1959 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში აკად. გ. მელიქიშვილმა „ჰირკანელთა მეფეში“ სამართლიანად ივარაუდა ქართლის მეფე³⁸.

ასე რომ, იოსებ ფლავიუსი არ ცდება. მისი მოღვაწეობის დროისათვის ჰირკანიის (იგივე კასპიის) კარად ჩრდილო კავკასიიდან ამიერკავკასიაში გადმომავალი დერბენდის კარის გარდა, ზოგჯერ დარიალის („ოვსთა კარი“) კარიც იწოდებოდა, ხოლო „ჰირკანიალ“ ამიერკავკასიის ის ქვეყნები, სადაც ჩრდილო კავკასიიდან გზა გადმოდიოდა (ასე იყო აფხაზეთის მიმართაც, ვინაიდან, როგორც აღინიშნა, ჩრდილო კავკასიასთან აფხაზეთს მარუხისა და ქლუხორის ზეკარები აკავშირებდა). საეჭვო არ უნდა იყოს, კასპიის კართა აღრევის გამო მოათავსა ჯერ კიდევ ახ.წ. Vს.-ში ფსევდოარიანემ შავი ზღვის სამხრეთში მცხოვრები ჰენიონები კასპიის ზღვის სამხრეთით, ხოლო XIIIს.-ში ვარდან დიდმა ალანთა მეზობელი აფხაზები – ჰირკანიაში (კასპიის ზღვის სამხრეთში).

დასახელებულ ავტორთა თხზულებებში ზემოთ მოტანილი ცნობების შესახებ უნდა აღვნიშნოთ: მართალია, ეს ცნობები ძველი ტრადიციის ასახვას წარმოადგენს, მაგრამ ფსევდოარიანეს, განსაკუთრებით კი XIIIს.-ში მცხოვრებ სომეხ ავტორს – ვარდან დიდს ძველი ტრადიცია უკრიტიკოდ არ უნდა გაემეორებინა. ასეთი ცნობის არსებობა ვარდანის თხზულებაში, ძველი სამყაროდან მომავალი ტრადიციის კარგ ცოდნაზე, მაგრამ კავკასიის ხალხთა განსახლების საქმეში მის გაურკვევლობაზე მიუთითებს.

³⁸ Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии. Тб., 1959, გვ. 348.

მსგავსი მდგომარეობაა სტეფანოს ტარონაცისთანაც, როცა სომხებთან მებრძოლ დასავლეთ საქართველოში არებულ ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ლაშქარს ჩრდილო კავკასიიდან (სარმატიიდან) გადმოსულად თვლის.

ასე რომ, უძველესი დროიდან არსებული ტრადიცია ამიერკავკასიის ქვეყნების (მათ შორის ქართლის) ჰირკანიად მიჩნევის შესახებ იოსებ ფლავიუსიდან მომდინარე იმ მითითებას ემყარება, რომლის თანახმად, დარიალის კარი – „ჰირკანიის“ (იგივე კასპიის) კარიც იყო. რაც შეეხება „აბხაზთა ქვეყნის“ სარმატიაში ან „მაზკუტთა“ (მასაგეტთა) მხარეში მდებარეობის შესახებ, ჩვენი ვარაუდით, მას შემდეგი ფაქტი უდევს საფუძვლად: ძვ.წ. VIII ს. 30-20-იან წლებში წინა აზიაში მეოტის გზით ჩრდილოეთიდან კიმერიელები, ხოლო დერბენდის კარით სკვითები შემოვიდნენ და ერთ ხანს, მათ წინა აზიაში სახელმწიფოც შექმნეს. შემდეგში მათი ნაწილი სამხრეთ კავკასიასა და მცირე აზიის აღმოსავლეთით – კაპადოკიაში (ამ მხარემ სომხურ მწერლობაში მიიღო სახელი „გამრიქ“, რაც კიმერიელთა ქვეყანას ნიშნავს) დასახლდა³⁹. რის გამოც, უფრო სამხრეთით მცხოვრები ხალხები ტერიტორიას კაპადოკიიდან მოკიდებული კავკასიის მხარის ჩათვლით სარმატიად ან სკვითეთად მიიჩნევდნენ⁴⁰. ივ. ჯავახიშვილის თანახმად, ქრისტიან თეოლოგს ორიგენეს (გარდ. 253წ.) ანდრია პირველწოდებული სკვითების განმანათლებლად ჰყავს გამოყვანილი, ხოლო ბიზანტიელ ავტორს ნიკიტა პაფლაგონიელს (გარდ. 890წ.) ანდრიას წილხვდომილ ქვეყნად ჩრდილოეთი აქვს მითითებული, თვით ანდრიას კი იბერების, სავრომატების, ტავრებისა და სკვითების განმანათლებელს უწოდებს⁴¹.

ამრიგად, ატ-ტაბარის თუ გარკვეული საფუძველი ჰქონდა VI ს.-ში ჩრდილო კავკასიაში მომხდარი ხალხთა ადგილგადანაცვლებისას დერბენდის ჩრდილოეთით მოხვედრილი ზიხები (ან მათი მონათესავე აფსუა-აბაზები) „აბხაზ“ სახელით მოეხსენებინა,

³⁹ **Г. А. Меликишвили.** К истории древней Грузии..., გვ. 222.

⁴⁰ ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. საქ. ეკლესიის კალენდარი 1998, თბ., 1997, გვ. 152-153.

⁴¹ ი. ჯავახიშვილი. ანდრია მოციქული. – *ქსე*, ტ. I. თბ., გვ. 448.

XIII ს. სომეხ ავტორს ვარდან ღიღს, ძველი სამყაროდან მომდინარე ტრადიცია, რომელიც კასპიის ზღვის სამხრეთით მდებარე ჰირკანიის კარის (კასპიის კარის) ღარილის კართან გაიგივების მცდარ შეხედულებას ემყარებოდა, უკრიტიკოდ არ უნდა მიეღო – აფხაზეთი კასპიის ზღვის სამხრეთით მდებარე ჰირკანიაში არ უნდა მიეთითებინა. რა თქმა უნდა, არაა სწორი აკად. ს. ერემიანის დასკვნაც, რომლის თანახმად, ჩრდილო კავკასიასა და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით განსახლებული ხალხები (ჩერქეზ-აფხაზები, მეგრულ-ჭანები და სხვანი) თითქოს კასპიის ზღვის სამხრეთითაც ცხოვრობდნენ. ფსევდოარიანეს ცნობა ასეთი დასკვნისათვის თუ გარკვეულ საფუძველს იძლეოდა, თვით არიანეს (ახ.წ. III ს.) მონაცემებზე ამას ვერ ვიტყვით.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ სამართლიანი გვეჩვენება გ. წულაიას შენიშვნა იმის შესახებ, რომ „Вопросы исторической этнонимии Кавказа относятся к числу наиболее сложных и до сих пор недостаточно изученных в кругу кавказоведческих дисциплин“.⁴²

⁴² Г. В. Цулая. Описание Колхиды и сведения об абхазах в Армянской „Географии“ VII века. – *Ономастика Кавказа*. Орджоникидзе, 1980, გვ. 76.

ВАХТАНГ И. ГОИЛАДЗЕ

„АБХАЗ“ В ТРУДАХ ДРЕВНИХ АРАБСКИХ И АРМЯНСКИХ АВТОРОВ

Средневековые арабские и армянские авторы упоминали слово „абхаз“ в различных значениях. Арабские географы (аль-Мокадаси, ум. в 1000г., ибн-Хаукали – Хв.) обозначали им один из древних городов в Албании, Картли (аль-Масуди, ум. в 956г.) и Западной Грузии. При передаче событий VIв., арабский историк ат-Табари (ум. в 923г.) упоминает этноним „абхаз“ к северу от Дербента. В XIIIв. армянский историк Вардан Великий отождествляет страну „абхазов“ со страной мазкутов (масагетов) на юго-западе Каспийского моря. Армянский историк IX-Хвв. Степанос Таронаци (Асохик) считал, что армянский царь Аббас (928-952гг.) сражался против эгрисско-абхазской армии, пришедшей из страны сарматов. В статье показано, что факт миграции местных народов к северу от Дербента, связанный с завоеванием Северного Кавказа турками, повлек за собой появление зихов, родственного народа абхазов-апсуа. Должно быть, именно данный факт упоминается арабским историком ат-Табари при описывании событий VIв. Что же касается сведения Вардана Великого, оно обосновано на неверной исторической традиции, ведущей отчет с еврейского историка Иосифа (ум. в 100г. н.э.), об отождествлении Гирканийских (или Каспийских) врат с Дариальскими вратами.

В свете вышесказанного, неверно мнение акад. С. Еремяна (опирающегося на сведения псевдо-Арриана /Vв./ и Вардана Великого) о том, что разные народы (черкезо-абхазы, мегрело-чаны и др.), которые проживали на Северном Кавказе и к юго-востоку от Черного моря, также проживали и в Гиркании.

VAKHTANG GOILADZE

“ABKHAZIAN” IN THE WORKS OF OLD ARAB AND ARMENIAN AUTHORS

Arab and Armenian authors of the Middle Ages used the word “Abkhazian” in different meanings. Arab geographers (Al-Mokadasi, died in 1000, Ibn-Haukali – 10th century) used the name for denoting one of the ancient cities of Albania, Kartli (Al-Masudi, died in 956), and Western Georgia. In describing the stories of 6th century the ethnonym Abkhazian is mentioned to the north of Derbend by the Arab historian At-Tabari (died in 923). In the 13th century the country of the Abkhazians is placed in the country of the “Muskudions” (Masagetae) in the south-east of the Caspian Sea – in Hirkania by the Armenian author Vardan the Great. The Armenian historian Stepanoz Taronec’i (Asoghik) (9th-10th centuries) considered that the Armenian king Abbas (928-952), fought against the Egris-Abkhazian army, which came from the Sarmatian country. It is shown in the article that the fact of migration of the local ethnoses northward of Derbend, associated with the conquest of the North Caucasus by the Turks, entailed the appearance of the Zikhs, a kindred ethnos of the Abkhaz-Apsua. The fact should be noted in the accounts of At-Tabari while he is describing the 6th century events. As for Vardan the Great’s evidence, it is based on the wrong tradition stemming from the Hebrew historian Josephus (died in 100 A.D.) about the equation of the Hirkanian (or Caspian) Gate, located in the south of the Caspian Sea, and the Darial Gate.

In the view of the above-mentioned, Acad. S. Eremian is not correct when he (based on the evidence of pseudo-Arrian 5th cent. and Vardan the Great) considers Hirkania also as the place of residence of different peoples (Cherkez-Abkhazians, Megrel-Chan and others) living in the North Caucasus and to the South-East of the Black Sea.

ჯაბა სამუშია

ბაბრატ IV-ისა და ლიპარიტ ბაღვაშის კონფლიქტის გამომწვევი მიზეზის შესახებ

საქართველოში XI ს. 40-იანი წლებიდან იწყება ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ომი მეფესა და ფეოდალურ ოპოზიციას შორის. სამოქალაქო დაპირისპირება, შესვენებებით, თითქმის, ორი ათეული წელი გაგრძელდა. ამ ომმა მნიშვნელოვნად შეაფერხა ქვეყნის წინსვლა-განვითარება. მის გამომწვევ მიზეზად კი იქცა სამეფო კარზე მოქმედი, პირველობისათვის მებრძოლი პოლიტიკურ დაჯგუფებათა შორის დაპირისპირება.

სამეფო კარზე ბევრი რამ იყო გასაყოფი. უმთავრესი მაინც საზოგადოებრივი მდგომარეობისა და გაგლენის მოპოვება-შენარჩუნება იყო. ამ მიზნით დიდებულებს შორის იქმნებოდა დროებითი თუ ხანგრძლივი კავშირები, რომელიც მიმართული იყო ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში დომინირებული მდგომარეობის მოპოვებისაკენ. საქართველოს სამეფო კარზეც XI საუკუნის 30-40-იან წლებში აშკარად მოქმედებდა რამდენიმე კლანური დაჯგუფება. დასაწყისში მათ შორის დაპირისპირება ფარულ ხასიათს ატარებდა. 1040 წლიდან კი ეს ბრძოლა სამხედრო კონფლიქტში გადაიზარდა. როგორც უმრავლეს შემთხვევაში, შიდა დაპირისპირება კარგად გამოიყენა საქართველოს საგარეო მტერმა. XI საუკუნის I ნახევარში ასეთ სახელმწიფოს ბიზანტია წარმოადგენდა. ბერძნებმა მოახერხეს ამ უთანხმოების ჯერ გაღვივება, შემდეგ კი სამოქალაქო ომში გადაზარდა. იმპერიის მესვეურებმა, ფაქტობრივად, მიაღწიეს იმას, რასაც XII ს. დასაწყისიდან ცდილობდნენ, შეექმნათ საქართველოს შიგნით ძლიერი პრობიზანტიური დაჯგუფება, რომელიც დააბალანსებდა ცენტრალურ ხელისუფლებას. ეს გეგმა, მართლაც, დიდი ხანია კონსტანტინო-

პოლში გააჩნდათ, მაგრამ არ არსებობდა ის პირი, რომელიც რეალურად განახორციელებდა ამ ჩანაფიქრს და, ამდენად, ლიპარიტ ბაღვაშის ბიზანტიელთა მხარეზე გადასვლამ საშუალება მისცა საინჰერატორო კარს, საქართველოს წინააღმდეგ ეს ვერაგული გეგმა სისრულეში მოეყვანა¹.

ისტორიკოსები ხშირად მსჯელობენ საკითხზე, თუ ვინ იყო დამნაშავე და ინიციატორი ბაგრატ IV-სა და ლიპარიტ ბაღვაშს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოებისა. ჩვენი აზრით, ცალსახად ერთი მხარის დადანაშაულება ამ კონფლიქტის დასაწყის ეტაპზე არ შეიძლება. პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ორივე მებრძოლ ბანაკს. ცენტრალური ხელისუფლება კლდეკარის ერისთავთან დამოკიდებულებაში ბევრ რამეში უშვებდა შეცდომას, ბუნებრივია, ქვეყნის წინაშე ღიდი დანაშაული მიუძღვის ლიპარიტსაც, უპირველესად, სამოქალაქო ომის გაღვივებასა და უცხო ძალის მოწვევისა გამო. საერთოდ, შთამომავლობა ყოველთვის ლმობიერია ცენტრალურ ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯების მიმართ, რაოდენ რადიკალური და უღმობელი არ უნდა იყოს იგი, და მეტად მკაცრია ფეოდალთა მიერ მეფის თუ სამეფო კარის წინააღმდეგ მიმართული აქციის შეფასებისას. ამას თავისი ახსნა აქვს. ნებისმიერი თანამედროვე ქვეყანა გარკვეულ ისტორიულ ტრადიციებზეა დაფუძნებული, რომლის წყალობით ჩვენ შეგვიძლია თვალი გავადევნოთ ამ სახელმწიფოს ფორმირების რთულ პროცესს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დროში წარმოვიდგინოთ, როგორ მიმდინარეობდა ამა თუ იმ ქვეყნის ჩამოყალიბება. ამ პროცესში გამორჩეული როლი ეკისრებოდა ცენტრალურ ხელისუფლებას, რომელიც, უმრავლეს შემთხვევაში, წარმმართველ ძალას წარმოადგენდა. ამიტომაც, ქვეყნის შიგნით მოქმედი იმ

¹ მართებულად აღნიშნავს ზ. პაპასქირი, რომ ბიზანტიელებმა ლიპარიტ ბაღვაშის მეშვეობით, „ბაგრატ IV-ს ქვეყნის შიგნით გაუჩნდა უაღრესად ძლიერი ოპოზიცია, რომელმაც მნიშვნელოვნად შეზღუდა მისი აქტიურობა საგარეო-პოლიტიკურ ასპარეზზე და სიძნელეები შეუქმნა ქვეყნის გაერთიანების საქმეში“. იხ.: **ზ. პაპასქირი**, ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ., 1990, გვ. 158.

პოლიტიკური დაჯგუფების საქმიანობა, რომელიც ამ პროცესებს უპირისპირდებოდა ან სამეფო ხელისუფლების მიერ დასახული პოლიტიკური კურსის განხორციელებას უშლიდა ხელს, შეფასებულია უარყოფითად. ნებისმიერი ქვეყნის ისტორიაში ცენტრისკენული ძალები ყოველთვის მიმზიდველია. სეპარატისტული მოძრაობა კი, პირიქით, ისტორიკოსთა კრიტიკას იმსახურებს. ასეთია ისტორიის კანონზომიერება და ამას ვერსად წაუვალთ. თუმცადა, ისტორიკოსის ვალია მოვლენებს ჯეროვნად ჩაწვდეს და დეტალურად აჩვენოს თითოეული ამ პროცესის გამომწვევი მიზეზები.

საქართველოში, XI საუკუნის 40-50-იან წლებში მიმდინარე სამოქალაქო ომის შეფასებისას, ბუნებრივია, ლიპარიტ ბაღვაშის როლი ყოველთვის უარყოფითად იქნება წარმოდგენილი, ვინაიდან იგი სეპარატისტული მოძრაობის მამამთავარი იყო და მისი ქმედება ქვეყნის ერთიანობის ბალავარს ასუსტებდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ კონფლიქტის დასაწყის ეტაპზე დაპირისპირებაზე პასუხისმგებლობა ცენტრალურ ხელისუფლებასაც ეკისრება, რამეთუ სამეფო კარის არაგეგმაზომიერმა მოქმედებებმა კლდეკარის ერისთავი მტრად აქცია. მეტიც, ბაგრატ IV-ს გარემოცვა ფარულად ებრძოდა ლიპარიტს და ცდილობდა მისი პოლიტიკური ასპარეზიდან ჩამოშორებას. ზემორეთქმული არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ამით გვსურს ლიპარიტ ბაღვაშის რეაბილიტაცია. უბრალოდ, ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ, რომ არც ის ფეოდალები იყვნენ უცოდველნი, რომლებიც სამეფო კარს ამოფარებულინი საკუთარ პოლიტიკურ თამაშს აწარმოებდნენ.

ლიპარიტ ბაღვაშის გაორგულება ერთბაშად არ მომხდარა და მას რამდენიმე მოვლენა უძღვოდა წინ. ბაგრატ IV-ის გამეფებისას დატრიალებული მოვლენების დროს, სამეფო კარზე, აშკარაა, დიდ გავლენას მოიხვეჭდა ლიპარიტ ბაღვაში. 1028 წელს, იგი სათავეში ჩაუდგა ქართველ პატრიოტთა დასს და წინ აღუდგა ბიზანტიელთა აგრესიას ჯავახეთსა და კლდეკარში. ბაღვაშითა ეს თაობა – რატი ბაღვაში, ლიპარიტ ბაღვაში – სამეფო კარის ერთგულები ჩანან. სამეფო ხელისუფლებაც შესაბამისად აფასებდა მათ თავდადებას. პირველ ეტაპზე ლიპარიტ ერისთავი საქართველოს სამეფო კარის გავლენის ზრდისათვის ქედმოუხრელი მებ-

რძოლია. მას არაერთხელ დაუმტკიცებია ბაგრატ IV-თვის თავი-სი ერთგულება. 1030 წლისათვის ლიპარიტის სარდლობით გაემართა „აფხაზთა და ქართველთა“ ლაშქარი განძაზე სალაშქროდ². „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი აღნიშნავს: „და დიდი ფაღლონ, ავად იქცეოდა, და სწუნობდა ყოველთა მოთაულთა ამის სამეფოსათა. და ვიდრე ყრმადა იყო ბაგრატ, შეკრბეს ლაშქარნი ამის სამეფოსანი, იპირნეს ლიპარიტ და ივანე აბაზას-ძე; მოვიდა დიდი კჳრიკე, რანთა და კახთა მეფე, დავით სომეხთა მეფე, და ჯაფარ ამირა ტფილელი, რამეთუ ესე ყოველნი პირობითა კჳრიკესითა შეკრებულ იყვნეს ეკლეს ფაღლონს ზედა; გააქციეს ფაღლონ და აუწყვეს ლაშქარი, აიღეს ავარი და განძი ურიცხჳ“³. ამ ცნობიდან კარგად ჩანს, რომ ლიპარიტ ბაღვაში ბაგრატ IV-ს მომხრე ფეოდალთა შორის აშკარა ლიდერი იყო და საქართველოს სამეფო კარის ნდობითაც სარგებლობდა.

XII. 30-იანი წლებში ლიპარიტ ბაღვაში, როგორც ჩანს, სამეფო კარის დასტურით, ცდილობს ქალაქ თბილისის შემოერთებას. 1032 წელს მან და ქართლის ერისთავმა, ივანე აბაზას ძემ, მოტყუებით გამოიყვანეს თბილისის ამირა ჯაფარი ქალაქიდან და მუხათგვერდთან შეიპყრეს. „მატიანე ქართლისაჲს“ აღნიშნავს: „და სიმცირესავე შინა ბაგრატ მეფისასა ლიპარიტ ლიპარიტის ძემან და ივანე აბაზას-ძემან, ქართლის ერისთავმან, მუხათგვერდსა გამოიტყუეს ტფილელი ამირა ჯაფარ, და შეიპყრეს, და დიდი ხანი დაყვეს პატიმრობასა შინა, და წარუღეს ბირთჳსი“⁴. ამ ცნობას ადასტურებს სოფ. განახლების⁵ ეკლესიის წარწერა:

² აღნიშნულ საკითხზე ვრცლად იხ.: პ. თოფურია. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI-XII საუკუნეებში. თბ. 1975, გვ. 192-193.

³ მატიანე ქართლისა. – ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I. თბ., 1955, გვ. 296.

⁴ მატიანე ქართლისა, გვ. 296-297.

⁵ სოფ. განახლება მდებარეობს დმანისის რ-ში. XIX ს-მდე მას ერქვა ერქუშაანთ სოფელი. XIX ს.-ში აქ დასახლებულმა ბერძენებმა მას სახელი შეუცვალეს და ამბარლო უწოდეს. ამჟამად, იგი შედის სარკინეთის საკრებულოში. იხ.: დ. ბერძენიშვილი, ლ. რჩეულიშვილი. განახლება. – ენციკლოპედია საქართველო, ტ. I. თბ., 1997, გვ. 549.

„ქრონიკონი იყო სმიბ (1032). მოწყალებითა ღმრთისაჲთა, მე, თევდორე ღირს ვიქმენ აღშენებად წმიდისა საყდრისა, ადიდენ ღმერთმან, ბაგრატ მეფისა სალოცველად, და შემდგომად ლიპარიტ ერისთავთა ერისთავისა. მას ჟამსა დაიდვა ბალაჰკვარი, ოდეს შეიპყრა ლიპარიტ ერისთავთა ერისთავმან ამირა“.⁶ ეს იყო მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილება. თბილისის შემოერთებით საქართველოს გაერთიანების საქმეში ერთი დიდი ეტაპი მთავრდებოდა. ბაგრატ IV-ის ხელში ექცეოდა არა მარტო ეკონომიკურად ძლიერი ქალაქი, არამედ საქართველოს მეფე თავის კონტროლს აწესებდა სტრატეგიული თვალსაზრისით ისეთ რეგიონზე, საიდანაც ადვილი იქნებოდა შემდგომში სამხედრო ექსპანსიის განხორციელება კახეთ-ჰერეთისა და ტაშირ-ძორაგეტის სამეფოების წინააღმდეგ. ერთიანი საქართველოს მეფეებიდან თბილისზე გავლენის დამყარებას შეეცადა ბაგრატ III, მაგრამ მას ქალაქის ამირას ინსტიტუტის მოსპობა არ უცდია. 1032 წლისათვის კი საქართველოს ხელისუფლების ნაბიჯი გაცილებით რადიკალური იყო. ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ამირა ჯაფარის შეპყრობის შემდეგ, თბილისის შემოერთების შემთხვევაში საამიროს არსებობის საკითხიც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა.

საქართველოს სამეფო კარი თბილისის საამიროს მიმართ აშკარა კონფრონტაციის გზას დაადგა. ასეთი პოლიტიკური კურსის ცვლილება მეტად მოულოდნელი იყო. ამირა ჯაფარი კლდეკარის ერისთავთან შესახვედრად ყოველგვარი ეჭვისა და საფრთხის გარეშე გამოდის, ეს კი მეტყველებს იმაზე, რომ ამირას ერთი წუთითაც არ ეპარება ეჭვი ქართული მხარის განზრახვაში. ეს, ბუნებრივიცაა, რამეთუ რამდენიმე წლის წინ საქართველოს სამეფო კარი (ლიპარიტ ბალვამის მეთაურობით) და თბილისის ამირა მოკავშირეები იყვნენ განძაზე ლაშქრობისას. ამ ურთიერთობით ისარგებლეს ლიპარიტ ბალვამმა და ივანე აბაზას ძემ და ამირა უეცრად დააპატომრეს. მიუხედავად იმისა, რომ ამირა მათ ხელში იყო, ქართველმა ფეოდალებმა ვერ მოახერხეს თბილისის აღება და მხოლოდ ბირთვისის ციხე წაართვეს ჯაფარს.

⁶ ვ. სილოგავა. ქვემო ქართლის წარწერები. *ზოგადი მიმოხილვა*. – კრ.: „*დმანისი*“, ტ. II. თბ., 2000, გვ. 242.

„მატიანე ქართლისაჲს“ ავტორის თქმით, თბილისის ამირას ბედი, მუხათგვერდის შემდეგ, საკმაოდ მძიმედ წარმართულა. იგი დიდი ხნის მანძილზე იყო ტყვეობაში. ჩვენ შეგვიძლია, დაახლოებით გამოვიანგარიშოთ ამირა ჯაფარის პატიმრობის ხანგრძლივობა. მემატიანის ცნობით, ჯაფარის განთავისუფლების შემდეგ, მალევე („შემდგომად მცირედისა ჟამსა“), ქართველებს ხელახალი საომარი მოქმედებები დაუწყიათ თბილისის საამიროს წინააღმდეგ. ეს უკანასკნელი ლაშქრობა კი 1038 წელსაა სავარაუდო⁷. ქართველ მემატიანეს თუ დავუჯერებთ, ჯაფარი ბაგრატ IV-ს ამ მოვლენის უწინ გაუთავისუფლებია. ამდენად, ამირას თბილისში დაბრუნება 1037 წლის ახლო ხანებში უნდა მომხდარიყო. ყოველივე ზემორეთქმული კი მიუთითებს, რომ თბილისის ამირას ტყვეობაში თითქმის ხუთი წელი დაუყვია („ტფილელი ამირა ჯაფარ, და შეიპყრეს, და დიდი ხანი დაყვეს პატიმრობასა შინა...“⁸). მიუხედავად იმისა, რომ ამირა დაპატიმრებული იყო და შეიძლებოდა ასე უპატრონოდ მყოფი ქალაქის აღების ორგანიზება, სამეფო კარმა მიიღო გაურკვეველი გადაწყვეტილება – ამირა გაათავისუფლა ტყვეობიდან და კვლავ თბილისში დააბრუნა. ეს გადაწყვეტილება საკმაოდ უცნაურად ჩანს, ვინაიდან, ამ მოვლენიდან მცირე ხნის შემდეგ, „აფხანთა და ქართველთა“ მეფემ თბილისის წინააღმდეგ ახალი დიდი ლაშქრო-

⁷ იბნ ალ-ასირის მიხედვით, თბილისის მეორე გარემოცვა ჰიჯრის 429 წელს დაწყებულა, რომელიც 1037 წლის 14. 10. – 1038. 03. 10. – ზე მოდიოდა. საეჭვოა ქალაქის გარემოცვა ქართულ მხარეს ზამთრის პირს განეხორციელებინა. როგორც წესი, შუა საუკუნეებში მიღებული იყო სამხედრო მოქმედებების გაზაფხულზე დაწყება. თუ ამას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ თბილისზე იერიშიც შეიძლება 1038 წელს ვიგულისხმოთ. „მატიანე ქართლისაჲს“ მიხედვით, ალყა ორ წელს გაგრძელდებულა. ამდენად, თბილისის გარემოცვა 1038-1040 წლებში წარმართულა. ლიპარიტ ბაღვაშის სამზადისი აჯანყებისათვის 1040 წლის ზამთარში უნდა განხორციელებულიყო. უშუალოდ გამოსვლა და ბიზანტიელების საქართველოში მოწვევა 1041 წელსაა საგულგებელი. აღნიშნული მოვლენების დათარიღების შესახებ იხ.: **ჯ. სამუშია**. XI საუკუნის საქართველოს ისტორიის რამდენიმე მოვლენის დათარიღებისათვის. – *ქართული დიპლომატია*, წელიწადი, 4. თბ., 1997, გვ. 238-242.

⁸ *მატიანე ქართლისა*, გვ. 296.

ბის მოწყობა ბრძანა. ივ. ჯავახიშვილი თავის დროზე მიუთითებდა, რომ „მას შემდგომ, როდესაც ამირას ბირთვისი წაართვეს ქართველებმა, მცირეწლოვან გვირგვინოსანს შეებრალა ტფილისის მფლობელიო“ და კვლავ ქალაქის ამირად დაამტკიცაო⁹.

მაგრამ საეჭვოა, მართო ბაგრატ IV-ის გულკეთილობის გამო გაეთავისუფლებინათ ჯაფარი. ვფიქრობთ, გადაჭარბებულია ასევე ვ. კოპალიანის მოსაზრებაც, რომ თითქოს „ლიპარიტის გაძლიერების მოწინააღმდეგე აზნაურების ჩაგონებით ბაგრატ IV-მ გაათავისუფლა ამირა და ამით ლიპარიტს ჩაუშალა თბილისის საამიროს ხარჯზე თავისი სამფლობელოს გაფართოების გეგმა“.¹⁰ ნაკლებ დასაჯერებელია, ლიპარიტის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების ორგანიზატორი ბაგრატ IV ყოფილიყო. ვ. კოპალიანი მართალია, როდესაც ამირას ქალაქში დაბრუნების ინიციატორად კლდეკარის ერისთავის მოწინააღმდეგე დიდებულებს მიიჩნევს, მაგრამ მეცნიერი აშკარად აჭარბებს, ამ დაჯგუფების ლიდერად ბაგრატ IV-ს რომ მიიჩნევს (მეფემ „გაანთავისუფლა ამირა და ამით ლიპარიტს ჩაუშალა თბილისის საამიროს ხარჯზე თავისი სამფლობელოს გაფართოების გეგმა“).¹¹ ჯერ ერთი, ბაგრატი ამ დროს მხოლოდ 16 წლისაა და მეორეც, ეს ასე რომ იყოს კიდევ, ამ მოვლენიდან ცოტა ხნის შემდეგ ლიპარიტის ჩაგონებით სამეფო ოჯახი რატომ დაიწყებდა თბილისის შემოერთებისათვის ახალ ლაშქრობას, თანაც უფრო მასშტაბურს. „თბილისის საამიროს ხარ-

⁹ ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. II. – *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტ. II. თბ., 1983, გვ. 141.

¹⁰ ვ. კოპალიანი. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წწ. თბ., 1969, გვ. 181-182.

¹¹ მ. ლორთქიფანიძის მითითებით, ბაგრატ IV-ის გადაწყვეტილებაზე აშკარად იმოქმედა ლიპარიტ ბაღვაშის მოწინააღმდეგე დაჯგუფებამ. „თბილისის საამირო უშუალოდ ეკეროდა კლდეკარის საერისთავოს და ძლიერ ერისთავს სურდა თავისი სამფლობელოების გაზრდა თბილისის საამიროს ხარჯზე (იქნებ ქალაქი თბილისიც თავისთვის უნდოდა ლიპარიტ ბაღვაშს?), მაგრამ ლიპარიტის ზრახვებს სხვებიც იყვნენ მიხვედრილნი და სწორედ იმიტომ გაათავისუფლა ბაგრატმა დატყვევებული ამირა ჯაფარი“. მ. ლორთქიფანიძე. საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს. 80-იანი წლებიდან XI ს. 80-იან წლებამდე. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*. ტ. III. თბ., 1979, გვ., 162-163.

ჯზე“ ლიპარიტის სამფლობელოს გაფართოების საფრთხე ამჯერად არ იარსებებდა?

ამირა ჯაფარის გათავისუფლებას აშკარად ნაჩქარევი გადაწყვეტილების კვალი ამჩნევია. როგორც ჩანს, ლიპარიტ ბაღვაშის მოწინააღმდეგე ფეოდალებმა დრო იხელთეს და ბაგრატ IV-ს კლდეკარის ერისთავის საზიანო გადაწყვეტილება მიაღებინეს, მაგრამ მოგვიანებით, საქმეში თავად ლიპარიტ ბაღვაში ჩარეულა და მეფე დაურწმუნებია თბილისის საამიროს წინააღმდეგ ლაშქრობის აუცილებლობაში. კლდეკარის ერისთავმა, მართალია, დროებით, მაგრამ მაინც, მიაღწია მოწინააღმდეგე კლანზე გარკვეულ გამარჯვებას. „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი პირდაპირ მიუთითებს, რომ ბაგრატ IV-ს თბილისზე მეორე ლაშქრობის გადაწყვეტილება ლიპარიტმა მიაღებინა¹². „შემდგომად მცირედისა ჟამისა აზრახა ლიპარიტ ბაგრატს წაღებად ტფილისისაო“ – დასძენს მემატიანე¹³. უდავოა, იქ სიტყვა „აზრახაში“ მეფის დაყოლიება, გადარწმუნება იგულისხმება. წყაროს ცნობების ანალიზის შემდეგ, ჩვენს წინაშე გადაიშლება სამეფო კარზე არსებული პოლიტიკურ დაჯგუფებათა ბრძოლის საკმაოდ საინტერესო ის-

¹² რა ინტერესები ჰქონდა ლიპარიტ ბაღვაშს თბილისის შემოერთებისას? რა თქმა უნდა, შესაძლებელია დავეუშვათ, რომ ლიპარიტ ბაღვაშს თავისი სამფლობელოები გაეფართოებინა თბილისის საამიროს ხარჯზე. 1032 წელს ამირა ჯაფარის შეპყრობისას ლიპარიტმა მოახერხა ბირთვისის ციხის აღება, რომელიც საამიროს შემადგენლობაში შედიოდა. კლდეკარის ერისთავმა ეს მნიშვნელოვანი პუნქტი თავისთვის დაიტოვა. შეიძლება გვეფიქრა, რომ ასეთი ბედი ეწეოდა თბილისის საამიროს სხვა ტერიტორიებსაც და ისინი კლდეკარის ერისთავის გავლენის ქვეშ მოექცეოდნენ, მაგრამ, ვფიქრობთ, საკითხის ასე დაყენება არ იქნება გამართლებული. თბილისის წინააღმდეგ მეორე ალყის ჟამს, სამხედრო კამპანიას „აფხაზთა და ქართველთა“ მეფის ლაშქარი აწარმოებდა. მათ მიერ დაკავებულ ციხეებს კი ლიპარიტ ბაღვაშს არავინ გადაულოცავდა. რაც შეეხება თბილისს, მასზე კონტროლს ცენტრალური ხელისუფლება არასგზის არ დათმობდა. ამდენად, თბილისის აღების შემთხვევაში ლიპარიტს მნიშვნელოვანი ტერიტორიული შენაძენი შეიძლება მიეღო, მაგრამ ჩვენი აზრით, ამას ნაკლები მნიშვნელობა ექნებოდა იმასთან შედარებით, რასაც ლიპარიტი პოლიტიკური გავლენის ზრდის თვალსაზრისით მიაღწევდა.

¹³ *მატიანე ქართლისა*, გვ. 297.

ტორია. სწორედ, ამ კლანთა შორის დაპირისპირებაში უნდა ვეძიოთ კიდევ მოგვიანებით ლიპარიტის განდგომის მიზეზიც.

„მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი საკმაოდ საინტერესოდ აღწერს 1038 წელს დაწვებულ თბილისის მეორე გარემოცვის მიმდინარეობას: „მოადგეს ტფილისსა მტკუარსა ამიერთ, ზემოთ და ქვემოთ, აფხაზთა მეფისა ლაშქარნი, და წყალსა იმიერთ, ისნით კერძო მოადგეს ლაშქარნი კახნი და ჰერნი... და ბრძოდეს ორ წელ ტფილისსა. და მას ჟამსა იყო ამირა ჯაფარ, ძე ალისა“.¹⁴ თბილისის გარშემო სააღყო რკალი შეიკრა, ბუნებრივია, გადაიკეტებოდა ქალაქში შესასვლელი ყველა გზა, ვინაიდან, თავიდანვე იქნებოდა გადაწყვეტილი თბილისის გარე სამყაროსთან მოწყვეტა. ამას გარდა, „აფხაზთა მეფის“ ლაშქარმა დაიწყო საამიროს სხვა ციხეების გარემოცვა. ქართველთა მიზანი თავიდანვე მიმართული იყო იქითკენ, რომ მოეხდინათ თბილისის საარსებო რესურსების გამოფიტვა. ალყამ ორ წელს გასტანა. ამასობაში, ქალაქში საშინელი შიმშილი ჩამოვარდა. როგორც მემატინე აცხადებს, თბილისში „ლიტრა ვირის ხორცი“ ხუთასი დრამა ღირდა. ამ პირობებში ჩავარდნილმა მოსახლეობამ, ამირას ზურგს უკან, ქალაქის ბაგრატ IV-სადმი გადაცემა გადაწყვიტა. „ტფილელთა, – დასძენს მემატინე, – განიზრახეს მოცემა ტფილისისა. და ამის ქალაქისა ბრძოლასა შინა წაუხუნეს ციხენი ორბეთი და ფარცხისი აფხაზთა მეფისა ლაშქართა“.¹⁵ თავის მხრივ, არც ამირა აპირებდა ომის გაგრძელებას. მან კარგად იცოდა მოსახლეობის განწყობა და ჩუმად ქალაქიდან გაპარვას ფიქრობდა. „და ამირა შეეკაზმა თავის ლაშქრითა, – მიუთითებს ისტორიკოსი, – შემზადა ტივები და ნავები ღამით წარსვლად განძას ლაშქრის თანა ფადლონის შვილსა“.¹⁶ თითქმის ყველაფერი შემზად-

¹⁴ მატინე ქართლისა, გვ. 297.

¹⁵ მატინე ქართლისა, გვ. 297.

¹⁶ შ. ბადრიძე უფრო მართებულად მიიხნევს „მატიანე ქართლისაჲს“ ამ მონაკვეთის მარიამისეული და ვახტანგისეული ნუსხების მიხედვით წაკითხვას, სადაც მითითებულია, რომ თბილისის ამირა წასვლას აპირებდა „ლაშქარსა თანა“. ფადლონის მემკვიდრეს მართლაც ერქვა „ლაშქარი“ – აღ-ლაშქარი და არა „ლაშქრი“. შ. ბადრიძის დაკვირვება მართებულად გვეჩვენება (იხ.: შ. ბადრიძე, „მატიანე ქართლისაჲს“ ერთი ადგილის ახსნისათვის. – *ცისკარი*, 1960, №6, გვ. 146-147).

ბული იყო იმისათვის, რომ თბილისი დაცემულიყო, მაგრამ ამ დროს ბაგრატ IV-მ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის ახსნა ერთობ ძნელია. მან ქალაქს ალყა მოხსნა, ამირა ჯაფართან ზავი გააფორმა და ქალაქს გაეცალა.

ვინაიდან მეფის ეს ნაბიჯი, მოგვიანებით, ლიპარიტის გაორგულების მიზეზად იქცა, ცოტა ვრცლად შევეხოთ ამ მოვლენას. ივ. ჯავახიშვილი ბაგრატ IV-ის ამ აჩქარების მიზეზად ირანსა და აზერბაიჯანში თურქთა გამოჩენას ასახელებს. მისი მითითებით, იბნ-ალ-ასირს შემონახული აქვს ერთი ძვირფასი ცნობა, რომელიც ქართველთა უცნაური აჩქარების, ალბათ, ერთ-ერთი მიზეზი უნდა ყოფილიყო¹⁷. იბნ ალ-ასირი წერს: „429 (1037-38) წელს აფხაზთა მეფემ ქალაქი თბილისი ალყაში მოაქცია და მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის მხრიდან მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა, გარემოცვას და შევიწროებას მაინც განაგრძობდა. როდესაც ხორავი გამოეღია და სურსათის მოწოდება შეწყდა, მოსახლეობამ აზერბაიჯანის მუსლიმებს დახმარება და სამხედრო მხარდაჭერა სთხოვა. მაგრამ, როდესაც ლუხებმა აზერბაიჯანამდე მიაღწიეს და აფხაზებმა მათი მოახლოება შეიტყვეს და ისიც გაიგეს, თუ როგორ უსწორდებოდნენ ისინი სომხებს, შიშისაგან თბილისს მამინვე ალყა მოხსნეს და დატოვეს“.¹⁸ შემდეგ ივ. ჯავახიშვილი დასკვნის სახით დასძენს: „ეს გარემოება სრულებით ახალ შუქსა ჰფენს ქართველ დიდებულთა და ბაგრატიის საქციელს. ალბათ, ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ სელჩუკიანთა შემოსევა ქართველებს კეთილს არაფერს მოუტანდა და ქვეყნის აოხრებას ისევ ნებაყოფილობით დაზავება არჩიეს. ამ მხრივ ბაგრატიისა და დიდებულთა გადაწყვეტილება გონივრული და ფრთხილი იყო“.¹⁹

¹⁷ ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია..., გვ. 142.

¹⁸ იბნ ალ-ასირის თხზულების ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი მოტანილი გვაქვს ბ. სილაგაძის თარგმანის მიხედვით. **ბ. სილაგაძე**. არაბთა ბატონობა საქართველოში. თბ., 1991, გვ. 221; იხ. ასევე: **ბ. შენგელია**. სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში. თბ. 1968, გვ. 174; **П. Жузе**. Материалы по истории Азербайджана из „Тарих ал-Камил (Полного свода истории)“ Ибн ал-Асира. Баку, 1940, გვ. 147.

¹⁹ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია..., გვ. 142.

ეს მოსაზრება მოგვიანებით არაერთმა ისტორიკოსმა გაიზიარა²⁰. ფაქტობრივად, ისე იქნა ვითარება წარმოდგენილი, რომ თითქოს ბაგრატ IV-ს თურქ-სელჩუკთა მოსალოდნელმა ლაშქრობამ აიძულა მოეხსნა ალყა თბილისისათვის. ქართულ ისტორიოგრაფიაში ასევე არის მცდელობა, „მატიანე ქართლისაჲსა“ და იბნ ალ-ასირის ცნობების შეჯერებისა. მ. ლორთქიფანიძე ამ მოვლენებზე მსჯელობისას აღნიშნავს: „გადაძვევები გავლენა ბაგრატზე ლიპარიტის მოწინააღმდეგე დაჯგუფებამ მოახდინა, რომელსაც არ მიაჩნდა სასურველად ლიპარიტის გაძლიერება. შემადღებელია, გარკვეული გავლენა ბაგრატის გადაწყვეტილებაზე მოახდინა ცნობამ ამირას დასახმარებლად სელჩუკიანთა ლაშქრის წამოსვლის შესახებ“.²¹ ბ. სილაგაძე მიიჩნევს, რომ თბილისის ალყის მოხსნა ლიპარიტის მოწინააღმდეგე ფეოდალების ინსპირირებული იყო²².

ითავითვე უნდა აღინიშნოს, რომ 1040 წლის ახლო ხანებში თურქ-სელჩუკებმა სამხრეთ აზერბაიჯანი კი არ დაიკავეს, არამედ მათ ამ პროვინციის მხოლოდ ნაწილი მოარბიეს. თავად იბნ ალ-ასირი წერს, რომ „ღუზებმა აზერბაიჯანამდე მიაღწიეს“.²³ ირანის დასავლეთ ნაწილში თურქული ტომების მასობრივი მიგრაცია გაცილებით გვიან მოხდა. თბილისის ალყის დროს კი არათუ საქართველოში, არამედ სამხრეთ კავკასიაში მათი შემოსევის საფრთხე არ არსებობდა. საილუსტრაციოდ, მოკლედ გავაღვიწყოთ თვალის თურქ-სელჩუკთა ირანში დამკვიდრების ისტორიას.

ირანში თურქ-სელჩუკთა გამონჩენამდე საკმაოდ სერიოზული

²⁰ ნ. შენგელია. სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, გვ. 174; პ. თოფურია. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI-XII საუკუნეში..., გვ., 194; ზ. პაპასქირი. შუა საუკუნეების საქართველო საერთაშორისო არენაზე. თბ. 1991, გვ. 5; მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი. ერთიანი ქართული სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური და დიპლომატიური ბრძოლა საერთაშორისო არენაზე სრული სუვერენიტეტის მოპოვება განმტკიცებისათვის XI ს-ის 20-80-იან წლებში. – ქართული დიპლომატიის ისტორია. თბ., 2003, გვ. 170.

²¹ მ. ლორთქიფანიძე. საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს. 80-იანი წლებიდან XI ს. 80-იან წლებამდე, გვ. 163.

²² ბ. სილაგაძე. არაბთა ბატონობა საქართველოში..., გვ. 222-223.

²³ ბ. სილაგაძე. არაბთა ბატონობა საქართველოში..., გვ. 221.

პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობდა. აბასიანთა სახალიფოს დაშლის შემდეგ ირანში ახალი პოლიტიკური ერთეულები ჩამოყალიბდა. IX-X საუკუნეებში უკვე მთელი ირანი მოფენილი იყო სხვადასხვა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნებით. 900 წელს ისმაილ სამანიდმა მოახერხა არა მარტო ხორასანის, არამედ მთელი აღმოსავლეთ ირანის ხელში ჩაგდება. თავისი ძლიერების ზენიტში სამანიდების სამეფო ფლობდა მავერანაჰრს, ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ირანს, მათ შორის ხორასანს. Xს. მიწურულს სამანიდების ეს წარმატება საფუძვლიანად შეირყა. დანაწევრების პროცესი უკვე თვით სამანიდების სამფლობელოებსაც შეეხო. ამ პერიოდში მათ საბოლოოდ ჩამოშორდა შუა აზია და ამუდარიის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, სადაც გაბატონდნენ თურქი ყარახანიდები.

აღმოსავლეთ ირანში და ავღანისტანში ჩამოყალიბდა ლაზნევიანთა სამეფო, რომელმაც მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია მაჰმუდ ლაზნევის მმართველობის დროს, როდესაც სამანიდების სამფლობელოს დიდი ნაწილი, მათ შორის, ხორასანი ლაზნევიანთა გავლენის ქვეშ მოექცა. ამდენად, აღმოსავლეთ ირანში X-XI საუკუნეების მიჯნაზე არსებობდა სამანიდების, ლაზნევიანთა და ყარახანიდების სახელმწიფოები. სწორედ ამ პოლიტიკურ ერთეულებთან მოუწიათ ურთიერთობა თურქ-სელჩუკებს თავიანთი დასავლეთის მიმართულებით დაწყებული მიგრაციის პირველ ეტაპზე.

დასავლეთ ირანშიც XI საუკუნის დასაწყისში ანალოგიური სიტუაცია სუფევდა. აქ რამდენიმე პატარა პოლიტიკური ერთეული არსებობდა, რომელთაგან გამოირჩეოდა რავადიანთა და შადდიანთა საამიროები. 1025 წლისათვის თურქ-სელჩუკთა ერთ-ერთი დიდი გაერთიანება ლაზნელთა მხარეზე გადვიდა და სულთან მაჰმუდს ხორასანში მიწების გამოყოფა სთხოვა. სწორედ ხორასანში სელჩუკთა გადასვლით იწყება ის დიდი თურქ-სელჩუკთა მოძრაობა, რომელმაც მოგვიანებით უდიდეს იმპერიას ჩაუყარა საფუძველი. მაგრამ, თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ეს იყო მხოლოდ შედარებით პატარა ჯგუფის გადასვლა ისტორიული ირანის ტერიტორიაზე. მიუხედავად იმისა, რომ მაჰმუდ ლაზნევის უახლოესი მრჩეველი და ვეზირი არსლან ჰაჯიბი საგანგე-

ბოდ ურჩევდა სულთანს უარი ეთქვა ოღუზთა ამ წინადადებაზე, იგი მაინც დათანხმდა მათ ჩამოსახლებაზე. თურქულ ტომებს საცხოვრებლად და საძოვრებისათვის ნესას, ფერავეს და აბივერდის რაიონი დაუთმეს. სამაგიეროდ, თურქ-სელჩუკებს სულთნისთვის ლაშქარი უნდა მიეშველებინათ²⁴.

ხორასანში თურქ-სელჩუკთა პირველი ტალღის გამოჩენის მიუხედავად, ძირითადი ნაწილი ოღუზი ტომებისა მაინც სირდა-რიისა და მავერანაჰრის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. შემდგომში დასავლეთ აზიის ისტორიაში კარგად ცნობილი ჩალრი-ბეგ დაუდი, თოდრულ-ბეგი და იბრაჰიმ-ინალი ჯერ კიდევ ყარახანიდების სამფლობელოებში მომთაბარებოდნენ. მათი მიგრაცია დასავლეთ აზიის მიმართულებით შედარებით გვიან დაიწყო. 1035 წელს ჩალრი-ბეგ დაუდმა და თოდრულ-ბეგმა ხორასანში გადასვლა გადაწყვიტეს და იმავე წლის მაისში აბუ-დარია გადალახეს. სელჩუკთა ახალი ტალღა ნესასა და ფერავეს გარშემო დაბანაკდა. ხორასანში თურქ-სელჩუკთა დიდი ნაკადის გადმოსვლისთანავე, ამ უკანასკნელთ, შეუერთდა მაჰმუდ ღაზნევის მიერ რამდენიმე წლით ადრე გადმოსახლებული ოღუზ-თურქებიც²⁵.

სულთანი მასუდი, ამჯერად, საკმაოდ უარყოფითად შეხვდა სელჩუკთა ხორასანში ჩამოსახლებას. მან თურქული ტომების განდევნა გადაწყვიტა და ლაშქრობის სამზადისს შეუდგა. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა 1035 წელს ფერავესა და შაჰრესთანს შორის. ამ ბრძოლაში სულთნის არმია სასტიკად დამარცხდა²⁶. სელჩუკებმა დიდძალი ნადავლი იგდეს ხელთ, მათ შორის, სულთან მასუდის ხაზინა. ამ მარცხის შედეგ, ღაზნევიანთა სამეფო იძულებული შეიქმნა ხელშეკრულება დაედო თურქ-სელჩუკებთან, რომლის ძალითაც ამ უკანასკნელთა კუთვნილებაში გადადიოდა ხორასანის საკმაოდ დიდი ტერიტორია – ნესა, ფერავე და ღე-

²⁴ მაჰმუდ ღაზნევი არ მიიღო თავისი ვეზირის რჩევა, რომ აბუდარიაზე გადმოსული ყველა თურქისათვის თითო მოეჭრათ, მაგრამ, სამაგიეროდ, სულთანმა ბრძანა, რომ ყველასათვის იარაღი აეყარათ.

²⁵ **С. Г. Агаджанов.** Очерки истории огузов и туркмен Средней Азии IX-XIII вв. Ашхабад, 1969, გვ. 202-203; **David Morgan.** Medieval Persia 1040-1797. L., 1988, გვ. 26.

²⁶ **ნ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, გვ. 83.

ჰისტორი²⁷. მაგრამ ამ შეთანხმებამ რამდენიმე თვე გასტანა. 1036 წლის თებერვალში ღაზნელთა სახელმწიფოს ზედაფენის ზეწოლის შემდეგ მასუდმა თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ახალი ლაშქრობა მოაწყო, მაგრამ მისმა მხედრობამ კვლავ მარცხი განიცადა, რასაც მოჰყვა სელჩუკთა ახალი მოთხოვნები. მათ პრეტენზიებზე მასუდმა უარით უპასუხა. ეს იქცა საბაბად და თურქ-სელჩუკები თავად გადავიდნენ შეტევაზე. მათ 1037წ. 22 აპრილს აიღეს ქ. მერვი. სრულიად სამართლიანად ფიქრობს ბ. ზახოდერი, რომ მერვის აღებით, ფაქტობრივად, საფუძველი ჩაეყარა სელჩუკთა დამოუკიდებელ სახელმწიფოს, ვინაიდან სწორედ ამ ქალაქში თურქ ოღუზთა წინამძღოლებმა მოითხოვეს ხუტბა წარმოეთქვათ არა სულთან მასუდის, არამედ ჩაღრი-ბეგ დაუდის სახელზე²⁸.

დაცემის პირას მყოფ ღაზნელთა სახელმწიფოს საფუძველზე უკვე შეიმჩნევა ახალი, მზარდი პოლიტიკური გაერთიანების კონტურები. ქ. მერვის აღების შემდეგ კი თურქ-სელჩუკებმა თავიანთ დაპყრობით ომებს ახალი მასშტაბები შესძინეს. 1038 წელს მათ ხორასანში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქალაქი ნიშაპური აიღეს და თოღრულ-ბეგი ხორასანის სულთანად აირჩიეს²⁹. XI ს. 30-იანი წლების მიწურულს აზიის პოლიტიკურ რუკაზე ახალი სახელმწიფო გამოიკვეთა. სელჩუკთა ასეთმა წარმატებამ დიდად შეაშფოთა ღაზნევიანთა სახელმწიფოს მესვეურნი. 1038 წლის დასასრულს მასუდ ღაზნევმა მოაწყო ყველაზე დიდი ლაშქრობა სელჩუკთა წინააღმდეგ. თითქმის წელიწად ნახევარი სულთანი სასტიკად ებრძოდა თურქ ოღუზებს ხორასანში, მაგრამ მთელი ეს კამპანია 1040წ. მაისში, დენდანეკანთან ღაზნელთა სასტიკი დამარცხებით დასრულდა³⁰. ამიერიდან, ხორასანი საბოლოოდ გადავიდა სელჩუკთა ხელში. თოღრულ-ბეგი კი სიმბოლურად ბრძოლის ველზე დასვეს ტახტზე. აღმოსავლეთ ირანის უძლიერესი რეგიონის ხელთგდების შემდეგ თურქ-ოღუზთათვის უკვე გზა ხსნი-

²⁷ **ბ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, გვ. 83-84.

²⁸ **Б. Заходер.** Хорасан и образование государства Сельджуков. – *Вопросы Истории*, № 3-4, 1945, გვ. 140.

²⁹ **С. Г. Агаджанов.** Очерки истории огузов и туркмен., გვ. 211.

³⁰ **ბ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში., გვ. 89.

ლი იყო ირანის ცენტრალურ და დასავლეთ პროვინციებისაკენ, აქედან კი ბიზანტიისაკენ.

დასავლეთ ირანის მიმართულებით თურქული ტომების აქტიური მიგრაცია დაიწყო XI ს. 30-40-ანი წლების მიჯნაზე. დენდანეკანთან ბრძოლის შემდეგ თოღრულ-ბეგმა მოახერხა რამდენიმე სერიოზული პუნქტის დაკავება ირანში. თანდათანობით თურქოლუხთა ხელში გადადის რეი, გურგანი, ტაბარისტანი, ჯიბალი. ამ დროს, ჩარლი-ბეგ დაუდი, ძირითადად, ირანის სამხრეთ-აღმოსავლეთი პროვინციების დაპყრობით იყო დაკავებული. თურქ-სელჩუკები ბიზანტიის საზღვრებთან XI ს. 30-იან წლებში გამოჩნდნენ, მაგრამ ძირითადად ეს იყო დაზვერვითი და მარბიელი ხასიათის ლაშქრობები. პირველი ლაშქრობა ბიზანტიის შემადგენლობაში მოქცეულ სომხურ პროვინციებზე, თურქ-სელჩუკებმა განახორციელეს სამხრეთ აზერბაიჯანიდან 1037/1038 წლებში³¹. სირიული წყაროების მიხედვით კი, პირველი დიდი ბრძოლა სელჩუკებსა და ბიზანტიელებს შორის მომხდარა 1037 წელს ქ. ბერკლის მიდამოებში, სადაც თურქოლუხებს სერიოზული წარმატებისთვის მიუღწევიათ³². ამ დროიდან მოყოლებული, ბიზანტიის იმპერიის წინაშე, მართალია, მთელი სიმწვავეით არა, მაგრამ უკვე დადგა ოლუხთა მარბიელი ლაშქრობების პრობლემა³³.

1040 წლისათვის თურქ-სელჩუკები, ძირითადად, აღმოსავლეთ ირანის დაპყრობით იყვნენ დაკავებულნი. მათი სამხრეთ აზერბაიჯანში გამოჩენა, მხოლოდ მარბიელი ლაშქრობა იყო და მეტი არაფერი. ს. მარქარიანის მითითებით, თურქ-სელჩუკებმა, მხოლოდ, 1055წ. მიწურულს მოახერხეს დასავლეთ ირანის დაპყრობა³⁴. ამდენად, ცალსახად უნდა ითქვას, რომ XI ს. 40-იანი წლების დასაწყისში თურქული ტომების შემოსევის არავითარი საფ-

³¹ С. Г. Агаджанов, К. Н. Юзбашян. К истории тюрских набегов на Армению в XI в. – *Палестинский сборник*, вып. 13(76). М.-Л., 1965, გვ. 157.

³² Р. А. Гусейнов. Взаимоотношения Византии и Сельджуков в Малой Азии в XI- XII в.в.(По сирийским источникам). – *Средневековый Восток*, М., 1980, გვ. 121.

³³ К. Н. Юзбашян. Армянские государство эпохи Багратидов и Византия. IX-XI вв. М., 1988, გვ. 220.

³⁴ С. А. Маркарян. Сельджуки в Иране XI веке. Саратов, 1991, გვ. 220.

რთხე საქართველოში არ არსებობდა. ისინი მოძრაობდნენ თბილისიდან კარგა მოშორებით და იმისათვის, რომ ოლუზები გარემოცულ ქალაქს მიშველებოდნენ, საჭირო იყო მათ გამოევლათ სამხრეთ კავკასიისა და მის მომიჯნავე ტერიტორიაზე არსებული რამდენიმე პოლიტიკური ერთეული, რაც ერთობ რთული, შეიძლება ითქვას, წარმოუდგენელი, სამხედრო რეიდი იქნებოდა. თურქ-სელჩუკთა შემოსევის საფრთხეს ამ პერიოდში არ გრძნობდნენ სამხრეთ აზერბაიჯანის მოსაზღვრე რეგიონები. მაგალითად, დვინის ამირა აბუ-ლ-ასვარი სწორედ 1040 წელს ებრძოდა ტაშირ-დორაგეტის მეფეს დავითს. ისე გამოდის, რომ მხოლოდ ქართველებს შეეძინებიათ და პანიკურ მდგომარეობაში ჩავარდნილან აზერბაიჯანში თურქ-ოლუზთა მარბიელის გამოჩენის გამო. ასეთი ვარაუდი, უდავოა, გადაჭარბებულია. შეუძლებელია, საქართველოდან რამდენიმე ასეული კილომეტრით დაშორებულ რეგიონში სათარეშოდ წამოსული ოლუზთა მოსვლა ბაგრატ IV-სა და სამეფო კარს სერიოზულად მიეღო.

იბნ ალ-ასირის მონათხრობს თუ კარგად ჩავუკვირდებით, დავინახავთ, რომ მემატთანე არსად არ მიუთითებს, რომ თურქები ამირა ჯაფარის დასახმარებლად მოდიოდნენ. ისტორიკოსი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ჯაფარმა „სამხედრო მხარდაჭერა სთხოვა“ აზერბაიჯანის მუსლიმებს. ამ დროს ოლუზებმა აზერბაიჯანამდე მოაღწიეს და „აფხაზებმა მათი მოახლოება შეიტყვეს და ისიც გაიგეს, თუ როგორ უსწორდებოდნენ ისინი სომხებს, შიშისაგან თბილისს მაშინვე ალყა მოხსნეს და დატოვეს“. როგორც ვხედავთ, ამ ცნობაში არსად ნათქვამი არ არის, რომ ოლუზები საქართველოსაკენ წამოსულან ამირას დასახმარებლად. იბნ ალ-ასირი მხოლოდ მიუთითებს, რომ თურქ-სელჩუკები აზერბაიჯანში მოვიდნენ, მათი მარბიელი ლაშქრობით შეშინებულმა ქართველებმა ალყა მოხსნესო. ჩვენი აზრით, ეს ორი მოვლენა ერთმანეთს დაემთხვა, იბნ ალ-ასირმა კი ისინი, რატომღაც, ურთიერთს დაუკავშირა.

ის ფაქტი, რომ საქართველოში არავითარი თურქ-სელჩუკთა შემოსევის საფრთხე არ არსებობდა და, საერთოდ, ბაგრატ IV-ის და ამირა ჯაფარის დაზავებას არავითარი კავშირი არ ჰქონ-

და ოლუზების აზერბაიჯანში გამოჩენასთან, კარგად ჩანს „მატიანე ქართლისაჲს“ მონათხრობიდან. აქ მოვლენები სულ სხვაგვარადაა გადმოცემული. თბილისის გარემოცვის დასრულების შემდეგ, მეფე, კახეთ-ჰერეთის სამეფოს წინააღმდეგ ლაშქრობს. ამ შემთხვევაში იბადება კითხვა, თუ არსებობდა რეალური საფრთხე თურქთა შემოჭრისა, მაშინ რატომ არ განახორციელა სამეფო კარმა რაიმე ღონისძიება ამ მიმართულებით? „მატიანე ქართლისაჲში“ ისე ჩანს, რომ ბაგრატ IV-ს საერთოდ არ აწუხებდა ეს პრობლემა. მას გააჩნია თავისი გეგმა, რომელიც კახეთ-ჰერეთის შემოერთებას ისახავს მიზნად და იგი ამ ჩანაფიქრს ახორციელებს. მოგვიანებით, თურქ-სელჩუკები გაცილებით ახლოს იყვნენ საქართველოს საზღვრებთან, უფრო მეტი იყო მათი ჩვენს ქვეყანაში შემოჭრის საშიშროება, მაგრამ ამას არ შეუშლია ხელი ბაგრატ IV-თვის თავისი პოლიტიკა ეწარმოებინა თბილისის საამიროს, კახეთ-ჰერეთის თუ ტაშირ-ძორაგეტის სამეფოების მიმართ.

სწორედ ეს მომენტები გვაფიქრებინებს, რომ არ უნდა იყოს მართებული ოლუზთა მარბიელი რაზმების სამხრეთ აზერბაიჯანში გამოჩენა და თბილისის ალყის მოხსნა ერთმანეთს დაუკავშიროთ. როგორც ზემოთ ითქვა, საყურადღებოა ასევე ის ფაქტი, რომ ამავე პერიოდში, 1040 წელს, ტაშირ-ძორაგეტის ასაოხრებლად დაძრულა დვინის ამირა აბუ-ლ-ასვარი. ამ მოვლენას დაწვრილებით მოგვითხრობს მათეოს ურჰაეცი. დავით კვირიკიანს დახმარება გაუწია ბაგრატ IV-მაც, რომელმაც 4000 კაცი გაუგზავნა. დავითმა დახმარება სთხოვა ასევე იოანე სუმბატს, რომელმაც ტაშირ-ძორაგეტის მეფეს 4000 კაცი მიაშველა. კოალიციურმა არმიამ, რომელშიც 20000 კაცი შედიოდა, სასტიკად დაამარცხა აბუ-ლ-ასვარი³⁵. ეს ცნობა თვალნათლივ ცხადყოფს, რომ ბაგრატ IV-ის წინაშე არავითარი საფრთხე თურქ-სელჩუკთა შემოსევებისა არ არსებობდა. პირიქით, საქართველოს მეფე საკმაოდ აქტიურ პოლიტიკას აწარმოებს კახეთ-ჰერეთის შემოერთე-

³⁵ აღნიშნულ საკითხზე იხ.: ქ. ქუთათელაძე. ტაშირ-ძორაგეტის სამეფო X საუკუნის ბოლოს და XI საუკუნის I ნახევარში (გურგენ-კვირიკე I, დავით „ანჰოლინი“). – კრ.: *დმანისი*, ტ. II. თბ., 2000, გვ., 201.

ბისა თუ ტაშირ-ძორაგეტის სამეფოსთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შეკვრის სახით.

იმის შესახებ თუ რა მოხდა სინამდვილეში თბილისის ალყის ჟამს, საკმაოდ ნათლადაა მოთხრობილი „მატიანე ქართლისაჲში“: „და რომელთამე დიდებულთა აფხაზთა მეფისათა ლიპარიტისაგან, ფარულად გააზრახეს მეფესა არა განძება ამირასი, და ფარულად ლიპარიტისაგან დაჰკიდეს ზავი ამირასა, გამოაცხადეს და დამკვდრეს ამირა ტფილისსავე ზედა“.³⁶ როგორც ვხედავთ, მოვლენები სულ სხვა სცენარით განვითარებულა. ირკვევა, რომ ქალაქ თბილისისათვის ალყის მოხსნა გარეშე საფრთხეს კი არ გამოუწვევია, არამედ ქვეყნის შიგნით არსებულ პოლიტიკურ დაჯგუფებათა შორის ფარულ თუ აშკარა დაპირისპირებას.

ამ დროს საქართველოს სამეფო კარზე მიდიოდა გაცხოველებული კონკურენცია პოლიტიკურ კლანებს შორის. ეს დაჯგუფებები ცდილობდნენ მეფეზე ზეგავლენის მოხდენას და, რაც მთავარია, მიისწრაფვოდნენ, მეფის დასაყრდენი გამხდარიყვნენ. ამ ფეოდალთათვის ყოველად მიუღებელი იყო მეფეზე ლიპარიტ ბაღვაშის გავლენის ზრდა. ამ გზით ისინი ჩრდილში ექცეოდნენ. თბილისის ალყის შემთხვევაში ბაღვაშის ავტორიტეტი ერთიორად გაიზრდებოდა, ამის შემდეგ მის წინააღმდეგ ბრძოლა უდაოდ ძნელი იქნებოდა. ლიპარიტის მოწინააღმდეგე ფეოდალებს, როგორც რამდენიმე წლის წინ, ამჯერადაც მიეცათ შანსი, ჩაეშალათ კლდეკარის ერისთავის წამოწყება და ამით ხელი შეეშალათ მისი გაძლიერებისათვის. მათ ეს მომენტი ხელიდან არ გაუშვეს.

როგორ დაიგეგმა პოლიტიკური ინტრიგა ლიპარიტის წინააღმდეგ? საბედნიეროდ „მატიანე ქართლისაჲს“ ესა თუ ის ცნობა საშუალებას გვაძლევს უფრო ღრმად ჩავწვდეთ მოვლენებს და მოვახდინოთ რეკონსტრუირება იმ პოლიტიკური პროცესისა, რომელმაც მოგვიანებით სამოქალაქო ომამდე მიიყვანა ქვეყანა. ლიპარიტის გავლენა ბაგრატ IV-ზე აშკარაა. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ სამეფო კარის მიერ ამირა ჯაფართან დადებული შეთანხმება, რომლის ძალითაც თბილისის ამირა კვლავ

³⁶ მატიანე ქართლისაჲს..., გვ. 297-298.

დაბრუნდა ქალაქში, მალევე დაირღვა, სწორედ ლიპარიტის ინიციატივით. კლდეკარის ერისთავმა მოახერხა სამეფო კარისათვის მიეღებინებინა ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც საფუძველშივე ეწინააღმდეგებოდა ცენტრალური ხელისუფლების მიერ მცირე ხნის წინ გადადგმულ ნაბიჯს, შერიგებოდნენ ამირა ჯაფარს. ეს აშკარად მეტყველებს, ერთის მხრივ, სამეფო კარზე ლიპარიტის გავლენაზე და, მეორეს მხრივ, სამეფო ოჯახის კეთილგანწყობილ დამოკიდებულებასა და ნდობაზე კლდეკარის ერისთავის მიმართ. ბუნებრივია, ამ დეტალის შესახებ ლიპარიტის მოწინააღმდეგე დაჯგუფებას შესანიშნავად ეცოდინებოდა. ამიტომაც, პირდაპირ კლდეკარის ერისთავზე იერიშის მიტანა, საკმაოდ რთული იყო. იმის დაშვება, რომ ლიპარიტისადმი მტრულად განწყობილი ძალები შეეცდებოდნენ ბაგრატის დარწმუნებას კლდეკარის ერისთავის დალატში, არ გვეჩვენება ლოგიკურად. სამეფო ოჯახს 1040 წლამდე არ ჰქონდა არავითარი საბაბი ეჭვი შეეტანა ლიპარიტის ერთგულებაში.

მაშ, რა მოხდა და როგორ მოახერხეს „დიდებულთა აფხაზთა“ მეფესა და ლიპარიტს შორის ქიშპის ჩამოგდება. „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი ამაზე საგანგებოდ მსჯელობს: „დიდებულთა აფხაზთა მეფისათა“ ლიპარიტისაგან ფარულად დაარწმუნეს მეფე თბილისის გარემოცვის შეწყვეტაში და „ფარულად ლიპარიტისაგან დაჰკიდეს ზავი ამირასა“.³⁷ ეს მეტად მნიშვნელოვანი ცნობაა და ბევრ რამეს ჰფენს ნათელს. შემთხვევითი არ არის, რომ ამ ერთ წინადადებაში ორჯერაა ნახმარი სიტყვა „ფარულად ლიპარიტისაგან“. აშკარაა, რომ ჩვენ საქმე გვაქვს კლდეკარის ერისთავის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებასთან. მაგრამ მთავარი, ამჯერად, ჩვენთვის ერთი დეტალის გარკვევაა. რა გზით მოახერხეს „დიდებულთა აფხაზთა“ მეფის დაყოლიება, გადაედგა ლიპარიტის საწინააღმდეგო ნაბიჯი. ჩვენის აზრით, სწორედ აქ იშლება მთელი ამ მოვლენის მთავარი ინტრიგა.

კლდეკარის ერისთავის მოწინააღმდეგე დიდებულებისათვის მთავარი იყო ლიპარიტისათვის წაერთმიათ პოლიტიკური ინიცი-

³⁷ მატიანე ქართლისაჲს..., გვ. 297

ატვიკა. ყველასათვის ცნობილი იყო, რომ თბილისის შემოერთებისათვის ბრძოლა ლიბარტიის ლიდერობით წარმოებდა. როგორც ზემოთ ითქვა, პირდაპირ კლდეკარის ერისთავის კომპრომეტირება შეუძლებელი იყო. ისინი, საფიქრებელია, გარკვეულ არგუმენტებს იშველიებდნენ და ამის მეშვეობით სასურველ გადაწყვეტილებას აღებინებდნენ ბაგრატ IV-ს. საქართველოს მეფე ამ დროს 18-20 წლის ყმაწვილია. რა თქმა უნდა, იგი ისე კარგად ვერ იქნებოდა გაწაფული პოლიტიკურ ინტრიგებში, რომ ყოველივე მის გარშემო მომხდარი სათანადო სიღრმით გაეაზრებინა და შესაბამისი შეფასება მიეცა. ამიტომ, საფიქრალია, ბაგრატ IV ადვილად ექცეოდა სხვათა გავლენის ქვეშ და ამით კარგად სარგებლობდნენ სამეფო კარზე მოქმედი კლანები. ჩვენი აზრით, მოწინააღმდეგე ბანაკმა, კლდეკარის ერისთავზე პირდაპირი იერიში კი არ მიიტანა, არამედ მათ, მეფეს შესთავაზეს „აფხაზთა სამეფოს“ გაძლიერების და გაფართოვების სხვა უფრო მომგებიანი წინადადება. ლიბარტიის გეგმის საპირისპიროდ, ჩვენი აზრით, ამ დაჯგუფებას უნდა წამოეყენებინა კახეთ-ჰერეთის შემოერთების იდეა და ამ კუთხით თბილისის გარემოცვისას გარკვეული სამუშაოც გაეწია. „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორს შემონახული აქვს ერთი საყურადღებო მინიშნება: „იბირნა აფხაზთა მეფემან კახნი, – დასძენს მემატინანე, – აშოტი მთავარი მარილელი, დისიძე კვრიკე მეფისა, და ხახულა გურთა ჯურის-ციხითა; და მოეყარა აფხაზთა მეფე ქალაქსა და ემტერა კახთა“.³⁸

ამ ციტატიდან ისე ჩანს, თითქოს ამ ფეოდალთა გადაბირება პირადად მეფეს ეწარმოებინა, მაგრამ, უდაოა, ეს ასე არ იქნებოდა. მეფე თავად არ დაიწყებდა ფარულ მოლაპარაკებას კახეთ-ჰერეთის ფეოდალებთან. ეს მის წოდებრივ მდგომარეობას არ შეეფერებოდა და ამას არც სამეფო კარი არ დაუშვებდა. ამასთა-

³⁸ **მატიანე ქართლისა...** გვ. 298. ილ. ანთელავას აზრით, „ხახულა გურთას“ მაგიერ უნდა წავიკითხოთ სახელი „ხახულაგურნი.“ ტექსტი კი ასე უნდა გაგმართოთ: „ხახულაგურნი ჯურის-ციხითა.“ **ილ. ანთელავა.** მასალები „მატიანე ქართლისას“ ტექსტის დადგენისა და ინტერპრეტაციისათვის, წგნ.: **ილ. ანთელავა** საქართველოს საისტორიო-წყაროთმცოდნეობითი ძიებანი. თბ. 2002, გვ. 248.

ნავე, ბაგრატ IV ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო ასეთი საიდუმლო მოლაპარაკებების წარმართვისათვის. უპრიანია ვიფიქროთ, რომ მთელი ეს პროცესი, კახეთ-ჰერეთის ერისთავების მოსყიდვა-გადაბირება, სამეფო კარზე მოღვაწე დიდებულებმა განახორციელეს. არ გამოვრიცხავთ არც იმას, რომ მათ მეფე ფაქტის წინაშე დააყენეს.

კახეთ-ჰერეთის მეფის კვირიკე III დიდის გარდაცვალების შემდეგ მეფედ კვირიკეს დისშვილი, ტაშირ-ძორაგეტის მეფის დავითის ვაჟი – გაგიკი ავიდა. როგორც ჩანს, გაგიკის გამეფებით კახეთ-ჰერეთში ყველა არ იყო კმაყოფილი. ეს ეცოდინებოდათ აფხაზთა მეფის კარზეც. კვირიკე III-ს მეორე დაც ჰყავდა, რომელიც მარილისის (პანკისის) ერისთავზე ყოფილა გათხოვილი. აშოტ მარილელის გარშემო შემოიკრიბა გაგიკის მოწინააღმდეგე ბანაკი. ბაგრატ IV-ის დიდებულებმა სწორედ მათთან გააბეს კავშირი და დახმარება აღუთქვეს კახეთ-ჰერეთის მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამ მოვლენების ანალიზისას ერთი რამ არის თვალში საცემი: რატომღაც „აფხაზთა“ სამეფოს დიდებულები ჩქარობენ. ხომ შეიძლებოდა ჯერ თბილისის შემოერთების საქმე დასრულებულიყო და მხოლოდ შემდეგ მიეხედათ კახეთ-ჰერეთისათვის? აშოტ მარილელის განწყობა გაგიკისადმი ყოველთვის ასეთი იქნებოდა. მას, ბუნებრივია, თავისი ამბიციები ამოდრავებდა და მისით მანიპულირება ბაგრატ IV-ს და მის მომხრეებს ყოველთვის შეეძლოთ. მთავარი იყო ის, რომ აშოტ მარილელი წამოვიდა ფარულ კავშირზე „აფხაზთა“ სამეფოს წარმომადგენლებთან. არაფერი არ ედგა წინ იმას, რომ ყველაფერი ეტაპობრივად გადაწყვეტილიყო, ჯერ თბილისის შემოერთების საქმე, შემდეგ კი კახეთ-ჰერეთის პრობლემა. მაგრამ აშოტ მარილელისა და მისი მომხრეების გადმობირების ინიციატორებმა, ბაგრატ IV-ს სრულიად სხვა გადაწყვეტილება მიაღებინეს. როგორც ჩანს, ეს დიდებულები, თავის მხრივ, ლიპარიტთან იყვნენ დაპირისპირებულნი.

ამას გვაფიქრებინებს ის ფაქტი, რომ მთლიანობაში კახელი ფეოდალების მიმხრობა ლიპარიტის წინააღმდეგ მიმართული გეგმის შემაღვენილი ნაწილი აღმოჩნდა. შეუძლებელია, ეს დამო-

ხვევა უბრალო შემთხვევითობა იყოს. „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი, ამ მოვლენების თანამედროვე, პირდაპირ აღნიშნავს, რომ კახეთ-ჰერეთზე ლაშქრობა კლდეკარის ერისთავისაგან „ფარულად“ დაუგეგმავთ. ბაღვაშის მოწინააღმდეგე კლანმა მეფეს დაუხატა ბრწყინვალე პერსპექტივა კახეთ-ჰერეთის შემოერთებისა. ამასთანავე, გარკვეული მუშაობა ამ მიმართულებით უკვე ჩატარებული იყო. საქმე მართლაც რომ გადაუდებელი ჩანდა და ბაგრატ IV-მ „რომელთა დიდებულთა აფხაზთა“ შეგონებით თბილისის გარემოცვას, კახეთ-ჰერეთის შემოერთება არჩია. ლიპარიტ ბაღვაშის ინიციატივა სამეფო კარმა კიდევ ერთხელ ჩააგდო. სწორედ ამას მოაყოლებს „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი თავის ცნობილ ფრაზას: „და მიერთგან შეიქმნა ლიპარიტ ქუეგამხედვარად თავისი პატრონისაგან“.

ერთი სიტყვით, საქართველოს მეფემ გადადგა ნაბიჯი, რომელიც საფუძველშივე ეწინააღმდეგებოდა ლიპარიტ ბაღვაშის პოლიტიკურ კურსს. სწორედ ეს იქცა კლდეკარის ერისთავის გაორგულების საბაზად. დაიწყო ბაგრატ IV-ისა და ლიპარიტ ბაღვაშის კონფლიქტი, რომელიც შესვენებებით 15 წელს გაგრძელდა.

ДЖАБА Г. САМУШИЯ

О ПРИЧИНЕ, ВЫЗВАВШЕЙ КОНФЛИКТ МЕЖДУ БАГРАТОМ IV И ЛИПАРИТОМ БАГВАШИ

С 40-х годов XI века в Грузии резко обострилась внутриполитическая обстановка, которая привела к длительной военной конфронтации между царём Багратам IV-м и феодальной оппозицией и, которая, с перерывами, продолжалась почти два десятка лет. Причиной этой междоусобицы явилось противостояние между политическими группировками при царском дворе, боровшимися за первенство. Для определённой части феодалов было неприемлемым возрастание влияния Липарита Багваши. Их особенно волновала заинтересованность Клдекарского эристава в незамедлительном присоединении Тбилиси, что могло привести к дальнейшему усилению могущества всесильного феодала. Поэтому противниками Липарита царю был предложен другой, не менее привлекательный, план расширения „Абхазского“ царства – воссоединение Кахети-Эрети. Были даже предприняты некоторые действия в этом направлении. Дело и правду казалось неотложным и Баграт IV, по увещанию западно-грузинской знати, вместо Тбилиси, отдал предпочтение присоединению Кахети-Эрети, чем вызвал гнев Липарита Багваши. Это и послужило причиной вероломства Клдекарского эристава. Началась кровопролитная междоусобица Баграта IV с Липаритом Багваши, которая завершилась лишь во II пол. 50-х годов XI века.

DJABA SAMUSHIA

CAUSES OF THE CONFLICT BETWEEN BAGRAT IV AND LIPARIT BAGHVASHI

From 1040's the political situation in Georgia became strained and resulted in the prolonged conflict between king Bagrat IV and feudal opposition, which lasted, with pauses, for almost twenty years. The confrontation between political groups, who were seeking the leadership at the court, was the cause of this intestine war. The increased influence of Liparit Baghvashi was unacceptable for the certain part of Georgian feudals. They were especially worried with the interest of the Eristavi of Kldekari with the immediate annexation of Tbilisi, which would result in the further strengthening of the mighty feudal. Because of this, Liparit's adversaries proposed one more attractive plan of "Abkhaz" kingdom's enlargement of the – reunification of Kakheti-Hereti. There were taken some actions in that direction. The matter looked urgent and Bagrat IV, following the advices of the Western Georgian nobility, gave the preference to the annexation of Kakheti-Hereti. This decision angered Liparit Baghvashi. There began the internecine war between Bagrat IV and Liparit Baghvashi, which ended only in the second half of 1050's.

აკაკი ჩიქობავა

ოდიშ-აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფიის რამდენიმე საკითხი ჯაკომო კანტელის 1689წ. იტალიური რუკის მიხედვით

ჯაკომო კანტელის 1689 წლის იტალიური რუკა „ევროპის თათრეთი“ (Tartaria d'Europa), გამოქვეყნებულია დე როსის მიერ, რომში, თავის გამომცემლობაში, წმინდა პონტიფიკის (ე. ი. რომის პაპის კანცელარია) დაკვეთით. მისი მოკლე მიმოხილვა გამოქვეყნებულია „ქართული დიპლომატიის“ წელიწდეულში დ. ნინიძის მიერ¹. აღნიშნული რუკა მოგვაწოდა ბ-ნმა დავით ნინიძემ, რისთვისაც მადლობას მოვასხენებთ.

რუკაზე საქართველო („GEORGI“) დაყოფილია ცალკეულ ერთეულებად და სხვადასხვა ფერადაა აღნიშნული, ისინი ერთმანეთისაგან წყვეტილი საზღვრებითაა გამოყოფილი. ესენია: „regno di zacheti“ – კახეთის სამეფო, რომელიც ყავისფრადაა აღნიშნული; „regno di carduel“ – ქართლის სამეფო, ლურჯად აღნიშნული; მუქი ყავისფრადაა აღნიშნული „regno di Baratralu al turcho“ – საათაბაგო; ასევე ყავისფრადაა „regno di imereti“ – იმერეთის სამეფო; მოწითალო ფერითაა „POPLI LIBEREL cavcaso“ – ანუ კავკასიის თავისუფალი ხალხი, ესენია: „Alani“ – ალან-ოსები, „Scuani“ – სვანები, „caracioli“ – ყარაჩაელები; მწვანეაა აღნიშნული ტერიტორია წარწერით „MENGRELIA“ – სამეგრელო, რომელიც ორ ნაწილად „Regno di Guriel“ – გურიელის სამეფო და „Regno di Odisci“ – ოდიშის სამეფო იყოფა. იასამ-

¹ დ. ნინიძე. ორი რუკა გვიანი შუა საუკუნეების დასავლეთ საქართველოს შესახებ. – *ქართული დიპლომატია*, წელიწდეული, ტ. 11. თბ., 2004, გვ. 487, 490; დ. ნინიძე. XVI საუკუნის ევროპული რუკები დასავლეთ საქართველოს (სამეგრელო-აფხაზეთი) შესახებ (№3). – *ქართული დიპლომატია*, წელიწდეული, ტ. 12, თბ., 2005, გვ. 357, 369.

ნისფერადაა „Abasia o Abcassia“ – აფხაზეთი, ხოლო „Auogasia“ – ჯიქეთი ვარდისფერადაა აღნიშნული.

ამჯერად ჩვენი ინტერესის ობიექტს ოდიშ-აფხაზეთის მონაკვეთი წარმოადგენს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტერიტორია წარწერით „MENGRELIA“ ორ ნაწილად იყოფა. ოდიში და გურია წყვეტილი ხაზითაა გამოყოფილი, ეს ხაზი კი მდინარე რიონზე გადის. ჩვენი აზრით აღნიშნული რუკა ლევან II დადიანის (1611-1657წწ.) მმართველობის ეპოქას უნდა ასახავდეს, რადგანაც იმ პერიოდში გურიის სამთავრო პრაქტიკულად დადიანს ემორჩილებოდა. ჩვენს მოსაზრებას ისიც ამყარებს, რომ კანტელის რუკა მსგავსებას იჩენს არქანჯელო ლამბერტისა და ქრისტოფორო კასტელის სამეგრელოს რუკებთან², რომლებიც სწორედ ლევან II დადიანის ეპოქის რეალობას ასახავენ.

„Sebastopoli, et faso“ – ფოთი, გურიის სამთავროს (Regno di guriel) ტერიტორიაზეა დატანილი. საზღვარი ოდიშსა და გურიას შორის მდინარე რიონზე (faso, et fi.) გადის. ფოთი ამავე სახელწოდებითაა ლამბერტის 1654 წლის სამეგრელოს რუკაზე. აი, რას წერს ლამბერტი ამ პუნქტზე თავის „სამეგრელოს აღწერაში“: „ფაზისი ზღვას შეერთვის ორი ტოტით. ამ ტოტებს შორის არის კუნძული, რომელზედაც თურქებმა 1578 წელს ციხე ააგეს“.³

რუკის მიხედვით, რიონის შემდეგი მდინარე, რომელიც შავ ზღვას ერთვის, „Cianis fi“ – ჭანისწყალია. თუმცა ეს მდინარე სინამდვილეში ხობისწყალი უნდა იყოს, შეცდომა კი იმითაა გამოწვეული, რომ ჭანისწყალი მდინარე ხობისწყლის მარჯვენა შენაკადია. რიონსა და მდ. ხობისწყალს შორის მოცემულია „Copsis“ – ხობი. ხობისწყლის მარჯვენა ნაპირზეა „Ruchi“ – რუხი და „Ciais“ – ცაიში. ამის შემდეგ მოდის მდინარე ენგური – „Engur fi“, მის მარჯვენა მხარესაა „nagria“ – ანაკლია. მომდევნო მდინარეა „Heti fi“ – ერისწყალი, ერთისწყალი; იქვეა პუნქტი „Teheis“, რომელიც ასეთივე ადგილზეა მოცემული ლამბერტის 1654 წლის სამეგრე-

² **Б. Гогия.** Абхазия – историческая провинция Грузии. Париж-Тбилиси, 2005, გვ. 45-49, 50-56.

³ **არქანჯელო ლამბერტი.** სამეგრელოს აღწერა. იტალიურიდან თარგმნა **ალექსანდრე ჭყონიამ.** გამოსაცემად მოამზადა წინასიტყვაობა დაურთო **ილია ანთელავამ.** თბ., 1991, გვ. 159.

რელოს რუკაზე⁴. მისი იდენტიფიკაცია ვერ ხერხდება, რადგან ამ-
დაგვარი ან მსგავსი ტოპონიმი ამ მხარეში არ დასტურდება. „Te-
heis“ თ. ბერაძეს ცაიშად მიაჩნია. ის აღნიშნავს: „რუკაზე (იგუ-
ლისხმება ლამბერტის რუკა – ა.ჩ.) შესაბამის ადგილას არაა
მოცემული ცაიში, რომელიც „სამეგრელოს აღწერაში“ მოხსენი-
ებულია როგორც საეპისკოპოსო ცენტრი. სხვა საეპისკოპოსო
ცენტრები კი დატანილია. ამიტომ ლამბერტის რუკის Teheis უნ-
და იყოს ცაიში, თუმცა შეცდომითაა სხვა ადგილზე აღნიშნული⁵.

ჩვენ ვერ გავიზიარებთ ამ შეხედულებას, რადგანაც ლამბერ-
ტის სამეგრელოს რუკაზე ჩვენ ვკითხულობთ პუნქტს „Ciais Ep.“,
ანუ ცაიშის საეპისკოპოსო, რომელიც მოთავსებულია ჭანისწყალსა
და ენგურს შორის. ასევე, ჯაკომო კანტელის 1689 წლის რუკაზე
მოცემულია ორივე პუნქტი „Ciais“ და „Teheis“. აქვე აღნიშ-
ნავთ, რომ ლამბერტი საეპისკოპოსო ცენტრებს რუკაზე აღნიშნავს
წარწერით „Ep“, ხოლო რუკის ავტორი ჯაკომო კანტელი სა-
ეპისკოპოსოებს სხვა პუნქტებისაგან რაიმე ნიშნით არ გამოყოფს.

რუკის მომდევნო მდინარე, რომელსაც წარწერა არა აქვს,
ოქუშისწყალია. ლამბერტის ცნობითაც, „ხეთის იქით არის ოქუ-
ში, რომელიც ჩაუდის ტარშენს“⁶ მის სათავეში დელტებს შო-
რის აღნიშნულია „Bedias“ – ბედია. შემდეგ რუკაზე ერისწყალ-
სა და ოქუშს შორის მოთავსებულია პუნქტები: „Gudava“ – გუ-
დავა და „Armani“. უკანასკნელი ასევე დატანილია ლამბერტის,
კანტელის⁷ და დელ ვიტას 1670 წლის, სანსონის 1692 წლის
ოსმალეთის იმპერიის რუკებზე⁸. თ. ბერაძის აზრით, „Armani“
სამეგრელოს რუკის ავტორმა რუხისაგან ცალკე პუნქტად მიიჩნია
და ეს უნდა იყოს ის ადგილი, სადაც ლევან II დადიანმა ჩხარი-

⁴ **Б. Гогия.** Абхазия., გვ. 45.

⁵ **თ. ბერაძე.** ოდიშის ისტორიული გეოგრაფიიდან XII-XVII სს. სა-
დისერტაციო ნაშრომი ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სა-
მეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, *ხელნაწერი*. თბ., 1967, გვ. 80.

⁶ **არქანჯელო ლამბერტი.** სამეგრელოს აღწერა., გვ. 163.

⁷ **Б. Гогия.** Абхазия., გვ. 45-50.

⁸ **Дж. Гвасалиа.** Территория Грузии на европейских картах Турецкой им-
перии XVII века. – *მაცნე*, ისტორიის. ეთნოგრაფიის და ხელოვნების
ისტორიის სერია, 2, 1987, გვ. 106-107.

დან სომხები (რუხთან) ჩამოსახლა. სინამდვილეში, მისი აზრით, არავითარი პუნქტი „Armani“ არ არსებობდა⁹. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენსა და ლამბერტის რუკაზე „Armani“ ორი მდინარითაა მოშორებული რუხისაგან, თ. ბერაძის მოსაზრება მისაღებად მიგვაჩნია, რადგანაც სომხთან დაკავშირებული ტოპონიმის მხოლოდ რუხთან დასტურდება და სამურზაყანოში არ გვხვდება. მაგალითისათვის, რუხისწყარის მარჯვენა მხარეს ბორცვს „ნა-სომეხ“, ანუ ნასომხარი ეწოდება¹⁰.

რუკაზე ოქუმიწყლის შემდეგ მოდის მდინარე ღალიბგა, იგივე ეგრისწყალი. მის მარჯვენა ნაპირზეა „Mergula“ – მერკულა. ზემოთ ჩრდილოეთით განლაგებულია საფორტიფიკაციო სისტემათა ქსელი, რომელიც ლევან II დადიანის მიერ აგებული კელასურის კედელი უნდა იყოს. ეს კედელი ლამბერტისა და კასტელის სამეგრელოს რუკებზე აღნიშნულია როგორც „აფხაზთა გამოუსვლელობის საწინააღმდეგო 60 მილის კედელი“.¹¹ ამ კედელზე საუბრობს ლამბერტი თავის „სამეგრელოს აღწერაში“:¹²

ღალიბგას შემდგომი მდინარე მოქვისწყალია, მის სათავეშია „Moqus“ – მოქვი. აქვე აღნიშნავთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მოქვი, ბედია, ცაიში, ხობი იმ დროს მოქმედი საეპისკოპოსო ცენტრებია, ხოლო მეხუთე საეპისკოპოსო ჭყონდიდი არ არის დატანილი. მდინარე მოქვისწყლის მარჯვენა ნაპირზე მოცემულია პუნქტები „Sauatopoli“ – სოხუმი და „Caltacha“, რაც რუკის შემდგენელის შეცდომაა. აქ აღვიღო გვაქვს საინტერესო ტენდენციასთან, რომელიც უცხოელ ავტორებს ახასიათებთ. მათთვის ადრე არსებული წყაროებით და ცნობებით ყოველთვის ცნობილი იყო რომ „Sebastopol-Sauatopoli“ – სოხუმი ოდიშ/სამეგრელოს შემადგენლობაში შედიოდა და მიუხედავად იმისა, რომ 1578 წელს სოხუმი თურქების, შემდეგ კი აფხაზთა ხელში გადადის, „Sebastopolis“-ს ისტორიული ტრადიციით სამეგრელოში

⁹ თ. ბერაძე. ოდიშის ისტორიული გეოგრაფიიდან XII-XVII სს., სადისერტაციო ნაშრომი., გვ. 80-81.

¹⁰ პ. ცხადაია. ათასი მეგრული ტოპონიმი. თბ., 2005, გვ. 48.

¹¹ Б. Гогия. Абхазия..., გვ. 45, 50.

¹² არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა..., გვ. 152.

(Mengrelia) ათავსებენ, რაც იმითაა გამოწვეული, რომ უცხოელ ავტორთათვის, ტრადიციის გავლენით, ოდიშ-სამეგრელო სოხუმამდე (ჩათვლით) ვრცელდებოდა, ზოგ შემთხვევაში კი უფრო ჩრდილო-დასავლეთითაც¹³. ზოგიერთ შემთხვევაში¹⁴, როგორც ეს ჩვენს რუკაზეც ფიქსირდება, „Sauatopoli“ ან „Sebastopolis“-სთან ერთად ვხვდებით სოხუმის თურქულ სახელწოდებას „Eschisumuni“ – ძველი სოხუმი, თუმცა არის შემთხვევა, როცა მართლ „Sebastopoli“ ან „Eschisumuni“ გვხვდება.

პუნქტი „Eschisumuni“ უნდა შეესაბამებოდეს იმ ციხესიმაგრეს, რომელიც თურქებმა ირან-ოსმალეთის 1578-1590 წლების ომის მსვლელობისას ააგეს, იგივე სოხუმის საბეგლარბეგო. ამიტომ ეს თურქული სახელწოდება XVII ს. მიწურულიდან ჩნდება რუკებზე. მიუხედავად უცხოელ ავტორთა მიერ რუკებზე „Eschisumuni“-ს სწორად დატანისა (აფხაზეთში), ისინი ასევე აღნიშნავენ „Sebastopoli“-საც და ათავსებენ სამეგრელოში, რაც ძველი ვითარებიდან შემორჩენილი ისტორიული ტრადიციის გავლენაა, უცხოელ ავტორთათვის „Sebastopoli“ – სოხუმი სამეგრელოა.

რაც შეეხება „Caltacha“-ს, ის ასევე გვხვდება ჯაკობო გასტალდის 1561 წლის რუკაზე¹⁵. რუკის პირველი გამომცემელი თ. გვანცელაძე ამ პუნქტის შესახებ არაფერს ამბობს¹⁶, ხოლო ბ. გოგიამ ეს რუკა შეიტანა უცხოურ რუკათა კრებულში „*Абхазия – историческая провинция Грузии*“. აი, რას წერს იგი: „Севернее Сухуми помешена Калтихия (от Ca-lte, salto), на наш взгляд, являвшаяся латинским переводом этноним месх. прыгун, танцор“¹⁷ რაც, ჩვენი აზრით, სწორი არაა. იმის გათვალისწინებით, რომ გასტალდისა და კანტელის რუკაზე „Caltacha“

¹³ თ. გვანცელაძე. ქართული ქრისტიანული ტერმინების აფხაზურ ენაში სესხების დროის საკითხისათვის. – „*არტანუჯი*“, 10. თბ., 2000, გვ. 55-58; დ. ნინიძე. ორი რუკა., გვ. 487-493; დ. ნინიძე. XVII ს. ევროპული., გვ. 357-369; დ. ნინიძე. საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. *ძიითიებანი საღეჟციო კურხისათვის*. თბ., 2005, გვ. 95-101.

¹⁴ Дж. Гвасалиа. Территория., გვ. 106-107.

¹⁵ თ. გვანცელაძე. ქართული., გვ. 55-58; Б. Гогия. Абхазия., გვ. 35-36.

¹⁶ თ. გვანცელაძე. ქართული., გვ. 55-58.

¹⁷ Б. Гогия. Абхазия., გვ. 36.

სოხუმის (Sebastopoli, Sauatopoli) ჩრდილოეთით მდებარეობს, ჩვენ ვარაუდით, ეს უნდა იყოს დღევანდელი ჩხალთის დამახინჯებული სახელწოდება. რუკაზე შემდეგ მოდის მდინარე კოდორი, მის მარჯვენა ნაპირზეა „Satamacia“ – ტამიში. რუკაზე ეს პუნქტი შეცლომითაა დატანილი, ის სინამდვილეში კოდორის მარცხენა მხარეს უნდა იყოს.

კანტელის რუკაზე ოდიშ-აფხაზეთის საზღვარი მდინარე კოდორსა და დრანდას (რუკით – Dandars) შორის გადის. ზემოთ ჩვენს მიერ აღინიშნა, რომ ჯაკომო კანტელის რუკა ლევან II (1611-1657) დადიანის მმართველობის პერიოდის სამეგრელოს რეალობას უნდა ასახავდეს, ამ დროს კი ოდიშ-აფხაზეთის საზღვარი არ შეიძლება მდინარე კოდორზე გადაიდეს. ამასთან, ვიზიარებთ ბ. ხორავას მოსაზრებას, რომ ზემოთ აღნიშნულ პერიოდში ოდიშ-აფხაზეთის საზღვარი მდინარე კოდორზე საერთოდ არ გადიოდა¹⁸.

შევჩერდეთ ოდიშ-აფხაზეთის საზღვრის მიმოხილვაზე. ჯორჯო ინტერიანოს მიხედვით, საქართველოს საზღვარი ჩერქეზებთან გადიოდა, ანაკასიადან ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა და იმავე ინტერიანოს თქმით, კოლხეთის ნაწილს შეადგენდა¹⁹. ვახუშტი ოდიშის საზღვარს ანაკოფიისწყალზე ავლებს²⁰. ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი. ვახუშტის, რომელიც მოღვაწეობდა XVIII საუკუნეში, როდესაც საზღვარი ოდიშსა და აფხაზეთს შორის მდინარე ენგურზე გადიოდა, ეტყობა, ჰქონდა სერიოზული მიზეზი, არ გადაეტანა თავისი დროის კონიუნქტურა XV საუკუნეში²¹.

¹⁸ ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს. თბ., 1996.

¹⁹ XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ. იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალის შეილმა. თბ., 1981, გვ. 63.

²⁰ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV. თბ., 1973, გვ. 783-786.

²¹ ზ. პაპასქირი. ვახუშტი ბაგრატიონი შუა საუკუნეების ხანის ქართული ისტორიოგრაფიის გიგანტი. – საისტორიო ძიებანი, წელიწადეული, I. თბ., 1998, გვ. 249-250; ზ. პაპასქირი. აწინდელი აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. XI-XV საუკუნეები. – წგნ.: ზ. პაპასქირი. აფხაზეთი საქართველოა. თბ., 1998, გვ. 159; З. Папаскири. Территория Абхазии в XI-XV вв. – „Разыскания по истории Абхазии/Грузия“.

საქართველოს სამეფოს დაშლის შემდგომი პერიოდის ოდიშის სამთავროს საზღვარზე საინტერესო ცნობას გვაწვდის ბერი ეგნატაშვილი: „დადიანს ეპყრა ცხენსწყალს ჩაღმართი, ლეჩხუმს ქუემოთი, სვანეთის მთის გარდმოდმართი, აფხაზეთის ზემოთი და აფხაზეთი ჯიქეთამდის შარვაშიძეს ეპყრა, და ესე შერვაშიძე მორჩილებდა არაყოველსავე ბრძანებასა დადიანისასა. კუალად ეპყრა დადიანს ზღვის შემოდმართი და რიონს გაღმართი“.²² მასმასადაძმე, როგორც ვხედავთ, დადიანის მმართველობა აფხაზეთზეც ვრცელდება, შარვაშიძე კი მისაღმი გარკვეულ ვასალურ დამოკიდებულებაშია. „აფხაზეთის ზემოთში“ კი უნდა იგულისხმებოდეს ტერიტორია ანაკოფიის წყალს (დღევანდელი ფსირცხა) სამხრეთით.

XVI ს. მიწურულიდან ოდიშ-აფხაზეთის საზღვარი მოძრაობას იწყებს სამხრეთისაკენ. 1578 წელს, როდესაც თურქებმა სოხუმში საბეგლარბეგო დააარსეს და ციხე ააგეს, საზღვარმა (ეთნიკური) სავარაუდოდ მდინარე ბესლეთზე გადმოინაცვლა, თუმცა დადიანთა ძალაუფლება მანამდე და შემდგომშიც აფხაზეთის უკიდურეს ნაწილშიც კი აღწევდა. ამაზე მიუთითებს მამია III (1512-1533) დადიანის მიერ ბიჭვინთის მონასტრისადმი შეწირული სოფლების ჩამონათვალი (აითარნე, არუხა და რაბიწა). ეს შეწირულობა 1590 წლამდე ოდიშის ყველა მმართველმა (ლევან I დადიანი, გიორგი III დადიანი და მამია IV დადიანი) დაამტკიცა და განაახლა²³. ეს იმაზე მიუთითებს, რომ დადიანების მიერ ამ მიწების შეწირვა არ ან ვერ მოხდებოდა, თუ მათ რაიმე უფლება არ გააჩნდათ ამ სოფლებზე.

XVII ს. 30-იანი წლების I ნახევარში, ჯოვანი და ლუკას ცნობით, საზღვარი მდინარე აბსილზე გადიოდა²⁴. ისტორიკოსმა

ტბ., 1999, გვ. 190; **ზ. პაპასქირი**. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვ. I. *უძველესი დროიდან 1917 წლამდე*. თბ., 2004, გვ. 84.

²² **ბერი ეგნატაშვილი**. ახალი ქართლის ცხოვრება. – *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი პირველი. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ, ტ. II. თბ., 1959, გვ. 349.

²³ **И. Г. Антелава**. Очерки по истории Абхазии XVII-XVIII вв. Сухуми, 1951, გვ. 27.

²⁴ **ი. ტაბაღუა**. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. ტ. III. თბ., 1987, გვ. 157.

ბ. ხორავამ მართებულად მიიჩნია მდინარე აბსი (აბსილი) ბესლეთად²⁵. ამის შემდეგ საზღვარმა მდინარე კელასურზე გადმონაცვლა²⁶. მიუხედავად ამისა უცხოელი მოგზაურები და მისიონერები, ისტორიული ტრადიციის გავლენით, საზღვარს მდინარე კოდორზე აგლებენ²⁷. თუმცა ლამბერტი შესაბამისობაში მოდის თავის ცნობასთან, როდესაც ლევან II დადიანის მიერ კელასურის კედლის აგებაზე საუბრობს²⁸. მის და კასტელის სამეგრელოს რუკებზე ეს კედელი დატანილია წარწერით „აფხაზთა გადმოსვლის საწინააღმდეგო 60 მილის კედელი“.²⁹

ქათბ ჩელები თავის აღწერილობაში საქართველოსა და კავკასიის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის, ის აღნიშნავს, რომ აფხაზეთის საზღვარი „სოჭიდან მდინარე კოდორს აღწევს. იმ ადგილს სოხუმს უწოდებენ“.³⁰ აქ ქათბ ჩელები კელასურს უნდა გულისხმობდეს, რადგან სოხუმი არ შეიძლება კოდორთან მდებარეობდეს. აღსანიშნავია, რომ მის ცნობებზე დართულ „ჯიჰან ნუმას“ რუკაზე ოდიშ-აფხაზეთის საზღვარი სწორედ მდინარე კელასურზე გადის³¹.

1639-1640 წლებში სამეგრელოში იმყოფებოდნენ რუსეთის მეფის მიხეილ რომანოვის ელჩები, ფეოლოტ ელჩინი და პაველ ზახარევი, ისინი თავიანთ სამეგრელოს აღწერილობაში იხსენიებენ ილორის, მოქვის და დრანდის მონასტრებს³². აგრეთვე მოხ-

²⁵ ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 94.

²⁶ აქ საუბარია ეთნიკურ საზღვარზე მეგრელებსა და აფხაზებს შორის. ჩვენი აზრით, სანამ ეთნიკური საზღვარი მდ. დალიძგაზე, ხოლო პოლიტიკური მდ. ენგურზე გადმონაცვლებდა, ოდიშის სამთავროს პოლიტიკური საზღვარი ეთნიკური საზღვრის ჩრდილო-დასავლეთით იყო განთავსებული.

²⁷ არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა..., გვ. 11-12.

²⁸ არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა..., გვ. 152.

²⁹ Б. Гогия. Абхазия..., გვ. 45-49, 50-56.

³⁰ ქათბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქულიდან თარგმნა და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ. თბ., 1978, გვ. 56.

³¹ ქათბ ჩელების ცნობები..., გვ. 13-25.

³² С. Белокуров. Посольство дьяка Федота Ельчина и священника Захарьева в Дадиянскую землю 1639-1640 гг. — წგნ.: С. Белокуров. Материалы для русской истории. М., 1888, გვ. 351-375.

სენიებულია სოფელი ფშაფი. როგორც ბ. ხორავა აღნიშნავს, ეს სოფელი მდინარე კოდორიდან ათიოდე კილომეტრზეა, სოხუმიდან კი 5-6 კმ-ის მოშორებით მდებარეობს³³. ამ ცნობის მიხედვით, საზღვარი მდინარე კელასურზე უნდა გადიოდეს, რადგან ფშაფს იქით ტერიტორიას რუსი ელჩები ოდიშის შემადგენლობაში არ ათავსებენ.

ასევე საინტერესო ინფორმაცია მოეპოვება ანტიოქიის პატრიარქს მაკარიოსს, რომელმაც თავის შვილთან პავლე ალექსოვლთან ერთად 1664-1666 წლებში საქართველოში იმოგზაურა. ბელიაში ჩასულ მაკარიოსისათვის ბელიელ ეპისკოპოსს უთქვამს, რომ მის სამწყსოში მრავლად ყოფილა უკანონო ქორწინების ფაქტები და როდესაც ისინი ასეთივე ფაქტების გამოსავლენად მოქვეში ჩასულან, იქვე დრანდაში მცხოვრები ქალი, რომელიც შვიდჯერ ყოფილა გათხოვილი და შვიდჯერვე თავის ბიძაშვილებზე, ბელიელი ეპისკოპოსის და მაკარიოსის შიშით აფხაზეთში გაქცეულა³⁴. როგორც ვხედავთ, XVII ს. 60-იან წლებშიც კი ოდიშ-აფხაზეთის საზღვარი არ შეიძლება კოდორზე გადიოდეს, რადგან დრანდა კვლავ სამეგრელოს შემადგენლობაშია.

ლევან II (1611-1657) დადიანის დროინდელი ოდიშ-აფხაზეთის საზღვარი რომ წარმოვიდგინოთ, უნდა მივყვეთ კელასურის კედელს. როგორც თ. ბერაძე აღნიშნავს, კედელი სადღაც მდინარე კელასურის მარცხენა ნაპირზე ზღვის შესართავთან იწყებოდა, მიუყვებოდა კელასურის ხეობას, შემდეგ უხვევდა აღმოსავლეთისაკენ, გადაკვეთდა მდინარეებს მაჭარასა და კოდორს (კოდორის ხეობის ზემო ნაწილი აფხაზეთის სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა), აქედან ის მიუყვებოდა ფანავის ქედს, გადაკვეთდა მდინარე მოქვს და ღალიბგამდე აღწევდა³⁵. კედელი უწ-

³³ ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 93.

³⁴ **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая область Грузии. Тб., 1997, გვ. 259.

³⁵ თ. ბერაძე. ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან. – *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული*. ტ. III. თბ., 1967, გვ. 273; თ. ბერაძე. XVII ს-ის პირველი ნახევრის ოდიშის რუკა. – *ძეგლის მეგობარი*, №21, 1970, გვ. 42; თ. ბერაძე. ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. – *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული*, ტ. IV. თბ., 1971, გვ. 67-73.

ყვეტი არ უნდა ყოფილიყო, მაგალითად, სადაც კლდე ან რაიმე ბუნებრივი ზღუდე იყო აღმართული, იქ სიმაგრის აგების საჭიროება არ იყო³⁶.

ამდენად, განხილული ფაქტების გათვალისწინებით, ვერ გავიზიარებთ დასკვნას იმის შესახებ, რომ ლევან II დადიანის მმართველობისას ოდიშ-აფხაზეთის საზღვრის მდინარე კოლორზე გადიოდა³⁷, რაც ამ ბოლო დროს ნ. ბერულავამ განავითარა³⁸. ჩვენი აზრით, საზღვარი ჯერ გადიოდა მდინარე ბესლეთზე³⁹, მოგვიანებით კი – მდინარე კელასურზე. XVIIIს. 70-იან წლებში ოდიშ-აფხაზეთის საზღვარმა მდინარე ლალიძგაზე⁴⁰, XVIIIს. 80-იანი წლების მიწურულს კი მდინარე ენგურზე გადმოინაცვლა. მალე ეს ტერიტორია ზეგნაყ შარვაშიძის სამ შვილს შორის განაწილდა⁴¹. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სამურზაყანოში შარვაშიძეთა გვერდითი შტო მმართველობდა, ისინი უმეტესწილად მაინც სამეგრელო-ოდიშის ხელისუფალთ ემორჩილებოდნენ⁴².

საზღვრის მიმოხილვის შემდეგ გადავიდეთ იმ ტერიტორიის აღწერაზე, რომელიც იასამნისფრადაა აღნიშნული და აწერია „Abasia o Abcassia“ – აფხაზეთი. აღსანიშნავია, რომ ევროპულ რუკებზე აფხაზეთს, სამეგრელოსაგან და სხვა ქართული პოლიტიკური ერთეულებისაგან განსხვავებით, მხოლოდ სატომო სახელით აღნიშნავენ და არ ხმარობენ სახელწოდება „Regno“ და

³⁶ ა. ტულუში. აფხაზეთის სამთავროს წარმოშობის საკითხისათვის. არარსებული აფხაზეთის სამთავროს საკითხი. ზუგდიდი, 2001, გვ. 70.

³⁷ გ. ჯამბურია. საქართველო XVII საუკუნის I მესამედში. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. IV. თბ., 1974, გვ. 297.

³⁸ ნ. ბერულავა. ოდიშის სამთავროს ურთიერთობა აფხაზეთთან და ოდიშ-აფხაზეთის საზღვარი XVII საუკუნეში (დასავლეთ ევროპული წყაროების მიხედვით). – *ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები*, V. თბ., 2002, 59-78.

³⁹ ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 94.

⁴⁰ ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 112.

⁴¹ ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 123; ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის..., გვ. 116.

⁴² ა. ტულუში. აფხაზეთის სამთავროს წარმოშობის საკითხისათვის; თ. ბერაძე. ოდიშის სამთავრო დადიან-ჩიქვანთა დინასტიის მმართველობის ხანაში, სამთავრო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. – წგნ.: *სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში*. თბილისი-ზუგდიდი, 1999, გვ. 224.

„Regnum“. აფხაზეთში პირველი პუნქტია „dandars“ – დრანდა, რაც რუკის ავტორის შეცდომაა და ამაზე ზემოთ გვექონდა საუბარი. იქვეა „Vati“. ამავე ფორმით აღნიშნავენ უცხოელები ბათუმს. პირველი მდინარე, რომელიც აფხაზეთში გვხვდება და წარწერა არა აქვს, კელასური უნდა იყოს. შემდეგ მოცემულია პუნქტები „Origo“ და „Perga“. კელასურის მარჯვენა ნაპირზეა ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენები „Eschisumuni“ – ძველი სოხუმი (თურქულად). შემდეგი მდინარე უნდა იყოს ვახუშტის ანაკოფიისწყალი. მის მარჯვენა ნაპირზეა „Pezoda“ – ბიჭვინთა, ბოლო მდინარე აფხაზეთში, სავარაუდოდ, ბზიფი, იგივე კაპოეტისწყალია. აქ მდინარესთან საზღვარია გავლებული და იწყება ვარდისფერი ტერიტორია „Auogasia“ – ჯიქეთი, აქვეა საზღვაო პუნქტი „S. Sofia“, რომელიც სხვა რუკებზე დატანილია ტერიტორიაზე წარწერით „Zichia“.⁴³ იქვეა პუნქტები „Suzako“, „Alba“ და „Zibir“, რაც ჩვენი აზრით ახლოს უნდა იდგეს ეთნიკურ სახელ ზიხ-ზიბ-თან. ჯიქეთში ბოილო მდინარეა წარწერით „Londa fl“. ზემოთ ყვითლად შეფერილ ტერიტორიაზე „Comania“ – ყივჩალები, მთებში ვხდებით, ასევე ჯიქების სატომო სახელთან დაკავშირებულ პუნქტს „Zichia“, რაც, ჩვენი აზრით, თუ პუნქტი შეცდომით არაა დატანილი, ჯიქთა თავდაპირველსაცხოვრისს უნდა წარმოადგენდეს.

მიუხედავად ჯაკომო კანტელის რუკაზე არსებული უზუსტობებისა, ის ჩვენთვის საინტერესო წყაროს წარმოადგენს თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიის ისტორიულ-გეოგრაფიული სურათის წარმოსადგენად. რუკაზე ნათლად ჩანს აღნიშნული რეგიონის ცალკეული პუნქტების ოდიშის სამთავროს კუთვნილება. ამდენად, უსაფუძვლოა აფხაზ სეპარატისტთა მცდელობა, აფხაზეთის სამთავროს ტერიტორია იმთავითვე (XIII საუკუნიდან) თანამედროვე საზღვრებში წარმოაჩინონ.

⁴³ **Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 3, 111; **Дж. Гвасалия.** Территория..., გვ. 106-107.

АКАКИЙ Г. ЧИКОБАВА

ИСТОРИЧЕСКАЯ ГЕОГРАФИЯ ОДИШИ И АБХАЗИИ СОГЛАСНО ИТАЛЬЯНСКОЙ КАРТЕ ДЖАКОМО КАНТЕЛЛИ (1689)

Итальянская карта „Татария Европы“ (“Tartaria d’Europa”), составленная в 1689г. Джакомо Кантелли, содержит ценную информацию об исторической географии Одиши и Абхазии. Мегрелия, раскрашенная на карте в зеленый цвет, состоит из двух частей: Одишское княжество (Regno d’Odisci) и Гурийское княжество (Regno d’Guriel). Нахождение Гурии в составе Одиши означает, что карта Кантелли отражает реальность времен правления Левана II-го Дадиани (1611-1657гг.), который подчинил себе Гурию. Эту точку зрения укрепляют карты, составленные Ламберти и Каstellи, которые, как это можно с уверенностью утверждать, отражают период правления Левана II-го. Абхазия, именуемая на карте как „Абазия“ или „Абкассия“, раскрашена на карте в лиловом цвете.

В Одишское княжество входят такие местности, как Бедиа (Bedais) и Мокви (Moquis). Старая европейская традиция о северо-западной границе Колхиды проходящей на р. Кодори, тоже находит свое место в композиции карты. Так как Колхида отождествлялась с Одиши/Мегрелией, границей последней тоже объявлена р. Кодори, хотя настоящей границей в то время являлась р. Келасури. В XVIIв. Сухуми (Себастополис) находился на территории Абхазии. Несмотря на это, зная, что город, в основном, принадлежал Мегрелии, Джакомо Кантелли помещает его в границы Одишского княжества, допуская таким образом географическую ошибку.

Несмотря на эти ошибки, карта всё же является очень интересным источником. Будучи под влиянием исторической традиции, она показывает территорию Одишского княжества до того, пока абхазам не удалось захватить её часть.

AKAKI CHIKOBAVA

HISTORICAL GEOGRAPHY OF ODISHI AND APKHAZETI ACCORDING TO THE ITALIAN MAP OF JAKOMO CANTELI (1689)

The Italian map – *Tartaria d'Europa* – composed in 1689 by Giacomo Canteli, contains valuable information about historical geography of Odishi and Apkhazeti. Mingrelia, painted in green on the map, consists of two parts: Principality of Odishi (*Regno d'Odisci*) and Principality of Guria (*Regno d'Guriel*). Placing Guria within Mingrelia means that Canteli's map reflects the situation of the times of Levan II Dadiani (1611-1657), who subjugated Guria. This view is supported with the maps composed by Lamberti and Castelli. We are sure that the latter maps express the period of reign of Levan II. Apkhazeti, nominated as "Abasia" or "Abcassia" is painted in violet.

Principality of Odishi contains the sites like Bedia (Bedais) and Moqvi (Moquis), thus restricting the desire of Abkhazians to demonstrate Apkhazeti in larger political and ethnical scale.

Old European tradition about North-Western border of Colchis running across the Codori river, finds its room in the composition of the map. Because Colchis had been associated with Odishi/Mingrelia, the latter's border is placed also at the Codori river. Actually, the river Kelasuri was the boundary. In the 17th c. Sokhumi (Sebastopoli) was on the territory of Apkhazeti. In spite of this, knowing that this town generally belonged to Mingrelia, Giacomo Canteli puts it within the boundaries of Odishi Principality (*Regno d'Odisci*) thus making the geographical mistake.

Despite these mistakes, the map is a very interesting source. Being influenced by historical tradition, it shows the territory of Odishi Principality before the Abkhazians managed to capture its part.

კობა ოკუჯავა

მდინარეების ბზიფის და ფსოუს კველი სახელწოდებების ეტიმოლოგიის შესახებ

მდინარის სახელწოდება „ბზიფი“, რამდენადაც ჯერჯერობით ჩვენთვის არის ცნობილი, XIXს. 30-იანი წლებიდან ფიქსირდება. მანამდის მას საისტორიო წყაროებში კაპოეტის წყალი ეწოდებოდა. მდინარე ამ სახელწოდებით მოხსენიებულია, მაგალითად, ილორის წმინდა გიორგის ხატის წარწერაში (XVIIIს. I ნახევარი), საიდანაც ვგებულობთ, რომ მის ნაპირებთან გამართულა ბრძოლა ოდიშის მთავარ ლევან II-სა და აფხაზ ფეოდალებს შორის, სადაც დადიანს დაუმარცხებია მოწინააღმდეგენი: „კაპოეტის წყალზე შემოგუებნეს ზუფუარი და სიხუარი მარშანიები და გაგვემარჯუა“.¹

ვახუშტი ბატონიშვილს ეს მდინარე აფხაზეთისა და ჯიქეთის საზღვრად აქვს აღნიშნული. „ხოლო ამ აფხაზეთს იქით, კაპოეტის წყლის დასავლეთს, ბაგრატიონთ ჟამს აქეთ აქამომდე უწოდებენ ჯიქეთს“.² ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომზე დაყრდნობით იგივე ცნობას გვაწვდის ნიკო დადიანი. „ჯიქეთის საზღვარი არს აღმოსავლეთ კაპოეტის წყალი, დასავლეთ შავი ზღვა, სამხრეთ იგივე ზღვა, ჩრდილოთ კავკასი“.³ ნიკო დადიანის სხვა

¹ კ. გრიგოლია. ილორის წმინდა გიორგის ხატის წარწერა. – აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, ტ. XIII. თბ., 1943, გვ. 157.

² ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – ქართლის ცხოვრება. ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973, გვ. 876.

³ ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება. ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ. თბ., 1962, გვ. 152.

ცნობიდან ირკვევა, რომ ეს მდინარე მას თავად აქვს ნახული – წარვედით და კაპეტის წყალის პირსა ზედა დაეებანაკეთ“,⁴ – აღნიშნავს ავტორი 1821 წელს აფხაზეთის მთავრის ტახტისათვის წარმოებულ ბრძოლებთან დაკავშირებით.

ამ მდინარის იგივე სახელწოდება (ქართულის გავლენით) უცხოურ წყაროებშიც გვხვდება, მაგალითად, გიულდენშტედტის ცნობით, ბიჭვინთა მდებარეობს „მდინარე კაბეთის და არა კაპეტის შესართავის სამხრეთ მხარეზე და არის სასაზღვრო ადგილი ჯიქეთთან“.⁵ სხვაგან კი ავტორს აღნიშნული აქვს „ბიჭვინთა – კაპეტის შესართავთან“.⁶ კაბეტი მოხსენიებული აქვს ს. ბრონევესკისაც იმ მდინარეთა შორის, რომელთა ხეობებშიც ცხოვრობდნენ აფხაზები⁷. პ. ინგოროყვას თანახმად, მდინარის, კაპეტის წყლის სახელწოდება მასში გავრცელებული თევზის, კაპეტის სახელიდან მომდინარეობს და ისევეა ნაწარმოები, როგორც სხვა მდინარეთა სახელები: საკალმახე, ოკალმახე, კაპარჭინის წყალი და ა.შ.⁸ მ. სალიას მიხედვით, მდინარე ბზიფის აღმნიშვნელ ვარიანტებს – კაპეტის წყალი, კაპეტის მდინარე – კაპეტის წყალი, კაბეტი – კაპეტი, საფუძვლად უდევს „კაპოეტ“ სიტყვის მეგრული ვარიანტები: კაბეტი – კაპეტი კაპოეტი დიდის, მძღავრის, დაუმორჩილებელის სემანტიკით⁹. ამ მოსაზრებას ის გარემოებაც უჭერს მხარს, რომ ვახუშტი ბატონიშვილს კაპეტის წყალი აღწერილი აქვს, როგორც „დიდი და ჩქარად მდინარე“.¹⁰

ქართულ საისტორიო წყაროებში ამ მდინარის სახელწოდე-

⁴ ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება..., გვ. 210.

⁵ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. ტ. I. თბ., 1962, გვ. 325.

⁶ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. ტ. II. თბ., 1964, გვ. 53.

⁷ С. Броневский. Новейшие географические и исторические известия о Кавказе. Ч. I. М., 1823, გვ. 326.

⁸ პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე – ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. თბ., 1954, გვ. 181.

⁹ მ. სალია. მეთევზეობის ლექსიკა ზანურში. თბ., 2005, გვ. 84.

¹⁰ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა..., გვ. 785.

ბა ორი ნაწილისგან შედგება: კაპპეტი – კაპეტი – კაპოეტი და წყალი (=მდინარე). ვახუშტი ბატონიშვილს მართო დასავლეთ საქართველოში ოცდაათზე მეტი ჰიდრონიმი აქვს დასახელებული, რომელთა მეორე ნაწილი არის „წყალი“ (გლოლის წყალი, დადის წყალი, ჩაქვის წყალი...) ან მდინარე (ხინოს მდინარე, მოქვის მდინარე, ზუფუს მდინარე...)¹¹. ამათგან ჰიდრონიმების: ეკლარის წყალი, ჯეჯორის მდინარე, ალაცოს წყალი, მუწუს წყალი, ბახვის წყალი, კაპპეტის მდინარე – კაპპეტის წყალი – წარმომავლობის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი არაფერს არ უთითებს. რაც შეეხება ორ სახელწოდებას: I – გუბისწყალი – „ეწოდა სახელი ესე გუბედ მომდინარეობისათვის“;¹² II – ცხენისწყალი – თავდაპირველად მას თაკუერის მდინარე ეწოდებოდა და ვახუშტი ბატონიშვილის აზრით, „ოდეს მოაშთო ცხენნი ანაკოფიილამ უკმოქცეულის ყრუს სპათა, ამისთვის უწოდეს ცხენისწყალი“.¹³

სინამდვილეში კი „ცხენისწყალი“ ცანისწყლის დამახინჯებული ფორმაა. ცანა, ასე ეწოდება მთას სვანეთში, საიდანაც სათავეს იღებს ცანისწყალი, ბარში ცხენისწყლად წოდებული. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს ჰიდრონიმთა დიდ ნაწილს, როგორც ეს ვახუშტისავე ცნობიდან ჩანს, მომდინარეობენ ტოპონიმებიდან, ე. ი. ადგილის სახელწოდებებიდან. აქედან გამომდინარე, არ გამოვრიცხავთ, რომ კაპპეტის წყლის სახელწოდებასაც საფუძვლად დასდებოდა ტოპონიმი კაპეტი, რომელიც მისსავე ნაპირებზე უნდა არსებებულიყო. ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ ის გარემოებაც მეტყველებს, რომ სამეგრელოში ბევრგან გვხვდება მიკროტოპონიმი კაპეტი – კაბეტი¹⁴, ხოლო „კაპეტი“ – „კაბეტი“ მეგრულში ყამირის აღსანიშნავადაც გამოიყენება¹⁵.

¹¹ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა..., გვ. 747-792.

¹² ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა..., გვ. 751.

¹³ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა..., გვ. 748.

¹⁴ პ. ცხადაია. ათასი მეგრული ტოპონიმი. თბ., 2005, გვ. 32; გ. ელიავა. აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა. თბ., 1977, გვ. 19, 21, 54, 128.

¹⁵ გ. ელიავა. მეგრულ-ქართული ლექსიკონი. თბ., 1997, გვ. 191. შდრ. **И. Кипшидзе**. Грамматика Мингрельского (иверскаго) языка с хрестоматией и словаремъ. – *ი. ყიფშიძე*. რჩეული თხზულებანი. თბ., 1994, გვ. 249.

დიუბუა დე მონპერეს ცნობებიდან ირკვევა, რომ კაპპეტის წყალს სხვა სახელწოდებაც ჰქონია. ავტორის სიტყვებით ბიჭვინთის კონცხს ზოგიერთ რუკაზე კოტოში ეწოდება. მდინარე კოტოში ანუ ბზიფი ზღვას ერთვის ბიჭვინთის კონცხის ჩრდილოდასავლეთით 7 ვერსის მანძილზე. ის ადღერის კონცხის მიმართულებით საკმაოდ ძლიერ დინებას ქმნის, ამასთან კინჭულის წყალი გაგრის მიმართულებით საპირისპიროდ მიედინება, რომლის შემდეგაც კოტოშის დინება კინჭულისას უკან აბრუნებს¹⁶.

შემდეგ შვეიცარიელ მკვლევარს აღნიშნული აქვს, რომ პატარა ბორცვების ჯაჭვი მდინარე კოტოშის აუზს გამოჰყოფს მიჭიშაჩეს ხეობისგან. ამ ბორცვებს შორის მდებარეობს სოფელი ბზიფი, საიდანაც მიიღეს სახელწოდება არა მარტო მდინარემ, არამედ ხეობამაც და ასევე აფხაზეთის ყველაზე დასავლურმა ტომმა¹⁷. იქვე, სქოლიოში დიუბუა დე მონპერეს მინიშნებული აქვს, რომ ამ მდინარეს კოტოში ეწოდება გოტიეს რუკაზე¹⁸. სახელწოდება „კოტოში“ დაფიქსირებული აქვს ა. დიაჩკოვ-ტარასოვსაც¹⁹, თუმცა ის საკითხთან დაკავშირებით მთლიანად დიუბუა დე მონპერეს ცნობებს ეყრდნობა.

ამრიგად, მდინარის სახელწოდება ბზიფი გვიანდელია. მანამდის მას ეწოდებოდა კაპპეტის (ან კაპოეტის) წყალი და კოტოში. ვფიქრობთ, რომ პირველი დამკვიდრებული უნდა ყოფილიყო ქართულ მწერლობაში, ხოლო მეორე, კოტოში – გავრცელებული მიმდებარე მხარის მოსახლეობაში. სახელწოდება კოტოში წარმოებულია ზანურ-სვანური გეოგრაფიული სახელებისთვის დამახასიათებელი „-ში“ სუფიქსით (მდრ.: ოდიში, ცაიში, წყოუში, ჯიხაიში, ქუთეში, ლასურიაში, ხაიში...), რომელიც ქართული „-სი“ ბოლოსართის შესაბამისია (მდრ., თბილისი, ქუთაი-

¹⁶ **Фредерик Дюбуа де Монпере.** Путешествие вокруг Кавказа. Сухуми, 1937, გვ. 100.

¹⁷ **Фредерик Дюбуа де Монпере.** Путешествие..., გვ. 101.

¹⁸ **Фредерик Дюбуа де Монпере.** Путешествие..., გვ. 100. იხ. აგრეთვე: **Du Bois de Montpereux.** Voyage autour du Caucase. T. I. Paris, 1839, გვ. 219-221.

¹⁹ **ზ. პაპასქირი, ბ. ხორავა.** ა. დიაჩკოვ-ტარასოვი და მისი ნაშრომი „გაგრა და მისი შემოგარენი“. – წგნ. ა. **დიაჩკოვ-ტარასოვი.** გაგრა და მისი შემოგარენი..., გვ. 8.

სი, ყინწვისი...)). ძირი „კოტო“ მეგრულად ქოთანს ჰქვია და ბუნებაში აღნიშნავს ჩაღრმავებულ ადგილს მიწაში ან მდინარის ფსკერზე. „კოტო“-დან მომდინარეობს სამეგრელოსა და სამურზაყანოში დღესაც გავრცელებული ტოპონიმები და ჰიდრონიმები: კოტო²⁰, კოტორე-კოტორო²¹, კოტოწყარი (კოტოშწყარი) და კოტოში²². ამრიგად, მდინარე ბზიფის ძველი ზანური სახელწოდება კოტოში ლანდშაფტურ-ჰიდროგრაფიული ტერმინია, აქაური ბუნებრივი პირობების სრული შესაბამისი.

ზემოთ აღნიშნულის შემდეგ, სავსებით საფუძვლიანად მიგვაჩნია სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ ძველი გეოგრაფიული სახელწოდება „კოტოში“ აფხაზეთის ტერიტორიის ამ ნაწილში ისტორიის გარკვეულ მონაკვეთში მეგრულ ტომთა განსახლებაზე მიუთითებს²³, რაც შეეხება მდინარის ამჟამინდელ სახელწოდებას „ბზიფი“. მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, რომ ის დაკავშირებულია ქართულ სიტყვასთან „ბზები“²⁴ გამოთქმულია ასევე მოსაზრება, რომ ჰიდრონიმი მომდინარეობს უბიხური სიტყვიდან „ბზი“ – წყალი, ხოლო „ფ“ ელემენტი აფხაზურ-ადიღურ ენებში გავრცელებული ტოპონიმური სუფიქსია²⁵.

თუ გავითვალისწინებთ დიუბუა დე მონპერეს ცნობას, რომ მდინარემ სახელწოდება მისსავე ნაპირზე მდებარე სოფლის, ბზიფის სახელიდან მიიღო, სრულიად საფუძვლიანი ჩანს ტოპონიმის ხ. ბლაუბასეული ეტიმოლოგია: „ბზიფი“ – მდინარის შესართავი. კერძოდ, აფხაზურ ტოპონიმიკაში წარმოდგენილი „ფ“ ელემენტი

²⁰ პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა. სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. თბ., 2003. გვ. 85

²¹ პ. ცხადაია. ათასი მეგრული ტოპონიმი..., გვ. 35.

²² პ. ცხადაია. მთიანი სამეგრელოს ტოპონიმი. თბ., 1985, გვ. 97, 128; გ. ელიავა. აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების..., გვ. 163.

²³ ზ. პაპასქირი, ბ. ხორავა. ა. დიაჩკოვ-ტარასოვი და..., გვ. 80.

²⁴ პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. გვ. 149; გ. ახელედიანი. აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმიკის ზოგიერთი საკითხისათვის. – *მნათობი*, №2, 1957, გვ. 110.

²⁵ ქ. ლომთათიძე. აფხაზთა ვინაობისა და განლაგების ზოგიერთი საკითხის შესახებ. – *მნათობი*, №12, 1956, გვ. 133.

ბოლოს, შესართავის მნიშვნელობის უნდა იყოს²⁶. ე. ი. ბზიფი ჯერ ადგილს ეწოდებოდა მდინარის შესართავთან, ხოლო შემდეგ ტოპონიმისგან ჰიდრონიმი ჩამოყალიბდა.

დიუბუა დე მონპერე მდინარე კოტორშისგან დასავლეთით აღნიშნავს მდინარე კინჭულს. ავტორის ცნობები, რომ კოტორშსა და კინჭულს საპირისპირო დინებები აქვთ²⁷, რომ ადღერის კონცხი ერთმანეთისგან გამოყოფს კინჭულისა და კამუიშელარის (ხამიშის) ყურეებს²⁸, მიგვანიშნებს, რომ კინჭული იგივე მდინარე ფსოუა, უფრო ზუსტად ამ მდინარის აღრინდელი სახელწოდება. ჰიდრონიმ „კინჭულის“-ს ეტიმოლოგია გაურკვეველია, თუმცა აშკარად თვალშისაცემია მისი ქართული გეოგრაფიული სახელებისთვის დამახასიათებელი „ულ“-„ურ“ სუფიქსით წარმოება. (შდრ., ტყიბული, მერხეული, მაჭარულა...). გარდა ამისა „ულ“ სუფიქსი ქართული გვარსახელების (ხოშარაული, გაფრინდაული, ბურდული...) მაწარმოებელია. სახელწოდება „კინჭულ“-თან არის დაკავშირებული ჯიქ აზნაურთა გვარსახელი კინწა, რომლებიც, ს. ზვანბას მიხედვით, მდინარე ფსოუზე მდებარე სოფელ ბაღრიფში ცხოვრობდნენ²⁹. თავის მხრივ, ეს ფაქტიც, რომ გვარი კინწა ფსოუს ხეობაში მოსახლეობს, დიუბუასეული მდინარე კინჭულისა და ფსოუს იგივეობაზე მიუთითებს.

ამრიგად, მდინარე ფსოუს ძველი სახელწოდება არის კინჭული, რომლის ძირიც შემორჩენილი იყო ჯიქ აზნაურთა ერთ-ერთ გვარსახელში – კინწა. გამოსარკვევია ასევე ამ სახელწოდებათა ნამდვილი ფორმები, ვინაიდან, სრულიად შესაძლებელია კინჭულის და კინწას ნაცვლად ყოფილიყო ყინჭული და ყინწა. (შდრ., ყინწვისი). არ არის გამორიცხული, ჯიქური გვარსახელი კინწა რომ ეტიმოლოგიურად დაკავშირებული იყოს დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ გვარ-სახელთან კინწურაშვილი. მით

²⁶ **Х. С. Бгажба.** Некоторые вопросы абхазской топонимики. – *Труды I. Сухуми*, 1987, გვ. 134.

²⁷ **Фредерик Дюбуа де Монпере.** Путешествие..., გვ. 100; **Dubois de Montpereux.** Voyage..., t. I, გვ. 219.

²⁸ **Фредерик Дюбуа де Монпере.** Путешествие..., გვ. 92.

²⁹ **С. Званба.** О Гагре и Джигетах. – წგნ.: **С. Званба.** Абхазские этнографические этюды. Сухуми, 1982, გვ. 9.

უფრო, რომ სვანურში კინწი კისერს, ხოლო კინწაი ერთგვარ ბალახს ნიშნავს³⁰.

მდინარე კინჭულის ამჟამინდელი სახელწოდება ფსოუ ეთნო-ჰიდრონიმია, დაკავშირებული აწინდელი აფხაზების ენდოეთნონიმთან აფსუა³¹. როგორც ს. ჯანაშიას მიერ ყუბანისპირეთში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალიდან ჩანს, ჩრდილო კავკასიელი აბაზები (ან მათი ნაწილი) აფსუებს მოიხსენიებენ სახელით აფსოუ³² (შდრ. ფსოუ). შესაძლოა ეთნონიმი აფსოუ მათი ჯიქეთის ამ მდინარის (ე. ი. ფსოუს) ხეობაში მოსახლეობის გამო წარმოშობილიყო.

ჰიდრონიმ „ფსოუ“-ს ეტიმოლოგიის გარკვევა ამჯერად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს, მხოლოდ მოკლედ აღვნიშნავთ, რომ პ. ინგოროყვას მიხედვით, „ფსოუ“ ქართული „ფასი“-დან მომდინარეობს³³, ხოლო ხ. ბლაჟბას თანახმად, ფსოუ ადიღურად სწრაფ, ჩქარ მდინარეს ნიშნავს, კერძოდ, ფსი – წყალი და ადიღური „უერ“ („ოუ“) – სწრაფი, ჩქარად მდინარე³⁴.

ამრიგად, მდინარე ბზიფის ძველი სახელწოდება იყო კაპოეტის წყალი, აგრეთვე კოტოში, ხოლო ფსოუსი – კინჭული. ჰიდრონიმების ამგვარი ცვლილებები ნათლად მიუთითებს ამ მხარეში მიმდინარე ეთნოლოგიურ პროცესებზე, რომ ერთი ეთნიკური ფენა – ქართული შეიცვალა აბაზურ-ადიღური მოდგმის ჯიქებით.

³⁰ ა. ლიპარტელიანი. სვანურ-ქართული ლექსიკონი. თბ., 1994, გვ. 164.

³¹ Ш. Инал-ипа. Вопросы этно-культурной истории Абхазов. Сухуми, 1976, გვ. 357.

³² ს. ჯანაშია. ექსპედიცია ადიღეს ავტონომიურ ოლქში. – შრომები, IV. თბ., 1968, გვ. 101.

³³ პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 186.

³⁴ Х. Бгажба. Некоторые вопросы абхазской топонимики..., გვ. 133.

КОБА М. ОКУДЖАВА

ОБ ЭТИМОЛОГИИ ДРЕВНИХ НАЗВАНИЙ РЕК БЗЫБИ И ПСОУ

Река Бзыби в грузинских исторических источниках упоминается как Капоетис-мдинаре (река Капоети). 1833 году по Кавказу путешествовал швейцарский учёный Дюбуа де Монпере. Из его книги «*Путешествие вокруг Кавказа*», узнаём, что на некоторых средневековых европейских картах река Бзыби именовался как Котоши. В этой же книге отмечено и древнее название реки Псоу – Кинчули. Оба эти гидронима, по нашему мнению, имеют грузинскую этимологию.

КОВА OKUJAV A

ON THE ETYMOLOGY OF THE ANCIENT NAMES OF THE RIVERS BZIFI AND PSOU

In 1833 the Swiss explorer Dubois De Montpereux travelled in the Caucasus. In his book “*Travelling Across the Caucasus*” (“*Voyage autour du Caucase*”) is is mentioned that on some maps of Europe of the Middle Ages the river Bzifi was called Kotoshi, and the river Psou – Kintchuli. In the Georgian historical sources the river Bzifi is called Капоети. Names Капоети water, Kotoshi and Kintchuli are Georgian etymologically.

ბეჟან სორაგა

„აღმოსავლეთის საკითხი“ XIX საუკუნის 20-იან წლებში და აფხაზეთი

XIX ს. 20-იანი წლების საერთაშორისო ურთიერთობებში „აღმოსავლეთის საკითხს“ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ საკითხის გადაწყვეტისათვის ბრძოლაში რუსეთი ცდილობდა: შავი ზღვის ვაჭრობაში სრული თავისუფლებისათვის მიეღწია; ღუნაის სამთავროებში (მოლდავეთი და ვლახეთი) პოლიტიკური გავლენა განემტკიცებინა; კავკასიაში, სახელდობრ, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, სამფლობელოები გაეფართოებინა¹.

ბუქარესტის ზავის (1812წ.) დადების შემდეგ რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა გართულდა. ოსმალეთს არ სურდა ზავის პირობები შეესრულებინა; ამასთანავე, ტრაქტატის პირობების დაცვის მოთხოვნით იმერეთ-სამეგრელო-გურია-აფხაზეთზე აცხადებდა პრეტენზიას, მაგრამ ტერიტორიულ დათმობებთან დაკავშირებით პეტერბურგის ურყევ პოზიციას შეეჯახა. 1812 წელს ნაპოლეონთან ომისა და რუსეთის არმიის საზღვარგარეთ ლაშქრობის შემდეგ, ევროპის საქმეებში რუსეთის როლი გაიზარდა და მისი საერთაშორისო პრესტიჟი ამაღლდა. ამის გათვალისწინებით პორტამ თავისი პრეტენზიები შავი ზღვის სანაპირო ციხეებით – სოხუმ-კალე, ანაკლია, კემხელი (რედუტ-კალე) – შეზღუდა; ამასთანავე რუსეთს ბუქარესტის ტრაქტატის პირობების შეუსრულებლობაში სდებდა ბრალს. რუსეთის პოზიცია ამ შემთხვევაშიც ურყევი იყო. საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებდა, რომ რუსეთი ბუქარესტის ზავის პირობებს ყოველთვის იცავდა, ოსმალეთისაგან განსხვავებით, რომელიც, სრულიად უსაფუძვლოდ, შავი

¹ А. В. Фадеев. Россия и Кавказ первой трети XIX в. М., 1960, გვ. 34.

ზღვის სანაპირო სიმაგრეების მისთვის გადაცემას მოითხოვდა².

რუსეთის გავლენის ზრდამ ევროპაში ხელი შეუწყო ცარიზმის პოლიტიკის გააქტიურებას შუა აღმოსავლეთში. რუსეთის მცდელობას, განეხლებინა ოსმალეთთან მოლაპარაკებები ბუქარესტის ტრაქტატის პირობების შესრულებასთან დაკავშირებით, „ბრწყინვალე პორტამ“, რომელსაც ინგლისი უჭერდა მხარს, უარით უპასუხა და დასავლეთ საქართველოზე კვლავ პრეტენზია წამოაყენა³.

რუსეთის ახალმა ელჩმა სტამბოლში გრიგორი სტროგანოვმა (1816-1821) ბალკანეთისა და კავკასიის საკითხებზე მუჰამედ II-ის (1808-1839) მთავრობასთან მოლაპარაკებები დაიწყო, თუმცა პორტა არ აპირებდა სერბეთისთვის აღთქმული უფლებები გადაეცა, არც ბუქარესტის ზავის თანახმად 1812 წელს მისთვის ახალქალაქის, ფოთისა და ანაპის დაბრუნებით აპირებდა დაკმაყოფილებას. ოსმალეთი პრეტენზიას აცხადებდა შავი ზღვის კავკასიის სანაპიროზე რელუტ-კალედან სოხუმის ჩათვლით. ინგლისის დიპლომატია, რომელიც პორტას პრეტენზიებს მხარს უჭერდა, როგორც პეტერბურგში ფიქრობდნენ, ამ გზით ბუქარესტისა (1812წ.) და გულისტანის (1813წ.) საზავო ხელშეკრულებების შეცვლას მიეღებოდა⁴.

XIX ს. 10-იანმა წლებმა რუსეთ-ოსმალეთის დიპლომატიურ ბრძოლაში ჩაიარა, 20-იანი წლების დასაწყისში კი „აღმოსავლეთის საკითხი“ გამწვავდა, რაც ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ 1821წ. 25 მარტს (6 აპრილი) დაწყებულმა ბერძნების ეროვნულ-განმათავისუფლებელმა აჯანყებამ გამოიწვია. იმავდროულად, ოსმალეთის თვითნებობა გაძლიერდა: პორტამ ღუნაის სამთავროებში ჯარები შეიყვანა და რუსეთის საზღვრის სიახლოვეს, მოლდავეთ-

² *Внешняя политика России XIX в. и начала XX века* (შემდგომ ВПР). Документы Российского министерства иностранных дел. Т. XIV. М., 1985, გვ. 510.

³ *Акты собранные Кавказской археографической комиссиею*. Под ред. *Ад. Берже*, т. VI, ч. 2. Тифлис, 1875, გვ. 412-413; *А. В. Фадеев*. Россия и Кавказ., გვ. 97, 102.

⁴ *Л. С. Семенов*. Россия и международные отношения на Среднем Востоке в 20-х годах XIX в. Л., 1963, გვ. 56.

ში, ღიად მოუყარა თავი. რუსეთსა და ოსმალეთს შორის ადრე დადებული ხელშეკრულებების დარღვევის გამო რამდენიმე უშედეგო პროტესტის შემდეგ ალექსანდრე I-მა (1801-1825) გ. სტროგანოვი სტამბოლიდან გამოიწვია, რაც ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტას ნიშნავდა⁵.

რუსეთს ოსმალეთის მიმართ სხვა პრეტენზიებიც ჰქონდა. პეტერბურგის საგარეო უწყების განცხადებით პორტა ღუნაის სამთავროების თაობაზე შეთანხმებას არ ასრულებდა, მხარს უჭერდა ახალციხის საფაშოდან მარბიელ ლაშქრობებს, აგრეთვე ჩრდილო კავკასიის მთიელთა ბრძოლას რუსეთის წინააღმდეგ; რუსეთის შემადგენლობაში ქართლ-კახეთის, იმერეთის, სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთის ნებაყოფლობით შესვლას არ აღიარებდა; თავის ნებაზე განმარტავდა ბუქარესტის საზავო ხელშეკრულების პირობებს, რომელიც კავკასიაში ტერიტორიული გამიჯვნის საკითხს შეეხებოდა⁶. რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაპირისპირების ერთ-ერთი ობიექტი აფხაზეთიც იყო. ბრწყინვალე პორტა აფხაზეთის სამთავრო ტახტისათვის ბრძოლაში ასლან-ბეი შარვაშიძეს უჭერდა მხარს და ახალგაზრდა მთავრის მიხიელ შარვაშიძის (1823-1864) ჩამოცილებით ამ მხარეში რუსეთის გავლენის აღმოფხვრას ცდილობდა.

1826 წლის დასაწყისისათვის რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა კიდევ უფრო გამწვავდა, რაც იმან გამოიწვია, რომ პორტამ დაარღვია შავი ზღვის სრუტეების ზონაში თავისუფალი სავაჭრო ნაოსნობის რეჟიმი და ბუქარესტის საზავო ხელშეკრულების მუხლები სერბეთისა და ღუნაის სამთავროების თაობაზე, ხოლო პეტერბურგი დადებითად გამოეხმაურა ბერძენი პატრიოტების თხოვნას ოსმალეთის წინააღმდეგ დახმარების შესახებ და ბერძნების განმათავისუფლებელ ბრძოლას მხარი დაუჭირა. 1826წ. 5 მარტს რუსეთმა ოსმალეთს ულტიმატუმის წესით მოსთხოვა ბუქარესტის საზავო ხელშეკრულების პირობების შესრულება — ჯარების გაყვანა მოლდავეთიდან და ვლახეთიდან და ამ ტერი-

⁵ *История СССР с древнейших времен до наших дней*. Т. IV. М., 1967, გვ. 479, 483.

⁶ *ВПП*, т. XIV, გვ. 849.

ტორიებზე იმ წესის აღდგენა, რომელიც განსაზღვრული იყო რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულებით, მაგრამ 1821 წელს ოსმალეთმა დაარღვია; სერბეთისთვის ბუქარესტის ტრაქტატით მიცემული ყველა უფლების აღდგენა; რუსეთ-ოსმალეთის მოლაპარაკებების განახლება, რომელიც 1816-1821წწ. უშედეგოდ მიმდინარეობდა და, ახალი ხელშეკრულების დასადებად რწმუნებულების დანიშვნა. უარის შემთხვევაში რუსეთი პორტას წინააღმდეგ ომის დაწყებას ფიქრობდა⁷.

ინგლისი და საფრანგეთი ოსმალეთის სუსტი იმპერიის მთლიანობის შენარჩუნებას უჭერდნენ მხარს და რუსეთ-ოსმალეთის ომის თავიდან აცილებას ცდილობდნენ. იმ მიზნით, რათა შეეკავებინა ცარიზმი ოსმალეთის წინააღმდეგ ერთპიროვნული გამოსვლისაგან, ინგლისი შეეცადა საბერძნეთის საკითხში ხელშეკრულებით მისთვის ხელ-ფეხი შეეკრა. 1826წ. თებერვალში პეტერბურგში ჩავიდა ჰერცოგი ა. ველინგტონი, რომელიც, როგორც ნაპოლეონზე გამარჯვების მომპოვებელი, ევროპელი მონარქებისა და, მათ შორის, რუსეთის ხელმწიფის განსაკუთრებული კეთილგანწყობით სარგებლობდა. ნიკოლოზ I (1825-1855) დათანხმდა, ეთანამშრომლა ლონდონთან საბერძნეთის საკითხში.

4 აპრილს პეტერბურგში ინგლისისა და რუსეთის დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა საბერძნეთის საკითხთან დაკავშირებით ერთობლივი მოქმედების შესახებ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს, თუმცა მასში შევიდა მუხლი, რომელიც რუსეთს აუცილებლობის შემთხვევაში ოსმალეთის წინააღმდეგ ერთპიროვნული მოქმედების უფლებას აძლევდა⁸. ლონდონმა ეს ფაქტი ა. ველინგტონის მისიის ჩავარდნად შეაფასა. ამრიგად, ინგლისის განზრახვა გამოჩენილი სარდლის დიპლომატიური გამოუცდლობის გამო ჩაიშალა.

რადგან პორტა ომისთვის მზად არ იყო, ამასთან, ლონდონ-

⁷ Ю. В. Ключников, А. В. Сабанин. Международная политика новейшего времени в договорах, нотах и декларациях. Ч. 1. М., 1925, გვ. 138-139.

⁸ *История СССР*, ч. 1. С древнейших времен до 1861 года. Под ред. проф. П. И. Кабанова и проф. В. В. Мавродина. Издание третье, исправленное. М., 1974, гв. 571.

ნის რჩევით, რომლის აზრითაც რუსეთთან ომი მკვეთრად დაასუსტებდა იმპერიას და ბალკანეთის ხალხების განთავისუფლებას ხელს შეუწყობდა, რუსეთის მოთხოვნები მიიღო. 1826 წლის 1 ივლისს აკერმანში (ამჟამინდელი უკრაინა, ოდესის ოლქის ქ. ბელგოროდ-დნესტროვსკი) რუსეთსა და ოსმალეთს შორის მოლაპარაკებები დაიწყო. რუსეთის მხარეს წარმოადგენდნენ ნოვოროსიის გენერალ-გუბერნატორი და ბესარაბიის მეფისნაცვალი მიხეილ ვორონცოვი და რუსეთის ელჩი ოსმალეთში ა. რიბოპიერი. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსაგან მათ მიიღეს მითითება, რომ შავი ზღვის სანაპირო სიმაგრეები – სოხუმ-კალე, ანაკლია, კემხელი – ოსმალეთს არ უნდა დაბრუნებოდა. საგარეო უწყების განმარტებით, სოხუმ-კალე აფხაზეთის ქალაქი იყო, აფხაზეთი კი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში რუსეთ-ოსმალეთის 1806-1812წწ. ომამდე შევიდა; ანაკლია და კემხელიც, როგორც სამეგრელოს სამთავროს სიმაგრეები, რუსეთმა ომამდე დაიკავა. სამეგრელო კი, ისევე როგორც ქართლ-კახეთი, იმერეთი და გურია, დიდი ხანია რაც რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა. არცერთი მათგანი მანამდე პორტას დაქვემდებარებაში არ ყოფილა და მათზე მხოლოდ ირანი ახორციელებდა ზოგჯერ სიუზერენულ უფლებებს, შემდეგ კი მან ეს პროვინციები გულისტანის ზავით რუსეთის შემადგენლობაში ცნო⁹.

ამრიგად, რუსეთი ცდილობდა დაესაბუთებინა, რომ შავი ზღვის სანაპირო სიმაგრეები მან 1806-1812წწ. ომამდე დაიკავა და პორტას პრეტენზიები მათზე უსაფუძვლო იყო. პეტერბურგი განწყობილი იყო პორტასთან ურთიერთობა მშვიდობიანად დაერეგულირებინა, ხოლო თუ მოლაპარაკებები უშედეგოდ დამთავრდებოდა, გადამწყვეტი მოქმედებისათვის მიემართა, ანუ ომით გადაეწყვიტა საკითხი¹⁰. ინგლისის დიპლომატია ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ რუსეთს ოსმალეთთან ომი არ დაეწყო და სადავო საკითხები თავის სასარგებლოდ არ გადაეჭრა. რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობის განვითარება მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული რუსეთ-

⁹ *ВИП*, т. XIV, გვ. 509-510.

¹⁰ *ВИП*, т. XIV, გვ. 849.

ირანის ურთიერთობზე. ირანის ნეიტრალიტეტის გარეშე რუსეთი ოსმალეთის წინააღმდეგ ომს ვერ დაიწყო, ამიტომ ინგლისის დიპლომატიამ ირან-რუსეთის ახალი ომის პროვოცირება დაიწყო. ამ მხრივ ლონდონს ირანში სასურველი ნიადაგი ჰქონდა¹¹.

ირანის მმართველი წრეები, რომლებიც გულისტანის ზავს (1813წ.) დროებით დათმობად თვლიდნენ, რუსეთთან ახალი ომისათვის ემზადებოდნენ. ირანის მმართველი წრეების რევანშისტულ განწყობას ინგლისიც აღვივებდა, რომელიც ფათ-ალი შაჰს გულისტანის ზავის გადასინჯვისაკენ უბიძგებდა¹². 1826 წლის 16 ივლისს ირანის 60-ათასიანმა არმიამ ტახტის მემკვიდრის აბას-მირზას მეთაურობით მდ. არაქსი გადალახა და რუსეთის იმპერიის საზღვრებში შეიჭრა. ინგლისელი მრჩევლების მიერ შემუშავებული გეგმით, აბას-მირზას თბილისი უნდა დაეკავებინა, რუსეთის ჯარები ქართლ-კახეთიდან განედევნა და თერგს იქით უკუეგღო. კავკასიის კორპუსის სარდალს, გენერალ ალექსი ერმოლოვს (1816-1827) საკმარისი ძალები არ ჰყავდა. მას კავკასიის მთიელთა წინააღმდეგაც უნდა დაეხმებინა ჯარის ნაწილები, ოსმალეთის საზღვარზეც და ირანის წინააღმდეგაც ებრძოლა¹³.

ირანის ჯარების ამიერკავკასიაში შეჭრა აკერმანის კონფერენციის დაწყებასთან იყო დაკავშირებული¹⁴. რუსეთ-ირანის ახალი ომის დაწყებას პორტა იმედით შეჰყურებდა და ირანის თავდაპირველი წარმატებებით იმედმიცემული ოსმალეთის დიპლომატიამ მოლაპარაკების გაჭიანურებას ცდილობდა¹⁵. რუსეთის ხელისუფლება ფიქრობდა, რომ ირანის მსგავსად, ინგლისის წაქეზებით, მას ომს ოსმალეთიც გამოუცხადებდა¹⁶. რუსეთის დიპ-

¹¹ **ბ. ქორთუა.** ამიერკავკასია რუსეთ-ირანის 1826-1828 წლების ომში. თბ., 1978, გვ. 90.

¹² **Н. С. Киняпина, М. М. Блиев, В. В. Дегоев.** Кавказ и Средняя Азия во внешней политике России, вторая половина XVIII – 80-е годы XIX в. М., 1984, გვ. 125.

¹³ **ბ. ქორთუა.** ამიერკავკასია რუსეთ-ირანის..., გვ. 100-104.

¹⁴ **А. Дебидур.** Дипломатическая история Европы от Венского до Берлинского конгресса (1814-1878). Т. 1. М., 1947, გვ. 259.

¹⁵ **А. Дебидур.** Дипломатическая история Европы..., т. 1, გვ. 259.

¹⁶ **ბ. ქორთუა.** ამიერკავკასია რუსეთ-ირანის..., გვ. 110.

ლომატიურ წრეებში ლაპარაკიც კი დაიწყო იმის თაობაზე, რომ დაეკმაყოფილებინათ პორტას პრეტენზია და სოხუმი და ანაკლია დაებრუნებინათ, თუმცა ხელისუფლებას კარგად ესმოდა, რომ სოხუმისა და ანაკლიის დათმობით მთელ დასავლეთ საქართველოს სერიოზული საფრთხე შეექმნებოდა. ა. ერმოლოვი ოსმალეთისთვის ამ ნავსადგურების დათმობის სასტიკი წინააღმდეგი იყო. მისი აზრით, სოხუმის დათმობა გამოიწვევდა ქრისტიანობის ამოღებას აფხაზეთში და იქ ისლამის გაბატონებას; სოხუმის დაკარგვით რუსეთი დაკარგავდა ერთადერთ საიმელო ნავსადგურს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე და, საბოლოოდ, აფხაზეთსაც. აფხაზეთის დაკარგვა კი რთულ პირობებს შექმნიდა სამეგრელოში, რომელიც აფხაზეთიდან ოსმალთა გამუდმებული თავდასხმების ობიექტი გახდებოდა, რაც ერთმორწმუნე ქართველებში რუსეთისადმი რწმენის დაკარგვას გამოიწვევდა. ამიტომ იგი სოხუმის სათანადოდ გამაგრების საკითხს აყენებდა¹⁷.

ამავე ხანებში, პორტამ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროსაც მიაქცია ყურადღება. 1826წ. ზაფხულში ტრაპეზუნტიდან ანაპაში ახალი ფაშა, წარმოშობით ჩეჩენი ჰაჯი ჰასან-ოღლუ ჩავიდა. როგორც ჩანს, პორტა იმედოვნებდა, რომ წარმოშობით კავკასიელი ფაშა ადგილობრივ მთიელებთან მჭიდრო კონტაქტების დამყარებას შეძლებდა¹⁸. 5 სექტემბერს ჰასან-ოღლუმ ანაპის მახლობლად შეკრიბა ჩერქეზული თემების მამასახლისები და მათგან სულთნის ერთგულებაზე ფიცის დადება და ანაპის თურქული გარნიზონის შენახვა მოითხოვა. მთიელებმა ფაშას განუცხადეს, რომ არცერთ ხელმწიფეს არ ემორჩილებოდნენ და არავის მისცემდნენ ნებას, ვინმეს ისინი დაპყრობილად მიეჩნია. მიუხედავად ამისა, ფაშამ ზოგიერთი მამასახლისისაგან ფიცის დადებას მიაღწია იმ პირობით, რომ გამოსვლებს არ მოითხოვდა. თუმცა მალე მთიელებმა ამ შეთანხმებაზე უარი თქვეს და პორტასთან ურთიერთობა შეწყვიტეს¹⁹.

¹⁷ **ბ. ქორთუა.** ამიერკავკასია რუსეთ-ირანის..., გვ. 110-111.

¹⁸ **А. В. Фадеев.** Россия и Кавказ первой трети XIX в., გვ. 123.

¹⁹ **А. В. Фадеев.** Россия и Кавказ первой трети XIX в., გვ. 123; **Н. С. Киняпина, М. М. Блиев, В. В. Дегоев.** Кавказ и Средняя Азия..., გვ. 127.

ირანის ჯარის ნაწილების თავდაპირველი წარმატების მიუხედავად, კავკასიის კორპუსის ნაწილებმა ომის დასაწყისშივე ჩამალეს ირან-ინგლისის გეგმები. 1826წ. 3 სექტემბერს მდ. შამქორთან, ხოლო 13 სექტემბერს ელიზავეტოპოლთან (განჯა) ირანის არმია დაამარცხეს და მდ. არაქსის გაღმა გადარეკეს²⁰. შამქორთან და ელიზავეტოპოლთან რუსეთის ჯარების გამარჯვებამ ირანის არმია წელში გატეხა და გამარჯვების იმედი დაუკარგა. რუსეთის ამ გამარჯვებამ ოსმალეთშიც ჰპოვა გამოძახილი. პორტა, რომელიც რუსეთთან ომის დასაწყებად ემზადებოდა, იძულებული გახდა, თავი შეეკავებინა²¹. უფრო მეტიც, როდესაც ომში რუსეთის უპირატესობა აშკარად გამოიკვეთა, პორტამ რუსეთის მიერ აკერმანში წამოყენებული კონვენციის ტექსტი უსიტყვოდ მიიღო.

1826 წლის 25 სექტემბერს აკერმანში რუსეთსა და ოსმალეთს შორის კონვენციას ხელი მოეწერა. აკერმანის კონვენცია ადასტურებდა ბუქარესტის ტრაქტატის პირობებს. ოსმალეთმა რუსეთის შემადგენლობაში ოფიციალურად აღიარა შავი ზღვის ნავსადგურები: სოხუმი, რედუტ-კალე (კემხელი) და ანაკლია; რუსეთის სავაჭრო ფლოტს ოსმალეთის ტერიტორიულ წყლებში თავისუფალი ნაოსნობის, ხოლო რუს ვაჭრებს ოსმალეთის იმპერიაში თავისუფალი ვაჭრობის უფლება მიეცათ; რუსეთსა და ოსმალეთს შორის სასაზღვრო ხაზად მდ. დუნაი დაწესდა; დუნაის სამთავროებში ექვს თვეში უნდა აღდგენილიყო თვითმართველობა, სერბიას შინაგანი მმართველობის თავისუფლება ენიჭებოდა, უბრუნდებოდა წართმეული ტერიტორიები და სხვა²².

ამრიგად, აკერმანის კონვენცია საგრძობლად აძლიერებდა რუსეთის პოზიციებს კავკასიასა და ბალკანეთში და რუსეთის დიპლომატიის მნიშვნელოვანი წარმატება იყო²³, მაგრამ თურქეთი აშკარად უკმაყოფილო იყო, იგი შეთანხმების პირობების დარღვევას

²⁰ **ბ. ქორთუა.** ამიერკავკასია რუსეთ-ირანის..., გვ. 134-144.

²¹ **ბ. ქორთუა.** ამიერკავკასია რუსეთ-ირანის..., გვ. 144-145, 148.

²² *ВІР*, т. XIV, გვ. 850-853; **Ю. В. Ключников, А. В. Сабанин.** Международная..., გვ. 138-139; **Н. С. Киняпина, М. М. Блиев, В. В. Дегоев.** Кавказ и Средняя Азия..., გვ. 127.

²³ **Ю. В. Ключников, А. В. Сабанин.** Международная..., გვ. 139.

ცდილობდა და აშკარა კონფრონტაციაზე მიდიოდა. კვლავ გააქტიურდა ოსმალეთის პოლიტიკა როგორც აფხაზეთის, ისე მთლიანად დასავლეთ კავკასიის მიმართ; გააქტიურდა აფხაზეთის სამთავრო ტახტის მადიებელი ასლან-ბეი შარვაშიძეც, რომელსაც მხარს უჭერდა პორტა; თურქები იარაღით ამარაგებდნენ დასავლეთ კავკასიის მთიელებს, აფხაზეთიდან და ჩერქეზეთიდან კვლავ გაჰყავდათ ტყვეები²⁴. წარმოშობით ლაზმა სერასკირმა ოსმანფაშამ, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა ოსმალეთში და სულთნის კეთილგანწყობით სარგებლობდა, შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე გააგზავნა თავისი ბიძაშვილი აჰმედ-ფაშა, რათა ემართა ეს მხარე და მისი მოსახლეობა რუსეთის წინააღმდეგ განეწყობა²⁵. ამრიგად, პორტა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე დაკარგული გავლენის აღსადგენად კვლავ ენერგიულად ემზადებოდა. მისი ასეთი მცდელობა რუსეთის ინტერესებს ეჯახებოდა, რასაც მათ შორის კონფრონტაცია გარდაუვლად უნდა მოჰყოლოდა²⁶.

1827 წლის ზაფხულში ლონდონში დაიწყო მოლაპარაკება რუსეთს, ინგლისსა და საფრანგეთს შორის ბერძნების ეროვნულ-განმათავისუფლებელ აჯანყებასთან დაკავშირებით შეთანხმების გასაფორმებლად. ინგლისი და საფრანგეთი ცდილობდნენ მოლაპარაკება გაეჭიანურებინათ და ოსმალეთისთვის ბერძნების აჯანყების ჩახშობის საშუალება მიეცათ. ამით განაწყენებულმა რუსეთმა განაცხადა, რომ საბერძნეთის საკითხს ერთპიროვნულად გადაწყვეტდა და ჯარის მობილიზაცია დაიწყო. ინგლისი და საფრანგეთი რუსეთის კატეგორიულმა განცხადებამ დააფრთხო და იძულებული გახდნენ, შეთანხმების გაფორმება დაეჩქარებინათ²⁷.

1827 წლის 6 ივლისს ინგლისს, საფრანგეთს და რუსეთს შორის ხელი მოეწერა ლონდონის კონვენციას, რომელიც ითვალისწინებდა სამი სახელმწიფოს ერთობლივ მოქმედებას პორტას-

²⁴ *Договоры России с Востоком политические и торговые*. Собрал и издал **Т. Юзефович**. СПб, 1869, გვ. 74.

²⁵ *Акты...*, т. VII, Тифлис, 1878, №859, გვ. 886.

²⁶ *Договоры России с Востоком...*, გვ. 74.

²⁷ **ბ. ქორთუა**. ამიერკავკასია რუსეთ-ირანის..., გვ. 238.

თან მიმართებაში. ისინი ვალდებულებას იღებდნენ ოსმალეთის-თვის შეეთავაზებინათ თავიანთი შუამავლობა ბერძნებთან დაზავების თაობაზე; ოსმალეთს საბერძნეთისთვის ავტონომია უნდა მიეცა; კონვენციის ხელმოწერ მხარეებს ეკრძალებოდათ თავიანთი გავლენის გაზრდა ახლო აღმოსავლეთში ან სავაჭრო უპირატესობის მოპოვება. კონვენციის საიდუმლო მუხლის თანახმად, თუ პორტა უარს იტყოდა ინგლის-საფრანგეთ-რუსეთის შუამავლობაზე საბერძნეთთან ურთიერთობის მოგვარების საქმეში, მაშინ ოსმალეთის მიმართ იძულებითი ზომა იქნებოდა გამოყენებული. კონვენციის ხელმოწერი მხარეები საბერძნეთში გაგზავნიდნენ თავიანთ კონსულებს, ხოლო კონსტანტინოპოლიდან ელჩებს გამოიწვევდნენ; თუ ეს ღონისძიებაც არ იმოქმედებდა სულთანზე, სამხედრო-საზღვაო ესკადრებს თავს მოუყრიდნენ ხმელთაშუა ზღვაში და აიძულებდნენ ოსმალეთს, ბერძნებთან ომზე ხელი აელო²⁸.

ლონდონის კონვენციის მოთხოვნების შესრულებაზე სულთანმა უარი განაცხადა. მაშინ, მოკავშირეთა ესკადრა საბერძნეთის სანაპიროსაკენ გაემართა, რათა პორტაზე ზეწოლა მოეხდინა. 8 (20) ოქტომბერს მოკავშირეთა ესკადრა ნავარინის ყურეში შევიდა, სადაც ოსმალეთ-ეგვიპტის სამხედრო ფლოტი იყო დისლოცირებული. თურქებმა საფრანგეთის საფლაგმანო ხომალდს ცეცხლი გაუხსნეს, რასაც მოკავშირეებმა ცეცხლით უპასუხეს და ბრძოლა გაჩაღდა. ნავარინის ბრძოლაში ოსმალეთის ფლოტი მთლიანად განადგურდა, 7 ათასამდე თურქი დაიღუპა, მოკავშირეებს კი არცერთი ხომალდი არ დაუკარგავთ²⁹.

ოსმალეთის ფლოტის განადგურებამ მნიშვნელოვნად დაასუსტა პორტას საზღვაო სიძლიერე და ხელი შეუწყო ბერძნეთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წარმატებას. სულთანი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე პოზიციების შესუსტებას რუსეთს აბრალებდა, ამიტომ მან გააუქმა რუსეთთან დადებული ყველა ხელშეკრულება, მათ შორის აკერმანის კონვენცია, ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები ჩაკეტა და რუსულ საქონელს კონს-

²⁸ **Ф. Мартенс.** Собрание трактатов и конвенций, заключенных Россией с иностранными державами. Т. XI. СПб, 1895, გვ. 345-362.

²⁹ **Е. Богданович.** Наварин. 1827-1877. М., 1877, გვ. 51-74.

ტანტინოპოლში ემბარგო დაადო. ამასთან, იგი რუსეთთან ომის-
თვის გამაღებულ მზადებას შეუდგა³⁰.

ოსმალეთი ამიერკავკასიის საზღვარზე – ყარსში, ბაიაზეთ-
ში, არზრუმში არტილერიასა და ჯარს უყრიდა თავს; გააძლიერა
ანაპის, ფოთის, ახალქალაქის, ახალციხის ციხეები. ოსმალეთი
გამომწვევად აწყობდა სასაზღვრო ინციდენტებს და ომის პროვო-
ცირებაზე მიდიოდა³¹. რუსეთმა კონტრლონისძიებებს მიმართა. შა-
ვი ზღვის ფლოტის სარდალმა ბრძანება მიიღო, აფხაზეთისა და
ანაპის სანაპირო ოსმალეთის მტრული მოქმედებისაგან დაეცვა³².

იმავედროულად, რუსეთი ირანთან ომს წარმატებით ეწეოდა.
1827წ. აპრილში კავკასიის კორპუსი საერთო შეტევაზე გადა-
ვიდა. 26 ივნისს რუსეთის ჯარის ნაწილებმა ნახიჭევანი აიღეს.
მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილმა ირანმა ოსმალეთს მატერია-
ლური და ფინანსური დახმარება სთხოვა. მართლაც, პორტამ ზაფ-
ხულსა და შემოდგომაზე ირანს მნიშვნელოვანი დახმარება გაუ-
წია. ინგლისიც საგანგებო ღონისძიებებს ატარებდა, რათა ირანის
არმიას მძიმე მდგომარეობა გამოესწორებინა და წინა აზიაში რუ-
სეთის წარმატება შეეზღუდა, მაგრამ მდგომარეობის შემობრუნება
შეუძლებელი აღმოჩნდა. კავკასიის კორპუსის ნაწილებმა 1 ოქ-
ტომბერს ერევანი, ხოლო 31 ოქტომბერს თავრიზი აიღეს³³. ნო-
ემბრის პირველ რიცხვებში რუსეთ-ირანის საზავო მოლაპარაკე-
ბები დაიწყო, მაგრამ რუსეთსა და ოსმალეთს შორის მოსალოდ-
ნელი ომის მოლოდინში ირანი დროის გაჭიანურებას ცდილობდა.
მაშინ კავკასიის კორპუსი შეტევაზე გადავიდა, 1828წ. 15 იანვარს
ურმია, ხოლო 25 იანვარს არღებილი დაიკავა და ირანის დედა-
ქალაქს, თეირანს, რეალური საფრთხე შეუქმნა. რუსეთის ჯარე-
ბის წარმატებით შესწოთებული ინგლისის დიპლომატიის ჩარე-
ვით კატასტროფის წინაშე მდგარმა ირანმა ზავი ითხოვა³⁴.

³⁰ **Ф. Мартенс.** Собрание трактатов..., გვ. 360-362; **ნ. ქორთუა.** ამიერკავ-
კასია რუსეთ-ირანის..., გვ. 239.

³¹ **ნ. ქორთუა.** ამიერკავკასია რუსეთ-ირანის..., გვ. 239-240.

³² **ნ. ქორთუა.** ამიერკავკასია რუსეთ-ირანის..., გვ. 239.

³³ **ნ. ქორთუა.** ამიერკავკასია რუსეთ-ირანის..., გვ. 159-181.

³⁴ **ნ. ქორთუა.** ამიერკავკასია რუსეთ-ირანის..., გვ. 257-261.

1828 წლის 10 (22) თებერვალს, თავრიზის მახლობლად, სოფ. თურქმანჩაიში, საზავო ხელშეკრულებას ხელი მოეწერა. თურქმანჩაის ზავით რუსეთის ხელში გადადიოდა ერევნისა და ნახიჭევანის სახანოები; რუსეთსა და ირანს შორის ახალი საზღვარი მდ. არაქსზე გავიდა; ირანს დაეკისრა 20 მლნ. მანეთი (ვერცხლით) კონტრიბუცია; რუსეთისა და ირანის სავაჭრო გემებს თავისუფალი ნაოსნობის უფლება ჰქონდათ კასპიის ზღვის აუზში, ამასთან რუსეთს ჰქონდა უპირატესი უფლება კასპიის ზღვაზე სამხედრო ფლოტი ჰყოლოდა; რუს ვაჭრებს ირანში შეღავათები ენიჭებოდათ; თურქმანჩაის ზავი სცნობდა გულისტანის საზავო ხელშეკრულებით შემოერთებულ სახანოებზე რუსეთის უფლებებს. ამით ბოლო უნდა მოეხდინა გაუთავებელ სასაზღვრო ინციდენტებს³⁵.

ამრიგად, რუსეთმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. ინგლისის მცდელობა, ირანის მეშვეობით განედევნა რუსეთი ამიერკავკასიიდან, მარცხით დამთავრდა. თურქმანჩაის ზავმა განამტკიცა რუსეთის მდგომარეობა ამ რეგიონში, ირანთან ომში გამარჯვებამ რუსეთს აღმოსავლეთი ამიერკავკასია მოუპოვა და მათ შორის ომებს ბოლო მოუღო³⁶. რუსეთის წარმატებამ, მისმა გაძლიერებამ აღმოსავლეთში შეაშფოთა ინგლისი, რომელიც ცდილობდა ირანი ძლიერ ბუფერულ სახელმწიფოდ გადაექცია და მისი მეშვეობით რუსეთისათვის ინდოეთისაკენ გზა ჩაეკეტა. ამასთან, „ნისლიანი ალბიონი“ ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა რუსეთის ბატონობისათვის კავკასიაში ბოლო მოეღო³⁷.

ირანთან ომში გამარჯვებამ ცარიზმს საშუალება მისცა, ოს-

³⁵ **Л. С. Семенов.** Россия и международные отношения..., გვ. 116-129; **С. В. Шостакович.** Дипломатическая деятельность А. С. Грибоедова. М., 1960, გვ. 152-153.

³⁶ **Б. ქორთუა.** ამიერკავკასია რუსეთ-ირანის..., გვ. 245-263; **ლ. შენგელია.** ამიერკავკასია და ირან-რუსეთის ურთიერთობა XIX საუკუნის პირველ მესამედში. თბ., 1979, გვ. 18-72.

³⁷ **С. К. Бушуев.** Из истории внешнеполитических отношений в период присоединения Кавказа к России (20-70-е годы XIX в.). М., 1955, გვ. 21; **მ. დუმბაძე.** იმერეთის სახელმწიფოს გაუქმება და ცარიზმის ბატონობის გაფართოება საქართველოში. — *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. IV. თბ., 1973, გვ. 880.

მაღლეთან კონფლიქტი სამხედრო ძალით გადაეჭრა. წლების განმავლობაში ოსმალეთის ანტირუსულმა მოქმედებებმა რუსეთს „ენერგიული რეაქციის საბაბი“ მისცა. 1828წ. 14 აპრილს, იმ მოტივით, რომ ოსმალეთი საერთაშორისო კონვენციებს უხეშად არღვევდა, რუსეთმა მას ომი გამოუცხადა. ნიკოლოზ I-მა ევროპის სახელმწიფოებს ოსმალეთთან ომის თაობაზე მანიფესტით ამცნო. მასში ნათქვამი იყო, რომ რუსეთი ომს ეწეოდა არა ახალი ტერიტორიების შესაძენად, არამედ არსებული შეთანხმებების შესრულების მიზნით³⁸.

საომარი მოქმედებები ორ ფრონტზე – ბალკანეთსა და კავკასიაში გაიშალა. რუსეთის ჯარის ნაწილების მხარდახარ კავკასიის ფრონტზე გმირულად იბრძოდა ქართველთა სახალხო ლაშქარი. კავკასიის ფრონტზე საომარი მოქმედებები იენისში დაიწყო და თავიდანვე რუსეთის ჯარის ნაწილების წარმატებებით წარიმართა. 23 იენისს კავკასიის კორპუსის ჯარებმა ყარსი აიღეს, ხოლო შემდეგ, ქართველთა სახალხო ლაშქრის აქტიური მონაწილეობით, 15 ივლისს – ფოთი, 24 ივლისს – ახალქალაქი, 16 აგვისტოს – ახალციხე³⁹. რუსეთის ჯარის ნაწილების გვერდით აფხაზთა სახალხო ლაშქარიც იბრძოდა ჰასან-ბეი შარვაშიძის მეთაურობით. მას მაიორის ჩინი ებოძა, ხოლო ფოთის აღებაში მონაწილეობისათვის დაჯილდოვდა ოქროს იარაღით, წარწერით „მამაცობისათვის“⁴⁰.

კავკასიის ფრონტზე საომარი მოქმედებების პარალელურად, 12 იენისს, რუსეთის ჯარის ნაწილებმა არტილერიის გენერლის, გენერალ-ადიუტანტ ა. მენშიკოვის სარდლობით, რომელსაც დახმარებას უწევდა შავი ზღვის ფლოტის ზომალღები ვიცე-ადმირალ ა. გრეივის მეთაურობით, შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე თურქთა მნიშვნელოვანი საყრდენი პუნქტი ანაპა და-

³⁸ Н. С. Киняпина. Внешняя политика России первой половины XIX в. М., 1963, გვ. 141.

³⁹ მ. დუმბაძე. იმერეთის სახელმწიფოს გაუქმება..., გვ. 882.

⁴⁰ А. В. Фадеев. Хозяйство и договор абхазского помещика на кануне реформы 1870 года. – *Материалы по истории Абхазии*. Сборник первый. Сухуми, 1939, გვ. 108.

იკავეს⁴¹.

ამრიგად, 1828წ. ზაფხულში ოსმალეთმა კავკასიის ფრონტზე მნიშვნელოვანი დარტყმა იგემა. პორტა შეეცადა, მდგომარეობა გამოესწორებინა, ამიტომ ფრონტის ახალი მთავარსარდალი დანიშნა, ჯარის ნაწილებიც გააძლიერა და შეეცადა კავკასიაში ანტირუსული აჯანყება მოეწყო, მაგრამ ამ ღონისძიებებს სასურველი შედეგი არ მოჰყოლია⁴². ახალდანიშნულმა სერასკირმა ჰაჯი სალეჰმა და ოსმალეთის მოქმედი ჯარების სარდალმა ჰაკი ფაშამ სულთნის ბრძანება მიიღეს, რომ არამართო ზღვარი დაედოთ რუსების წარმატებისათვის, არამედ დაპყრობილი პროვინციებიც დაებრუნებინათ, თუმცა მათი ყოველგვარი მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა⁴³.

იმავდროულად, ცარიზმი თანდათან ამტკიცებდა თავის პოზიციებს საქართველოში და, საერთოდ, კავკასიაში. ომის მსვლელობაში, 1828წ. ოქტომბერში, იმერეთის მმართველის, გენერალ-მაიორ კ. გესეს (1827-1831) მეთაურობით გურიაში რუსთა ჯარი შეიჭრა. მას, გურიის სამთავრო სახლის ოსმალეთთან კავშირის საბაბით, ნაბრძანები ჰქონდა სოფიო გურიელი გადაეყენებინა და ახალი მმართველობა შეექმნა. რუსთა ჯარის გურიაში შესვლისთანავე სოფიო გურიელი ოსმალეთში გადავიდა. ამით ისარგებლა ცარიზმმა, 1828 წლის მიწურულს გურიის სამთავრო ფაქტობრივად გააუქმა და „დროებითი მმართველობა“ შემოიღო, რომლის სათავეშიც რუსი მოხელე ჩააყენა⁴⁴. 1829 წლის დეკემბერში გურიის სამთავრო ოფიციალურადაც გაუქმდა. ამრიგად, რუსეთმა სამთავროთა ფორმალური ავტონომიის შენარჩუნებაზე ხელი აიღო.

⁴¹ **Гр. И. Филипсон.** Воспоминания, М. 1888, გვ. 123; **В. Новицкий.** Анапа и закубанские поселения. – *Записки Кавказского отдела Императорского Русского географического общества (ЗКОИРГО)*. Кн. I. Тифлис, 1852, გვ. 19.

⁴² **Н. С. Киняпина, М. М. Блиев, В. В. Дегоев.** Кавказ и... გვ. 128.

⁴³ **Ф. Ф. Торнау.** Воспоминания о Кавказе и Грузии. – *Русский вестник*, т. 79, №2, 1869, გვ. 412, 414.

⁴⁴ **მ. ღუმბაძე.** დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში. თბ., 1957, გვ. 247-248.

ცარიზმი შეეცადა ჩრდილოეთ კავკასიაშიც განემტკიცებინა თავისი გავლენა და ყარაჩაი, რომელიც ფორმალურად რუსეთის მფლობელობაში ითვლებოდა, რეალურად შეეერთებინა. ყარაჩაი მდებარეობდა იალბუზის ძირში, მდ. ყუბანის სათავეებში. მის დაუფლებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისათვის, რადგან ჩრდილოეთ კავკასიიდან სამხრეთ კავკასიისაკენ მიმავალი გზები მასზე გადიოდა⁴⁵. თავის დროზე, ყარაჩაიზე გავლენის გავრცელებას ანაპის ფაშას მეშვეობით ოსმალეთიც ცდილობდა და 1826წ. პორტამ მოახერხა კიდევ მისი დაქვემდებარება. ამან აიძულა ცარიზმი, ეზრუნა ყარაჩაის ფორმალური დამოკიდებულება რეალურად ექცია⁴⁶.

1828წ. ოქტომბერში კავკასიის ხაზისა და შავიზღვისპირეთის ჯარების სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი გ. ემანუელი ყარაჩაისაკენ დაიძრა. 20 ოქტომბერს რუსეთის ჯარსა და ყარაჩაელებს შორის მდ. ხუდესის სათავეებთან ბრძოლა გაიმართა. მთიელები დამარცხდნენ და უკან დაიხიეს. 21 ოქტომბერს რუსეთის ჯარმა მათ მთავარ აულს უბრძოლველად მიაღწია. 23 ოქტომბერს ყარაჩაელებმა გ. ემანუელს მორჩილება გამოუცხადეს, იმპერატორის ქვეშევრდომობაში შესვლაზე ფიცი დადეს და მძევლები მისცეს. ამრიგად, ყარაჩაი რუსეთს შეუერთდა⁴⁷. აქედან მოყოლებული ყარაჩაელებს კავკასიის ომში მონაწილეობა თითქმის არ მიუღიათ და ამიერიდან „მშვიდობიან მთიელებად“ ითვლებოდნენ.

1829წ. ზაფხულში ღუნაის არმიამ და კავკასიის კორპუსმა სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს, რამაც ომის ბედი გადაწყვიტა. ყარსის, ბაიაზეთისა და ახალციხის საფაშოების დაკავების შემდეგ, 1829წ. ზაფხულში კავკასიის კორპუსი აღმოსავლეთ ანატოლიის სიღრმეში ღრმად შეიჭრა და 27 ივნისს ოსმალეთის

⁴⁵ *Очерки истории Карачаево-Черкесии*. Т. I. Ставрополь, 1967, გვ. 287.

⁴⁶ *Очерки истории Карачаево-Черкесии*, т. I, გვ. 287.

⁴⁷ *Социально-экономическое, политическое и культурное развитие народов Карачаево-Черкесии (1790-1917)*. Сборник документов. Под ред. докт. ист. наук. **П. А. Шацкого, С. П. Шацкой**. Ростов-на-Дону, 1985, გვ. 39-41; **Гр. И. Филипсон**. Воспоминания..., გვ. 95; *Очерки истории Карачаево-Черкесии...*, გვ. 288.

მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე არზრუმი აიღო. მალე, ბრძოლები ტრაპიზონის მიმართულებით გაჩაღდა. აგვისტოში დუნაის არმიამ აღრიანოპოლი აიღო და სტამბოლს რეალური საფრთხე შეუქმნა. რუსეთის ჯარის წარმატებებმა არამართო სულთანი, არამედ ინგლის-საფრანგეთიც შეაშფოთა. ისინი დივანისაგან დაჟინებით მოითხოვდნენ სასწრაფოდ დაედო ზავი⁴⁸.

1829წ. 14 სექტემბერს აღრიანოპოლში, ოსმალეთის სულთანთა ძველ სასახლეში, რუსეთსა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდო. აღრიანოპოლის ზავით კავკასიაში რუსეთის ხელში გადავიდა შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო მდ. ყუბანის შესართავიდან მდ. ჩოლოქამდე ციხეებით: ანაპა და ფოთი; ახალციხის საფაშოს ერთი ნაწილი – სამცხე-ჯავახეთი ძველი ქართული ქალაქებით: ახალციხე, ახალქალაქი, ასპინძა, აწყური და სხვ. ოსმალეთი ცნობდა რუსეთის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს, იმერეთის, სამეგრელოს, გურიის, აგრეთვე ერევნისა და ნახიჭევანის საზღოების შეერთებას, რასაც ადრე თურქმანჩაის ზავი ადასტურებდა. პორტამ კვლავ დაადასტურა რუსეთისათვის ოსმალეთის იმპერიაში თავისუფალი ვაჭრობისა და საკონსულო იურისდიქციის უფლება; ის ბოსფორს და დარდანელსაც თმობდა თავისუფალი ნაოსნობისათვის; ოსმალეთს დაეკისრა აგრეთვე კონტრიბუცია – 33 მლნ. მანეთი ოქროთი; ხელშეკრულებამ დაადასტურა დუნაის სამთავროების – მოლდავეთისა და ვლახეთის, აგრეთვე სერბეთის ავტონომია; ოსმალეთმა ცნო საბერძნეთის ავტონომია⁴⁹. სულ მალე კი, 1830 წლის 3 თებერვალს საბერძნეთი ოფიციალურად გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო.

აღრიანოპოლის ზავი რუსეთის დიპლომატიის დიდი გამარჯვება იყო. მან უზრუნველყო რუსეთის პოზიციების განმტკიცება კავკასიაში, ხოლო ოსმალეთი კარგავდა ეკონომიკურ და პოლი-

⁴⁸ მ. დუმბაძე. იმერეთის სახელმწიფოს გაუქმება..., გვ. 883-884; **Н. С. Княпина**. Внешняя политика..., გვ. 145, 148; **Н. С. Княпина, М. М. Блиев, В. В. Дегоев**. Кавказ..., გვ. 128.

⁴⁹ მ. დუმბაძე. იმერეთის სახელმწიფოს გაუქმება..., გვ. 884; *История дипломатии*. Издание второе, переработанное и дополненное. Т. I, М., 1959, გვ. 544; **Н. С. Княпина**. Внешняя политика..., გვ. 148.

ტიკურ გავლენას ამ მხარეში. ადრიანოპოლის ზავით „ბრწყინვალე პორტა“ უარს ამბობდა ყოველგვარ პრეტენზიაზე რუსეთ-ოსმალეთის ახალი საზღვრის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიებზე და მათ „რუსეთის იმპერიის სამუდამო მფლობელობაში“ ცნობდა. ამ ტერიტორიებში შედიოდა დასავლეთ კავკასიაც, რომელიც, მართალია, ოსმალეთის მფლობელობაში არ იყო, მაგრამ მასზე „ბრწყინვალე პორტას“ პოლიტიკური გავლენა ვრცელდებოდა⁵⁰. ოსმალეთის ეს ნომინალური გავლენა იმით იყო გამოწვეული, რომ სულთანი ყველა მუსლიმანის, მათ შორის, კავკასიელი მთიელების უზენაეს მფარველად და მბრძანებლად ითვლებოდა. პოლიტიკურად ისინი სრულიად დამოუკიდებლები იყვნენ და მხოლოდ რელიგიური თვალსაზრისით ცნობდნენ სულთნის უზენაესობას. ამდენად, თუმცა ოსმალეთმა დასავლეთ კავკასია რუსეთის მფლობელობაში ცნო, ეს მხარე რუსეთს ჯერ კიდევ დასაბყრობი ჰქონდა. სანამ რუსეთი ჩრდილოეთ კავკასიას, მათ შორის, ყუბანის მხარეს არ დაიპყრობდა, მისი ბატონობა სამხრეთ კავკასიაში მტკიცე ვერ იქნებოდა.

ამრიგად, XIX ს. 20-იან წლებში, რუსეთმა „ადმოსავლეთის საკითხის“ მის სასარგებლოდ გადაჭრაში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია.

⁵⁰ А. В. Фадеев. Россия и Кавказ..., გვ. 339.

БЕЖАН К. ХОРАВА

„ВОСТОЧНЫЙ ВОПРОС“ В 20-Х ГОДАХ XIX. И АБХАЗИЯ

После заключения Бухарестского мира (1812г.) русско-турецкие отношения осложнились. Турция не желала выполнять условия соглашения; вместе с тем Порты претензию заявляла на западно-грузинские области – Имеретию, Мегрелию, Гурию и Абхазию. Победа России в войне с Наполеоном 1812г. и заграничный поход русской армии увеличила роль России в делах Европы, повысила ее международный престиж. Учитывая эти обстоятельства, Турция ограничила свои претензии на крепости черноморского побережья – Сухум-кале, Анаклию, Редут-кале, а также обвинила Россию в невыполнении условий Бухарестского трактата.

10-е и начало 20-х годов XIXв. прошли в русско-турецкой дипломатической борьбе. К тому же Порты поддерживала протурецкие силы в Абхазском княжестве, которые пытались отделить этот край от России. В начале 1826г. русско-турецкие отношения еще более обострились. Порты нарушила в зоне черноморских проливов режим свободного торгового судоходства и статьи Бухарестского мира о Сербии и Дунайских княжествах, а Петербург поддержал освободительную войну греков. 5 марта 1826г. Россия в ультимативной форме потребовала выполнение условий Бухарестского мира и назначения уполномоченных для подписания нового договора. В случае отказа Россия намеревалась начать войну.

1 июля 1826г. в г. Аккерман начались русско-турецкие переговоры. С началом Аккерманской конференции было связано вторжение иранской армии в Закавказье и начало новой русско-иранской войны (1826-1828гг.). Когда в войне явно проявилось преимущество России, Порты безоговорочно приняла предъявленный Россией в Аккермане текст конвенции. Аккерманская конвенция (25 сентября 1826г.) подтверждала условия Бухарестского трактата. Турция официально признала в составе

России Черноморские порты: Сухум-кале, Редут-кале и Анаклию. Этим был положен конец претензиям Турции на грузинское побережье Черного моря.

Турция была недовольна Аккерманской конвенцией, старалась ее нарушить, шла на явную конфронтацию и готовилась восстановить свое влияние на Восточном побережье Чёрного моря. В 1828г. Россия успешно завершила войну с Ираном, что дала возможность царизму разрешить конфликт с Турцией военным путем. Победа в войне 1828-1829гг. обеспечила России утверждение позиции на Южном Кавказе.

Таким образом, в 20-х годах XIXв. в разрешении „восточного вопроса“ Россия достигла значительных успехов.

BEJAN KHORAVA

THE “EASTERN QUESTION” IN THE 1820’S AND ABKHAZIA

After the conclusion of the Treaty of Bucharest (1812) the Russian-Turkish relations became complicated. Turkey did not want to fulfil the clauses of the agreement. At the same time Ottoman Empire had claims regarding the Western Georgian provinces – Imereti, Megrelia, Guria and Abkhazia. Russian victory in the 1812 war and the Russian army’s march in Europe increased role of Russia in the European affairs and raised Russia’s international prestige. Taking into account those conditions, Turkey confined her claims to the fortresses situated at the Black Sea coast – Sukhum-Kale, Anaklia, Redut-Kale. Turkish government also blamed Russia with non-fulfillment of the clauses of the Treaty of Bucharest.

The Russian-Turkish diplomatic confrontation continued throughout 1810’s and 1820’s. Ottoman Empire supported the pro-Turkish forces, who were trying to secede the Abkhaz Principedom from Russia. At the beginning of 1826 the relations became even more strained. Ottoman Empire broke the free trade navigation re-

gime in the Turkish Straits and the articles of the Treaty of Bucharest regarding Serbia and Danube Princedoms, while Saint-Petersburg backed up the Greek liberation war. On March 5, 1826 Russia demanded categorically from Turkey fulfilment of the Treaty of Bucharest and appointment of the new commissioners to sign the new treaty. In case of refusal Russia was going to begin war.

The Russian-Turkish negotiations began in Akkerman on July 1, 1826. The starting phase of the Akkerman conference coincided with the beginning of the Russian-Persian war of 1826-1828 and the Persian invasion into Transcaucasia. When the Russian superiority in the war became clear, Ottoman Empire agreed without reserve to the Russian text of convention. The Akkerman Convention of September 25, 1826 confirmed the clauses of the Treaty of Bucharest. Turkey recognized officially the Black Sea ports of Sukhum-Kale, Redut-Kale and Anaklia as a part of Russia. It put an end to the Turkish claims on the Georgian Black Sea coast.

Turkey was unsatisfied with the Akkerman Convention, was going to restore her influence on the Eastern Black Sea coast and tried to break the convention. In 1828 Russia successfully ended the war against Persia. This gave a chance to the Russian Empire to solve the conflict with Turkey using military methods. The victory in the 1828-1829 war improved Russia's positions in the Southern Caucasus.

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება
აფხაზეთის ორგანიზაცია
საისტორიო ძიებანი, 8-9, 2006

ირაკლი გელენავა

აფხაზეთში საბიბლიოთეკო საქმის განვითარების ისტორიისათვის XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დამდეგს.

*ქართული პერიოდული პრესის
მასალების მიხედვით*

ერის კულტურულ განვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაციას და საზოგადოებაში წიგნის კითხვის კულტურის გავრცელებას. თუ ქვეყანა მართლაც კულტურულია, ეს პროცესები განმსაზღვრელი უნდა იყოს არა მარტო დედაქალაქისა და ცენტრალური რაიონებისათვის, არამედ პერიფერიების, განაპირა მხარეებისა და რეგიონებისათვის. ჩვენი გამოკვლევის მიზანია წარმოვჩინოთ მრავალმხრივ საინტერესო პროცესები, რომლებიც დაკავშირებული იყო აფხაზეთში XX საუკუნის მიჯნაზე საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაციასთან, აღსანიშნავია, რომ ეს საკითხი სათანადოდ ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი.

არავისთვის დასამალი არ არის, რომ XIX საუკუნის დასასრულს აფხაზეთი რუსეთის იმპერიის განაპირა, პერიფერიული მხარე, კულტურულად ჩამორჩენილი, ხოლო აქაური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი წერა-კითხვის უცოდინარი იყო. რიგითი ადამიანები კი არა, ინტელიგენციის გარკვეული ნაწილი და მასთან ჩინოვნიკობაც ნაკლებად ეტანებოდა წიგნს და ამიტომ მოკლებული იყო თვითგანვითარების ძლიერ შესაძლებლობას. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ჭეშმარიტ მამულიშვილებს, რომლებიც პერიოდულ პრესაში ხშირად გულისტკივილით აღნიშნავდნენ ამის შესახებ. მაგალითად, 1905 წელს გაზეთ „ცნობის ფურცლის“ კორესპოდენტი სოხუმელი „ვაჭარ-ნოქრების“ სუ-

ლიერ მისწრაფებებზე მიუთითებდა შემდეგს: „...ჩვენი ვაჭრები კითხვას ისე საჭიროებენ, როგორც მე და შენ ჩემო მკითხველო შარშანდელ თოვლს; ჩვენი ნოქრები ღამის თერთმეტ საათზე (ანუ სამუშაო დროის შემდგომ – ი.გ.) ეღირსებიან ხოლმე მყრალ ყავახანებში თავისუფლად ნარდის თამაშს“.¹ არის სხვა ცნობაც, რომელიც დაბა ოჩამჩირეში არსებულ მდგომარეობას აგვიწერს: ოჩამჩირეში „...15-მდე ყავახანაა, აქ ხშირად შეხვედებით 13-14 წლის ბავშვებს კარტის თამაშით გატაცებულს...“.²

მოგვიანებით „ბათუმის გაზეთის“ კორესპოდენტი არაერთხელ ეხება ოჩამჩირეში შექმნილ ვითარებას და გულისტკივილით აღნიშნავს: „...ყავა-ხანებში კარტ-ნარდის თამაშით და სამიკიტნოებში ქეიფით რომ მარტო დაბალი წრის პირნი კმაყოფილებოდნენ, არას ვიტყვოდით, მაგრამ სამწუხარო და სავალალო სწორედ ისაა, რომ ადგილობრივი ინტელიგენციაც შესისხლხორციბია ამ ყოვლად უვარგო და სამარცხვინო ჩვეულებებს...“.³ ჩვენი ინფორმაციით, ამ მხრივ დაბა გუდაუთაშიც ანალოგიური მდგომარეობა იყო: „ხალხს ეს დაწესებულება (ბიბლიოთეკა – ი.გ.) სრულებით დავიწყებული აქვს. აქაური ინტელიგენცია უფრო ყავახანებში ბანქო-ნარდის თამაშში ატარებს დროს“.⁴ – გვამცნობს გულისტკივილით „ბათუმის გაზეთის“ კორესპოდენტი.

ამრიგად, ამჟამად, რომ აფხაზეთის რეგიონში წიგნის კეთილნაყოფიერ ზეგავლენას მოკლებული იყვნენ საზოგადოების ყველა სოციალური ფენის წარმომადგენლები. ამის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს რეგიონში საერთო დაბალი კულტურული დონე, წიგნის სიმცირე, წიგნთსაცავების არარსებობა და სხვა. სწორედ ამიტომაც, იმ ადამიანებმა რომლებმაც მიზნად დაისახეს რეგიონის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების რადიკალური შეცვლა, გადაწყვიტეს საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზება და საბიბლიოთეკო ქსელის შექმნისამებრ განვითარება.

¹ გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905წ. 3 იანვარი.

² გაზ. „კეალი“, 1908წ. 27 სექტემბერი, გვ. 3.

³ გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1912წ. 28 იანვარი, გვ. 3; იხ. გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1912წ. 9 თებერვალი, გვ. 2.

⁴ გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1914წ. 10 ივლისი.

ჩვენი ცნობებით, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე პირველი ბიბლიოთეკა 1894 წელს დაბა ოქუშში გაიხსნა. ამ ბიბლიოთეკისა და პატარა წიგნის მაღაზიის გახსნა ჯერ კიდევ 1893 წელს განუზრახავს ივანე გეგიას⁵, ხოლო 1894 წლის 22 თებერვალს მას ბიბლიოთეკის გახსნის ნებართვა ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაციისაგან მიუღია⁶. ივანე გეგიასათვის ბიბლიოთეკის გახსნაში დიდი დახმარება აღმოუჩინია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ და თვით ამ საზოგადოების თავმჯდომარეს ილია ჭავჭავაძეს, ასევე სხვა კერძო პირებსა და საზოგადო მოღვაწეებს, პირველ რიგში, ზაქარია ჭიჭინაძეს, თელო სახოკიას და სხვებს⁷.

გვაქვს სხვა მაგალითებიც: „1895 წელს დაბა გულაუთაში გაიხსნა სამკითხველო თეოფილე გოგიტიძის ინიციატივითა და მონღოებით⁸. თელო სახოკიას მოგონებებიდან კი ვიგებთ, რომ იმავე „...1895 წელს სოხუმში გაიხსნა პირველი პროგრესული დაწესებულება, როგორცაა სტამბა არჩილ მგელაძისა და შალვა კალანდარიშვილისა. 1896 წელს ამავე შენობაში ადგილობრივი ინტელიგენციის მეცადინეობით გაიხსნა ბიბლიოთეკა-სამკითხველო“.⁹ 1900 წელს კი სოხუმის მთიელთა სკოლაში, რომელიც მთიელთა საპატრიო მამასახლისების შვილებისათვის 1863 წელს დაარსდა, გაიხსნა ბიბლიოთეკა, მაგრამ იგი მეტად ღარიბი ყოფილა წიგნებით“.¹⁰ ხოლო 1908 წელს, სოხუმის ქალაქის თავის ნიკო „თავდგირიძის ძალისხმევით აქ (სოხუმში – ი.გ.) გაიხსნა ბიბლიოთეკა-სამკითხველო“.¹¹

გარდა სტაციონარული ბიბლიოთეკებისა იხსნებოდა მოძრავი ბიბლიოთეკებიც. გვაქვს ცნობა, რომ „1900 წელს ამიერკავკასიის რკინიგზის მმართველობას ოფიციალურად გადაუწყვეტია

⁵ ო. ჭურდულია. ნარკვევები. სოხუმი, 1966, გვ. 85.

⁶ ო. ჭურდულია. ნარკვევები, გვ. 85.

⁷ ო. ჭურდულია. ნარკვევები, გვ. 85.

⁸ გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1900წ. 6 თებერვალი.

⁹ ვ. ზუხბაია. სოხუმი. თბ., 1997, გვ. 128.

¹⁰ ნ. ვეკუა. სოხუმის მთიელთა სასწავლებელი (1863-1917წწ.). – ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1958, №5, გვ. 73.

¹¹ გაზ. „ამირანი“, 1908წ. 26 ივლისი.

ე.წ. მოძრავი ბიბლიოთეკის დაარსება სარკინიგზო მაგისტრალზე მომუშავე რკინიგზელებით დასახლებული პუნქტებისათვის¹². აქვე აღსანიშნავია, რომ „*ჭლექთან მებრძოლი საზოგადოება*“ აპირებდა „ჭლექიანებისათვის სამკითხველოს დაარსებას“.¹³

გარკვეულ ინტერესს იწვევს ამ ბიბლიოთეკების დამაარსებელ მეცენატთა ეროვნული წარმომავლობა, სოციალური მდგომარეობა, განათლების ცენზი და მოქმედების მიზანი. ჩვენს ხელთ არსებული წყაროების საფუძველზე, დამაარსებელთა შორის, ძირითადად ქართველები ჩანან, მათ თავისი მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანი დაბრკოლებების გადალახვა უხდებოდათ როგორც წინონიკებთან დამოკიდებულებაში, ასევე მათ უნდა დაეძლიათ ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეული ნაწილის სიზანტე. ივანე გეგია ოქუძის ბიბლიოთეკისადმი ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულებას თავის „*მოგონებებში*“ ასე აგვიწერს: „ოქუძის ბიუროკრატიებს ბევრ არაფრად მიაჩნდათ ჩემი სამკითხველო: „*Что за курятник построил И. Гегия в округе*“, – იძახდა სოფლის თვალგალაყებული ხალხი...“.¹⁴ ივანე გეგიამ სამურზაყანოში და მთლიანად აფხაზეთში კულტურისა და განათლების გავრცელების საქმეში დიდი ღვაწლი გასწია. იგი სათავეში ედგა ადგილობრივ ინტელიგენციას, მას თანამედროვენი „სამურზაყანოს მოჭირნახულედ და ყველასაგან პატივცემულად მოიხსენიებდნენ“.¹⁵ მისი ინიციატივით არაერთ პროგრესულ წამოწყებას ჩაეყარა საფუძველი როგორც სოფლის მეურნეობის, ასევე განათლებისა და კულტურის დარგში.

საბიბლიოთეკო საქმის ენთუზიასტად ჩანს თეოფილე გოგითიძეც, რომლის შესახებაც ჩვენ ბევრი არაფერი ვიცით, თუმცა აღვნიშნეთ, რომ მისი ინიციატივით 1895 წელს გუდაუთაში გახ-

¹² გაზ. „*ცნობის ფურცელი*“, 1900წ., №1053. ამ თემაზე იხილე აგრეთვე: **ა. ლორია, ნ. გურგენიძე**. საბიბლიოთეკო საქმე საქართველოში. 1921 წლამდე. თბ., 1974, გვ. 259.

¹³ გაზ. „*ამირანი*“, 1908წ. 27 აგვისტო.

¹⁴ **ი. გეგია**. მოგონებები. – *საქართველოს სახალხო განათლების მუზეუმი*, საქმე №6280.

¹⁵ **ზ. ედილი (ზაქარია ელადაშვილი)**. გაზ: „*საქართველო*“, 1905წ. 10 (23) მარიაშობისთვე.

სწილა სამკითხველო¹⁶. როგორც დავინახეთ, სოხუმში ბიბლიოთეკის გახსნის ინიციატორად გვევლინება „ქალაქის თავი“ ნიკო თავდგირიძე¹⁷. გვაქვს ცნობა, რომ სოხუმის ბიბლიოთეკა ბინით დროებით უზრუნველყო იმდროისათვის ცნობილმა ქველმოქმედმა ალოიზიმ¹⁸. კერძო პირების გარდა, აფხაზეთის რეგიონში ბიბლიოთეკებს აარსებდნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც. როგორც უკვე აღინიშნა, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ ივანე გეგიას დიდი დახმარება გაუწვია ოქუშში ბიბლიოთეკის დაარსების საქმეში¹⁹. ამავე დროს მოსახლეობაში საზოგადოებრივი ორგანიზაციების მისამართით იყო დახმარებაზე მოთხოვნებიც, 1904 წელს სოხუმის საზოგადოება ითხოვს: „საჭიროა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ ყურადღება მოგვაქციოს და დაგვიარსოს ქართული სკოლა და სამკითხველო“.²⁰

აფხაზეთში, და საერთოდ რუსეთის იმპერიაში საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაცია გარკვეულ სიძნელებთან იყო დაკავშირებული. მატერიალურ სიძნელებთან ერთად მთავარი ის იყო, რომ მეფის რუსეთის კოლონიალური პოლიტიკა მკაცრ რეგლამენტაციას აწესებდა არარუსი მოსახლეობის კულტურული აღორძინების გზაზე, ყოველნაირად ხელს უშლიდა ამ რეგიონში და საერთოდ იმპერიაში განათლებისა და შესაბამისად ცოდნის გავრცელებას. მთავრობის შეზღუდვები, ცხადია, ბიბლიოთეკებსაც ეხებოდა. 1884 წელს გამოიცა, როგორც განსაკუთრებული დონისძიება, „დროებითი წესები“, რომელმაც ფაქტობრივად 1917 წლამდე იარსება. ამ წესების თანახმად, თითქმის განუსაზღვრელი უფლებები ენიჭებოდა ცენზურასა და ადგილობრივ სახელმწიფო და საპოლიციო ხელისუფლებას. ბიბლიოთეკის გახსნისათვის სავალდებულო იყო გამოყოფილიყო ისეთი ვინმე პასუხისმგებელი პირი, რომლის შეცვლა შეუძლებელი იქნებოდა ადგილობრი-

¹⁶ გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1900წ. 6 თებერვალი.

¹⁷ გაზ. „ამირანი“, 1908წ. 26 ივლისი.

¹⁸ გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1911წ. 25 დეკემბერი, გვ. 3-4.

¹⁹ ო. ჭურდულია. ნარკვევები..., გვ. 85.

²⁰ გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1904წ. 10 ივნისი.

ვი ხელისუფლებისა და გუბერნატორის ნებართვის გარეშე. ამასთან, გუბერნატორს თავისი შეხედულებისამებრ შეეძლო დაეხურა ბიბლიოთეკა, თუკი ის მას ხელისუფლებისათვის არასაიმედოდ ჩათვლიდა.

მთელი რუსეთის მოწინავე საზოგადოება შეწუხებული იყო ამ ახალი კანონით. განსაკუთრებით აძნელებდა საქმეს ის გარემოება, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ავალდებულებდა ადგილობრივ მთავრობას, დაეგზავნა ბიბლიოთეკებისათვის სიები იმ წიგნებისა, რომლებიც, სამინისტროს აზრით, არ უნდა შეეძინა სახალხო ბიბლიოთეკებს და მკაცრ კონტროლს მოითხოვდა განკარგულების აღსრულებაზე²¹. 1890 წელს გამოვიდა „წესები უფასო სახალხო სამკითხველოებისა და მათზე მეთვალყურეობის შესახებ“, რაც წარმოადგენდა საჯარო ბიბლიოთეკებზე მეთვალყურეობის შესახებ წესების საერთო დამატებას. ფაქტობრივად სახალხო ბიბლიოთეკებზე მეთვალყურეობა სამ ორგანოს ეკისრებოდა: შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახალხო განათლების სამინისტროსა და სასულიერო უწყებას²².

აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის 90-იან წლებში რუსეთის იმპერიაში სამი ტიპის უფასო სამკითხველოები არსებობდა: ერთი – შინაგან საქმეთა სამინისტროს ექვემდებარებოდა, მეორე – განათლების სამინისტროს და მესამე – სასულიერო უწყების ქსელის. ამ ბიბლიოთეკების გარდა ნებადართული იყო სხვადასხვა საზოგადოებების, სავაჭრო-სამრეწველო საწარმოთა თუ კერძო პირთა მიერ გახსნილიყო უფასო თუ ფასიანი ბიბლიოთეკები, ცხადია, მთავრობის სათანადო ნებართვით. ამასთან, არსებობდნენ ადგილობრივი მმართველობის მიერ გახსნილი სახალხო თუ საზოგადო ბიბლიოთეკები, რომლებიც ზოგ შემთხვევაში უფასო იყო, მაგრამ, როგორც წესი, უმეტესად ისინი ფასიანი ბიბლიოთეკებს წარმოადგენდნენ. მათ მიეკუთნებოდა საჯარო ბიბლიოთეკებიც, რომლებიც ძირითადად სამეცნიერო ხასიათის საქმიანობას ეწეოდნენ. ამას გარდა, არსებობდნენ სხვადასხვა უწყებისა და სამეცნიერო დაწესებულება – საზოგადოებათა წიგნსაცავები.

²¹ ა. ლორია, ნ. გურგენიძე. საბიბლიოთეკო საქმე..., გვ. 226-227.

²² ა. ლორია, ნ. გურგენიძე. საბიბლიოთეკო საქმე..., გვ. 256.

გარდა საჯარო სამეცნიერო საზოგადოება-დაწესებულებათა და ზოგიერთი უწყების ბიბლიოთეკისა, ყველა ბიბლიოთეკა ფასიანი თუ უფასო წიგნების შეძენა-გავრცელების იმ წესს ექვემდებარებოდა, რომელიც შინაგან საქმეთა და სახალხო განათლების სამინისტროთა ქსელის ბიბლიოთეკებისათვის იყო დადგენილი და მეთვალყურეობასაც მათზე ეს უწყებები ახორციელებდნენ²³. ივანე გეგიას მიერ დაბა ოქუშში წიგნსაცავის გახსნას უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია, იგი რუსიფიკატორული პოლიტიკის გამტარებლებმა არაერთხელ ააწიოკეს და გაჩხრიკეს, ზოლო თვითონ ივანე გეგიამ კი რამდენჯერმე განიცადა მძიმე სულიერი და ფიზიკური ტრამვა. მიუხედავად ამისა, მან ხალხის წინაშე თავისი მოვალეობა მაინც ღირსეულად შეასრულა. „ჩემი ბიბლიოთეკის საქმე, – აღნიშნავდა ივანე გეგია, – კარგად მიდიოდა. იგი თავის დანიშნულებას ღირსეულად ასრულებდა და არა ერთ და ორ ახალგაზრდას აუხილა თვალები მეცნიერებასა და პოლიტიკაში“.²⁴

როგორც არსებული საისტორიო წყაროების მონაცემებიდან ჩანს, აფხაზეთის რეგიონში არსებული ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი დიდი არ იყო, მისი შევსება მუდამ პრობლემას წარმოადგენდა და მეცენატებსა და აქტივისტებს უხდებოდათ უდიდესი ძალისხმევა, რომ ბიბლიოთეკაში ჩამოეყალიბებინათ ძირითადი წიგნადი ფონდი, რაც პერიოდულად შეივსებოდა უახლესი გამოცემებითა და ჟურნალ-გაზეთებით. გვაქვს ინფორმაცია, რომ ივანე გეგია თბილისში დადიოდა, საიდანაც მას წიგნებით ეხმარებოდნენ²⁵. ჩვენთვის ასევე ცნობილია, რომ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ ამავე ორგანიზაციის თავმჯდომარის ილია ჭავჭავაძის განკარგულებით ოქუშის ბიბლიოთეკას გამოუყო 300 მანეთის სხვადასხვა წიგნი²⁶, მოგვიანებით კი ივანე გეგიამ ადგილობრივ პროგრესულად მოაზროვნე ადამიანთა დახმარებით მოახერხა ბიბლიოთეკის ოფიციალურად

²³ ა. ლორია, ნ. გურგენიძე. საბიბლიოთეკო საქმე..., გვ. 246.

²⁴ ნ. შონია. ნაშრომი საქართველოს წიგნსაცავზე. – გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, 1970წ. №10, იანვარი.

²⁵ ი. გეგია. მოგონებები...

²⁶ ი. გეგია. მოგონებები...

ალიარება „სახალხო წიგნსაცავ ბიბლიოთეკად“.²⁷

საყურადღებო ცნობას გვაწვდის გაზეთ „ცნობის ფურცელი“ კორესპოდენტი გუდაუთის ბიბლიოთეკის შესახებ: „სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ გუდაუთის სამკითხველო, რომელიც ეს სამი წელიწადია დაკეტილი იყო, პირველ ამ თვიდან (თიბათვე) გაიხსნა. სწორედ მადლობის ღირსია სამკითხველოს გამგეობა და უმეტეს – კი ამ გამგეობის თავმჯდომარე იმ ჟურნალ-გაზეთების გამოწერისათვის, რომელიც სამკითხველოს მოსდის. იმედია გამგეობა ყოველივე ღონეს იხმარს, რომ სამკითხველო იმ დღეში არ ჩავარდეს რომელშიც დღემდე იყო. აი სია ჟურნალ-გაზეთებისა: „ივერია“, „მოგ ზაური“, „ცნობის ფურცელი“, „მომბე“, „კავკაზი“, „ნოვოე ობოზრენიე“, „რუსსკიე ვედემოსტი“, „სინ ოტეჩესტვა“, „ნაშა ჟიზნი“, „რუს“, „ბირჟევიე ვედემოსტი“, „ჟურნალ დლია ვსეხ“, „რუსსკიე პოგატსტო“, „ვესტნიკ ინოსტრანნოი ლიტერატური“, გამოწერილია მაგრამ ჯერ არ მოსვლიათ სომხური გაზეთი „ნორ-დარ“ და ბაქოდან ერთი ქართული გაზეთი“.²⁸

მაგრამ იყო ბიბლიოთეკები, რომლებიც უყურადღებობის გამო მოკლებული იყვნენ ახალ საინტერესო ლიტერატურას. ჩვენი ინფორმაციით 1911 წელს სოხუმის სამკითხველოში სავალალო მდგომარეობა იყო შექმნილი, აქ არ იყო „რიგიანი ლიტერატურა“, სამკითხველოში არ მოიპოვებოდა გამოჩენილი მწერლების ნაწარმოებები და ახალ გამოცემებზე და სამეცნიერო ლიტერატურაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. სამკითხველო სავსე ყოფილა მხოლოდ ძველი და გამოუსადეგარი ჟურნალ-გაზეთებით, რომლებიც კერძო პირებს შეუწირავთ „შემთხვევით“. სამკითხველოში ცოტა მოდიოდა ჟურნალ-გაზეთებიც, ამის მიზეზად ქალაქის გამგეობა უსახსრობას ასახელებდა²⁹. სოხუმის ბიბლიოთეკაში არსებულ მდგომარეობას ეხება გაზ. „კოლხიდას“ კორესპოდენტიც: „სოხუმის ბიბლიოთეკაში უსისტემოდაა წიგნებისა და გაზეთების გამოწერის საქმე, იშვიათად, რომ აქ რამე იშოვო“.³⁰

²⁷ ნ. შონია. ნაშრომი საქართველოს წიგნსაცავზე...

²⁸ გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905წ. 5 ივლისი.

²⁹ გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1911წ. 25 დეკემბერი, გვ. 3-4.

³⁰ გაზ. „კოლხიდა“, 1911წ. 8 ივლისი.

ეს ცნობა კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ სოხუმის ბიბლიოთეკაში წიგნად ფონდთან დაკავშირებით უძძიმესი მდგომარეობა იყო შექმნილი.

ბიბლიოთეკის ძირითადი მკითხველები, როგორც ამას 1911 წელს „ბათუმის გაზეთის“ კორესპოდენტი გვამცნობს, იყვნენ ქართველები³¹, თუმცა სამკითხელოს წევრებად ქართველებთან ერთად ჩანან რუსები და, როგორც წყარო მიუთითებს, „რამდენიმე სომეხიც“.³² მკითხველთა მრავალეროვანი შემადგენლობით გამოირჩეოდა გუდაუთის ბიბლიოთეკა³³. უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიოთეკებს არ ეტანებოდნენ ვაჭრები, ხელოსნები და საერთოდ „არ კითხულობდნენ გაზეთებს არც მღვდლები და არც მასწავლებლები“.³⁴ თანამედროვენი მიუთითებდნენ სხვადასხვა სოციალური კატეგორიების არაგულისხმიერ დამოკიდებულებაზე ბიბლიოთეკების მიმართ. გაზეთ „ბათუმის გაზეთის“ კორესპოდენტი გულისტკივილით აღნიშნავს: „აქაური (ოჩამჩირე – ი.გ.) ვაჭრები ჟურნალ-გაზეთებსა და წიგნებს ისე ერიდებიან, როგორც შავ ჭირს და თავიანთი ხელქვეითებისათვის, ესე იგი ნოქარ-შეგირდებისათვის, ასეთი რამეები ხომ სულ გამრყენელ საშუალებად მიაჩნიათ“.³⁵ ამ მხრივ სამურზაყანოში არსებულ მდგომარეობას ეხება გაზეთ „მერცხალი“-ს კორესპოდენტი: „სამწუხაროდ აქ (სამურზაყანო – ი.გ.) გონებრივად დიდად ჩამორჩენილნი არიან. ვერც ერთ ქართულ ჟურნალ-გაზეთს ვერ ნახავთ აქ. საქართველოს ყველა კუთხეში ეშურებიან წინ სინათლისაკენ, აარსებენ სკოლებს, ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს, აქ კი სიბნელეა“.³⁶ 1914 წელს გაზეთ „ტალღა“-ს კორესპოდენტი გვამცნობს, რომ სოხუმში „არ კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებს“.³⁷ ზოგიერთი დამკვირვებელი იმასაც მიუთითებდა, რომ ბიბლიოთეკაში ნაკლებად

31 გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1911წ. 25 დეკემბერი, გვ. 3-4.

32 გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1914წ. 10 ივლისი, გვ. 4.

33 გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1914წ. 10 ივლისი, გვ. 4.

34 გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1904წ. 11 აგვისტო.

35 გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1912წ. 9 თებერვალი.

36 გაზ. „მერცხალი“, 1913წ. 31 ოქტომბერი.

37 გაზ. „ტალღა“, 1914წ. 11 ივნისი, გვ. 3.

იყო წარმოდგენილი ისეთი ლიტერატურა, რომელიც გარკვეული კატეგორიის ადამიანებს აინტერესებდათ. მაგალითად, გაზეთ „ტალ-ლა“-ს კორესპონდენტი წერს: სოხუმის სამკითხველოში „ერთხელაც ვერ ვნახე ვერც ხელოსნები და ვერც მუშები... ეს იმიტომ, რომ მათი ინტერესების დამცველი გაზეთი არ მოსდის ამ სამკითხველოს“.³⁸

საინტერესოა ბიბლიოთეკების მართვის შინაგანი სტრუქტურა. როგორც დასტურდება, პრაქტიკაში იყო სამკითხველოს წევრთა შეკრებები, რომელზედაც ირჩევდნენ სამკითხველოს გამგეობას. ჩვენი ინფორმაციით 1904 წლისათვის გუდაუთის წიგნსაცავ-სამკითხველოს წევრებს ამოურჩევიათ სამკითხველოს გამგეობა, რომელსაც უნდა ეტვირთა ამ დაწესებულების ორგანიზაცია და მართვა³⁹. ზოგიერთ სამკითხველოს თავისი წესდებაც ჰქონია⁴⁰. ბიბლიოთეკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის ფინანსურ უზრუნველყოფას. როგორც დასტურდება, ადგილობრივი ინტელიგენცია ამ მიზნით აქტიურად იყენებდა საქველმოქმედო წარმოდგენების მოწყობის პრაქტიკას. მაგალითად, 1912 წელს ოჩამჩირეში „შედეგა პატარა ჯგუფი, რომელმაც სხვათა შორის, წასულ ზაფხულს რამდენიმე წარმოდგენა მოაწყო უფასო ბიბლიოთეკა-საკითხველოსათვის, წმინდა შემოსავალი დარჩათ 120 მანეთი“. შემდეგ სტატიის ავტორი დასძენს: „თუ მუყაითად მოეკიდა საქმეს ეს ჯგუფი ინტელიგენციისა, მოკლე დროში აქ დაარსებული იქნება ბიბლიოთეკა-სამკითხველო და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილება და მას ზედ მოჰყვება თეატრიც“.⁴¹

ბიბლიოთეკების მეორე მნიშვნელოვანი წყარო იყო შემოწირულობები. როგორც აღვნიშნეთ, ამ სახის დახმარება ოქუძის ბიბლიოთეკისათვის გაუწევია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ და მის თავმჯდომარეს ილია ჭავჭავაძეს. იყო სხვა მაგალითებიც: გ. რცხილაძეს ერთი დიდი წიგ-

³⁸ გაზ. „ტალლა“, 1914წ. 12 ივნისი, გვ. 2.

³⁹ გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1914წ. 10 ივლისი, გვ. 4.

⁴⁰ გაზ. „ივერია“, 1904წ. 4 აპრილი, გვ. 3.

⁴¹ გაზ. „თემი“, 1912წ. 10 დეკემბერი.

ნებით სავსე ყუთი შეუწირავს ოქუძის ბიბლიოთეკისათვის⁴². მიუხედავად ამისა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ყოველთვის როდი ახერხებდა დახმარების გაწევას აფხაზეთის სამკითხველოებისათვის წიგნადი ფონდის შევსებაში. გვაქვს ცნობა, რომ სოხუმის სამკითხველოს გამგე ძუკუ ლოლუა „თბილისში წასულა „წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობასთან საქმის მოსაწყობად (წიგნებით დახმარების აღმოჩენაზე – ი.გ.) მაგრამ ვერაფერი მოუგვარებია. დაპირებებით დატვირთული გამოუსტუმრებიათ ბატონი ლოლუა, ხოლო ვერც ერთი წიგნი ამ მოგზაურობიდან სამკითხველოს ვერ შექენია“.⁴³

გარკვეულ ფინანსურ უზრუნველყოფას ბიბლიოთეკებს სთავაზობდა საქალაქო თვითმმართველობაც. სოხუმის ქალაქის ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებული იყო „ბიბლიოთეკარისა და ბიბლიოთეკაში მსახურთა ჯამაგირებისათვის ფული“.⁴⁴ იყო სხვა მაგალითებიც. კერძოდ, 1904 წლის გაზეთ „ივერიის“ კორესპონდენტი გვამცნობს, რომ „სოხუმის ქალაქის თვითმმართველობამ შუამდგომლობა აღძრა კაკასიის უმაღლესი მთავრობის წინაშე, სოხუმში ბიბლიოთეკის დაარსების შესახებ. ამ ბიბლიოთეკას შენობას ქალაქი მისცემს ყოველ წლივ“.⁴⁵ 1911 წელს სოხუმის ქალაქის საბჭოს მოურავს თავად დ. ა. შერვაშიძის წინადადებით საბჭოს დაუდგენია, „რომ სამკითხველოსათვის ქალაქის ბაღში ქალაქმა (ქალაქის მმართველობა – ი.გ.) ააგოს საკუთარი ბინა“.⁴⁶ ორამჩირეში განუზრახავთ ბიბლიოთეკისათვის თავისი შენობა აეშენებინათ, მაგრამ ბოლოს გადაუწყვეტიათ თეატრი ისე აეშენებინათ, რომ „შიგ ბიბლიოთეკაც მოთავსდეს, მანამდე კი დაქირავებულ ოთახში იქონიონ ბიბლიოთეკა“.⁴⁷ მიუხედავად ყოველისა, აფხაზეთში ბიბლიოთეკებს მაინც სერიოზული პრობლემები ჰქონდათ, რომელთა მიზეზები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ.

⁴² ნ. შონია. ნაშრომი საქართველოს წიგნსაცავზე...

⁴³ გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911წ. 7 ივნისი, გვ. 3.

⁴⁴ გაზ. „ივერია“, 1904წ. 4 აპრილი, გვ. 3.

⁴⁵ გაზ. „ივერია“, 1904წ. 31 იანვარი, გვ. 2.

⁴⁶ გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1911წ. 25 დეკემბერი, გვ. 3-4.

⁴⁷ გაზ. „თემი“, 1912წ. 10 დეკემბერი.

თვითმმართველობის ორგანოების ხელმძღვანელთა გულგრილობა, რაც კლინდებოდა ქალაქის ბიუჯეტიდან ბიბლიოთეკებისა და წიგნთსაცავების სათანადო სახსრებით დაუფინანსებლობაში. გაზეთი „ცნობის ფურცელი“ შემდეგ ცნობას გვაწვდის: „ამ 2½ წლის წინათ ზოგიერთ ინტელიგენტთა ჩაგონებით, სოხუმის ქალაქის საბჭომ გადაწყვიტა ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსება სოხუმში. უბედურება ის არის, რომ ჩვენში ყოველ საქმეს პირველად სიხარულით ეგებებიან და მერე კი სულ დაავიწყდებათ ხოლმე იმაზე ფიქრი. ჩვენ ერთსა და იმავე დროს კიდეც ვგრძობთ სინათლის საჭიროებას, მაგრამ, რადგან ბნელში ვართ აღზრდილნი, თითქოს გვეშინიან სინათლის დანახვა. მაშ რით უნდა ავხსნათ ის მოვლენა, რომ 2½ წელია, რაც სოხუმის თვითმმართველობამ შეიძინა ერთი ძველი ბიბლიოთეკა თბილისში (და გვარიან ძვირათაც). და მაშინვე იყო გაგზავნილი თხოვნა, ვისთანაც ჯერ არს, ნებართვისათვის. ამის შესახებ არავის კრინტიც არ დაუძრავს. მთავრობისაგან არც ავი მოსულა, არც კარგი. საჭირო იყო მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, მაგრამ ვის უნდა ეღვა ეს თავზე? ქალაქის მოურავს? კი, მაგრამ დღემდე ქალაქის მოურავსა და ხმოსნებს შორის ხიდია ჩატეხილი. ისინი მთელი ამ დროის განმავლობაში პირადი ინტერესებისათვის იბრძოდნენ და სად ეცალათ საზოგადო საქმისათვის ერთი-ორი სიტყვა დაეხარჯათ?! დღეს ქალაქის ხმოსნებსა და მოურავს შორის კარგი განწყობილებაა, და იმედსაც ამაზე ვამყარებდით ამდენ ხანს, რომ ახლა მაინც ველირსებითო (ბიბლიოთეკას – ი.გ.), მაგრამ ამოდ, არავინ იწუხებს თავს. ან კი რა საჭიროა ბიბლიოთეკა თუ რაღაცა? ვინც საზოგადო საქმეს სათავეში უდგას, იმას ჟურნალ-გაზეთების გამოწერის შეძლებაც აქვს... რა საჭირო იყო ბიბლიოთეკის შექმნა ქალაქის ფულით, თუ ქალაქი სამკითხველოს ვერ ელირსებოდა, ნუთუ იმისათვის იყო საჭირო, რომ თავგების საბუდრად გამხდარიყო“.⁴⁸ 1908 წელს გაზეთ „ეკალი“-ს კორესპონდენტი ოჩამჩირეში არსებულ მდგომარეობას ასე აღწერს: „ოჩამჩირეში მცხოვრებთა რიცხვი 2000-მდე იქნება მაგრამ დაბაში არც

⁴⁸ გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905წ. 3 იანვარი.

ერთი ბიბლიოთეკა და არც ერთი წიგნის მაღაზია არ არის“.⁴⁹ გაზეთ „სახალხო გაზეთის“ კორესპონდენტი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ „ქალაქს რომლის ბიუჯეტი 200 000 მანეთს გადასცილდება ხოლმე, თითქმის წიგნოსაცავი აღარ აქვს. ამ საპატიო სახელით რაღაც დაუარსებიათ, ეს რაღაცა ყველაფერია წიგნოსაცავის გარდა... წიგნი ამ სამკითხველოში სანთლით საძებარია“.⁵⁰

პერმანენტული უფულობა რიგიანი ლიტერატურის შეძენის შესაძლებლობას არ იძლეოდა⁵¹. მოსახლეობის ინერტულობა დაბა-სოფელში ბიბლიოთეკის გახსნას ხელს არ უწყობდა ან მისი მუშაობის პარალიზებას იწვევდა. მაგალითად, ამ საკითხს ეხება გაზეთ „ეკალი“-ს კორესპონდენტი: „1907 წელს ბევრი ვეცადეთ და მსურველიც ბევრი იყო დაგვეარსებინა ბიბლიოთეკა-სამკითხველო, მაგრამ ამ კეთილ საქმეს ხელი შეუშალეს ბნელმა ძალებმა. მათ გაწიეს აგიტაცია ბიბლიოთეკა ახალგაზრდებს გარყვინისო, ვისაც გაზეთი სურს თვითონ გამოიწერსო“.⁵²

სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა ისიც, რომ გარკვეულ ეტაპზე შესამჩნევი გახდა ბიბლიოთეკის ასპარეზის გამოყენება ეთნიკური შუღლისა და ნაციონალური დაპირისპირების მიზნით. ამ პრობლემებზე ყურადღებას ამახვილებს გაზეთ „ბათუმის გაზეთის“ კორესპონდენტი: „10 წლის წინ გუდაუთაში დაარსდა წიგნსაცავ-სამკითხველო, მის შენობას ქალაქმა მიწა უფასოდ დაუთმო. სამკითხველოს წევრებად ითვლებოდნენ ქართველები, რუსები და რამდენიმე სომეხიც, რომელნიც აღფრთოვანებით ეგებებოდნენ ამ ხალხთ-შემაკავშირებელ და განმათვითცნობიერებელ დაწესებულებას. მოიწვიეს სამკითხველოს წევრთა კრება, ამოირჩიეს სამკითხველოს გამგეობა და გამოიწერეს ქართულ-რუსული ჟურნალ-გაზეთები, წიგნები და სახელმძღვანელო ნივთები და სხვა. მაგრამ არ დასცალდა სიცოცხლე ასეთ სიმპატიურ დაწესებულებას, სხვა და სხვა ერებს შორის ჩამოვარდა რაღაც ჯგუფობრივი ჟინიანობა, კინკლაობა. სამწუხაროდ ასეთ სა-

⁴⁹ გაზ. „ეკალი“, 1908წ. 27 სექტემბერი, გვ. 3.

⁵⁰ გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911წ. 7 ივნისი, გვ. 3.

⁵¹ გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1911წ. 25 დეკემბერი, გვ. 3-4.

⁵² გაზ. „ეკალი“, 1908წ. 27 სექტემბერი, გვ. 3.

ქმეში შეიჭრა ნაციონალისტური ქარიშხალი და ეს გამთვითცნობიერებელი ტადარი მიანგრ-მოანგრია. გაჩაღდა ეროვნული შუღლი. ხალხმა ზურგი აქცია სამკითხველოს. წევრთა რიცხვი თანდათან აკლდებოდა. უწინ უმრავლესობას ქართველობა შეადგენდა, ცოტა ხნის განმავლობაში ქართველთა უმრავლესობა ჩამოშორდა. ზოგიერთმა ვაჟ-ბატონებმა ხალხის არევით ისარგებლეს და ლაიტაცეს საუკეთესო წიგნები. ამ დაწესებულებას ქართველები სრულიად ჩამოშორდა. ახლა იქაურობას ვირთხები დაპატრონებია. ამ ნაირად ჩაქრა სინათლე გულაუთაში.

...მიუხედავად იმისა, რომ სამკითხველოს მთელი მამოძრავებელი ძალა გამოეცალა, 25 წევრს – რუსობას, მაინც არ დაუკარგავს სამკითხველოს ნებართვის ფორმალური უფლება. სამკითხველოს კარები უფრო დაკეტილია. ხალხს ეს დაწესებულება სრულებით დავიწყებული აქვს. აქაური ინტელიგენცია უფრო ყავა-ხანებში ბანქო-ნარდის თამაშში ატარებს დროს. ამას წინათ რამდენიმე ამხანაგმა განიზრახეს ქართველების მიერ მიტოვებული სამკითხველოს გამოცოცხლება და ამ მიზნით იმ ობლად დარჩენილ რუსებთან შეერთება, რომელთაც ამ ხნის განმავლობაში სამკითხველოს უფლება არ დაუკარგავთ. გამოცხადდა სურვილი მათთან შეერთებისა. რუსები სიხარულით შეეგებნენ ქართველების სურვილს და სთხოვეს ინიციატორებს მსურველთა სიის შედგენა დაეჩქარებინათ. მაგრამ ამას გადაეღობნენ წინ ე.წ. ფედერალისტები. თუ თქვენ არ გსურთ ჩაწევროთ სიაში, ხელს რაღად გვიშლითო, უთხრეს მათ, ისინი ამბობენ: გვაქვს კრება წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილებისა და სამკითხველოს საქმეს შევიმუშავებთო. მაშინ საქმე შეჩერდა. მას შემდეგ სამი თვე გადის და სამკითხველოს შესახებ კრინტიც არავის დაუძრავს. ეს მოტყუებაა და ამის მიზეზად იმას აცხადებენ, რომ ჩვენ სხვებთან რა გვინდა, ჩვენ უნდა დავაარსოთ ცალკე ქართული სამკითხველო. ნაციონალისტური ჯგუფი ცდილობს ქართველები ჩამოშორდნენ სხვა ერს ყოველ კულტურულ, საზოგადო საქმეში, და ისედაც დასუსტებული ძალები დაქსაქსონ“.⁵³

⁵³ გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1914წ. 10 ივლისი, გვ. 4.

ჩვენს მიერ მოძიებული მასალის შესწავლა-ანალიზის შედეგად, აფხაზეთის ტერიტორიაზე XIXს. დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში საბიბლიოთეკო საქმის განვითარებასთან დაკავშირებით შემდეგი სურათი გამოიკვეთა: როგორც დასტურდება, აფხაზეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იმუჟამდ განათლებას უგულებელყოფდა. ამკარაა, რომ საქართველოს ამ კუთხეში კულტურული ცხოვრება არ იყო აქტიური, თუმცა იყვნენ ადამიანები, რომლებიც ენერგიას არ იშურებდნენ, რათა ამ რეგიონში დაენერგათ წიგნის კითხვის კულტურა, ბიბლიოთეკა-სამკითხველოების მუშაობის ტრადიცია. ასეთ ადამიანთა დიდი უმრავლესობა ქართველი იყო. მათ თავიანთ საქმიანობაში წინააღმდეგობას უწევდა, უპირველეს ყოვლისა, ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა, ჩინოვნიკების ინერტულობა და ა.შ. ხელისშემშლელი ფაქტორი იყო აგრეთვე, არასაკმაო საბიუჯეტო დაფინანსება და სხვა. ზოგ შემთხვევაში, ბიბლიოთეკა-სამკითხველოებში ხელს უწყობდნენ ეროვნებათაშორისი ურთიერთობების განმტკიცებას, მაგრამ არის ფაქტები, რომელიც მიგვანიშნებენ, რომ შოვინისტურად განწყობილი ელემენტები ცდილობდნენ განხეთქილების შეტანას ამ კეთილშობილურ საქმეში.

მიუხედავად არსებული გარემოებებისა, XX საუკუნის დასაწყისიდან აფხაზეთის ტერიტორიაზე იწყება ბიბლიოთეკა-სამკითხველოების ქსელის გაფართოება, ადგილობრივი მოსახლეობა თანდათან უფრო აქტიურად ითხოვდა ბიბლიოთეკების დაარსებას, ამ საქმეში მათ გარკვეულ დახმარებას უწევდა „*ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება*“, ასევე ამგვარ საქმიანობაში ერთვება ადგილობრივი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი და ქველმოქმედი. ყოველივე ეს ხელს უწყობდა მოსახლეობაში წიგნიერების გავრცელებას, მხარის კულტურულ აღორძინებას.

ИРАКЛИЙ И. ГЕЛЕНАВА

ИЗ ИСТОРИИ БИБЛИОТЕЧНОГО ДЕЛА В АБХАЗИИ В КОНЦЕ XIX – НАЧАЛЕ XX ВЕКА

В культурной жизни того или иного народа организация библиотечного дела и распространение культуры книгочтения занимает особое место и является своеобразным критерием образованности. В статье на основе анализа материалов периодической печати, освещено состояние библиотечного дела и распространение культуры книгочтения в Абхазии на рубеже XIX-XX веков. Как показывают результаты исследования, в рассматриваемый период, большинство населения края всё ещё проявляла индифферентность книгочтению. Однако, были энтузиасты, которые предпринимали определённые усилия для налаживания библиотечного дела. В этой связи особо отмечена деятельность известных не только в Абхазии просветителей Ивана Гегия, Феофила Гогитидзе и др. В этом направлении плодотворную работу вело также „Общество по распространению грамотности среди грузин“.

IRAKLI GELENAVA

FROM THE HISTORY OF THE LIBRARIANSHIP IN ABKHAZIA AT THE END OF 19TH AND BEGINNING OF 20TH CENTURY

In the cultural life of any nation the organization of the library science and spreading the culture of book-reading takes the essential place and represents certain criteria of the education. The paper, basing on the analysis of the materials published in the periodical press, deals with the state of the librarianship and spreading the culture of book-reading in Abkhazia at the edge of 19-20th centuries. The results of the research clearly show that the most part of population was still indifferent to the book-reading during the concerned period. Nevertheless, there were enthusiasts, who made some efforts to put in order the library science. In this case, especially are mentioned the activities of Ivane Gegia, Theofile Gogitidze, etc., the illuminators, who were known not only in Abkhazia. The prolific work was done in that direction by “The Society for Spreading Literacy among Georgians”.

ლია ახალაქი

კიდევ ერთი წარწერა აფხაზეთიდან

ეპიგრაფიკული ძეგლების კვლევა-ძიების ისტორიაში სხვადასხვა ტიპის მასალებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს საფლავის ქვის ეპიტაფიებს, რომელთა ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ღირებულება ვერ გაუტოლდება სამშენებლო და იურიდიული ხასიათის წარწერებს, მაგრამ კულტურული მემკვიდრეობის, ასევე ონომასტიკური ტოპონიმიკური და ლექსიკოლოგიური კვლევის თვალსაზრისით საყურადღებო მასალას წარმოადგენენ.

ეპიტაფია (ბერძნ. epitaphios – საფლავი) ძველ საბერძნეთში თავდაპირველად საფლავზე წარმოთქმულ მწუხარების სიტყვას აღნიშნავდა, ხოლო შემდგომ ამ სიტყვამ საფლავის ლოდზე შესრულებული მოკლე წარწერის მნიშვნელობა შეიძინა. ასე გაჩნდა უგრძობი ქვის ურჩ ზედაპირზე გოდების გამხმოვანებელ სიტყვათა ამოკვეთის საყოველთაო პრაქტიკა. ქართული ეპიტაფიური შემოქმედების საწყისი ხანა, სულ ცოტა, თხუთმეტი საუკუნის მიღმა საგულებელი¹.

ამის ნათელი დასტურია V-X საუკუნეების ქართული წარწერები², რომელთა უმრავლესობა სწორედ საფლავის ქვის ეპიტაფიებს წარმოადგენს და განუზომელია მათი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი და განსაკუთრებით პალეოგრაფიული ღირებულება.

¹ ა. არაბული, ე. თათარაისძე. შენდობით მომხისენიეთ. თბ., 2007, გვ. 5.

² იხ.: ქართული წარწერების კორპუსი. ტ. I. ლაპიდარული წარწერები აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. თბ., 1980.

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია სპეციალური საველე ეპიგრაფიკული კვლევის არეალი არასოდეს გამხდარა. ცნობილი პოლიტიკური მიზეზების გამო, ამის საშუალება, სამწუხაროდ, დღესაც არ არსებობს. აქ გამოვლენილი ეპიგრაფიკული მასალა, ძირითადად, აღმოჩენილია ქრისტიანული არქიტექტურული ძეგლების შესწავლისა და არქეოლოგიური გათხრების პროცესში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ის ლაპიდარული და ფრესკული წარწერები, რომლებიც დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში არის ცნობილი, ძირითადად, საეკლესიო ნაგებობებზეა მოთავსებული.

მოუხედავად ამისა, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მოძიებული ეპიგრაფიკული მასალის ერთი ნაწილი წარმოადგენს საფლავის ქვის ეპიტაფიებს. აქვე საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ საფლავის ქვის ეპიტაფიების უმრავლესობა ქართულ ენაზეა დაცული. არსებობს რამდენიმე ბერძნულენოვანი³ და ექვსი თურქულენოვანი⁴ ეპიტაფია. ასევე XIX ს.-ში შესრულებული რამდენიმე რუსულენოვანი ეპიტაფია.

რაც შეეხება ქართულ ეპიტაფიებს, ისინი აღმოჩენილია გალის, ოჩამჩირის, გუდაუთისა და გულრიფშის რაიონებში. მათი ქრონოლოგია IX-XIX საუკუნეებით თარიღდება და ძირითადად შესრულებულია ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობით. მათ შორის აღსანიშნავია გრიგოლ გალატონოუხუცესის, რუშას, ოზბეგ დადიანის, ფაშადის, ლუკა მარტინევას და სხვათა წარწერები.

2006 წელს გალის რაიონის სოფ. ღუმურიშში XIX საუკუნის ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადში აღმოჩნდა ხავსითა და მცენარეული საფარით დაფარული წარწერა შესრულებული ქართული მხედრული დამწერლობით. წარწერა შეამჩნია სოხუმის დევნილი უნივერსიტეტის ისტორიის სპეციალობის სტუდენტმა

³ თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი. თბ., 2004, გვ. 59-79.

⁴ X. Бгажба. Из истории письменности в Абхазии. Тб., 1967, გვ. 27. დ. ახალაძე. ქრისტიანობა და დამწერლობა აფხაზეთში. – კრებ.: მართლმადიდებლობა აფხაზეთში და ეროვნული თვითიდენტიფიკაციის საკითხები. თბ., 2005, გვ. 71.

ნინო ფარულავამ, რომელმაც წარწერა ჩვენი თხოვნით გაწმინდა, სურათი გადაიღო და შეასრულა მისი გრაფიკული გადმონახაზი.

ლუმურიშის ტაძარი წარმოადგენს XIX საუკუნეში აგებულ ბაზილიკას, რომელსაც გაკეთებული აქვს მინაშენი. გარეგნულად იგი ადრეშუასაუკუნეების ტიპის ტაძარს მიაგავს. წარწერა წარმოადგენს ცხრასტრიქონიან მხედრული დამწერლობის ნიმუშს. სიტყვებს შორის განკვეთილობის ნიშანი არ ახლავს, ბოლოში დასმულია ერთი დიდ წერტილი. ქარაგმა შეინიშნება ორ ადგილზე და ისიც გამოყენებულია არაზუსტად, არაპროფესიონალური ხერხებითა და მეთოდებით.

ასოების სიმაღლე განსხვავებულია და იგი არ წარმოადგენს ერთიან მწყობრ გრაფემათა განლაგებას, დარღვეულია მხედრულისათვის დამახასიათებელი ოთხხაზოვანი საწერი ბადის ტრადიციები.

წარწერა გვაუწყებს:

*„ლოდსა ქვეშე ამისა მღებარეობს გვამი
პროპოშიკ კზიურისტო ასაყვასძის
ემუხვარისა რომელიც გარდაიცვალა
ამიერ სოფლიდგან 1886 წ. მარტიშ დღე-
სა შობიდგან 35 წლისა.
საუკუნოდ იყოს ხსე-
ნება მისი. ლოდი ესე დავსდგი საყ(უა)რე-
ლმან მუღლემან მისმან კნენა
სალომე კაცია ანჩაბაძის ასულმა“.*

მხედრული ტექსტიდან ირკვევა, რომ საფლავი ეკუთვნის „პრაპორშიკ“ კზიურისტო ემუხვარს და იგი გაკეთებულია სალომე ანჩაბაძის დაკვეთით 1886 წლის მარტში.

წარწერის შინაარსი ღირებულია, როგორც წყაროთმცოდნეობითი, ასევე ონომასტიკური კვლევის თვალსაზრისით, მასში დასახელებულია ადგილობრივი წარჩინებული ფეოდალის ოჯახის წევრები: კზიურისტო ემუხვარი, მისი მამა ასაყვა ემუხვარი, კნენა სალომე ანჩაბაძე და კაცია ანჩაბაძე. როგორც ჩანს, ლუმურიში და

მისი შემოგარენი ემუხვარებისა და ანჩაბაძეების პირად მამულს წარმოადგენდა. საქართველოში გავრცელებული წესის თანახმად, საერო პირებიდან ტაძარში დაკრძალვის პატივი მხოლოდ ტაძრის ქტიტორებსა და ეკლესიის წინაშე განსაკუთრებული პატივის მქონე საერო პირებს ჰქონდათ. როგორც ჩანს, ასეთი დამსახურება ჰქონდათ კნენა სალომე ანჩაბაძესა და მის მეუღლეს კზიურისტო ემუხვარს ღუმურიშის ეკლესიის წინაშე.

ამრიგად, ჩვენს წინაშეა კიდევ ერთი უცნობი წარწერა თანამედროვე აფხაზეთიდან, რომელიც ამ რეგიონის სხვა ეპიტაფიებთან ერთად ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს ადგილობრივი მოსახლეობის ეთნიკურ წარმომავლობასა და კულტურულ-სარწმუნოებრივ კუთვნილებაზე.

ЛИЯ В. АХАЛАДЗЕ

ЕЩЁ ОДНА НАДПИСЬ ИЗ АБХАЗИИ

В 2006г., в селе Гумуриши Гальского района Абхазии, студенткой Сухумского университета Нино Парулава была обнаружена надгробная надпись. Она выполнена на грузинском письме Мхедрули. В надписи говорится о том, что под надгробной плитой покоится прах некоего Кзюристо Асаквовича Емухвари, прапорщика, скончавшегося в марте 1886г., в 35-летнем возрасте. Сообщается также, что надгробная плита поставлена супругой покойного, княгиней Саломе Кациевной Анчабадзе-Емухвари.

LIA AKHALADZE

ONE MORE INSCRIPTION FROM ABKHAZIA

In 2006, the student of Sokhumi University in exile Nino Parulava found the graveplate inscription in the village Ghumurishi, Gali Region, Abkhazia. The epitaph is in Georgian script Mkhedruli and inscription tells us that the grave belongs to Kziuristo Emukhvari, son of Asakva Emukhvari, praporshik of the Russian Army, who died in March 1886 at the age of 35. The epitaph was inscripted by the noblewoman Salome Anchabadze-Emukhvari, who was the wife of the deceased.

მისილ ქართველიშვილი

306 იყო საქართველოს პირველი პრეზიდენტი?

საქართველოს უახლეს პოლიტიკურ ისტორიაში მრავალი პრობლემატური საკითხია, რომელთა სათანადო დონეზე შესწავლასა და გააზრებას უდიდესი სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. წინამდებარე სტატია წარმოადგენს მოკრძალებულ მცდელობას ნათელი შევიტანოთ ერთ მნიშვნელოვან საკითხში, რომელიც ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე დგას და მისი გადაწყვეტაც უაღრესად საშურ საქმედ მიგვაჩნია.

საქმე იმაშია, რომ საფრანგეთში, კერძოდ, ლევილში, ქართველ ემიგრანტთა სასაფლაოზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას საფლავის ქვაზე ამოკვეთილია შემდეგი სიტყვები: „*ნოე ჟორდანიას 1868-1953. საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი. საქართველომ 1918 წლის 26 მაისს მისი მეთაურობით აღადგინა თავისი სუვერენობა რუსეთის 117 წლის ბატონობის შემდეგ*“¹ წარწერა გაკეთებულია ქართულ და ფრანგულ ენებზე. არადა, როგორც ცნობილია საქართველოს პირველ პრეზიდენტად არჩეულ იქნა ზვიად გამსახურდია. აღნიშნული გაუგებრობა კი უცხოელ მკვლევრებსა და სპეციალისტებში, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებრობასა და დაბნეულობას იწვევს.

ამ ყოველივეს ნათელ დადასტურებას წარმოადგენს 1997 წელს საფრანგეთში გამოსული „*ლარუსის*“ ენციკლოპედია, სადაც სტატიაში საქართველოს შესახებ ვკითხულობთ: „საქართველოს XX საუკუნის ისტორია მრავალი საინტერესო ფაქტითაა

¹ გ. შარაძე. ფრანგული დღიური. თბ., 1990, გვ. 63.

გამორჩეული. მაგალითად, ქართველებს ამ საუკუნეში ჰყავდათ ორი პირველი პრეზიდენტი – ნოე ჟორდანიას და ზვიად გამსახურდია“.² სწორედ აქედან გამომდინარე გადავწყვიტეთ ნათელი მოგვეფინა ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხისათვის.

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით ინტერესს იწვევს ნოე ჟორდანიას ვაჟის, რეჯეპ ჟორდანიას მოსაზრებები. თავის მემუარული ჟანრის ნაწარმოებში „გაგიზარდე ლევილში“, იგი წერს: „ეს მერყევი ადამიანი (იგულისხმება ზვიად გამსახურდია – მ.ქ.) განდიდების მანიით იყო შეპყრობილი, რაც თუნდაც იმაში გამოიხატა, რომ თავი საქართველოს პირველ პრეზიდენტად მიიჩნია, ხოლო მამაჩემი, რომელიც მართლაც პირველი პრეზიდენტი იყო, სათვალავში არ ჩააგდო“.³

ეს მოსაზრება სერიოზულ დაზუსტებას მოითხოვს, რადგან ნოე ჟორდანიას პრეზიდენტად არცერთი წყარო არ ასახელებს. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზემოხსენებულ ეპიტაფიასა და გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში გამოსულ სამეცნიერო ნაშრომებს, რომლებიც 1918-21 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მანამდე გამოუკვლევ საკითხებს ეძღვნებოდა. „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ შესაბამის სტატიაში მითითებულია, რომ ნოე ჟორდანიას „1918-21 წლებში იყო მენშევიკური საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე“.⁴

ჩვენი აზრით, ყურადღება უნდა მივაქციოთ საკითხის ტერმინოლოგიურ და სამართლებრივ (იურიდიულ) ასპექტებს, რადგან მათი მოშველიება დაგვეხმარება, რომ საქმეში უკეთ გავერკვიოთ. ტერმინოლოგიური თვალსაზრისის მოშველიებით, ჩვენი აზრით, ნოე ჟორდანიას „პრეზიდენტობა“ დაკავშირებულია ფრანგული სიტყვის „*president*“ არასწორ გაგებასთან, რომელიც, ტრადიციული განმარტების გარდა, ნიშნავს თავმჯდომარესაც⁵. თუმცა ამ შემთ-

² *L'encyclopédie Larousse*. Paris, 1997, გვ. 403.

³ რ. ჟორდანიას. გაგიზარდე ლევილში. თბ., 2004, გვ. 240.

⁴ უ. სიღამონიძე. ნოე ჟორდანიას. – *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*, ტ. VIII. თბ., 1984, გვ. 256.

⁵ *Le Robert Micro Poche*. Paris, 1993, გვ. 1007. ასევე იხილეთ: ფრანგულ-ქართული ლექსიკონი. სამ ტომად, ტ. III. თბ., 2000, გვ. 175.

ხვევაში გაუგებრობას იწვევს განსაზღვრება „პირველი“, რადგან, როგორც ცნობილია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარე იყო ნოე რამიშვილი.

არანაკლებ მნიშვნელოვანია საკითხის იურიდიულ-სამართლებრივი ასპექტებიც. კერძოდ, საქმე იმაშია, რომ როდესაც ვეცნობით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს მიღებულ კანონებსა და ნორმატიულ აქტებს, ასევე 1921 წლის 25 თებერვლის კონსტიტუციას, მათში ნახსენებიც კი არ არის პრეზიდენტის თანამდებობა, შესაბამისი უფლება-მოვალეობებით⁶. განსხვავებული ვითარებაა მეორე შემთხვევაში, როდესაც საქართველოს უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ – უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება „*საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის შემოღების შესახებ*“, რომელიც გვაუწყებდა: „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო წყობილების სრულყოფის, ქვეყნის სუვერენიტეტის, მოქალაქეთა უფლებები, თავისუფლებების და უშიშროების განმტკიცების მიზნით საქართველოს უზენაესი საბჭო ადგენს:

1. მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის შემოღება.
2. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიამ შეიმუშაოს და წარმოადგინოს წინადადებანი შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების თაობაზე“.⁷

სწორედ ამ საკანონმდებლო აქტების მიღების შემდეგ აირჩია საქართველოს უზენაესმა საბჭომ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად ზვიად გამსახურდია, რაც იმავე წლის 26 მაისს ჩატარებულმა საყოველთაო საპრეზიდენტო არჩევნებმა დაა-

⁶ ვრცლად იხ.: *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული*. (1918-1921). შემდგენელი *ე. გურგენიძე*. თბ., 1990.

⁷ *საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობის შემოღების შესახებ*. – გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №70 (90), 10.IV.1991, გვ. 3.

დასტურა. საპრეზიდენტო არჩევნებმა, რომელზეც ზვიად გამსახურდიამ ხმების 86,52% მიიღო, ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ზვიად გამსახურდიას სახელთან აკავშირებდა ეროვნული თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის განმტკიცების საუკუნოვან იდეას⁸.

ნოე ჟორდანიას „პრეზიდენტობასთან“ დაკავშირებით შეიძლება გვეფიქრა, რომ იგი ამ თანამდებობაზე არჩეულ იქნა ემიგრაციაში, მაგრამ არსებობს მრავალი დოკუმენტი და საბუთი დათარიღებული 1921-53 წლებით, რომელსაც ნოე ჟორდანია აწერს ხელს, როგორც საქართველოს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარე. მას ყოველთვის თან ახლავს ბეჭედი წარწერით „მთავრობის თავმჯდომარე“.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, საქართველოს პირველი პრეზიდენტი იყო ზვიად გამსახურდია და არა ნოე ჟორდანია. აღნიშნულის გათვალისწინებით ვაყენებთ ერთ პრაქტიკულ წინადადებას: შეტანილ იქნეს შესწორება ნოე ჟორდანიას ეპიტაფიის ტექსტში ლევილში ქართველ ემიგრანტთა სასაფლაოზე და მასზე დაიწეროს: „ნოე ჟორდანია (1868-1953). საქართველოს **მთავრობის თავმჯდომარე**. საქართველომ 1918 წლის 26 მაისს მისი მეთაურობით აღადგინა თავისი სუვერენობა რუსეთის 117 წლის ბატონობის შემდეგ“. შესაბამისად გასწორდეს ეპიტაფიის ტექსტი ფრანგულ ენაზეც.

⁸ საქართველოს ისტორია, XX საუკუნე. თბ., 2003, გვ. 224.

МИХЕИЛ А. КАРТВЕЛИШВИЛИ

КОГО СЛЕДУЕТ СЧИТАТЬ ПЕРВЫМ ПРЕЗИДЕНТОМ ГРУЗИИ?

В статье рассмотрен один из интересных и проблематичных вопросов новейшего периода истории Грузии, о персонализации первого Президента Грузии. В ней, в результате анализа соответствующих материалов, сделан вывод, что первым президентом Грузии был Звиад Гамсахурдия. В связи с этим, предлагается исправить текст эпитафии на могиле Ноэ Жордания в Левиле (Франция) следующим образом: „Ноэ Жордания (1868-1953). **Председатель Правительства Грузии.** Под его руководством, Грузия восстановила свой суверенитет после 117-летнего господства России“.

MIKHEIL KARTVELISHVILI

WHO WAS THE FIRST PRESIDENT OF GEORGIA?

This article deals with one of the interesting and problematic questions of the most recent period of history of Georgia, namely the personality of the first President of Georgia. After analyzing the corresponding materials, it is concluded that the first president of Georgia was Zviad Gamsakhurdia. Due to this, it is proposed to replace the epitaph at the tomb of Noe Zhordania at the Leuville-sur-Orge Cemetery in France with the following text: “Noe Zhordania (1868-1953). **Head of the Government of Georgia.** Under his leadership Georgia restored its sovereignty after the 117 years of Russian rule”.

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება
ავხაზეთის ორგანიზაცია
საისტორიო ძიებანი, 8-9, 2006

ა რ ქ ე ო ლ ო გ ი ა , ე თ ნ ო ლ ო გ ი ა

მ ა ხ ტ ა ნ ბ ჯ ა ზ ა რ ი მ ე

ჩ რ დ ი ლ ო - დ ა ს ა ვ ლ ე თ კ ო ლ ხ ე თ ი ს ა ნ ტ ი კ უ რ ი ქ ა ლ ა ქ ე ბ ი ს ღ ე მ ო ბ რ ა ვ ი უ ლ ი ს ი ტ შ ა ც ი ი ს ს ა კ ი თ ს ი . ო რ ა მ ჩ ი რ ე - გ ი ე ნ ო ს ი *

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ნაქალაქარების არქეოლოგიური შესწავლის პროცესში ყურადღებას იქცევს ისტორიული კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთი, ანუ ავხაზეთის ზღვისპირა ნაწილი. აქ, ანტიკური წყაროებით, რამდენიმე მნიშვნელოვანი ქალაქი იყო დაარსებული. მათი შესწავლა უშუალოდ უკავშირდება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის კვლევას, როგორცაა ბერძნული კოლონიზაციის პრობლემა; თუმცა აღნიშნული რეგიონის ზოგ ნაქალაქარზე (მაგ., პიტიუნტში) მნიშვნელოვანი გათხრების მიუხედავად, ადრეული ეტაპის არქეოლოგიური ფენები ჯერ გამოვლენილი არ არის, ხოლო სოხუმ-სეხასტოპოლისში რამდენადმე მნიშვნელოვან ფართობზე სათანადო კვლევების ჩატარებას ხელს

* კრებული პროფ. შოთა მესხიასადმია მიძღვნილი და ჩვენც გვინდა აღვნიშნოთ განსვენებული მეცნიერის დიდი ღვაწლი შუა საუკუნეების ქალაქების შესწავლის საქმეში. აქვე არ შეიძლება მადლობით არ გავიხსენო მისი სპეც-სემინარები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, როცა მეცნიერი გატაცებით გვიამბობდა ქართული ფეოდალური ქალაქების განვითარების ცალკეულ ეტაპებზე, გვიტარებდა კონსულტაციებს მის მიერ რუსეთის (ძირითადად მოსკოვისა და სანკტ-პეტერბურგის) არქივებში გამოვლენილ წყაროებსა და კარტოგრაფიულ მასალებზე. დღეს ეს მასალები კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს, რადგან ახალი არქეოლოგიური კვლევების საფუძველზე ჩნდება შესაძლებლობა მათი არქეოლოგიური კომენტარებისა, რისი, ისევე როგორც განსვენებული მეცნიერის მეცნიერული მემკვიდრეობის მოკრძალებული შეფასების, საშუალება, იმედი, სხვა დროს მოგვეცემა.

უმლის თანამედროვე ქალაქის დასახლება და ნაშთების ზღვის მონაკვეთში არსებობა.

გარდა ეკონომიკური ფაქტორისა, აღნიშნული ქალაქების დაარსების დროს დიდ მნიშვნელობას იძენდა ზღვაოსნობისთვის აუცილებელი სათანადო უბეებისა და მდინარეთა შესართავების არსებობა. ერთს ასეთს, ჩანს, თანამედროვე ქალაქ ოჩამჩირეს მდ. ღალიძგასა და ოქუმის ორმდინარეთის მონაკვეთი წარმოადგენდა¹.

ამ პუნქტისა და მისი შემოგარენის მნიშვნელობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ იგი იდენტიფიცირებულია ანტიკური წყაროების (ფსევდოსკილაქს კარიანდელი ფრ. 81)² ქალაქ გიენოსთან, რომლის ლოკალიზაციისთვის მნიშვნელობა აქვს იქვე ნახსენებ მდ. გუენოსს, რომელიც მდ. მოქვისწყალთანაა იდენტიფიცირებული³.

შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენები ოჩამჩირესა და მის მიდამოებში ადრიდანვეა ცნობილი. აქ უძველესი დასახლება ჯერ კიდევ პალეოლითიდან და ნეოლითიდან არის დადასტურებული. ყურადღებას იქცევს ბრინჯაოს ხანით განსაზღვრული მასა-

¹ გავრცელებული მოსაზრებით (იხ. მაგ., ნ. მარისა და ი. ყიფშიძის ლექსიკონები), სახელის ძირი მომდინარეობს თურქულენოვანი სამყაროდან (უკავშირდება ბზას, რისი წარმოებაც ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის (აფხაზეთის) სანაპიროზე დადასტურებულია გვიანდელი წყაროებით). უფრო სწორი უნდა იყოს სახელის ახსნა ქართულ ნიადაგზე, რომლის მიხედვით იგი გაიაზრება როგორც ორი სიტყვის კომპოზიტი („ოჩე“ და „მირე“) და ნიშნავს დიდ ყანას. იხ.: **გ. როგავა**. ზოგი გეოგრაფიული სახელის (ოჩემჩირე, ტყაურუ) შედგენილობისათვის. – *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, ტ. 93. თბ., 1960.

² ეს ფრაგმენტი მრავალმხრივ იწვევს ინტერესს, ამიტომ მოგვეყავს მისი პირველი ნაწილი: „81: კოლხები. ამათ შემდეგ არის ტომი – კოლხები, ქალაქი დიოსკურიისი, ელინური ქალაქი გუენოსი, მდინარე გუენოსი, მდინარე ქარობიოსი, მდინარე ქოროსოსი, მდინარე არიოსი, მდინარე ფასისი და ელინური ქალაქი ფასისი, მდინარის ზევით აყოლებით 180 სტადიონის მანძილზე არის დიდი ბარბაროსული ქალაქი, საიდანაც იყო მედეა“. **თ. ყაუხჩიშვილი**. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. I. თბ., 1967, გვ. 48.

³ **ო. ლორთქიფანიძე**. ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი. თბ., 1966, გვ. 54, შენ. 6; **თ. ყაუხჩიშვილი**. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები. თბ., 1976, გვ. 87.

ლები; კერძოდ, აღინიშნება, რომ 1956-1958წწ. და 1961წ. შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს კოლხური ცულები, სეგმენტისებური იარაღები, ნამგლები, თოხი, ბრინჯაოს ზოდები და შენადნობები მიუთითებენ, როგორც ადგილობრივ ლითონის დამუშავების ფაქტზე, ასევე მოწმობენ მიწათმოქმედების განვითარებაზე⁴.

როგორც აღინიშნა, ოჩამჩირე, მისი ანტიკური დასახლება IV ს. ავტორის (როგორც ვარაუდობენ ფსევდოსკილაქსის) ცნობის გვენოსს უკავშირდება. არც ერთ სხვა ავტორთან არც ქალაქი და არც მდინარე ზუსტად ამგვარი დასახელებით არ გვხვდება⁵, მაგრამ ქალაქ გიენოსს, როგორც ვარაუდობენ, შეიძლება უკავშირდებოდეს ქალაქი კიკნოსი პომპონიუს მელასი⁶. მართლაც, პომპონიუს მელა ნაშრომში „*ქვეყნის აღწერილობა*“ მიუთითებს ქალაქ კიკნოსზე, რომელიც ფაზისსა და დიოსკურიას შორის მდებარეობს⁷.

გიენოსის სახელთან ახლოს დგას კიდევ ერთი წყარო – კლავდიოს პტოლემეაიოსის – კუანეოსს (Kuaveos)⁸, რომელშიც მდ. მოქვი იგულისხმება, გვიანი წყაროებიდან მდ. კუანეოსი გვხვდება სტეფანე ბიზანტიელის „*ეთნიკაში*“⁹ არ უნდა იყოს სწორი პლი-

4 **С. Замятнин.** Очерки по палеолиту. М.-Л., 1961; **ო. ლორთქიფანიძე.** ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი..., გვ. 55; **Д. Д. Качарава.** Город Гиэнос в античную эпоху. *К истории городов Восточного Причерноморья.* Автореферат кандидатской диссертации. Тб., 1972, გვ. 11; **ჯ. აფხაქიძე.** აფხაზეთის გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის განმეხი. – კრებ.: „*აფხაზეთი*“ I, არქეოლოგიური ძეგლები და პრობლემები. თბ., 2006, გვ. 73-75, ტაბ. I, 47-49.

5 **Д. Качарава.** Город Гиэнос в античную эпоху..., გვ. 15.

6 **ო. ლორთქიფანიძე.** ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი..., გვ. 55; **Д. Качарава.** Город Гиэнос в античную эпоху..., გვ. 15.

7 **ა. გამყრელიძე.** პომპონიუს მელას ცნობები საქართველოს შესახებ. – *ქართული წყაროთმცოდნეობა*, I. თბ., 1955, გვ. 29.

8 **Н. Ломоури.** Из исторической географии древней Колхиды. – *Вестник древней истории*, №4, 1957, გვ. 103.

9 **Steph., Byz.,** Ethn., S. V. A, a. – *გეორგია*, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო **სიმონ ყაუხჩიშვილმა**. თბ., 1936, გვ. 274, იხ. აგრეთვე, შენ. I.

ნიუსის „კიენის“ დაკავშირება გიენოსთან¹⁰. ოჩამჩირესთან, თუ მასთან ახლოს, ვარაუდობდა გიენოსს დიუბუა დე მონპერე¹¹. დ. გულია მდ. ჯიკუძურის მარცხენა ნაპირზე (გიენოსთან დაკავშირებული ადგილობრივი ტოპონიმი დუანა მდებარეობდა მდინარის მარჯვენა ნაპირზე) მიუთითებდა რაღაც ნაგებობების შესახებ¹². სხვა ავტორებიც (მაგ. ვ. ჩერნიავსკი), მიუთითებენ გიენოსის ლოკალიზაციის შესაძლებლობაზე ოჩამჩირესთან და აღნიშნავენ მსგავსი ადგილობრივი ტოპონიმის (ტგუანა, ოლა-გუანა, იგუანა) არსებობაზე¹³.

ოჩამჩირის, კერძოდ, მისი ნაქალაქარის არქეოლოგიური შესწავლა 1935 წლიდან დაიწყო, როცა პორტის სამშენებლო სამუშაოების დროს ანტიკური ნაქალაქარის ნაშთები გამოვლინდა. ეს სამუშაოები ძირითადად 1935-36წწ. განხორციელდა (წარიმართა იგი არქეოლოგების ლ. სოლოვიოვის, მ. ივამჩენკოს და ბ. კუფტინის მონაწილეობით).

ოჩამჩირის პორტში 1935-36წწ. ზამთრის თვეებში ჩატარებული ამ სამუშაოებით გაირკვა, რომ მდ. ჯიკუძურის (Чаникуара – ჭანიყვარა /?/) მარცხენა ნაპირზე სახეზე გვაქვს ძირითადად სამი კულტურული ფენით, ანუ სამი ქრონოლოგიური პერიოდით წარმოდგენილი ძეგლი¹⁴. 1977წ. გათხრები აქ გააგრძელა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღვ. მ. ბარამიძე) რაზმმა საკავშირო არქეოლოგიის ინსტიტუტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახ. აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლების მონაწილეობით¹⁵. 1981 წლი-

¹⁰ **С. М. Шамба**, Гюэнос – I. Тб., 1988, გვ. 6.

¹¹ **Ф. Дюбуа де Монпере**. Путешествие вокруг Кавказа. Сухуми, 1937, გვ. 160.

¹² **Д. Гулия**. История Абхазии, т. I. Сухуми, 1925, გვ. 163.

¹³ უფრო ვრცლად ლიტერატურა ავტორებზე იხ.: **С. М. Шамба**. Гюэнос – I, გვ. 66-72.

¹⁴ **Б. А. Куфтин**. Материалы к археологии Колхиды. II. Тб., 1950, გვ. 262-264.

¹⁵ **М. В. Барамидзе, Г. Г. Пхакадзе, В. В. Бжания, Г. К. Шамба, Г. Т. Квирквелия** и друг. Археологические исследования в Абхазии. – *Полевые археологические исследования в 1977 году (ПАИ)*. Тб., 1980, გვ. 116-117.

დან კი აქ გათხრებს აწარმოებდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახ. აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი ს. შამბა). ამ სამუშაოების შედეგად გამოვლინდა ზოგი ახალი ძეგლი და დადგინდა სტრატეგრაფია¹⁶.

ოჩამჩირის, ანუ გიენოსის ძველი ისტორია თითქმის მთლიანად არის დაკავშირებული მისი არქეოლოგიური შესწავლის მონაცემებთან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გვიანი შუა საუკუნეების ზოგიერთ ისტორიულ ნაშთს. ოჩამჩირის ანტიკური დასახლების ძირითად უბანს, როგორც აღნიშნული იყო, ჯერ კიდევ 1935წ. პორტის სამშენებლო მოედანზე ქ. ოჩამჩირიდან 5 კმ-ით ჩრდილოეთით, მდ. ჯიკუშურის ნაპირთან გამოვლენილი სამოსახლო წარმოადგენს. პროფ. ბ. კუფტინი მიუთითებდა, რომ ძეგლი სამი, ირგვლივ წრიული, ხელოვნური თხრილებით განმხროლებული ბორცვისაგან შედგენილ კომპლექსს წარმოადგენდა; ისინი ერთმანეთთან მოკირწყლული გზებით იყო დაკავშირებული (?)¹⁷.

ზემოთ აღინიშნა ძირითადი ავტორებისა და ლიტერატურის შესახებ. იქვე განიხილება ძეგლის ტოპოგრაფიის, სტრატეგრაფიისა და თარიღების საკითხები. გარკვეული კორექტივებია შეტანილი ძეგლის შესწავლის საქმეში ბოლო გათხრების შედეგად, რაც აისახა გამთხრელის უკანასკნელი ხანის პუბლიკაციაში¹⁸.

აღნიშნულ რეგიონში დემოგრაფიული სიტუაციისა და სხვა საკითხების გარკვევის თვალსაზრისით კვლავ შევხებით ძველი გათხრების შედეგებს და განვიხილავთ მათ ახალი გათხრების

¹⁶ **С. М. Шамба.** Раннеантичный комплекс из Очамчира. – *Археологические открытия в Абхазии. 1980 г. (АОА)*. Тб., 1982, გვ. 18-19; **С. М. Шамба, Г. К. Шамба.** Раскопки в древнем г. Очамчира. АОА 1984, Тб., 1989, გვ. 19-37; **С. М. Шамба.** Гюэнос-I; **С. М. Шамба.** Раскопки на городище Гизнос. АОА 1986-1987, Тб., 1990, გვ. 16-30; **С. М. Шамба.** Политическое, социально-экономическое и культурное положение древней и средневековой Абхазии по данным археологии и нумизматики. VI в. до н.э. – XIII в. н.э. Научный доклад на соиск. уч. степ. доктора истор. наук. Ереван, 1998.

¹⁷ **Б. А. Куфтин.** Материалы., гв. 259-260.

¹⁸ **С. М. Шамба.** Политическое, социально-экономическое и., гв. 9-41.

შედეგების გათვალისწინებით. ამასთან, რადგან ანტიკური (ადრეანტიკურ-ელენისტური) ხანის ძეგლები სათანადოდ და დამაკმაყოფილებლად არის წარმოდგენილი და განხილული საკმაოდ მრავალრიცხოვან ლიტერატურაში, ჩვენ ძირითადად ყურადღებას ახ.წ. პირველი საუკუნეების, უფრო კი, ახ.წ. IVს. და მომდევნო ხანის ძეგლებზე გავამახვილებთ.

ოჩამჩირის ანტიკური ხანის ნასახლარის ტოპოგრაფიის შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია გამთხრელების დაკვირვების საფუძველზე მიღებული დასკვნა, რომ ეს ბორცვები ხელოვნურად შექმნილ მიწაზვინულებს წარმოადგენდნენ¹⁹. ამ თვალსაზრისით ყურადღება გამახვილებულია დასავლეთის ბორცვზე (B), რომლის ზედა დონე ყვითელი, ხოლო ქვედა – ლურჯი თიხებით არის წარმოდგენილი. A ბორცვის მონაცემების მიხედვით გაირკვა, რომ ქვედა დონე აქაც ლურჯი თიხებით არის მოზვინული²⁰.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ გიენოსის პირველმოსახლენი დასავლეთის ბორცვზე დასახლდნენ. აქ ანტიკური ფენა მთელ ფართობზე, ენეოლითურისაგან 1 მ სიმაღლის ყვითელი თიხნარით არის გამოყოფილი; ბორცვის ქვედა ნაწილში ანტიკური ფენა უშუალოდ „ენეოლითურზე“ დევს. A ბორცვის მონაკვეთში, ადგილის დაწვევისა და დაჭაობების გამო, ხელახალი მოზვინვის მიზნით, ლურჯი თიხები გამოუყენებიათ. თვით ბორცვის მონაკვეთში ანტიკური ხანის რამდენიმე კულტურული ფენის არსებობა მიჩნეულია მისი რამდენიმეჯერ მოზვინვის საბუთად²¹. ამას-

¹⁹ **Б. А. Куфтин.** Материалы..., გვ. 1950; **დ. კაჭარავა.** ოჩამჩირის ანტიკური ხანის ნაქალაქარის ქრონოლოგიისა და ტოპოგრაფიის საკითხები. – *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, 62, №3, 1971, გვ. 753. ავტორები მიუთითებენ მ. ივაშჩენკოს გამოუქვეყნებელ ნაშრომზე: „*Античное селище вблизи Очамчиры*“. Архив **М. М. Иващенко**, фонд №16 и 16а; ეს ნაშრომი-ხელნაწერი ანგარიში და მასალები, ძირითადად ავტორის მიერ შესრულებული გრაფიკული ჩანახატები, აგრეთვე ფოტოები, ორი მოზრდილი საქალაქი, დაცულია ივანე ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში. იგი შემდგომშიც საჭიროებს შესწავლასა და დამუშავებას.

²⁰ **დ. კაჭარავა.** ოჩამჩირის ანტიკური ხანის..., გვ. 753-754.

²¹ **დ. კაჭარავა.** ოჩამჩირის ანტიკური ხანის..., გვ. 753-754.

თან, მიჩნეულია, რომ ყვითელი თიხნარი ჯერ არ იყო დალექილი (აქ, ვფიქრობთ, დასაზუსტებელია ყვითელი თიხნარის დალექვის გარემოება; გაჩენილია თუ არა ეს ფენა ბუნებრივი დარეცხვით, თუ ისიც საგანგებო მოზვინვის შედეგს წარმოადგენს).

ოჩამჩირის ანტიკური ხანის ნასახლარის თავდაპირველი შესწავლის დროსაც დაფიქსირებული იყო მთელი რიგი მონაცემები, რომლებიც ბორცვებზე ანტიკურის მომდევნო ხანის ცხოვრების ნაშთებზე მიუთითებდნენ. კერძოდ, მეორე (ცენტრალური) ბორცვის შესწავლის დროს, როცა მიწის სამუშაოების დიდი ტემპების პირობებში არქეოლოგიური სამუშაოები ძირითადად მეთვალყურეობით განისაზღვრებოდა, არ დაფიქსირებულა ანტიკური ხანის რაიმე ნაგებობის ნაშთები. ამავ დროს, როგორც მ. ივაშჩენკო მიუთითებს, ბორცვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში აგურით თიხაზე ნაშენი, ჩანს, შუა საუკუნეების, გამოსაწვავი ქურა იყო გამოვლენილი²².

მესამე ბორცვის, რომელიც მეორე ბორცვისაგან 200-250 მ-ით იყო დაცილებული აღმოსავლეთით (იგი ძველი წარმოშობის უნდა ყოფილიყო, რადგან ასევე იყო განმხოლოებული საგანგებო თხრილით, რომელიც, ნაწილობრივ, ბორცვის მოზვინვისთვის საჭირო მიწის ამოთხრით უნდა გაჩენილიყო), თხემის კიდის ნაწილში, დაფიქსირდა შენობების რივის ქვით, დულაბზე ნაშენი საძირკვლების (?) ფრაგმენტები. ამ ნაშთებს მ. ივაშჩენკო ფეოდალურ ხანას მიაკუთვნებდა. ამასთან, იგი აღნიშნავდა, რომ ხსნარი, რომელიც კირხსნარისა და დანაყილი კერამიკისაგან (დასახელებულია აგური) იყო მომზადებული, უფრო ბიზანტიურ ტრადიციაზე უნდა მიუთითებდეს.

სამეცნიერო ანგარიშებში იშვიათად მიუთითებენ აღნიშნულ მეოთხე ბორცვზეც (მის არსებობაზე მიუთითებს მ. ივაშჩენკო), უფრო კი მის მიმდებარე მცირე შემალლებებზე, ალბათ ასევე ბორცვულზე (?), იყო დადასტურებული შუა საუკუნეების ფენა. მ. ივაშჩენკოს გამოუქვეყნებელ ნაშრომში აგრეთვე აღნიშნულია, რომ მიწის სათხრელი მექანიზმებით მდინარეში გადაყრილი კულტუ-

²² **С. М. Шамба.** Гюёнос – I, გვ. 14.

რული ფენების ნაშთები მრავლად შეიცავდა აგურებს და ძთელ, მოზრდილ და მომცრო ჭურჭლებს. პირველი ბორცვის ზედაპირზეც იყო დაფიქსირებული ფეოდალური და ადრეანტიკური ხანის ფენები, საერთო სისქით – 0,6მ (მათ შორის გამიჯვნა პირობითია), აქედან ფეოდალური ფენის სისქე 0,3მ-ია.

აღნიშნული ბორცვის მონაკვეთში, სადაც მოყვითალო თიხნარის ფენა უშუალოდ გადაფარავს მონაცრისფრო თიხნარისას, ფეოდალური ხანის მასალებიც იყო გამოვლენილი. რაც შეეხება ბორცვის თხემს, აქ (თხრ. №34) სამი ძირითადი ფენა დადასტურდა: I – ზემოდან პირველი – სისქით – 0,20-0,30მ, ღია ფერის ჰუმუსირებულ ფენას წარმოადგენდა, წვრილმარცვლოვანი ქვების მინარევებით. აქ დადასტურებული იყო ძირითადად წითლად გამომწვარი თიხის ჭურჭლების ფრაგმენტები; II ფენა 0,6მ სიმძლავრის, მოშავო თიხნარის ფენაა, მოზრდილი ქვების მინარევებით და კულტურული ნაშთების შემცველობით ხასიათდება. მასალა ძირითადად ასევე კერამიკით იყო წარმოდგენილი; III მოყვითალო თიხნარის ფენაა, ჰუმუსის ჩანართებით. უფრო ღრმად დადასტურებული იყო მოყვითალო თიხნარი.

აღნიშნული პირველი ორი ფენა, მ. ივაშინკოს განსაზღვრით, ფეოდალურ ხანას განეკუთვნებოდა, ხოლო მესამე – ზოგადად რომაულ, თუ ადრეიზანტიურ ხანას. ბორცვის თხემზე ანტიკური ხანის ცხოვრების ნაშთები არ დადასტურებულა. მხოლოდ ბორცვის ირგვლივ არსებული თხრილის მონაკვეთში იყო დადასტურებული I მ-ის სისქის კულტურული ფენა. იგი მრავლად შეიცავდა კერამიკულ მასალას. ამათგან აღსანიშნავია იმპორტული (ბერძნული) ნაწარმი. გათხრებმა უჩვენა, რომ ანტიკური ხანის ეს დასახლება ხანძრით არის განადგურებული.

ცხოვრების ახალი აღმავლობა ზოგადად ახ.წ. პირველი საუკუნეებით არის განსაზღვრული. ამ ხანის მასალები, კერძოდ, წითელლაკიანი კერამიკა დადასტურებულია დასავლეთის ბორცვის (B ბორცვი) თხემზე²³, მაგრამ ეს, ალბათ, არ ნიშნავს იმას, რომ ეს ბორცვი მხოლოდ ამ დროს გამოიყენეს სამოსახლოდ; მიუთი-

²³ დ. კაჭარავა. ოჩამჩირის ანტიკური ხანის..., გვ. 754.

თებენ, რომ ბორცვის ირგვლივ არსებული ხელოვნური თხრილი, იქ ნაპოვნი მასალების მიხედვით, უკვე ადრეანტიკურსა და ელინისტურ ხანაში არსებობდა, ე. ი. ფუნქციონირებდა კედეც.

შუა საუკუნეების ძეგლებთან დაკავშირებით კვლავ ვამახვილებთ ყურადღებას მ. ივანჩენკოს დოკუმენტურ მონაცემებზე; იგი აღნიშნავს, რომ ფეოდალური ხანის დასახლება, მისი ნაშთები შეინიშნებოდა თითქმის მთელი კილომეტრის მანძილზე. მას უკავშირდება წრიული კედელი, რომელიც გარეშემოსაზღვრავს ბორცვს; თიხის მიღებისაგან შეღგენილი წყალსადენი (იგი ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მიემართება) და სამი გამოსაწვავი ქურალუმელი ასევე უკავშირდება აღნიშნული დროის ნასახლარს. აქვე, მიწის სამუშაოების დროს, გამოვლინდა კვადრატული დიდი აგურებით ნაშენი, სპეციფიკური წყობის, გარკვეულად ქვემოთკენ მიმართული კედელი, უფრო კი, როგორც საფიქრებელია, კოლექტორი (იგი დაფიქსირებულია) მიღებით. ჩანს, ამ საკმაოდ რთულ საინჟინრო მოწყობილობას კავშირი ჰქონდა ზემოთ აღნიშნულ ქურებთან. თვით ქურები, ორი მათგანი მაინც, ბორცვის დამრეცი ნაწილის ჩადაბლებულ (ხელოვნურად?) ნაწილში აუშენებიათ აგურებითა და თიხით. ერთი მათგანის ძირზე ნაპოვნი იყო ნახშირი და თეთრი და მწვანე ჭიქურით (?) დაფარული ქვები.

მ. ივანჩენკოს გამოუქვეყნებელ ანგარიშს ავსებს პროფ. ბ. კუფტინის პუბლიკაცია. კერძოდ, იგი მიუთითებს, რომ რიყის ქვის კედელი, რომელშიც აგურის ფრაგმენტებიც შეიმჩნევა, ბორცვის თხრილის საპირისპიროდ მიემართება. იგი გვიანანტიკური ხანით უნდა თარიღდებოდეს, რადგან მისი საძირკველი ეყრდნობა ანტიკური მასალების შემცველ ფენას, რომელიც ალაგ-ალაგ ადრეშუასაუკუნეების (?) ხანის მასალებსაც შეიცავდა; თუმცა, მითითებული ავტორი, წინასწარული თარიღის დაკონკრეტებისთვის, გამოვლენილი მასალების გულდასმით შესწავლისა და ქრონოლოგიური დიფერენციაციის საჭიროებაზე მიუთითებდა²⁴. ეს ეხება როგორც შუა საუკუნეების ხანის ნაშთებს ზოგადად, ასევე მა-

²⁴ Б. А. Куфтин. Материалы..., გვ. 273.

სალებს, რომლებიც კელის ქვემოთ მდებარე კულტურულ ფენებს უკავშირდებოდა.

ისევე როგორც სხვა შემთხვევაში, დასახელებული ბორცვის მაგალითზეც ჩანს, რომ ფეოდალური ხანის ფენა უშუალოდ ძვეს ანტიკურ ფენაზე და, ხშირ შემთხვევაში, შერეულია მასში. ეს იმიტომ, რომ შუა საუკუნეების მოსახლეობა თავისი სამეურნეო საქმიანობის დროს აზიანებდა ზედაპირზევე არსებულ ანტიკური ხანის ნაშთებს²⁵. ჩვენი აზრით, ეს იმაზეც მიუთითებს, რომ ბორცვზე ცხოვრება მნიშვნელოვანი წყვეტილების გარეშე გრძელდებოდა და ამ გარემოების განზოგადება შეიძლება დასახლების მთელ სისტემაზე.

ინტერესს იწვევს პროფ. ბ. კუფტინის დაკვირვება წყალსადენის სისტემასა და გამოსაწვავ ქურებზე; ამ მონაცემებს პირველწყაროს მნიშვნელობა აქვს. ის მიუთითებს, რომ პორტის მშენებლობის ძირითად უბანზე გამოვლენილი ქურა თიხის ჭურჭლების გამოსაწვავს წარმოადგენდა. წყალსადენის მილების გამოვლენის მონაკვეთზე დაკვირვებისა და შესწავლის შედეგად მისი ძირითადი შტო და დამატებითი განშტოება გამოვლინდა. ეს მილები საგანგებო კირხსნარით, სილაზე, იყო შემტკიცებული. საინჟინრო თვალსაზრისით, ჩანს, იგი მაღალი ღონის ნაგებობა უნდა ყოფილიყო, რადგან წყლის დინება ერთ მონაკვეთზე გათხრების პროცესშიც იყო შემჩნეული²⁶. ჩანს, ვერ განზორციელდა გამთხრელის სურვილი, თვალყური გაედევნებინა წყალსადენის სისტემაზე სათავემდე, დაეთარილებინა მისი აშენებისა და ფუნქციონირების დრო, განესაზღვრა მისი მომხმარებელი საზოგადოების ხასიათი.

ანგარიშებში კერამიკულ ქურებთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ მათ ჰქონდათ აგურის თაღოვანი ღიობი. ბ. კუფტინიც მიუთითებს ქურის ძირზე გამოვლენილ აგურებზე და მათზე დადასტურებულ ჭიქურის ნალვენთებზე. აქ დგება საკითხი წარმოების თარიღის, მისი მასშტაბების, პროლუქციის გავრცელების

²⁵ **Б. А. Куфтин.** Материалы..., გვ. 273.

²⁶ **Б. А. Куфтин.** Материалы..., გვ. 273.

გზებზე და შესაბამისად, უკვე შუა საუკუნეებში ამ დასახლება-ქალაქის („ПОСЁЛОК-ГОРОДОК“) ხასიათის თაობაზე. სამწუხაროდ, ეს საკითხი დღემდე შეუსწავლელია.

ზემოთ აღნიშნულ საკითხებს უშუალოდ ეხება კიდევ ერთი, მ. ივაშჩენკოს ასევე გამოუქვეყნებელი ნაშრომი. იგი სპეციალურად მიძღვნილია ოჩამჩირის ნასახლარის შუა საუკუნეების ფენის კერამიკული მასალის შესწავლისადმი. ეს მასალა ძირითადად მოჭიქული კერამიკის ნიმუშებითაა წარმოდგენილი²⁷, რომელიც ინტერესს იწვევს მისი ადგილობრივი ხასიათის გამო და ჩვენთვის ამჯერად სამოსახლოს ზოგადი ქრონოლოგიის შესწავლის თვალსაზრისით არის საინტერესო. მაგრამ, ამასთან, ამ მასალების ქრონოლოგიური ჩარჩო სცილდება ჩვენი საკვლევი თემის ფარგლებს.

ოჩამჩირის ნასახლარის შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია აქ 1977 წლიდან განახლებული სამუშაოები, რომელიც, გარკვეული ინტერვალის შემდეგ, გაგრძელდა 1981 წლიდან, როცა შესაძლებელი გახდა სამუშაოების გაფართოება და კვლევა შედარებით დიდ ფართობსა და სიღრმეზე. აღმოსავლეთის (მესამე) ბორცვზე, სიღრმე კულტურული დანაშრევებისა, ანუ მისი ინტენსივობა, ზოგადად – 4,3მ ტოლი იყო. ზოგან ეს ფენები უფრო ღრმადაც შეისწავლებოდა²⁸. სულ გამოვლენილი იყო 4 კულტურული ფენა. თვით ბორცვის ფარგლებში სტრატეგრაფია ძირითადად იმგვარია, როგორიც დადასტურდა 30-იანი წლების გათხრების დროს, თუმცა ხელნაწერ ანგარიშსა და გამოქვეყნებულ ინფორმაციაში, ძირითადად, საუბარია 3 კულტურულ ფენაზე. ამასთან, პირველი (ქვემოდან) ფენის ასაკი ზოგადად ნეოლითით, უფრო კი ენეოლითური ხანით იყო განსაზღვრული²⁹. მაგრამ ეს ფენა უფრო ბორცვის პერიფერიულ ნაწილ-

²⁷ ეს ნაშრომი სათანადო საიდუმლოტრაციო მასალით გაგვაცნო ჩვენმა სამეცნიერო ხელმძღვანელმა ბატონმა გ. ლომთათიძემ.

²⁸ **С. М. Шамба.** Политическое, социально-экономическое и., გვ. 11.

²⁹ **Л. Н. Соловьев.** Археологические раскопки близ г. Очамчиры в Абхазии. – *Советская Археология*, №4, 1937, გვ. 21; **Б. А. Куфтин.** Материалы., გვ. 264.

შია დადასტურებული, ხოლო თვით ბორცვის სტრატეგრაფია, როგორც აღნიშნული იყო, ძირითადად ძველი გათხრების დროს დადასტურებულის იდენტურია. ამ თვალსაზრისით ინტერესს იწვევს ზედა, პირველი ფენის, ასევე სტრატეგრაფიის სხვა მონაცემები; მათ ჩვენ უპირატესად 1981 და 1984 წლების გათხრების შედეგებზე³⁰ დაყრდნობით განვიხილავთ, აგრეთვე, გათვალისწინებულია მომდევნო ხანის გათხრების შედეგები³¹.

ჯერ ზოგადად ძეგლის სტრატეგრაფიაზე: უახლესი მონაცემების მიხედვით, I კულტურული ფენა თითქმის ზედაპირიდან იწყება და ალაგ-ალაგ 0,25-0,30მ სისქისაა; წარმოქმნილია ადრექრისტიანული ტაძრის ფუნქციონირების დროს; II კულტურული ფენა, სისქით – 0,8-0,9მ, შეიცავდა ძვ.წ. V-IVსს. მასალებს. სხვა მრავალრიცხოვან, მათ შორის დამთარიღებელ მასალებს გარდა, ფენა შეიცავდა ცხენების სამარხებს სათანადო ინვენტარით (რკინის ლაგები და სხვ.). III კულტურული ფენა, სისქით 1,3-1,4მ, შეიცავდა ძვ.წ. IV-IIIსს. მასალებს. დამთარიღებელი მასალები წარმოდგენილია იმპორტული ამფორებით, შავლაკიანი და შავფიგურული კერამიკით, ჭრაქებით; IV კულტურული ფენა ყველაზე მძლავრი და ინტენსიურია; ზოგან, ჩანართების ჩათვლით, მისი სისქე 1,7 მ-ია. საყოფაცხოვრებო მრავალრიცხოვანი მასალების გარდა ფენაში დადასტურდა ხის ნაგებობები, რომლებიც ნახევარმიწურებს წარმოადგენდნენ. ზოგადი ინტერპრეტაციის თვალსაზრისით, ძეგლის საერთო სტრატეგრაფიის, ისევე როგორც ტოპოგრაფიის, საკითხებს კვლავ შევხებით, აქ კი შედარებით ვრცლად, როგორც აღნიშნული იყო, ზოგადად ახ.წ. I ათასწლეულით დათარიღებული ფენების მონაცემებს განვიხილავთ.

გამთხრელის (ს. შამბა) მონაცემებით ამ ზედა, პირველი ფენის ინტენსივობა 0,6-0,3 მ-ს შორის მერყეობს. ეს ფენა თხემის არქეოლოგიური თხრილის მთელ ფართობზე (10×10მ) იყო და-

³⁰ С. М. Шамба. Гюэнос – I, გვ. 22-40.

³¹ Б. С. Кобахия, Л. Г. Хрушкова, С. М. Шамба. Новая раннехристианская церковь на городище Гюэнос. – *Вестник древней истории*, №1, 1987, გვ. 126-146; С. М. Шамба. Политическое, социально-экономическое и культурное положение., გვ. 11-12.

დასტურებული; მისი ზედა ჰორიზონტი, ფაქტიურად, დიდი მოცულობის ნაგებობის ნგრევის ფენას წარმოადგენს. ამ ნაგებობას უნდა უკავშირდებოდეს აქ ნაპოვნი სამშენებლო კერამიკა: კრამიტები და აგურები. გამთხრელის ინფორმაციით, სახურავის ნაშთები ადგილობრივ (7ც.) და იმპორტულ (5ც.) კრამიტებს შეიცავდა. აგურები დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი; სწორკუთხედებია, ზომებით: $32 \times 16 \times 5$ სმ; $31 \times 20 \times 5$ სმ; $30 \times 17 \times 5$ სმ; $30 \times 25 \times 5$ სმ; $40 \times 24 \times 5$ სმ; ყველა ისინი ადგილობრივი ნაწარმია. ზოგ მათგანზე ნიშნები, სხვა შემთხვევაში, დიაგონალურად გადამკვეთი ღარებია დატანილი³².

დამათარილებელი მასალებიდან მნიშვნელოვანია წელშეზნე-ქილი ამფორები. ისინი ადგილობრივ ნაწარმადაა მიჩნეული. დიდი რაოდენობით იყო ნაპოვნი სარკმლის მინისა და ჭრაქების ნატეხები, სანელსაცხებლების ფრაგმენტები. არქიტექტორული დეტალებიდან ყურადღებას იქცევს პროკონესული მარმარილოს დეკორატიული, უფრო კი მისი ადგილობრივი მინაბადების, ფრაგმენტები. რკინისა და ქვის სხვადასხვა ინვენტარი დაფიქსირდა. ამ მასალას, ისევე როგორც ადრე მოპოვებულს, თავის ადგილზე განვიხილავთ საგანგებოდ.

ადრექრისტიანული ტაძარი გიენოსში. იგი ახალი ეტაპის გათხრების შედეგად არის გამოვლენილი შუა ბორცვის ცენტრალურ ნაწილში. ეკლესია მნიშვნელოვნად დაზიანებული შემორჩა ჩვენს დრომდე, მაგრამ ამჟამად გეგმა აღდგენილია და გამოცემული³³. ეს არის ერთნავიანი ნაგებობა გარეთ გაწეული ნახევარწრიული აფსიდით. ძირითად სივრცეს, ანუ ნაოსს, აქვს გვიანდელი (?) მინაშენები. არაორდინალურია ნართექსიცი, რომელიც მოიცავს არა მარტო დასავლეთის ნაწილს, არამედ, ნაწილობრივ, სამხრეთისას. ნაოსის განაზომების შეფარდება (დაახლ. 4:5) წარმოადგენს მას, როგორც მნიშვნელოვნად შემოკლებულ ნაწილს ეკლესიის საერთო განაზომებთან ($23 \times 19,5$ მ) მიმართებაში.

ტაძრის მინაშენები ღიობებით არის დაკავშირებული ნაოს-

³² С. М. Шамба. Гюэнос – I, გვ. 22.

³³ Б. С. Кобахия, Л. Г. Хрушкова, С. М. Шамба. Новая раннехристианская церковь на городище Гюэнос, გვ. 126-127, სურ. 1.

თან, მხოლოდ ჩრდილოეთის მომცრო მინაშენის ღიობი არ დასტურებულა. ტაძართან დაკავშირებულ რიგ მნიშვნელოვან საკითხს გარკვევდა მისგან ჩრდილოეთისა და დასავლეთის მხრივ შემჩნეული, თითქოს სინქრონული, როგორც გამოხრელები აღნიშნავენ, ნაგებობათა ნაშთები; ისინი შესწავლილი არ არის.

ტაძრის დამატებითი მინაშენები და ღიობები მიუთითებენ მისი სარიტუალო დანიშნულების მრავალფეროვნებაზე, თუმცა ყველა მათგანის დანიშნულებაში გარკვევა, გარდა სამხრეთის მინაშენისა, გართულებულია. ტაძრის ამ ნაწილში დადასტურდა იატაკის შემადღებულ ნაწილზე გამართული სამარხი, ჩანს, საგანგებო, რადგან ძვირფას (ოქროს) ინვენტარსაც შეიცავდა. ნიშანდობლივია, რომ ამ სათავსოს დასავლეთ კედელთან, ანუ მიცვალებულის თავთან, ჩრდილოეთით, დადასტურდა *in situ* ქვევრი. იგი, ასევე, ნაწილობრივ მიწის (იატაკის) დონის ზემოთ არის დაფიქსირებული. გამოხრელებისაგან განსხვავებით, ვფიქრობთ, რომ აქ საქმე სარიტუალო ღვინის ჭურჭელთან უნდა გვქონდეს.

ჩრდილოეთის განყოფილებაში დადასტურებულია აგურების წყობა, რაც, შესაძლოა, საჯდომი მერხის ნაშთი იყოს; ივარაუდება, რომ ეს ოთახი ეკლესიის მსახურთათვის იყო განკუთვნილი. ცხადია, ნართექსიც მლოცველთათვის, უპირატესად ქალებისთვის, იქნებოდა განკუთვნილი.

ტაძრის ტექნიკური მონაცემები შემდეგია: კედლის სისქე აბსიდის ნაწილში 0,95 მ-ია, ნაოსში – 0,9მ, დამატებით სათავსებში – 0,75-0,78მ. ძირითადი ნაგებობა – ნაოსი, ნივნივებით უნდა ყოფილიყო გადახურული; საკურთხეველში კონქი, ხოლო მინაშენებში მარტივი, ცალმხრივ დაქანებული ხის გადახურვა იგულისხმება. აფსიდისა და ნაოსში, მინაშენების დონის ზემოთ, ფანჯრები ივარაუდება, როგორც ეს საერთოდ იგულისხმება ბაზილიკურ, ხის გადახურვის მქონე ნაგებობებისთვის.

თვით ტაძარი, ნართექსის ჩაუთვლელად, აგურით ყოფილა ნაშენი. თუმცა პუბლიკაციის მიხედვით ჩანს, რომ აფსიდის მონაკვეთში, კერძოდ, მის ჩრდილო ნაწილში, 0,3 მ-ის სიმაღლეზე და ყველგან სხვაგან საძირკველში საშუალო ზომის რიყის ქვა ყოფილა გამოყენებული. მოულოდნელობას წარმოადგენს საძირკ-

ვლის ნაწილში, როგორც ავტორები აღნიშნავენ, “singum”-ის გამოყენება, როგორის ანალოგიას პირადად არსად ვიცნობთ.

ერთგვარ მოულოდნელობად ითვლება ის, რომ ძირითადი კომპლექსი აგურებით არის აშენებული. ვფიქრობთ, ნაგებობის ცუდი დაცულობა არ იძლევა საფუძველს იგი აუცილებლად მთლიანად აგურით ნაშენად ვიგულისხმოთ. ეს კარგად ჩანს ნართექსის შემთხვევაში, სადაც “opus mixtum”-ი, ანუ აგურისა და ქვის შერეული წყობაა დადასტურებული. ნაგებობაში გამოყენებული სამშენებლო მასალების განზომილებით მონაცემებს ასევე აქვთ გარკვეული მნიშვნელობა ძეგლის ქრონოლოგიისა და რელიგიურ-კულტურული წრისადმი კუთვნილების განსაზღვრის თვალსაზრისით. აქ ვიძლევიტ ძირითად ნაგებობაში გამოყენებული აგურების განაზომებს: სიგრძე – 35, 37, 38სმ; სიგანე – 23, 24, 25სმ (გამონაკლის შემთხვევაში – 20, 22სმ); სისქე – 4, 4,5სმ. არის კვადრატული აგურებიც (30×30×4სმ; 27×27×4სმ). დუღაბის სისქე აგურებს შორის 4-5 სმ-ია, იშვიათად – 5,5სმ.

აღნიშნება ნართექსის ნაწილის მოგვიანო ხანაში მშენებლობის შესახებ, მაგრამ, ძირითადად, მთელი კომპლექსი ერთ ქრონოლოგიურ მონაკვეთში თავსდება. ამაზე, სხვასთან ერთად, იატაკების მოწყობის წესის ერთგვარობაც მიუთითებს. იგი, ძირითადად, ორი შრით არის წარმოდგენილი; ზედა ფენაში (დუღაბში) დანაყილი კერამიკაა შერეული. გამთხრელთა ვარაუდით, ეკლესია შიგნიდან შებათქაშებული და მოხატული ყოფილა და საამისო ფრაგმენტებიც არის, არა in situ, თითქოს, ნაპოვნი. ამიერკავკასიის ამდროინდელ ტაძართა კედლებზე სხვაგან, რამდენადაც ვიცით, მოხატულობა იშვიათად შეინიშნება.

არქიტექტურული დეტალებიდან აღინიშნება კანკელის ქვის ფრაგმენტების შესახებ. იგი ადგილობრივი მუქი ქვიშაქვისაგან არის გამოთლილი; ორნამენტული მოტივებით თითქოს ბაძავენ პროკონესულ ორიგინალებს, მაგრამ მათი დეკორი ძალიან გამარტივებულია; ორნამენტის კვეთა დაბალია; გავრცელებულია ამოღარული, მოდელირების გარეშე, ხაზები. უხეშად ნაკეთები კაპიტელი საერთოდ მოკლებულია ორნამენტაციას. სხვა ამგვარ მასალასთან ერთად ნაპოვნია ამკარად პროკონესული წარმომავლო-

ბის ორი არქიტექტურული დეტალი, რომლებიც ასევე უჩვეულო სიმარტივით გამოირჩევა.

ამრიგად, ტაძარი ქრისტიანული კულტის განმასახიერებელ, ევქარისტული ლიტურგიის შესასრულებელ მრავალფუნქციურ ნაგებობას წარმოადგენდა. უკვე აღნიშნული სამარხი (№7) წარჩინებული პირისა სამხრეთის მინაშენში და სხვა სამარხების გაჩენაც ტაძართან, ავტორთა აზრით, ზრდიდა მის ფუნქციონალურ (ამ შემთხვევაში მემორიალურ) დატვირთვას. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ იგივე მინაშენის სტრატეგრაფიულად ქვედა ღონის სამარხი №14, თუ იგი მინაშენის დროინდელია, შეიძლება, სხვაგვარადაც განსაზღვრავდეს სამხრეთის მინაშენის ხასიათს.

სამარხები. ისინი გაფანტულად არის წარმოდგენილი; საერთო რაოდენობა 2 ათეულს აღემატება. აქედან 8 სამარხი აფსიდასთან გაითხარა. ყველა ისინი, თითქმის უკლებლივ, დასავლეთისკენაა ორიენტირებული. სამარხ აკლდამებში დაკრძალული 4 მიცვალებულიდან 2 შეიცავდა ინვენტარს. სამარხების (აკლდამების) ერთი ნაწილი აგურებით არის ამოშენებული. გვხვდება ქვისა და აგურის მონაცვლეობაც.

ინტერესს იწვევს სამარხი №7. იგი ქვითა და აგურითაა ნაშენი. სამარხის სიგრძე – 2,57 მ-ია, სიგანე – 0,86მ. სახურავად გამოყენებულია აგურები (ზომები: 34×25×3,5სმ; 33×25×3სმ; 32×25×3,5სმ; 32×25×4სმ; დუღაბის სისქე წყობებს შორის 2,5-3 სმ-ია). მიცვალებული ქალი ოქრომკერდიან სამოსში იყო დაკრძალული. სამოსელთან და სამარხის სხვა ნაწილში ოქროს ნივთები იყო გამოვლენილი (ბეჭედი, საყურეები, ოქრომკერდზე ოქროს სფერული 50 ნახევრადსფერული კლიტი და სხვ.). აღნიშნული სამარხები ტაძრის სინქრონულ ძეგლებად არის მიჩნეული.

დათარიღების საკითხი ძეგლთან დაკავშირებული ორი მონაცემის განხილვას გულისხმობს: პირველი არქიტექტურული მონაცემებია, მეორე კი – არქეოლოგიური მასალა. ჩვენ ძირითადად მეორე მონაცემზე გავამახვილებთ ყურადღებას. არქიტექტურული თვალსაზრისით ძეგლის ზუსტი დათარიღება სირთულეს წარმოადგენს. ამგვარი ერთნავეიანი ნახევრადწრიული აფსიდის მქონე ნაგებობები ფართოდაა გავრცელებული ანტიკურიდან ადრე

შუა საუკუნეებზე გარდამავალ ხანაში. აფხაზეთში ამგვარ პარალელად წიბილიუმის (წებელდის) ციხის №3 ეკლესიაა დასახელებული³⁴. ძირითად ანალოგიებად კი მიუთითებენ ჩრდილო შავიზღვისპირეთის, მცირე აზიის, საქართველოს, სომხეთის და სხვა რეგიონების ძეგლებზე³⁵. მაგრამ, ვფიქრობთ, გიენოსის ტადარი არ უნდა განიხილებოდეს როგორც ჯვრისებური გეგმარების ძეგლი, ამიტომ ამ თემის (ჯვრისებური გეგმარების) მხოლოდ კონსტანტინეპოლთან დაკავშირება ფორმალურია.

გიენოსის ტადრის გეგმარების ძირითად მახასიათებელს ნახევარწრიული აფსიდა წარმოადგენს. ამგვარი მარტივი, ნახევარწრიული აფსიდის გეგმარების მქონე ტადრები გენეზისით ანტიკურ (წარმართულ) არქიტექტურულ ძეგლებს უკავშირდება. მოგვიანებით ნახევარწრიული აფსიდები წახნაგოვნით იცვლება. აღინიშნება, რომ რეგიონის მთელ რიგ VI საუკუნის შუა ან მეორე ნახევრით დათარიღებულ ძეგლებს უკვე წახნაგოვანი აფსიდები ახასიათებთ.

გამოხრელები ტადრის დათარიღების დროს იყენებენ მშენებლობის ზოგიერთ თავისებურებას, განსაკუთრებული ყურადღება კი ეთმობა აგურისა და ქვის მონაცვლეობას წყობებში: კერძოდ, აგურის შემორჩენილ წყობებში (სარტყლებში?) აგურების რაოდენობისა და ფენებს შორის დუღაბის სისქის განზომილებით მონაცემებს. გამოხრელები იყენებენ ა. შნაიდერის, პ. ლემერლის და სხვათა თეორიას, აგრეთვე, სხვადასხვა ავტორთა (ი. ვენედიკოვი, ვ. ლექვინაძე, გ. ლორთქიფანიძე, ვ. ჯაფარიძე) აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძეგლების პრაქტიკული კვლევის შედეგებს და აღნიშნულ ტადარს უშუალოდ წინა იუსტინიანემდელი ხანით ათარიღებენ.

დათარიღებისთვის გამოიყენება სამარხთა ტიპებიც, მათი ხმელთაშუაზღვისპირეთის გვიანანტიკური სამაროვნების ანალოგიები. ეს ეხება აგურებით ნაშენ სამარხებს, ანალოგიები ცნობილია ადრექრისტიანული ტადრებიდანაც. საქართველოში ამგვარი

³⁴ **Л. Г. Хрушкова.** Три церкви в горной Абхазии (раскопки 1977-1979 гг.). – *Византийский временник*, 1982, т. 43, сур. 4.

³⁵ **Б. С. Кобахия, Л. Г. Хрушкова, С. М. Шамба.** Новая раннехристианская церковь., გვ. 137-138.

სამარხები დადასტურებულია ქ. მცხეთასა და მის შემოგარენში და მათი თარიღი აქ ზოგადად ახ.წ. III-IVსს., ზოგ შემთხვევაში კი, IIIს. ან IVს. პირველი ნახევრით არის განსაზღვრული³⁶.

გიენოსის სამარხებში, კერძოდ, №7 სამარხში, ნაპოვნი ინვენტარი ასევე ჰპოვებს ანალოგიებს ბიზანტიურ სამყაროში, აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოში, ისევე მცხეთის სამაროვნების ინვენტარში.

ეკლესიასთან დაკავშირებული არქეოლოგიური მასალები ასევე ზოგადად თარიღდება ახ.წ. V-VIIსს.-ით. ასეთად, პირველ რიგში, უნდა მივიჩნიოთ ე.წ. წელშეზნექილი ამფორები, რომელთა ანალოგიები მრავლად გვხვდება, როგორც საქართველოს ზღვისპირეთში, ასევე ჩრდილო და, აშკარად მცირე რაოდენობით, დასავლეთ შავიზღვისპირეთში. გიენოსის წელშეზნექილ ამფორებს ავტორები V-VIIსს.-ით განსაზღვრავენ. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში აღმოჩენილი ამგვარი ამფორების თარიღად ახ.წ. IV საუკუნესაც უთითებენ, ხოლო პიტიუნტის გათხრების დროს გამოვლენილი ამგვარი ამფორების, ადრეული ეგზემპლარები, II-III საუკუნეებითაა დათარიღებული³⁷. ადრეულ თარიღზე მიუთითებს გონიო-აფსაროსის გათხრების უკანასკნელი მონაცემებიც, სადაც II-III საუკუნეებით (?) დათარიღებული ამგვარი ამფორების გამოსაწვავი ქურაც დადასტურდა³⁸.

აღნიშნული ამფორების წარმოებასა და გავრცელებაში ადრებიზანტიური ხანისთვის ახალი აღმავლობა შეინიშნება. ნაწილობრივ იგი ბიზანტიის იმპერიის ლაზიკაში ახალი ექსპანსიის დროსაც ემთხვევა. ამიტომ, თუმც ამ ამფორათა ადგილობრივი წარმოება (მაგ. წებელდაში და სხვაგანაც) ეჭვს არ იწვევს, ამავე დროს, ვვარაუდობთ მათ იმპორტირებასაც. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება დაგვესახელებინა აღმ. შავიზღვისპირეთში ამ-

³⁶ გ. მანჯგალაძე. სამთავროს სამაროვნის გვიანანტიკური ხანის სამარხები, კატალოგი. – კრებ.: „მცხეთა“, VII. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. თბ., 1985, გვ. 105.

³⁷ ქ. ბერძენიშვილი, რ. ფუთურიძე. ბიჭვინტაში მოპოვებული ამფორები, კატალოგი. – დიდი პიტიუნტი, I. თბ., 1975, გვ. 272-273.

³⁸ მ. ხალვაში. კერამიკული ტარა გონიო-აფსაროსიდან. – გონიო-აფსაროსი, II. ბათუმი, 2002, გვ. 16-17.

გვარ ამფორათა ფართოდ გავრცელება სწორედ ბიზანტიური გარ-ნიზონების დისლოკაციის პუნქტებში. გონიო-აფსაროსის გათხრე-ბის ახალი მონაცემები ნათქვამის ილუსტრაციას წარმოადგენს. გიენოსში ნაპოვნი წელშეზნეილი ამფორებიც ამგვარ ამფორათა გავრცელების აღნიშნულ ახალ ეტაპს უნდა უკავშირდებოდეს.

სამწუხაროდ, არც ერთ პუბლიკაციაში არ არის სათანადოდ ილუსტრირებული მასობრივი მონაპოვარი, მათ შორის, წელშეზ-ნეილ ამფორათა პირ-ყელის ფრაგმენტები, რაც გააადვილებდა თა-რიდის საკითხზე მსჯელობას. ზოგადად კი, შეიძლება ითქვას, რომ უკვე გამოქვეყნებული მასალა³⁹ მართლაც უნდა უკავშირდებო-დეს აღმოსავლეთ და ჩრდილო შავიზღვისპირეთში დადასტურე-ბულ ამ ტიპის მოგვიანო ამფორებს. აქ, მაგ. ქერსონესში, ისინი მრავლად არის ნაპოვნი⁴⁰. როგორც ითქვა, შედარებით იშვიათად გვხვდება ამგვარი ამფორები დასავლეთ შავიზღვისპირეთში. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ქალაქ ვარნის (ბულგარეთი) მუზეუმ-ში დაცული მთელი ეგზემპლარი⁴¹, მაგრამ იქვე, ფონდებში არ შეგვხვდებოდა ამგვარი მასალის სხვა ფრაგმენტები; სხვა მონაცე-მებზე მითითებულია სათანადო ლიტერატურაში⁴². ინტერესს იწ-ვევს ევროპულ, ძირითადად კი ხმელთაშუაზღვისპირეთის მასალებ-ზე დაყრდნობით შემუშავებული კლასიფიკაცია კ. სკორპანისა⁴³.

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის მონაცემებიდან ყურადღებას იქცევს დრანდის ტაძრის, ნართეჟისის გადახურვის ნაწილში გა-

³⁹ **Б. С. Кобахия, Л. Г. Хрушкова, С. М. Шамба.** Новая раннехристианская церковь на городище Гюэнос..., გვ. 142, სურ. 20.

⁴⁰ **И. Антонова, В. Даниленко, Л. Ивашова, И. Кадеев, А. Романчук.** Средневековые амфоры Херсонеса. – *Античная древность и средние века*. VII. Свердловск, 1971, გვ. 83; **А. Якобсон.** Керамика и керамическое производство средневековой Таврики. Л., 1977, გვ. 12, სურ. 3,1.

⁴¹ **М. Минчев.** Амфори от IV-VI в. във Варненския музей. – *Известия на народния музей*, кн. VIII (XXIII). Варна, 1972, გვ. 273-279.

⁴² **Г. Кузманов.** Типология и хронология на ранневизантийские амфоры (IV-VI вв.). – *Археология*, I. София, 1973, გვ. 17.

⁴³ **C. Scorpan.** Ceramica romano-bizantina de la Sacidava. Pontika, VII, 1975, გვ. 268; **C. Scorpan.** Contribution à la connaissance de certains types ceramiques romano-byzantins (IV^e-VII^e siècles) dans l'Espace Istro-Pontique. Dacia, Nouv. ser., XXI, 1977, გვ. 279, 280, სურ. 20.

მოვლენილი წელშეზნეილი მთელი ამფორები; აქ ისინი, ძირითადად, ახ.წ. VIIს.-ით არის დათარიღებული⁴⁴. უკანასკნელ ხანებში ამგვარი ამფორები ნაპოვნი იყო სებასტოპოლისის (სოხუმის) ახალი არქეოლოგიური გათხრების შედეგად⁴⁵.

სხვა არქეოლოგიური მასალების, მაგ., მინის ჭურჭლების ფრაგმენტების, რომელთა ანალოგიებად პუბლიკაციის ავტორები აღმ. შავიზღვისპირეთის რიგი ძეგლების (ფიჭვნარი, ცანდრიპშის ბაზილიკა) მონაპოვარს ასახელებენ, თარიღი ზოგადად ახ.წ. IV-Vსს.-ით არის განსაზღვრული. აქ, რა თქმა უნდა, არ გამოირიცხება ახ.წ. VI საუკუნე და მომდევნო ხანაც (ახ.წ. VIIს.) კი. ასევე ზოგადად ახ.წ. V-VIIIსს.-ით თარიღდება ოქროს ფირფიტისაგან დამზადებული ე.წ. დასაკრავი ჯვარი.

ყველა ზემოთ აღნიშნული მონაცემის საფუძველზე გამოხრელები გიენოსში გამოვლენილ ახალ მნიშვნელოვან ძეგლს – ქრისტიანულ ტაძარს, იუსტინიანემდელი ხანით ათარიღებენ, რაც ზოგადად დამაჯერებელია, დაზუსტებები დეტალებში კი შესაძლებელია არქეოლოგიური მასალების შემდგომი დეტალური კვლევის შედეგად. ამასთან, თვით ტაძრის იატაკის, ისევე როგორც თავდაპირველი მშენებლობის დროინდელი, მასალების სიმცირეზე შეიძლება მიუთითებდეს ავტორთა მხრივ მათი აღუნიშვნელობა. ეს საკითხები დაზუსტდება ძეგლის სრული, დოკუმენტური ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ. ჩვენი დაკვირვებით, არ გამოირიცხება რიგი სამარხის (მაგ. №7) აღრეულობა და მათი სატაძრო კომპლექსის წინა პერიოდით დათარიღება.

აღნიშნულს გარდა, სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია ჩვენთვის საინტერესო პერიოდის სხვა მასალებზეც⁴⁶. ამ მასალების მიხედვით ჩანს, რომ ანტიკური ხანის სამოსახლოს ხანძრით განადგურების შემდეგ, უკვე ახ.წ. პირველ საუკუნეებ-

⁴⁴ **М. К. Хотелашвили, А. Якобсон.** Византийский храм в с. Дранда (Абхазия). – *Византийский временник*, 1984, т. 45, გვ. 196-197.

⁴⁵ ე.წ. თურქული ციხის ფარგლებში გამოვლენილი და გამოუქვეყნებელი მასალები სოხუმში გაგვაცნო ლ. ხრუშკოვამ და მ. გუნბამ. ისინი აქაც ახ.წ. V-VIIIსს.-ით დათარიღებულ ფენებს უკავშირდება.

⁴⁶ **Д. Д. Качарава.** Город Гиэнос в античную эпоху..., გვ. 53-54, სურ. 6.

ში, იგი კვლავ ფუნქციონირებს, თუმც ამ დროის მასალები შედარებით მცირე რაოდენობით არის გამოვლენილი. ი. ვორონოვი თვლის, რომ ამ დროის ოჩამჩირის ნასახლარი კვლავ განიცდის ახალ აღმავლობას, როცა აქ შეიძლება გაჩენილიყო რომაელების (?) შედარებით მცირე სანავსადგურო პუნქტი⁴⁷. აქ ამ სანასახლოს ხასიათის განსაზღვრა შენიშვნას იწვევს, მას მართო იმპორტული მასალა არ განსაზღვრავს. როგორც თვით დასახელებული ავტორი აღნიშნავს, ამ დროის იმპორტული მასალები საკმაოდ მრავალრიცხოვნად არის წარმოდგენილი, რომელთა შორის დასახელებულია ახ.წ. II-III სს. პირისკიდედალარული ამფორები. III-IV სს.-ით არის განსაზღვრული კონუსურიძირიანი ამფორების ფრაგმენტები; ესენი შეიძლება სამოსურები (სპეციალურ ლიტერატურაში დღეს მათ წარმოებას უფრო ღაზას სექტორს უკავშირებენ) იყვნენ, მაშინ თარიღი IV ს. II ნახევრით – V ს.-ით შეიძლება განისაზღვროს. ზოგადად ასევე უნდა თარიღდებოდეს მინის ჭურჭლების (მათ შორის ხალიანის) ფრაგმენტები, ასევე წითელლაკიანი ჯამები.

ნიშანდობლივია, რომ შედარებით მრავალრიცხოვანია ადგილობრივი მასალები. ახ.წ. I საუკუნეებისთვის ასეთად მითითებულია წელთაღრიცხვათა მიჯნის ადგილობრივი დოქი⁴⁸, ვფიქრობთ, სამეცნიერო ლიტერატურაში მაინც ნაკლები ყურადღება ექცევა ახ. წელთაღრიცხვის II ს. ადგილობრივი კერამიკის ფრაგმენტირებულ მასალებს. ასეთი კი, იმპორტული და ადგილობრივი მთელი ჭურჭლების გარდა, რომ იქნებოდა, ეჭვს არ იწვევს. მთელი და ფრაგმენტული მასალებიდან უნდა აღინიშნოს ე.წ. წებელღური დოქების შესახებ. რამდენიმე მთელს გარდა, მოზრდილი ნატეხი უნდა მიუთითებდეს მათ სამარხებთან შესაძლო

⁴⁷ **Ю. Н. Воронов.** Гиенос. – *Советская археология*, №4, 1976, გვ. 53.

⁴⁸ **Ю. Н. Воронов.** Гиенос, გვ. 53, სურ. 6, 19. აქ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე შემჩნეული გარემოება, რომ 30-იანი წლების გიენოსის არქეოლოგიური კამპანიის დროს მოპოვებული მასალების გადარჩევის დროს უპირატესობა ეძლეოდა იმპორტულ მასალებს. ამიტომ მასალის პროცენტულ თანაფარდობაზე მსჯელობა და მით ძეგლის ხასიათის განსაზღვრა მისი ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე საფუძველს მოკლებულია.

კავშირზე. ასევე სამარხეულად მიგვაჩნია ე.წ. მსხლისებურტანიანი დოქი და, შესაძლოა, მისი მსგავსი სხვა ფრაგმენტები, უპირატესად პირ-ყელისა⁴⁹.

ამ მასალის მიხედვით ახ.წ. დასაწყისის, უფრო კი IV-VI სს. გიენოსს მჭიდრო კონტაქტები აქვს, როგორც წებელდური კულტურის გავრცელების რეგიონთან, ასევე ზოგადად დასავლეთ საქართველოსთან, რადგან აღნიშნული მსხლისებურტანიანი დოქები აქ, ისევე როგორც მთელ საქართველოში, ფართოდ არის გავრცელებული⁵⁰. ასეთი კონტაქტების გათვალისწინებით საფუძვლიანი ჩანს მოსაზრება, რომელიც ადრე გამოთქმული იყო სებასტოპოლისისა და პიტიუნტის მასალების შესწავლის საფუძველზე, კერძოდ, ზღვისპირის სამოსახლოების აღორძინება ა.წ. IV-V სს.-ში თან ხვდება ეგრისის (ლაზიკის) ახალი სამეფოს აღმავლობას⁵¹. იგი ასევე ამსახველია დემოგრაფიული სიტუაციის ცვლილებისა.

დასასრულს, შევეხებით ოჩამჩირე-გიენოსის და მისი რეგიონის დემოგრაფიული სიტუაციის ცვლილების საკითხს ეტაპობრივი მონაცემების მიხედვით. უკვე აღნიშნული იყო, რომ პირველი დასახლება შემოგარენში უკვე ქვის ხანიდან ივარაუდება, შემდეგ აღინიშნება ბრინჯაოს ნივთების და განძების შემთხვევითი მონაპოვრების შესახებ (იხ. შენ. 4).

უშუალოდ ზღვისპირის ზემოთ განხილული დასახლების ფარგლებს უკავშირდება (დადასტურებულია თვით ბორცვების ქვედა ფენის სახით) ოჩამჩირის, ლიტერატურაში ფართოდ ცნობილი, ენეოლითური (ადრეული ნომენკლატურით, ნეოლით-ენეოლითური) ხანის ნამოსახლარი⁵².

ინტერესს იწვევს ქ. ოჩამჩირის და ზღვისპირეთის სხვა ძეგ-

⁴⁹ **Ю. Н. Воронов.** Гиенос, გვ. 53.

⁵⁰ **გ. ჯაფარიძე.** ვარდციხის ნაქალაქარი. ეგრისის ქალაქების არქეოლოგიური შესწავლისათვის. თბ., 1989, გვ. 75-80, ტაბ. XV, 2,3.

⁵¹ **А. М. Апакидзе, О. Д. Лордкипанидзе.** Новые материалы к археологии Диоскурии-Сébastополиса. – *Труды Абхазского института языка, литературы и истории им. Д. И. Гулия*, XXXIII-XXXIV. Сухуми, 1963, გვ. 222.

⁵² **Л. Н. Соловьев.** Следы древнего соляного промысла близ г. Сухуми и г. Очамчира. Труды Абхазского Государственного музея, вып. I. Сухуми, 1947; **Б. А. Куфтин.** Материалы..., გვ. 266-269.

ლები ე.წ. ქსოვილის ანაბეჭდიანი კერამიკით, რომელიც სპეციფიკურ მასალას (თიხის აბაზანისებურ ჭურჭლებს, სადგრებს, სასრეს ქვებს) შეიცავს⁵³. ამ ნასახლარების შემდგომი განვითარების (იგულისხმება გარკვეული წყვეტილიც) შედეგს წარმოადგენს მდ. მოქვისწყლის გასწვრივ და მიმდებარე მონაკვეთზე, შედარებით ფართოდ წარმოდგენილი მომდევნო ხანის დასახლებანი, რომელთა ნაშთები ოჩამჩირეში მდ. ჯიკუმურის ნაპირთან და ზღვის გასწვრივ, ძირითადად ბორცვებზე შეისწავლებოდა არქეოლოგიურად. მკვლევართა ამგვარ მოსაზრებას ზოგადად ჩვენც ვიზიარებთ, ამასთან, ვფიქრობთ, ისტორიული ტობოგრაფიის შესწავლის თვალსაზრისით გიენოს-ოჩამჩირეს მომავალში მნიშვნელოვანი პერსპექტივა გააჩნია. გიენოსის (ოჩამჩირის) ეს სამოსახლო, მისი ფარგლები არ განისაზღვრება სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული საბიბორცვით. დასაზუსტებელია ამ ბორცვების ქრონოლოგიური დიფერენციაციის საკითხი. კულტურული ფენები და სამოსახლო გავრცელებულია თხრილისა და მიმდებარე ვაკე მონაკვეთში. ამასთან, ლიტერატურაში აღინიშნება სხვა ბორცვოვანი შემადლებების თუ მე-4 ბორცვის შესახებ, რაც გვაფიქრებინებს, რომ ოჩამჩირის ანტიკური ნასახლარის სახით საქმე შეიძლება გვექონდეს ბოლო ხანებში აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ფიჩორის (ოჩამჩირის რ-ნი) ნასახლარზე გათხრილი ძეგლების – ჯგუფურად განლაგებული ბორცვების ანალოგიურ დასახლებასთან. ამდენად, იგი ტიპოლოგიურად მსგავსია ისტორიულ კოლხეთში დადასტურებული ძველი ნასახლარებისა.

შესაძლოა, ცენტრალურ სამოსახლოს ძველი დროიდან (ძვ.წ. VI-Vსს.) დასავლეთის ბორცვი წარმოადგენდა. ამასთან, ზოგ სხვა ბორცვზე სათანადო ეპოქის მასალების დაუდასტურებლობა შემთხვევითი გარემოებითაც შეიძლება აიხსნას, რადგან სხვა მონაცემებით თხრილების სისტემა ამ დროს უკვე ფუნქციონირებს; შესაბამისად, იგივე ხანით შეიძლება განისაზღვროს სხვა ბორცვების მოზენვა. სამოსახლო თავისი არსებობის საწყის ეტაპზე-

⁵³ **Л. Н. Соловьев.** Селища с текстильной керамикой на побережье Западной Грузии. – *Советская археология*, XIV, 1950, გვ. 266, 274 და შემდეგ; **Б. А. Куфтин.** Материалы..., გვ. 274-295.

ვე მჭიდრო კონტაქტშია გარესამყაროსთან. ახალი მონაცემებით, ადრეული იმპორტის თარიღი ძვ.წ. VI საუკუნის ადრეული ეტაპით არის განსაზღვრული⁵⁴.

სავესებით სამართლიანად აღინიშნება სამეცნიერო ლიტერატურაში, რომ დასახლების ტიპი ოჩამჩირე-გიენოსში ტიპიურ კოლხურ სამოსახლოს წარმოადგენს⁵⁵. ამასთან, მონაპოვარ მასალაში აშკარად დომინირებს კოლხური მასალები, პირველ რიგში კი – კერამიკა⁵⁶. გამახვილებულია ყურადღება სამოსახლოს მოწყობის წესის გენეტიკურ კავშირზე ოჩამჩირეშივე დადასტურებულ უფრო ძველი ნასახლარების მონაცემებთან⁵⁷. შესაბამის ლიტერატურაში განხილულია ადრეანტიკურ-ელნისტური ხანის ოჩამჩირის ნასახლარის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების საკითხი⁵⁸, ამდენად ჩვენ მასზე აქ არ შევჩერდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ანტიკური ხანის ნასახლარის დაქვეითება თუ განადგურება ქრონოლოგიურად მართლაც ემთხვევა მითრიდატული ომების ეპოქას; ამ დროსვე უკავშირდება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ქალაქების საერთო დაქვეითება. იგი, ცხადია, ეკონომიკური ფაქტორებითაც იყო განპირობებული.

ახ.წ. პირველი საუკუნეები აღმ. შავიზღვისპირეთში, ძირითადად, რომაელთა პოლიტიკური აქტივობის შედეგად წარმოშობილი ციხე-სიმაგრეებით (კასტელებით) არის წარმოდგენილი. აქ, ოჩამჩირეში, ბორცვებზე და მის მიმდებარე მონაკვეთში ამ დროის სამოსახლო, საფიქრებელია, შემცირებულია. ამასთან, მნიშვე-

⁵⁴ **С. М. Шамба.** Политическое, социально-экономическое и.., გვ. 17, შდრ. **Д. Д. Качарава, Г. Т. Квирквелия.** Города и поселения Причерноморья античной эпохи. Тб., 1991, გვ. 77.

⁵⁵ **О. Д. Лордкипанидзе.** Древняя Колхида. Тб., 1979, გვ. 132; **დ. კაჭარავა.** ოჩამჩირის ანტიკური ხანის ნაქალაქარის.., გვ. 754.

⁵⁶ **Б. А. Куфтин.** Материалы.., გვ. 273.

⁵⁷ **Г. Т. Квирквелия.** Очамчире и его окружение в VIII-V вв. до н. э. – В сб.: *Демографическая ситуация в Причерноморье в период Великой греческой колонизации.* Материалы II Всесоюзного симпозиума по древней истории Причерноморья. Тб., 1981, გვ. 342.

⁵⁸ **Б. მათიაშვილი.** ძვ.წ. III-I სს. კოლხეთის ქალაქების ეკონომიკური ისტორიიდან. თბ., 1977, გვ. 79-84; **Д. Д. Качарава.** Город Гиэнос в античную эпоху.., გვ. 15, 24; **С. М. Шамба.** Гюэнос – I, გვ. 29.

ნელოვანია ის, რომ დადასტურებულია ახ.წ. პირველი საუკუნეების იმპორტული ნაწარმი, რომლის შესახებ ზემოთ უკვე იყო აღნიშნული. არც წერილობითი წყაროებით, არც არქეოლოგიური მონაცემებით გიენოსის ახ.წ. პირველი და მომდევნო (ახ.წ. IV-VIII სს.) ხანის ნასახლარზე რომაულ-ბიზანტიური სასიმაგრო ნაგებობის ნაშთები დადასტურებული არ არის. მით უფრო დიდ ინტერესს იწვევს რომაული ხანის ადრეული იმპორტი და ადგილობრივი მასალები, რომლებიც ადრეული გათხრების დროს სათანადოდ არ იყო აღრიცხული და ფიქსირებული; ხომ არ შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ერთი ადგილობრივი ღოქი⁵⁹. ინტერესს იწვევს იმპორტი (ხალიანი მინა, სამოსური ამფორა და სხვ.), რომელიც ასევე კონკრეტულად მიუთითებს ახ.წ. IV-V საუკუნეებზე. თუ დროის აღნიშნულ მონაკვეთს დაუკავშირებთ განხილული ტაძრის ფუნქციონირების დროს, შეიძლება დავასკვნათ, რომ ახ.წ. IV-VI სს.-ში გიენოსი ასევე მნიშვნელოვან და, შესაძლოა, გაგრძელებულ სამოსახლოს წარმოადგენდა. მასალების მიხედვით, იგი კონტაქტშია ადგილობრივ, დასავლურქართულ სამყაროსთან. სამოსახლოს მნიშვნელობაზე, გარდა ქრისტიანული ტაძრისა, რაც თავისთავად მნიშვნელოვან მრევლს გულისხმობს, სხვა გაუთხრელი, არასასიმაგრო ნაგებობებიც მიუთითებს, ხოლო კალორიფერის აგურების მიხედვით აქ აბანოს ფუნქციონირებაც შეიძლება ვივარაუდოთ.

ახ.წ. პირველი საუკუნეების და განსაკუთრებით მომდევნო ხანის გიენოსი რომ მნიშვნელოვან და შედარებით ვრცელ სამოსახლოს წარმოადგენდა, ამაზე მიუთითებს ბორცვის გარეთ არსებული რიყის ქვის კედელიც (თუ კედლის საძირკვლის ნაწილი), რომელიც წრიულად შემოსაზღვრავს მას, რატომღაც იგი გვიანი შუა საუკუნეებით არის დათარიღებული⁶⁰. მაშინ როცა საამისო დამათარიღებელი მონაცემები მოტანილი არ არის. არც სინქრონულ დასახელებათა ნაშთების შესახებ აღინიშნება ბორცვების ირგვლივ არსებულ თხრილებთან მიმართებაში და მათგან გარეთ, ვაკე მონაკვეთში. ამავე დროს, ეს მონაცემი ანალოგიუ-

⁵⁹ Ю. Н. Воронов. Гиэнос..., სურ. 6. 19.

⁶⁰ Ю. Н. Воронов. Гиэнос..., სურ. 1. 11.

რია ცენტრალურ კოლხეთში, მაგ., პატრიკეთის ბორცვზე, დადასტურებული ვითარებისა. აქაც ცხოვრების ახალ ეტაპზე, ახ.წ. I ათასწლეულში, ბორცვის ირგვლივ არსებულ მიწაზვინულზე რიყის ქვის თავდაცვითი ზღუდეა აშენებული. ჩანს, კოლხეთში სამოსახლო (და სასიმაგრო) ბორცვების გამოყენების ტრადიცია ზოგან მომდევნო ხანაშიც გრძელდება.

ასევე მნიშვნელოვან და ფართო სამოსახლოს წარმოადგენს ოჩამჩირის ნამოსახლარი ზოგადად განვითარებული შუა საუკუნეებით დათარიღებული მასალების მიხედვით. აქ თარიღის დაკონკრეტება შესაძლებელია შედარებით მრავალრიცხოვანი მოჭიქული კერამიკის შესწავლის საფუძველზე⁶¹. დოკუმენტური მონაცემების გათვალისწინებით, ამ დროის სამოსახლოს უკავშირდება კერამიკული ქურები⁶². და, შესაძლოა, წყალსადენის მიღები. დაფიქსირებულია კულტურული ფენების ფართოდ (1 კმ-ის სიგრძეზე) გავრცელება, რაც ასევე მნიშვნელოვანი სამოსახლოს არსებობაზე მიუთითებს.

საქალაქო ცხოვრების ჩასახვის პრობლემასთან დაკავშირებით ინტერესს იწვევს ოჩამჩირის ნასახლარზე ბოლო გათხრებით გამოვლენილი ადრეული (ძვ.წ. VI ს.) იმპორტის (ღია ფერის ანგობით დაფარული ქიოსური ამფორები, იონური კერამიკა) გამოვლენა⁶³. ამასთან საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ მკვლევარი მ. ინაძე ადრევე, სხვა მონაცემების საფუძველზე, აღნიშნავდა დიოსკურიისა და გიენოსის, როგორც ბერძნული ახალშენების დაარსების შესახებ უკვე ძვ.წ. VI ს. შუა ხანიდან⁶⁴.

ჩვენი ეს ნაკვლევი გიენოსზე ძირითადად ახ.წ. პირველი სა-

⁶¹ უკვე აღინიშნა სათანადო ფენისა და მოჭიქული კერამიკის შესახებ არსებული მ. ივაშიჩენკოს გამოუქვეყნებელი ნაშრომის შესახებ. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ეს მასალა ნაკლებ მსგავსებას ამუღანებს ბიზანტიურ კერამიკასთან და უფრო ამიერკავკასიურ (ქართულ) მასალებს ეხმაურება.

⁶² **Б. А. Куфтин.** Материалы..., გვ. 273-274.

⁶³ **С. М. Шамба.** Политическое, социально-экономическое и..., გვ. 16-17.

⁶⁴ **მ. ინაძე.** ანტიკური ხანის ჩრდილოეთ კოლხეთის ქალაქების განვითარების ხასიათის საკითხისათვის. – *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, ტ. XXIII, №6, 1959, გვ. 769.

უკუნეებისა და ადრეიზანტიური ხანის ძეგლებს შეეხო. მასალების ერთგვარი სიმცირის მიუხედავად, ეს ეპოქაც, ისევე როგორც გიენოსის ადრეული ცხოვრების ეტაპები, ახალი გათხრების საფუძველზე კვლავ იქნება შესწავლის საგანი⁶⁵.

⁶⁵ რეზიუმეს სახით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ისევე როგორც ფაზისის „ქვეყანაში“, აქაც (ოჩამჩირის „ქვეყანაში“) გვიანი ბრინჯაო – ადრე რკინის ხანის დასახლებების კონცენტრაციას (ანუ მნიშვნელოვან დემოგრაფიულ აღმავლობას), სხვა გარემოებებთან ერთად, მნიშვნელოვნად განაპირობებდა საზოგადოების სამეურნეო საქმიანობა (მათ შორის ბრინჯაოს მეტალურგიის ბაზაზე განვითარებული რკინის მეტალურგია). ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობდა ოჩამჩირის რეგიონში (და სხვაგანაც) ქალაქური დასახლებების წარმოქმნას. უკვე ამ ადრეული ხანიდან მასტიმულირებელ გარემოებას წარმოადგენდა ზღვა და კონტაქტები მისი მეშვეობით. ამიტომ შავიზღვისპირეთის ე.წ. ბერძნული კოლონიზაციის ეტაპი მხოლოდ ერთი დამატებითი, მასტიმულირებელი გარემოებაა კოლხეთის ზღვისპირეთის ქალაქური დასახლებების განვითარებაში.

**О ДЕМОГРАФИЧЕСКОЙ СИТУАЦИИ АНТИЧНЫХ
ГОРОДОВ СЕВЕРО-ЗАПАДНОЙ КОЛХИДЫ.
*ОЧАМЧИРА-ГИЭНОС***

Следы эллинского города Гиэноса античных авторов были обнаружены в районе г. Очамчире в результате проведённых здесь археологических раскопок в 1935-1936 и 1977, 1981, 1983, 1985 годах. Остатки античного и последующего времени поселений в основном были выявлены на трех искусственных холмах побережья, а также за пределами окружающих их рвов.

В результате новых раскопок уточнена хронология античного и ранневизантийского городища. Датирующим материалом для нижнего слоя являются фрагменты ранних типов хиосских амфор и ионнийской керамики (середина и II пол. VIв. до н.э.). Широко представлены и материалы, как импортные, так и местные, последующего времени. После определенного перерыва (с конца эллинистического времени) жизнь на холмах возрождается: IV-VIвв. н.э. можно датировать остатки выявленных здесь и до конца не раскопанных строений, в том числе водопровода. Основным же памятником является христианский храм и связанные с ним, в том числе и хронологически, погребения. Комплекс этот датируется VIв., конкретнее доюстинианевским временем.

С целью определения генезиса и характера демографической ситуации поселений вызывает большой интерес выявленные здесь же, у побережья, остатки раннебронзовой и первой половины I тысячелетия до н.э. поселений. Следы последних встречается по всему побережью и, видимо, связаны с добычей магнетитного железа. Можно допустить, что демографический подъем этих поселений местами, в нашем случае, у г. Очамчире, создавал условия для возникновения поселений городского типа. Процесс этот совпадает с началом греческого колониационного движения, на что указывают соответствующие материалы нижних слоев памятника.

VAKHTANG DJAPARIDZE

ABOUT THE DEMOGRAPHIC SITUATION IN THE ANTIQUÉ CITIES OF THE NORTH-WESTERN COLCHIS. *OCHAMCHIRE-GYENOS*

The traces of the Hellenic city of Gyenos of the antique authors were found near Ochamchire during the archaeological excavations in 1935-1936, 1977, 1981, 1983 and 1985. The remains of the settlements of antique and later times generally were found at the three artificial hills at the seashore and outside the boundaries of ditches, which surround them.

The results of the later excavations defined more precisely the chronology of the antique and early Byzantine settlements. The dating material for the lower layer are the fragments of the earlier types of Chios amphorae and Ionic ceramics (middle and the second half of the 6th century B.C.). There is a wide range of the later materials, both local and imported.

After some break (from the Hellenistic times) the life at the hills regenerates: the remains of the buildings (including the water-pipe), which are not excavated completely, can be dated by the 4-6th centuries. The Christian temple with connected to it interments (chronologically too) are the main monuments of the site. The complex is dated as belonging to the 6th century, more specifically to the pre-Justinian times.

The remains of the settlements, belonging to the Early Bronze Age and the first half of the 1st Millenia, which are found at the seashore, cause the great interest in the case of determining the genesis and character of the demographic situation. The signs of those settlements can be found along the whole seashore and evidently they are connected with the extraction of the iron-ore. It can be assumed that the demographic development of those places near Ochamchire created conditions for the origin of the city-type settlements. This process coincides with the beginning of the Greek colonization. This is proved by the corresponding materials from the lower layers of the memorial.

ირმა ბერკენიშვილი

ადრეპრისტიანული ხანის ბიჭვინთა და მისი „ქვეყანა“

აფხაზეთი, ისე როგორც მთლიანად დასავლეთი საქართველო, როგორც ანტიკურ, ისე ადრებიზანტიურ ხანაში განიცდიდა რომისა და, შემდეგ, ბიზანტიის პოლიტიკურ და კულტურულ გავლენას. ყოველივე ამან, თავისი ასახვა ჰპოვა, როგორც ქვეყნის ეკონომიკაზე, ისე კულტურულ სფეროში, ხელოვნებასა და ხუროთმოძღვრებაში.

აფხაზეთი ძველთაგანვე ცნობილი იყო, როგორც პირველი ქრისტიანების გადასახლების ადგილი საეკლესიო ტრადიციით კი აქ სამისიონერო მოღვაწეობას ეწოდნენ ანდრია პირველწოდებული და სიმონ კანანელი. უძველესი ეკლესიები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, უპირველეს ყოვლისა, ზღვის სანაპიროზე არსებულ გამაგრებულ პუნქტებში ჩნდება. ეს პუნქტები რომაულ-ბიზანტიური პოლიტიკის საყრდენს წარმოადგენდა ამ რეგიონში. ქრისტიანობის გავრცელების საქმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აქ რომაული გარნიზონების არსებობამ, რომელთა მიზანს, ერთი მხრივ, ადგილობრივი მოსახლეობის მორჩილებაში ყოლა და, მეორეს მხრივ, ჩრდილოეთიდან მოძალბებული მომთაბარე ტომების შემოსევებისაგან იმპერიის საზღვრების დაცვა წარმოადგენდა. ამასთან, ცნობილია, რომ ბიჭვინთასა და სებასტოპოლისში ჩაყენებული გარნიზონები უმეტესად მცირეაზიელებით იყო დაკომპლექტებული. მცირე აზია კი ის რეგიონია, სადაც თავდაპირველად გავრცელდა ქრისტიანული იდეები და, უნდა ვიფიქროთ, რომ აქ მყოფ ჯარისკაცთაგან ბევრი იქნებოდა ამ იდეებს ნაზიარები. სწორედ ისინი უნდა ყოფილიყვნენ იმპულსების მიმცემნი ადგილობრივი მოსახლეობისთვის ახალი ქრისტიანული

მსოფლმხედველობისა და იდეებისა. გარდა ამისა, აფხაზეთი, როგორც ცნობილია, რომის იმპერიისაგან ღვენილი პირველი ქრისტიანების გადასახლების ადგილს წარმოადგენდა, რაც აგრეთვე ხელისშემწყობი ფაქტორი უნდა ყოფილიყო აქ ახალი მრწამსის გავრცელება-დამკვიდრების საქმეში.

წერილობითი წყაროების მიხედვით (ნიკეის პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების მონაწილეთა სია) IVს.-ში ბიჭვინთაში უკვე არსებობდა ორგანიზაციულად გაფორმებული ადრექრისტიანული თემი, რაც არქეოლოგიური აღმოჩენებითაც დადასტურდა. IV-VIსს.-ში ბიჭვინთასა და მის მიდამოებში 9 ქრისტიანული ტაძარი შენდება. VIს.-დან კი აქტიურად იშლება საეკლესიო მშენებლობა მთელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, როგორც ზღვისპირა ზოლში (ცანდრიფში, ვაგრა, ანაკოფია, მიუსერა, სოხუმი, ოჩამჩირე, გუდავა), ასევე აფხაზეთის მთისწინა და მთიან რეგიონებში (ხაშუფსე, ლიხნი, დრანდა, ჯგერდა, წებელდა).

ბიჭვინთა უაღრესად რთულ და საინტერესო ძეგლთა კომპლექსს წარმოადგენს. დასახლებათა ეს სისტემა ქალაქის ზღუდის გარეთაც ფართოდ ვრცელდება, რაც, რა თქმა უნდა, ქალაქის ეკონომიკურ „ქვეყანაში“ მოსახლეობის გარკვეულ კონცენტრაციას გულისხმობს. სწორედ ამაზე მეტყველებს მრავალწლიანი არქეოლოგიური გათხრების შედეგად ბიჭვინთის კონცხზე გამოვლენილი ტაძრების სიმრავლე, რაც იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ სამწყსოს ძირითად კონტიგენტს აქ რომაელ ჯარისკაცებთან და მათი ოჯახის წევრებთან ერთად ადგილობრივი მოსახლეობაც შეადგენდა. უშუალოდ გალავნის შიგნით, ე.წ. III უბანზე, რომელიც ბიჭვინთის ნაქალაქარის ციტადელის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს, 4 სხვადასხვა დროის ეკლესიის ნანგრევებია დადასტურებული, რომლებიც ერთიმეორეზე დაშენებული. ბიჭვინთის ამ ადრექრისტიანულ ტაძრებთან დაკავშირებით მრავალრიცხოვანი ლიტერატურა არსებობს, სადაც ეს ძეგლები, მათ შორის მოზაიკა, სხვადასხვაგვარადაა დათარიღებული, მაგრამ ძირითადი ქრონოლოგიური ჩარჩოები IV-VIსს.-ებით არის განსაზღვრული.

ნაქალაქარის ე.წ. ეკლესიების უბნის, III ნაკვეთის, სტრა-

ტიგრაფიულ სურათში გარკვეული სიცხადე შეიტანა 1970-73 წლების საველე სამუშაოებმა, დადასტურდა ურთიერთმონაცვლე 5 სამშენებლო ღონე¹. ბიჭვინთის უძველესი ეკლესია (ქვემოდან II სამშენებლო ღონე) წარმოადგენს დარბაზულ ნაგებობას, ნახევარწრიული აფსიდით შენობის მთელ სიგანეზე. ნაგებობის ზომებია: 25X10მ, კედლის სისქე 0,8მ. ეკლესიის აფსიდაში აღმორჩნდა ადრექრისტიანული სიმბოლოებით შემკული მინის ჭურჭლის ფრაგმენტები, რომელიც ნ. უგრელიძის მიერ საგანგებოდ იქნა შესწავლილი და IVს. პირველი ნახევრით განსაზღვრული². ი. ციციშვილის მიერ ეს ბაზილიკა IVს. დასაწყისით თარიღდება³. ძეგლის უახლოეს ანალოგს ნოქალაქევეში გამოვლენილი უძველესი ეკლესია წარმოადგენს – დარბაზული ნაგებობა ნახევარწრიული აფსიდით, რომელიც IVს. I ნახევრით თარიღდება⁴. რ. რამიშვილის აზრით, ბიჭვინთის უძველესი ეკლესია სტრატეგრაფიული მონაცემებით და არქეოლოგიური მასალებით შეიძლება დათარიღდეს IIIს. 70-80-იანი წლებით და ნასტაკისის IIIს. II ნახევრით დათარიღებულ დარბაზულ ეკლესიასთან ერთად უნდა ჩაითვალოს უძველეს ქრისტიანულ ნაგებობად საქართველოს ტერიტორიაზე⁵.

III-IVსს.-ში ბიჭვინთა მძლავრ აღმავლობას განიცდის, თუმცა IVს. 70-იან წლებში ჰუნების დამარბეველმა ლაშქრობამ დიდი დარტყმა მიაყენა მას, რაც კარგად დასტურდება არქეოლოგიური მონაცემებით, გლიპტიკური ძეგლების და ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. ბიჭვინთის სამაროვანზე III-IVსს. 26 ბეჭედი აღმოჩენილი, IVს. 70-იანი წლებიდან მოყოლებული Vს. ჩათ-

¹ ა. აფაქიძე. ბიჭვინთა 1972 (ბიჭვინთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1972 წლის საველე-გათხრითი სამუშაოების ანგარიში). – დიდი პიტიუნტი, ტ. II. თბ., 1977, გვ. 39-63.

² ნ. უგრელიძე. პალეოქრისტიანული სიმბოლოებით შემკული მინის სასმისები ბიჭვინთის ნაქალაქარიდან. – მაცნე, ისტორიის... სერია, №3, 1983, გვ. 105-106.

³ ი. ციციშვილი. ბიჭვინთის საკულტო ნაგებობათა კომპლექსი. – დიდი პიტიუნტი, ტ. II. თბ., 1977, გვ. 100.

⁴ პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე. ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი. – ხუროთმოძღვრება. თბ., 1991, გვ. 166-167, 261.

⁵ რ. რამიშვილი. ბიჭვინთის უძველესი ეკლესიები. – ქრისტიანული არქეოლოგიის III სამეცნიერო კონფერენცია. თბ., 1999, გვ. 4.

ვლით საბეჭდავი ბეჭდები არ მოგვეპოვება, VI ს. მხოლოდ ერთი ფარაკიანი ბეჭედი ცნობილი იუსტინიანე I-ის გამოსახულებით⁶. IV საუკუნე ბიჭვინთაში ნუმიზმატიკური მასალის უჩვეულო სიუხვით (500-ზე მეტი მონეტა) გამოირჩევა, რომელთა უმრავლესობა (104) ანტიოქიაშია მოჭრილი, რაც კარგად ადასტურებს მჭიდრო ეკონომიკურ კავშირს ორ ადრექრისტიანულ ცენტრს – ანტიოქიასა და ბიჭვინთას – შორის. თითქმის თანაბარი რაოდენობითაა წარმოდგენილი მცირე აზიის ქალაქების: ნიკომედიის (48), ქიზიკისა (44) და კონსტანტინოპოლის (40) საფასეები; საინტერესოა, რომ IV ს. მონეტებიდან არც ერთი ცალი არაა მოჭრილი საკუთრივ რომის ზარაფხანაში⁷.

IV ს. დამდეგისთვის, როგორც ცნობილია, მთელი აღმოსავლეთის ეკლესიების ცენტრი ანტიოქია იყო. მისი სულიერი გავლენა ვრცელდებოდა არა მარტო მცირე აზიაზე, პონტოსა და აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილზე, არამედ სპარსეთზე, სომხეთსა და საქართველოზე⁸. სწორედ ამ უჩვეულო აღმავლობის პერიოდში იგება მოზაიკურიატაკიანი ბაზილიკა (ქვემოდან III სამშენებლო დონე). იგი უძველეს ბაზილიკაზეა დაშენებული და წარმოადგენს დიდ სამნავიან ნაგებობას ხუთწახნაგოვანი რამდენადმე ასიმეტრიული აფსიდით და ნართექსით, სადაც სანათლავია გამართული, მარმარილოს სვეტებით და მდიდარი მორთულობით, მოზაიკური იატაკით, რომელიც ყველაზე უკეთ ტაძრის აღმოსავლეთ ნაწილში და ნართექსში შემოინახა. ბაზილიკის ზომებია: 28,03X13,2მ. ბიჭვინთის ტაძრის მოზაიკური იატაკი და საკუთოხვეველში დაცული ორი ბერძნული წარწერა ადრექრისტია-

⁶ მ. მშვილდაძე. რომაული ხანის ბიჭვინთის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები. კულტურულ-ისტორიული ნარკვევი. დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (ხელნაწერის უფლებით). თბ., 1994, გვ. 106-107.

⁷ გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი ბიჭვინთაში ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით ძვ.წ. II – ახ.წ. IV სს. – დიდი პიტიუნტი, ტ. I. თბ., 1975, გვ. 375-413.

⁸ მ. მშვილდაძე. რომი და აღმოსავლური რელიგიები ახ. წ. I-III სს. დისერტაცია ისტ. მეცნ. დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 2003, გვ. 193.

ნული აფხაზეთის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ძეგლს წარმოადგენს. პირველად ამ მოზაიკას იხსენიებს 1915 წელს ა. ზოტოვი. ბიჭვინთის მოზაიკასთან დაკავშირებით მრავალრიცხოვანი ლიტერატურა არსებობს, სადაც ეს ძეგლები, სხვადასხვაგვარად, IV-VI სს.-ით არის დათარიღებული. ჩვენის აზრით, გასაზიარებელია მოზაიკისა და წარწერის ლ. მაცულევიჩის მიერ შემოთავაზებული თარიღი – IV ს. დასაწყისი⁹. ეს ბაზილიკაც, სავარაუდოდ, IV ს. პირველ მეოთხედშია აგებული და იგი სტრატოგოფილე ბიჭვინთელის რეზიდენციას წარმოადგენდა¹⁰.

IV ს. შუა ხანებში ბიჭვინთამ დიდი ნგრევა განიცადა, პირველი მოზაიკურიატაკიანი ბაზილიკა მთლიანად დანგრეულია, მაგრამ იმავე IV ს.-ში ტაძარი კვლავ აღუდგენიათ: იცვლება აფსიდის ფორმა, იქმნება ხუთწახნაგოვანი შვერილი აფსიდა, მცირდება ტაძრის ნართექსი, მარმარილოს სვეტებს ცვლიან ბურჯები აგურის შრეების დატანებით. შენობის ზომებია: 28,4X14,6მ, კედლის სისქე 0,90-1,10მ. კედლები შემორჩენილია 2 მეტრის სიმაღლეზე, ამოყვანილია მქისედ დამუშავებული ზღვური კონგლომერატის ბლოკებით კირის სქელ დუღაბზე. ყველგან დაცულია რიგების ჰორიზონტალობა და წყობაში ქვის გადაბმა. აფსიდის კონგლომერატის ბლოკების წყობაში აგურის ორი რიგის შრეებია დატანილი. შიგნიდან კედლები შელესილი ყოფილა და მოხატული ფრესკებით. კედლის მხატვრობის მცირე ფრაგმენტები – ყავისფერი და წითელი ფერის კვალით აღმოჩნდა საკურთხევლის ნაწილში და ჩრდილოეთის ნავში. მოზაიკური იატაკის გადარჩენილი უბნები კვლავ გამოიყენება, განადგურებული ადგილები კი კერამიკული ფილებით იფარება. ამავე დროსაა აგებული ამ უბნის გალავანი, რომელმაც ტაძარი, აბანო და სხვა ნაგებობანი შიგნით მოიქცია¹¹.

IV ს. ბოლო მესამედში ბიჭვინთა ძირფესვიანადაა აოხრებული, რადგან ყველაზე მძლავრი ზედა ნახშირ-ნაცროვანი ფენა უშუ-

⁹ **Л. Мацулевич.** Открытие мозаичного пола в древнем Питиунте. – *Вестник древней истории*, №4, 1956, გვ. 153.

¹⁰ **რ. რამიშვილი.** ბიჭვინთის უძველესი ეკლესიები..., გვ. 40.

¹¹ **ი. ციციშვილი.** ბიჭვინთის საკულტო ნაგებობათა..., გვ. 83-87.

ალოდ ფარავს IVს. არქეოლოგიური მასალების შემცველ ფენას. როგორც ჩანს, ჰუნთა ურდოების ერთი მძლავრი ტალღა კავკასიის შავიზღვისპირეთსაც გადმოწვდა. ტაძარიც სრულიად განადგურებულია, იგი უკვე აღარ აღუდგენიათ, შუა და ჩრდილოეთ ნაგში ხუთი ადრექრისტიანული სამარხია ჩაშვებული¹².

VIს. პირველ მესამედში ბიჭვინთაში ცხოვრება კვლავ გამოცოცხლდა, აშენდა ყველაზე ზედა სამშენებლო დონის კუთვნილი ეკლესია, რომელიც იმავე საკუნის 40-იან წლებში, სპარსეთ-ბიზანტიის ომის დროს ბიზანტიელების მიერვე იქნა დანგრეული ქალაქის გალავანთან ერთად. ესაა დარბაზული ნაგებობა, სამწახნაგოვანი შვერილი აფსიდით და ნართექსით. შენობის ზომებია: 17,45X11,6მ. კედლები დაახ. 1მ სიმაღლეზეა შემორჩენილი. იგი თავისი აფსიდით ღრმად იჭრება ძველი ბაზილიკის ნართექსში. ეკლესიის სივრცე კედლების ღრმა შვერილებით (1,92-1,96მ) ორ ნაწილად იყოფა. გადახურული ყოფილა ნახევარწრიული კამარით, რასაც ჩამოქცეული კამარის დიდი ფრაგმენტი მოწმობს. სახურავი კრამიტისა იყო. კედლები ნაგებია კონგლომერატის ბლოკებით კირის დუღაბზე, თუმცა წყობაში გამოყენებულია რიყის ქვებიც, წყობა წესიერია, დაცულია რიგების ჰორიზონტალობა. კედლები შელესილი ყოფილა, რასაც ბათქაშის შემორჩენილი უბნები მოწმობს¹³.

ნაქალაქარის ზღუდის გარეთ, მის უშუალო სიახლოვეს, ჯერ კიდევ ქალაქის ფუნქციონირების პერიოდში ჩნდება დასახლება. იგულისხმება Xს. საკათედრო ტაძრის მიმდებარე ტერიტორია, მისგან დასავლეთით 40მ-ის მანძილზე 1980-81 წლებში გ. ლორთქიფანიძისა და ზ. აგრბას მიერ გაითხარა ადრექრისტიანული ტაძრების კიდევ ერთი კომპლექსი, სადაც ორი სამშენებლო პერიოდი გამოიყო. პირველი პერიოდი V-VIსს.-ით თარიღდება, მეორე კი – VI-VIIIსს.-ით. ბიჭვინთის დიდი ტაძრის მახლობლად არქეოლოგიური გათხრები ჯერ კიდევ 1925 წელს ა. ბაშკიროვმა ჩაატარა. შედეგად, მან მიაკვლია დიდი ბაზილიკური ტიპის სამნავიანი და სამაფსიდიანი ტაძრის ნანაგრევებს, რომე-

¹² ი. ციციშვილი. ბიჭვინთის საკულტო ნაგებობათა..., გვ. 101.

¹³ ი. ციციშვილი. ბიჭვინთის საკულტო ნაგებობათა..., გვ. 92.

ლიც გვიანბიზანტიური ეპოქით დაათარილა¹⁴. 1925 წელს, ჯერ კიდევ შემორჩენილი ყოფილა სამხრეთი ფასადის კედლის ფრაგმენტები და ორი გვერდითი 4,10მ-ის სიგანის აფსიდები (ისინი, ბაშკიროვის მიხედვით, გეგმაში ნახევარწრიულია) აგებული ქვიშაქვის კვადრებით, გამუყენებულია აგურის სარტყლებიც, რომელთა რაოდენობა 2-დან 4 რიგამდე მერყეობდა. გათხრები მას ჩაუტარებია ამ ორ აფსიდას შორის, სადაც ცენტრალურ საკუთხეველს ვარაუდობდა. მან დააფიქსირა აფსიდის კედლის საძირკველი და საკუთხეველის „ფსევდო-მოზაიკური“ იატაკი.

ამ ბაზილიკური ტიპის ეკლესიის ნანგრევებში ექსპედიციამ მიაკვლია ადრებიზანტიურ, იონიური ტიპის მასიურ კაპიტელს¹⁵, რომლის ახლო პარალელია ვაშნარის ბაზილიკის მცირე მარმარილოს სვეტისთავი, რომელიც VI საუკუნით თარიღდება¹⁶. აღნიშნული ბაზილიკა ბიჭვინთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ახ.წ. VI-VII სს.-ით დაათარილა. ძეგლი სამაფსიდიან ბაზილიკას წარმოადგენს. მისი ზომებია: 17,5X7,60მ. კედლების სისქეა 0,80მ. წყობა შერეულია, ჩრდილოეთი კედელი opus mixtum-ითაა ნაგები, აგურის 4 რივის გამოყენებით. შეიმჩნევა რესტავრაციისა და გადაკეთების კვალი, რაც არქეოლოგიურ მასალასთან ერთად ძეგლის ხანგრძლივ ფუნქციონირებაზე მიუთითებს, VII ს.-დან დაწყებული, ვიდრე გვიან შუა საუკუნეებამდე¹⁷. სამხრეთ აფსიდის ქვეშ ექსპედიციამ გამოავლინა კიდევ უფრო ადრეული (6,1მ სიგანის, სიგრძე ვერ დგინდება), V-VI სს. მცირე ეკლესიის ნანგრევები, ესაა დარბაზული ტიპის ნაგებობა შვერილი ნახევარწრიული აფსიდით. აქვე აღმოჩნდა მარმარილოს პროფილირებული ბაზა, სვეტის ძირი და სხვა ნაწილები¹⁸. ეკლესიის აღმოსავლეთით, ისევე როგორც თავად ტაძარში, დადასტურდა რამდენიმე უინვენტარო

¹⁴ **А. Башкиров.** Археологические изыскания в Абхазии летом 1925 г. – *Известия Абхазского научного общества*, IV, 1926, გვ. 39.

¹⁵ **А. Башкиров.** Археологические изыскания в Абхазии..., გვ. 35.

¹⁶ **გ. ლორთქიფანიძე.** ბიჭვინთის ნაქალაქარი. თბ., 1991, გვ. 30-31.

¹⁷ **Г. Лордкипанидзе, З. Агрба.** Раскопки на территории комплекса Пицундского храма. – *Археологические открытия 1980 года в Абхазии*. Тб., 1982, გვ. 28.

¹⁸ **გ. ლორთქიფანიძე.** ბიჭვინთის ნაქალაქარი. თბ., 1991, გვ. 30-31.

ადრექრისტიანული სამარხი. სამარხები ძირითადად ბრტყელი კრამიტით, აგურითა და ქვიშაქვის ფილებით იყო ნაგები. ჩრდილოეთი აფსიდის დასავლეთით გაითხარა მონოლითური ქვის ანთროპომორფული ფორმის სარკოფაგი, მისი ზომებია: 2X0,4X0,3მ, კედლების სისქეა 5სმ. ყველა სამარხი ქრისტიანული წესის დაცვითაა გამართული¹⁹.

ბიჭვინთის ნაქალაქარიდან 400-500მ მანძილზე სამხრეთით 1963 წელს თ. მიქელაძის მიერ გაითხარა ორაფსიდიანი ეკლესია, რომელიც თავისი გეგმით უჩვეულოა ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრებისთვის. ტაძარი გეგმაში წარმოადგენს სწორკუთხედს, აღმოსავლეთით ორი, სრულიად ტოლი გაზიდული ხუთწახნაგოვანი აფსიდით. შენობის ზომებია: 28,5X14მ. კედლები 1 მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი. ნაგებია კარგად დამუშავებული ქვის კვადრებით, აქა-იქ აგურის გამოყენებით. აფსიდასა და კედლების გაყოლებით მერხები შემოინახა. ტაძარს აქვს ექვსი შესასვლელი: ორ-ორი სამხრეთის, დასავლეთის და ჩრდილოეთის მხრიდან. სამხრეთ, დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლებს შუაში პილასტრები აქვთ. ტაძრის ცენტრში, ძირითადი პილასტრების გადაკვეთაზე დგას მძლავრი სწორკუთხა ბურჯი. ეკლესიის შიდა მოპირკეთებაში, გამოყენებული ყოფილა თეთრი მარმარილო. აღმოჩნდა მცირე ზომის მთლიანი ქვისგან ნაკეთები სვეტები, რომელთაც ოთხკუთხა ბაზა აქვთ და ცილინდრული კორპუსი. ეს უკანასკნელი ორნამენტირებულია²⁰.

ბიჭვინთის ორნავიანი ბაზილიკის ყველაზე ახლო პარალელია ქუთაისის ორნავიანი დარბაზული ტიპის ეკლესია (თავდაპირველად იგი ერთნავიანი დარბაზული ტიპის ნაგებობა იყო). ო. ლანჩავა საერთო მონაცემებით ქუთაისის ორნავიანი ეკლესიის ფუნქციონირებას VI-VIII სს.-ით განსაზღვრავს²¹. თ. მიქელაძის აზ-

¹⁹ **Г. Лордкипанидзе, З. Агрба.** Раскопки на территории... გვ. 30-31.

²⁰ **თ. მიქელაძე.** ბიჭვინთის ორაფსიდიანი ეკლესია. – *მსალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის*, ტ. III. თბ., 1963, გვ. 125-127.

²¹ **ო. ლანჩავა.** ქუთაისის ეგრის-ლაზიკის ციხე-ქალაქთა სისტემაში (IV-X სს). ქუთაისი, 1996, გვ. 144-147.

რით, ბიჭვინთის ორაფსიდიანი ეკლესია Vს. დასასრულსა და VIს. დასაწყისში უნდა აეგოთ, ხოლო XIIს.-ში ძეგლი, როგორც ჩანს, წყვეტს არსებობას, რასაც სამხრეთი ნავის დასავლეთი კარის ზღურბლზე კედლებისა და გადახურვის ნანგრევებს შორის აღმოჩენილი იმპერატორ ნიკიფორე III ბოტანიატეს (1078-1081წწ.) 5 ოქროს მონეტა ადასტურებს²².

ბიჭვინთის კონცხს განეკუთვნება კიდევ ერთი არქიტექტურული კომპლექსი სოფ. ალაჰადეში, „აჰაშნიხ“ ბორცვზე. ნანგრევები სოფ. ალაჰადის ტერიტორიაზე დიდი ხანია იქცევედა სიძველეების მოყვარულთა და მოგზაურთა ყურადღებას. მაგ., XIXს. 80-იან წლებში ალაჰადეში მიკვლევულმა ნანგრევებმა პ. უვაროვას ყურადღება მიიქცია და, როგორც ცნობილია, 1886 წელს მან დაიწყო ამ ნანგრევების გათხრა-გაწმენდა, მოხერხდა ამ ნაგებობის გეგმის მოხაზვაც. პ. უვაროვას მიერ გამოქვეყნებული მასალა ეჭვს არ იწვევს, რომ გაწმენდილი ნაგებობა იყო სამაფსიდიანი მცირე ეკლესია. ამ ეკლესიის გათხრისას პ. უვაროვას არქეოლოგიური მასალა არ შეხვედრია. ამის გამო გამოხრელი თვლიდა, რომ მის მიერ გამოვლენილი მცირე ეკლესია თავის დროზე უნდა გაეძარცვათ და მერე დაენგრიათ²³.

საინტერესო დაკვირვებები აქვს აფხაზეთის ხუროთმოძღვრული ძეგლების მკვლევარს ი. აძინბას. იგი თვლიდა, რომ პ. უვაროვას მიერ გაწმენდილი პატარა სამაფსიდიანი ეკლესია ადრე შუა საუკუნეების ქრისტიანულ ტაძარს წარმოადგენდა. ი. აძინბამ სცადა ტოპონიმის, ბორცვის სახელის – „აჰაშნიხ“ – ახსნა – „ახაშ“ – აფხაზურად ნიშნავს ტყის მსხალს, „ნიხა“ – ხატს, ღვთაებას²⁴.

1970 წელს საძიებო თხრილების გაჭრისას სამაფსიდიანი მცირე ეკლესიის გვერდით, მის სამხრეთით ორიოდ მეტრზე აღმოჩნდა დიდი სამნავიანი ტაძრის ნანგრევები²⁵. ალაჰადის არქი-

²² თ. მიქელაძე. ბიჭვინთის ორაფსიდიანი ეკლესია..., გვ. 129.

²³ П. Уварова. Христианские памятники. – *Материалы по археологии Кавказа*, вып. IV. М., 1894, გვ. 11.

²⁴ И. Адзинба. Архитектурные памятники Абхазии. Сухуми, 1958, გვ. 26.

²⁵ ა. აფაქიძე, ზ. აგრბა. ბიჭვინთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1970-1971 წლების საველე სამუშაოთა ანგარიში. – *დიდი პიტიუნტი*, ტ. II. თბ., 1977, გვ. 19-27.

ტექტურული კომპლექსის მშენებლობის ისტორიის აღდგენა შესაძლებელი გახდა 1985-86 წლებში ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად²⁶. გამოვლინდა სხვადასხვა პერიოდის სამი ეკლესია. №1 ეკლესია დიდი სამნავიანი ბაზილიკაა. მისი გარეთა ზომებია: 50X28მ. ცენტრალური აფსიდა შვიდწახნაგოვანია, გვერდითები კი – ნახევარწრიული. დასავლეთით მოთავსებულია ნართექსი, რომლის სიგანე მხოლოდ ცენტრალური ნავის სიგანეს უდრის. გვერდითი ნაგები ვიწროა. საყრდენ ფუნქციას ასრულებდა მასიური ბოძების 5 წყვილი. ბაზილიკის კედლები ნაგებია opus mixtum-ის ტექნიკით, გამონაკლისს წარმოადგენს აფსიდა, რომელიც თლილი კირქვით არის ნაგები (გარდა ცენტრალური აფსიდის ჩრდილოეთ ნაწილის ფრაგმენტისა, სადაც აგურის წყობაა გამოყენებული). მშენებლობისას გამოყენებულია თავისებური ელემენტი – კერამიკული ყუთები, რომელთაც შესაძლოა, ანტიისეისმური დანიშნულება ჰქონდათ. ალაჰადის ბაზილიკას ელინისტური ტიპის ბაზილიკის ნიშნები ახასიათებს. ესაა, უპირველეს ყოვლისა, ნივნივისებური გადახურვა, ნართექსის არსებობა, შუა ნავის სიმაღლე გვერდითებთან შედარებით; ხმელთაშუა ზღვის ელინისტური ბაზილიკებისაგან ალაჰადის ბაზილიკა განსხვავდება მასიური ბოძების არსებობით (ნაცვლად კოლონებისა), რომლებიც თავებს უკავშირდება და არა არქიტრავს²⁷.

Opus mixtum-ის წყობით ალაჰადის ბაზილიკა ანალოგებს პოულობს როგორც საკუთრივ თანამედროვე აფხაზეთში (პიტიუნტი, ანაკოფია, გიენოსი), ისე დასავლეთ საქართველოს სხვა ადგილებში (არქეოპოლისი, პეტრა, ვაშნარი) შესწავლილ ამავე პერიოდის ძეგლებთან. უფრო მეტიც, ეს წყობა საერთოდ დამახასიათებელია შავიზღვისპირეთის ელინისტური ბაზილიკებისათვის²⁸. დასავლეთ საქართველოს ბაზილიკებში უმთავრესად გამო-

²⁶ **Л. Хрушкова.** Завершение исследования архитектурного комплекса в селе Алахадзы. – *Археологические открытия в Абхазии 1986-1987 гг.* Тб., 1990, გვ. 45-50.

²⁷ **Л. Хрушкова.** Завершение исследования архитектурного..., გვ. 45-50.

²⁸ **В. Леквинадзе.** О постройках Юстиниана в Западной Грузии. – *Византийский временник*, т. 34, 1973, გვ. 177.

იყენება ბოძები, და არა კოლონები²⁹. აგურისა და კვადრების შერეული წყობა და თაღებში მხოლოდ აგურის გამოყენება ალაჰადის ბაზილიკას აკავშირებს მცირე აზიის გვიანანტიკურ არქიტექტურულ ტრადიციებთან. მასიური ბოძები, მძლავრი კედლები (დასავლეთის კედელი 1,8 მეტრს აღწევს სიგანეში), ნართექსის ფორმა, კედლის წყობაში კერამიკული ყუთების გამოყენება ამ ძეგლის ინდივიდუალურ ხასიათზე მიუთითებს. ძეგლი VI ს. პირველი ნახევრით თარიღდება³⁰.

ალაჰადის №2 ეკლესია №1 ეკლესიის რეკონსტრუქციის შედეგად წარმოიშვა. №2 ეკლესიამ დაიკავა №1 ეკლესიის მხოლოდ ცენტრალური ნაწილი. სწორედ ეს ეკლესია აღმოჩნდა 1970-1971წწ. გათხრების შედეგად. ეს ეკლესიაც სამნავიანი ბაზილიკაა, ერთი აფსიდით, უორნამენტო ფასადით და ორფერდა გადახურვით. ძეგლი მიახლოებით VIII-IX სს.-ით თარიღდება. მან უფრო ხანგრძლივად იარსება, ვიდრე პირველმა ბაზილიკამ. ეს კამაროვანი ბაზილიკა ნართექსის გარეშე გამოხატავს ბაზილიკური ფორმის ევოლუციის პროცესს. ბაზილიკაში ელინისტური ნიშანთვისებები ადგილს უთმობენ აღმოსავლურს³¹.

ალაჰადის №3 ეკლესია აიგო მაშინ, როცა №2 ეკლესია ჯერ კიდევ ფუნქციონირებდა. იგი განეკუთვნება ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესიის ტიპს, ოთხი საყრდენით. ნაგებობის გარეთა ზომებია: 20,7X11,6მ. აღმოსავლეთ ნაწილში გამართულია სამაფსიდიანი სკურთხეველი. აფსიდები გარედან ნახევარწრიული ფორმისაა, შიგნიდან კი ნალისებური. სამივე აფსიდას ჰქონდა ბემა. ეკლესია ნაგებია თლილი კირქვისაგან, თაღებში გამოყენებულია აგური. აქაც გვხვდება კერამიკული ყუთები, რომლის შესახებ ჯერ კიდევ პ. უვაროვა აღნიშნავდა³², მაგრამ ისინი უფრო უხე-

²⁹ **В. Леквинадзе.** Гантиадская базилика. – *Советская Археология*, №3, 1970, გვ. 168; **П. Закарая.** Базилики Западной Грузии. – *IV международный симпозиум по грузинскому искусству*. Тб., 1983, გვ. 8.

³⁰ **Л. Хрушкова.** Завершение исследования архитектурного..., გვ. 45-50; **Л. Хрушкова.** Цандрипш. – *Материалы по раннехристианскому строительству в Абхазии*. Сухуми, 1985, გვ. 66.

³¹ **Л. Хрушкова.** Завершение исследования архитектурного..., გვ. 45-50.

³² **П. Уварова.** Христианские памятники..., გვ. 11.

შადაა შესრულებული, ვიდრე №1 ეკლესიაში აღმოჩენილი ყუთები. დეკორატიული დეტალებიდან შემორჩა მხოლოდ ქვა, ჯვრის რელიეფური გამოსახულებით. ეკლესია შეიძლება დათარიღდეს XIს.-ით. იგი აფხაზეთის ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრების ჯგუფს განეკუთვნება (ბზიფი, ლიხნი, ანაკოფია, მოქვი, ბიჭვინთა). განსაკუთრებით უახლოვდება ლიხნის ეკლესიას³³.

ალაჰადის არქიტექტურულ კომპლექსში კარგად აისახა აფხაზეთის საკულტო ხუროთმოძღვრების ევოლუციის ძირითადი ხაზები: ელინისტური ტიპის ბაზილიკიდან ვითარდება კამაროვანი ბაზილიკა, აქედან კი – ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობა, რომელიც შემდგომში წამყვან და გაბატონებულ ტიპად იქცა. კიდევ ერთი, ადრე შეუსწავლელი ქრისტიანული ტაძარი გაითხარა 1995 წელს ბიჭვინთის მახლობლად სოფ. ლიძავაში ზღვიდან 200მ დაშორებით. ტაძრის კედლები ერთიდან სამ მეტრამდეა შემორჩენილი. გეგმა სრულად არ იკითხება. ტაძრის შიგნით გაითხარა რამდენიმე სამარხი, აქვე აღმოჩნდა ერთი რკინის და ერთიც ბრინჯაოს გულსაკიდი ჯვარი, არქიტექტურული დეტალები, ფილაქვა ჯვრის გამოსახულებით. გამოხრელის მიერ ტაძარი IV-Vსს.-ით თარიღდება³⁴.

აფხაზეთში ადრეული ქრისტიანობის ისტორიის კვლევისათვის ძალზედ მნიშვნელოვან აღმოჩენას წარმოადგენს ბიჭვინთის სამაროვზე გამოვლენილი სამარხის სტელა ფარული ჯვრით. იგი ადგილობრივი ქვიშაქვის მონოლითისგანაა დამზადებული. სტელის შემორჩენილი სიგრძეა 73,27სმ, სიგანე – 30სმ. მონოლითის ზედა ნაწილში ამოჭრილია ოთხკუთხა 2,5სმ სიღრმის ფოსო 13,4X7სმ, რომელშიც თავის მხრივ, მეორე ფოსოა გაკეთებული 11X4,5სმ, რკინის ჯვრის ჩასადგმელი. რკინის ჯვარი ნაწილობრივ შემორჩა. ჯვრიანი ბუდე საგულდაგულოდ დაუფარავთ ღარიანი 0,7სმ სისქის კრამიტის ნაჭრისგან გამოჭრილი სპეციალური 13X7სმ ზომის სარქვლით, რომელიც კირხსნარით

³³ **Л. Хрушкова.** Завершение исследования архитектурного..., გვ. 45-50.

³⁴ **Р. Барцыц.** Раскопки раннесредневекового храма в селе Лдзаа поселка Пицунда. – *Кавказ: история, культура, традиции, языки.* По материалам Международной научной конференции, посвященной 75-летию Абхазского института гуманитарных исследований им. Д. Гулия АНА, 28-31 мая 2001г. Сухум, 2003, გვ. 223-227.

გადაუღესავთ. თავის დროზე სტელა ალბათ ფარული ქრისტიანის სამარხზე იყო აღმართული. შემდეგ, როგორც სამშენებლო მასალა, მოხვდა უცნობი დანიშნულების ნაგებობის წრიულ კედელში. სტელა დიოკლეტიანეს ეპოქით (313წ. „მილანის ედიქტის“ წინა პერიოდი) თარიღდება³⁵. თუმცა სტელაში ჩადებული ჯვრის არქაული ფორმისა და იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ უკვე III საუკუნეში ინტენსიურად იყო ათვისებული ბიჭვინთის სამაროვანი, რომელზეც ყოველი მეხუთე სამარხი ქრისტიანს ეკუთვნოდა, და რომ ამავე საუკუნის შუა ხანებში ქრისტიანები არანაკლებ დევნას განიცდიდნენ, არაა გამოსარიცხი სტელის III საუკუნის შუა ხანებით – დეციუსისა (249-251წწ.) და ვალერიანეს (253-260წწ.) იმპერატორობის პერიოდით დათარიღება³⁶.

ე. ი. III ს.-ში ბიჭვინთაში უკვე არსებობდა ორგანიზაციულად გაფორმებული ადრექრისტიანული თემი, რომელშიც გარდა ლეგიონერებისა, კანაბეს მშვიდობიანი სამოქალაქო მოსახლეობაც უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. მათ უნდა ეკუთვნოდეს პიტიუნტის სამაროვანზე გამოვლენილი უინვენტარო ორმოსამარხები, რომელშიც მიცვალებული დაკრძალულია გაშობილ მდგომარეობაში, ზურგზე, თავით დასავლეთით³⁷. ბიჭვინთასა და მის „ქვეყანაში“ გარკვეული ქრისტიანული გარემოს არსებობას ადასტურებს V-VI სს.-თა კულტურულ ფენებში გამოვლენილი გულსაკივლი ჯვრების სიმრავლე³⁸, კერამიკული ნაწარმი (ძირითადად წითელლაკიანი ჯამები) რომელიც ჯვრითაა შექმული³⁹ და მინის

³⁵ გ. ლორთქიფანიძე. ბიჭვინთის ნაქალაქარი..., გვ. 155.

³⁶ მ. მშვილდაძე. რომი და აღმოსავლური რელიგიები..., გვ. 264-265.

³⁷ გ. ლორთქიფანიძე. ბიჭვინთის ნაქალაქარი..., გვ. 155-156.

³⁸ L. Khroushkova. Pitunt et le littoral Oriental de la Mer Noire à l'époque paléochrétienne. – *Actes du XI congrès international d'archéologie chrétienne. Collection de l'école Française de Rome*, 123. Studio di antichità cristiana, XLI, 1989, გვ. 2685, სურ. 30.

³⁹ თ. ლორთქიფანიძე. ბიჭვინთის წითელლაკიანი კერამიკა. – *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, №1, თბ., 1961; ქ. ბერძენიშვილი. ბიჭვინტის წითელლაკიანი თიხის ჭურჭლის შესწავლისათვის. – *მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის*. თბ., 1963, №3; ლ. ასათიანი. ბიჭვინტის წითელლაკიანი კერამიკა. – *დიდი პიტიუნტი*, ტ. II, თბ., 1977.

სასმისები (ზიარების ჭურჭლები) ქრისტიანული სიუჟეტებით⁴⁰.

ამრიგად, ბიჭვინთის ნაქალაქარსა და ბიჭვინთის „ქვეყანაში“ გამოვლენილი ქრისტიანული ტაძრების სიმრავლე და ბიჭვინთის სამაროვნის მონაცემები ადგილობრივ მოსახლეობაზე ქრისტიანული თემის გავლენის ზრდის და გარკვეული დემოგრაფიული აღმავლობის მანიშნებელია.

ИРМА О. БЕРДЗЕНИШВИЛИ

РАННЕХРИСТИАНСКАЯ БИЧВИНТА И ЕЁ „СТРАНА“

Бичвинта (Пицунда) представляет собой комплекс очень сложных и интересных памятников. Система заселения широко распространяется и за городской стеной, что конечно подразумевает определенную концентрацию поселений в городской „стране“. Именно об этом свидетельствуют многочисленные церкви обнаруженные в результате археологических раскопок на Бичвинтском мысе, что подтверждает существование прихожан, основной контингент которых составляли не только римские легионеры и их семьи, а также местное население. Внутри крепостной стены, на так называемом III участке, выявлены руины четырех церквей разных времен, расположенных одна над другой. Существует многочисленная литература посвященная этим раннехристианским памятникам датированным IV-VI веками.

За городской стеной еще при функционировании города, появляется поселение. В 40 м. к западу от кафедральной церкви X века выявлен еще один комплекс раннехристианских церквей, где выделилось два строительных периода. Первый пери-

⁴⁰ **ბ. უგრელიძე.** პალეოქრისტიანული სიმბოლოებით შემკული მინის სასმისები ბიჭვინთის ნაქალაქარიდან. – *მაცნე*, ისტორიის... სერიის, №3, 1981; **Н. Угрелидзе.** Стекланные сосуды с раннехристианскими символами из Бичвинтского Городища. – *IV международный симпозиум по грузинскому искусству*. Тб., 1983.

од датируется V-VI вв., это малое однефное строение с выступающей полуциркулярной апсидой; строение второго периода это трехапсидная базилика VI-VII вв. Восточнее церкви, также как и в самой церкви, обнаружено несколько раннехристианских погребений без инвентаря. В 400-500 м. к югу от Бичвинтского городища раскопана двухапсидная церковь, прямоугольной формы в плане, с восточной стороны с двумя совершенно равными выступающими пятигранными апсидами (VI в.).

К мысу Бичвинта относится еще один архитектурный комплекс в селе Алахадзе. Археологическими раскопками выявлены три церкви разных периодов. Церковь №1 характерна признаками эллинистического типа. Памятник датируется первой половиной VI в. Церковь №2 в Алахадзе выстроена в результате реконструкции церкви №1. Церковь №2 заняла всего лишь центральный неф церкви №1. Это трехнефная сводчатая базилика с одной апсидой. Датируется VIII-IX вв. Церковь №3 в Алахадзе крестово-купольное строение X в. В архитектурном комплексе Алахадзе хорошо выражены основные черты эволюции культовой архитектуры в Абхазии: из эллинистического типа базилики развивается сводчатая базилика, а от нее крестово-купольное строение, которое впоследствии становится ведущим и господствующим типом.

В 1995 г. раскопана еще одна, ранее не изученная раннехристианская церковь, недалеко от Бичвинта в селе Лидзава. План полностью не вырисовывается. В самой церкви вскрыто несколько погребений, здесь же найдены один железный и один бронзовый нательные кресты, архитектурные детали, плита с изображением креста. Датируется IV-V вв.

Проникновение христианства в Бичвинта предполагается и в III в., когда в Бичвинте существует тайная христианская община, что и подтверждается надгробной стелой со скрытым крестом из Бичвинтского могильника. Множество обнаруженных раннехристианских церквей на городище Бичвинта и в „стране“ Бичвинта, безусловно указывают на влияние раннехристианской общины на местное население и наличие здесь некоего демографического роста.

IRMA BERDZENISHVILI

EARLY CHRISTIAN BICHVINTA AND HER “COUNTRY”

Bichvinta (Pezonda) represents a complex consisting of very complicated and interesting monuments. The system of settlement was expanded outside the city walls, which means the certain concentration of the settlements in the city “country”. The numerous churches, which were found after the archaeological excavations at the Bichvinta cape, confirms the existence of the parish, which mainly consisted not only of the Roman legionaries and their families, but of the local population. Inside the city walls, at the so-called 3rd lot, the remains of the four churches of different times, situated one on another, are found. The numerous literature is dedicated to these early Christian monuments, dated by 4th-6th centuries.

The settlement outside the city walls was established while the city was still functioning. One more complex of the early Christian churches was found in 40 meters to the West from the 10th century Cathedral. In this complex two building periods can be singled out. The first period is dated by 5-6th centuries. This is a small one nave building with the stucked out half-circular apse. The second is the three-nave basilica dated by 6th-7th centuries. To the East of the church, as well as in the church itself, several early-Christian burial places without the inventory are situated. In the 400-500 meters to the South from the Bichvinta settlement there was excavated two-nave church, which has two absolutely equal sticking-out apses (6th century).

One more architechtural complex, which is situated in Alahadze, also belongs to the Bichvinta cape. The archaeological excavations unearthed three more churches of different periods. The church №1 has characteristic hellenistic type and is dated by the first half of the 6th century. The church №2 in Alahadze is a result of the reconstruction of the church №1. The church №2 took just the central nave of the church №1. This is three-nave arched basilica with one apse and it is dated by the 8th-9th centuries. The church

№3 in Alahadze is a 10th century cross-domical building. The Alahadze architectural complex shows well the basic features of the evolution of the cult architecture in Abkhazia: the hellenistic type basilica is changed by the arched basilica, and the latter one is changed with the cross-domical building, which becomes the dominant type later.

In 1995 one more early Christian church, which previously was not studied, was excavated in the Lidzava village, near Bichvinta. The plan of the church is loom. There are several burial places in the church itself, and there are found two underclothes crosses (one iron and one bronze), architectural details, plate with the cross inscription. The church is dated by 4th-5th centuries.

The penetration of Christianity in Bichvinta is assumed in the 3rd century too. There existed the secret Christian community in Bichvinta those times. It is verified by the gravestone with the concealed cross on it. A great number of the early Christian churches at the Bichvinta settlement and Bichvinta “country” evidently shows the influence of the early-Christian community on the local population and some-kind demographic growth in the region.

ირაკლი არღვიანი

გველის კულტის საკითხისათვის სვანეთში

სვანეთში გველის კულტის არსებობის შესახებ ცნობები ვ. ბარდაველიძისა და მ. ჩართოლანის ნაშრომებშია მოცემული¹. მათ გველი „მეზირად“ ანუ ოჯახის მფარველად გამოაცხადეს². აღნიშნული მოსაზრება არაერთმა მკვლევარმა უკრიტიკოდ გაიზიარა³.

ვ. ბარდაველიძისა და მ. ჩართოლანის რწმუნებით, სვანეთში თითქმის XXს. შუა წლებამდე ქალები გველის სახელზე მართავდნენ ლოცვა-ვედრებას, სწირავდნენ მას „ლემზირებს“, ანუ რიტუალურ, შესაწირ კვერებს⁴, რაც, ჩვენი ღრმა რწმენით, სინამდვილეს არაფრით შეესაბამება⁵. აღნიშნული რწმენის საფუძველს იძლევიან შემდეგი გარემოებანი: სვანეთში გველის სახელი

¹ ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, ახალწლის ციკლი. თბ., 1939, გვ. 162; მ. ჩართოლანი. ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბ., 1961, გვ. 172, 174, 175.

² მეზირად გამოცხადებულ იქნა აგრეთვე თაგვი, ბაყაყი, ხვლიკი, ხბო, კვიცი, მამალი და სხვ. აღნიშნულის აბსურდულობისა და საერთოდ მეზირის კულტის შესახებ იხ.: ი. არღვიანი. ეთნოლოგიური ძიებანი. – *სვანეთი* I. თბ., 2003, გვ. 23-44.

³ დ. წერეთლიანი. სვანური საკულტო საგალობლები. – „მაცნე“, თბ., 1970, №6, გვ. 170; ნ. აბაკელია. სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში. თბ., 1997, გვ. 6, 8; თ. შარაბიძე. ქალთა სალოცავების იდუმალება საქართველოში. – *ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი*, III, თბ., 2001, გვ. 190, 193.

⁴ ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა ... გვ. 161-163; მ. ჩართოლანი. ქართველი ხალხის მატერიალური..., გვ. 172-192.

⁵ ჩვენ არ გამოვირიცხავთ სვანეთში გველის კულტის ოდესმე, უხსოვარ დროში რაიმე სახით არსებობას, მიუხედავად იმისა, რომ არანაირი მტკიცებულება ამისი არ არსებობს. ამ შემთხვევაში კი საუბარია იმაზე, რომ XX საუკუნის შუა წლებში და გაცილებით ადრეულ პერიოდშიც, ანუ მას შემდეგ, რაც სვანეთში ქრისტიანობამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი, გამოვირიცხულია იქ გველის კულტის არსებობა.

სალანძლავი სიტყვაა და სვანები მას დამცირების და შეურაცხყოფის მიზნით გაიძვერა, უპირო და ავისმქმნელ ადამიანებს უწოდებენ, რომელთა მიმართ დიდი ზიზღი გააჩნიათ. გამორიცხულად მიგვაჩნია მეზირად მყოფი არსების სახელი იმავდროულად სალანძლავ სიტყვად დამკვიდრებულიყო⁶.

უფრო მეტიც, სვანეთში ქვეწარმავალი იმდენად სმაგთ, რომ მისი სახელის ხსენებასაც კი ერიდებიან და სვანებს, გაურბოდნენ რა გველის სახელის ხსენებას, მის სინონიმად „ფისრაჲ“ გაუხდიათ, რაც ვ. თოფურიას და მ. ქალდანის განმარტებით წაწყმედილს, ჯოჯოხეთში მოსახვედრს ნიშნავს⁷. ძნელად მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ოჯახის მფარველად მიჩნეულ არსებას ხალხი ასეთ სინონიმს არ შეურჩევდა⁸.

⁶ მით უფრო, რომ გველის სახელის სალანძლავ სიტყვად დამკვიდრება XXს. შუა წლებზე გაცილებით ადრეულ პერიოდზე უნდა მოდიოდეს.

⁷ ვ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი. თბ., 2000, გვ. 762; აქვე გთავაზობთ ფისრაჲ-ს ჩვენეულ ეტიმოლოგიას. სიტყვა „ფისრაჲ“ დაიშლება შემდეგნაირად: „ფის-რაჲ“, სადაც „ფის“ (ფისე, ფისა) არის ფუძე და ნიშნავს ფისის (ფისი – სპეციფიკური სუნის მქონე წებოვანი წვენი, რომელსაც გამოყოფენ წიწვოვანი მცენარეები), ხოლო „რაჲ“ არის დაბოლოება და შეესატყვისება ქართულ – ანი-ს. ამრიგად, „ფისრაჲ“ ნიშნავს ფისიანს (ვისაც ფისი აცხია, ვინც ფისით არის მოთხერილი. შეად.: „გვამ“ – მკერდი (სვან.), „გვამარაჲ“ – მკერდიანი). რადგანაც სიტყვა ფისრაჲ ვ. თოფურიას და მ. ქალდანის განმარტებით ნიშნავს წაწყმედილს, ჯოჯოხეთში მოსახვედრს, ხოლო ეტიმოლოგიური ანალიზი ცხადყოფს, რომ „ფისრაჲ“ არის ფისიანი, გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ სვანების რწმენაში ფისი უნდა ყოფილიყო ჯოჯოხეთის კომპონენტი. როგორც ჩანს, სვანების რწმენით, ჯოჯოხეთში იყო ფისის ტბა (სიტყვა ტბა პირობითია), სადაც ცოდვილთა სულები სატანჯველად ცვიოდნენ. ჩვენი მოსაზრების სისწორეზე არაერთი სვანური საწყევარი გამონათქვამი მეტყველებს, კერძოდ: „ფისოდ ხაბა“ – ფისი დაესხას, წაეცხოს; „ფისათოდ ოთსკინა“ – ფისიში ჩამსტარიყოს; „ფისაისგოდ ხარ ლაქუნ“ – ფისიში ჰქონდეს განსასვენებელი და ა.შ.

⁸ გველის სინონიმთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს აგრეთვე ის, რომ, თვით მ. ჩართოლანის მიხედვით, იმ პერიოდში, როდესაც, მისივე განცხადებით, სვანეთში გველი „მეზირად“ ჰყავდათ, ისევე როგორც დანარჩენ საქართველოში, სვანეთშიც გველის ერთ-ერთ სინონიმს „უხსენებელი“ (სვანურად „ურშენა“) წარმოადგენდა. იხ.: მ. ჩართოლანი. ქართველი ხალხის მატერიალური..., გვ. 172.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სვანების რწმენით, უხსენებელზე მოსაუბრე ადამიანს, სწორედ საუბრის მომენტში ვიღაცა აუგად ახსენებს. სვანეთში ფიქსირდება აგრეთვე შემდეგი ჩვეულება: გველის უნებლიედ ხსენების შემდეგ გადააფურთხებენ ხოლმე. ვ. ბარდაველიძისაგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ მეზირისადმი ლოცვა-ვედრების რიტუალის აღწერით და გველის მეზირად ყოფნის შესახებ განცხადებით შემოიფარგლა, მ. ჩართოლანმა გადმოცემათა მოშველიებით სცადა სვანეთში გველის კულტის არსებობის დადასტურება, თუმცა მის მიერ მოშველიებული გადმოცემები არადამაჯერებელია და სვანეთში გველის კულტის არსებობის დამამტკიცებლად არ გამოდგებიან.

ასე, მაგალითად: მ. ჩართოლანის გადმოცემით, რომელიც მას ვინმე დევით გუდუს ძე მარგიანისაგან ჩაუწერია, ლემკნდერს (ადგილის სახელია) „სათიბი ყოფილა ერთი მოსახლისა, მოსათიბად ნადი ეხმარებოდა. ამ ოჯახს ჰყოლია ახლად მოყვანილი რძალი, რომელსაც სადილი წაუღია ნადისათვის. გზაში წყალი მოწყურებია და ხილთან წყლის დასალევად მდინარის ნაპირას ჩასულა. სადილი, რომელიც გოდრით (ლალაშ) ზურგზე ეკიდა, ძირს დაუდგამს და დაუნახავს, რომ გოდორში თეთრი გველი („თვეთნე ვიჯილდ“) ყოფილა. იგი ამ ოჯახის „თვალილდ“ (ნატვრის თვალი) ყოფილა და მუდამ კერასთან იყო თურმე. სადილის ჩალაგების დროს გოდორში ჩაჰყოლია. ახალ მოყვანილ რძალს ამ გველის შესახებ არაფერი ცოდნია და სადილიანად მდინარეში გადაუსვრია. თვითონ უკან დაბრუნებულია. შინ ქალებისათვის ყველაფერი უამბნია. ქალებს სადილი დაუმზადებიათ ხელმეორედ და წაუღიათ სათიბში. დაგვიანებისათვის მამაკაცებს საყვედური უთქვამთ, მაგრამ ქალებს მიზეზი არ გაუმხელიათ. საღამოს, როცა ყველა შინ დაბრუნებულან, ოჯახის უფროსებისათვის ყველაფერი უთქვამთ მომხდარი შემთხვევის შესახებ. იმ ღამეს ისეთი წვიმა მოსულა, რომ მათი სათიბი მეწყერს („ჩვალ“) დაუფარავს და რიყედ ქცეულა, ხოლო ოჯახი ამოწყვეტილა“.⁹

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს იმის შესახებ, რომ საეჭ-

⁹ მ. ჩართოლანი. ქართველი ხალხის მატერიალური., გვ. 174.

ვოა რძალს, რაგინდ „ახლად მოყვანილი“ ყოფილიყო, არაფერი ცოდნოდა გველის შესახებ, რომელიც მისი ქმრის სახლში „მუდამ კერასთან იყო“ (კერა არ არის ის ადგილი, სადაც ძნელია ადამიანმა, მით უფრო ქალმა, რომელიც სადილს ამზადებს, ქვეწარმავალი შეამჩნიოს). აგრეთვე, სადილს, გოდორში ჩალაგების დროს, როგორ უნდა ჩაჰყოლოდა ქვეწარმავალი (შეუმჩნევლად). და ბოლოს, იმ პერიოდში, როდესაც მ. ჩართოლანის მიერ მოცემულ ცნობაში აღწერილი ამბავი უნდა მომხდარიყო, იშვიათ შემთხვევაში თუ შეიძლებოდა რომ სვანეთში, გლეხის ოჯახში საქართველოს სხვა კუთხიდან ყოფილიყო ქალი რძლად. მ. ჩართოლანის მიერ მოცემულ ზემოაღნიშნულ ცნობაში ნახსენები „ახლად მოყვანილი რძალი“ სვანი რომ არ ყოფილიყო, ამაზე მ. ჩართოლანი უთუოდ მიუთითებდა. რადგანაც მან ეს არ გააკეთა, გამოდის, რომ ის სვანეთის მკვიდრი იყო, სვანეთისა, სადაც, ვ. ბარდაველიძისა და მ. ჩართოლანის მტკიცებით, გველი „მეზირად“ ჰყავდათ. ხოლო ასეთ შემთხვევაში საინტერესოა, როგორ შეიძლებოდა, რომ მანდილოსანი ვერ მიმხვდარიყო, რასთან ჰქონდა საქმე, როდესაც გოდორში, რომლითაც კაცებისათვის სახლიდან სათიბში სადილი მიჰქონდა, აღმოჩნდა თეთრი (!) გველი, მით უფრო, რომ „მეზირი“ ქალთა სალოცავს წარმოადგენდა.

მ. ჩართოლანის მიერ სვანეთში გველის კულტის არსებობის დამადასტურებლად მოშველიებული მეორე გადმოცემის თანახმად, რომელიც მას 1948 წელს სოფელ კალაში ჩაუწერია, ერთხელ ვინმე პეტრე მურღვლიანს მეზობლის კაცხაშში¹⁰ შეუმჩნევია პატარა (დაახლ. 30სმ სიგრძის) ქვეწარმავალი და მას შემდეგ, რაც ამის შესახებ მასპინძლისათვის მიუთითებია, ეს უკანასკნელი წამოჭრილა, ქვეწარმავალი წკნელით აუღია და საძროხეში ფროხილად გადაუგდია. მასპინძლის განცხადებით, მისი მოკვლა არ შეიძლებოდა, რადგან ძროხების გაშრობას გამოიწვევდა. იგი მავენე არ არისო¹¹.

¹⁰ „კაცხაშ“ – ძველ სვანურ სახლში კერის წინა ტერიტორია კერიდან კედლაძდე. იხ.: **მ. ჩართოლანი**. ქართველი ხალხის მატერიალური... გვ. 227.

¹¹ **მ. ჩართოლანი**. ქართველი ხალხის მატერიალური..., გვ. 175.

საინტერესოა, რატომ არ მიუთითა მ. ჩართოლანმა პ. მურღვლიანის მიერ მეზობლის სახლში ნანახი ქვეწარმავლის სახეობა, კერძოდ, გველი იყო ის თუ ძლოკვი. ვფიქრობთ, რომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა პ. მურღვლიანს არ გაუჭირდებოდა, რადგან ძლოკვისა და გველის ერთმანეთისაგან გარჩევა სვანებისათვის საძნელო საქმეს არ წარმოადგენს. გაზედავთ და გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ მ. ჩართოლანმა ქვეწარმავლის სახეობის დაკონკრეტებას შეგნებულად აარიდა თავი, რამეთუ ამას სვანეთში გველის კულტის არსებობა-არარსებობის საკითხის გადასაჭრელად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს კიდევ. კერძოდ, თუ ღავეუშვებთ, რომ ხსენებული ქვეწარმავალი გველი იყო, მაშინ, ცხადია, ხელთა გვაქვს ფაქტი, რომელიც შეიძლება სვანეთში გველის კულტის არსებობაზე მეტყველებდეს, ხოლო თუ ძლოკვი, მაშინ პირიქით, ამ ფაქტს სვანეთში გველის კულტის არსებობის საწინააღმდეგო ახსნა გააჩნია.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ პ. მურღვლიანის მიერ მეზობლის სახლში ნანახი ქვეწარმავალი არანაირად არ შეიძლებოდა ყოფილიყო გველი. ჩვენი ღრმა რწმენით, ის ძლოკვი იყო, რამეთუ სწორედ ძლოკვია ის ქვეწარმავალი, რომელიც, სვანების რწმენით, არ არის მავნე. ამასთანავე, ერთმანეთს ემთხვევა პ. მურღვლიანის მიერ მეზობლის სახლში ნანახი ქვეწარმავლის და ძლოკვის სიგრძე (როგორც წესი, ძლოკვის სიგრძე 30 სმ-მდე აღწევს). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დიდია ალბათობა ძველ სვანურ სახლებში ძლოკვის მოხვედრისა. და ბოლოს, სწორედ რომ ძლოკვის მოკვლა შეიძლებოდა სვანებს დაეკავშირებინათ მეწველი ძროხების გაშრობასთან. აი, ის არგუმენტები, რომელთა გამოც დარწმუნებული ვართ, რომ პ. მურღვლიანის მიერ მეზობლის სახლში ნანახი ქვეწარმავალი იყო ძლოკვი.

როგორ შეიძლებოდა მოხვედრილიყო ძლოკვი ძველ სვანურ სახლებში? ზაფხულობით, როდესაც სვანეთში თიბვაა გაჩაღებული, ქვეწარმავალი (მათ შორის ძლოკვიც) უკვე ამოსულია დედამიწის ზედაპირზე. მას შემდეგ კი, რაც მინდვრები მოითიბება, მოტიტვლებულ მიწის ზედაპირზე ძლოკვი არ ჩერდება და არის შემთხვევები, როდესაც მინდორში ზვინად დადგმულ თივას შეაფარებს

თავს (ლამით და შუადღისას, როდესაც მზის აქტივობა პიკს აღწევს). თივას სვანები მარხილებით ეზიდებოდნენ (ძირითადად მარხილებით ეზიდებიან ამჟამადაც) და ძველი სვანური სახლის ზედა სართულზე აბინავებდნენ¹². სწორედ ამ დროს იყო შესაძლებელი, რომ ძლოკვი ჯერ თივის ზვინთან ერთად მარხილზე, ხოლო შემდგომ მარხილიდან ძველი სვანური სახლის ზედა სართულზე მოხვედრილიყო¹³ და არაფერი გასაკვირი არ უნდა იყოს იმაში, რომ ზედა სართულიდან კედელზე ჩამოცურებით ან სხვა გზით ძლოკვი მაჩვიბში¹⁴ ჩამოსულიყო, ან თუნდაც ჩამოვარდნილიყო.

ახლა კი იმის შესახებ, სვანების რწმენით, რა კავშირში შეიძლებოდა რომ ყოფილიყო ძლოკვის მოკვლა მეწველი ძროხების გაშრობასთან. სვანეთში არის შემთხვევები, როდესაც ძროხებს ძუძუს თითები უფუჭდებათ ხოლმე. გაფუჭებული ძუძუს თითებიდან კი შეუძლებელია რძე მოიწველოს. სვანების რწმენით, ამის გამომწვევი მიზეზი შეიძლება გახდეს უხსენებლის მიერ მისი გალოკვა. ძლოკვის საძროხის სიახლოვეს ყოფნა კი სვანებს მიაჩნდათ (მიაჩნიათ) იმის გარანტიად¹⁵, რომ საძროხის სიახლოვეს არ გამოჩენილიყო უხსენებელი და ძროხის ძუძუს თითები არ გაელოკა, რადგან სვანების რწმენით, ძლოკვი ემტერება და თავის სიახლოვეს არ აჩერებს უხსენებელს. სწორედ ამით აიხსნება სვანი გლეხის მიერ კაცხაშში გამოჩენილი ქვეწარმავ-

¹² ასევე ხდება დღესაც, მხოლოდ ძველ სვანურ სახლებში დღეს უკვე არაფერია ცხოვრობს. ძველი სვანური სახლის ზედა სართულს უწინდებურად ძირითადად თივის დასაბინავებლად იყენებენ, ხოლო ქვედა სართულს – საქონლის სადგომად. ადრე კი ძველი სვანური სახლების ქვედა სართული ძირითადად ორ ნაწილად იყო გაყოფილი: ერთ მხარეს ხალხი ცხოვრობდა, ხოლო მეორე მხარეს პირუტყვი იყო დაბინავებული.

¹³ ძველი სვანური სახლები ისეა მოწყობილი, რომ მიწაყრილის ან მორებისაგან დამზადებული დამხმარე საშუალებების გამოყენებით, სვანებს თივა მარხილიანად ააქვთ სახლის ზედა სართულზე, სადაც ხდება თივის მარხილიდან გადმოყრა.

¹⁴ „მაჩვიბ“ – ძველი სვანური სახლის ქვედა სართული.

¹⁵ სვანების თქმით, საძროხეში მოხვედრილი ძლოკვი შორს ვერ წავა, რამეთუ მას დიდ მანძილზე გადაადგილება უჭირს და სადმე იქვე, საძროხის სიახლოვეს, ეხოს სახით შემოკავებულში დაიდებს ბინას.

ლის (ჩვენი ღრმა რწმენით ძლოკვის) საძროხეში გადავლება და, შესაბამისად, ძლოკვის მოკვლის დაკავშირება მეწველი ძროხების გაშრობასთან, ანუ, სვანების რწმენით, იმ შემთხვევაში, თუ საძროხის სიახლოვეს ძლოკვი იქნებოდა დაბუდებული, ძროხებს უხსენებელი ვერ მიეკარებოდა, ხოლო თუ პირიქით, მაშინ უხსენებელს (თუკი ის სადმე საძროხის სიახლოვეს ბუდობდა) არაფერი შეუშლიდა ხელს იმაში, რომ ძროხებისათვის ძუძუს თითები გაეფუჭებინა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სვანების შეხედულებით, ძლოკვს არანაირი ზიანის მიყენება არ შეუძლია ძროხებისადმი. შესაძლებელია ეს შეხედულება მას შემდეგ ჩამოუყალიბდეთ სვანებს, რაც გააცნობიერეს, რომ ძლოკვი არ არის შხამიანი.

სვანეთში გველის კულტის არსებობის დამადასტურებლად არ გამოდგება აგრეთვე მ. ჩართოლანის მიერ მოშველიებული ლ. ბოჭორიშვილის ცნობა, რომ „არცხელის თავში მუშაობის დროს იფარელ გიორგი პირველსა და მის ამხანაგებს, თუ ზემოხსენებულ მთხრობელებს დაუუჯერებთ, ოქროს გველი მოუპოვებიათ“.¹⁶

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს იმის შესახებ, რომ იმ ადგილას, რომელზეც „ზემოხსენებული მთხრობელები“ მიუთითებენ, ცოტა არ იყოს საეჭვოა რაიმე ნაკეთობა ყოფილიყო აღმოჩენილი. ამასთანავე, მიუღებლად მიგვაჩნია რაიმეს დამამტკიცებლად ისეთი მოგონების მოშველიება, რომლის უტყუარობაში დარწმუნებული ვერ ვიქნებით.

სვანეთში გველის კულტის არსებობაზე არ მეტყველებს ის ფაქტი, რომ სვანები (თუმცა რამდენადაც ჩემთვის აწ განსვენებულ ეთნოგრაფთან ბახვა გამყრელიძესთან პირადი საუბრებიდან არის ცნობილი, არა მარტო სვანები, არამედ საქართველოს სხვა კუთხის მცხოვრებლებიც) სახლში შესულ ქვეწარმავალს არ კლავდნენ და მის მოკვლას ეზომიც კი ერიდებოდნენ. მას გადადენიდან ეზოდან და შემდეგ მოკლავდნენ ხოლმე¹⁷. საქმე იმაში გახლავთ, რომ სახლი, სვანების რწმენით, წმინდა ადგილია, სა-

¹⁶ მ. ჩართოლანი. ქართველი ხალხის მატერიალური..., გვ. 175.

¹⁷ ხანში შესული ბიძინა ქოჩქიანის თქმით, მოკლულ ქვეწარმავალს სოფლიდან მოშორებულ ადგილას ან მდინარეში გადააგდებდნენ ხოლმე.

დაც (ძველ სვანურ სახლში) იდგა კერა, რომლის კულტი ძლიერი იყო სვანეთში¹⁸. სახლში აღევლინებოდა (ძველ სვანურ სახლებში, მამაკაცების მიერ – სალოცავ ფანჯარასთან, დედაკაცების მიერ – კერასთან) და აღევლინება ლოცვა ღვთისადმი, სრულდებოდა (ძველ სვანურ სახლებში კერასთან) და სრულდება საქორწინო თუ სხვა წეს-ჩვეულებებთან დაკავშირებული რიტუალები,¹⁹ აგრეთვე მიცვალებულთა გაპატიოსნება²⁰ და ა.შ. ასეთ წმინდა ადგილას (ე. ი. სახლში) ქვეწარმავლის მოკვლის აკრძალვა იმით არის განპირობებული, რომ სვანების რწმენით, იმ ადგილას, სადაც ესა თუ ის არსება დაღვეს სულს, იმავე არსების სული იბუდებს, ის ადგილი ხდება მისი სულის საბუდებელი (სვ. „ლაქუნ“). ცხადია, სვანები ერიდებოდნენ წმინდა ადგილის, ამ შემთხვევაში სახლის წაბილწვას ქვეწარმავლის სულით, რომელიც სვანების მიერ „უწმინდურად“ არის მიჩნეული.

ანალოგიურად აიხსნება ეზოში ქვეწარმავლის მოკვლის აკრძალვის ფაქტიც. სვანებს, ისევე როგორც სახლი, ეზოც წმინდა ადგილად აქვთ მიჩნეული, რამეთუ სვანეთში კალო, უმეტეს შემთხვევაში სახლის ეზოში ეწყობოდა²¹. კალოზე გარდა იმისა, რომ ხდებოდა მარცვლეულის ღეწვა, საკულტო პურების გამოსაცხობად სახელდახელოდ იმართებოდა კერა²². კალოზე სვანი ქალები მართავდნენ აგრეთვე ლოცვა-ვედრებას²³.

სვანეთში ფიქსირდება აგრეთვე ისეთი ფაქტებიც, როდესაც სახლიდან ან ეზოდან გამოდენილ ქვეწარმავალს ცოცხლად გაუშვებდნენ ხოლმე²⁴, მაგრამ, ჩვენი აზრით, არც ეს ფაქტი მეტყ-

¹⁸ მ. ჩართოლანი. ქართველი ხალხის მატერიალური..., გვ. 3-201.

¹⁹ მ. ჩართოლანი. ქართველი ხალხის მატერიალური..., გვ. 145-165.

²⁰ მ. ჩართოლანი. ქართველი ხალხის მატერიალური..., გვ. 166-172.

²¹ გ. ჯვალაბაძე. მემინდვრეობა სვანეთში. სვანეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის. თბ., 1970, გვ. 14.

²² მ. ჩართოლანი. ქართველი ხალხის მატერიალური..., გვ. 10.

²³ მ. ჩართოლანი. ქართველი ხალხის მატერიალური..., გვ. 188.

²⁴ თუმცა შემდგომ სახლის ეზოში რეზინს ან გოგირდს დაახრჩოლებენ, რათა ქვეწარმავალი უკან არ მობრუნდეს. ფიქსირდება აგრეთვე რეზინისა და გოგირდის დახრჩოლება პროფილაქტიკის მიზნით, სახლის იმ ახლომდებარე ადგილებში, სადაც სავარაუდოდ ქვეწარმავალი უნდა ბუდობდეს.

ველებს სვანეთში გველის კულტის არსებობაზე. საქმე იმაშია, რომ რამდენადაც ჩემთვის პროფ. ბახვა გამყრელიძესთან ზემოთ ხსენებული პირადი საუბრებიდან არის ცნობილი, ანალოგიურ შემთხვევას, მისივე თანდასწრებით, ზემო იმერეთშიც ჰქონია ადგილი, რაც იმერელ გლეხს იმით აუხსნია, რომ უხსენებელს წიწილები ჰყავს და გადაგვეკიდებიანო²⁵. იგივე დასტურდება სოფელ მეჯვრისხევშიც²⁶. ჩვენი ღრმა რწმენით, იგივე ახსნა უნდა ჰქონდეს სვანეთში ფიქსირებულ ფაქტს ქვეწარმავლის ცოცხლად გაშვების თაობაზე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შემდეგ ვერ გავიზიარებთ ვ. ბარდაველიძის და მ. ჩართოლანის დასკვნას, სვანეთში გველის კულტის არსებობის შესახებ. გამორიცხულია სვანეთში გველის კულტის არსებობა იქ ქრისტიანული რელიგიის გავრცელებისა და დამკვიდრების შემდეგ. რაც შეეხება წინაქრისტიანულ პერიოდს, აღნიშნულ ხანაში სვანეთში გველის კულტის არსებობა დასაშვებად მიგვაჩნია, თუმცა არ არსებობს რაიმე წყარო, რომელიც სვანეთში გველის კულტის, თუნდაც წინაქრისტიანულ ხანაში არსებობაზე მიუთითებდეს.

²⁵ სამწუხაროდ ვერ მივუთითებთ, კონკრეტულად სად მოხდა აღნიშნული ფაქტი.

²⁶ მ. ჩართოლანი. ქართველი ხალხის მატერიალური..., გვ. 198.

ИРАКЛИЙ Дж. АРГВЛИАНИ

К ВОПРОСУ КУЛЬТА ЗМЕИ В СВАНЕТИ

В статье подвергнута критике бытующая в науке (в трудах В. Бардавелидзе, М. Чартолани и других исследователей) точка зрения о распространении культа змеи в Сванети, согласно которой змей являлся покровителем семейного очага. На основе осмысления соответствующего этнографического материала, автор отрицает существование в Сванети культа змеи после принятия христианства, хотя не исключает распространение этого культа в дохристианской эпохе.

IRAKLI ARGVLIANI

TO THE ISSUE OF THE CULT OF SNAKE IN SVANETI

The paper criticizes the existing opinion (V. bardavelidze, M. Chartolani, etc.) about the widespread snake cult in Svaneti, according which the snake was a protector of the hearth. Basing on the comprehension of the corresponding ethnographic materials, the author denies the existence of the cult after the adoption of the Christianity, although he does not exclude the widespread of the cult in the pre-Christian epoch.

რ ე ლ ი ბ ი ი ს ი ს ტ ო რ ი ა

ვლას პაჭაძე

ბაცი და გაიმი

ქართული წარმართული პანთეონის ღვთაებებიდან ყველაზე ბუნდოვანი და გაურკვეველია გაცი და გაიმის (გაი-ს) ეტიმოლოგია და წარმომავლობა. ქართული წერილობითი წყაროები გაცი და გაიმის (გაი-ს) მცხეთაში შემოყვანას და მათ ქართლში დამკვიდრებას აზოს სახელს უკავშირებენ: „ხოლო ესე აზოი წარვიდა არიან ქართლად, მამისა თვისისა და წარმოიყვანა რვად სახლი და ათნი სახლნი მამამძუძეთანი და დაჯდა ძუელ მცხეთას და თანაჰყვანდეს კერპნი ღმრთად გაცი და გა“.¹ როგორც წერილობითი წყაროებიდან ჩანს, გაცი და გა (გაიმი) აზოს მიერ შექმნილი ღვთაებები არ არიან, ისინი ჯერ კიდევ არიან-ქართლის მცხოვრებლებისათვის იყვნენ ცნობილი, აკი „ქართლის ცხოვრების“ მატიანე გაცის და გა-ს (გაიმს) „ძველნი ღმერთნი მამათა ჩვენთანი“-ს უწოდებს².

¹ შატბერდის კრებული X საუკუნისა. გამოსაცემად მოამზადეს **ბ. გიგინეიშვილმა** და **ელ. გიუნაშვილმა**. თბ., 1979, გვ. 320. იქვე ცოტა ქვემოთ ვიგებთ: „და ესე იყო პირველი მეფეი მცხეთასა შინა აზოი, ძეა არიან ქართველთა მეფისა“. ლეონტი მროველთან აზოს მცხეთაში შემოსვლამდე საუბარია ალექსანდრე მაკედონელის მიერ ქართველებისათვის მზის, მთვარისა და ხუთი ვარსკვლავის თაყვანისცემის დაწესების შესახებ, რომელიც ქართველებმა უარყვეს.

² ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ. ტ. I. თბ., 1955, გვ. 106. შატბერდის კრებულში, წმ. ნინოსთან დაკავშირებულ თხზულებაში ვკითხულობთ: „რომელნი იგი ღმრთად ჰქონდეს მამათა თქუნთა არიან ქართლით“. – შატბერდის კრებული X საუკუნისა. თბ., 1979, გვ. 335.

წმ. ნინოს ცხოვრებაში ამ კერპების აღწერილობაცაა დაცული: „და კუალად იყო მარჯუენით მისსა კაცი ოქროსი და სახელი მისი გაცი: და მარცხენით მისსა უღვა კაცი ვერცხლისა და სახელი მისი გაიმ“.³ გაცი და გა-ს (გაიმს) „მეფეთა ცხოვრება“ პირველად, როგორც შევნიშნეთ, აზოსთან მიმართებაში იხსენებს, ამის შემდეგ მათ უკვე წმინდა ნინოს ცხოვრების ამსახველ წერილობით წყაროში ვხვდებით ღვთაება არმაზის გვერდით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს კერპები მეფე ფარნავაზისა და შემდგომი ფარნავაზიანების დროსაც უნდა არსებულებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ავტორისათვის ისინი უცნობი იქნებოდნენ.

ქართული წარმართული პანთეონის საკითხებზე მომუშავე მეცნიერთა ნაწილი საერთო აზრისაა გაცი და გაიმის (გა-ს) წარმომავლობის შესახებ და მათ ადგილობრივ ქართულ ღვთაებებად მიიჩნევს. ი. ჯავახიშვილი გაცთან და გაიმთან (გა-სთან) დაკავშირებით შენიშნავდა: „ქართველებს თავიანთი პირვანდელი სამშობლოდან თან ორი უძველესი მამაპაპეული სალოცავი და ღვთაება კერპი მოუტანიათ. ყველა დანარჩენი კერპები მერმინდელი შენაძენი და აღმართული ღვთაებები ყოფილან“.⁴ ს. ჯანაშიას წერილობით წყაროში ნახსენები ციტატა: „გაცი და გა კერპნი მამა-

³ *ქართლის ცხოვრება*, ტ. I, გვ. 89-90. თუმცა აქვე იმასაც დაგვიძენთ, რომ „ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა რედაქციებში, როდესაც აზოს მიერ გაცი და გა (გაიმის) კერპთა თაყვანისცემის შემოღების შესახებაა საუბარი, ორივე კერპი ვერცხლისად იწოდება. მარიამ დედოფლისეულ „ქართლის ცხოვრების“ ნუსხაში ვკითხულობთ: „და შექმნა ორნი კერპნი ვერცხლისანი“ (*მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრება*, **ე. თაყაიშვილის** რედაქციით. ტფ., 1906, გვ. 16). იგივეს ვკითხულობთ ანა დედოფლისეულ „ქართლის ცხოვრების“ რედაქციაშიც. (*ქართლის ცხოვრება*, ანა დედოფლისეული. დასაბეჭდად მოამზადა ფილოლოგიის განყოფილებამ **ს. ყაუხჩიშვილის** რედაქციით. თბ., 1942, გვ. 14. იხილეთ ასევე: *ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი*. გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა **ილ. აბულაძემ**. თბ., 1963, გვ. 28). აქვე იმასაც შევნიშნავთ, რომ მარიამ დედოფლისეულ და ანა დედოფლისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ აზოსთან დაკავშირებულ თხზულებებში კერპთა სახელები არაა დაფიქსირებული.

⁴ ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. I. თბ., 1928, გვ. 99.

თა ჩვენთან არიან ქართლიდან“, განმარტებული აქვს, როგორც ღმერთები, რომლებსაც თაყვანს სცემდნენ ქართველთა წინაპრები არიან ქართლიდან⁵. გ. მელიქიშვილი იზიარებდა ამ მოსაზრებას და აღნიშნავდა, რომ „*მოქცევაჲ ქართლისაჲს*“ ცნობა არიან ქართლიდან ქართველების წინაპრების გადმოსახლების შესახებ, გამოყოფს წარმართული პანთეონის ორ ჯგუფს, ერთი მათგანი მიეკუთვნებოდა არიან-ქართლიდან მოსულებს (ღმერთები გაცი და გა) და ადგილობრივ მცხოვრებლებს (არმაზი და ზადენი)⁶.

მეცნიერთა კიდევ ერთი ნაწილი კი გაცი და გა-ს ახლო აღმოსავლურ სამყაროს უკავშირებდა. ნ. მარს გაცი და გა სემიტურ ღვთაებებად მიაჩნდა, „რომლებიც ჩრდილოეთ სემიტებში იყო გავრცელებული და რომელთა სახელებიც ქართველებში მწიგნობრული გზით გაჩნდა“. ამასთან, მეცნიერი შეეცადა, აეხსნა, როგორ მოხდა ქართულ წყაროებში მათი ქართულ კერპებად წარმოჩენა. „*ნინოს ცხოვრება*“ მათ კერპთა მამათა ჩვენთას უწოდებს, თუმცა არ მიუთითებს მათ ისტორიას. სხვა ისტორიული თხზულება ავსებს ამ ხარვეზს და ჩვენ ვიგებთ, რომ ეს ღმერთები მცხეთაში ქართლის პირველი მეფის დროს გაჩნდნენ (ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით – აზოს დროს), რომელმაც ორი ვერცხლის კერპი გაცი და გა შექმნა. „*მოქცევაჲ*

⁵ ს. ჯანაშია. უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ. – *შრომები*, II. თბ., 1952, გვ. 46.

⁶ Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии. Тб., 1959, გვ. 39. იქვე შენიშვნაში მეცნიერი აკონკრეტებს, რომ სინამდვილეში არმაზი და ზადენი იყვნენ ღმერთები მოსული მოსახლეობისა (ხალხისა), გაცი და გა, კი უფრო სარწმუნო ადგილობრივებისა და რომ გაცი და გა უნდა ვაღიაროთ ადგილობრივ ღვთაებებად (და არა არმაზი და ზადენი). მესხი მოსულების პანთეონის შერწყმაზე ადგილობრივი მოსახლეობის პანთეონთან უნდა მიუთითებდეს ის გარემოება, რომ გაცი და გასთვისაც იქნა განკუთვნილი ადგილი ოფიციალურ პანთეონში... „*მოქცევაჲ ქართლისაჲ*“ არმაზის კერპის აღწერის დროს აღნიშნავს, რომ მის მარჯვნივ იდგა ქანდაკება ოქროსი და სახელი მისი გაცი, მის ხელმარცხნივ იდგა კერპი ვერცხლისა და სახელი მისი გა. მსგავსი შერწყმა პანთეონში შესაძლოა ასახავს მესხური ელემენტის შერწყმას ადგილობრივ მოსახლეობასთან. იხ.: Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии..., გვ. 317; *Очерки истории Грузии*, т. I. Тб., 1989, გვ. 290.

ქართლისაჲ-ს“ ავტორს, – აღნიშნავს ნ. მარი, – ცხადია, არა-დამაჯერებლად მოეჩვენა ასეთი მონაცემები ღმერთების ქართუ-ლი წარმომავლობისა და მოახდინა მაკელონელი მეფის მიერ და-ნიშნული მმართველის გაეროვნულება⁷. ნ. მარი შეეცადა აეხსნა მოცემულ ღვთაებათა ეტიმოლოგია. ღვთაება გა მეცნიერმა სემი-ტურ სამყაროს დაუკავშირა და პარალელი კერპ ასტარტესთან გაავლო⁸, რომელიც, მისი აზრით, ჩვენში წიგნიერი გზით უნდა შემოსულიყო, რაზეც მისი მეორე ფორმა გაიმი მიუთითებს. გაცი კი ასურული ღვთაება გატის ფარდ სახედ მიიჩნია, რამდენადაც ის ბერძნულშიც ამ ფორმით ყოფილა შენარჩუნებული⁹.

მ. წერეთელი, ნ. მარის მსგავსად, გაცი და გაიმის წარმო-მავლობას მცირე აზიას უკავშირებდა, თუმცა ნ. მარისაგან განს-ხვავებით ქართული გაცი ყათედ მიიჩნია (ეს უკანასკნელი „სი-რიელთა ღმერთი იყო მამრობითი სქესისა, იგივე მცირე აზიის ღმერთი ატისი“).¹⁰ გაიმი კი, მეცნიერის აზრით, „ხეთელთა ღმერ-თი იყო, სემიტურ პანთეონში გადასული“.¹¹

ხეთურ-ლუვიურ სამყაროს უკავშირებდა გ. გიორგაძე გაცი-სა და გა-ს წარმომავლობას. ქართული გაცი-ს პარალელად მან ხეთური ხაცი, ტაროსის მცველი ღვთაება მიიჩნია. ხაცი, ისევე როგორც გაცი, ავტორის მითითებით, ხეთურ ლექსიკასა და ტო-პონიმიკაშიც დასტურდება¹². მანვე ხეთურ-ხურიტულ სამყაროს დაუკავშირა არმაზის მარცხნივ მდგომი კერპი გა (გაიმი).¹³ გ. გიორგაძეს ასეთი ვარაუდის საფუძველს ისიც აძლევდა, რომ მან ქართულ წერილობით წყაროებში მოხსენიებული არმაზის აღწე-

⁷ **Н. Я. Марр.** Боги языческой Грузии. Тб., 1901, გვ. 2-3.

⁸ **Н. Я. Марр.** Боги языческой Грузии..., გვ. 17, 21.

⁹ **Н. Я. Марр.** Боги языческой Грузии..., გვ. 2, მისი ეს მოსაზრება შემდგომში ივ. ჯავახიშვილმაც გაიზიარა. იხილეთ: **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია. წ. I. – *თხზულებანი თორმეტ ტომად*, თბ. 1979, ტ. I, გვ. 140-141.

¹⁰ **მ. წერეთელი.** ხეთების ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა. კონსტანტინოპოლი, 1924, გვ. 98.

¹¹ **მ. წერეთელი.** ხეთების ქვეყანა..., გვ. 99-100.

¹² **გ. გიორგაძე.** ხეთური ტრიადები. – *მნათობი*, №7, 1985, გვ. 147-157. იხ. ასევე: **გ. გიორგაძე.** ათასი ღვთაების ქვეყანა. თბ., 1988, გვ. 150.

¹³ **გ. გიორგაძე.** ათასი ღვთაების ქვეყანა..., გვ. 150.

რილობას მცირეაზიურ (ხეთურ-ხურიტული) ომისა და ტაროსის (თეშების) ღვთაებებთან მოუძებნა (გაუგლო) პარალელი. ხეთურ ტრიადაში ტაროსის მცველ ღვთაებად ხაცი იხსენიება¹⁴, მსგავსად არმაზის გვერდით მოხსენიებული გაცისა¹⁵.

ჩვენი ვარაუდით, გაცი და გაიმი (გა) ქართველთა წინაპრების მიერ მოტანილი ღვთაებებია, რომლებმაც ადგილობრივ წარმართულ პანთეონში სხვა ღვთაებებთან ერთად მყარად დაიმკვიდრეს ადგილი. ამ შემთხვევაში ჩვენ ვემხრობით გ. მელიქიშვილის მოსაზრებას, რომელმაც გაცი და გა ადგილობრივ ღვთაებად მიიჩნია¹⁶, ამდენად, ვერ დავეთანხმებით ნ. მარსა და მ. წერეთელს, რომლებიც სახელ გაცის გამოყვანას ასტარტედან და ყათედან ცდილობდნენ. ეტიმოლოგიურად ეს, ცოტა არ იყოს, საკმაოდ გვეჩვენება. სინამდვილესთან უფრო ახლოსაა გ. გიორგაძის ვერსია სახელ გაცის გამოყვანისა ხეთურ-ხურიტული ხაციდან, თუმცა ძნელი წარმოსადგენია (თუ ამ შემთხვევაში გ. გიორგაძის მოსაზრებას არმაზ-ტაროსის კერპების აღწერილობის სტრუქტურის იგივეობის შესახებ გავიზიარებთ) ხეთურ ტრიადაში მთავარი ღვთაებისადმი დაქვემდებარებული ღვთაება ხაცი-გაცი ქართველებში უფრო ადრე გაჩენილიყო, ვიდრე არმაზი.

არა გვეკონია, ამ შემთხვევაში ქართულ წერილობით წყაროებში რაიმე შეცდომასთან გვეჭონდეს საქმე, რადგანაც მათთვის თანაბრად ცნობილია როგორც გაცი და გა, ისევე არმაზიც. ლეონტი მროველი „*მეფეთა ცხოვრებაში*“ სახელ არმაზს სპარსულ სამყაროს უკავშირებს¹⁷, მაშინ როდესაც წმინდა ნინოს ცხოვრ-

¹⁴ გ. გიორგაძე. ათასი ღვთაების ქვეყანა..., გვ. 145.

¹⁵ გ. გიორგაძე თავის ამ მოსაზრებას იმით ასაბუთებდა, რომ ექვთიმე მთაწმინდელის „*მცირე სჯულის კანონში*“ ქართველთა წარმართ ღვთაებათა შორის მხოლოდ ბოჩი, გაცი, ბადაგონ და არმაზ არიან მოხსენიებული. ჩვენი მხრიდან შევნიშნავდით, რომ მარიამ დედოფლისეულ „*ქართლის ცხოვრებაში*“, საწინააღმდეგოდ ექვთიმე მთაწმინდელის ცნობისა, არმაზის გვერდით მხოლოდ „*კერპი ოქროსა... გაიმაა*“ ნახსენებო: „და კუადად იყო: მარჯუენით: მისსა: სხუად კერპი ოქროსა: სახითა: კაცისათა: მდგომარე და სახელი მისი გაიმაა რომლენი იგი ღ'თად უჩნდა ერსა“. იხ.: *მარიამ დედოფლისეული „ქართლის ცხოვრება*“, გვ. 71.

¹⁶ Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии..., გვ. 317.

¹⁷ *ქართლის ცხოვრება*, ტ. I, გვ. 25.

ბაში გაცი და გაიმი (გა) „ძუელნი ღმერთნი მამათა ჩუენთან“-ად იწოდებიან. ამასთანავე, შევნიშნავთ იმასაც, რომ ფარნავაზი ქართლის სამეფოს სათავეში აზოს დამარცხების შემდეგ მოდის, ამ უკანასკნელს კი ლეონტი მროველი „მუქ ფერებში“ წარმოგვიდგენს¹⁸. ფარნავაზი ქართლის სამეფოს სათავეში აზოს დამარცხების შემდეგ რიგ რეფორმებს ატარებს, რომელთა შორის არმაზის კერპის თაყვანისცემის შემოღებაცაა, ანუ „რელიგიური რეფორმა“. ლეონტი მროველთან არაფერია ნათქვამი იმაზე, შეეხო თუ არა ფარნავაზის „რელიგიური რეფორმა“ აზოს მიერ შემოტანილ კერპებს, მხოლოდ „წმინდა ნინოს ცხოვრებიდან“ ვიგებთ, რომ გაცი და გაც (გაიმის) კერპები მოთავსებული იყვნენ მთავარი ღვთაება არმაზის გვერდით და ერთგვარ ტრიადას ქმნიდნენ¹⁹.

ამასთანავე, ქართული წერილობითი წყარო რამდენჯერმე ხაზს უსვამს გაცი და გა-ს წარმოშობას და მათ შექმნას ქართველთა წინაპრებს უკავშირებს. მაშასადამე, აზოს დამარცხებით და ქართლის სამეფოს სათავეში ფარნავაზის მოსვლით გაცი და გა-ს არსებობა არ შეუწყვეტიათ, შესაძლოა იმიტომ, რომ ქართველთა უძველესი ღვთაებები იყვნენ და მათი სპარსული ღვთაებებით ჩანაცვლება კი არ მოხდა, არამედ ადგილობრივი ქართული ღვთაებების შერწყმა მოხდა სპარსულთან²⁰. თუმცა, მართლ

¹⁸ „იყო კაცი ძნელი და მესისხლე... და ამცნო სპათა მისთა, ვითარმედ: „ყოველმან ქართველმანმან რომელმან პოვოს საჭურველი, მოკალთ იგი... და ესე აზონ მათ ჰრომთა ზედა იყო მესისხლე“. იხ.: *ქართლის ცხოვრება*, ტ. I, გვ. 20.

¹⁹ რომელსაც გრ. გიორგაძემ „არმაზული ტრიადა“ უწოდა. **გრ. გიორგაძე**. ათასი ღვთაების ქვეყანა..., გვ. 149.

²⁰ ამ შემთხვევაში ჩვენ ვიზიარებთ გრ. ქანთარიას მოსაზრებას: „აზონის კერპები ქრისტიანობის გავრცელების ხანაში იწოდებოდნენ: „ძუელნი ღმერთნი მამათა ჩუენთან“. ლეონტი მროველის მიერ მათი ამ სიტყვებით მოხსენიება ნათელს ხდის, რომ აზონის ღვთაებანი ძალით დანერგილ კერპებს არ წარმოადგენდნენ. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ რელიგიურ რეფორმატორ ფარნავაზს გაციისა და გაიმის კანონიკურობის საკითხი არ დაუსვამს. ისინი დატოვა, ოღონდ მათზე მადლა დააყენა არმაზის კერპი. ცხადია, ქართულ გარემოში ფართოდ გავრცელებული წარმოდგენები, რომელთა წარმომავლობაც, დასაშვებია, მომდინარეობდა არიან ქართლიდან და ცნობილი იყო ქართველთა დიდი ნაწილისათვის, აზონმა აიყვანა უმაღლეს რანგამდე. იხ.: **გრ. ქანთარია**. აზონი. თბ., 2000, გვ. 45-46.

ეს ფაქტები არ კმარა იმისათვის, რომ გაცი და გა ადგილობრივი, ქართული წარმოშობის ღვთაებებად მივიჩნიოთ, მით უმეტეს, რომ გვიანდელ ხალხურ გადმოცემებში, ტრადიციებში ასეთი სახელის მატარებელი ღვთაებები არ დასტურდება, არც იმის ფაქტები გაგვჩნია, მათთვის რაიმე სალოცავი დაედგათ. საქართველოში არ დასტურდება ტოპონიმიკური ადგილები, რომლებიც გაცი და გაიმის (გა-ს) სახელთან შეიძლება დაგვეკავშირებინა, განსხვავებით არმაზისა, ზედაზენის. თუმცა, ვოვლით, რომ გაცი და გაიმის (გა-ს) ეტიმოლოგიის გამორკვევა, იქიდან გამომდინარე, რომ მათ ქართული წერილობითი წყარო „ძუელნი ღმერთნი მამათა ჩვენთანს“ უწოდებს, ქართულ ლექსიკაშია საძებარი.

ძნელია, რაიმე შესატყვისი მოვუძებნოთ გა-ს (გაიმს), რადგანაც ის „ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა ვარიანტში განსხვავებულად იხსენიება – გაიმა²¹, გიმ²², გაიმ²³, გაიამ, გა. ამასთანავე²⁴, სულხან საბა ორბელიანის განმარტებით, „გა – ართონი არს სიტყვანი, რომლისა მიერ ითქმის გაღმრთობა, გამეფება, გაუფლება, გაცხოელება, გაქალაქება, გაკეთება, გაცემა, გაბოროტება და ესევეითარნი“.²⁵ თითქოს უფრო ადვილია მეორე კერპის, გაცის ეტიმოლოგიის გამორკვევა, ის შესაძლოა გაცისკრებას უკავშირდებოდეს. სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონის განმარტებით, „გაცისკრება არს უწინარეს განთიადისა“.²⁶ აქ თითქოს გაცის ფუნქციებიც გაირკვა და ის ცისკართანაა კავშირში. რამდენად მართებულია მსგავსი ვარაუდი, პასუხი ამ კითხვაზე ქართულ წერილობით წყაროებშია საძებარი. ლეონტი მროველი ამ კერპების

²¹ მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრება, გვ. 71.

²² ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული, გვ. 55.

²³ ქართლის ცხოვრება. ძველი სომხური თარგმანი, გვ. 103. **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა – ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ, ტ. IV. თბ., 1973, გვ. 16, 78. *ქართლის ცხოვრება.* ანა დედოფლისეული, გვ. 65.

²⁴ შატბერდის კრებული X საუკუნისა, გვ. 320, 337, 340.

²⁵ **სულხან საბა ორბელიანი.** ლექსიკონი ქართული. ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებითი ლექსიკის სახით საძიებელი დაურთო **ილია აბულაძემ.** თბ., 1991, გვ. 126.

²⁶ **სულხან საბა ორბელიანი.** ლექსიკონი ქართული, გვ. 152.

ქართლში დამკვიდრებას აზოს უკავშირებს და მათ ოქროსა და ვერცხლის კერპებად მოიხსენიებს²⁷. „წმინდა ნინოს ცხოვრებიდან“ კი მათ სქესსაც ვიგებთ, ისინი მამაკაცი ღვთაებები ყოფილან²⁸.

საერთაშორისო სიმბოლიზმის მიხედვით, ლითონის სიმბოლიკაში ვერცხლი მთვარესთანაა კავშირში²⁹, „ოქრო კი ადრეულ სტადიაში მზესთან ასოცირდებოდა... მისი ასოციაციის გამო მზესთან ოქრო ითვლებოდა მამაკაცური საწყისის სიმბოლოდ“.³⁰ ჩვენს შემთხვევაში „წმინდა ნინოს ცხოვრება“ გაცი-ს ოქროს მამაკაც კერპად წარმოგვიდგენს, რაც სრულიად შეესაბამება სიმბოლიკის მიხედვით მის მზესთან და მამაკაცურ საწყისთან დაკავშირებას, თუმცა აქვე იმასაც შევნიშნავთ, რომ თუ შატბერდის კრებულში, ქართლის ცხოვრების ძველ სომხურ თარგმანში, ანასეულ ნუს-

²⁷ თუმცა „ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა რედაქციის „მეფეთა ცხოვრების“ ნაწილში ორივე კერპი ვერცხლისად იწოდება (იხ.: ქართლის ცხოვრება. ძველი სომხური თარგმანი..., გვ. 28; ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული..., გვ. 14, მარიამ დედოფლის ქართლის ცხოვრება, გვ. 16). ამასთანავე, „ქართლის ცხოვრების“ ანა და მარიამ დედოფლისეულ რედაქციებში, როდესაც აზოს მიერ ამ კერპების ქართლში დამკვიდრებაზეა საუბარი, გაცი და გაიმის სახელები არ იხსენიება – „და შექმნა კერპნი ვერცხლისანი განწმენდად“ (ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული..., გვ. 14; მარიამ დედოფლის ქართლის ცხოვრება, გვ. 16). შატბერდის კრებულში კი, როდესაც აზოსთან დაკავშირებით ამ კერპებზეა საუბარი, მხოლოდ მათი სახელები იხსენება: „და თანაჲყვანდეს კერპნი ღმრთად გაცი და გა“ (შატბერდის კრებული X საუკუნისა..., გვ. 320). წმინდა ნინოსთან დაკავშირებულ თხზულებებში, კერპის სახელებთან ერთად, ვიგებთ იმასაც, თუ რომელი ძვირფასი ლითონებისგან იყვნენ შექმნილი: „და კუალად იყო მარჯუენით მისსა (ანუ არმაზისა) კაცი ოქროსი და სახელი მისი გაცი: და მარცხენით მისსა უდგა კაცი ვერცხლისა და სახელი მისი გაიმ, რომელნი იგი ღმრთად უნდდეს ერსა მას ქართლისასა“ (ქართლის ცხოვრება..., ტ. I, გვ. 89-90).

²⁸ აქედან გამომდინარე, მცდარი უნდა იყოს გა-ს დაკავშირება ქალღვთაება ანტარტესთან.

²⁹ **Джек Тресидер.** Словарь Символов. М., 2002, გვ. 331-332. ვერცხლი არის მთვარის, ქალის, ციური ნიშანი, ღვთაება არტემიდას – მთვარის ღვთაების ატრიბუტი, ასევე მეფეთა ლითონი. ასოციაციის გამო მთვარის შუქთან, მას აღარებენ იმედის სინათლესთან და სიბრძნესთან.

³⁰ **Джек Тресидер.** Словарь Символов..., გვ. 122-123.

ხაში გაცი ოქროს კერპად წარმოგვიდგება, მარიამისეულ ნუსხაში ოქროს კერპად გაიშა მოხსენიებული³¹. ვახუშტი ბატონიშვილი კი ამ ფაქტს ნაკლებმნიშვნელოვან როლს ანიჭებდა, რადგანაც ერთგან ის ხაზგასმით მიუთითებდა: „აზონ... ქმნა კერპნი ღიღნი – გაცი ოქროსა და გაიმ ვერცხლისა“³², მეორეგან კი, როდესაც არმაზის კერპს და მის თანამდევ ღვთაებებს აღწერს, ამბობს: „არმაზის იმიერ და ამიერ იყო გაიმ და გაციმ ოქროსი და ვერცხლისა“.³³ ამ შემთხვევაში გაუგებარია გაიშა ოქროს კერპი თუ გაცი. პასუხი, ჩვენი აზრით, მამაკაცური საწყისის ოქროს კერპ გაციის სიმბოლიკაში (რომელიც მზესთან ასოცირდება) და ეტიმოლოგიაშია საძებარი, რომელიც ჩვენ გაციისკრებასთან დავაკავშირეთ.

წმინდა ნინოს ცხოვრება ძვირფას ცნობებს გვაწვდის გაცი და გაიმის ღვთაებრივი ფუნქციების შესახებ. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ სხვადასხვა რელაქცია მათ „ყოველთა დაფარულისა გამომძიებელნს“ უწოდებს³⁴. „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანიდან კი ვიგებთ, რომ „ჩვენი მამების ძველი ღმერთები, გაიმი და გაციმი... მზის აღმომბარწყინებლები და წვიმათა მომცემლები და ქვეყნის ნაყოფთა აღმომაცუნლები“³⁵ ყოფილან. ერთი შეხედვით, გაციის უნდა შეესაბამებოდეს „ქართლის ცხოვრების“ ამ რელაქციაში დაცული „მზის აღმომბარწყინველი“, მაგრამ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ სხვა ნუსხებში გაციისა და გაიმის ღვთაებრივი ფუნქცია მხოლოდ „ყოველისა დაფარულის გამოძიება“ ყოფილა, ამასთანავე, „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი, ღვთაებათა აღწერის დროს, არ იხსენებს არც არ-

³¹ „და კუალად იყო: მისსა: სხუაი კერპი ოქროსა: სახითა: კაციისათა: მდგომარე და სახელი მისი გაიშა“ (მარიამ დედოფლის ქართლის ცხოვრება, გვ. 71).

³² ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა..., გვ. 55.

³³ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა..., გვ. 78.

³⁴ ანა დედოფლისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ კი ვკითხულობთ: „ყოველისა წარუვადისა გამომძიებელნი, ძუელნი ღმერთნი მამათა ჩვენთანნი გაცი და გაიმი“ (ქართლის ცხოვრება. ანა დედოფლისეული..., გვ. 65).

³⁵ ქართლის ცხოვრება, ძველი სომხური თარგმანი..., გვ. 103.

მაზს და არც ზადენს³⁶.

ქართულ წერილობით წყაროებში გაცის ფუნქციების გასარკვევად არასაკმაო ცნობებია. მარტო მის გაცისკრებასთან და, სომბოლიზმის მიხედვით, ოქროს კერპის მზესთან დაკავშირება, არაღამაჯერებელია და მის ღვთაებრივ ფუნქციებს გაურკვეველს ტოვებს, მით უმეტეს, თუ შევნიშნავთ იმასაც, რომ „*წმინდა ნინოს ცხოვრება*“ „ყოვლისა დაფარულისა გამოძძიებლებად“ იხსენიებს, რაც არავითარ კავშირში არ უნდა იყოს გაცისკრებასთან და მზესთან. ამ საკითხის უკეთ გასარკვევად საჭიროა გაცი და გაიმ(გა-ს)-თან დაკავშირებული პარალელური მასალების მოძიება სომხურ წარმართულ პანთეონში, გამოძინარე იქიდან, რომ ქართული წარმართული პანთეონის ღვთაებების: არმაზის, აინინას პარალელებს სომხურ არამაზდში და ანაიტიში, ნანეში ვხვდავთ. თავიდანვე შევნიშნავთ, რომ სომხური წარმართული პანთეონისათვის და სომხური წერილობითი წყაროებისათვის გაცი და გაიმის (გა-ს) სახელის მატარებელი ღვთაებები არ გვხვდება. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც გაცი და გაიმი (გა) „ძუენნი ღმერთნი მამათა ჩვენთანი“, ანუ ქართველთა წინაპრების ღვთაებები ყოფილან.

სანამ ქართული გაცი და გაიმის პარალელების ძიებას შევუდგებოდეთ სომხურ წარმართულ პანთეონში, გვსურს რამდენიმე სიტყვით შევეხოთ ღვთაება არმაზის საკითხს, რომლის გვერდითაც, „*წმინდა ნინოს ცხოვრების*“ მიხედვით, მოთავსებული იყვნენ გაცი და გაიმი (გა). მეცნიერთა ერთი ნაწილი ცდილობდა არმაზი აპურამაზდასთან, ტაროსთან, ანდა მთვარის ღვთაება არმასისთვის დაეკავშირებინა, ჩვენ არ შევუდგებით თითოეული ამ მეცნიერის მოსაზრების განხილვას, ამ შემთხვევაში უფრო საინტერესოა ს. მაკალათიას და კ. კეკელიძის მოსაზრე-

³⁶ საყურადღებოა ისიც, რომ „*ქართლის ცხოვრების*“ ძველ სომხურ თარგმანში გაცი და გაიმისადმი ყველა ის ფრაზაა ნახმარი, რომელიც სხვა რედაქციებში არმაზთან და ზადენთან მიმართებაშია გამოყენებული. ერთადერთი ეპითეტი, რომელსაც „*ქართლის ცხოვრების*“ ძველი სომხური თარგმანი გაცი და გაიმთან მიმართებაში არ ხმარობს „სოფლის მპყრობელია“, რაც თავისთავად იმას უნდა გულისხმობდეს, რომ გაცი და გაიმი უმაღლეს ღვთაებებად არმაზის კულტის შემოღების შემდეგ არ მოიაზრებოდნენ.

ბების გაცნობა, რომლებიც პირველნი შეეცადნენ „წმინდა ნინოს ცხოვრებაში“ დაცული არმაზის კერპისთვის არა მარტო მისი ეტიმოლოგიის, არამედ აღწერილობის სტრუქტურის მიხედვით მოექებნათ პარალელი, ასეთად კი მიხრ-იაშტებში ირანული ღვთაება მითრას აღწერილობა მიიჩნიეს³⁷.

„წმინდა ნინოს ცხოვრების“ ავტორი შემდეგნაირად აღწერს ღვთაება არმაზს და მის თანამღევ ორ ღვთაებას: „იღვა კაცი ერთი სპილენძისა, და ტანსა მას ეცუა ჯაჭვ კქროსი, და თავსა მისსა ჩაბალახი მყარი, და თვალნი ესხნეს ზურმუხტი და ბივრილი, და ხელთა მისთა აქუნდა ხრმალი ბრწყინვალე, ვითარცა ელვა იქცეოდა ხელთა შინ – უკეთუ ვინმე შეეხებიან, თავი თვისი სიკუდილად განწირა. და კულად იყო მარჯუენით მისსა კაცი ოქროსი და

³⁷ ს. მაკალათია. ღვთაება მითრას კულტი საქართველოში. თბ., 1927, გვ. 189. კ. კეკელიძე შენიშნავდა: „ქართველები იცნობდნენ მითრაიზმს, პირველი – იმიტომ, რომ მჭიდრო კავშირი ჰქონდათ მცირე აზიის ქვეყნებთან, II – აპურამაზდა-არმაზის რელიგია, განსაკუთრებით სასანიდების პერიოდში სახელმწიფო რელიგია იყო, III – მითრაიზმის წესები-ჩვეულებები დღესაც შემორჩა... ჯერ კიდევ ნ. მარმა აღნიშნა და მერე გერმანელმა მეცნიერმა ო. ფ. ვეზენდოკმა გაიმეორა, რომ ზადენი, რომელსაც ქართულ მატრიანეში ყველგან არმაზის შემდეგ მეორე ადგილი უჭირავს და მის გვერდით ვხედავთ, უნდა იყოს ავესტის ყაზატა ან სპარსული ყაზადან, რაც კეთილ გენიას ნიშნავს, პირველყოვლისა მითრას. მეორე, მაზდეანობამ კერპთაყვანისმცემლობა არ იცოდა საზოგადოდ, კერძოდ არსად არ აკეთებდნენ და არ დგამდნენ აპურამაზდას ან არმაზის კერპს. მიუხედავად ამისა, მემატრიანის გადმოცემით, ქრისტიანობის შემოდგომისას, ჩვენში, მცხეთაში, თითქოს იღვა არმაზის კერპი, მხედრის ატრიბუტით, რომელიც ჩვენში წინაპრების სამლოცველოს შეადგენდა და რომელიც თითქოს სეტყვათა და მეხთატეხით შეიმუხრა... ამ გარემოებას ნ. მარი და ი. ჯავახიშვილი ხსნიან მაზდეანობის ქართულ ნიადაგზე გადაგვარებითა და შეცვლით, მაგრამ უფრო ახლოს ვიქნებით სიმართლესთან, თუ ვიფიქრებთ, რომ გულუბრყვილო მემატრიანემ ტყუილად მონათლა არმაზის სახელით ის კერპი, რომელიც ნამდვილად წარმოადგენდა მითრას გამოხატულებას. მითრა ყველა დღემდე აღმოჩენილ ბარელიეფზე წარმოდგენილია, როგორც მხედარი: მას ასხია სამხარი, თავზე ახურავს ჩაფხუტისებური ქუდი და ხელში უჭირავს აღესილი ხანჯალი, რომლითაც ის ხარს კლავს“. იხ.: კ. კეკელიძე. ქრისტიანობა და მითრაიზმი. – ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II. თბ., 1945, გვ. 350-351.

სახელი მისი გაცი და მარცხენით მისსა უღვა კაცი ვერცხლისა, და სახელი მისი გაიმ³⁸ გამოძინარე იქიდან, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ზოროასტრიზმი იყო გავრცელებული, არ აკეთებდნენ, არ დგამდნენ აჰურამაზდას კერპს³⁹, მისაღებია კ. კეკელიძის მოსაზრება, რომ „გულუბრყვილო მემატთანემ ტყვილა მონათლა არმაზის სახელით ის კერპი, რომელიც ნამდვილად წარმოადგენდა მითრას ბარელიეფის გამოსახულებას“.⁴⁰ მიხრ-იაშტების მიხედვით:

„მითრას ხელში უჭირავს
გურზი, რომელსაც ასი კოპი აქვს,
ასი მჭრელი წახნავით,
რომელიც მეომართა გასანადგურებლადაა მიმართული.
ეს გურზი ჩამოსხმულია ოქროს ლითონისგან,
მყარი ოქროსგან.
ეს ყველაზე ძლიერი და გამარჯვების
მომტანი იარაღია“.⁴¹

„წმინდა ნინოს ცხოვრებიდან“ ვიგებთ, რომ არმაზს „ხელთა მისთა აქუნდა ზრმალი ბრწყინვალე, ვითარცა ელვა, და იქცეოდა ხელთა შინა. უკეთუ ვინმე შეეხებიან, თავი თვისი სიკუდილად განწირის და იტყვიან: „...ნუ უკუე პოოს ვინმე ბიწი და მცეს მე მახვილი იგი, რომლისგან ეშინის ყოველსა“.⁴² სულხან საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ განმარტებით, ბიწი – „კნინი რამე შერყენილება“⁴³ ანუ მცირედი სიყალბეა, მითრა კი, მიხრ-იაშტების მიხედვით, არის ღვთაება, რომელიც სიცრუეს, სიყალბეს არავის ჰპატიობს:

³⁸ *ქართლის ცხოვრება*., ტ. 1, გვ. 89-90.

³⁹ ჩვენ ვერ მივიჩნევთ ბეჰისტუნის კლდეზე, ნიმრუდ დადის ყორღანებში აღმოჩენილ სარკოფაგებზე წარმოდგენილ აჰურამაზდას რელიეფურ თუ ბარელიეფურ გამოსახულებებს კერპებად.

⁴⁰ კ. კეკელიძე. ქრისტიანობა და მითრაიზმი., გვ. 351.

⁴¹ *Михр-яшт*. Глава 10 из книги „Яшт“. – *Литература древнего Востока*. Тексты. Авторы-составители Ю. М. Алиханова, В. Г. Никитин, Л. Е. Померанцева. М., 1984, гв. 38 (რუსულიდან თარგმანი ჩვენია – ვ.ვ.).

⁴² *ქართლის ცხოვრება*., ტ. 1, გვ. 89.

⁴³ **სულხან საბა ორბელიანი**. სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი. **ს. იორდანიშვილის** რედაქციით და წინასიტყვაობით. თბ., 1949, გვ. 67.

„თავს ჰკვეთს მითრა ხალხს, რომლებმაც ის მოატყუა,
ყოველ მხარეს ცვივა თავები
ადამიანებისა, რომლებმაც მითრა მოატყუეს“.⁴⁴

ამასთანავე, „წმინდა ნინოს ცხოვრებაში“ აღწერილ ღვთა-
ება არმაზს, მითრას მსგავსად, ორი თანამდევი ღვთაება ახლავს.
ქართველ მემატიანესთან ვკითხულობთ: „და კუალად იყო მარ-
ჯუნით მისსა კაცი ოქროსი და სახელი მისი გაცი და მარცხე-
ნით მისსა უღვა კაცი ვერცხლისა და სახელი მისი გაიმ“, მიხრ-
იაშტებიდან კი ვიცით, რომ მითრას ასეთი თანამდევი ორი ღვთაება
სროშა და რაშნუ ჰყავდა:

„მის ხელმარჯვნივი მოღის,
კეთილი და სამართლიანი სროშა,
ხელმარცხნივ მაღალი, ძლიერი რაშნუ“.⁴⁵

მიხრ-იაშტების მიხედვით, სროშა და რაშნუ მითრას ეხმა-
რებიან მტრის ძლევაში⁴⁶. მითრას ხშირად გამოსახავდნენ სხვა
ორი თანამდევი ღვთაების კაუტო და კაუტოპატის გარემოცვაში,
რომელთაც ხელში ჩირაღდნები ეჭირათ და დიღის და საღამოს
ვარსკვლავებს განასახიერებდნენ⁴⁷. თუ კ. კეკელიძის მიერ შემო-

⁴⁴ *მიხრ-იაშტ.* Глава 10, გვ. 36 (რუსულიდან თარგმანი ჩვენია – ვ.ვ.).

⁴⁵ *მიხრ-იაშტ.* Глава 10, გვ. 38 (რუსულიდან თარგმანი ჩვენია – ვ.ვ.).

⁴⁶ *მიხრ-იაშტ.* Глава 10, გვ. 37. „სროშა“ ირანულ მითოლოგიაში რე-
ლიგიური დამჯერებლობისა და წესრიგის სულია... ის მოწოდებუ-
ლია, რათა უკუაგდოს მორწმუნეებში ცოდვა და დაიცვას ისინი
ბოროტი ძალებისაგან... ამისათვის სროშა შეიარაღებულია კვერთ-
ხით, შუბით, საომარი ნაჯახით... მოგვიანო პერიოდში გავრცელდა
მითი სროშაზე და რაშნუზე, როგორც მითრას თანამდევ ღვთაებებ-
ზე, რომლებიც მითრასთან ერთად გამოდიან მოსამართლეებად გარ-
დაცვლილთა სულებზე ჩინვანტის ხიდზე (იხ.: *Мифы народов мира.*
Т. II. Главный редактор С. А. Токарев. М., 1988, გვ. 467). „რაშნუ“ სამარ-
თლიანობის სულია. მითრასთან და სროშასთან ერთად ერთ-ერთი
მოსამართლე გარდაცვლილთა სულებზე, რომელიც ავლენს კეთილ
და ბოროტ ქმნილებებს. ამისათვის მას სასწორი უჭირავს, რაშნუ
მითრას მუდმივი თანამდევია (იხ.: *Мифы народов мира*, т II, გვ. 373).

⁴⁷ *Мифы народов мира*, т II, გვ. 156. კაუტო და კაუტოპატი იყვნენ ამო-
მავალი და ჩამავალი მზის განმსახიერებლები, როგორც იმედი და
მწუხარება. კაუტოს ყოველთვის ხელთ ეპყრა მაღლა აწეული ჩირაღ-
დანი, კაუტოპატის პირიქით, ძირს დაშვებული. მათ ეცვათ სპარსუ-
ლი ტანისამოსი და ეხურათ ფრიგიული ქუდეები.

თავაზებულ მოსაზრებას არმაზ-მითრას კერპების აღწერილობის სტრუქტურის იგივეობის შესახებ გავიზიარებთ, გაცი და გაიმის (გა-ს) პარალელი შესაძლოა სროშაში და რაშნუში, ანდა კაუტო და კაუტოპატში ღვინანოთ, თუმცა ასეთი სახელის მატარებელი ღვთაებები ქართული წარმართული პანთეონისათვის, წერილობითი წყაროებისათვის, ხალხური ფოლკლორისათვის უცნობია.

მიუხედავად ამისა, შესაძლებელია სროშა და რაშნუს ღვთაებრივი ფუნქციების შედარება გაცი და გაიმის (გა-ს) ღვთაებრივ ფუნქციებთან, რომელთაც ქართული წერილობითი წყარო „ყოვლისა დაფარულისა გამოძიებლებს უწოდებს“, რაც შეიძლება გავიაზროთ როგორც მართლმსაჯულები ან მოსამართლეები, რაც სროშა და რაშნუს მოვალეობებშიც შედის⁴⁸. მეორე მხრივ, პარალელის გავლება შეიძლება კაუტო და კაუტოპატთანაც, რომლებიც ამომავალ მზეს და მთვარეს განასახიერებდნენ, ჩვენს შემთხვევაში კი ოქროს გაცის და ვერცხლის გაიმის სიმბოლიკური განმარტებაც იგივეა, ამასთანავე, გაციდან გამოსულად მიგვაჩნია სიტყვა გაცისკრებაც⁴⁹.

თუ ჩვენი მოსაზრება გაცი და გაიმის (გა-ს) კავშირისა კაუტო-კაუტოპატთან, ან სროშა-რაშნუსთან სწორია, რატომ ვაწყდებით ასეთ წინააღმდეგობას მოცემული ღვთაებების ეტიმოლოგიის დადგენისას? ჩვენი აზრით, ამ კითხვაზე პასუხი სომხურ წარმართულ პანთეონშია საძებარი, რომელმაც თავის დროზე სპარსული ზოროასტრული პანთეონის გავლენა განიცადა⁵⁰, თუმცა, მსგავსად ქართული წარმართული პანთეონისა, მასშიც არ ვხვდებით სროშას, რაშნუს, კაუტო, კაუტოპატის სახელების

⁴⁸ *Литература древнего востка...*, გვ. 317.

⁴⁹ ერთი შეხედვით, თითქოს შესაძლებელია გაცი ან გა (გაიმის) ეტიმოლოგიის გამოყვანა კაუტო და კაუტოპატიდან, მაგრამ ეს საკმაოდ რთულია და არააღმაჯერებლად გვეჩვენება, ამასთანავე, გა-ს ეტიმოლოგია გაურკვეველია, ის სიტყვის წინსართი უნდა იყოს, ვერც გაცი-ს სახელს გამოვიყვანოთ მოცემული ღვთაების სახელიდან.

⁵⁰ სომხურ წარმართულ პანთეონში ვხვდებით რამდენიმე ღვთაებას, რომელთა ეტიმოლოგია თუ ღვთაებრივი ფუნქციები იძლევა ვარაუდის საფუძველს, დაეუკავშიროთ ზოროასტრული პანთეონის ღვთაებებს, მაგალითისათვის, არამაზდი, ვაჰაგანი, ანაიტიდი – ზოროასტრულ აპურამაზდას, ვერეთრაგნას, ანაპიტს.

მატარებელ ღვთაებებს. თუმცა ღვთაება მიზრის (იგივე მითრას) გვერდით სომხური წერილობითი წყაროები ორ თანამდევ ღვთაებას არეგ აკნსა და ლუს ინს იხსენებენ⁵¹. პირველის სახელი ითარგმნება, როგორც მზის თვალი, ის ხილული მზე იყო და ზენდავესტა „რომუზდის თვალსაც“ უწოდებდა, რომელიც უდაბნოებს ანაყოფიერებს, არასოდეს სძინავს, ქვეყნების მფარველია. არეგ აკნი ასევე „მამაკაცური სქესის ცეცხლის“ სიმბოლოცაა⁵². ლუს ინი კი მთვარეა, რომელიც „ქალური სქესის ცეცხლის“, რომელსაც მოვსეს ხორენაცი „ცეცხლ დას“-აც უწოდებს⁵³. ჩვენი ვარაუდით, ამ ღვთაებებს უნდა შეესაბამებოდეს მითრას თანმდევ კაუტო და კაუტოპატი, რომლებიც ამომავალი დილის და საღამოს ცისკარს განასახიერებდნენ.

როგორც ჩანს, ამ უკანასკნელთა ღვთაებრივი ფუნქციები და მნიშვნელობა ქართული და სომხური წარმართული პანთეონისათვის ცნობილი იყო. სომხურ წარმართულ პანთეონში მათი სახელების სომხურ ვარიანტს ვხვდებით – არეგ აკნი – არეგის თვალი, ხილვადი მზე, ლუს ინი – მთვარე. ქართულ ვარიანტში კი არეგ აკნს ოქროს კერპი გაცი უნდა შეესაბამებოდეს, რომელიც გაციისკრებასთან უნდა იყოს კავშირში და პარალელს ნახულობს ერთი მხრივ კაუტოსთან, მეორე მხრივ კი არეგ აკნთან (ეს უკანასკნელი კი სპარსული კაუტოს სომხური ვარიანტია). ირკვევა მეორე კერპის გას (გაიმის) ღვთაებრივი დატვირთვა – ის მთვარის ღვთაებაა, მსგავსად კაუტოპატისა და ლუს ინისა, თუმცაღა ამ შემთხვევაში ერთადერთ დამამტკიცებელ საბუთად მისი ვერცხლის კერპად და ოქროს კერპ გაციის გვერდით მოხსენიება შეიძლება მივიჩნიოთ.

აზონამდე ქართლში არ არსებობდა ერთიანი სახელმწიფო,

⁵¹ **მოვსეს ხორენაცი.** სომხეთის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო *ა. აბდალაძემ*. თბ., 1984, წ. II, თ. 8, გვ. 31. მოვსეს ხორენაცი წერს, რომ ამ ღვთაებების გამოსახულებები არმავირში ვალარშაკის მიერ იქნა დადგმული.

⁵² *Исследования и статьи Н. О. Эмина по армянской мифологии, археологии, истории и истории литературы* (за 1858-1884 гг.). С приложением переводов из армянских историков. М. 1896, გვ. 27.

⁵³ **მოვსეს ხორენაცი.** სომხეთის ისტორია, წ. II, თ. 8.

იყვნენ ტომები, რომლებიც პირველობისათვის ერთმანეთს ებრძოდნენ, მათ სათავეში კი მამასახლისები უნდა მდგარიყვნენ. „აზონის გამოსვლა იყო პირველი ცდა გაერთიანების ღიდ გზაზე გასასვლელად. ყველა ტომი ცდილობდა დამოუკიდებლობისა და საკუთარი ტრადიციებით ცხოვრების გაგრძელებას... აზონმა შექმნა ქართველი ტომების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების პრეცედენტი“.⁵⁴ ქართლის ტერიტორიაზე მოსახლე ცალკეულ ტომებს საკუთარი ღმერთები უნდა ჰყოლოდათ, ისევე როგორც აზოს მიერ შემოტანილი კერპები გაცი და გაიმი (გა) იყვნენ ღმერთები შორეულ წინაპართა არიან ქართლიდან. ტომთა შორის ბრძოლების გამარჯვებულ „ბელადს“ აზოს მოჰყავს თავისი კერპები გაცი და გაიმი (გა), რომელთა თაყვანისცემასაც აწესებს. რა ბედი ეწიათ ამ კერპებს ქართლის სამეფოს სათავეში ფარნავაზის მოსვლისა და მისი რელიგიური რეფორმის შემდეგ, ლეონტი მროველი „*მეფეთა ცხოვრებაში*“ ამის შესახებ ცნობებს არ გვაწვდის. შემდგომი ცნობები გაცი და გაიმის შესახებ „*წმინდა ნინოს ცხოვრებაში*“ დაცული, საიდანაც ვიგებთ, რომ ისინი უმაღლესი ღვთაება არმაზის გვერდით იყვნენ მოთავსებულნი. თუმცა, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, არმაზი ამ შემთხვევაში არ შეიძლება იქნას გააზრებული აპურამაზად. ვერ დავეთანხმებით მ. გველეხიანის მოსაზრებას, რომ „*წმინდა ნინოს ცხოვრებაში*“ არმაზის კერპის აღწერილობაში აპურამაზდას აღწერილობაა დაცული⁵⁵. გამომდინარე იქიდან, რომ აპურამაზდას მსგავსი სახის კერპი, როგორც ეს ქართულ წერილობით წყაროებშია აღწერილი, არ გავაჩნია⁵⁶. ჩვენთვის მისაღებია კ. კეკელიძის მოსაზრება: ნინოს

⁵⁴ გ. ქავთარია. ფარნავაზი. თბ., 1999, გვ. 50-51.

⁵⁵ მ. გველეხიანი. არმაზის კერპის კულტურულ-ისტორიული ასპექტები. *არმაზის კულტის დეფინიციისათვის*. დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად (ხელნაწერის უფლებით). თბ., 2003.

⁵⁶ ბეჰისტუნის კლდეზე, ნიმრუდ დაღის ყორღანების სამარხ სამლოცველოთა კომპლექსში წარმოდგენილი აპურამაზდას რელიეფური გამოსახულებები არ შეიძლება იქნას მოხმობილი „*წმინდა ნინოს ცხოვრებაში*“ აღწერილი არმაზის კერპის პარაღელად. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მოცემულია მეომარი მამაკაცის ფიგურის აღწერა, აპურამაზდა კი მსგავსად არმაზის ფიგურისა არსად გვხვდება.

ცხოვრების აღმწერს სინამდვილეში მხედველობაში ჰქონდა არა აპურამაზდა, არამედ ღვთაება მითრას აღწერილობა, ხოლო არმაზ-აპურამაზდას მეომარი ღვთაების აღწერა კი გულებრყვილო მემატიანის შეცდომა, ანდა ფანტაზიის ნაყოფია. ეს რომ სიმართლეს შეესაბამება, ამის დასტურია მიხრ-იაშტებში მითრას აღწერილობა, ჩვენამდე შემორჩენილი მისი რელიეფური გამოსახულებები თუ კერპები.

მითრას ხშირად გამოსახავდნენ სრომა და რაშნუს, ან კაუტო და კაუტოპატთან ერთად. სრომა და რაშნუ მითრას მტრის დაძლევაში ეხმარებოდნენ (ანუ მეომარი ღვთაების ფუნქციაც ჰქონდათ მინიჭებული), კაუტო და კაუტოპატი დილის და საღამოს ცისკარს განასახიერებდნენ, მსგავსად არმაზის თანმდევი გაცი და გაიმისა (გა-სი), რომელთაც ქართული წერილობითი წყაროები ოქროს და ვერცხლის კერპებად მოიხსენიებენ. სიმბოლიკის მიხედვით ოქრო მზის, ვერცხლი კი მთვარის სიმბოლოა, ამასთანავე, კერპ გაცი-ს სახელიდან უნდა მოდიოდეს სიტყვა გაცი-კრებაც. მათი მოხსენიება მეომარ ღვთაებებად და „ყოვლისა და ფარულისა გამომეძიებლებად“ უნდა მიანიშნებდეს მათ კავშირზე სრომა და რაშნუსთან⁵⁷. გაცი და გაიმი (გა) ზოროასტრული ღვთაების შემოსვლისა და ქართლში დამკვიდრების შემდეგ, კაუტო-კაუტოპატის, სრომა-რაშნუს ქართული შესატყვისი ღვთაებები უნდა გამხდარიყვნენ.

ქართლში ზოროასტრული პანთეონის შემოსვლამდე, არმაზის ამაღლებამდე „ძუელნი ღმერთნი მამათა ჩვენთანი, გაცი და გაიმ“ ბატონობდნენ ქართულ ოლიმპოზე. არმაზის დაბადებამ გაცი და გაიმ დაამცრო, მაგრამ თავის გვერდით მაინც დაუთმო ადგილი და გარკვეული ფუნქციებიც შეუნარჩუნა⁵⁸.

ქრისტიანობამ ქართლში დამკვიდრების შემდეგ წარმართულ კულტებს ბრძოლა გამოუცხადა, კერპები და წარმართული სა-

⁵⁷ რომლებიც მითრასთან ერთად ჩინვანტის ხიდზე გარდაცვლილ სულებზე მოსამართლეებად გამოდიან. ამასთანავე, სრომა და რაშნუს ღვთაებრივ ფუნქციებში მითრასთვის მტრის ძლევაში დახმარებაც შედის.

⁵⁸ გ. ქავთარია. ფარნაეაზი., გვ. 108.

ლოცავები მოსპო, მათ რიცხვში გაცი და გაიმისაც, რომელთა სახელებს შემდგომი პერიოდის ქართული წერილობითი წყაროები, საერო თუ სასულიერო ლიტერატურა, ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერება არ იხსენიებს.

ВЛАС А. ВАЦАДЗЕ

ГАЦИ И ГАЙ

Митру часто изображали вместе с Срошай и Рашну, или с Кауто, или с Каутопати. Сроша и Рашну помогали Митре в борьбе против врагов, т.е. им были присвоены функции войнов. Кауто и Каутопати были олицетворением утренней и вечерней зари, также как Гаци и Гай, которые обычно изображались вместе с Армазом. Они в грузинских письменных источниках упоминаются как золотой и серебряный идолы. Золото является символом солнца, а серебро – луны, вместе с этим от имени Гаци должно происходить слово заря (по грузинский „гацискреба“). Упоминание этих божеств как воинов и как „расследователей всего сокровенного“ указывает на их родство с Срошай и Рашну. Во время проникновения, а потом и упрочнения зороастрианства в Картли, „Боги Отчих наших Гаци и Га (Гайм)“ впитали в себя свойство иранских Богов.

VLAS VATSADZE

GATSI AND GAIM

Mithra is often depicted together with Sroshai and Rashnu, or with Cauto and Cautopati. Srosha and Rashnu helped Mithra in a fight against enemies, i.e. they had the functions of warriors. Cauto and Cautopati were the personification of the daybreak and nightfall. So were Gatsi and Gaim, who usually were depicted together with Armazi. They are mentioned as the Golden and the Silver idols in the Georgian written sources. Gold is a symbol of Sun, while silver is a symbol of Moon. At the same time, from the name of Gatsi has originated the word dawn (in Georgian “gatsikreba”). The mention of these deities as the warriors and “investigators of everything concealed” shows their relationship with Sroshai and Rashnu. At the time of penetration and strengthening of Soroastrism in Kartli, the “Gods of Our Paternals Gatsi and Gaim” absorbed the characteristics of the Iranian Gods.

მღვდელი ლევან მათეუშვილი

ქრისტიანობისა და წარმართული კულტების შრთიერთმიმართებისთვის

ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში, როდესაც ქრისტიანული მოძღვრება ჯერ კიდევ ახალი ფენადგმული იყო, სატირიკოსების ლუკიანესა და პეტრონიუსის აღწერით, ცხოვრების აზრის ბევრი მაძიებელი სიამოვნების და წუთიერი ტკბობის ფილოსოფიის აღმსარებელი იყო: „ვჭამოთ და ვსუათ, რამეთუ ხვალე მოვსწყდებით“¹ – წინასწარმეტყველ ესაიასგან აღებულმა პავლე მოციქულის ამ ციტატამ წარმატებით შეაჯამა იმდროინდელი ცხოვრებისეული სიბრძნე. ჩრდილო აფრიკის ერთ-ერთი პროვინციული ქალაქის ფორუმის კედელზე ამოტვიფრულია შემდეგი წარწერა: „ნადირობა, ცურვა, თამაში და სიცილი – აი, ეს არის ცხოვრება“. ცხოვრებისადმი ჰედონისტურ დამოკიდებულებას ქრისტიანობამ ესქატოლოგიური ერთიანობა დაუპირისპირა: ადამიანის მთელი ცხოვრება ცათა სასუფეველის მღვიძარე მოლოდინია. მაგრამ მხოლოდ ჰედონიზმი არ ყოფილა ქრისტიანობის მსოფლმხედველობის მოწინააღმდეგე.

საზოგადოების მოაზროვნე ნაწილი სახელმწიფოებრიობისა და კულტურისადმი რწმენით იყვნენ გამსჭვალულნი, რომელთა რელიგიური კუთვნილება ოფიციალური კულტების პომპეზურობით იყო განმტკიცებული. რომის იმპერიაში რელიგია პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. კერპების უგულებელყოფა სახელმწიფოებრიობის იდეალების შეურაცხყოფად ითვლებოდა. წარმართები ქრისტიანებს ათეიზმში (მრავალი ღმერთების თაყვანისმცემელ რომაელთათვის ერთი ღმერთის აღმსარებლობა

¹ 1 კორ. 15:32.

ულმერთობად ითვლებოდა) ადანაშაულებდნენ, რის მიზეზსაც კულტებისადმი მიძღვნილი მსხვერპლშეწირვის შესრულებაზე უარის თქმა წარმოადგენდა².

ქრისტიანების პოლიტიკური არაკეთილსაიმედლობის მჩვენებლად იქცა იმპერატორის როგორც ღვთაების თაყვანისცემაზე უარის თქმა. რიგ შემთხვევაში, ქრისტიანობის მიმართ ანტაგონიზმი ყოფით ხასიათს ატარებდა, კერძოდ, იმ ქალაქებსა თუ სოფლებში, სადაც ახალი მოძღვრება ვრცელდებოდა, წარმართული ტაძრები იცლებოდა, კერპებით ვაჭრობა მცირდებოდა, ხოლო ღვთაებებისადმი მსხვერპლშესაწირ ხორცზე მოთხოვნილება ქრებოდა³.

ხშირად ქრისტიანობის აპოლოგეტები მწვავე პოლემიკაში ემბეზდნენ წარმართ ფილოსოფოსებთან. ისინი ცდილობდნენ გამოეაშკარავებინათ ძველი მითების ამორალური ხასიათი, ამტკიცებდნენ რა, რომ კერპთაყვანისმცემლობა პატივისცემის ის ფორმაა, რომელიც ღმერთისთვის არასაკადრისია. მაშინ, როდესაც წარმართულ ტაძრებში გადასახადის გადახდა აუცილებელ ხასიათს ატარებდა, ქრისტიანულ თემებში შესაწირი ნებაყოფლობითი იყო. ქრისტიანები, ებრაელების მსგავსად, უარს ამბობდნენ წარმართი ღვთაებების თაყვანისცემაზე (ძველი აღთქმის, ათი მცნების მიხედვით), რის ნათელ დადასტურებასაც წარმოადგენს იმპერატორ ვალერიანესთან (რომის იმპერატორი 257-260წწ.) დაკავშირებული ამბავი. როდესაც იმპერატორმა ქრისტიანებს შესთავაზა მშვიდობა იმ პირობით, რომ ქრისტეს მიმართ თაყვანისცემის თანაბრად მათ პატივი უნდა ეცათ წარმართი ღვთაებებისადმი, ქრისტიანები მასთან ამ გარიგებაზე არ წავიდნენ⁴.

² **Justin**. Dialogue avec Trephon. Textes es Documents 8, 11. Réd. **G. Arcambault**. Paris, 1909; **Иустин**. Разговор с Трифоном иудеем. – **Св. Иустин**. Философ и Мученик. Творения. М., Паломник-Благовест, 1995, გვ. 132-358.

³ *Epistulae*. 10.96. Ed. by **B. Radice**. *Loeb Classical Library* 55-56 (1931-1935); **Плиний Младший**. Письма. Пер. **А. Доватура, М. Сергеев**. М., 1984.

⁴ **Евсений Кесарийский**. Церковная история. Согласно латинскому переводу **Руфина**. М., Спасо-Преображенский Валаамский монастырь, 1993, გვ. 187-189.

ძველი სამყარო ყოველივე ახალს ეჭვის თვალთ ხვდებოდა. II საუკუნეში ქრისტიანული რელიგია განსაკუთრებული სისადავით გამოირჩეოდა დიდებული ტაძრების, ღმერთების ქანდაკებების, მსხვერპლშეწირვისა და ხმაურიანი ქალაქური პროცესიების გარეშე⁵, რაც რომაელ ჩინონიკებში ეჭვს იწვევდა, რადგან მოძღვრებას, რომელსაც არ ჰქონდა ამგვარი საკულტო ატრიბუტები, მათი რწმენით, რელიგიად ვერ ჩაითვლებოდა. იგი უფრო საიდუმლო საზოგადოებას წააგავდა. ხელისუფალთა დამოკიდებულება ქრისტიანების მიმართ, შეიძლება ითქვას, მერყეობდა გულგრილობასა და მტრობას შორის.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ სახელმწიფოს მიერ ქრისტიანების ორგანიზებული დევნა არ ყოფილა. იმპერატორებს სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საზრუნავი ჰქონდათ. მხოლოდ რელიგიური კუთვნილების გამო ახალი მონოთეისტური რელიგიის მიმდევრებს არ იჭერდნენ. წარმართულ სამყაროში ქრისტეს მიმდევრები მტრულ გარემოცვაში იმყოფებოდნენ, რაც ხელს უშლიდა მათ მოედნებზე და ფართო აუდიტორიებში ქადაგებას. შესაბამისად, ქრისტიანული პროზელიტობა შეზღუდული ხასიათისა იყო.

წარმართული, განსაკუთრებით კი აღმოსავლური კულტმსახურების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს საიდუმლო მისტერიები წარმოადგენდნენ. მისტერიაში განდობილობა უაღრესად ინდივიდუალური საქმე იყო. განდობილობის პროცესის შინაარსის ბევრი რამ თანამედროვეთათვის გაუგებარია, რადგან მისტერიების ორგანიზატორები ცდილობდნენ, დაეფარათ ყოველივე ეს საიდუმლოების ფარდის ქვეშ. ზოგიერთ შემთხვევაში განდობილობის რიტუალს წინ უძღოდა მომზადების პერიოდი, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავდა ინტენსიურ შიმშილობას და რიტუალურ განწმენდას. განდობილობის წესს შეიძლება რამდენიმე საფეხური ჰქონოდა, როგორც, მაგალითად, მითრას (აღმოსავლური კულტი, რომელიც რომის პანთეონში დიდი პოპულარობით სარგებლობდა) მისტერიაში, რომელიც რომში ახ.წ. I საუკუნიდან შედის და II საუკუ-

⁵ *Minicii Felicis Octavius*. Ed. by **A. D. Simpson**. New York, 1938; **Минуций Феликс**. Октавий. Русск. пер. *прот. Преображенского*. – *Ранние отцы Церкви*, გვ. 545-590.

ნეში პოპულარულ ღვთაებას წარმოადგენდა⁶. დიონისეს და ორფეოსის მისტერიების საფუძველში ჩადებული იყო მითი გარდაცვალებაზე და მკვდრეთით აღდგომაზე (დიონისე, ოსირისი, ატისი) ან გმირის გაღმერთებაზე (ორფეოსი). ამ მისტერიების ექსტაზურ რიტუალებში ყოველი მონაწილე განიცდიდა სიკვდილსა და აღდგომას ძველი ბერძნული ანდაზის მიხედვით, რაიმეს სწავლა ყოველთვის განცდას ნიშნავს. ეს არის განცდა ატრაქციონში შიშის ოთახის ნახვისა, ან, თუ უფრო ფაქიზი გემოვნების მქონე პიროვნებაზე ვისაუბრებთ, ეს არის ემოცია ვაგნერის მუსიკის განცდისას.

ზოგი მისტერია, ელევსინის მსგავსად, მსურველებს ქალღმერთისგან დაბადებას სთავაზობდა. სხვები ჰპირდებოდნენ წმინდა ქორწინებას დიდ დედა კიბელასთან, რომლის კულტმა რომში გავრცელება ჯერ კიდევ ძვ.წ. 204წ. დაიწყო. მესამენი, დიონისეს მსგავსად, ჰპირდებოდნენ მათში მონაწილე მანდილოვნებს მისტიკურ ქორწინებას დიონისესთან. ჩვეულებრივ მისტერიების თანმხლები იყო ბაკქანალიები. ელინისტურ სამყაროში უკვდავების შეძენის სურვილი ბევრ ღვთაებასთან დაკავშირებულ რიტუალს ახასიათებდა. ბევრს სჯეროდა, რომ მისტერიებს ნაზიარები მორწმუნეები ღმერთების მეგობრები ხდებოდნენ, თავისუფლდებოდნენ დემონური ძალების გავლენისაგან და დიდი შანსი ჰქონდათ აიღში ბედნიერი ცხოვრებისა.

II საუკუნეში ქრისტიანების მიერ მისტერიები ბოროტებად აღიქმებოდა. მდგომარეობა მწვავედებოდა იმითაც, რომ რიგ შემთხვევაში რიტუალს გარეგნული მსგავსება ჰქონდა ქრისტიანულ საიდუმლოებასთან. გარეშე ადამიანს შესაძლოა ნათლისღება ეკლესიაში აღრეოდა წარმართების რიტუალურ განბანვაში, რომელსაც ისინი ასრულებდნენ მსხვერპლშეწირვის წინ⁷. მითრას მისტერიებში იყენებდნენ პურს და წყალს, რომელზედაც წარმოსთქვამდნენ შელოცვებს. ერთი ქრისტიანი აპოლოგეტის აზრით, ბოროტმა ღმერთებმა მოაწყვეს საქმე იმგვარად, რომ გაუთვითცნობი-

⁶ მ. მშიელიძე. რომი და აღმოსავლური რელიგიები ახ. წ. I-III სს. თბ., 2005, გვ. 86-106.

⁷ Иустин. Разговор с Трифоном иудеем..., გვ. 132-358.

ერებელ ადამიანს მითრას მისტერია ევქარისტიაში აღრეოდა⁸.

გააცნობიერეს რა ის ფაქტი, რომ მისტერიებსა და ქრისტიანულ საიდუმლოებებს შორის იყო გარეგნული მსგავსების ელემენტები, II საუკუნეში ქრისტიანობის აპოლოგეტები ისწრაფოდნენ, გამიჯვნოდნენ წარმართული ღმერთების თაყვანისცემის ყოველგვარ ფორმას, მისტერიების ჩათვლით⁹. ფაქტი ერთია: ქრისტიანულ საიდუმლოებებს საერთო არაფერი ჰქონდათ წარმართულ მისტერიებთან, რასაც თან ახლდა ორგიები და სექსუალური აღვირახსნილობა. მაშინ, როდესაც მისტერიები ჰპირდებოდნენ მძაფრ შეგრძნებებს და გამოირჩეოდნენ „სპეცეფექტების“ დახვეწილობით, ქრისტიანული საიდუმლოებები ხაზგასმით უბრალო იყო, რომელიც მთლიანად მიმართული იყო ადამიანის შინაგანი გაბრწყინებისაკენ. ყოველივე ეს საერთო ეკლესიური ცხოვრების ნაწილი იყო და არა ერთეული ექსტაზურობის გამოვლენა. ქრისტიანულ საიდუმლოებებთან ზიარებას წინ უსწრებდა გულწრფელი მონანიება, რწმენა, ლოცვა, სიყვარულის საქმეები და სამართლიანი ცხოვრება, მაშინ როდესაც მისტერიის მომწყობები, უძრავლეს შემთხვევაში, თავის აღებტებს არავითარ მორალურ მოთხოვნებს არ უყენებდნენ.

ვისაც ჰქონდა ღრო და სურვილი, ჩაფიქრებოდნენ არსებობის აზრს, გახსნილი იყო გზა ფილოსოფიურ სკოლებში. II საუკუნის ფილოსოფიური კლიმატის ერთ-ერთ გასაოცარ მხარეს წარმოადგენს რელიგიური საკითხებისადმი ცხოველი ინტერესი. ფილოსოფოსი, ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით, ღმერთის მეგობარი იყო. ბევრი ფილოსოფიური სკოლა კარგ ტონად თვლიდა ეპიკურელების ლანძღვას, რომლებიც უარყოფდნენ ღმერთებს და საღვთო განგებულებას. ნეოპიტაგორელები ფილოსოფიის შესწავლისა და თავისი თემის რელიგიურ ცხოვრებას შორის განსხვავებას არ აკეთებდნენ.

⁸ **Иустин.** Разговор с Трифоном иудеем., გვ. 132-358.

⁹ De resurrectione carnis. Ed. by **A. Kroymann.** CSEL 47 (1906); *O воскресении плоти.* Русск. пер. **Н. Шабурова, А. Столярова.** М., 1994, გვ. 25-125; **Квинт Септимий Флорент Тертуллиан.** Избранные сочинения. М., 1994, гв. 188-248.

პლატონელებისთვის ღვთაებრივი იდეების ჭვრეტა წარმოადგენდა ადამიანური შექმენების მწვერვალს და, მაშასადამე, ფილოსოფიურ სკოლაში სწავლების მიზანს. მაგალითად, ახ.წ. I-II სს. ავტორი პლუტარქე, რომელიც პლატონელებს ესიმპათიურებოდათ, თავის ფილოსოფიურ საქმიანობას ათავსებდა დელფოსის ორაკულის, ქურუმის პროფესიას. პლუტარქე ურჩევდა, ღმერთების თაყვანისცემის დროს მიჰყოლოდნენ ოქროს შუალებს და ათეიზმისა და ცრურწმენის უკიდურესობაში არ ჩავარდნილიყვნენ, სახელმწიფო ჩინოვნიკები ათეიზმს სოციალურად მავნე მოვლენად თვლიდნენ, თანაც ყველაზე სკეპტიკურად მოაზროვნეები დარწმუნებული იყვნენ იმაში, რომ ტრადიციული წარმართობის უარყოფას ადამიანი მორალსა და პოლიტიკაში ცუდ შედეგებამდე მიჰყავდა.

მაგრამ არც ერთი ფილოსოფოსი არ გრძნობდა თავს მყუდროდ იმ ჩარჩოებში, რომელშიც მოქცეული იყო ძველი მითოლოგიური წარმოდგენები ღმერთების შესახებ. სტოიკოსებმა პირველებმა მოკიდეს ხელი ჰომერული მითების ალეგორიულ განმარტებას, საიდანაც ცდილობდნენ აღედგინათ პოეტური ასტრონომია და ფიზიკა. ფილოსოფიურ წრეებში გავრცელებული აზრის თანახმად, პოეტებმა ღმერთები წარმოადგინეს მეტისმეტად ადამიანის მსგავსებად, მათ მიაწერდნენ ვნებებს და მოქმედებებს, რომელნიც ღმერთებს ადამიანებზე დაბლა აყენებდნენ. სტოიკოსები, პითაგორელები და პლატონელები თანახმა იყვნენ, რომ მითები უნდა გაეგოთ გადატანითი მნიშვნელობით და რომ ღმერთების უმრავლესობა ერთიანი ღვთაებრიობის საწყისის გამოვლინებაა. ფილოსოფიური აზრის საერთო მოძრაობა პოლითეიზმიდან მონოთეიზმამდე, მითიდან მორალურ ალეგორიამდე და სისხლიანი მსხველპმეწიწვიდან კულტის უფრო სულიერი გაგებისაკენ იყო მიმართული. ფილოსოფოსები შორს იყვნენ იმისგან, რომ ღიად გამოეთქვათ პროტესტი ოფიციალური კულტის წინააღმდეგ.

II საუკუნის ქრისტიანობის აპოლოგეტი, მოწამე იუსტინუს ფილოსოფოსი ახალ მოძღვრებას ეზიარა ხანგრძლივი ფილოსოფიური ძიების შემდეგ, რაც მან აღწერა თავისი ნაშრომის „*დიალოგი იუდეველ ტრიფონთან*“ მეორე თავში. იუსტინუს მარტვი-

ლის აზრით, „ფილოსოფიას ჩვენ მიყვავართ ღმერთთან. ის წარმოადგენს უდიდეს, ყველაზე უფრო ფასეულ შენაძენს ღმერთის წინაშე“.¹⁰ იუსტინუსმა ქრისტიანობით შეიძინა „ერთადერთი საიმედო და სასარგებლო ფილოსოფია“.¹¹ იგი, როგორც ცნობილია, არ იხსნიდა ფილოსოფოსის მანტიას სიცოცხლის ბოლომდე. იუსტინუსმა, ალბათ, პირველმა შეიტანა ქრისტიანულ აპოლოგეტიკაში ებრაული თეორია გადმოღება-ნასესხებულობის შესახებ, რომლის მიხედვითაც ყველა ელინისტური გენიის უმაღლესი მიღწევები წარმოადგენენ გამოცხადების (საღმრთო) ასლს, რომელიც ღმერთმა გადასცა მამამთავრებს და წინასწარმეტყველებს. იუსტინუსის თანახმად, ფილოსოფოსები, განსაკუთრებით პლატონელები, იყვნენ წინასწარმეტყველების უღირსი პლაგიატორები. მაგალითად, როგორც იუსტინუსი აღნიშნავდა, პლატონმა, თავისი საუკეთესო აზრები მოსესგან გადაიწერა. ებრაელებისგან და ქრისტიანებისგან წარმართების პლაგიატორობის თეორიას ისეთივე სრული სერიოზულობით იცავდა იუსტინე, როგორც XX საუკუნეში რელიგიის ისტორიის ათეისტი მკვლევრები მის საპირისპიროს ამტკიცებდნენ. ორივე თეორია, მიუხედავად მიმზიდველობისა განათლებული შთამომავლების თვალში, დროთა განმავლობაში უარყოფილი იქნა. ნასესხებულობის თეორიასთან სულიერი სიახლოვით გამოირჩევა იუსტინუსის იდეა, რომელიც გაზიარებულია ძველი და თანამედროვე აპოლოგეტების მიერ, რომლის მიხედვითაც ბერძნული ფილოსოფიური სკოლების სწავლება, ღვთაებრივი ლოგოსიდან გამომდინარე, შეიცავს ჭეშმარიტების მარცვლებს. მათი მთავარი დეფექტი კი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი არ ფლობენ ჭეშმარიტებას¹². სრული ჭეშმარიტება ღმერთზე, ადამიანის ბედნიერებასა და დანიშნულებაზე გაცხადებულია მხოლოდ ქრისტიანობაში.

ქრისტიანებს რომ წარმართებისთვის გასაგებ ენაზე ესაუბრათ, საჭირო იყო მოეძებნათ წარმართული კულტურის ის გამოვლინება, რომელიც ყველაზე უფრო გამოეხმაურებოდა ქრის-

¹⁰ **Иустин.** Разговор с Трифоном иудеем..., გვ. 258-260.

¹¹ **Иустин.** Разговор с Трифоном иудеем..., გვ. 262-270.

¹² **Иустин.** Разговор с Трифоном иудеем..., გვ. 272.

ტიანობას. ფილოსოფიის გარდა, ქრისტიანებს ძალიან მცირე შეხების წერტილები ჰქონდათ წარმართებთან, რადგან, ჯერ ერთი, ქრისტიანები მკვეთრად შეუწყნარებლები იყვნენ კერპთაყვანისმცემლობის მიმართ, რომელთანაც იმპერიის ოფიციალური კულტები იყვნენ დაკავშირებული, სოვლიდნენ მას არამართო ცრუ და არარსებული ღმერთების რელიგიად, არამედ ღმერთური ძალების მიერ კაცობრიობის საზიანო დაკაბალებად¹³; მეორეც, ხარებას განკაცებაზე და გამოსყიდვაზე, რომელსაც ქრისტიანები ავრცელებდნენ მსოფლიოში, არაფერი საერთო ჰქონდათ იმასთან, რასაც მისტერიების მონაწილეებს სთავაზობდნენ. ასე რომ, ფილოსოფიას პოტენციურად შეეძლო ერთადერთი საერთო საფუძველი გამოეყენებინა ქრისტიანობის წარმართულ კულტურასთან დიალოგის წარსამართავად.

თუკი გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ქრისტიანობა ცდილობდა გამიჯვნოდა იუდაიზმს, ოფიციალური კულტების მისტერიებს, მაშინ გასაკები ხდება, თუ რატომ უწოდებდნენ მეორე საუკუნის ქრისტიანობის აპოლოგეტები, უკეთესი ანალოგიის არარსებობის გამო, ქრისტიანულ სწავლებას ფილოსოფიას: რადგან მისი (ფილოსოფიის) გაგება იმავედროულად საკმაოდ ტევადი იყო და მოიცავდა არამართო თეორიულ ცოდნას, არამედ ღმერთთან ყოფნის საკითხსაც.

¹³ Н. Лебедев. Сочинения Оригена против Цельса. М., 1978, гл. 108-110.

ЛЕВАН Д. МАТЕШВИЛИ

**О ВЗАИМОСВЯЗИ ХРИСТИАНСКИХ И
ЯЗЫЧЕСКИХ КУЛЬТОВ**

Для того, чтобы говорить с язычниками на понятном им языке, христиане должны были найти то проявление языческой культуры, которое было наиболее созвучно христианству. Кроме философии, у христиан было немного точек соприкосновения с язычниками. Во-первых, христиане были крайне нетерпимы к идолопоклонству, связанному с официальными культами империи, считая его не просто религией ложных или несуществующих богов, но вредоносным закабалением человечества демоническими силами. Во-вторых, весть о боговоплощении и искуплении, которую несло в мир христианство, ничего общего не имела с тем, что предлагалось участникам мистерий. Таким образом, философия потенциально могла служить единственной общей почвой для диалога христианства с миром языческой культуры.

Если принять во внимание тот факт, что христиане стремились отмежеваться от иудаизма, официального культа и мистерий, становится вполне понятно, почему некоторые апологеты Пв., за неимением лучшей аналогии, называли христианское учение философией. Понятие философии было одновременно и достаточно ёмким, чтобы вместить не только чисто теоретическое знание, но и вопрос о жизни с Богом, и достаточно почитаемым, чтобы расположить слушателя.

LEVAN MATESHVILI

ON THE INTERCONNECTION OF THE CHRISTIAN AND PAGAN CULTS

In order to speak with the pagans the language they were accustomed with, Christians had to find those expositions of the pagan culture that were the closest to the Christianity. Except philosophy, Christians had few points of contact with the pagans. First, Christians were extremely intolerable to the idolatry, which was connected with the official cults of Empire, and considered it not just as the religion of the false and non-existing gods, but as a harmful enslavement of the mankind by the demonic forces. Second, the message of the God's embodiment and atonement, which Christianity was spreading in the world, had nothing common with the offers that were given to the participants of the Mysteries. Thus, philosophy was the only potential common ground for the dialogue between Christianity and the world of the pagan culture.

Considering the fact that Christians were trying to dissociate themselves from Judaism, the official cult and the Mysteries, it is quite natural that some 2nd century apologists, having no better analogy, named the Christian doctrine philosophy. Concept of philosophy was both sufficiently respected to win over the listener and quite capacious to include not only pure theoretical knowledge, but the question of living with God.

მ ს ო ზ ლ ი ო ი ს ტ ო რ ი ა

ნოდარ ღარსანიას

რამსეს II-ის გამეფების ზუსტი თარიღის დადგენისათვის

ძველი ეგვიპტის ფარაონთა მეფობის დროის ქრონოლოგიური ჩარჩოების დადგენა მეტად რთულ ამოცანას წარმოადგენს. რასაკვირველია, ამ მნიშვნელობით არც რამსეს II-ის ხანგრძლივი მმართველობის ხანაა გამონაკლისი. რამსეს II-ის ტახტზე ყოფნის პერიოდის სწორი დათარიღებისთვის, ბუნებრივია, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მის ტახტზე ასვლის ზუსტი თარიღის დადგენას. ამ საკითხში მეცნიერთა შორის დღემდე არ არის ერთსულოვნება.

მაგალითად, საბჭოთა ისტორიოგრაფიაში აღიარება ჰპოვა რამსეს II-ის გამეფების ძვ.წ. 1317 წლით დათარიღებამ¹. ჯეიმს ბრესტელი ფარაონ რამსეს II-ის გამეფების წლად ძვ.წ. 1292 წელს მიიჩნევდა². თითქმის ამავე პოზიციას იზიარებდა აკად. ბ. ტურაევიც³. თანამედროვე დასავლეთელ ეგვიპტოლოგთა შორის უპირატესობას ანიჭებენ რამსეს II-ის გამეფების უფრო გვიანდელი დროით დათარიღებას და ის მერყეობს ძვ.წ. 1304 და 1290 წლებს შორის. კერძოდ, ეს ბოლო თარიღი აღიარებულია ჯ.

¹ *Всемирная История*, т. I. М., 1955, გვ. 355-691; **В. В. Струве**. История древнего Востока. М.-Л., 1941, გვ. 228; **В. И. Авдиев**. История древнего Востока. М., 1970, გვ. 602; **И. В. Виноградов**. Новое царство в Египте. – *История древнего мира*. Под ред. **И. М. Дьяконова**, т. I. М., 1989, გვ. 288 და ა.შ

² **Дж. Брестед**, История Египта с древнейших времен до персидского завоевания, т. 2. М., 1915, გვ. 99.

³ **Б. А. Тураев**. История древнего Востока, т. I. Л., 1935, გვ. 305.

შმიდტის მიერ⁴.

რამსეს II-ის გამეფების ზუსტ დათარიღებას ცდილობენ როგორც ეგვიპტეში, ისე იმ დროს ასურეთსა და ბაბილონში მიმდინარე მოვლენების ქრონოლოგიური შეჯერების გზით. გარდა ამისა, ყურადღება ექცეოდა ლეიდენის პაპირუსში ნახსენები მთვარის კალენდრის მონაცემებს, რომელშიც დაფიქსირებული იყო რამსეს II-ის მეფობის 52-ე წელი⁵. მ. როუტონი, მანეთონის ფარაონთა სიებისა და ხორასაბადში აღმოჩენილი ასურელი მმართველების ნუსხების დამოწმებით, აგრეთვე ეხნატონის, ტუტანხამონის, ჰორემჰებისა და ასურელი აშურბალიტ I-ის ერთდროული მეფობის დამადასტურებელ მონაცემებზე დაყრდნობით, ისევე, როგორც ხეთების მეფის ხათუსილი III, რამსეს II და ბაბილონელი მეფის კადაშმან-ტურგუს ცხოვრებისა და მოღვაწეობის წლების შეჯერებით, ასკვნის, რომ რამსესის ტახტზე ასვლა მოხდა ძვ.წ. 1290 წელს ან 1291 წლის ბოლოს⁶.

ცნობილმა სპეციალისტმა ძველ ეგვიპტურ ასტრონომიაში რ. პარკერმა სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა⁷ მთვარის კალენდრის (ლეიდენის პაპირუსი) ერთ-ერთი თარიღის უშუალო ანალიზს, რომელიც შეესატყვისებოდა რამსეს II-ის მეფობის 52-ე წელს. ლეიდენის პაპირუსის გამიფვრის საფუძველზე და მ. როუტონის ნაშრომებზე დაყრდნობით, რ. პარკერმა რამსეს II გამეფების თარიღად ძვ.წ. 1290 წელი მიიჩნია⁸.

მაგრამ რ. პარკერის არგუმენტაცია საეჭვოდ ჩათვალა მ. როუტონმა⁹. მან გადასინჯა თავისი პირვანდელი დასკვნა, რომელიც დაფუძნებული იყო ეგვიპტის ფარაონების, ხეთების, ასურე-

⁴ **J. D. Schmidt.** Ramesses II. A chronological structure for His Reign. Baltimore-London, 1973, გვ. 13.

⁵ **R. A. Parker.** The Lunar Dates of Thutmose III and Ramesses II. – *Journal of the Near Eastern Studies* (შემდეგში *JNES*), vol. 16, 1957, გვ. 42-43.

⁶ **M. B. Rowton.** Manethos date for Ramesses II. – *JNES*, vol. 34, 1948, გვ. 57-79.

⁷ **R. A. Parker.** The Lunar Dates of Thutmose III and Ramesses II, გვ. 35-43.

⁸ **R. A. Parker.** The Lunar Dates of Thutmose III and Ramesses II, გვ. 39-42.

⁹ **M. B. Rowton.** Comparative Chronology at the Time of Dynasty XIX. – *JNES*, vol 19, 1960, გვ. 240-258.

ლი და ბაბილონელი მეფეების მმართველობის პერიოდებს შორის სინქრონულობაზე. მკვლევრის აზრით, წერილი, რომელიც ხათუსილი III-მ გაუგზავნა ბაბილონის მეფეს კადაშმან-ენ-ლილ II-ს, გაგზავნილია არა რამსეს II მიერ საზავო ხელშეკრულების დადებამდე, არამედ მას შემდეგ. ამდენად, მისი გამოანგარიშებით, კადაშმან-ტურგუ (კადაშმან-ენ-ლილი II-ის მამა) გარდაიცვალა არა ძვ.წ. 1270 წელს, არამედ ძვ.წ. 1280 წელს. ამ დასკვნიდან გამომდინარე, ის რამსეს II-ის გამეფების ყველაზე უფრო მისაღებ თარიღად ძვ.წ. 1304 წელს მიიჩნევს, რაც დასტურდება როგორც ბაბილონური წყაროების, ისე ასურელი მეფეების ნუსხებით, რომლებიც დამზადდა მეფე ადად-ნირარი I-ის განკარგულებით¹⁰.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ზოგიერთი ეგვიპტოლოგი, სახელდობრ, ჯ. შმიდტი, რომელმაც საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა რამსეს II-ის მეფობის ქრონოლოგიის პრობლემას, თვლის, რომ მხოლოდ ასურული და ბაბილონური ნუსხებით შეუძლებელია რამსეს II-ის ტახტზე ასვლის აბსოლუტურად ზუსტი თარიღის დადგენა. მისი აზრით, XIX დინასტიის მთელი ხნის მანძილზე მესოპოტამიასა და ეგვიპტეს შორის სინქრონულობის დადგენასთან და დათარიღებასთან დაკავშირებული სიძნელებები გამორიცხავენ ყოველგვარ მცდელობას, შემოწმდეს ეგვიპტური მასალები ასურული ან ბაბილონური ქრონოლოგიით; რომ მესოპოტამური ქრონოლოგია ვერ გამოგვადგება რამსეს II-ის ტახტზე ასვლის თარიღის დადგენაში¹¹. გარდა ამისა, თვლის ჯ. შმიდტი, თუ თუთმოს III-ის გამეფების თარიღად მივიღებთ ძვ.წ. 1490 წელს, არ უგულვებელყოფთ ამონხეტე IV-ის და სემენსკარას მეფობის წლებს, ხორემხების მეფობას მესას წარწერის თანახმად მივაკუთვნებთ 25-30 წელს, ხოლო სეთ I-ის მეფობას განვსაზღვრავთ დაახლოებით 11 წლით, თამამად შეიძლება დავადგინოთ, რომ რამსეს II-ის ტახტზე ასვლის ყველაზე უფრო შესაძლებელ თარიღს ძვ.წ. 1290 წელი წარმოადგენს¹².

¹⁰ **M. B. Rowton.** Comparative chronology at the Time of Dynasty XIX, გვ. 240-258.

¹¹ **J. V. Schmidt.** Ramesses II. A Chronological structure..., გვ. 13.

¹² **J. V. Schmidt.** Ramesses II. A Chronological structure..., გვ. 13.

ჯ. შმიდტის მიერ გაკეთებული ეს დასკვნა მთლიანად ეთხვევა კ. კიტჩენის დასკვნას იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ შეუძლებელია რამსეს II-ის გამეფების თარიღის დადგენისათვის არჩევანი გაკეთდეს ძვ.წ. 1304 და 1290 წლებს შორის. თუმცა ამ გამოკვლევაში ძვ.წ. 1290 წელი მიღებული იქნება, როგორც მისი (რამსეს II) ტახტზე ასვლის თარიღი¹³.

ამრიგად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ამ ორ თარიღს შორის, რამსეს II-ის გამეფების ყველაზე ზუსტ თარიღად მივიჩნიოთ ძვ.წ. 1290წ.

რამსეს II მმართველობის ხანგრძლივობაზე (თუ არ ჩავთვლით მის თანამმართველობას მამასთან, ფარაონ სეთ I-თან ერთად), გვაუწყებს აბიდოსის სტელა (განეკუთვნება რამსეს IV მეფობის მე-4 წელს), რომელშიც მოცემულია ამ უკანასკნელის კედრება ღვთაება ოსირისისადმი: „გამიხანგრძლივე სიცოცხლე და მშვენიერი მეფობა ისევე, როგორც უსერმაატრა სეტეპენრას (რამსეს II „ღვთაებრივი სახელი“), უზენაეს ღვთაებას, რამდენადაც შეხედე იმ ძვირფას ნივთთა და საგანთა სიმრავლეს, რომელიც მე შემოვწირე შენს ტაძარს, საღვთო შემოწირულობებით შენი უზრუნველყოფის მიზნით, და იმისთვის, რათა მეპოვა ყოველი სასარგებლო და ძვირფასი ნივთი, რომ ყოფილიყო უპოვართა გასაკითხი შენს ეზოში, ამ ოთხი წლის განმავლობაში. იგი (ჩემს მიერ ხელქმნილი) უფრო დიდი და ძვირფასი იყო ვინემ ის, რაც უსერმაატრა სეტეპენრამ, უზენაესმა ღვთაებამ, ჰქმნა შენთვის თავისი მეფობის 67 წლის მანძილზე“¹⁴ ამჟამად სტელა კაიროს მუზეუმში ინახება.

რამსეს IV-ის აბიდოსის სტელის ცნობები თანხვედბა რამსეს IV-ის კარნაკის ერთ-ერთი წარწერის მონაცემებს, რომ რამსეს II მეფობდა 66 წელს. იგივეს გვაუწყებს პაპირუსი გურობიდან, რომელშიც მოცემულია ორი თარიღი: პირველ დათარიღება-

¹³ **K. A. Kitchen.** Further Notes on New Kingdom chronology and History. – *Chronique d’Egypte* (შემდგომში *CDE*), t. 43, 1968, გვ. 322; **K. A. Kitchen.** On the chronology and History of the New Kingdom. – *CDE*, t. 40, 1965, გვ. 310-322.

¹⁴ **Д. Брестед, Б. Тураев.** История Древнего Египта. Минск, Харвест, 2003, гв. 484.

ში აღნიშნულია პირველი თვე, რამსეს II-ის მეფობის 67-ე წლისა, ხოლო მეორე დათარიღებაში კი – მეორე თვე, რომელიც სხვა ფარაონის, უეჭველად, რამსეს II-ის მემკვიდრის – მერნეპტაჰის მეფობის პირველი წლისა. ორივე თარიღს შუა ინტერვალი ერთი თვეა. რასაკვირველია, ამ ერთი თვის განმავლობაში, თავისი მეფობის 67-ე წელს გარდაიცვალა რამსეს II¹⁵. ამ დასკვნას ადასტურებს იოსებ ფლავიუსი, რომელიც თავის ნაშრომში: „აპიონის წინააღმდეგ“, მანეთონზე დაყრდნობით წერს, რომ რამსეს II-მ იმეფა 66 წელი და ორი თვე¹⁶.

თავის დროზე ჯ. ბრესტედი შეეცადა განვეითარებინა ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ რამსეს II-ს ასევე ჰყავდა უფროსი ძმა, რომელიც უნდა გამხდარიყო მამამისის მემკვიდრე ფარაონის ტახტზე. მისი გადმოცემით, ორ ძმას შორის გამართული ბრძოლა ტახტისთვის რამსეს II-ის ძმის დაღუპვით მთავრდება¹⁷. მეცნიერის ვარაუდი მეტად დამაინტრიგებელ არგუმენტს ეყრდნობოდა. მისი აზრით, კარნაკის დიდი დარბაზის ჩრდილოეთით, კედლის გარეთა მხარეს, სადაც წარმოდგენილია სეთ I-ის ბრძოლების ამსახველი სცენები და წარწერები, კედლის იმ ნაწილში, რომელზეც აღბეჭდილია სეთ I-ის ომი ლიბიელებთან, თითქოს შემორჩა ერთიმეორის ქვეშ მყოფი, სეთ I-ის ორი ვაჟიშვილის გამოსახულება, რომელთაგან ერთ-ერთი შემდეგში გახდა ეგვიპტის დიდი ფარაონი რამსეს II¹⁸. ჯ. ბრესტედისათვის ამ გამოსახულებათა ისტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ სეთ I-ის მემკვიდრე იყო არა რამსესი, არამედ მისი უფროსი ძმა, რომელიც ვერ დაეუფლა ტახტს¹⁹.

მეცნიერი ასევე თვლის, რომ სეთ I-ის უფროსმა ვაჟმა თავისი გამოსახულება სეთ I-ის ლიბიელებთან ბრძოლისა და ასევე მისი ეგვიპტეში დაბრუნების ამსახველი სცენების მარჯვენა მხა-

¹⁵ J. V. Schmidt. Ramesses II. A Chronological structure., გვ. 13.

¹⁶ Иосиф Флавий, О древности иудейского народа, Против Апиона, СПб, 1898, გვ. 97.

¹⁷ J. Breasted. Ancient records of Egypt. Vol. III. Chicago, 1906, გვ. 62.

¹⁸ J. Breasted. Ancient records of Egypt, vol. III., გვ. 62.

¹⁹ J. Breasted. Ancient records of Egypt, vol. III., გვ. 62.

რეს ალბეჭდა, შემდგომში კი რამსესმა (ჯ. ბრესტელის აზრით – ნ.დ.) ბრძანა მისი უფროსი ძმის ორივე ფიგურის წაშლა და საკუთარი თავის გამოსახვა მამამისის ლაშქრობიდან დაბრუნების სცენაზე²⁰. გარდა ამისა, იმავე ჯ. ბრესტელის მტკიცებით, მსგავსი შენაცვლების ნაკვალევი ატყვია ჩრდილოეთის მხრიდან კედლის ზემო ნაწილის რამდენიმე იზოლირებულ ბლოკს, სადაც ალბეჭდილია კადემის ალების საბრძოლო ეპიზოდები²¹. ყოველივე ამან კიდევ უფრო გაამყარა მკვლევრის აზრი იმის თაობაზე, რომ რამსეს II-ს არ მიუღია მონაწილეობა მამამისის სამხედრო ექსპედიციებში და სეთ I-ს არც კი ჰქონდა განზრახული რამსესის თავის მემკვიდრედ აღიარება²². რაც შეეხება აბიდოსსა და ქუბანის სტელაზე არსებული წარწერების ცნობებს რამსეს II-ის მამამისის სიცოცხლეშივე მემკვიდრედ გამოცხადებისა ან თანამმართველად დანიშვნის შესახებ, ჯ. ბრესტელის ვარაუდით, ისინი უფრო მეტად ფიქციას წარმოადგენდა, ვინემ რეალურობის ასახვას²³.

ჯ. ბრესტელს რამსეს II-ის მმართველობის წინაისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენების მეცნიერული შეფასება მოცემული აქვს თავის კაპიტალურ ნაშრომში, „*ეგვიპტის ისტორია უძველესი დროიდან სპარსელთა დაპყრობებამდე*“²⁴ მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მისი დასკვნები ზემოთქმულ საკითხთან დაკავშირებით ეჭვქვეშ დააყენა ჯერ კიდევ ელ. მაიერმა. ამ უკანასკნელის აზრით, კარნაკის სტელებზე, რომლებიც მოგვითხრობს სეთ I-ის ბრძოლებზე ლიბიელებთან, იმ პერსონაჟის გამოსახულება, ვინც ახლავს სეთ I-ს, შემონახულია ძალიან ცუდად და შეუძლებელია ასეთ არამყარ, არამტკიცე მტკიცებულებების საფუძველზე განავითარო ერთობ მიმზიდველი, მაგრამ ამავე დროს საეჭვო ჰიპოთეზა სეთ I-ის ორი ვაჟიშვილის ტახტისათვის ბრძოლის შესახებ. შემდგომში კარნაკში სეთ I-ის წარწერების ეპიგრაფი-

²⁰ J. Breasted. Ancient records of Egypt, vol. III, გვ. 59.

²¹ J. Breasted. Ancient records of Egypt, vol. III, გვ. 60.

²² J. Breasted. Ancient records of Egypt, vol. III, გვ. 61.

²³ J. Breasted. Ancient records of Egypt, vol. III, გვ. 62.

²⁴ Дж. Брестед. История Египта с древнейших времен до персидского завоевания, т. 2, гв. 92-100.

კული გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ რამსეს II-ს საერთოდ არ ჰყოლია უფროსი ძმა, ხოლო სეთ I-ის თანმხლებ პირად მის ლაშქრობებში გამოსახული იყო „მშვილდოსანთა უფროსი და „დიდი მარაოს მატარებელი“, სახელად მეხი²⁵.

ყველაზე უძველეს ღოკუმენტს, რომელიც გვაუწყებს რამსეს II-ის თანამმართველობაზე მამამისის სიცოცხლეშივე, წარმოადგენს წარწერა აბიდოსიდან, რომელიც დათარიღებულია რამსეს II-ის დამოუკიდებლად მმართველობის პირველი წლით. ამ წარწერებში რამსეს II გვამცნობს: „როდესაც მამაჩემი ხალხის წინაშე გამოცხადდა, მე ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი. ვიდექი წინ, მის ხელებს შუა, თქვა მან ჩემს შესახებ შემდეგი: „ვაკურთხოთ ის როგორც მეფე, რომ ვიხილო ბრწყინვალეობა მისი ჩემს სიცოცხლეში“, ბრძანა მან ასევე, რომ ეუწყებინათ სასახლეში მყოფთათვის ჩემზე სამეფო გვირგვინის დადგმის თაობაზე: „დავადგათ მას გვირგვინი მეფის“, – თქვა მან ჩემზე იმ დროს, როცა ის ჯერ კიდევ იყო ამქვეყნად“.²⁶

მეცნიერთა უმრავლესობის მტკიცებით, რამსეს II-ის მეფობის დროის დადგენა შესაძლებელია სატაძრო ტექსტების და გამოსახულებების გამოკვლევისა და ანალიზის საფუძველზე, სადაც შემონახულია თანამმართველობისა და ერთპიროვნული მმართველობის პერიოდის ნაკვალევი. მისი მოღვაწეობის ამ ორ პერიოდს შორის არსებული განმასხვავებელი ნიშანი მის სამეფო ტიტულატურაშია. თანამმართველობის დროს მისი სახელი გამოისახებოდა მოკლედ – უსერმაატრა, ხოლო დამოუკიდებელი მმართველობის დასაწყისიდან სახელი მისი გამოითქმებოდა სრული ტიტულატურით – უსერმაატრა სეტეპენრა რამსეს მერიამუნ. მათი დასკვნებიდან გამომდინარე, რამსეს II-ის თანამმართველობა გრძელდებოდა 10 წელი. იგი დაიწყო ჯერ კიდევ სეთ I-ის მეფობის პირველი წლებიდან. სეთ I-ის გარდაცვალების წელს რამსეს II იყო, მათი ვარაუდით, 21 წლის. თუ რამსეს II ქვეყანას მართავდა ერთპიროვნულად 66 წლის განმავლობაში, მაშასადამე,

²⁵ W. I. Murnane. Ancient Egyptian Coregencies. Chicago, 1977, გვ. 60-61.

²⁶ И. А. Стучевский. Рамсес II и Херихор. М., 1984, гв. 19.

ის გარდაიცვალა თავისი სიცოცხლის 88-ე წელს²⁷.

რამსეს II-ის ასვლა სამეფო ტახტზე, როგორც ეგვიპტის ერთპიროვნული მმართველისა, დიდი ზემოთა და პომპეზურობით აღინიშნა. ამ მეორედ კურთხევის სცენები და მის შესახებ ტექსტები ამოტვიფრულია ქვის ბლოკებზე, რომლებიც ამჟამად ინახება ლიტერატურისა და მეცნიერების სამეფო ინსტიტუტებში ინგლისში. ფარაონი დარწმუნებული იყო, რომ მის გამეფებაში ღმერთის ხელი ერია, რადგან ეს ემთხვეოდა მიწიერი და კოსმოსური ცვლილებების პერიოდს. ამ ბლოკებზე ასახულია რამსეს II-ის კორონაცია ჰელიოპოლისში, ატუმის, ზორისა და სხვა ღვთაებათა თანდასწრებით. ყველა ეს ღვთაება აღფრთოვანებით მიესალმება მათკენ მიმავალ რამსეს II-ს²⁸.

წინამორბედებისაგან განსხვავებით, რამსეს II-ს სურდა გადაექცია თავისი თავი ლეგენდად, აქმაღლებინა ეგვიპტის პრესტიჟი, შეექმნა საკუთარი პიროვნების განსაკუთრებული ფენომენი²⁹. მას სჭირდებოდა შეუზღუდველი ძალაუფლება, მტკიცე ხელისუფლება, რაც აუცილებელი იყო რეფორმების განსახორციელებლად და ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის, ასევე იმდროინდელ მსოფლიო ასპარეზზე ეგვიპტის, როგორც ძლევამოსილი იმპერიის, სახელის დასამკვიდრებლად.

²⁷ **И. А. Стучевский.** Рамсес II и Херихор, გვ. 23.

²⁸ **Christiane Desroches Noblecourt.** Ramses II. Paris, 1996, გვ. 100.

²⁹ **Christiane Desroches Noblecourt.** Ramses II, გვ. 100.

НОДАР Э. ДАРСАНИЯ

К ВОПРОСУ ДАТИРОВКИ ВОЦАРЕНИЯ РАМСЕСА II-ГО

Для установления точной хронологии царствования Рамсеса II-го важнейшим является определение времени его воцарения. В этом вопросе между египтологами до сих пор нет единого мнения. В советской историографии утвердилась ранняя датировка восшествия Рамсеса II-го на престол, относящая это событие к 1317г. до н.э. Для Дж. Брестеда 1292 год до н.э. был первым годом правления Рамсеса II-го. Эту датировку поддерживал и акад Б. Тураев.

Со второй половины прошлого века по сей день среди западных ученых-египтологов превалирует мнение о поздней датировке начала царствования Рамсеса II-го, которая колеблется между 1304 и 1290 годами до н.э. Последняя дата отмечена в специальной работе Дж. Шмидта, который наиболее вероятной датой воцарения Рамсеса II-го считает 1290г. до н.э. Вывод Дж. Шмидта совпадает с мнением К. А. Китчена и Р. Паркера, которые также считают, что 1290 год до н.э. следует считать началом царствования Рамсеса II-го. В предлагаемой статье предпочтение отдано как раз этой датировке.

NODAR DARSANIA

ON THE DATING OF RAMSES II's ENTHRONEMENT

The determination of the time of Ramses II's enthronement is essential for fixing the exact chronology of his reign. The egyptologists still have no common opinion on this issue. The Soviet historiography considered as correct the early dating of his enthronement, and placed it around 1317 B.C. J. Brested considered 1292 B.C. as the first year of Ramses II's reign. This dating was supported by acad. B. Turaev.

From the 1950's till nowadays, the later dating of the beginning of Ramses II's reign is prevailing among the Western egyptologists. It is varying from 1304 to 1290 B.C. The last date is pointed out in the work of J. Schmidt, which is specially dedicated to the problem. Schmidt's dating coincides with the opinions of K. Kitchen and R. Parker, who also consider 1290 B.C. to be the first year of Ramses II's reign. The author of the presented paper also supports this dating.

ზაალ ქორთუა

საფრანგეთ-თურქეთის სავაჭრო ურთიერთობების ისტორიიდან XVIII საუკუნის პირველ ემონთხელში. *კაპიტულაციების მასალების მიხედვით*

საფრანგეთ-თურქეთის სავაჭრო ურთიერთობები XVI საუკუნის დამდეგიდან იღებს სათავეს. 1535 წელს სულთან სულეიმან II-ის დროს თურქეთმა ხელი მოაწერა საფრანგეთთან კაპიტულაციების ხელშეკრულებას, რომლითაც საფრანგეთმა მიიღო იმის მსგავსი პრივილეგიები და შეღავათები, რაც ჰქონდათ გენუასა და ვენეციას¹. საფრანგეთის შემდეგ კაპიტულაციების ხელშეკრულებებით შეღავათები და პრივილეგიები მიიღეს ევროპის სხვა სახელმწიფოებმა – ინგლისმა და ჰოლანდიამ. XVIII საუკუნის შუა რიცხვებიდან კიდევ უფრო შეიცვალა კაპიტულაციების ხასიათი. 1740 წელს საფრანგეთსა და თურქეთს შორის ხელმოწერილ იქნა ახალი კაპიტულაციების ხელშეკრულება, რომლითაც სულთნის მთავრობამ ახალი პრივილეგიები და შეღავათები მისცა საფრანგეთს, ისინი გადაიქცნენ ხელშეკრულებით ვალდებულებებად, რომლებიც უადვილებდნენ საფრანგეთს ახლო აღმოსავლეთის ბაზრების ხელში ჩაგდებას.

XVIII ს. დამდეგიდან სულ უფრო აქტიური ხდება საფრანგეთის პოლიტიკა თურქეთში. საფრანგეთის მიზანი იყო, მჭიდ-

¹ კაპიტულაციები წარმოიშვა X საუკუნეში იტალიის ქალაქებსა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის ურთიერთობებში. მაგალითად: ბიზანტიამ, ქრისტიანულმა სამთავროებმა პალესტინასა და სირიაში და ეგვიპტის მამლუქების სულთნებმა ვალდებულება აიღეს მიეცათ სავაჭრო შეღავათები იტალიის ქალაქების – პიზას, ამალფის, ვენეციისა და გენუისათვის. თურქებმა ბიზანტიის აღების შემდეგ ვენეციასა და გენუას დაუდასტურეს ეს შეღავათები და პრივილეგიები.

როდ მოეკიდებინა ფეხი თურქეთში და მასზე დაყრდნობით წინ წაეწია კავკასიაში. საფრანგეთის საელჩო თურქეთში თვალყურს ადევნებდა თურქეთის პოლიტიკას შავი ზღვის აუზში, ამიერკავკასიაში, რუსეთის მიმართ, ირანთან ურთიერთობას და საქმის კურსში აყენებდა თავის მთავრობას². საფრანგეთ-თურქეთს შორის სავაჭრო და სხვა სახის ურთიერთობების დამყარების საქმეში განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა საფრანგეთის საელჩოს კონსტანტინოპოლში, რომელიც უშუალოდ აკონტროლებდა სიტუაციას ამ მიმართულებით.

საფრანგეთის საელჩოს ერთ-ერთ წერილში მითითებულია, რომ „არზრუმის ჰალილ ფაშა და სერასკირი ემზადებიან ქართველების წინააღმდეგ“³, ხოლო შავი ზღვის სიღრმეში მესამე ფლოტი ემზადება აბაზეის წინააღმდეგ და რომ „მეჭმედ კაფუდინ ფაშა წავა მომავალში დიდი ბატონის ყველა გემითა და 12 გალერით“⁴. ამასთან დაკავშირებით საფრანგეთის ელჩი კონსტანტინოპოლში მარკიზი დე ფერიოლი ატყობინებდა პარიზს, რომ მას მიზნად დაუსახავს, შეისწავლოს საქართველოს ამბები და შეატყობინოს ვერსალში⁵.

ელჩი დე ფერიოლი თურქეთის დიდ ვეზირთან ვაჭრობის, ნაოსნობისა და სარწმუნოების საკითხებზე მოლაპარაკების დროს ცდილობდა, თურქეთი მჭიდროდ დაეკავშირებინა საფრანგეთთან და შეესუსტებინა მისი ურთიერთობა ევროპის სხვა ქვეყნებთან. საფრანგეთის ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობდა საკუთარი უპირატესობის წარმოჩენას ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით. საფრანგეთის ელჩი თვალყურს ადევნებდა ინგლისელების ვაჭრობას, მიუთითებდა, რომ შემცირდა ინგლისური მალის შე-

² 1708 და 1715 წლებში შაჰმა ჰუსეინმა საფრანგეთთან დადო ორი სავაჭრო ხელშეკრულება, რომლებმაც ფრანგ ვაჭრებს მისცა გაცილებით მეტი შეღავათი და პრივილეგია, ვიდრე ჰოლანდიელ ვაჭრებს, მაგრამ საფრანგეთმა ვერ შეძლო აღნიშნულით სარგებლობა, რადგანაც ამ დროს ირანში დაიწყო დიდი არეულობა და სეფიანთა სახელმწიფო დაიშალა.

³ *Archives du ministere des Affaires Etrangeres*. Paris. Turquie, ტ. 39, ფ. 84.

⁴ *Ibid*, fo. 27vo.

⁵ *Ibid*, fo 84.

მოტანა თურქეთში⁶, ხოლო „მაუდი, – მიუთითებს ელჩი, – რომელიც ჩამოვიდა საფრანგეთიდან, ...ძალიან კარგია. ...საპტის, ტრიუალისა და ვიუტენენ-კლერმონის მაუდი საუკეთესო ხარისხისაა“.⁷ საფრანგეთის ელჩის წერილიდან აშკარად ჩანს საფრანგეთის სავაჭრო უპირატესობა ამ რაიონში⁸.

„ყველაზე საუკეთესო პრივილეგია, – წერს ელჩი კონსტანტინოპოლიდან პარიზში მინისტრსა და სახელმწიფო მდივანს გრაფ დე პონშარტრენს, – რომელიც ჩვენს ვაჭრებს შეიძლება ჰქონდეთ და რომელიც განასხვავებს ყველა სხვა ერისაგან, არის ფესკა და ღოლბანდი, რომლებიც არიან ფრანგების დაფასებისა და პატივის მიზეზი იმ დროს, როდესაც შეიძლება დაინახოთ ყოველდღე, როცა ჯოხით სცემენ ბერძნებს, კორსიკელებსა და ამ ქვეყნის სხვა ქრისტიანებს იმიტომ, რომ მათ არა აქვთ ნებადართული ატარონ ფესკები“.⁹ წერილში მითითებულია თურქეთში მყოფი ფრანგი ვაჭრებისთვის თითო იანიჩარის ყოლის აუცილებლობის შესახებ მათი უსაფრთხოების მიზნით¹⁰.

მოგვიანებით საფრანგეთში იბადება აზრი საფრანგეთის სავაჭრო გზის საქართველოზე გავლის შესახებ, ე. ი. ირანიდან წამოღებული აბრეშუმი უნდა გაეტარებინათ საქართველოზე, ხოლო შემდეგ კი – შავი ზღვით. მანამდე კი ირანიდან გილანისა და შემახის აბრეშუმი გადიოდა თურქეთზე – სმირნამდე, სადაც ის თითქმის მთლიანად იყიდებოდა¹¹.

თუ თურქეთი იქნებოდა წინააღმდეგი იმისა, რომ ირანიდან მიმავალი აბრეშუმი გასულიყო საქართველოზე, მაშინ საფრანგე-

⁶ Ibid, fo 84vo.

⁷ Ibid, fo 25-26vo.

⁸ Ibid.

⁹ Ibid, fo25 vo.

¹⁰ Ibid, fo 26vo.

¹¹ Ibid, f Persia, T. 3 f 130vo. როგორც ცნობილია, მსგავსი პროექტები ჯერ კიდევ XVII საუკუნის დამდეგს შეიქმნა როგორც შაჰ-აბას I-ის კარზე, ასევე ევროპის (ვატიკანი) პოლიტიკურ წრეებში. თუმცა მათ განხორციელება ვერ ჰპოვეს. იხ. **ჯუზეპე ჯუდიჩე**. წერილები საქართველოზე (XVII საუკუნე). იტალიურიდან ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო **ბ. გიორგაძემ**. თბ., 1964.

თი მოახდენდა გავლენას თურქეთზე. XVIII ს. I მეოთხედისათვის თურქეთი უკვე საკმაოდ დასუსტებული იყო. დამასკოსა და ბაღდადის ფაშები ნაკლებად ემორჩილებოდნენ თურქეთის სულთანს, კაიროს ფაშა თვითონ განაგებდა თავის ქვეყანას. თურქეთთან ურთიერთობის საქმეში საფრანგეთი მუქარის პოლიტიკის ელემენტებსაც მიმართავდა: „მაგრამ, – ნათქვამია საფრანგეთში შედგენილ ერთ-ერთ პროექტში, – როდესაც ჩვენ გვექნებოდა საშუალება, როგორც საქართველოს, ისე წითელი ზღვის მხარეში ადგილების მოპოვებით გვეგრძნობებინა თურქებისათვის, რომ თუ ისინი არ მოისურვებდნენ, მიეღოთ მათთვის ხელსაყრელი წინადადება, მაშინ აღმოჩნდებოდნენ იმ საფრთხის წინაშე, რომ მათ განსაკუთრებით შეაწუხებდნენ ხომალდები, რომლებიც მეფეს (საფრანგეთის – **ზ.ქ.**) ეყოლებოდა ამ ზღვის შესასვლელთან“. მაშინ „სულთანი უეჭველად წინანდელზე უფრო მეტი ყურადღებით მიუღებოდა ამას და შედეგიც კარგი იქნებოდა“.¹²

1535 წელს საფრანგეთსა და თურქეთს შორის ხელმოწერილი კაპიტულაციების ხელშეკრულება რუსეთის ინტერესების წინააღმდეგაც იყო მიმართული. მიუხედავად ყოველივე ზემოთ აღნიშნულისა, საფრანგეთის მმართველი წრეები ცდილობდნენ კიდევ უფრო გაეფართოვებინათ ის შეღავათები და პრივილეგიები, რომლებიც მათ მიიღეს ოტომანის იმპერიაში 1535 წლის კაპიტულაციებით. ამ მიზეზით კაპიტულაციებს 1673 წელს დაემატა რამდენიმე ახალი მუხლი, ხოლო 1717 წლის 10 სექტემბერს საფრანგეთის საელჩომ კონსტანტინოპოლში შეადგინა სამახსოვრო ბარათი თურქეთის ხელისუფლების წარსადგენად, სადაც ის კაპიტულაციების განახლებას მოითხოვდა¹³. საკითხი არ ისმებოდა თურქეთსა და საფრანგეთს შორის ახალი კაპიტულაციების ხელმოწერაზე, არამედ საჭირო იყო ძველი კაპიტულაციების განახლება და შევსება, რომელიც უნდა შეხებოდა: პირველი პუნქტი სარწმუნოებასა და მისიონერთა მდგომარეობას; მეორე პუნქტი – კონსულების ურთიერთგაცვლასა და გადასახადე-

¹² Ibid, fos 144-vo.

¹³ Fait le 10 sept. 1717. Memoire touchant le renouveau des Capitulations. Archives. Paris Perse, t. 7. fos. 84-108vo.

ბისაგან განთავისუფლებას; მესამე პუნქტი – საქონლითა და ვერცხლით ვაჭრობას, საბაჟო გადასახადსა და ა. შ; მეოთხე პუნქტი ეხებოდა ზღვაში გემებისთვის განკუთვნილ ახალ წესებს¹⁴.

მოხსენებითი ბარათიდან ჩანს, რომ თურქეთის სულთანს განზრახვა ჰქონია, მიემართა საფრანგეთისათვის, რომელთანაც მას ძველი მეგობრობა ჰქონდა და რომელიც ეწეოდა ვაჭრობას ოტომანის იმპერიაში, ყოფილიყო მასთან უფრო კეთილგანწყობილი, ვიდრე სხვა რომელიმე სავაჭრო პარტნიორთან¹⁵. თურქეთის სულთნის განზრახვა ყოფილა, რომ საფრანგეთს ესარგებლა ოტომანის იმპერიაში ვაჭრობასა თუ სხვა დარგში ყველა იმ პრივილეგიითა და უპირატესობით, რომლითაც სარგებლობდნენ ინგლისელები, ვენეციელები და ჰოლანდიელები, ასევე იმ პრივილეგიებითა და უპირატესობებით, რომლებიც მიეცემოდათ მათ მომავალში¹⁶.

ფრანგები მოითხოვდნენ ინგლისელების, ჰოლანდიელებისა და ვენეციელების კაპიტულაციების გადასინჯვას, რათა გარკვეული ყოფილიყო, თუ რა უფლებებით სარგებლობდნენ ისინი თურქეთში და, აქედან გამომდინარე, შედგენილიყო ახალი, სპეციალური მუხლი ფრანგებისათვის¹⁷. თუ ფრანგი ვაჭარი, ხელოსანი, მოხელე, მეზღვაური ან საფრანგეთის ქვეშევრდომობის ქვეშ მყოფი სხვა პიროვნება გამაჰმადიანდებოდა და მას აღმოაჩნდებოდა სხვა ფრანგის კუთვნილი რაიმე ნივთი, ეს ნივთი ყოველგვარი გართულების გარეშე უნდა გადასცემოდა საფრანგეთის ელჩს ან კონსულს¹⁸. თუ ფრანგი ვაჭარი ჩაჯდებოდა გემში გასამგზავრებლად, მას ვერ გააჩერებდნენ ვალის გამო, თუკი თანხას კონსული გადაიხდიდა. თუ ვალის გადახდაზე კონსული უარს იტყოდა, მაშინ საკითხს გადაწყვეტდნენ ადგილობრივი მოსამართლეები¹⁹. ფრანგ ვაჭრებს, მღვდლებს, ხელოსნებსა და სხვ., რომელთა საქმიანობა ნაჩვენები იქმნებოდა ელჩების ან კონსულების მიერ

¹⁴ Ibid, fos 87.

¹⁵ Ibid, fo 90vo.

¹⁶ Ibid.

¹⁷ Ibid.

¹⁸ Ibid, fo 81vo.

¹⁹ Ibid.

გაცემულ საბუთებში, შექმლით თავისუფლად და უშიშრად ემოგზაურათ ოტომანის იმპერიის სამფლობელოებში. მათ უნდა გადაეხადათ ყველა ის გადასახადი, რომელსაც ითვალისწინებდა მოქმედი კაპიტულაციები²⁰.

იმასთან დაკავშირებით, რომ თურქები ხშირად სარგებლობდნენ ფრანგების გემებით მოგზაურობის დროს, მაგრამ ზოგჯერ არ იხდიდნენ საჭირო თანხას, ფრანგები იძულებული იყვნენ, ისინი შუა გზაზე ჩამოესვათ. თურქეთის ხელისუფლებას უნდა აეტყულებინა თავისი ქვეშევრდომები, გადაეხადათ ის თანხა, რომელსაც საფრანგეთის გემის კაპიტნები მოითხოვდნენ მისგან²¹. თუ ფრანგ ვაჭრებს და საფრანგეთის კონსულებს შორის წამოიჭრებოდა უთანხმოება, ორივე მხარეს უნდა ჰქონოდა უფლება თავისი მოსაზრება გაეგზავნა კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩთან ისე, რომ თურქეთის ხელისუფალთ არ ექნებოდათ ამ წერილების შინაარსის გაცნობის უფლება მხარეების თანხმობის გარეშე²². თუ თურქეთის სამფლობელოებში მყოფი რომელიმე ფრანგი ან საფრანგეთის ქვეშევრდომი ჩაიდენდა მკვლელობას ან სხვა დანაშაულს, თურქეთის ხელისუფალთ არ უნდა ჰქონოდა უფლება, მოესმინათ საქმე საფრანგეთის ელჩის ან კონსულის დასწრების გარეშე, „რათა ჩადენილ არ იქნას უსამართლობა და არ იქნას დარღვეული კაპიტულაციის მუხლები“²³.

საფრანგეთის კონსულს უფლება უნდა ჰქონოდა, გამოეკიდა საფრანგეთის დროშა, როცა ამას ის საჭიროდ ჩათვლიდა, მაგრამ თურქეთის ხელისუფალთ ხელი არ უნდა შეეშალათ ამისათვის²⁴. მოქმედ კაპიტულაციებში ნათქვამი იყო, რომ უცხოელები – პორტუგალიელები, მესინელები, ანკონელები და ლიგურიელები, რომლებიც ეწეოდნენ ვაჭრობას თურქეთის სამფლობელოებში საფრანგეთის აღმით, თუნდაც რომ ყოფილიყვნენ პორტას მოწინააღმდეგის ქვეშევრდომები, ...ისარგებლებდნენ იმავე პრივილე-

²⁰ Ibid.

²¹ Ibid, fo 96.

²² Ibid, fos 96-96vo.

²³ Ibid, Nota.

²⁴ Ibid.

გეებით, რითაც სარგებლობდნენ საფრანგეთის ქვეშევრდომები²⁵.

განახლებულ კაპიტულაციებში ეს მუხლი უნდა დადასტურებულიყო და განმტკიცებულიყო²⁶. თუ შესაძლებელი იქნებოდა ამის მიღწევა, ეს იქნებოდა მეტად ხელსაყრელი „სავაჭრო პალატისათვის, იმიტომ, რომ ფრანგები სარგებლობენ უფრო დიდი ავტორიტეტით, ვიდრე ინგლისელები და ჰოლანდიელები უცხოელების მფარველობაში, რომლებიც დგებიან მათი ალმის ქვეშ. გონივრული იქნებოდა, რათა ლიგორნოელი ებრაელების უმრავლესობა, რომლებიც ეწევიან დიდ ვაჭრობას, იყვნენ საფრანგეთის მფარველობის ქვეშ“²⁷.

ყველას, ვინც დატვირთავდა თავის საქონელს საფრანგეთის გემზე, ოტომანის იმპერიისადმი მტრულად განწყობილი სახელმწიფოს ქვეშევრდომსაც კი, თუ იგი საფრანგეთის ალმის ქვეშ ეწეოდა ვაჭრობას, უნდა გადაეხადა სათანადო საკონსულოს გადასახადი. მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლო მას საქონლის გემით წაღება²⁸. ეს მუხლი არასოდეს ყოფილა განხორციელებული კონსტანტინოპოლში არც ინგლისელებისა და არც ფრანგების მიერ, თუმცა კაპიტულაციებში შეტანილი იყო ერთ-ერთ მთავარ მუხლად. მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საფრანგეთის სავაჭრო პალატისა და საკონსულოებისათვის²⁹.

საფრანგეთი არ უნდა ყოფილიყო პასუხისმგებელი მძარცველობის, ძალადობის, მეკობრეებისა და პორტას მტრების ძალადობრივი მოქმედებისათვის, რომლებიც მათ შეეძლოთ ჩაედინათ საფრანგეთის ალმის წინააღმდეგ; ასევე იმ თავდასხმებისა და ძარცვისათვის, რომელიც შეეძლოთ ჩაედინათ იმპერიის სანაპიროებზე და გემებზე თურქებისა და მათი საქონლის საზარალოდ. საფრანგეთის ელჩი ყოველთვის დაუჭერდა მხარს ასეთი სახის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას³⁰. ფრანგის ტყვედ ჩავარდნის

²⁵ Ibid, fos 97vo-98.

²⁶ Ibid, fos 98-98 vo.

²⁷ Ibid, fo 98 Nota.

²⁸ Ibid, fos 98vo-99.

²⁹ Ibid, fo 98vo. Nota.

³⁰ Ibid, fo 99.

შემთხვევაში, ის უნდა გათავისუფლებულიყო საფრანგეთის ელჩის ან კონსულის ჩარევის შედეგად, როცა დადასტურდებოდა მისი ეროვნება (ფრანგობა – **ზ.ქ.**)³¹.

ფრანგებს უნდა გადაეხადათ საბაჟო გადასახადი ოტომანის იმპერიაში შეტანილ და იქიდან გატანილ საქონელზე (მათ შორის: მატყლი, ტყავი, თამბაქო, ყავა, ძაფი და სხვ.).³² მოქმედი კაპიტულაციების თანახმად, იმ ფრანგებისთვის, რომლებიც წარუდგენდნენ საბუთს თურქ მოხელეს საბაჟო გადასახადის 8%-ის ოდენობით გადახდის შესახებ, მეტი გადასახადი არ უნდა მოეთხოვათ³³. იმ საქონელზე, რომელზეც ერთხელ უკვე იქნა გადახდილი საბაჟო გადასახადი, არ შეიძლებოდა ბაჟის მეორედ გადახდა³⁴.

საქონელზე ფასების დადება ხშირად იწვევდა გაუგებრობას, ვერ ხერხდებოდა ფასების ტარიფის ზუსტი დაცვა. კაპიტულაციების მერვე მუხლის თანახმად, თუ ფრანგი ვაჭრები ვერ შეთანხმდებოდნენ ფასში, ფრანგებს უნდა ჰქონოდათ უფლება საბაჟო გადასახადის არა ფულით, არამედ საქონლით გადახდის შესახებ³⁵. არ უნდა დაეღოთ არავითარი გადასახადი ოქროსა და ვერცხლის ფულზე, რომელსაც ფრანგი ვაჭრები ან სხვა სოფ-დაგრები, რომლებიც ვაჭრობას ეწეოდნენ საფრანგეთის ალმის ქვეშ, შემოიტანდნენ ოტომანის იმპერიის სამფლობელოებში ან გაიტანდნენ იმპერიის საზღვრებიდან³⁶.

ფრანგ ვაჭრებს სრული უფლება ჰქონდათ გაეტანათ თავიანთი საქონელი ხმელეთით, ზღვით და მდინარით მოლდავეთის, რუსეთის ან სპარსეთის სამფლობელოების გავლით და ჩაეტანათ საფრანგეთში. მათ ამ შემთხვევაში უნდა გადაეხადათ ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადი³⁷. რამდენადაც ოტომანის იმპერია მდი-

31 Ibid, fo99vo Nota.

32 Ibid, fos 99vo-100.

33 Ibid, fo100.

34 Ibid, fo100 vo.

35 Ibid, fos 101-101vo.

36 Ibid, fo102.

37 Ibid.

დარი იყო ხილეულითა და სხვა პროდუქტებით, საფრანგეთის მეფეს შეეძლო გემებით მისი (ლელვი, ყურძენი, ხორბალი, ზეთი) შემოტანა. მას უნდა გადაეხადა 3%-იანი ბაჟი. სპარსეთიდან და საქართველოდან სომხების მიერ ჩამოტანილი აბრეშუმის სმირნაში შეძენისას, ფრანგებს არ ევალეობოდათ ამ აბრეშუმზე საბაჟო გადასახადის გადახდა³⁸.

ზემოთ წარმოდგენილი იყო 1673 წლის საფრანგეთ-თურქეთის კაპიტულაციების ხელშეკრულების ის მუხლები, რომლებიც ამ ორ ქვეყანას შორის ვაჭრობას შეეხებიან. თუმცა ეს მოხსენებითი ბარათი გაიგზავნა საფრანგეთის სამეფო კარზე, მას მაშინათვე შედეგი არ მოჰყოლია. მოლაპარაკება საფრანგეთსა და თურქეთს შორის ახალი კაპიტულაციების დადების შესახებ დიდხანს გრძელდებოდა. მხოლოდ 1740 წელს იქნა ხელმოწერილი ახალი კაპიტულაციები ამ ორ სახელმწიფოს შორის.

³⁸ Ibid.

ЗААЛ Ш. КОРТУА

ИЗ ИСТОРИИ ФРАНКО-ТУРЕЦКИХ ТОРГОВЫХ ОТНОШЕНИЙ ПЕРВОЙ ПОЛОВИНЫ XVIII В.

ПО МАТЕРИАЛАМ КАПИТУЛЯЦИИ

Франко-турецкие торговые отношения возникли с XVI века. По капитуляции 1535 года Франция получила от султана те же льготы и привилегии, которые имели Генуя и Венеция. После Франции привилегии получили Англия и Голландия. В 1673г. капитуляционный договор был обновлен между Францией и Турцией. Посол Франции в Турции пользовался большим влиянием. Он следил за турецкой политикой в бассейне Чёрного моря, Закавказье, Иране и России. Он старался упрочить активные торгово-экономические отношения с Турцией. В данном исследовании на основе анализе материалов архивов министерства иностранных дел Франции показаны те привилегии и льготы, которыми пользовались в Турции Французские купцы и лица, находящиеся под покровительством Франции. Особо обращено внимание на стремление Французского правительства расширить торговые отношения с Турцией. В перспективе было намечено перемещение торгового пути на территории Грузии. Несмотря на целый ряд торгово-экономических, религиозных и других договоров, заключенных с Турцией, они не имели результатов. Переговоры между Францией и Турцией о заключении капитуляции длились долго. Только в 1740 году были подписаны новые капитуляции между двумя государствами.

ZAAL KORTHUA

**FROM THE HISTORY OF THE FRENCH-TURKISH
RELATIONS IN THE FIRST HALF OF
THE 18TH CENTURY.**

BASED ON THE MATERIALS OF CAPITULATIONS

The French-Turkish trade relations began from the 16th century. According to the Capitulation of 1535 France received the same advantages and privileges, which had previously Genoa and Venice. After France, England and Holland also got the privileges. In 1673 the Capitulations between France and Turkey were renewed. The French ambassador had a great influence in Turkey. He was observing the Turkish policy in the Black Sea basin, towards Transcaucasia, Iran and Russia. He was trying to consolidate the active trade and economic relations with Turkey. The paper, basing on the materials from the archives of the French Ministry of Foreign Affairs, shows the advantages and privileges, which had the French merchants and persons under the French protection. The special attention is paid to the desire of the French government to broaden the trade relations with Turkey. It was intended to shift the trade passages to the Georgian territory in the prospective. Despite the whole series of the trade, economic, religious and other treaties, which were concluded with Turkey, they had no results. Negotiations between France and Turkey about the conclusion of the Capitulation continued for the long time. The new Capitulations between these two states were signed only in 1740.

ЭВСТАФИИ (ТЕНГИЗ) М. АНТЕЛАВА

ИЗ ИСТОРИИ РУССКОГО ВЕЛИКОДЕРЖАВНОГО ИМПЕРСКОГО МЫШЛЕНИЯ

Объективное научное изучение колониальной политики Российской империи, истории дискриминации, этнических чисток и геноцида, несмотря на то, что для этого вроде бы имеются официальные возможности, все же сопряжено с некоторыми трудностями, поскольку определённая часть российского общества все еще находится в плену державнических идей и трагически воспринимает любую критику колониальной политики своей страны, новое, объективное освещение истории прошлого и современности.

Дореволюционная и последующие политические системы создавали собственную историографию, мыслившуюся в исторических рамках существующего строя. Из этих рамок не выходили даже политические противники абсолютистского монархического строя первой половины XIX в., а также демократически настроенные писатели и общественные деятели второй половины того же столетия

Один из вождей декабристов П. Пестель, о котором В. О. Ключевский пишет: „Благодаря этому вождю в Южном обществе получили преобладание республиканские стремления“¹ – впервые четко и недвусмысленно выразил свое положительное отношение к колониальной политике России на Кавказе.

Историография периода до Февральской революции и позднее рисует Пестеля – вождя декабристов, носителем республиканских идей, в котором замалчиваются великодержав-

¹ В. О. Ключевский. Русская история. Полный курс лекций, т. 3. Ростов-на Дону, 1998, с. 500.

нические, шовинистические идеи. В первой и второй главах своей Конституции он теоретически обосновывает захватническую политику России, неизбежность осуществления этнических чисток и геноцида против горских народов. Для подтверждения сказанного приведём несколько цитат из Пестелевской Конституции: „Финляндия, Эстляндия, Лифляндия, Курляндия, Белоруссы, Малороссия, Новороссия, Бессарабия, Крым, Грузия, весь Кавказ, земли Киргизов, все народы Сибирские и разные другие племена, внутри Государства обитающие, никогда не пользовались и **никогда пользоваться не могут самостоятельную независимость** и всегда принадлежали или самой России или же временами, если не России, то Швеции, Дании, Пруссии, Польше, Турции, Персии и вообще какому-нибудь сильному Государству“.²

По мнению Пестеля, указанные страны не сумеют и в будущем создать независимые государства. Поэтому, отмечает он: „А по сему и подлежат все они Праву благоудобства, долженствуя при том **навек отречься от права отдельной народности**. Вследствие сего подводятся все вышеназванные страны со всеми племенами, в них обитающими, под право благоудобства для России и **объявляются** в удовлетворение оному и на основание оного **на вечные времена оставаться имеющими в составе Российского Государства**“.³

По утверждению Пестеля, для установления „границ надлежит непременно руководствоваться тем соображением, что Право народности должно брать верх для тех народов, которые могут самостоятельно политическою независимостью пользоваться, а что право благоудобства должно брать верх над теми народами, которые сею самостоятельною политическою независимостью пользоваться не могут и перемененно должны состоять под властью какого-либо сильнейшего государства⁴. Что касается кавказских горцев, – указывает Пестель, – все наши попытки превратить их в мирных и добрых соседей оказались

² П. Пестель. Русская правда. М., 1993, с. 115. Курсив наш – Э.А.

³ П. Пестель. Русская правда, с. 113. Курсив наш – Э.А.

⁴ П. Пестель. Русская правда, с. 114.

тщетными. Поэтому, **пока горцы не будут полностью завоеваны, мир не настанет**. Надлежит в особенности заметить, – пишет Пестель, – что **никакой нет возможности усмирить хищные горские народы Кавказские**, пока будет они иметь средство через Анапу и всю вообще приморскую часть, Порте принадлежащую⁵.

Как видим, Пестель делит государства, народы на две категории – первые, могущие пользоваться политической независимостью, и вторые, которые не могут этим пользоваться. Он доказывает, что Россия, которая пользуется политической независимостью, должна навечно превратить указанные страны в свои составные части.

Во второй главе Конституции Пестель развивает и конкретизирует свои шовинистические воззрения на народы, покорённые Россией. Особенно в этом отношении отличается четвертый параграф второй главы – *„О различных племенах, присоединенных к России“*, где он подразделяет их на десять разрядов и всем указывает свое место. Что касается Кавказа, Пестель пишет, что кавказцы имеют различные вероисповедания, говорят на разных языках, разнообразны и по обычаям и по способу правления, однако своим **диким, буйным характером сходны друг с другом**. Земли их обитания с древнейших времен известны как благословенный край, ныне же находятся в запустении и не приносят никакой пользы, поскольку этим замечательным краем владеют **полудикие народы**⁶. „Положение сего края, сопредельного Персии и Малой Азии, могло бы доставить России, – уточняет Пестель, – самые замечательные способы к установлению деятельнейших и выгоднейших торговых сношений с южной Азией и, следовательно, к обогащению государства. Все же сие теряется совершенно от того, что кавказские народы суть **столь же опасные соседи, сколь ненадежные и бесполезные союзники**. Принимая к тому в соображение, что все опыты доказали неоспоримым образом невозможность склонить сии народы к спокойствию средствами

⁵ П. Пестель. Русская правда, с. 115. Курсив наш – Э.А.

⁶ П. Пестель. Русская правда, с. 167. Курсив наш – Э.А.

кроткими и дружелюбными, разрешается Временное Верховное Правление:

1. **Решительно покорить все народы**, живущие и все земли, лежащие к северу от границы, имеющей быть протянутой между Россией и Персией, а равно Турцией; в том числе и приморскую часть, ныне Турции принадлежащую.
2. Разделить все сии Кавказские народы на два разряда: **мирные и буйные**. Первых оставить в их жилищах и дать им российское правление и устройство, **а вторых силой переселить во внутренности России, раздробив их малыми количествами по всем русским волостям...**
3. Завести в Кавказской земле русские селенья и сим русским передать все земли, **отнятые у прежних буйных жителей**, дабы сим способом изгладить на Кавказе даже все признаки прежних (то есть теперешних) его обитателей и обратить сей край в спокойную и благоустроенную область русскую⁷.

Таким образом, П. Пестель, открыто выражая имперско-шовинистические стремления русского общества, чётко сформулировал концепцию права и неизбежности завоевания Кавказа и ликвидации горцев. В то же время он предложил „оправдательную доктрину“ уничтожения горцев: 1. Необходимость защиты от набегов; 2. Необходимость нейтрализации постоянного очага нестабильности на южном рубеже; 3. Необходимость обеспечения безопасности азиатской торговли России; 4. Необходимость рационально использовать природные условия, пользоваться которыми не умеют „**полудикие народы**“ Кавказа⁸.

В п. 16 второй главы Конституции имперско-шовинистические взгляды П. Пестеля выходят за рамки всяких нравственных и правовых норм. Приводим его мнение по поводу ассимиляции и уничтожения завоеванных и покорённых народов: „Из всего содержания главы сей явствует, что при всех меро-

⁷ П. Пестель. Русская правда, с. 167. Курсив наш – Э.А.

⁸ Я. Гордин. Кавказ: Земля и Кровь. СПб, 2000, с. 8-9. Курсив наш – Э.А.

рительства Временного Верховного Правления в отношении к различным народам и племенам, Россию населяющим, беспрестанно должно непременную цель иметь в виду, чтобы **составить из них всех только один народ и все различные оттенки в одну общую массу слить так, чтобы обитатели целого пространства Российского Государства все были Русские**. К сей цели ведут многообразные способы, могущие на два рода быть разделены – на средства общие и средства частные. Средства общие состоят главнейше в том, чтобы, во-первых, на целом пространстве Российского государства господствовал один только язык Российский... Во-вторых: так как ныне существующее различие в названиях народов и племен, Россию населяющих, всегда составлять будет из жителей Российского Государства отдельные друг от друга массы и никогда не допустит столь для блага отечества необходимого совершенного в России единства, то чтобы **все сии различные имена были уничтожены и везде во всеобщее название Русских воедино слиты**. В-третьих: чтобы одни и те же законы, одно и то же управление по всем частям России существовало“.⁹

Как видим, непримиримый враг самодержавия – Пестель разработал программу завоевания Кавказа и уничтожения горцев, соответствующую реально проводимой Российской империей политике, однако император не позволял себе официально декларировать пестелевские идеи, поскольку это вызвало бы протест европейских стран, возмущение в обществе и рост антироссийских настроений. Николай I казнил Пестеля за распространение республиканских идей и попытку посягнуть на императорскую власть, политика же российских императоров Николая I и Александра II на Кавказе служила реализации идей Пестеля.

Покорённые империей народы и те, кто освободился от колониального ярма, обязательно должны изучить воззрения большей части т.н. русской передовой интеллигенции, носителя республиканских, демократических идей по вопросам национально-государственного устройства страны, чтобы с по-

⁹ П. Пестель. Русская правда, с. 169. Курсив наш – Э.А.

мощью глубокого и основательного анализа избежать ошибок и трагических событий прошлого.

„Русская правда“ Пестеля и взгляды других декабристов оказали большое влияние на формирование шовинистически-имперского историографического мышления в России XIX века. В этом отношении вызывают интерес взгляды одного из ярко мыслящих лидеров декабризма – М. С. Лунина, сформулированные в письмах, присланных с каторги. Он считает, что стремление России к юго-востоку есть неизбежный и правильный шаг: „Южная граница наша, – пишет он, – составляет самый занимательный вопрос настоящей политики“.¹⁰ М. Лунин возмущен тем, что кавказская война еще не принесла никакой пользы и не имела для России положительных результатов; врезавшаяся в пределы империи обширная территория по-прежнему пребывает в руках полудиких народов, которые Россия не смогла победить силой оружия и не сумела подчинить действенными цивилизованными средствами¹¹. „Медленность военных операций в этих краях приписывают обычно трудностям местности, изрезанной горными цепями и сетью бурных потоков, нездоровому климату и воинственному нраву туземцев. Однако современная военная наука не считает более препятствиями неровности почвы; климат, в котором произрастает виноград, хлопок, шелковица, марена, кошениль, шафран и сахарный тростник, не может быть вреден для человека; и, наконец, бедные туземцы, которых стараются изобразить в столь мрачных красках, это всего лишь слабые разрозненные орды, лишённые союзников, невежественные в военном искусстве, не обладающие ни крепостями, ни армией, ни пушками“.¹²

М. Лунин убежден, что победить горцев и сохранить завоеванные территории возможно путем эффективных военных действий и разумного управления покорёнными территориями. Он считает, что „завоевание Кавказа есть важный вопрос

¹⁰ М. С. Лунин. Сочинения, письма, документы. Иркутск, 1888, с. 168.

¹¹ М. С. Лунин. Сочинения..., с. 170.

¹² М. С. Лунин. Сочинения..., с. 170.

будущей судьбы, чести Отечества“¹³, которого не сможет осуществить николаевская военная империя, поскольку она неспособна выработать идеологию завоевания Кавказа и его удержания. „Эффективно воевать и удерживать завоеванное, – указывает М. Лунин, – способна отнюдь не военная империя Николая, а либеральное конституционное государство Тайного общества“¹⁴.

Большой интерес представляют соображения члена Северного общества декабристов барона А. Е. Розена об имперской политике России на Кавказе, изложенные в его воспоминаниях¹⁵. По его мнению, завоевание Кавказа составляет первейшую задачу России, поскольку недопустимо терпеть в пределах империи неконтролируемый анклав; великие жертвы, принесенные Россией в этой войне, не позволяют отставать в начатом деле; „Кроме того, – пишет А. Розен, – Кавказ нам нужен в будущем для сообщений торговых. Много уже сделано, остается довершить, но только не исключительно одним оружием“¹⁶.

А. Розен считает причиной затягивания полного завоевания Кавказа проведение суровой и безжалостной политики по отношению к покоренным горцам. Он требует изменения ермоловской политики по отношению к горцам, поскольку не видит разницы между действиями русской армии на Кавказе и испанских конкистадоров в Америке. **„Как Пизарро и Кортес, принесли мы на Кавказ только оружие и страх, – отмечает А. Розен, – сделали врагов еще более дикими и воинственными, вместо того, чтобы приманить их в завоеванные равнины и к берегам рек различными выгодами, цве-**

¹³ Я. Гордин. Кавказ: Земля и Кровь..., с. 20.

¹⁴ Я. Гордин. Кавказ: Земля и Кровь..., с. 21.

¹⁵ А. Е. Розен был членом Северного общества декабристов. На 12 лет был сослан в Сибирь; в 1837г. был зачислен в кавказский Мегрельский егерский полк; в 1839г. по болезни ушел в отставку; в 1856г. по амнистии Александра II ему были возвращены прежние права. А. Розен также известен как мемуарист. Следует отметить книгу его воспоминаний – „Записки декабриста“, изданную в Санкт-Петербурге в 1907г.

¹⁶ А. Е. Розен. Записки декабриста. СПб, 1907, с. 390.

тущими поселениями“¹⁷.

Как видим, по мнению Розена, успокоение, примирение горцев возможно путем их приманивания на завоеванные равнины и к берегам рек, в многополезные и цветущие поселения. Разумеется, для горца мир, материальное благополучие имели большое значение, но не решающее. Для горца важнее было сохранить традиционный образ жизни, свободу и независимость, что было его честью. Розеновский проект решения кавказских проблем, хотя и не разделяет призывов пестелевской „Русской правды“ к геноциду горцев, однако по своей сути все же носит имперский характер. Фактически Розен предлагает правительству новый план завоевания Северного Кавказа. Он не одобряет лишь методы правительства по ведению войны, покорению горцев и удержанию захваченных территорий.

При изучении интересующих нас вопросов нельзя обойти соображения выдающихся мыслителей и известных деятелей первой половины XIX века, сыгравших важнейшую роль в деле оправдания кавказской войны и формирования по отношению к ней положительной общественной атмосферы. Следует отметить, что в основе взглядов известнейших представителей русской интеллигенции на кавказские события лежало представление о неизбежности включения Кавказа в пределы империи. Они считали расширение границ Российской империи за счет соседних стран закономерным, естественным явлением и поддерживали хищническую политику увеличения территории страны.

Среди тех, кто верно служил хищническо-имперской политике правительства был известный представитель русской интеллигенции А. С. Грибоедов. Будучи хорошо информированным о садистских поступках Ермолова, о сожжённых аулах, об убитых женщинах и детях, никогда не высказывал своего осуждения. Наоборот, он сообщал правительству, что Ермолов – деловой, добрый старик. А. С. Грибоедов лишь изредка, в неофициальных частных письмах, выражал недовольство жёсткими действиями военной администрации Кавказа, что

¹⁷ А. Е. Розен. Записки..., с. 389. Курсив наш – Э.А.

приводило к росту вооружённого сопротивления горцев и затягиванию процесса полного покорения Кавказа. „Не навязывайте здешним народам законов, не соответствующих их нравам и обычаям, – говорится в одном из частных писем Грибоедова, – которые никому не понятны и неприемлемы. Дайте народу выбранных им судей, которым доверяют. Если можно, не вмешивайтесь в их внутренне правление. В органах правления и в судах пусть будут депутаты, назначенные правительством, а в остальном не прибегайте ни к какому насилию“.¹⁸

Особо следует отметить, что большая часть деятелей общества и культуры первой половины XIX века вообще не высказала своего отношения к кавказской войне. Например, один из великих мыслителей и публицистов П. Я. Чаадаев, мировоззрение которого сформировалось под влиянием победы России в Отечественной войне 1812 года и декабризма, жестко критикуя единолично-монархическую систему правления в стране, как единомышленник декабристов поддерживал имперскую политику завоевания Кавказа. Однако, он один раз всё же заинтересовался происходящими на Кавказе событиями, связанными с нашумевшим фактом побега Хаджи-Мурата из плена. „Не можете ли вы прислать письмо главного наместника, – пишет Чаадаев московскому почтмейстеру А. И. Булгакову, – в котором он вам сообщает о бегстве Хаджи-Мурата и его смерти“.¹⁹

Выдающийся русский историк второй половины XIX – начала XX вв. В. О. Ключевский признавал лучшие образцы художественной литературы фундаментальным историческим источником. В художественной литературе, если принять во внимание огромные жертвы, понесённые во время длительной войны обеими сторонами, кавказские сюжеты сравнительно малочисленны. Для исследователей, интересующихся кавказской драмой, особенно интересны взгляды А. С. Пушкина, М. Ю. Лермонтова, Л. Н. Толстого, Н. А. Добролюбова, Ф. М. Достоевского и др. В произведениях, публицистических стать-

¹⁸ А. С. Грибоедов. Сочинения. Л., 1945, с. 510.

¹⁹ П. Я. Чаадаев. Полное собрание сочинений и избранных писем. Т. 11, М., 1991, с. 264.

ях, написанных на тему кавказской войны, они, выражая равные симпатии к воюющим с обеих сторон, безжалостно истребляющим друг друга, тем не менее, считали причиной кавказской войны своеобразное дикое сознание горцев.

The unbiased study of the Russian imperial politics, the discrimination and the ethnical cleansing of the various nations living in the Empire, despite the breakdown of the kommunist-totalitarian system, is still concerned with the certain difficulties. The significant part of the Russian scientific circles and political establishment is still imprisoned with the imperial and chauvinistic ideas, and tragically worries about any critics on the colonial policy of the Russian Empire. In the presented paper the author cites the thoughts of the known Russian statesmen and public figures (Decembrists – Pavel Pestel, Mikhail Lunin, Andrei Rozen; poets and writers – Alexandre Pushkin, Mikheil Lermontov, Lev Tolstoy; representatives of the liberal-democratic intelligentsia – Vissarion Belinsky, Alexandre Gertsen, Nikolay Chernishevsky, Nikolay Dobroljubov; military statesmen and officials of the Russian administration in the Caucasus – Alexandre Bariatinsky, Constantine Borozdin; famous Russian historians – Sergey Soloviev, Adolf Berget, Pyotr Kovalevsky, Vassily Kljuchevsky; military historians – Nikolay Dubrovin, Vassily Potto, Rostislav Fadeev, etc.) and criticizes them.

მერაბ კალანდაძე

ბრანდიოზული გადატრიალება ისტორიულ მეცნიერებაში

ისტორიულ მეცნიერებაში „კოპერნიკისეულ გადატრიალებას“ უკავშირებენ „ანალების სკოლის“ ფრანგი ისტორიკოსების სახელს, „ახალ ისტორიულ მეცნიერებას“.¹

ისტორიის თეორიის, შექმნების, ეპისტემოლოგიის, პრობლემების დამუშავების საქმეში თავისი წონიანი სიტყვა თქვეს გერმანელმა მეცნიერებმა, პირველ რიგში კი, ცხადია, ნეოკანტი-

¹ **რ. მეტრეველი.** მცირე განსჯა ჟაკ ლე გოფის წიგნის „წარმოსახვითის შუა საუკუნეობრივი სამყაროს“ წაკითხვის შემდეგ. თბ., 2005; **რ. მეტრეველი.** კლიოს მფარველობის ქვეშ. – *მაცნე*, ისტორიის... სერია, 4, 1990; **რ. მეტრეველი.** გლობალიზაციის პერსპექტივა და ისტორიოგრაფიის პრობლემები. – *ქართული დიპლომატია*, წელიწადეული, 12. თბ., 2005; **მ. კალანდაძე.** „კოპერნიკისეული გადატრიალება“ ისტორიკოსის პროფესიაში. – *კლიო*, №14, 2002; **მ. კალანდაძე.** წიგნი – მანიფესტი (ფერნან ბროდელი). – *ციცქარი*, 8, 1992; **მ. კალანდაძე.** მარკ ბლოკის „ისტორიის აპოლოგია“. – გაზ. „წიგნის სამყარო“, 1988წ. 10 თებერვალი; **მ. კალანდაძე.** ლუსიენ ფევრის წიგნი „ბრძოლა ისტორიისათვის“. – *სალიტერატურო გაზეთი*, 1997წ. 19 ნოემბერი; **კ. ანთაძე, მ. კალანდაძე.** საინტერესო ნაშრომი ფრანგი ისტორიკოსის ჟაკ ლე გოფის წიგნზე. – *ლიტერატურული საქართველო*, 2005წ. 17 ივნისი; **მ. კალანდაძე.** პიერ შონიუს „კლასიკური ევროპის ცივილიზაცია“. – გაზ. „ახალი 7 დღე“, 2006წ. 11-17 აგვისტო; **რ. ლაბაძე.** მენტალიტეტის კვლევის თანამედროვე მეთოდები მონტაიუს მაგალითზე. – *თსუ შრომები*, ისტორიის სერია, ტ. 328. თბ., 1999; **რ. ლაბაძე.** ცოდვა და შიში შუა საუკუნეებში. *ქართული მენტალური მოდელის ორი ასპექტი*. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი. თბ., 2005; **ნ. ლაშხი.** ინტერდისციპლინური კვლევის საკითხები „ანალების სკოლის“ წარმომადგენლებთან (ლუსიენ ფევრი, ფერნან ბროდელი, ჟაკ ლე გოფი). – კრ.: *„ეთნოლოგია, სოციოლოგია, კულტუროლოგია – ინტერესთა ურთიერთგადაკვეთა და ინტეგრაციის პერსპექტივები“*. თბ., 2004.

ანელებმა და მაქს ვებერმა. ეს XX საუკუნის ისტორიული აზროვნების კიდევ ერთი თვალშეუვლები მწვერვალია.

ფრანგულ „ახალ ისტორიულ მეცნიერებასა“ და ნეოკანტიანელებს შორის არანაირი უფესკრული არ არსებობს, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. უახლეს გამოკვლევებში ხაზგასმულია, რომ ისინი ერთი და იმავე საკითხს უდგებიან სხვადასხვა კუთხით – ფრანგი ისტორიკოსები კონკრეტული ისტორიული გამოკვლევების ჭრილში, ხოლო გერმანელი მეცნიერები ეპისტემოლოგიის, გნოსეოლოგიის დონეზე. დაბეჯითებით იმის მტკიცება, რომ მარკ ბლოკი კარგად იცნობდა მაქს ვებერის თეორიული ხასიათის ძიებებს, მართალია, ძალიან ძნელია, მაგრამ მათ შორის არსებული სულიერი ნათესაობა აშკარად შეინიშნება და ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

XIX-XX საუკუნის მიჯნაზე დიდი პოპულარობა მოიხვეჭეს ნეოკანტიანელებმა. მათი ასეთი წარმატება შემთხვევითი არ ყოფილა და ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა. ამას გააჩნდა თავისი ობიექტური მიზეზები. პირველ ყოვლისა, ეს ინტერესი განპირობებული იყო იმით, რომ მათ სახელს უკავშირდება გრანდიოზული მნიშვნელობის გადატრიალება ისტორიის შემეცნების, ეპისტემოლოგიის, სფეროში. ახალი ისტორიული მეცნიერების დაბადება. ეს იყო ახალი სიტყვა ისტორიულ მეცნიერებაში.

აღსანიშნავია, რომ ნეოკანტიანელებმა გავლენა მოახდინეს ქართულ ისტორიოგრაფიაზე. ნათქვამი, პირველ რიგში, ეხება ცნობილ ქართველ ისტორიკოსს, პროფ. გრიგოლ ნათაძეს. მისი დამოკიდებულება ნეოკანტიანელებისადმი მეტად თავისებური იყო, რაც მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნებოდა, რომ გრ. ნათაძე ცდილობდა ეკონომიკური მატერიალიზმიდან მარქსიზმისაკენ ევოლუციას². შემ-

² გრ. ნათაძე. საზოგადოებათმცოდნეობის მეთოდოლოგიისა და მეთოდის საკითხები. თბ., 1931. ამ თემაზე დაწვრილებით იხ.: მ. კალანდაძე. დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში. თბ., 1999; **M. Kalandadze**, Die Anfänge des Studiums der mittelalterlichen und neueren Geschichte Westeuropas in Georgien. – „Georgica“, 23, 2002; **M. Каландадзе**. У истоков изучения истории Западной Европы в Грузии. – წგნ.: **Н. Дубровский**. Труды. Тб., 2004, გვ. 3-24.

დგომში, ერთი მარქსისტული იდეოლოგიის მონოპოლიის დამყარების პირობებში, ნეოკანტიანელების აუგად მოხსენიება პირდაპირ მოდად იქცა, თავის პიკს, აპოგეას მიაღწია. ნეოკანტიანელების მარქსისტული კრიტიკა დღეს უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა და ისტორიოგრაფიული რეტროს სურნელი დაჰკრავს. საბჭოთა ისტორიოგრაფიის ფონზე ერთ-ერთ ბედნიერ გამონაკლისად ცნობილი რუსი ისტორიკოსის, პროფესორ არონ გურევიჩის შეხედულებები უნდა მივიჩნიოთ³.

ამ თემატიკით ჩვენმა დაინტერესებამ ერთგვარი ევოლუცია განიცადა და შეიძლება ითქვას, რომ რამდენიმე საფეხური განვლო. თავდაპირველად ის უპირატესად წმინდა ინფორმაციულ ხასიათს ატარებდა და მარქსისტული იდეოლოგიის თეორიულ ჩარჩოებს არ ცილდებოდა. ამ პრობლემის მარქსისტული გაშუქების ობიექტურობაში ეჭვი კიდევ უფრო მოგვეძალა სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობისას, როდესაც ამ თემატიკას კიდევ უფრო მეტად ჩაუღრმავდით. საბოლოოდ კი თვალი აგვეხილა თსუ ისტორიის ფაკულტეტზე მაგისტრატურაში ისტორიოგრაფიული ხასიათის კურსის „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკა“ წაკითხვისას. ჩვენ საბოლოო გამოფხიზლებაში გერმანელ სწავლულ ვოლფგანგ მომზენტთან ერთად, რომელიც მაქს ვებერის შემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე უფრო კომპეტენტური მკვლევარია, დიდი წვლილი მიუძღვის, ზემოხსენებულ რუს ისტორიკოსს პროფ. არონ გურევიჩს.

წინამდებარე ნაშრომს ნეოკანტიანელების ისტორიული კონცეფციის ამომწურავი წარმოჩენის პრეტენზია არ გააჩნია და გაცილებით უფრო მოკრძალებულ მიზანს ისახავს. ის ნეოკანტიანელების ეპისტემოლოგიური ძიებების ნორმალურ, მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნების გზაზე გადადგმულ კიდევ ერთ მოწიწებულ მცდელობად შეიძლება მივიჩნიოთ. აქცენტები გადატანილია იმ პოზიტიურ წვლილზე, რომელიც ნეოკანტიანელებს გააჩნდათ ისტორიული მეცნიერების წინაშე და რომელზეც ქართული საზოგადოება დიდი ხნის განმავლობაში არსებითად მცდარად იყო

³ **А. Гуревич.** История историка. М., 2004; **А. Гуревич.** О кризисе современной исторической науки. – *Вопросы истории*, №2-3, 1991.

ინფორმირებული. აქ უბრალოდ იმის თქმას ვაპირებთ, რომ ნეო-კანტიანელების ეპისტემოლოგიას ღირსებები უფრო მეტი გააჩნდა, ვიდრე ნაკლი.

პანლოგიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ გერმანელი ფილოსოფოსები ჰეგელი და მარქსი. თუ პირველი აღნიშნულ საკითხს იდეალისტური პოზიციებიდან უდგებოდა, მეორე მას განიხილავდა მატერიალისტური თვალთახედვით. მიუხედავად ამ განსხვავებისა, მათ შორის მსგავსება აშკარად თვალშისაცემი რჩება და ამას დუმილით ვერ აუვლი გვერდს. პანლოგიზმის მთავარი ამოსავალი წერტილია, ძირითადი დებულებაა, შემეცნების უპრობლემობის პრინციპი. მისი მიმდევრები ამტკიცებდნენ, რომ სამყაროს ობიექტური შემეცნების გზაზე არანაირი დაბრკოლება არ არსებობს და ამიტომ ფილოსოფოსს და მეცნიერს გააჩნია სამყაროს ადექვატურად აღქმის უნარი. მთელი ეს მსჯელობა პოლემისტური მუხტითაა დატვირთული და მიმართულია მეორე გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსის კანტის შეხედულებების წინააღმდეგ, რომელსაც აღნიშნულ საკითხზე სრულიად განსხვავებული აზრი გააჩნია.

კანტი, უპირველეს ყოვლისა, ხაზს უსვამს საკუთრივ ობიექტური ჭეშმარიტების არარსებობას და დასძენს, რომ ჭეშმარიტება არ განხლავთ ობიექტურ საგანთა ვითარება და დამოკიდებულია შემეცნებელი სუბიექტის ორგანიზებულობაზე. შემეცნების პრობლემისადმი კანტის დამოკიდებულება კრიტიკულია. იგი, ჯონ ლოკისაგან განსხვავებით, კი არ ენდობა ადამიანის შემეცნების უნარს, არამედ სკეპტიკურად ეკიდება მას. აქ კანტი პრაქტიკულად ანვითარებს მოძღვრებას წმინდა გონების უნარის კრიტიკის შესახებ. ამ თეორიის თანახმად შეგვიძლია საგნებში აღვიქვათ მხოლოდ ის, რაც ჩვენმა გონებამ შეიტანა მასში⁴. შემდგომში კანტის მოწაფეებმა კიდევ უფრო სრულყვეს, განავითარეს მისი მოძღვრება „წმინდა გონების კრიტიკის“ შესახებ. მათ დამაჯერებლად უჩვენეს, რომ წარსულის შემეცნება არის რთული და მრავალწახნაგოვანი და ამით კიდევ უფრო გაამწვავეს ისტო-

⁴ დაწვრილებით იხ.: კ. ბაქრაძე. რჩეული ფილოსოფიური ნაწერები. ტ. VI. თბ., 1972; გ. თევზაძე. იმანუილ კანტი. თბ., 1974.

რიული ეპისტემოლოგიის, შემეცნების პრობლემა.

მარქსი კატეგორიულად უარყოფს კანტის შემეცნების თეორიას და ადამიანის გონების საზღვრების არსებობას. ა. გურევიჩის მართებული შენიშვნით, შემეცნების პრობლემისადმი მარქსისტულ-ჰეგელიანურმა მიდგომამ საბჭოთა ისტორიკოსების თვალში დაჩრდილა XX საუკუნის ისტორიოგრაფიაში მეორე, უფრო პერსპექტიული და საინტერესო მეთოდოლოგიური თვალსაზრისი⁵.

ისტორიული მეცნიერების განახლება მხოლოდ ფრანგი ისტორიკოსების მონოპოლია არ განლავთ. აქ, უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ ნეოკანტიანელებს. ისინი აღნიშნულ პრობლემას სულ სხვა კუთხით მიუდგნენ. თუ „ანალების სკოლის“ ფრანგმა ისტორიკოსებმა მოახდინეს „კოპერნიკისეული გადატრიალება“ კონკრეტული ისტორიული გამოკვლევების წერის სფეროში, ნეოკანტიანელების სახელს უკავშირდება გრანდიოზული მნიშვნელობის თვისობრივი სიახლე ისტორიის შემეცნების, ეპისტემოლოგიის (გნოსეოლოგიის) დარგში.

„ანალების სკოლის“ ფრანგმა ისტორიკოსებმა გაილაშქრეს უპრობლემო ემპირიზმის წინააღმდეგ, რომელსაც ქადაგებდნენ პოზიტივისტები შარლ ლანგლუასა და შარლ სენიობოსის მეთაურობით. ნეოკანტიანელებმა წერტილი დაუსვეს პოზიტივისტების პრინციპებს, ყოვლისმომცველ სქემებს, რომელიც ხელს უშლიდა კონკრეტული მასალის გააზრებას⁶.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ნეოკანტიანელებმა ხმა აღიმადღეს ისტორიული მეცნიერების ტოტალიტარული ობიექტურობის წინააღმდეგ, როგორც ამას ქადაგებდნენ რანკე და პოზიტივისტები. ფაქტობრივად ნეოკანტიანელებმა დაიწყეს ისტორიული მეცნიერების რელატივიზაცია, რომელსაც საფუძვლად ედო ძირფესვიანი გადახედვა თვით მეცნიერულ ცოდნაზე წარმოდგენისა. საინტერესოა, რომ ამერიკელმა მეცნიერმა ჰ. ბარნსმა ეს ნოვაციები შეადარა იმ აღმოჩენებს, რომელიც დაკავშირებული იყო ალბერტ აინშტაინის და მაქს პლანკის სახელებთან. რო-

⁵ А. Гуревич. О кризисе современной исторической науки., გვ. 24.

⁶ Ш. Ланглюа, Ш. Сеньобос. Введение в изучение истории. СПб., 1899.

გორც მათ ააფეთქეს ძველი ფიზიკა, ისე ნეოკანტიანელებმა შეურყიეს საფუძვლები ძველ ისტორიოგრაფიულ ტრადიციას, რანკეს და პოზიტივისტების კონცეფციას⁷. თანამედროვე ამერიკელი ისტორიკოსი, ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი პ. ნოვიკი ისტორიის ტოტალურ ობიექტურობას უყურებს, როგორც „ლამაზ ილუზიას, რომლის განხორციელება ისტორიოგრაფიულ პრაქტიკაში ძალზე ძნელია“⁸.

ნეოკანტიანელებმა მოახდინეს რევოლუციური გადატრიალება ისტორიული მეცნიერების სფეროში, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ გაათავისუფლეს ისტორია საბუნებისმეტყველო მეცნიერების ტირანიისაგან, რომელშიც ის აღმოჩნდა პოზიტივისტების წყალობით. ნეოკანტიანელებმა ძირითადი აქცენტი ონტოლოგიის სფეროდან გნოსეოლოგიაზე გადაიტანეს და წინ წამოსწიეს მთელი რიგი ისეთი საკითხებისა, რომელსაც მათი წინამორბედი ისტორიკოსები ღუმილთ უვლიდნენ გვერდს. ნეოკანტიანელებს აინტერესებდათ როგორია ისტორიის შემეცნების შესაძლებლობა. როგორია ის შემეცნებითი, ეპისტემოლოგიური ინსტრუმენტები, რომელიც არის ადამიანის ტვინში და როგორ შეიძლება მათი რეალიზება.

ნეოკანტიანელები მეცნიერებას პირობით ორ ჯგუფად ყოფდნენ: გენერალიზირებული და ინდივიდუალიზირებული, რომელიც აღწერს კულტურის ინდივიდუალურ, კონკრეტულ სახეს⁹. ეს იყო ისტორიული მეცნიერების ემანსიპაციის გზაზე გადაღმული სერიოზული ნაბიჯი. რა თქმა უნდა, მეცნიერებათა ეს კლასიფიკაცია არ ატარებდა აბსოლუტურ ხასიათს და ჰანს რიკერთი მას არც არასოდეს არ ანიჭებდა ასეთ დატვირთვას. ამგ-

⁷ **Б. Могильницкий.** Между объективизмом и релятивизмом: дискуссии в современной американской историографии. – *Новая и новейшая история*, №5, 1993, გვ. 4.

⁸ **Б. Могильницкий.** Между объективизмом и релятивизмом..., გვ. 6.

⁹ პირველად მეცნიერების ორად დაყოფა შემოიღო ვ. ვინდელბანდმა. იხ.: **В. Виндельбанд.** Прелюдии. СПб., 1904; **Г. Риккерт.** Философия истории. СПб., 1908, გვ. 22, 28, 55-56, 89; **Г. Риккерт.** Естествоведение и культуроведение. СПб., 1903, გვ. 19, 24.

ვარ ბრალდებას ნეოკანტიანელებს სრულიად უსაფუძვლოდ უყენებდა საბჭოთა, მარქსისტული ისტორიოგრაფია. ცხადია, გამართლებული არ იქნება ვიფიქროთ, რომ ნეოკანტიანელები თითქოს უგულებელყოფდნენ ისტორიის მეცნიერულ სტატუსს. სინამდვილეში ეს ასე არ არის.

ნეოკანტიანელების ისტორიის მეთოდოლოგია ხაზს უსვამს ისტორიული ცნებების დამხმარე როლს და არ უარყოფს ისტორიას როგორც დამოუკიდებელ მეცნიერებას. მათი ღრმა რწმენით „ისტორია არის მეცნიერება კულტურის, კონკრეტულ-ისტორიული ინდივიდის შესახებ“. ცნობილი გერმანელი ისტორიკოსი ედუარდ მაიერი, რომელიც განიცდიდა ნეოკანტიანელების გავლენას“ თავის საინტერესო ნაშრომში „ისტორიის თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხები“ დასძენდა: „ისტორიის როგორც მეცნიერების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ შეისწავლის არა ტიპიურ ფორმებს ისტორიული ყოფისა, არამედ აშუქებს კონკრეტულ, ცალკეულ, ინდივიდუალურ მოვლენებს და ფაქტებს“. მეორე ადგილას კი იგი აღნიშნავს. „ისტორიული მეცნიერება გამოდის სინამდვილის ცალკეული ფაქტებიდან და სრულდება ამავე ცალკეული ფაქტებით“.¹⁰ აქ ე. მაიერი არსად არ უარყოფს ისტორიის მეცნიერულ სტატუსს, რასაც მას სულ ტყუილუბრალოდ საყვედურობდა საბჭოთა ისტორიოგრაფია. ნეოკანტიანელთა დამსახურება იმაში მდგომარეობდა, რომ მათ ისტორიული მეცნიერება გაათავისუფლეს საბუნებისმეტყველო დარგის ტირანიისგან და ისტორიას დამოუკიდებელი მეცნიერული სტატუსი დაუშეკვიდრეს. ისტორიკოსის ყურადღების ცენტრში დგას კონკრეტული და მხოლოდ ამ კონკრეტულში, მისი სტრუქტურის შიგნით ისტორიკოსს შეუძლია ეძებოს კანონზომიერება. ჰ. რიკერტის თანახმად, „მეცნიერება კულტურის შესახებ (ე. ი. ისტორია – მ.კ.) ცდილობს აღადგინოს სინამდვილე, რომელიც არასოდეს არ ატარებს საერთო ხასიათს და ყოველთვის არის ინდივიდუალური“.¹¹

¹⁰ Эд. Майер. Теоретические и методологические вопросы истории, изд.2. М., 1911, გვ. 35-36.

¹¹ Г. Риккерт. Естествоведение и культуроведение..., გვ. 24.

ისტორიის ახსნის სფეროში არსებული რეალური სირთულეები, ისტორიის შემეცნების პროცესში სუბიექტურ-ობიექტური ურთიერთობის პრობლემა, ჩაანაცვლა თეზისმა წარსულის შემეცნება შეუძლებელია. ეს უკვე სულ სხვა უკიდურესობა იყო. გერმანელი ისტორიკოსის ფრიდრიხ მაინეკეს თანახმად, „ისტორიული ცხოვრების გამოცანა ყოველთვის რჩება საიდუმლო, ვერაგი, გამოუცნობი“. მისი თანამემამულის რ. ვიტრამის აზრით, „ისტორია არის გაჩერებული დრო, რომელიც გაცილებით უფრო ბნელია, ვიდრე უკუნი ღამე“. „წარსული, – წერს XX საუკუნის გამოჩენილი ფილოსოფოსი კარლ იასპერსი, – მიუწვდომელია ჩვენი ცდომილებისათვის, მომავალი ბნელია, არავინ იცის, საით მიდის ისტორია“.¹² XX საუკუნის გერმანელი ისტორიკოსი თეოდორ შიდერი დასძენდა: „საითაც არ გაიხედავ, ისტორიის მიზანი დაფარულია საიდუმლო სიბნელით და პასუხი, რა გზით ვითარდება ისტორია, სულ უფრო ძნელი ხდება“.¹³

გერჰარდ რიტერს მიაჩნია, რომ „ისტორიკოსს არ შეუძლია მოვლენების და ფაქტების ახსნა“. XX საუკუნის ამერიკელი ისტორიკოსი ჯ. სანდერსი აღნიშნავს, რომ „წარსულზე ჩვენი ცოდნა გავს ღამე გაღებულ ფანჯარას, ჩვენ ვხედავთ შორეულ სინათლეს, გვესმის ცალკეული ხმები და მეტი არაფერი“. მას კვერს უკრავს მისი თანამემამულე ჯ. მალინი. მან ისტორიას პირდაპირ სასტიკი განაჩენი გამოუტანა – „ისტორია სრულიად უსარგებლოა“. ფრანგი ჟ. ური ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ „ისტორია არა თუ შორსაა მეცნიერებისგან, არამედ უპირისპირდება მეცნიერებას, გარკვეული აზრით მისი ანტიპოლია“.¹⁴ ამგვარი პესიმისტური დამოკიდებულება საკამათო შეიძლება იყოს. ხომ არ იქნებოდა ეს ამ რთული სიტუაციიდან ადვილი გამოსავალი? ნეოკანტიანელები სულ სხვა გზით წავიდნენ. ისინი არა-

¹² **Н. Ирибаджаков.** Клио перед судом буржуазной философии. М., 1972, გვ. 240.

¹³ **В. А. Дьяков.** Методология истории в прошлом и настоящем. М., 1974, გვ. 73; **В. Салов.** Современная западногерманская буржуазная историография. М., 1968, გვ. 110.

¹⁴ **Н. Ерофеев.** Что такое история. М., 1977, გვ. 56-57.

სოდეს არ ყოფილან ასეთი პესიმისტები და თეორიულად იმ პოსტულატიდან გამოდიან, რომ ისტორიული გამოკვლევა არ ატარებდა უბრალოდ შემგროვებლურ ხასიათს, როგორც ამას ხაზს უსვამდნენ პოზიტივისტები, პირველ რიგში კი – შარლ ლანგლუა და შარლ სენიბოსი.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ნეოკანტიანელები ხაზს უსვამენ წარსულის აღდგენის პროცესის მთელ სირთულეს, მაგრამ არ უგულებელყოფენ მის შესაძლებლობას, მათ კარგად დაინახეს, რომ წარსული არის მეტად რთული, მრავალფეროვანი და მრავალწახნაგოვანი, ხოლო მისი აღქმა, მასში წვდომა, სულაც არ არის ისე ადვილი, როგორც ეს პოზიტივისტებს წარმოედგინათ. „წარსული წარმოგვიდგება ჩვენ თვალუწვდენელად და მრავალწახნაგოვნად“.¹⁵ წარსულის რეკონსტრუქცია, სამართლიანად აღნიშნავს ჰანს რიკერტი, არის წმინდა სუბიექტური პროცესი. ისტორიას გააჩნია ორი მხარე ობიექტური, საკუთრივ ისტორიული პროცესი და სუბიექტური ისტორიკოსის მიერ ამ პროცესის გააზრება. ისტორიკოსი არ აღგენს უკანასკნელ ჭეშმარიტებას, მას არ გამოაქვს საბოლოო ვერდიქტი, მისი მისია გაცილებით უფრო მოკრძალებულია. ის მოგვითხრობს წარსულის საკუთარ ვერსიას. განა არის ამაში რაიმე მიუღებელი? ობიექტს ხომ სუბიექტი აღიქვამს. ნეოკანტიანელები დაინტერესდნენ ისტორიული პროცესის სუბიექტური მხარით და კარგად დაინახეს მთელი მისი სირთულე. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს წარსულის აშკარა გაყალბებას, ფალსიფიკაციას. ისტორიკოსს ამის უფლება არ აქვს. ძნელია დავეთანხმოთ გერმანელ ფილოსოფოს თეოდორ ლიტს, თითქოს „ისტორიკოსს არა ფაქტები, არამედ მიკერძოება ხელმძღვანელობს“. გერმანელი მეცნიერი კ. ჰეისი ისტორიულ ფაქტში ხედავდა მხოლოდ „ისტორიკოსის თვალსაზრისს“.¹⁶ არის რამე ამაში ცუდი? ალბათ არაფერი.

ჩვენი ცოდნა წარსულის შესახებ გაცილებით უფრო ღარიბია, ვიდრე სინამდვილეში იყო წარსულის შემეცნების სირთულე.

¹⁵ Г. Риккерт. Философия истории..., გვ. 22, 28, 55-56, 89.

¹⁶ М. Барг. Исторический факт: структура, форма, содержание. – *История СССР*, №6, 1976, გვ. 52-53.

ლეს რამდენიმე გარემოება განაპირობებს: 1. წარსული უკვე იყო და მას უკან ვეღარ დააბრუნებ. 2. წარსულის შესახებ წყაროები საკმაოდ მწირ ინფორმაციას გვაწვდიან, 3. წყაროებში ისტორიკოსს არ ხვდება გამზადებული ინფორმაცია. ისტორიკოსმა უნდა გამოიფროს წყაროები და წყაროებში შეღწევის შედეგად შეეცადოს გაერკვეს, რა ხდებოდა წარსულში. ნეოკანტიანელების ღრმად რწმენით, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი თუ შეუდგებით იმ შემეცნებითი საშუალებების ანალიზს, რომელსაც ფლობს ისტორიკოსი. ეს იყო ახალი სიტყვა ისტორიულ მეცნიერებაში.

პოზიტივისტებს ისტორიკოსის და წყაროების ურთიერთობაზე თავისებური წარმოდგენა ჰქონდათ. მათი შეხედულებით, ისტორიკოსი წყაროებს აკვირდება „გარედან“. ის შეიარაღებულია ისტორიული ცნობიერების კანონების ცოდნით და ნაღებს ხდის წყაროების მონაცემებს. გვიხატავს წარსულის სრულიად ობიექტურ სურათს. მათ ეჭვი არ ეპარებათ, რომ შესაძლებელია წარსულის მხოლოდ ერთადერთი ჭეშმარიტი რეკონსტრუქცია და ამ მიმართულებით იღწვიან ყველა ისტორიკოსები, გარდა გადაძვარებისა და ფალსიფიკატორებისა.

პოზიტივისტების თანახმად, ისტორიული ფაქტი ობიექტური რეალობაა, რომელიც მოცემულია წყაროებში. ისტორიული წყარო არის ერთადერთი საიმედო გზამკვლევი, რომელიც აკავშირებს ისტორიკოსს წარსულთან. თუ ის დაიცავს კრიტიკის ტრადიციულ წესებს, მას სათანადო ინფორმაციის მიღება გარანტირებული აქვს. მთელი ეს რთული პროცესი წარსულის ინფორმაციის რეკონსტრუქცია და ისტორიკოსი, რომელიც ამ რეკონსტრუქციას ახდენს სრულიად უპრობლემოდ გამოიყურებოდა. პოზიტივისტების აზრით, ყველა მეცნიერების სფეროში გნოსეოლოგიური პროცედურები იდენტურ ხასიათს ატარებს. აქედან იღებს სათავეს მათ მიერ ისტორიის და საბუნებისმეტყველო დარგების გაიგივება¹⁷.

ნეოკანტიანელები სულ სხვა გზით მიდიან. ისინი ფიქრობ-

¹⁷ Ш. Ланглуа, Ш. Сеньобос. Введение в изучение истории.

დნენ, რომ ისტორიკოსი „გარედან“ კი არ უყურებს წყაროებს, როგორც ეს პოზიტივისტებს წარმოუდგენიათ, არამედ ის იმყოფება თვით ამ ისტორიის შუაგულში და აქედან თავის დაღწევა მას არ უწერია. ისტორიკოსი სწავლობს ისტორიას შიგნიდან. ეს იყო პრინციპულად განსხვავებული მიდგომა, რომელსაც სულ სხვაგვარად წარმოუდგებოდა ისტორიკოსის ფუნქცია წარსულის აღდგენის საქმეში. ნეოკანტიანელების თანახმად, ისტორიკოსი ისტორიულ მოვლენებზე მაღლა კი არ დგას, პასიური მჭვრეტელის როლში კი არ გამოდის, მისთვის უცხო არაა ამქვეყნიური ვნებათაღელვა და საზოგადოებისაგან განზე კი არ დგას, არამედ მის შუაგულშია მოქცეული. მკვლევარი პასიური კი არ უნდა იყო, როგორც ამას ხაზს უსვამდნენ რანკე და პოზიტივისტები, არამედ აქტიური ფუნქცია აკისრია¹⁸. განა არის ამაში რაიმე მიუღებელი? ვფიქრობთ არაფერი. „სანამ შეისწავლით ისტორიას, შეისწავლეთ ისტორიკოსი, სანამ შეისწავლიდეთ ისტორიკოსს შეისწავლეთ მისი ისტორიული და სოციალური გარემო“¹⁹ – აღნიშნავს ინგლისელი ისტორიკოსი ედვარდ კარი.

ისტორიული წყაროები თავისით არაფერს არ ლაპარაკობენ. მათი გაშიფვრა, ამეტყველება, ისტორიკოსის დაუღალავი შრომის ლოგიკური შედეგია. ისტორიკოსს წარსულის რეკონსტრუქციის საქმეში სრულიად ახალი როლი დაეკისრა“. მისი მთავარი ამოსავალი წერტილია ისტორიკოსის შემოქმედებითი აქტივობა. ის ბრძოდ კი არ მიყვება წყაროებს, არამედ არის მაქსიმალურად სუვერენული, დამოუკიდებელი, თავისუფალი.

და ბოლოს, უნდა შევხვთ კიდევ ერთ თემას, რომელზეც მარქსისტული იდეოლოგიის წყალობით, ქართულ საზოგადოებას დამახინჯებული წარმოდგენა აქვს. აქ, რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ გამოჩენილი გერმანელი ისტორიკოსის მაქს ვებერის მოძღვრებას „იდეალური ტიპების“ შესახებ, როგორც წარსულის შემეცნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებაზე. საინტერესოა ის შეგადართო მარქსისტულ მოძღვრებას სოციალ-ეკონომიკური ფორ-

¹⁸ Г. Риккерт. Философия истории..., გვ. 13, 23, 27-30, 39-43, 90, 94-99.

¹⁹ ედ. კარი. რა არის ისტორია, თბ., 2001, გვ. 40-41.

მაცეების შესახებ. დიდი ხნის განმავლობაში საბჭოთა ისტორიო-გრაფია, ამ თემას განიხილავდა ცალმხრივად და, შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერს თავდაყირა აყენებდა. ამ ფონზე აშკარად გამორჩეული და საინტერესო იყო არონ გურევიჩის პოზიცია. მისი დამოკიდებულება საკითხისადმი იყო მეცნიერული²⁰. უპირველეს ყოვლისა, ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ეს სქემა მარქსისტ-ისტორიკოსს მოცემული აქვს თავიდანვე, აპრიორი, ვიდრე ის შეისწავლის ფაქტობრივ მასალას. მას შეუძლია ამ სქემის შიგნით მოქმედება, მაგრამ ფორმაციულ ჩარჩოებს ის ვერ გაცდებოდა. წინასწარ მოცემულ სქემას ვერ გადაუხვევდა.

სულ სხვა მიდგომას გვთავაზობს მაქს ვებერი²¹. პირველ რიგში, ის აღნიშნავს, რომ ისტორიკოსი თავის საქმიანობას იწყებს საერთო კონცეფციით. ე. ი. იქმნის წინასწარ წარმოდგენას ისტორიული წარსულის იმ ფრაგმენტზე, რომელიც მას აინტერესებს. ეს არის „აზრობრივი სახეები“. გერმანელი მეცნიერების შეხედულებით, „იდეალური ტიპი“ წარმოადგენს მხოლოდ აზრობრივ კონსტრუქციას, რომელიც გვეხმარება უფრო კარგად გავიგოთ ინდივიდუალური, განუმეორებელი, განსაკუთრებული²². რა გზას დავადგეთ მაშინ, თუ შეიქმნა წინააღმდეგობა წინასწარ ჰიპოთეზასა და მოცემულ წყაროს შორის. ე. ი. ფაქტი არ თავსდება იმ სისტემაში, რომელსაც ქმნის „იდეალური ტიპი“. ეს ფრიად აქტუალური საკითხია. მარქსიზმმა ამ რთული სიტუაციიდან ადვილი გამოსავალი გამოძებნა. ამ შემთხვევაში უბრალოდ საჭი-

²⁰ **А. Гуревич.** История историка..., გვ. 109-111.

²¹ ეს იდეები უდევს საფუძვლად მ. ვებერის შემდგომ შრომებს: **М. Вебер.** Город, Пг, 1923; **М. Вебер.** История хозяйства. Пг. 1923; **М. Вебер.** Протестантская этика и дух капитализма. – წგნ.: **М. Вебер.** Избранные произведения, М., Просвещение, 1990.

²² **В. Моммзен.** Макс Вебер и историческая наука. – *Новая и новейшая история*, № 4, 1990; **W. Mommsen.** Max Weber. – In: *Deutsche Historiker* (hrsg. **H.-U. Wehler**). Göttingen, 1973; **W. Mommsen.** Maxs Weber und die Deutsche Politik, 1890-1920. Tubingen, 1959; **W. Mommsen.** Neue Max Weber Literatur. – *Historische Zeitschrift*, Bd., 211, 1970; **Maxs Weber.** der Historiker. Hrsg. **S. J. Kocka.** Göttingen, 1966; **G. Hufnagel.** Kritik als Beruf: Der kritische Gehalt in Werk Max Webers. Frankfurt a/M, 1971.

როა გამოვრიცხოთ, გავაძევოთ ის ფაქტი, რომელიც ხელს გვიშლის და ეს ნაბიჯი იმით შეიძლება გავამართლოთ, რომ ეს არაა მთავარი, მნიშვნელოვანი.

სულ სხვა გზით მიდის მაქს ვებერი. ამიტომ საბჭოთა ისტორიოგრაფიამ იგი უპირატესად არაკონსტრუქციული კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა. ვებერის კონცეფციის მარქსისტული კრიტიკა, ფორმაციული პოზიციებიდან, არაღამაჯერებლად გამოიყურება და ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს. მაინც როგორ იქცევა მაქს ვებერი? თუ კონკრეტული მასალა წინააღმდეგობაში მოდის წინასწარ ჰიპოთეზასთან, ე. ი. „იდეალურ ტიპთან“, მაშასადამე, საჭიროა ამ იდეალური ტიპის მოდიფიკაცია. აშკარაა, რომ სწორად არ იქნა შერჩეული ამოსავალი პოსტულატები და აუცილებლად საჭიროა, მასში გარკვეული კორექტივები შევიტანოთ, ან, თუ საჭიროა, მთლიანად შევცვალოთ. თუ იდეალური ტიპი გამოუსადეგარი გახდა, იგი დაუყოვნებლივ უნდა უკუვაგდოთ და დავიწყოთ ახალი წინამძღვრების მოძიება. აი, ასეთია მაქს ვებერის კრედიტ²³.

ერთი სიტყვით, იდეალური ტიპი სქემა კი არაა, რომელსაც უნდა მოვარგოთ კონკრეტული ფაქტობრივი მასალა, არამედ ეს არის ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც ვაგროვებთ, შევისწავლით, სისტემაში მოგვყავს, ვაანალიზებთ. თუ ეს ინსტრუმენტი რომელიმე კონკრეტულ სიტუაციაში არ გამოდგება, ის უნდა გამოვცვალოთ. „ჩვენ შეგნებულად განვიხილავთ „იდეალურ ტიპს“, როგორც კონსტრუქციას, რომელიც წარმოქმნის აზროვნებას, რათა გაზომოს და სისტემატიურად განიხილოს ინდივიდუალური კავშირები, რომელთაც აქვთ მნიშვნელობა, მათი თავისებურება. ასე, მაგალითად, ქრისტიანობა, კაპიტალიზმი“²⁴ – აღნიშნავს მაქს ვებერი.

²³ **А. Гуревич.** История историка..., გვ. 109-111.

²⁴ **А. Патрушев.** К вопросу об оценке Макса Вебера в современной буржуазной историографии – წგნ.: *История и историки*. 1976. М., 1979, გვ. 220. ამ თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე: **А. Патрушев.** Ренессанс Макса Вебера: истоки, дискуссии, тенденции. – *Новая и новейшая история*, №1, 1993.

კ. მარქსის და მ. ვებერის დაპირისპირება გამართლებული არ უნდა ჩანდეს და მიუღებელია. მარქსი იყო XIX ს. მეორე ნახევრის დიდი მოაზროვნე, ხოლო მაქს ვებერი კი – XX საუკუნის დასაწყისის. კ. მარქსი აქცენტებს აკეთებდა ისტორიული პროცესის ობიექტურ მხარეზე, ხოლო მაქს ვებერი კი ჩაულრმავდა სუბიექტურ ასპექტებს. ამიტომ ისინი ერთმანეთს კი არ უპირისპირდებიან, არამედ ერთმანეთს ავსებენ, თუმცა მ. ვებერის დადანიშნულება მარქსიზმში, როგორც ამას მისი ზოგიერთი დასავლეთელი ოპონენტი ჩადის, აშკარად არაადამაჯერებლად ჟღერს. მაქს ვებერს ხშირად საყვედურობენ და, შესაძლოა, არცთუ უმართებულოდ, რომ ის მკაფიოდ არ გამოიჯნავს ერთმანეთისაგან ორ განსხვავებულ ცნებას – ტიპოლოგიას და იდეალიზაციას. სხვათა შორის, ამ თვალსაზრისით საგულისხმო უნდა ჩანდეს საკუთრივ ტერმინი „იდეალური ტიპები“.

სავსებით ვეთანხმებით თანამედროვე პოლონელ ისტორიკოსს, პოზნანის უნივერსიტეტის პროფესორს ეჟი ტოპოლსკის, რომ „შესაძლოა, მაქს ვებერის თეორიული ძიებებიდან ყველაფერი არ გაიზიარო, მაგრამ მისი სრული უგულებელყოფა, იგნორირება, გამართლებული არ იქნებოდა“.²⁵ თუ ევროპული ისტორიოგრაფია პირველ გზას დაადგა, საბჭოთა მარქსისტულ-ლენინურმა ისტორიოგრაფიამ მეორე გზა აირჩია და, საბოლოო ჯამში, ჩიხში აღმოჩნდა. კრიზისმა ლეტალური ხასიათი მიიღო.

²⁵ **Е. Топольский.** Методология истории и исторический материализм. – *Вопросы истории*, №5, 1990, გვ. 14.

МЕРАБ Л. КАЛАНДАДЗЕ

**ГРАНДИОЗНЫЙ ПЕРЕВОРОТ В
ИСТОРИЧЕСКОЙ НАУКЕ**

Настоящий труд ставит перед собой целью изменить то отрицательное отношение к неокантианцам, которое сложилось благодаря марксистской идеологии. Для этого окончательного прозрения большое значение, в первую очередь, имеют труды немецкого историка Вольфганга Моммзена и российского исследователя Арона Гуревича. Эпистемология неокантианцев, безусловно, является шагом вперёд на фоне тогдашней историографии. Она имеет больше достоинств, нежели недостатков. Неокантианцы сделали важный шаг на пути эмансипации исторической науки.

В статье также затронут вопрос об „идеальном типе“ Макса Вебера, о котором также сложилось искаженное представление. Обвинение М. Вебера в марксизме, как это делают некоторые западные историки, представляется необоснованным. В то же время, марксистская критика концепции М. Вебера также выглядит несостоятельной и представляет пройденный этап в историографии. Полное отрицание и игнорирование теорий М. Вебера, что было выбрано советской марксистско-ленинской историографией, вызвало её кризис, который завершился летальным исходом.

MERAB KALANDADZE

**TREMENDOUS REVOLUTION IN THE
HISTORICAL SCIENCE**

The paper has a goal to change the negative attitude towards Neo-Kantians, which was formed because of the influence of Marxist ideology. The works of German historian Wolfgang Mommsen and Russian scholar Aron Gurevich were the most significant for the eventual discernment. The Neo-Kantian epistemology definitely was a step forward against a background of those times historiography. It had more virtues than weaknesses. The Neo-Kantians made an important step towards emancipation of the historical science.

The paper deals with the issue of Max Weber's "ideal type", the understanding of which is also distorted. Blaming Max Weber in Marxism, as it is done by several Western historians, seems to be groundless. At the same time, the Marxist criticism of Max Weber's conceptions is unfounded and presents a past stage in historiography. The total negation and neglect of Max Weber's theories, as it was done in the Soviet Marxist-Leninist historiography, caused its crisis, which ended with a lethal outcome.

თეიმურაზ პაპასქირი

საბჭოთა პოლიტიკა ჩეხოსლოვაკიის მიმართ 1938წ. სუდეტის კრიზისის დროს

1938წ. სექტემბრის კრიზისი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო თემაა მეორე მსოფლიო ომის ისტორიის მკვლევართათვის. სუდეტენლანდის¹ საკითხი იმთავითვე მოექცა ყურადღების ცენტრში. მკვლევართა დიდი ნაწილის აზრით, სწორედ 1938წ. სექტემბერში იქნა გაშვებული შანსი, რომ თავიდან აცილებული ყოფილიყო ის უზარმაზარი მსხვერპლი, რომელიც მოიტანა მეორე მსოფლიო ომმა. წამყვანი ევროპული ქვეყნების და მათი ლიდერების დამოკიდებულებას და მათ ქმედებებს აღნიშნული კრიზისის პერიოდში არაერთი სპეციალური გამოკვლევა მიეძღვნა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერთ საკითხს მაინცდამაინც დიდი ყურადღება არ ეთმობოდა: ეს არის სსრკ-ს დამოკიდებულება ჩეხოსლოვაკიისადმი და სტალინის საგარეო პოლიტიკა 1938 წლის სექტემბერში.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევართა უმრავლესობა ჩვეულებრივ თავს არიდებდა ამ საკითხის დეტალურ დამუშავებას, რადგანაც ჩეხოსლოვაკიასთან ურთიერთობის ამსახველი დოკუმენტები საბჭოთა კავშირში დახურულ საცავებში ინა-

¹ ტერმინი სუდეტენლანდი (ზუდეტენლანდი) პირველად გაჩნდა XIX საუკუნეში და ის შემოიღეს ნაციონალისტურად განწყობილმა გერმანელებმა. აღნიშნული სახელწოდება მიიღო ჩეხეთის, მორავიისა და ბოჰემიის იმ ნაწილმა, სადაც უმრავლესობას შეადგენდნენ გერმანელები. ამ უკანასკნელებმა აქ დასახლება დაიწყეს XIII საუკუნეში ბოჰემიელი წარჩინებულების მოპატიუებით. XXს. 30-იანი წლები-სათვის ისინი აღნიშნულ ტერიტორიებზე უკვე მოსახლეობის 90%-ზე მეტს შეადგენდნენ.

ხებოდა. პრაქტიკულად არ შეცვლილა მდგომარეობა დღეისთვისაც, როდესაც რუსეთის არქივების ყველაზე საინტერესო ნაწილი კვლავინდებურად მიუწვდომელია სპეციალისტებისათვის. მართალია, საბჭოთა პერიოდში XXს. 70-იან წლებში გამოიცა სსრკ-ჩეხოსლოვაკიის ურთიერთობების ამსახველი დოკუმენტების 5-ტომეული (როგორც რუსულ², ისე ჩეხურ³ ენაზე), მაგრამ ის მეტად არასრულია, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის მეორე მსოფლიო ომის პერიოდის საგარეო ურთიერთობების ამსახველი დოკუმენტების ყველა სხვა კრებულები. გარდა ამისა, რადგანაც კრიზისის მთავარ მოვლენად იქცა მიუნხენის კონფერენცია, ბუნებრივია, რომ გაცილებით მეტი ყურადღება ეთმობა მასში მონაწილე ქვეყნების საგარეო პოლიტიკას და გადაწყვეტილებებს. იმ მკვლევართა აზრი, რომელიც საბჭოთა კავშირის გეგმების საკითხს ეხებოდა, ტრადიციულად გაიყო: დასავლეთელი მკვლევრები სკეპტიკურად ეპყრობოდნენ სსრკ-ს ხელმძღვანელობის განცხადებებს ჩეხოსლოვაკიისათვის დახმარების შესახებ, ხოლო სსრკ-სა და აღმოსავლეთ ევროპაში, მათ შორის, საკუთრივ ჩეხოსლოვაკიაში, ბუნებრივია, დიდი ხნის განმავლობაში გაბატონებული იყო თვალსაზრისი, რომ საბჭოთა ხელისუფლება მზად იყო, ნებისმიერ დროს დახმარებოდა ჩეხოსლოვაკიას, განურჩევლად იმისა, გააკეთებდა თუ არა ამას საფრანგეთი. უკანასკნელ პერიოდში ჩეხურ ისტორიოგრაფიაში ვითარება ამ მხრივ შეიცვალა, რაც, უპირველეს ყოვლისა, იგორ ლუკესის დამსახურებაა. მან რამდენიმე გამოკვლევა მიუძღვნა ამ თემას, რომლებშიც ამტკიცებს, საბჭოთა კავშირი სულაც არ აპირებდა ჩეხოსლოვაკიის დახმარებას 1938წ.⁴ ამავე დროს, ის არ უარყოფს, რომ საბჭო-

² *Документы и материалы по истории советско-чехословацких отношений*. В 5 томах. М., 1973-1988.

³ *Dokumenty a materialy k dějinám československo-sovětských vztahů*. Ed. Čestmír Amort. 5 vols. Prague, Academia, 1975-1984.

⁴ **I. Lukes**. *Czechoslovakia between Stalin and Hitler: The Diplomacy of Edvard Beneš in the 1930s*. New York, 1996; **I. Lukes**. *Stalin and Czechoslovakia in 1938-1939: An Autopsy of a Myth*. – კრ.: *The Munich Crisis, 1938: Prelude to World War II*. Ed. by **Igor Lukes** and **Erik Goldstein**. Frank Cass and Company Limited, London-Portland, OR, 1999, გვ. 13-47. ი. ლუკესის გარდა 376

თა მხარეს ნამდვილად ჰყავდა გამზადებული ჯარები პოლონეთის საზღვარზე, თუმცა ის ამას ხსნის მხოლოდ ევროპაში შექმნილი დაძაბული სიტუაციით და აღნიშნავს, რომ მსგავსი მობილიზაცია ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში მიმდინარეობდა⁵. აქვე ის მიუთითებს, რომ ალბათ ამ ძალების მთავარი დანიშნულება უნდა ყოფილიყო პროკომუნისტური ძალების დახმარება, როდესაც, მოსკოვის აზრით, დაიწყებოდა რევოლუციების ტალღა ევროპაში⁶. ვფიქრობთ, ლუკესი ამ შემთხვევაში სავსებით სწორ დასკვნას აკეთებს. საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე მობილიზაცია მიზნად ისახავდა სწორედ კომუნისტური რეჟიმების დამყარებას მთლიანად ევროპაში თუ არა, გერმანიის ჩათვლით მაინც. რა გვაძლევს ჩვენ ასეთი მტკიცებების საფუძველს? ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად, პირველ რიგში, გადავხელოთ 1938წ. სექტემბერში შექმნილ სიტუაციას მსოფლიოში.

როგორც ზემოთ მივუთითეთ, 1938წ. სექტემბერი აღინიშნა ჩეხოსლოვაკიის, კერძოდ სუდეტენლანდის საკითხის მორიგი გამწვავებით. 1938წ. მარტში ავსტრიის ანშლუსის შემდეგ ადოლფ ჰიტლერმა ჩეხოსლოვაკიას მიაპყრო თავისი მზერა. ოფიციალურად მას სურდა სუდეტენლანდის გერმანიის შემადგენლობაში ჩართვა, თუმცა სინამდვილეში მისი მიზნები ბევრად უფრო შორსმავალი იყო. ჰიტლერს ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოს გაქრობა ჰქონდა დასახული. ერთი შეხედვით, ეს არც ისე ადვილი საქმე იყო. ჩეხოსლოვაკიას, რომელიც შეიქმნა 1919წ., მნიშვნელოვანი

შეიძლება აგრეთვე გამოიყონ ირჟი ჰოსმანი (იხ.: **Jiri Hochman.** The Soviet Union and the Failure of Collective Security, 1934-1938. 1984) და ივან პფაფი (**I. Pfaff.** Die Sowietunion und die Verteidigung der Tschechoslowakei, 1934-1938. 1996), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ი. პფაფი თავად ჩეხოსლოვაკიაშიც კი ზედმეტად ტენდენციურ მკვლევრად ითვლება (იხ.: **H. Ragsdale.** The Soviets, the Munich Crisis and the Coming of World War II. Cambridge University Press, 2004, გვ. 150).

⁵ **I. Lukes.** Stalin and Czechoslovakia in 1938-1939, გვ. 33. უნდა აღინიშნოს, რომ ი. ლუკესი თავდაპირველად საერთოდ უარყოფდა საბჭოთა კავშირის მზადყოფნას, მაგრამ შემდეგ კრიტიკოსთა ზეწოლის შედეგად მოუწია იმის აღიარება, რომ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები ნამდვილად იყო განლაგებული პოლონეთის საზღვართან.

⁶ **I. Lukes.** Stalin and Czechoslovakia in 1938-1939, გვ. 38.

ადგილი ეკავა ვერსალის სისტემაში. მას აკავშირებდა 1925წ. დადებული ხელშეკრულება საფრანგეთთან, რომლის თანახმადაც ეს უკანასკნელი უნდა დახმარებოდა ჩეხოსლოვაკიას გერმანიის მხრიდან აგრესიის შემთხვევაში. გარდა ამისა, ჩეხოსლოვაკია იყო ე.წ. „მცირე ანტანტის“ აქტიური წევრი. 1935წ. გაფორმებული იქნა პაქტი საბჭოთა კავშირთან, რომლის თანახმად მოსკოვმა სამხედრო ძალით დახმარება აღუთქვა ჩეხოსლოვაკიას გერმანიასთან ომის შემთხვევაში, ოღონდ იმ პირობით, რომ საფრანგეთიც შეასრულებდა თავის ვალდებულებებს⁷. ეს ყველაფერი თითქოს კარგად გამოჩნდა 1938წ. მაისში, როდესაც სულეტენლანდის გარშემო პირველად შეიქმნა კრიზისული სიტუაცია, რაც გამოწვეული იყო არასწორი ინფორმაციით გერმანიის ძალების მობილიზებაზე ჩეხოსლოვაკიაზე თავდასასხმელად. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს არ შეესაბამებოდა სინამდვილეს⁸, მაგრამ მაშინ ჩე-

⁷ *Документы и материалы по истории советско-чехословацких отношений*, т. II, გვ. 52. ეს უკანასკნელი ფრაზა ბენეშის მოთხოვნით ჩაიწერა დოკუმენტში და მას თავისი დატვირთვა გააჩნდა. ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტს სულაც არ სურდა, რომ ის კომუნისტებთან ალიანსში დაედანაშაულებინათ (**I. Lukes. Stalin and Czechoslovakia in 1938-1939**, გვ. 36).

⁸ დღემდე უცნობია, თუ ვინ მიაწოდა ჩეხოსლოვაკიის დაზვერვას აღნიშნული ინფორმაცია. ი. ლუკესს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ მაისის კრიზისი საბჭოთა კავშირის მიერ იყო პროვოცირებული და უცნობი აგენტის მიერ გავრცელებული მონაცემები საბჭოთა მხარისაგან მოდიოდა (**I. Lukes. The Czechoslovak Partial Mobilization in May 1938: A Mystery (almost) solved. – Journal of Contemporary History**, vol. 31, No. 4 (Oct., 1996), გვ. 714-715). მოგვიანებით მან განაგრძო ეს აზრი და ამის დასადასტურებლად მოიყვანა სსრკ-ს ხელმძღვანელობის ქმედებები იმ პერიოდში. როგორც ირკვევა, მაშინ მხოლოდ საბჭოთა კავშირში არ გამოცხადებულა განგაში. გარდა ამისა, სსრკ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი მ. ლიტვინოვი თავს არიდებდა (ბრონქიტის მომიზეზებით) ზ. ფირლინგერთან შეხვედრას 25 მაისამდე, როდესაც კრიზისი უკვე დასრულდა (**I. Lukes. Czechoslovakia between Stalin and Hitler**, გვ. 154-155). აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ მაისის კრიზისის დამთავრების შემდეგ კი საბჭოთა დიპლომატები მრავალ, ერთიმეორის გამომრიცხავ ინფორმაციას ავრცელებდნენ: პარიზში ისინი ირწმუნებოდნენ, რომ წითელი არმია დაუყოვნებლივ შეუერთდებოდა ფრანგებს, თუ საფრანგეთი გადაწყვეტდა

ხოსლოვაკიის მთავრობამ ამას, თავის მხრივ, მობილიზაციითვე უპასუხა და დახმარებისათვის საფრანგეთს (თავის მთავარ მოკავშირეს) და ღიდ ბრიტანეთს მიმართა⁹. ამ უკანასკნელებმაც გააფრთხილეს ჰიტლერი, რომ ჩეხოსლოვაკიაზე თავდასხმის შემთხვევაში საფრანგეთი თავის მოკავშირულ ვალდებულებებს პირნათლად აღასრულებდა, ხოლო ღიდი ბრიტანეთი მას მხარს დაუჭერდა¹⁰. შედეგად, ჰიტლერმა გამწვავებისაგან მაშინ თავი შეიკავა ის იძულებული გახდა, უკან დაეხია და უკეთესი დროისთვის გადაედო პრობლემის გადაწყვეტა. ამავე დროს, მან აღუთქვა სამხედროებს, რომ არა უგვიანეს 1938წ. 1 ოქტომბრისა სუდეტის ოლქი გერმანიას გადაეცემოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ამას უკვე სამხედრო გზით მიაღწევდა¹¹. ამ მიზნით მან მკვეთრად გააქტიურა „ზუდეტენ ღოიჩე პარტაი“ („სუდეტელ გერმანელთა პარტაი“) კონრად ჰენლაინის მეთაურობით. წინა პლანზე წამოწეული იქნა სუდეტელი გერმანელების ჩაგვრის საკითხი ჩეხების მხრიდან¹².

ჩეხოსლოვაკიის დახმარებას ამ უკანასკნელზე გერმანიის თავდასხმის შემთხვევაში, ვარშავაში საბჭოთა საელჩოს წარმომადგენლები ხაზს უსვამდნენ დერეფნის აუცილებლობას, ხოლო მოსკოვში ღიტვინოვი საერთოდ მზად იყო, საფრანგეთის გარეშეც დახმარებოდა ჩეხოსლოვაკიას (**I. Lukes. Czechoslovakia between Stalin and Hitler**, გვ. 133). საინტერესოა, რამდენად მოდიოდა ღიტვინოვის უკანასკნელი განცხადება მის მაისის კრიზისამდე პოზიციასთან, რომელიც გამოსატყულები იქნა ქენევაში, ჩეხ დიპლომატთან არნოშტ ჰაიდრიხთან საუბარში: ომი გარდაუვალია. დასავლეთს სურს, რომ სტალინმა გაანადგუროს ჰიტლერი და ჰიტლერმა სტალინი, მაგრამ ამჯერად საბჭოთა მხარე ბოლომდე გადგება განზე და შემდეგ მოიტანს სამართლიან და ხანგრძლივ მშვიდობას (**A. Heidrich. International Political Causes of the Czechoslovak Tragedies. The Czechoslovak Society for Arts and Sciences in America, Washington, DC, 1961**, გვ. 154).

⁹ *Documents on the British Foreign Policy 1919-1939* (შემდგომში **DBFP**). Ed. by **E. L. Woodward** and **Rohan Butler**, assisted by **Margaret Lambert**. Third Series, vol. I, 1938. London, His Majesty's Stationary Office, 1949, გვ. 218.

¹⁰ **DBFP**, third Series, vol. I, გვ. 224.

¹¹ *Trial of the Major War Criminals*. Vol. XXV. Nuremberg, 1947, გვ. 434-435.

¹² **H. Ragsdale. The Soviets...**, გვ. 47. რეალურად „ზუდეტენ ღოიჩე პარტაის“ გააქტიურება ჯერ კიდევ მაისის კრიზისამდე დაიწყო, რაც გამოსხატა 24 აპრილს ჰენლაინის მიერ გამოცხადებულ ე.წ. „კარ-

უნდა აღინიშნოს, რომ იმ პოლიტიკას, რომელსაც ატარებდნენ ჩეხოსლოვაკიაში ეროვნული უმცირესობების მიმართ, უნაკლო ნამდვილად არ ეთქმოდა, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის ბევრად სჯობდა ნებისმიერ სხვა ევროპულ სახელმწიფოში არსებულ მდგომარეობას იმ პერიოდში. გერმანელები (დაახლოებით 3 მილიონი) ჩეხოსლოვაკიის მთლიანი მოსახლეობის 20%-ზე მეტს შეადგენდნენ. მათ ჰქონდათ გერმანულენოვანი სკოლები და გერმანულენოვანი უნივერსიტეტიც კი¹³, შეეძლოთ საქმე ეწარმოებინათ გერმანულ ენაზე, არანაირად არ იყვნენ შეზღუდული პოლიტიკურ საქმიანობაში და ა.შ.¹⁴ უფრო მეტიც, „ზუდეტენ დოიჩე პარტაი“ 1935წ. საპარლამენტო არჩევნებში მეორე ადგილზე გავიდა და ჩეხოსლოვაკიის პარლამენტში 44 დეპუტატი გაიყვანა¹⁵. იმის გათვალისწინებით, რომ სხვა გერმანულმა პარტიებმა კიდევ 31 მანდატი მიიღეს, ადგილების მეოთხედი (75 დეპუტატი 300-დან) ჩეხოსლოვაკიის პარლამენტში გერმანელებს ეკავათ.

ბუნებრივია, იყო პრობლემებიც, განსაკუთრებით ეკონომიკური ხასიათის. სუდეტენლანდი ინდუსტრიული მხარე იყო და ადგილობრივ ფირმებს საკმაოდ მჭიდრო კავშირები ჰქონდათ გერმანიასთან. შედეგად, 1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ისინი გაცილებით მეტად დააზარალა, ვიდრე ჩეხოსლოვაკიის დანარჩენი მოსახლეობა, რომელიც ძირითადად აგრარულ სფეროში იყო დასაქმებული¹⁶. სწორედ ამიტომ იყო უმუშევრების რიცხვი ზუთჯერ უფრო მაღალი გერმანელებში. ამასთან, გერმანელების უმრავლესობა ნამდვილად უჭერდა მხარს გერმანიასთან შეერთებას და ეს სულაც არ იყო ახალი ამბავი. 1919 წელს, ავსტრია-უნგრეთის დაშლის შემდეგ, სუდეტელმა გერმანელებმა ავსტრიასთან მოითხოვეს შეერთება, მაგრამ მაშინ

ლსბადის პროგრამაში“, რომელიც მან ჰიტლერთან შეთანხმდა მანამდე. ასე რომ, მაისის კრიზისი ჰიტლერმა უბრალოდ საბაბად გამოიყენა, თორემ მას ისედაც აინტერესებდა სუდეტენლანდი.

¹³ H. Ragsdale. The Soviets..., გვ. 48.

¹⁴ H. Ragsdale. The Soviets..., გვ. 20.

¹⁵ http://en.wikipedia.org/wiki/Germans_in_Czechoslovakia_%281918-1938%29

¹⁶ H. Ragsdale. The Soviets..., გვ. 20.

გადაწყდა, რომ ოლქი გადაეცემოდა ახლად შექმნილ ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოს, ხოლო გერმანელებს ეთნიკური უმცირესობის სტატუსი მიენიჭებოდათ¹⁷. ასე იქნა ჩადებული ბომბი, რომელმაც 19 წლის შემდეგ იფეთქა.

1938წ. 12 სექტემბერს ნიურნბერგში ჰიტლერმა წარმოთქვა საპროგრამო სიტყვა, რომელმაც სათავე დაუდო კრიზისის ახალ გამწვავებას. სიტყვის დასრულებისთანავე სუდეტელ გერმანელთა პარტიის წევრებმა დაიწყეს ჩეხოსლოვაკიის სამთავრობო ობიექტების დარბევა სუდეტენლანდში¹⁸. მდგომარეობა მკვეთრად გართულდა, რის გამოც დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრმა ნევილ ჩემბერლენმა მიიღო გადაწყვეტილება, ჩასულიყო გერმანიაში და პირადად შეხვედროდა ჰიტლერს პრობლემის მოსაგვარებლად. უნდა აღინიშნოს, რომ მან არაფრად ჩააგლო საფრანგეთი, რომელსაც გააჩნდა ვალდებულებები ჩეხოსლოვაკიის წინაშე, და უბრალოდ აცნობა დალადიეს, რომ მიდიოდა ბერხტესგადენში 15 სექტემბერს¹⁹. შეხვედრა თითქოს წარმატებით დასრულდა და მხარეები მორიგდნენ, რომ სუდეტელ გერმანელთა საკითხი გერმანიის სასარგებლოდ გადაწყდებოდა²⁰. რამდენიმე დღეში შედგა შეხვედრა ბრიტანელებსა და ფრანგებს შორის ჩემბერლენისა და დალადიეს მონაწილეობით, სადაც დაადგინეს, რომ სუდეტენლანდის ტერიტორიის ნაწილი, სადაც გერმანელები 50%-ზე მეტს შეადგენდნენ, გადაეცემოდა გერმანიას²¹. შედეგად, 19 სექტემბერს ჩეხოსლოვაკიის მხარეს წარედგინა ულტიმატუმი, რომელზე უარის შემთხვევაშიც საფრანგეთი და ინგლისი არ დაეხმარებოდნენ ჩეხოსლოვაკიას გერმანიის მხრიდან აგრესიის შემთხვევაში.

ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტმა ედუარდ ბენეშმა საბჭოთა კავშირის პოზიციის გაგება სცადა და შეხვდა ს. ალექსანდროვის-

¹⁷ **H. Ragsdale.** The Soviets..., გვ. 19.

¹⁸ **Henry Bogdan.** From Warsaw to Sofia: A History of Eastern Europe. Pro Libertate Publishing Company, Santa Fe, New Mexico, გვ. 230.

¹⁹ **DBFP**, Third Series, vol. II, 1938. London, His Majesty's Stationary Office, 1949, გვ. 323-324.

²⁰ **DBFP**, Third Series, vol. II, 1938, გვ. 338-351.

²¹ **DBFP**, Third Series, vol. II, 1938, გვ. 404-405.

კის, სადაც ამ უკანასკნელს ორი კითხვა დაუსვა: 1. დაეხმარებოდა თუ არა სსრკ ჩეხოსლოვაკიას საფრანგეთის მხრიდან თავისი ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში; და 2. რას იზამდა სსრკ, თუ საფრანგეთი უარს იტყოდა დახმარებაზე²². ბენეში მთელი დღე ელოდა პასუხს მოსკოვიდან, მაგრამ უშედეგოდ. მიუხედავად ამისა, მან უარყო ულტიმატუმი²³. მხოლოდ ამის შემდეგ მოვიდა პასუხი მოსკოვიდან²⁴, რომლიდანაც ნათელი გახდა, რომ ს. ალექსანდროვსკიმ თავის თავს უფლება მისცა და მეორე კითხვა აბსოლუტურად შეცვლილი სახით („დაეხმარებოდა თუ არა სსრკ ჩეხოსლოვაკიას ერთა ლიგის წესდების მე-16 და მე-17 მუხლების საფუძველზე“) გადაგზავნა თავის ხელმძღვანელობასთან²⁵. ბენეშია, რომელიც ძალიან გააბრაზა აღნიშნულმა პასუხმა, პირდაპირ განაცხადა, რომ კრემლის ნდობა უბრალოდ არ შეიძლებოდა²⁶. ამასობაში დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ელჩებმა განაახლეს ზეწოლა ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტზე და ამ უკანასკნელსაც არაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ დათანხმებოდა ულტიმატუმს²⁷.

აქ აუცილებლად უნდა დაისვას კითხვა, იყო კი საერთოდ რეალური საბჭოთა მხარის მხრიდან ჩეხოსლოვაკიისათვის დახმარების გაწევა საფრანგეთის უარის შემთხვევაში? ჩვენი აზრით, ეს ნამდვილად აღემატებოდა საბჭოთა კავშირის შესაძლებლობებს. საქმე იმაშია, რომ საბჭოთა კავშირს არ გააჩნდა საზღვარი ჩეხოსლოვაკიასთან, შესაბამისად, ამგვარი დახმარების გასაწევად საჭირო იყო თანხმობა პოლონეთის ან რუმინეთის (ან ორივე ამ სახელმწიფოს) მხრიდან ჯარებისა და სამხედრო ტექ-

²² **I. Lukes.** Czechoslovakia between Stalin and Hitler, გვ. 223.

²³ **I. Lukes.** Czechoslovakia between Stalin and Hitler, გვ. 225.

²⁴ ეს პასუხი გადმოცემული იქნა მოსკოვში ჩეხოსლოვაკიის საელჩოს მიერ, და არა ალექსანდროვსკის მიერ, როგორც ამას ამტკიცებდა ი. მაისკი. უფრო მეტიც, ს. ალექსანდროვსკისთან რამდენიმე დღით დაკავშირებაც კი ვერ მოხერხდა (**I. Lukes.** Czechoslovakia between Stalin and Hitler, გვ. 225).

²⁵ **I. Lukes.** Czechoslovakia between Stalin and Hitler, გვ. 223, 225.

²⁶ **I. Lukes.** Czechoslovakia between Stalin and Hitler, გვ. 225.

²⁷ **I. Lukes.** Czechoslovakia between Stalin and Hitler, გვ. 227.

ნიკის გატარებაზე. პრაქტიკულად გამორიცხული იყო, რომ პოლონეთის მთავრობას დასტური მიეცა ამგვარ მოთხოვნაზე. თავი რომ დავანებოთ საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის არსებულ დამაბულობას, რომელიც რიგის ზავის (1921წ.) შემდეგ პრაქტიკულად პერმანენტულ ხასიათს ატარებდა, პოლონეთს საკუთარი მოთხოვნებიც გააჩნდა ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ. საქმე ეხებოდა ტეშინის ოლქს, რომელიც 1920 წელს გადაეცა ჩეხოსლოვაკიას, მიუხედავად იმისა, რომ მხარეები პრაქტიკულად შეთანხმებული იყვნენ ოლქის პოლონეთისათვის დაბრუნებაზე²⁸. პოლონელებს მიაჩნდათ, რომ ეს ოლქი მათი კუთვნილება იყო (მით უმეტეს, რომ აქ მცხოვრები მოსახლეობის უმრავლესობა ნამდვილად პოლონელები იყვნენ) და მას „ზაოლზიე“-ს (ანუ მდ. ოლზას მიღმა მდებარე ტერიტორია) უწოდებდნენ²⁹. სწორედ ამიტომ პოლონეთის ხელისუფლება არათუ არ აპირებდა ჩეხოსლოვაკიის დახმარებას გერმანიის თავდასხმის შემთხვევაში, არამედ თავადაც ემზადებოდა სამხედრო ოპერაციისათვის, თუ ჩეხოსლოვაკიის დანაწილება დაიწყებოდა³⁰. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთი მხარს დაუჭერდა ჩეხოსლოვაკიას, პოლონეთის ხელისუფლება საჭიროდ ჩათვლიდა ამ უკანასკნელის დახმარებას, ისიც იმ პირობით, თუ ტეშინი გადაეცემოდა პოლონეთს³¹.

ბევრად უფრო იოლი ჩანდა რუმინეთის თანხმობის მიღება. უფრო მეტიც, XXს. 80-იან წლებში გამოქვეყნებული დოკუმენტის თანახმად, რუმინეთის ხელისუფლებამ მისცა კიდევ წინასწარი დასტური საბჭოთა მხარეს ჯარების გატარებაზე ჩეხოსლოვაკიის დასახმარებლად³². მიუხედავად ამისა, ეს ერთგვარ ეჭვს იწვევს, რადგანაც თავად დოკუმენტი, რომელიც რუმინეთის საგა-

²⁸ **Anna M. Cienciala.** The Munich Crisis of 1938: Plans and Strategy in Warsaw in the Context of the Western Appeasement of Germany. – კრ.: *The Munich Crisis, 1938: Prelude to World War II.* Ed. by **Igor Lukes** and **Erik Goldstein.** Frank Cass and Company Limited, London–Portland, OR, 1999, გვ. 51.

²⁹ **Anna M. Cienciala.** The Munich Crisis of 1938, გვ. 51.

³⁰ **Anna M. Cienciala.** The Munich Crisis of 1938, გვ. 54.

³¹ **Anna M. Cienciala.** The Munich Crisis of 1938, გვ. 54.

³² **Jiri Hochman.** The Soviet Union and the Failure of Collective Security. Cornell University Press, Ithaca, NY, გვ. 194-201.

როს საქმეთა მინისტრის, ნიკოლაე პეტრესკუ-კომნენის მიერ არის ხელმოწერილი, სავარაუდოდ, ყალბია. საქმე იმაშია, რომ დოკუმენტი შედგენილია ფრანგულ ენაზე (ამაში გასაკვირი მაინცდამაინც არაფერი არ არის, რადგანაც, ისევე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, რუმინეთშიც ფრანგული წარმოადგენდა დიპლომატიური მიმოწერის ენას XXს. I ნახევარში), მაგრამ მასში დაშვებულია უამრავი ორთოგრაფიული, სტილისტური თუ გრამატიკული შეცდომა, რომლებიც ფრანგულის ბრწყინვალედ მცოდნე კომნენს უბრალოდ ვერ გაეპარებოდა³³.

გარდა ამისა, არის კიდევ ერთი მომენტი: XXს. I ნახევარში ჯარების სწრაფად გადასროლისათვის ძირითადად გამოიყენებოდა რკინიგზა. რუმინეთს არ გააჩნდა სარკინიგზო კავშირი ჩეხოსლოვაკიასთან (პოლონეთს სამი ხაზი აერთებდა ჩეხოსლოვაკიასთან).³⁴ უფრო მეტიც, რუმინეთის სარკინიგზო ინფრასტრუქტურა მეტად განუვითარებელი იყო მის მეზობლებთან შედარებით და ჩეხოსლოვაკიასთან მოსაზღვრე რეგიონებში მხოლოდ ერთი, ისიც ერთლიანდაგიანი ხაზი აერთებდა³⁵. როგორც თავად რუმინელები იტყობინებოდნენ, ამ ხაზით ჯარების გადაყვანას ძალიან დიდი დრო დასჭირდებოდა³⁶. როგორც ჩანს, ეს კარგად ესმოდათ საბჭოთა სამხედროებსაც, ამიტომ სექტემბრის მეორე ნახევარში რაიმე განსაკუთრებულ სამობილიზაციო ღონისძიებებს რუ-

³³ ამის შესახებ დაწვრი. იხ.: **H. Ragsdale**. *The Soviets...*, გვ. 149-150.

³⁴ **H. Ragsdale**. *The Soviets...*, გვ. 157-158, 166.

³⁵ აღსანიშნავია, რომ ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ 1936წ. სპეციალურად გამოაქყო თანხები რუმინეთის გავლით საბჭოთა კავშირთან შემაერთებელი რკინიგზის ასაგებად, მაგრამ 1938წ. შემოდგომისათვის ის ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული (იხ.: **H. Ragsdale**. *The Soviets...*, გვ. 160).

³⁶ კერძოდ, 1938წ. 11 სექტემბერს ნ. პეტრესკუ-კომნენმა პირდაპირ განაცხადა, რომ რუმინეთის გზებისა და რკინიგზების ცუდი მდგომარეობა შესაძლებელს გახდიდა მხოლოდ 20 დღეში ერთი საბჭოთა დივიზიის გადაყვანას (**Documents diplomatiques français, 1932-1939**. 2nd séries: 1936-1939, t. XI. Paris, Imprimerie nationale, No.96). აგრეთვე იხ.: **Martin Thomas**. *France and the Czechoslovak Crisis*. – კრ.: *The Munich Crisis, 1938: Prelude to World War II*. Ed. by **Igor Lukes** and **Erik Goldstein**. Frank Cass and Company Limited, London–Portland, OR, 1999, გვ. 147.

მინეთის საზღვართან, განსხვავებით პოლონეთის საზღვრისაგან, ადგილი არ ჰქონია³⁷.

ხემოთქმულიდან თითქოს მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: საბჭოთა ხელისუფლებას რომც ჰქონოდა ჩეხოსლოვაკიის დახმარების სურვილი, პოლონეთის უარი ჯარების ტრანზიტზე მას ხელს შეუშლიდა ამ განზრახვის განხორციელებაში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მთლად ასეც არ იყო. სსრკ-პოლონეთის პრობლემები მხოლოდ 1938წ. არ დაწყებულა და ჩეხოსლოვაკიის ხელისუფლებას კარგად ესმოდა 1935წ., რომ სამხედრო კავშირი საბჭოთა კავშირთან ეფექტური იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხერხდებოდა წითელი არმიის ნაწილების გადაყვანა ჩეხოსლოვაკიაში. როგორც ბენემმა, ისე ჩეხოსლოვაკიის მთავრობისა თუ დიპლომატიური კორპუსის სხვა წარმომადგენლებმა რამდენჯერმე ჰკითხეს საბჭოთა მხარეს 1935-1938 წლებში, თუ როგორ მოხდებოდა ამ პრობლემის გადაჭრა. ამავე დროს, მათ მიანიშნეს, რომ პოლონეთის გავლით ჯარების ტრანზიტი ნაკლებსავარაუდო იყო, ხოლო რუმინეთის თანხმობის მიღწევა შესაძლებლობის ფარგლებს ნამდვილად არ სცდებოდა³⁸. ანუ, შეიძლება ითქვას, რომ ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებს წინასწარ ჰქონდათ გათვლილი, თუ საიდან და როგორ უნდა შემოსულიყო წითელი არმია მათ დასახმარებლად სსრკ-ს ხელმძღვანელობის მიერ შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში. მათთვის ალბათ ერთგვარად გასაკვირიც

³⁷ აქ ყურადღებას იქცევს პოლონური დოკუმენტი, რომელშიც დაფიქსირებულია სამხედრო შეიარაღების გადატანის ფაქტები ჩეხოსლოვაკიისკენ ბესარაბიის ტერიტორიაზე (იხ.: **H. Ragsdale. The Soviets...**, გვ. 124-125). როგორც აღნიშნავს პ. რეგსდეილი, რუმინეთის სასაზღვრო ნაწილების მოხსენებებში არაფერი ამის მსგავსი დაფიქსირებული არ არის (**H. Ragsdale. The Soviets...**, გვ. 142-146). ძნელი სათქმელია, რომელი წყარო უფრო სანდოა ამ შემთხვევაში, რადგანაც, როგორც თავად პ. რეგსდეილი, რომელმაც მოიპოვა ორივე ეს დოკუმენტი, აღნიშნავს, რუმინული არქივებიდან ძალიან ბევრი რამ არის ამოღებული საბჭოთა წარმომადგენლების მიერ უშუალოდ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ (**H. Ragsdale. The Soviets...**, გვ. 185).

³⁸ **H. Ragsdale. The Soviets...**, გვ. 58.

კი იყო ის პასუხი, რომელსაც საბჭოთა მხარე ამ კითხვებზე აკეთებდა: „თუ საჭირო იქნა, საბჭოთა ჯარები ჩეხოსლოვაკიას დაეხმარებიან პოლონეთის თუ რუმინეთის მთავრობების თანხმობის გარეშე“.³⁹ ეს სიტყვები გარკვეულწილად ასახავდა საბჭოთა მხარის სურვილს, დაემყარებინა კომუნისტური რეჟიმი აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპის ქვეყნებში მათი საკუთარ გავლენის სფეროში მოქცევის მიზნით. უფრო მეტიც, ეს სიტყვები, ჩვენი აზრით, ერთგვარად ნათელს ჰყენს სსრკ-ს უმაღლესი ხელმძღვანელობის განზრახვებსაც 1938წ. სექტემბერში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სექტემბრის კრიზისის დროს არ შეინიშნებოდა რაიმე აქტიურობა სსრკ-რუმინეთის საზღვართან. სამაგიეროდ, ძალიან აქტიური იყო საბჭოთა მხარე პოლონეთთან საზღვრის მონაკვეთზე. აქ მობილიზებული იქნა 30-მდე დივიზია⁴⁰. ოფიციალურ საბაბად ვითომ დასახელდა პოლონეთის არ-

³⁹ I. Lukes. Stalin and Czechoslovakia in 1938-1939, გვ. 38.

⁴⁰ უნდა აღინიშნოს, რომ მონაცემები პოლონეთის საზღვართან მობილიზებული საბჭოთა დივიზიების რიცხვის შესახებ სხვადასხვა წყაროებში ერთმანეთს არ ემთხვევა. არსებობს მოსაზრება, რომ მათი რაოდენობა იყო 60 ან 70-ც კი (D. A. Volkogonov. Stalin: Triumph and Tragedy. New York, 1991, გვ. 348). რადგანაც ზუსტი საარქივო მონაცემების მიუწვდომლობის გამო დღესდღეობით ძნელია დაზუსტებით ამ თემაზე საუბარი, ალბათ უფრო მისაღები უნდა იყოს მარშალ ზახაროვის მემუარებში მოყვანილი რიცხვი – 30 დივიზია (M. B. Захаров. Генеральный штаб в предвоенные годы. М., 1989, გვ. 124), მით უმეტეს, რომ იგივე რიცხვი არის დასახელებული კ. ვოროშილოვის მიერ საფრანგეთის შტაბის უფროსის მ. გამელენისათვის გაგზავნილ ინფორმაციაშიც (იხ.: *Documents diplomatiques français, 1932-1939*. 2nd series: 1936-1939. T. II. Paris, Imprimerie nationale, 1964, გვ. 581). ჩვენი აზრით, არც ზახაროვს, რომელიც 1938წ. სსრკ-ს გენერალური შტაბის უფროსის თანაშემწე იყო, ხოლო მემუარების დაწერის მომენტში თავად ეკავა შტაბის უფროსის პოსტი, და არც ვოროშილოვს არანაირი საფუძველი არ ჰქონდათ, რათა შეემცირებინათ საბჭოთა დივიზიების რიცხვი, რადგანაც საბჭოთა პროპაგანდა ყოველთვის აცხადებდა, რომ ის მზად იყო ჩეხოსლოვაკიის დასახმარებლად, ამ უკანასკნელის ხელისუფლებამ კი უარი განაცხადა სსრკ-ს სამხედრო ჩარევაზე. ასეთ შემთხვევაში 60 ან 70 დივიზია ბევრად უფრო დამაჯერებელი იქნებოდა, ვიდრე 30, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ არც 30 დივიზია იყო ხელწამოსაკრავი ძალა 1938წ.

მისი მობილიზაცია საზღვართან, მაგრამ საბჭოთა კავშირში ძალიან კარგად იცოდნენ, რომ პოლონელების გააქტიურების მიზეზი იყო ტეშინის საკითხი⁴¹. ჯარების თავმოყრაც სწორედ პოლონეთ-ჩეხოსლოვაკიის, და არა პოლონეთ-სსრკ-ს საზღვარზე მიმდინარეობდა (აქ პოლონელებმა მობილიზება დაიწყეს მხოლოდ საბჭოთა ჯარების თავმოყრის შესახებ ცნობების მიღების შემდეგ⁴²). შესაბამისად, საბჭოთა ჯარების მობილიზაცია სხვა მიზეზებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. ჩვენი აზრით, აქ უფრო სტალინის მხრიდან ადგილი ჰქონდა სრულიად სხვა ხასიათის გათვლას. არ არის გამორიცხული, რომ საბჭოთა ლიდერს შესაძლებლად მიაჩნდა საერთოევროპული ომის გაჩაღება ჩეხოსლოვაკიის გამო.

უნდა აღინიშნოს, რომ მოვლენების ამგვარი განვითარება სულაც არ იყო გამორიცხული 1938წ. სექტემბერში. მას შემდეგ, რაც ინგლისი და საფრანგეთი არ დათანხმდნენ ჰიტლერის მიერ ბად-გოდესბერგში წარმოდგენილ წინადადებებს, ომის კონტურები მკაფიოდ გამოიკვეთა. ჰიტლერის მხრიდან ჩეხოსლოვაკიაზე თავდასხმის შემთხვევაში საფრანგეთის მთავრობას უბრალოდ სხვა გამოსავალი არც დარჩებოდა: მას უნდა დახმარება გაეწია მოკავშირისათვის. თავის მხრივ, დიდი ბრიტანეთი იძულებული იქნებოდა, მხარში ამოდგომოდა საფრანგეთს⁴³. აქ უკვე დიდი მნიშვნელობა არც ექნებოდა, რამდენად აქტიურად იმოქმედებდნენ ფრანგული არმიები ომის შემთხვევაში, რადგანაც საბჭოთა კავშირს საშუალება მიეცემოდა, მოეთხოვა პოლონეთისაგან დერეფანი.

⁴¹ *Документы и материалы по истории советско-польских отношений*. В 12 томах. Т. 6. М., 19, გვ. 364.

⁴² **H. Ragsdale**. *The Soviets...*, გვ. 119-120.

⁴³ *Akten zur deutschen Auswärtigen Politik 1918-1945*. Serie D. Bd. II, Baden-Baden, 1950, გვ. 772; **Richard Overy**. *Germany and the Munich Crisis: A Mutilated Victory?* – კრ.: *The Munich Crisis, 1938: Prelude to World War II*. Ed. by **Igor Lukes** and **Erik Goldstein**. Frank Cass and Company Limited, London–Portland, OR, 1999, გვ. 209; **Gerhard L. Weinberg**. *Reflections on Munich after 60 Years*. – კრ.: *The Munich Crisis, 1938: Prelude to World War II*. Ed. by **Igor Lukes** and **Erik Goldstein**. Frank Cass and Company Limited, London–Portland, OR, 1999, გვ. 8.

ასეთ ვითარებაში პოლონეთი საკმაოდ რთული არჩევნის წინაშე აღმოჩნდებოდა. ოფიციალურ ვარშავას ან უნდა დაეცვა თავისი ხელშეკრულებები საფრანგეთთან და მცირე ანტანტის ქვეყნებთან, ანაც ფაქტობრივად გერმანიისათვის უნდა დაეჭირა მხარი. ორივე შემთხვევა სტალინისათვის მომგებიანი იქნებოდა. მოვლენების პირველი ვარიანტის მიხედვით განვითარებისას პოლონელებს ძალიან გაუჭირდებოდათ უარის თქმა საბჭოთა კავშირისთვის ღერეფანის გახსნაზე, მეორე შემთხვევაში კი სსრკ-ს სრული უფლება ექნებოდა, თავს დასწმოდა პოლონეთს. სხვათა შორის, ამას საბჭოთა მხარე არ მაღავდა კიდევ. სსრკ-ს თავდაცვის მინისტრმა კ. ვოროშილოვმა პირდაპირ განაცხადა ამ პერიოდში, რომ **საბჭოთა კავშირი პოლონეთზე თავდასასხმელად ემზადებოდა**⁴⁴. განსხვავებით პოლონეთისაგან, რუმინეთი ყველა ვარიანტში ნეიტრალური რჩებოდა. შესაბამისად, ჩვენი აზრით, სწორედ ამიტომ ხდებოდა ჯარების თავმოყრა მხოლოდ პოლონეთის საზღვარზე. როგორც ჩანს, სტალინს ნამდვილად სურდა იმ მომენტში სერიოზული კონფლიქტის გაჩაღება, რადგანაც სწორედ საომარი მოქმედებები გერმანიასა და საფრანგეთს შორის მიაჩნდა ევროპაში პროლეტარული რევოლუციების მოწყობის უმთავრეს წინაპირობად.

ის, რომ ჩეხოსლოვაკიის დახმარება არანაირად არ წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტს, აშკარად გამოჩნდა სექტემბრის უკანასკნელ დღეებში. ბენშის მიერ დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ულტიმატუმის მიღების შემდეგ თითქოს მდგომარეობა განიმუხტა, მაგრამ როგორც მალე გაირკვა, ჰიტლერს უკვე არ აკმაყოფილებდა მიღწეული. 23 სექტემბერს, ბად გოდესბერგში მეორე შეხვედრისას მან ჩემბერლენს ახალი მოთხოვნები წაუყენა. ამჯერად ბრიტანეთის პრემიერი უკვე არ დაეთანხმა ჰიტლერს, რის შემდეგაც ომი თითქოს გარდაუვალი აღმოჩნდა. ფიურერმა ულტიმატუმის ფორმით განაცხადა, რომ თუ მისი მოთხოვნები არ იქნებოდა დაკმაყოფილებული 28

⁴⁴ I. Lukes. Stalin and Czechoslovakia in 1938-1939, გვ. 38, ხაზგასმა ჩვენია – თ.პ.

სექტემბრამდე, ის ძალის გამოყენებით განახორციელებდა მათ⁴⁵. ასეთი იყო მდგომარეობა ევროპაში და თითქოს ყველაფერი ომისკენ მიდიოდა, როდესაც ბენეში 25 სექტემბერს კიდევ ერთხელ ესაუბრა ს. ალექსანდროვსკის და პრაქტიკული ხასიათის შეკითხვები დააყარა მას. ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტს აინტერესებდა, თუ როგორ მიაღწევდა წითელი არმია ჩეხოსლოვაკიას, რამდენათასიანი საჰაერო დესანტის გადმოსხმა შეეძლო სსრკ-ს პირველივე დღეებში, რა შეიარაღება ექნებოდათ მედესანტეებს და ა.შ.⁴⁶ ალექსანდროვსკიმ უპასუხოდ დატოვა ეს კითხვები⁴⁷. სამაგიეროდ, 26 ოქტომბერს ფირლინგერმა მოსკოვიდან გამოავაზვნა დეპეშა და ითხოვა კიევში ახალი თვითმფრინავის გაგზავნა საბჭოთა სამხედრო წარმომადგენლების მისაღებად. აქვე მან დასძინა, რომ ხელშეკრულება რუმინეთთან სატრანზიტო დერეფნის შესახებ პრაქტიკულად მზად იყო⁴⁸.

28 სექტემბერს ვითარება კიდევ ერთხელ შეიცვალა. მუსოლინიმ წამოაყენა წინადადება ოთხმხრივი შეხვედრის შესახებ (გერმანია, იტალია, ღიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი), რომელზეც უნდა გადაწყვეტილიყო ჩეხოსლოვაკიის საკითხი⁴⁹. ჩემბერლენმა და დალაღიემ მიიღეს ეს წინადადება, რომელიც, როგორც მოგვიანებით გაარკვევს მკვლევრებმა, სინამდვილეში ჰიტლერისაგან მოდიოდა⁵⁰. მიუნხენის კონფერენციაზე ღიდი ბრიტანეთისა და

⁴⁵ **DBFP**, Third Series, vol. II, 1938, გვ. 499-502.

⁴⁶ **I. Lukes**. Czechoslovakia between Stalin and Hitler, გვ. 240.

⁴⁷ **I. Lukes**. Czechoslovakia between Stalin and Hitler, გვ. 240.

⁴⁸ **I. Lukes**. Czechoslovakia between Stalin and Hitler, გვ. 241.

⁴⁹ **G. Bruce Strang**. War and Peace: Mussolini's Road to Munich. – კრ.: *The Munich Crisis, 1938: Prelude to World War II*. Ed. by **Igor Lukes** and **Erik Goldstein**. Frank Cass and Company Limited, London–Portland, OR, 1999, გვ. 170.

⁵⁰ **Telford Taylor**. Munich, გვ. 10. აღსანიშნავია, რომ განსხვავებით სხვა მონაწილეებისაგან ნევილ ჩემბერლენმა თან არ იახლა ღიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი ჰაღიფაქსი. როგორც ჩანს, ამის მიზეზი იყო ჰაღიფაქსის უარყოფითი დამოკიდებულება 1938წ. სექტემბერში (ადრე ის მთლიანად უჭერდა მხარს ჩემბერლენის პოლიტიკას) ჰიტლერისადმი დათმობებისათვის, რაც გამოამჟღავნა კიდევ 24 სექტემბრის სამთავრობო სხდომაზე (**Erik Goldstein**. Neville Chamberlain, the British Official Mind and the Munich

საფრანგეთის პრემიერ მინისტრები – ნევილ ჩემბერლენი და ედუარდ დალადიე დათანხმდნენ სუდეტენლანდის გერმანიისათვის გადაცემაზე, რის სანაცვლოდაც ჰიტლერისაგან მიიღეს დაპირება, რომ ის არ ეცდებოდა ჩეხოსლოვაკიის დარჩენილი ნაწილის მიტაცებას⁵¹. შეთანხმებას ხელი 30 სექტემბერს მოეწერა და ის ძალაში 1 ოქტომბრიდანვე შედიოდა. ჩეხოსლოვაკიას მიეცა მხოლოდ 10 დღე სუდეტენლანდის დასაცლელად⁵², რაც ძალიან მძიმე ამოცანას წარმოადგენდა, რადგანაც გერმანიისათვის გადასაცემ ტერიტორიაზე 800 ათასამდე ჩეხი ცხოვრობდა⁵³. ტერიტორიების გადაცემით ჩეხოსლოვაკია აგრეთვე კარგავდა თავისი ქიმიური მრეწველობის 86%-ს, მინის წარმოების ასევე 86%-ს, მაუდის მრეწველობის 80%-ს და რკინისა და ლითონის წარმოების 70%-ს⁵⁴. ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები კონფერენციას არ დაასწრეს და მათ მხოლოდ შედეგები გააცნეს. ბუნებრივია, ოფიციალური პრალა ძალიან მძიმე არჩევანის წინ აღმოჩნდა: ის ან უნდა დათანხმებულიყო მიუნხენის დიქტატს, ანაც მხოლოდ საკუთარი ძალების იმედად ეომა გერმანიასთან, რომელსაც, შესაძლოა, პოლონეთიც შეამხანაგებოდა. იმის გათვალისწინებით კი, რომ თავისი პრეტენზიები ჰქონდა უნგრეთსაც⁵⁵, ჩეხოსლოვაკიის მდგომარეობა აშკარად გამოუვალი იყო და ბენეშს ერთადერთ დასაყრდენად თითქოს საბჭოთა კავშირი რჩებოდა.

ჯერ კიდევ 28 სექტემბერს, მიუნხენში კონფერენციის მოწვევის შესახებ ცნობის მიღების შემდეგ ბენეში სასწრაფოდ დაუკავშირდა ფირლინგერს და ითხოვა დახმარება, კერძოდ, საჰა-

Crisis. – კრ.: *The Munich Crisis, 1938: Prelude to World War II*. Ed. by **Igor Lukes** and **Erik Goldstein**. Frank Kass and Company Limited, London–Portland, OR, 1999, გვ. 288).

⁵¹ **DBFP**, Third Series, vol. II, 1938, გვ. 631-634.

⁵² **Telford Taylor**. Munich, გვ. 50.

⁵³ **I. Lukes**. Czechoslovakia between Stalin and Hitler, გვ. 252.

⁵⁴ **I. Lukes**. Czechoslovakia between Stalin and Hitler, გვ. 252.

⁵⁵ **Magda Ádám**. The Munich Crisis and Hungary: The Fall of the Versailles Settlement in Central Europe. – კრ.: *The Munich Crisis, 1938: Prelude to World War II*. Ed. by **Igor Lukes** and **Erik Goldstein**. Frank Kass and Company Limited, London–Portland, OR, 1999, გვ. 82-121.

ერო დესანტი მოსკოვისაგან⁵⁶. პასუხი მოვიდა 29-ში და წარმოადგენდა ნათელ დადასტურებას იმისა, რომ საბჭოთა კავშირი არანაირი რეალური დახმარების გამწევი არ იყო. აღნიშნული დეპეშის თანახმად, ჰიტლერის ჩეხოსლოვაკიაზე თავდასხმის შემთხვევაში პროცედურული საკითხები უნევაში მცირე დროს წაიღებდა, თუ აღმოჩნდებოდა აგრესორთან დამპირისპირებელი ძალები⁵⁷.

მიუხედავად ამისა, 30 სექტემბერს, უკვე მიუნხენის კონფერენციის შედეგების გაცნობის შემდეგ, ბენეში საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე კიდევ ერთხელ შეხვდა ალექსანდროვსკის და ჰკითხა მას, თუ დაეხმარებოდა სსრკ ჩეხოსლოვაკიას, თუკი ის აირჩევდა წინააღმდეგობის გზას⁵⁸. ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტს არ დაუმაღავს, რომ დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა მისი ქვეყანა ბელის ანაბარა მიატოვეს და ითხოვა, რომ მისი თხოვნა სასწრაფოდ გადაეცათ მოსკოვში⁵⁹. საბჭოთა კავშირმა მართლაც განაცხადა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში დაეხმარებოდა ჩეხოსლოვაკიას, მაგრამ ეს ინფორმაცია პრაქტულად 3 ოქტომბერს, როდესაც ამ პასუხს არანაირი ფასი არ ჰქონდა⁶⁰. ბენეშს პასუხი იმ დღესვე სჭირდებოდა. მოსკოვის გვიანი დასტური, როგორც ეს სწორად შენიშნა ჰ. რეგსდელიმა, ძალზე წააგავდა სპექტაკლს, რაკი საბჭოთა ხელმძღვანელობამაც მშვენივრად იცოდა, თუ რაოდენ საშური იყო პრადისათვის მისი დახმარება. 3 ოქტომბერს საღამოს კი ნებისმიერი, თუნდაც დადებითი პასუხი, არაფერს არ ცვლიდა, რადგანაც ბენეშს უკვე

⁵⁶ **I. Lukes.** Czechoslovakia between Stalin and Hitler, გვ. 248.

⁵⁷ **I. Lukes.** Czechoslovakia between Stalin and Hitler, გვ. 251.

⁵⁸ **I. Lukes.** Czechoslovakia between Stalin and Hitler, გვ. 254.

⁵⁹ **I. Lukes.** Stalin and Czechoslovakia in 1938-1939, გვ. 20.

⁶⁰ როგორც ჩანს, ალექსანდროვსკის სპეციალური ინსტრუქციები ჰქონდა, რომ დროულად არ გადაეგზავნა ხოლმე ბენეშის თხოვნები მოსკოვში. ამჯერად მან რამდენიმე საათით დააყოვნა საბჭოთა ხელმძღვანელობისათვის ინფორმაციის მიწოდება. დეპეშა გაგზავნილი იქნა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება მიუნხენის დიქტატისადმი დამორჩილების შესახებ. ბუნებრივია, ცოტა ხანში მოსკოვში წავიდა მეორე დეპეშა, რომ პასუხი ბენეშის მოთხოვნაზე საჭირო არ იყო (**I. Lukes.** Czechoslovakia between Stalin and Hitler, გვ. 254-255).

ხელი ჰქონდა მოწერილი როგორც მიუნხენში მიღებულ გადაწყვეტილებებზე, ისე საკუთარი გადადგომის თხოვნაზე⁶¹. შესაბამისად, მოსკოვის მხრიდან ადგილი ჰქონდა უბრალოდ საკუთარი პოზიციის შელამაზებას: აი, ჩვენ კი მზად ვიყავით შეგვესრულებინა ჩვენი სამოკავშირეო ვალდებულებები, მაგრამ ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ ვერ გაბედა წინააღმდეგობის გაწევა.

სინამდვილეში კი საბჭოთა კავშირის რეალური პოლიტიკა სულ სხვანაირი იყო. 30 სექტემბერს პოლონეთის კონსულმა კიევში იმოგზაურა სასაზღვრო რაიონებში და აღმოაჩინა, რომ პრაქტიკულად არსად არ შეიმჩნეოდა საჯარისო ნაწილების მობილიზება⁶². არადა, ჯერ კიდევ 24 სექტემბერს აქ საკმაოდ დიდი ნაწილების თავმოყრა მიმდინარეობდა⁶³. როგორც ჩანს, მიუნხენის კონფერენციის შედეგების გაგებისთანავე სტალინმა გასცა ბრძანება მობილიზაციის შეწყვეტის შესახებ. საბჭოთა მხარე მოიქცა ისე, როგორც ამას აცხადებდა ჯერ კიდევ 1936წ. იგივე ალექსანდროვსკი: ჩვენ ჩეხოსლოვაკიისათვის ქმედითი დახმარების გაწევა შეგვიძლია მხოლოდ მსოფლიო ომის შემთხვევაში, ხოლო თუ ეს იქნება უბრალოდ გერმანიის ომი ჩეხოსლოვაკიასთან, ჩვენ ბევრს ვერაფერს ვერ შევძლებთ⁶⁴. ეს სავსებით გასაკვირებელია. საბჭოთა ხელმძღვანელობის მიზანს წარმოადგენდა არა ჩეხოსლოვაკიის დახმარება, არამედ საომარი მდგომარეობის გამოყენება საკუთარი მიზნების მისაღწევად. ჩვენი აზრით, პოლონეთის საზღვარზე ჯარების მობილიზება-დემობილიზების თარიღები იძლევა იმის მტკიცების საშუალებას, რომ ნამდვილი მიზანი იყო ხელსაყრელ მომენტში პოლონეთის დაკავება, ჩეხოსლოვაკიის საკუთარი გავლენის სფეროში მოქცევა და ფაქტობრივი

⁶¹ აღსანიშნავია, რომ ბენეშმა თავისი გადაწყვეტილება კაპიტულაციის შესახებ ახსნა სწორედ საბჭოთა კავშირის პოზიციით. ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტის თქმით, ალექსანდროვსკისთან 25 სექტემბერის შეხვედრაზე მის მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხის არმოდება იყო „მისი კაპიტულაციის მთავარი მიზეზი“ (I. Lukes. Czechoslovakia between Stalin and Hitler, გვ. 257).

⁶² H. Ragsdale. The Soviets., გვ. 125.

⁶³ H. Ragsdale. The Soviets., გვ. 119.

⁶⁴ I. Lukes. Czechoslovakia between Stalin and Hitler, გვ. 76.

კონტროლის დამყარება რუმინეთზე.

ის, რომ საბჭოთა ლიდერი ნამდვილად ფიქრობდა ამ მიმართულებით, აშკარაა უფრო გვიანდელი, 1939წ. მონაცემებიდან. უკვე მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, როგორც ჩანს, 1939წ. ნოემბერში⁶⁵, საბჭოთა მხარემ ახსნა-განმარტებები მისცა ჩეხ კომუნისტებს გერმანიასთან პაქტის დადების გამო. მოსკოვში შეხვედრისას აღნიშნული იქნა, რომ სსრკ-ს მიერ დასავლეთის სახელმწიფოებთან ხელშეკრულების დადების შემთხვევაში გერმანია არასდროს დაიწყებდა ომს, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა მსოფლიო რევოლუცია. გარდა ამისა, საბჭოთა ფუნქციონერები ხაზს უსვამდნენ, რომ გერმანიის დამარცხება დასავლეთის სახელმწიფოებთან და პოლონეთის აღდგენა დაუშვებელი იყო, რადგანაც ამ შემთხვევაში სსრკ მოწყვდებოდა ევროპას. ამიტომ მიმდინარე ომი უნდა გაგრძელებულიყო იმდენ ხანს, რამდენიც სჭირდებოდა საბჭოთა კავშირს. შეხვედრის ბოლოს კი ჩეხი კომუნისტების დასამშვიდებლად ისიც კი ითქვა, რომ „დრო არასდროს არ იყო ისეთი ხელსაყრელი საბჭოთა ინტერესებისათვის, როგორც ახლა“.⁶⁶

ზემოთ მოყვანილი ცნობა კიდევ ერთხელ ადასტურებს სტალინის მიერ 1939წ. 19 აგვისტოს პოლიტბიუროს სხდომაზე წარმოთქმული საპროგრამო სიტყვის აუთენტურობას⁶⁷. სტალინ-

⁶⁵ ამგვარი დათარიღების საფუძველს იძლევა პრავდაში აშშ-ს კონსულის (1939წ. მარტში ჩეხოსლოვაკიის ოკუპაციის შემდეგ წამყვან სახელმწიფოთა საელჩოები საკონსულოებად გადაკეთდა – თ.პ.) ირვინგ ლინელის მიერ 20 ნოემბერს სახელმწიფო დეპარტამენტში გაგზავნილი მოხსენება, რომელშიც აღწერილია მოსკოვში ჩეხი კომუნისტების მიერ გამართული შეხვედრის პერიპეთიები (NA 860 F.001/106. Irving Linnell, U.S. Consul in Prague, to the Secretary of State, the Protectorate of Bohemia and Moravia, 20 November, 1939. მოყვანილია წიგნიდან: **I. Lukes.** Czechoslovakia between Stalin and Hitler, გვ. 258-259).

⁶⁶ **I. Lukes.** Czechoslovakia between Stalin and Hitler, გვ. 258-259.

⁶⁷ აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ისტორიკოსები ბოლომდე უარყოფდნენ 1939წ. 19 აგვისტოს პოლიტბიუროს სხდომის გამართვის ფაქტსაც კი. უფრო მეტიც, რუსი ისტორიკოსების უმრავლესობა დღესაც აცხადებს, რომ სხდომა კი შედგა, მაგრამ უმნიშვნელო საკითხები იქნა განხილული. ეს, ცოტა არ იყოს, გაოცებას იწვევს, რად-

მა ხაზი გაუსვა, რომ მშვიდობიან პერიოდში შეუძლებელი იყო ბოლშევიკური პარტიის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდება ევროპულ სახელმწიფოში. მხოლოდ საომარი ვითარება თუ შეუწყობდა ხელს ასეთი პარტიის დიქტატურის დამყარებას (ასეა ტექსტში – თ.პ.). გარდა ამისა, მისი აზრით, თუ სსრკ დადებდა კავშირს საფრანგეთთან და დიდ ბრიტანეთთან, ეს დააფრთხობდა გერმანიას და გამოიწვევდა ომის გადადებას, შემდგომში კი მოვლენებს შეიძლებოდა სახიფათო ხასიათიც მიეღო საბჭოთა სახელმწიფოსათვის. მეორე მხრივ, გერმანიასთან ხელშეკრულების გაფორმება გარდაუვალს გახდიდა ამ უკანასკნელის თავდასხმას პოლონეთზე და საფრანგეთისა და ინგლისის ომში ჩაბმას⁶⁸.

სტალინის აზრით, ინგლისისა და საფრანგეთის გამარჯვე-

განაც გაუგებარია, რატომ იყო უარყოფილი სხდომის გამართვის ფაქტი მანამდე. ყოველივე ამაზე გარკვეულ პასუხს იძლევა ახალი დოკუმენტი, რომელიც ისტორიულ-დოკუმენტური კოლექციების შემნახველ ცენტრში (ყოფილი სსრკ-ს საგანგებო არქივი) აღმოაჩინა ტ. ბუშუევამ (იხ. **Т. Бушueva**. „...Проклинаая — попробуйте понять...” – *Новый Мир*, 1994, №12, გვ. 232-233). პოლიტბიუროს 1939წ. 19 აგვისტოს სხდომის ეს ჩანაწერი შედგენილია ფრანგულ ენაზე, და, როგორც ჩანს, იყო კიდევ პირველწყარო ფრანგული საინფორმაციო სააგენტო „ჰავასისათვის“, რომელმაც გამოაქვეყნა მისი მოკლე შინაარსი 1939წ. ოქტომბერში. ამას სტალინის მკვეთრად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა და მან სპეციალური ინტერვიუც კი გამოაქვეყნებინა მის გასანეიტრალებლად. მართალია, აღნიშნული ჩანაწერის აუთენტურობა გარკვეულ ეჭვებს იწვევს სპეციალისტებში, მაგრამ მისი შინაარსიდან გამომდინარე (კერძოდ, მასში მოცემულია ის დებულებები, რომლებიც ჩაიდო 1939წ. 23 აგვისტოს სსრკ-გერმანიის საიდუმლო ხელშეკრულების პუნქტებში და არა უკვე შესწორებული საზღვრის ვარიანტი, რომელიც გაფორმდა 1939წ. 28 სექტემბერს და რომელიც არსებობდა „ჰავასის“ მიერ დოკუმენტის გამოქვეყნების მომენტისათვის. ეს კი გამორიცხავს ევროპაში იმ მომენტისათვის შექმნილი მდგომარეობის გამოყენებას ფალსიფიკაციისთვის), ძნელი წარმოსადგენია, რომ ის ყალბი იყოს.

⁶⁸ **В. Л. Дорошенко**. Сталинская провокация второй мировой войны. Приложение. Текст речи Сталина на заседании Политбюро ЦК ВКП(б) 19 августа 1939 года. – В сб.: *Другая война 1939-1945*. Под общей редакцией академика **Ю. Н. Афанасьева**. М., Российский Государственный Гуманитарный Университет, 1995, გვ. 73.

ბის შემთხვევაში აუცილებლად მოხდებოდა გერმანიის გასაბჭოება და იქ კომუნისტური მთავრობის ჩამოყალიბება. აქვე ის ხაზს უსვამდა, რომ ომის სწრაფად დამთავრების შემთხვევაში გასაბჭოებული გერმანია საფრანგეთისა და ინგლისის მხრიდან ოკუპაციის საფრთხის ქვეშ აღმოჩნდებოდა, ამიტომ სსრკ-ს მთავარ ამოცანად ის თვლიდა სამხედრო მოქმედებების მაქსიმალურად გაგრძელებას და ამ მიზნით გერმანიისათვის მთელი შესაძლო ეკონომიკური დახმარების გაწევას⁶⁹. ამავე დროს საჭირო იდეოლოგიური სამუშაოების ჩატარება კი შესაძლებელს გახდიდა შემდგომში საფრანგეთის გასაბჭოებასაც⁷⁰.

უნდა აღინიშნოს, რომ სტალინი არ გამორიცხავდა გერმანიის გამარჯვებასაც ომში, რაც, მისი თქმით, ნამდვილად იყო უფრო სახიფათო. ამავე დროს, ის თვლიდა, რომ ასეთ შემთხვევაში გერმანია ძალიან დასუსტებული გამოვიდოდა კონფლიქტიდან და საბჭოთა კავშირთან დასაპირისპირებლად, როგორც მინიმუმ, 10 წელი დასჭირდებოდა. გარდა ამისა, ოფიციალური ბერლინი იმდენად დაკავებული იქნებოდა ოკუპირებული ტერიტორიების ათვისებით, რომ სსრკ-სკენ მიბრუნებას უბრალოდ ვერ შეძლებდა⁷¹. შედეგად კი, შესაძლებელი გახდებოდა დამარცხებული საფრანგეთისათვის დახმარება და ყველა იმ სახელმწიფოს გასაბჭოება, რომელიც გერმანიის კონტროლქვეშ აღმოჩნდებოდა⁷². სტალინის დასკვნით, საბჭოთა კავშირის ინტერესებში შედიოდა გერმანიასა და ინგლის-საფრანგეთს შორის ომი და სამხედრო მოქმედებების რაც შეიძლება მეტად გაჭიანურება, რაც, მისი აზრით, მხოლოდ გერმანიასთან პაქტის გაფორმების შემთხვევაში იყო შესაძლებელი⁷³.

⁶⁹ **В. Л. Дорошенко.** Сталинская провокация второй мировой войны. Положение. *Текст речи Сталина...*, გვ. 73-74.

⁷⁰ **В. Л. Дорошенко.** Сталинская провокация второй мировой войны. Положение. *Текст речи Сталина...*, გვ. 74.

⁷¹ **В. Л. Дорошенко.** Сталинская провокация второй мировой войны. Положение. *Текст речи Сталина...*, გვ. 74-75.

⁷² **В. Л. Дорошенко.** Сталинская провокация второй мировой войны. Положение. *Текст речи Сталина...*, გვ. 75.

⁷³ **В. Л. Дорошенко.** Сталинская провокация второй мировой войны. Положение. *Текст речи Сталина...*, გვ. 75.

აღნიშნული დოკუმენტი ნათელს ხდის, თუ რა მოსაზრებები გააჩნდა სტალინს ევროპულ ვითარებასთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ამ მიმართულებით მუშაობა უფრო ადრეც მიმდინარეობდა. 1938წ. დეკემბრის დასაწყისში ალექსანდროვსკი ესაუბრა იარომირ სმუტნის და განაცხადა: „ომი გერმანიასა და სსრკ-ს შორის აუცილებლად იქნება, მაგრამ მანამდე ეს ორი ქვეყანა ალბათ დაინაწილებს პოლონეთს, რომელიც იქცევა ომის შემდგომ თეატრად“.74 ჩვენი აზრით, 1938წ. შემოდგომაზეც სტალინს მხოლოდ ერთი სურვილი ამოდრავებდა: მსოფლიო კონფლიქტის გაჩაღება. მართალია, 1938წ. სიტუაცია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთი წლის შემდეგ არსებული მდგომარეობიდან, მაგრამ, ჩვენი აზრით, სტალინის მიზნები მაშინაც იგივე იქნებოდა, ოღონდ, ბუნებრივია, გარკვეული კორექტივებით. 1938წ. ის ალბათ არც განიხილავდა გერმანიის გამარჯვების შესაძლებლობას და აქცენტი მთლიანად გადატანილი იქნებოდა სწორედ გერმანიის გასაბჭოებასა და პოლონეთის დაკავებაზე. ამავე დროს, ჩვენი აზრით, როგორც ამას ცხადყოფს 1939წ. 19 აგვისტოს სიტყვა, ეს უნდა ყოფილიყო მხოლოდ პირველი ნაბიჯი საბოლოო მიზნისაკენ, მაგრამ, სავარაუდოდ, სტალინი შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, იმ პერიოდში ამას მაქსიმუმად ჩათვლიდა. გერმანიის გასაბჭოებისა და პოლონეთის დაკავების შემთხვევაში სსრ კავშირის პოზიციები, როგორც მინიმუმ, ჩეხოსლოვაკიასა და რუმინეთში, სავარაუდოდ კი ბულგარეთსა და იუგოსლავიაშიც მკვეთრად გაუმჯობესდებოდა და ეს ქვეყნები პრაქტიკულად საბჭოთა გავლენის ქვეშ აღმოჩნდებოდნენ, რაც მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა სტალინის საბოლოო მიზნის მიღწევის გზაზე.

⁷⁴ I. Lukes. Czechoslovakia between Stalin and Hitler, გვ. 259.

ТЕЙМУРАЗ З. ПАПАСКИРИ

СОВЕТСКАЯ ПОЛИТИКА ПО ОТНОШЕНИЮ К ЧЕХОСЛОВАКИИ ВО ВРЕМЯ СУДЕТСКОГО КРИЗИСА 1938Г.

В статье на основе анализа документальных материалов, а также специальной литературы, рассмотрена политика Советского Союза по отношению к Чехословакии во время Судетского кризиса 1938г. Отмечено, что СССР, несмотря на свои заявления о поддержке Чехословакии, на самом деле вовсе не собирався помочь ей в отражении нападения со стороны Германии. Более того, учитывая то обстоятельство, что получить согласие Польши на пропуск советских войск являлось практически невозможным из-за сложных отношений между двумя странами, у СССР не было бы даже теоретической возможности направить дивизии на помощь официальной Праге. переброска воинских частей через территорию Румынии также исключалась из-за неимения железнодорожного сообщения между Румынией и Чехословакией. Исходя из вышесказанного, мобилизацию советских войск на границе с Польшей во время Судетского кризиса следует расценивать совсем по-другому. Не исключено, что Иосиф Сталин считал возможным начало большой европейской войны из-за Чехословакии. Это, в свою очередь, могло позволить Советскому Союзу захватить под шумок Польшу и установить фактический контроль над Чехословакией и Румынией. Всё это подтверждается более поздними документами, в частности, объяснениями советской стороны чешским коммунистам в ноябре 1939г. и речью Сталина от 19 августа 1939г., французский вариант которой был обнаружен Т. Бушуевой и аутентичность которой не должна подвергаться сомнению. Оба источника свидетельствуют, что Сталин рассматривал происходившие в Европе события в призме будущей мировой революции и стремился установить коммунизм во всём мире.

TEIMURAZ PAPASKIRI

**SOVIET POLICY TOWARDS CZECHOSLOVAKIA
DURING THE SUDET CRISIS OF 1938**

The paper, on the basis of the documental sources and critical analysis of the existing literature, deals with the Soviet policy towards Czechoslovakia during the Sudet Crisis of 1938. It is mentioned, that despite the announcements of its readiness to provide help to Czechoslovakia, the USSR was not going to take practical steps in that direction. Moreover, in case of Poland's refusal to give a corridor to the Red Army, and due to the strained relations between these two countries in the mentioned period, it was practically impossible for the Soviet Union to receive such approval from Poland, the USSR would not have even theoretical possibility to transfer its divisions to help the official Prague, since exploring the only other through Romania was impossible due to the inexistence of the railway connections between the latter and Czechoslovakia. Based on aforesaid, the mobilization of the Soviet troops during the Sudet Crisis of 1938 has to be evaluated differently. It is possible that Joseph Stalin considered probable the beginning of the big European war on the Czechoslovakian issue. It would give the Soviet Union an opportunity to seize whole Poland and establish control over Czechoslovakia and Romania. This is proved by the later documents, particularly by the explanations given by the Soviet side to the Czech communists in November of 1939 and Stalin's speech of August 19, 1939 (the French version of the latter was found by T. Bushueva and it looks to be authentic). Both sources are showing that Stalin considered the European events as a prelude to the world revolution and had a desire to establish communism in the whole world.

ელენე მემარიაშვილი

1960-იანი წლების ახალგაზრდული მოძრაობის მიზეზები აშშ-ში

1960-იანი წლები, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი პერიოდია აშშ-ის ისტორიაში. იმ დროს განვითარებული მოვლენების გამო ისტორიკოსებმა ამ ათწლეულს „მშფოთვარე“ უწოდეს. ქალთა, ახალგაზრდული, ვიეტნამის ომის საწინააღმდეგო მოძრაობები, ბრძოლა სამოქალაქო უფლებებისათვის და სხვა მნიშვნელოვანი გამოსვლები, რომლებმაც უდიდესი გავლენა იქონია ქვეყნის შემდგომ განვითარებაზე, – სწორედ აღნიშნული პერიოდისათვის არის დამახასიათებელი. მოცემულ სტატიაში ყურადღებას მხოლოდ ახალგაზრდული მოძრაობის მიზეზებზე გავამახვილებთ.

ცნობილია, რომ თანამედროვე ეპოქაში ახალგაზრდობა აქტიურ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს. ამის დასტურად საკმარისია მოვიტანოთ 2006 წელს საფრანგეთში სტუდენტური გამოსვლები, ანტიგლობალიზტების მოძრაობა (რომლის უდიდესი ნაწილი ახალგაზრდობაა), ახალგაზრდობის აქტიურობა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების ე.წ. ფერად თუ ყვავილოვან რევოლუციებში, მათ შორის, საქართველოშიც.

1950-1970-იან წლებში შეერთებულ შტატებში ტრადიციულმა წინააღმდეგობამ თაობებს, ანუ მამებსა და შვილებს, შორის ამკარა დაპირისპირების სახე მიიღო. ამას გარკვეულმა საშინაო და საგარეო ფაქტორებმა შეუწყო ხელი. დაპირისპირებამ პიკს სწორედ 1960-იან წლებში მიაღწია. რა იყო ამ მოძრაობის თავისებურებები, რატომ დაიწყო ის? აი, ის კითხვები, რომლებზეც პასუხის გაცემას წარმოადგენილ სტატიაში შევეცდებით. ახალგაზ-

რღობაში კი ვგულისხმობთ ამერიკული საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც შეადგენდა 18-დან 30 წლის ასაკამდე სტუდენტობა ან პირები, რომლებმაც სწავლას მიანებეს თავი¹. 1960-იანი წლების ამერიკელი ახალგაზრდობის საპროტესტო მოძრაობა ერთიანი არ იყო. ის ორ – *პოლიტიკურ* და *აპოლიტიკურ* – მიმდინარეობას მოიცავდა. პოლიტიკურ ფრთას შეადგენდნენ ე.წ. „ახალი მემარცხენე“ სტუდენტები, აპოლიტიკურს კი – *ჰიპების თემები*.

საქართველოში აღნიშნული საკითხი სრულიად შეუსწავლელია. რაც შეეხება საბჭოთა პერიოდის, ძირითადად, რუსულ სამეცნიერო ლიტერატურას, მასში ხაზგასმულია ახალგაზრდობის საპროტესტო მოძრაობის პოლიტიკური ფრთის მხოლოდ დადებითი მნიშვნელობა, სტუდენტების კომუნისტური პარტიისადმი სიმპათია და კავშირი მუშათა კლასთან². სამაგიეროდ, გაკრიტიკებულია აპოლიტიკური ფრთა, როგორც რეაქციული, რომელსაც კავშირი აქვს „ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ საზოგადოებასთან“.³

თვით შეერთებულ შტატებში ახალგაზრდობის საპროტესტო მოძრაობა საფუძვლიანად არის შესწავლილი. არაერთი ცნობილი ამერიკული უნივერსიტეტის (მაგალითად, კოლუმბიისა და ბერკლის უნივერსიტეტების, რომლებიც ჯანყის კერები იყო) ბიბლიოთეკებში აღნიშნული საკითხისადმი მიძღვნილი მასალების კოლექციები ინახება⁴. ამ მხრივ საინტერესოა ვისკონსინის საის-

¹ იმდროინდელ „აჯანყებულებს“ შორის ძალიან პოპულარული იყო ლოზუნგი, რომ 30 წელს გადაცილებულებს არ უნდა ენდონ (იხ. **А. Ю. Мельвилъ.** «Контркультура», ее эволюция и современные критики на Западе. – *Вопросы философии*, 1974, №8, გვ. 154.

² იხ. მაგალითად: **В. Большаков.** Бунт в тупике? Очерки с идеологического фронта. М., 1973; **А. Брычков.** Молодежь США: от нигилизма к политике. М., 1974 და სხვ.

³ **А. М. Байчоров.** От «разбитого» поколения к контркультуре. Минск, 1982; **В. Быков.** От молчаливого поколения к бунтующему. М., 1974 და სხვ.

⁴ *Free Speech Movement Digital Archive* (Eng.). – იხ. ვებ-გვერდი: <http://bancroft.berkeley.edu/FSM/> [26 July 2006]; *Columbia 68 Homepage* (Eng.). – იხ. ვებ-გვერდი: URL: <http://beatl.barnard.columbia.edu/columbia68/> [17 July 2006]. *Manifesto Project. Sixties Project: Primary Document Archive. Free Speech Movement.* (Eng.). – იხ. ვებ-გვერდი: http://lists.village.virginia.edu/sixties/HTML_docs/Resources/Primary.html [25 July 2006].

ტორიო საზოგადოების ბიბლიოთეკა⁵. აღსანიშნავია მასალა, რომელიც განთავსებულია ამერიკელი მეცნიერების მიერ მომზადებულ საპეციალურ ვებ-გვერდზე „სამოციანელები“.⁶ რაც შეეხება ზოგად ლიტერატურას, რომელიც მოცემული პერიოდის ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიას ეძღვნება, ყველა მათგანში 1960-იან წლებს განსაკუთრებული ადგილი ეთმობა, თუმცა, ახალგაზრდული მოძრაობა, ძირითადად, სქემატურად არის წარმოდგენილი⁷. ყველაზე ფართოდ ამერიკულ სამეცნიერო ლიტერატურაში შესწავლილია ამ პერიოდის ანთისაომარი მოძრაობა, რომელშიც ახალგაზრდობა განსაკუთრებით აქტიურ როლს თამაშობდა.

აღსანიშნავია, რომ რაც უფრო მეტი დრო გადის იმ მშფოთვარე წლებიდან, მით უფრო მეტად ანალიტიკური ხდება ამერიკელი მეცნიერების ნაშრომები, რომლებიც ახალგაზრდული მოძრაობის ამა თუ იმ პრობლემას ეხება, მათ შორის, მისი წარმოქმნის მიზეზებსაც. ეს ბუნებრივიც არის. აშშ-ში ახალგაზრდული მოძრაობა აღარ არსებობს, მათი პროტესტი დიდი ხანია დას-

⁵ იხ. <http://www.wisconsinhistory.org/libraryarchives/readroom/socacol.asp>. აგრეთვე ვებ-გვერდი: http://lists.village.virginia.edu/sixties/HTML_docs/Sixties.html.

⁶ http://lists.village.virginia.edu/sixties/HTML_docs/Sixties.html.

⁷ იხ. მაგალითად: **R. A. Divine, T. H. Breen, G. M. Fredrickson, R. H. Williams.** America. Past and Present. Third Edition. New York, Harper Collins Publishers, 1991; **B. Bailyn, R. Dallek, D. B. Davis.** The Great Republic. A History of the American People. Third Edition. Lexington–Toronto, D.C. Heath and Company, 1985; **E. L. Ayers, L. L. Gould, D. M. Oshinsky, Jean R. Soderlund.** American Passages. A History of the United States. Vol. II. Since 1863. New York, Harcourt College Publishers, 2000; **G. B. Nash, J. R. Jeffrey, J. R. Howe.** The American People Creating a Nation and Society. Third Edition, Vol. Two: Since 1865. New York, Harper Collins College Publishers, 1994; **Alan Brinkley.** The Unfinished Nation. A Concise History of the American People. New York–San Francisco–London, McGraw-Hill, Inc., 1993; *American Perspectives. The United States in the Modern Age.* Ed. by **Carl Bode.** Forum Reader Series, 1990; **A. Nevins, H. S. Commager.** A Pocket History of the United States. Ninth Revised Edition of the Acclaimed Classic Pocket Books, New York–London, 2005 და ა.შ. ყველა ამ წიგნის ნახვა შესაძლებელია თსუ ამერიკის შესწავლის ცენტრის ბიბლიოთეკაში.

რულდა, ამიტომ მეცნიერებს დასკვნების გამოტანისა და ამ პროტესტის ობიექტურად შეფასების საშუალება ეძლევათ. ალბათ, ყველაზე საინტერესოა თვით ე.წ. „სამოციანელების“ ნაშრომები, რომლებიც ამ მოძრაობის აქტიური მონაწილეები იყვნენ⁸. ცნობებს 1960-იან წლებზე ყოფილი პრეზიდენტების – რ. ნიქსონის, რ. რეიგანისა და ჯ. ბუშის (უფროსის) მემუარებშიც ვხვდებით⁹. ბოლო ხანებში აღნიშნულ თემაზე წერა დაიწყო ახალგაზრდა მკვლევრებმა, რომლებიც ახლებურად აფასებენ იმდროინდელ მოვლენებს¹⁰.

მაინც რამ გამოიწვია 1960-იანი წლების ამერიკაში ახალგაზრდობის პროტესტი? რა იყო მათი გამოსვლის წინაპირობები? ისინი მოკლედ შეიძლება ასე ჩამოვყალიბოთ: განსხვავება საზოგადოების მატერიალურ კეთილდღეობასა და ცივი ომის პირველი ათწლეულების ფსიქოლოგიურ დაძაბულობას შორის; ომის შემდგომი „ბები ბუმი“ (ანუ შობადობის მკვეთრი ზრდა); ტოტალური ავტორიტარული რეჟიმი, რასაც სისტემის ფარგლებში ადამიანის გაუსახურება მოჰყვა.

1960-იანი წლების ამერიკელი ახალგაზრდები წინამორბედებისაგან იმით განსხვავდებოდნენ, რომ ისინი ცივი ომის დროინდელი ბირთვული ომის საფრთხის პირობებში გაიზარდნენ. შეერთებულ შტატებში მათ „ბებიბუმერებსაც“ უწოდებენ, ანუ ბავშვებს, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაჩნდნენ. შობადობის იმდროინდელი აფეთქების შედეგად, სტუდენტური ასაკის (18-24 წლის) ახალგაზრდების რაოდენობა სწრაფად იზრდებოდა: 1955 წელს მათ მთელი მოსახლეობის 9% შეადგინეს, ათი წლის შემდეგ – 10,3%, ხოლო 1975 წელს – უკვე 12,9%, მაშინ, როდესაც 2000 წელს მათი რაოდენობა 7%-ს შეადგენდა, 2010 წელს კი ნავარაუდევია კიდევ უფრო, კერძოდ, 6,2%-მდე შემცირება¹¹.

⁸ იხ. მაგ.: **P. Collier, D. Horowitz.** Destructive Generation. New York, 1996; **T. Gitlin.** The Sixties. Years of Hope, Days of Rage. New York, 1993.

⁹ **Р. Никсон.** На арене. Воспоминания о победах, поражениях и возрождении. М., 1992 და სხვ.

¹⁰ იხ. მაგალითად: **S. Hall.** Peace and Freedom: *the Civil Rights and Antiwar Movements of the 1960s*. Philadelphia, PN, 2005.

¹¹ *Statistical Abstract of the United States.* The National Data Book. 120th Edition, 2000. U.S. Census Bureau, Washington, D.C., 2000, გვ. 15.

სტუდენტების რაოდენობის ზრდას მოჰყვა მათი კონცენტრაციის მატება სტუდენტურ ქალაქებში. თითოეულ კამპუსზე საშუალოდ 3 ათასი სტუდენტი მოდიოდა, მაგრამ მათი უმრავლესობა უფრო დიდ უნივერსიტეტებში იყო თავმოყრილი, სადაც 15 ათასიდან 30 ათასამდე და მეტი სტუდენტი სწავლობდა. სტუდენტების რაოდენობის ზრდამ გამოიწვია მათი სოციალური შემადგენლობის დემოკრატიზაცია და, შესაბამისად, სტუდენტურ აუდიტორიაში ატმოსფეროს შეცვლა. გამოჩნდნენ ისეთი სტუდენტებიც, ვინც უკმაყოფილებას გამოთქვამდა მოძველებული, რეალურ ცხოვრებას მოწყვეტილი სასწავლო დისციპლინების გამო. ისინი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას თავიანთი დაწესებულების თანამედროვე მოთხოვნებისადმი მისადაგებისკენ მოუწოდებდნენ.

იმდროინდელ საბჭოთა კავშირის მსგავსად, შეერთებულ შტატებშიც ცივი ომის წლებში მთავარი ყურადღება ექცეოდა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის განვითარებას და სამეცნიერო კვლევები, ძირითადად, ისევე როგორც სტუდენტების სპეციალიზაცია, ამ მიმართულებით ფინანსდებოდა. ამიტომ სახელმწიფო დაწესებულებები და ბიზნესი უნივერსიტეტებს თავს ახვევდნენ შესაბამისი ვიწრო სპეციალიზაციის პროგრამებს. ეს კი სულიერ წინხად აღიქმებოდა.

ამგვარად, სტუდენტთა შემადგენლობის განახლება, უმაღლესი განათლების განვითარების ახალი ტენდენციები, უნივერსიტეტების როლის შეცვლა, მათი მართვის მოძველებული სტრუქტურის შენარჩუნების პარალელურად, სახელმწიფოს ზეწოლა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების ხასიათზე, – ყველაფერი ეს, ერთად აღებული, ხელს უწყობდა აკადემიური წრის რიგებში ოპოზიციური განწყობილების ზრდას.

ამავე დროს, სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ გაამძივრა ახალგაზრდების ცოდნა. რევოლუციას მოჰყვა ცხოვრების დონის ამაღლებაც. უფროსი თაობა ამას კარგად ხედავდა, ახალგაზრდებისათვის კი ეს ჩვეულებრივი, თავისთავადი მოვლენა იყო. ყოველდღიური პრობლემებისაგან განთავისუფლებულმა ახალგაზრდებმა ყურადღება „მსოფლიო პრობლემებზე“ გადაიტანეს. სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ერთ-ერთი თანმდევი შედეგი სექ-

სუალური რევოლუციაც იყო. მეცნიერები ამერიკელი ახალგაზრდების სექსუალური აქტიურობის ზრდას საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების ტემპების დაჩქარებას უკავშირებდნენ, რამაც სოციალურ და სქესობრივ მომწიფებას შორის განსხვავების ზრდა გამოიწვია.

ამერიკელი მეცნიერები ჯერ კიდევ 1960-იან წლებში ცდილობდნენ ახალგაზრდების მღელვარების მიზეზების გარკვევას. გაჩნდა არაერთი თეორია, რომელსაც ამ მოვლენის ახსნის პრეტენზია ჰქონდა. ერთ-ერთი, ყველაზე ფართოდ გავრცელებული იყო „თაობათა კონფლიქტის“ თეორია, რომელიც ამბობს მიზეზად აცხადებდა ახალგაზრდების დიდი ნაწილის უარს, მიეღოთ თავიანთი მამების ღირებულებები და ნორმები¹². სხვები თვლიდნენ, რომ 1960-იანი წლების სტუდენტური მოძრაობა ეს იყო თვით პრივილეგიების, პრივილეგიების წინააღმდეგ მიმართული და, ამასთან ერთად, პრივილეგიებისათვის მოძრაობა¹³.

თვითონ სტუდენტებიც ასახელებდნენ თავიანთი უკმაყოფილებისა და ჯანყის მიზეზებს. მაგალითად, კოლუმბიის უნივერსიტეტის ერთ-ერთმა სტუდენტმა, ვინმე ჯ. კიუნენმა თავის ესეში დაწერა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ისთებლიშმენტის არსებობა ქვეყანას თავისუფლებას უკარგავს. ამიტომ მათი ჯანყი სწორედ ისთებლიშმენტის წინააღმდეგ არის მიმართული¹⁴. 1969 წელს ჟურნალ *“Fortune”*-ში გამოქვეყნებულ ამერიკის შეერთებული შტატების ახალგაზრდებისა და სტუდენტების „დეკლარაციაში“ ყველაზე რთულ პრობლემად დასახელებულია საზოგადოებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრების პრობლემა. აქვე აღნიშნულია ხელისუფლებაში დიდი ბიზნესის ბატონობა, სამხედრო ბიუჯეტისა და შეიარაღებაზე ხარჯების ზრდა, კორპორაციების კონტროლი უნივერსიტეტებზე.

¹² იხ., მაგალითად: **L. S. Feuer**. *The Conflict of Generations. The Character and Significance of Student Movements*. New York–London, 1969.

¹³ მაგალითად, **E. J. Bacciocco**. *The New Left in America. Reform to Revolution 1956-1970*. Stanford, 1974 და სხვები.

¹⁴ **J. S. Kunen**. *Why We're Against the Biggees. – Essays on the Student Movement*. Ed. by **P. Gleason**. San Francisco State College. Columbus, 1970, გვ. 27.

1960-იანი წლების ახალგაზრდული მოძრაობის თითოეულ ფრთას თავისი იდეოლოგიური საფუძველი ჰქონდა. თავდაპირველად, პოლიტიკური ფრთის წარმომადგენლების მთავარი საზრუნავი აფროამერიკელებისათვის სამოქალაქო უფლებების მინიჭება იყო. შესაბამისად, ისინი ამ იდეის სულისჩამდგმელი მარტინ ლუთერ კინგის არაძალდატანებითი ბრძოლის იდეებს იზიარებდნენ. მაგრამ ახალგაზრდა აფროამერიკელების მოძრაობის გამწვავების შემდეგ სხვა ლოზუნგები უფრო პოპულარული გახდა. კერძოდ, წინ წამოიწია „შავი მუსლიმების“ იდეოლოგიამ, პირველ რიგში კი, გაიზარდა მალკოლმ იქსის გავლენა, რომელიც შავი და თეთრი რადიკალების გაერთიანებისაკენ მოუწოდებდა. პოლიტიკური პროტესტის მონაწილეთა შორის განსაკუთრებით პოპულარული იყო სოციალურ-პოლიტიკური ფილოსოფიური სკოლა (რ. მილსი, დ. რისმენი, ე. ფრომი), ეგზისტენციალიზმი (ჟან პოლ სარტრი, ალბერ კამიუ) და ე.წ. „ფრანკფურტის სკოლა“ (გ. მარკუზე). არანაკლებ პოპულარული იყო ამ ახალგაზრდებს შორის კარლ მარქსის იდეებიც.

სოციალურ-კრიტიკული ფილოსოფიური სკოლის წარმომადგენლები აკრიტიკებდნენ თანამედროვე ამერიკულ საზოგადოებას როგორც ტოტალიტარულს და რეპრესიულს. სწორედ რ. მილსი იყო ახალგაზრდობის „ახალი მემარცხენე“ მოძრაობის „ნათლი-მამა“. რ. მილსი ამტკიცებდა, რომ „მმართველი ელიტა“ მისი ხელქვეითი საზოგადოებით მანიპულირებს¹⁵. ე. ფრომი კი ამტკიცებდა, რომ ასეთი საზოგადოება არაჰუმანურია და მასში ადამიანი გაუცხოვებულია¹⁶. დ. რისმენი თვლიდა, რომ ამ გაუცხოვების დაძლევა მხოლოდ ახალგაზრდებს შეუძლიათ. რ. მილსი მას ეთანხმებოდა. ის ახალგაზრდებში ხედავდა იმ ძალას, რომელსაც კაპიტალისტური საზოგადოების სტრუქტურის შეცვლა შეუძლია¹⁷. ასევე ახალგაზრდებში და მათ ჯანყში ხედავდნენ არსებული საზოგადოების გამოსწორების შესაძლებლობას „ფრანკ-

¹⁵ იხ. **Р. Миллс.** Властвующая элита. М., 1959.

¹⁶ **Э. Фромм.** Искусство любить. – წგნ.: **Э. Фромм.** Душа человека. М., 1992.

¹⁷ **Р. Миллс.** Властвующая элита..., გვ. 28.

ფურტის სკოლისა“ და ეგზისტენციალიზმის წარმომადგენლები¹⁸. ახალგაზრდებმა კ. მარქსის მოძღვრებაშიც დაინახეს კაპიტალიზმის კრიტიკა და ჯანყისკენ მოწოდება. ამიტომ მისი იდეები განსაკუთრებით პოპულარული იყო. იდეოლოგიების გარდა, პოლიტიკური ფრთის წარმომადგენელ ახალგაზრდებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ისეთი რევოლუციონერები, როგორებიც იყვნენ ჩე გევარა, ფიდელ კასტრო და მათი დე ლუნი.

რაც შეეხება 1960-იანი წლების ახალგაზრდული მოძრაობის აპოლიტიკური კონტრკულტურული მიმდინარეობის წარმომადგენლების იდეოლოგიას, მისი მამამთავარი იყო ჩ. რეიჩემი. ის თვლიდა, რომ „ახალ გონებას“, რომელიც საპროტესტო მოძრაობაში მონაწილე ახალგაზრდებს შორის წარმოიშვა, ყოველგვარი ძალდატანებისა და პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის გარეშე შეუძლია საზოგადოების რეპრესიული ტოტალიტარული ორგანიზაციის დანგრევა. ჩ. რეიჩემის აზრით, გზა „ახალი გონებისკენ“ ნარკოტიკებზე და ე.წ. „არავებრალური კომუნიკაციის“ საშუალებებზე გადიოდა¹⁹.

კონტრკულტურის მეორე თეორეტიკოსი იყო თ. როზაკი. ის საერთოდ უარყოფდა სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის პოზიტიურ ხასიათს. მისი აზრით, ამ რევოლუციამ შვა კაცობრიობის მთავარი მტერი – ტექნოკრატია. თ. როზაკი თვლიდა, რომ სამყაროს შეგრძნებისა და შეცნობის საუკეთესო საშუალება იყო პირველყოფილი მაგიისა და ჯადოსნობის აღორძინება²⁰. აპოლიტიკური პროტესტის წარმომადგენლებზე დიდი გავლენა ჰქონდათ არა მარტო მემარცხენე ფროიდიზმისა და პოსტფროიდიზმის მიმდინარეობის ფილოსოფოსებს, არამედ პოეტებსა (ა. გინზბერგი) და მწერლებს (დ. კერუაკი, უ. ბეროუზი, კ. კიზი, ო. ჰაქსლი), რომლებიც აკრიტიკებდნენ არსებულ სისტემას, ეწეო-

¹⁸ იხ., მაგალითად: **Г. Маркузе**. Одномерный человек: исследование идеологии индустриального общества. М., 2002.

¹⁹ **Brown B. Marx**. Freud and the Critique of Everyday Life: Toward a Permanent Cultural Revolution. New York–London, “Month. Rev.” Press, 1973. – *Контркультура, идеология и политика*. Реферативный сборник. М., 1976.

²⁰ **Brown B. Marx**. Freud and the Critique of Everyday Life...

დნენ ნარკოტიკებისა და ეროტიზმის პროპაგანდას. ფილოსოფოს გ. მარკუზეს აზრით, რეპრესიული ცივილიზაციისაგან თავის დაღწევა სწორედ ყველანაირი ლტოლვის და, პირველ რიგში, ეროტიკული ინსტიქტის რადიკალური განთავისუფლების გზით შეიძლებოდა²¹. „სხეულის კულტი“, ეროტიზმი ცხოვრების წესი უნდა გამხდარიყო. „ბიტლზების“, ბობ დილანის სიმღერებში, ა. გინზბერგისა და კ. კიზის წიგნებში არსებული სისტემის კრიტიკა გაისმა. ამიტომ ახალგაზრდებს შორის ისინი ძალიან პოპულარულები გახდნენ.

ამგვარად, 1960-იანი წლების ახალგაზრდულ მოძრაობას ჰქონდა როგორც საშინაო, ისე საგარეო მიზეზები. საშინაო მიზეზებად შეიძლება ჩავთვალოთ სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია, ხელსაყრელი ეკონომიკური ვითარება („კეთილდღეობის საზოგადოება“), ომის შემდეგ შობადობის აფეთქება. საგარეო მიზეზად მიგვაჩნია ცივი ომი და მის შედეგად შიშისა და დაძაბულობის ატმოსფეროს შექმნა, რომელმაც 1960-იანი წლების ახალგაზრდობის პროტესტი მოამწიფა.

²¹ იხ. **Г. Маркузе**. Одномерный человек...

ЕЛЕНЕ Г. МЕДЗМАРИАШВИЛИ

**ПРИЧИНЫ МОЛОДЁЖНОГО ДВИЖЕНИЯ
1960-х ГОДОВ В США**

В статье рассматриваются как внутренние, так и внешние причины молодёжного движения 1960-х годов в США. К внутренним условиям возникновения молодёжного движения данного периода относится научно-техническая революция, благоприятная экономическая обстановка („общество изобилия“), послевоенный бум рождаемости и, как итог этих процессов, обновление студенческих рядов, новые тенденции развития высшего образования, изменение роли университетов при сохранении устаревшей структуры их правления, давление государства на характер учебных и научно-исследовательских программ. Эти процессы способствовали росту оппозиционных настроений в среде студентов и академических кругов. Внешним фактором можно считать холодную войну, которая создала атмосферу страха и напряженности, что в свою очередь оказалось плодотворной почвой для молодёжного протеста. Контраст материального благополучия общества изобилия и психологической напряженности первых десятилетий холодной войны стал основной предпосылкой молодёжного бунта 1960-х годов в США.

ELENE MEDZMARIASHVILI

CAUSES OF AMERICAN YOUTH MOVEMENTS IN THE 1960'S

The paper explores internal and external causes of American youth movements in the Sixties. Internal reasons of the American youth movements in this period are: scientific and technical progress, favourable economic situation (“Society of Abundance”), post-war “baby boom” and, as a result of these processes, fresh numbers of students, new tendencies of development of the higher education, change of the universities’ role together with keeping the old structure of their administration, state’s pressure on the character of educational and scientific programs. These processes encouraged the growth of oppositional feelings among students and professors. We think that the “Cold War” is the external cause of American youth movements in the Sixties, because it created the atmosphere of fear and tenseness. This situation turned out the fruitful basis for the youth protest. The contrast between the prosperity of Abundance Society and the psychological tenseness of the Cold War became the main precondition for youth riot of Sixties in the USA.

კოლოტილოზია, სოცოლოზია

ალექსანდრე ყურყუშია

**კავკასიაში რუსეთის გეოსტრატეგიის
სათავაზები**

გეოპოლიტიკის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის ფორმირება XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის მიჯნაზე მიმდინარეობდა. მის სათავეებთან მდგომი პირები თავიანთ თეორიათა შექმნისას დიდ ყურადღებას უთმობდნენ ისტორიულ პროცესებს, მოვლენათა განმაპირობებელ ფაქტორებს, მათ საფუძველზე აგებდნენ და ამყარებდნენ თავიანთ მოსაზრებებს. ამ მხრივ, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ინგლისელი გეოპოლიტიკოსის ჰელფორდ მაკინდერის მიერ 1904 წელს გამოქვეყნებული სტატია „*ისტორიის გეოგრაფიული ღერძი*“. აგრეთვე ამერიკელი გეოპოლიტიკოსის ალფრედ მეჰენის ნაშრომები: „*საზღვაო ძალები ისტორიაში (1660-1783)*“ გამოქვეყნებული 1890 წელს და 1892 წელს გამოცემული „*საზღვაო ძალის გავლენა საფრანგეთის რევოლუციასა და იმპერიაზე*“.

სწორედ გეოპოლიტიკურ თეორიათა ჭრილში გვსურს განვიხილოთ ზოგიერთი პროცესი, რომელსაც ადგილი ჰქონდა XVIII საუკუნეში. ამ პერიოდში კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში გადაიკვეთა სამი უძლიერესი სახელმწიფოს – ირანის, თურქეთისა და რუსეთის ინტერესები. რა თქმა უნდა, რუსეთის გამოჩენა მწვავედ იქნა აღქმული, როგორც ირანის, ასევე თურქეთის მიერ, რომელთაც განაწილებული ჰქონდათ რეგიონში გავლენის სფეროები. ამ სამი სახელმწიფოს დაპირისპირების ეპიცენტრში აღმოჩნდა საქართველო.

1713 წელს საფრანგეთში დიპლომატიური მისიით გაემგზავრა სულხან-საბა ორბელიანი. მიუხედავად მისი ყოველმხრივი

და გულმოდგინე მცდელობისა, ეს მისია წარუმატებლად დამთავრდა. რაში მდგომარეობდა ძირითადი მიზეზი წარუმატებლობისა? უმთავრესი, ეს იყო შექმნილი რეალობის გაუთვალისწინებლობა. იმ პერიოდში საქართველო ევროპისათვის აღარ წარმოადგენდა სტრატეგიულ ინტერესთა ობიექტს. 1919 წელს გამოცემულ ნაშრომში „*დემოკრატიული იდეალები და რეალობა*“, ჰელფორდ მაკინდერი აღნიშნავდა: „იმ მომენტიდან, როდესაც 1453 წელს ქალაქი კონსტანტინოპოლი გადავიდა თურქების ხელში, შავი ზღვა ჩაიკეტა ვენეციელი და გენუელი მეზღვაურებისათვის“.¹

პირველი ქართველი მეცნიერი, ვინც გაამახვილა ყურადღება კონსტანტინოპოლისა და ბიზანტიის იმპერიის დაცემის გეოპოლიტიკურ ასპექტებზე, იყო ზურაბ ავალიშვილი. ის აღნიშნავდა: „1453 წელს სამუდამოდ გადაღობეს გზა, მიმავალი საქართველოდან ერთმორწმუნე ბიზანტიაში, იქიდან კი მთელ ქრისტიანულ ევროპაში. საქართველო დარჩა აზიაში მარტო, უსაზღვროდ ძლიერი, დაუნდობელი, ფანატიკოსი მტრის წინაშე“.²

საქართველო აღმოჩნდა მაჰმადიანურ გარემოცვაში – მოწყვეტილი ქრისტიანულ სამყაროს, სრულ იზოლაციაში. უმნიშვნელოვანესი სავაჭრო გზები აღარ გადიოდა საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაზე. „*აბრეშუმის დიდი გზის*“ იმ განშტოებამ, რომელიც საქართველოზე გადიოდა, არსებობა შეწყვიტა. კონსტანტინოპოლის დაცემამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა ისტორიული და პოლიტიკური პროცესების განვითარება. XV ს. ბოლოს განხორციელებულმა უდიდესმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა, კერძოდ, ვასკო და გამას მიერ 1498 წ. ინდოეთისკენ მიმავალი საზღვაო გზის აღმოჩენამ, განაპირობა სავაჭრო გზების ზღვაზე გადანაცვლება.

ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, რთულდებოდა სრულყოფილი საგარეო პოლიტიკის წარმოება, რასაც ამავე დროს თან დაერთო XV საუკუნის ბოლოდან საქართველოს დანაწევრება-დაქუცმაცება და მრავალი სხვა ობიექტური, მაგრამ უმეტესწი-

¹ **H. I. Mackinder.** Democratic Ideals and Reality. New York, Pelican Books, 1944, გვ. 4 (*“From the moment that city Constantinople fell into Turkish hands in 1453, the Black sea closed to the Venetian and Genoese Seaman”*).

² **З. Авалов.** Присоединение Грузии к России. СПб., 1901, გვ. 13.

ლად მაინც სუბიექტური მიზეზი და გარემოება. XVIII საუკუნის დასაწყისში, საფრანგეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესთა ვექტორი ირანის ბაზრის ათვისებისაკენ იყო მიმართული. 1708 წელს მოხდა ირან-საფრანგეთის სავაჭრო ხელშეკრულების რატიფიცირება. ამ ფაქტიდან გამომდინარე, საფრანგეთის მხრიდან ქართლის სამეფოსთვის რაიმე ქმედითი დახმარების აღმოჩენა ნაკლებად მოსალოდნელი იყო.

ევროპაში განცდილმა წარუმატებლობამ ვახტანგ VI-ის ყურადღება ჩრდილოეთისკენ, ერთმორწმუნე რუსეთისკენ მიაპყრო. რუსეთის, როგორც ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბება, XIV-XV საუკუნეებში მოხდა. ამ პროცესის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდა ივანე IV (მრისხანეს) დროს რუსეთის სახელმწიფოს მიერ თავისი საზღვრების გაფართოება. ამავე პერიოდში გამოიკვეთა რუსეთის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მიმართულებების ზოგადი კონტურები. ამ კონტურების მონახაზში მოხვდა კავკასია. ივანე IV ცდილობდა შეექმნა სავაჭრო-სატრანზიტო გზა და დაეკავშირებინა ერთმანეთთან ბალტიისა და კასპიის ზღვები, რის მეშვეობითაც რუსეთი შეძლებდა ინდოეთთან სავაჭრო ურთიერთობას. 1557 წელს ასტრახანის აღებიდან ერთი წლის შემდგომ და ერთი წლით ადრე ნარვის აღებამდე, ივანე IV მრისხანე წერს პროექტს რუსული ვაჭრობის განვითარების შესახებ.

ამ დოკუმენტის თანახმად, შვედეთსა და რუსეთს შორის მყარდებოდა თავისუფალი ვაჭრობა და შვედ ვაჭრებს ეძლეოდათ გასასვლელი აზიის სავაჭრო ქალაქებზე: „შვედმა ვაჭრებმა კი ამიტომაც დიდი ხელმწიფის, რუსეთის მეფის მამულში, დიდ ნოვგოროდში, მოსკოვთანაც, ყაზანშიც და ასტრახანშიც იმგზავრონ თავისუფლად სავაჭროდ; რომელ შვედ ხალხსაც მოუნდებათ დიდი მეფის მამულის გავლით შამახაში, თავრიზში, ბუხარაში, ინდოეთში, ლიტვაში და ცარგრადში (სტამბული – კონსტანტინოპოლი – ა.წ.) წასვლა და სხვა სახელმწიფოებში, ვისაც სადაც მოუნდებათ წავიდნენ, მას ნება ჰქონდეს“.³

³ *Хрестоматия по истории средних веков*, т.3. М., 1950, გვ. 315.

ივანე IV-ის პროექტში გარკვეულწილად შეინიშნება გეოპოლიტიკური ასპექტები. თუკი კოლუმბის და ვასკო და გამას მოგზაურობები იყო გლობალური მნიშვნელობის, გლობალური თვალსაზრისით არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ტვერელი ვაჭრის ათანასე ნიკიტინის მოგზაურობა ინდოეთში, რასაც მან მიუძღვნა წიგნი „*მოგზაურობა სამ ზღვას იქით*“: 1466-1475 წლებში მან იმოგზაურა ინდოეთში. ყურადღებას გავამახვილებთ მის მოგზაურობის მარშრუტზე, ვინაიდან ვფიქრობთ, რომ სწორედ იმ ინფორმაციამ, რომელიც მოცემულია ნიკიტინის წიგნში, შეუქმნა რუს მმართველებს მკაფიო წარმოდგენა იმ პერიოდში რეგიონის გეოპოლიტიკურ კონფიგურაციაზე და არეალზე, რომლის ათვისებას ისინი შეუდგნენ ივანე IV დროიდან. ინდოეთისკენ მიმავალმა ნიკიტინმა გაიარა ვოლგა, გავიდა კასპიის ზღვაში, გაიარა დარუბანდი, ბაქო, ჩავიდა სპარსეთში, ქ. ფორმუზიდან არაბეთის ზღვის გავლით 1471 წელს ჩავიდა ინდოეთში, სადაც 4 წელი დაჰყო. უკანა გზაზე ის წამოვიდა შემდეგი გზით: გაიარა სპარსეთი, ჩავიდა ტრაპიზონში, გადასერა შავი ზღვა და ჩავიდა კავში (ახლანდ. ფეოდოსია).

რუსეთი მიზანმიმართულად მოიწვედა კავკასიისაკენ, მაგრამ მის უმთავრეს მიზანს იმ დროისათვის (XVII-XVIII საუკუნეების ზღურბლზე), ივანე IV-ის აუხდენელი ოცნება – ბალტიის ზღვაზე გასასვლელის მოპოვება წარმოადგენდა. პეტრე I მკაფიოდ ათვისებდა რუსეთისათვის ზღვებზე გასასვლელის მოპოვების აუცილებლობას. ეს შესაძლებელი გახდა XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, პეტრე I დროს. ამ მიზნის განხორციელებისთანავე რუსეთმა მზერა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მეორე მიმართულებისაკენ – კავკასიისაკენ მომართა. პეტრე I-ის დროიდან მოყოლებული რუსეთი შეეცადა ორი ძალის შერწყმას, რომელიც გეოპოლიტიკაში თალასოკრატიის (საზღვაო მმართველობა) და თელუროკრატიის (სახმელეთო მმართველობა) სახელწოდებითაა ცნობილი.

მართალია, იმ პერიოდში არ არსებობდა მკაფიოდ ჩამოყალიბებული გეოპოლიტიკური დოქტრინები, მაგრამ რუსეთის მმართველი წრეები ნათლად ათვისებდნენ იმ არეალის

სრულად ათვისების აუცილებლობას, რაც დღესდღეობით ცნობილია „ჰარტლანდ“-ის სახელწოდებით; განსაკუთრებით მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის – კავკასიის მიმართულებისა.

გეოპოლიტიკის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, ჰელფორდ მაკინდერმა წამოაყენა და განავითარა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოსთვის ყველაზე ხელსაყრელ, მომგებიან გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას წარმოადგენს ცენტრალური. მისი აზრით, მსოფლიოს ცენტრში მდებარეობს ევრაზიის კონტინენტი, მის ცენტრში კი „მსოფლიოს გული“, ანუ „ჰარტლანდ“-ი. ჰარტლანდი ეს არის ევრაზიის კონტინენტალურ მასათა თავმოყრა. მაკინდერი მიიჩნევდა მას ყველაზე უფრო ხელსაყრელ პლაცდარმად მთელი მსოფლიოს კონტროლისათვის⁴.

მაკინდერი ზემოთ დასახელებულ ნაშრომში აღნიშნავდა: „ის, ვინც აკონტროლებს აღმოსავლეთ ევროპას, ბატონობს ჰარტლანდზე, ბატონობს მსოფლიო კუნძულზე, ის, ვინც ბატონობს მსოფლიო კუნძულზე, ბატონობს მსოფლიოზე“.⁵ რუსეთის, როგორც იმპერიის ჩამოყალიბება გადამწყვეტ ფაზაში, XVIII საუკუნეში შევიდა და ის ნათლად ათვისებულად ტერიტორიული არეალის გაფართოების აუცილებლობას. ამასთან დაკავშირებით ი. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „რუსეთს სპარსეთში განსაკუთრებით ეკონომიური ინტერესები ჰქონდა. პეტრე დიდს უნდოდა, რომ სპარსეთის ვაჭრობა რუს ვაჭრებს ჩაეგდოთ ხელში და მთელი აბრეშუმი სპარსეთითგან რუსეთში ყოფილიყო შეტანილი“.⁶

თუმცა ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები მეტწილად იმდენად არის გადაკვეთილი ერთმანეთთან, რომ მათ შორის ზღვრის გავლება რთულია. კავკასიის რეგიონზე კონტროლის ხელში ჩაგდება რუსეთი ვარაუდობდა ინდოეთზე გასასვლელის მოპოვებას. ის ნათლად აცნობიერებდა, რომ ამ მიზნის

⁴ **А. Дугин.** Основы Геополитики. М., 1999, გვ. 44.

⁵ მითითებულია: **ა. დუგინი.** გეოპოლიტიკის საფუძვლები. თბ., 1999, გვ. 44.

⁶ **ი. ჯავახიშვილი.** დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში. – *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტ. XII. თბ., 1998, გვ. 401.

განხორციელებაში მას სერიოზული წინააღმდეგობები შეხვდებოდა ირანისა და ოსმალეთის მხრიდან. რუსეთისათვის საჭირო იყო რეგიონში დასაყრდენის მოპოვება – პარტნიორი ქვეყანა, რომლის მეშვეობითაც ის შეძლებდა თავისი ინტერესების განხორციელებას. ასეთ პარტნიორად მას საქართველო ესახებოდა.

პეტრე I-მა ზუსტად გათვალა და ხელსაყრელი დრო და ვითარება შეარჩია ვახტანგ VI-თან მოლაპარაკებების დასაწყებად. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ეს მოხდა 1715 წელს, მაშინ, როდესაც სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მისია საფრანგეთში წარუმატებლად დათავრდა. ცხადია, ამ ფაქტით დათრგუნული ვახტანგ VI სიხარულით შეხვდებოდა რუსეთის მხრიდან მასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების სურვილს და მცდელობას. ამ პერიოდიდან მოყოლებული ვახტანგ VI-მ ორიენტაცია რუსეთზე აიღო.

კასპიისპირეთის სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით ლაშქრობის დასაწყებად, პეტრე I-ს საკმაოდ ხელსაყრელი პოლიტიკური ვითარება შერჩია. იმ დროისათვის ირანი ძალზედ დასუსტებული იყო. მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა 1722 წლის მარტში, როდესაც ავღანელებმა ალყა შემოარტყეს ისპაჰანს (რასაც შემდგომში ქალაქის აღება და სეფიანთა დინასტიის დამხობა მოჰყვა).

პეტრე I-ის კასპიისპირეთის ლაშქრობა საკმოდ ფართოდ არის გაშუქებული ქართულ ისტორიოგრაფიაში⁷. კასპიისპირეთის ლაშქრობის შედეგები მძიმე აღმოჩნდა საქართველოსათვის. თუმცა, გვსურს ყურადღება გავამახვილოთ ერთ მნიშვნელოვან ფაქტზე, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს კავკასიის რეგიონის გეოსტრატეგიულ მნიშვნელობას. ის, რომ 1715 წლისთვის კასპიისპირეთის ლაშქრობის განზრახვა მომწიფებული იყო, სადაოს არ წარმოადგენს⁸. პროფ. ვ. მაჭარაძე ვარაუდობს, რომ: „ყო-

⁷ ვ. მაჭარაძე. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. XVIII ს. I მეოთხედი. თბ., 1960; ი. ტაბაღუა. მასალები XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის. თბ., 1989.

⁸ П. Г. Бутков. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год. СПб., 1869, გვ. 5; ვ. მაჭარაძე. რუსეთ-საქართველოს., გვ. 57.

ველ შემთხვევაში, 1710 წლისათვის რუსეთში უკვე საბოლოოდ მომწიფდა კასპიისპირეთზე ლაშქრობის იდეა⁹. ეს ხდება მაშინ, როდესაც შვედეთთან ომში გამარჯვებამდე დარჩენილია 11 წელი. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს კავკასიის რეგიონის უდიდეს გეოსტრატეგიულ მნიშვნელობას. ჩვენი აზრით, კავკასიისადმი პეტრე I ინტერესი გამომდინარეობდა ივანე IV მრისხანეს პროექტიდან რუსული ვაჭრობის შესახებ.

XVIII საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისიდან განახლდა რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა. თეიმურაზ II 1760 წლის აპრილში გაემგზავრა რუსეთში დიპლომატიური მისიით, რომელიც უშედეგოდ დამთავრდა. თეიმურაზ II გარდაიცვალა რუსეთში 1762 წელს. იმ დროისათვის რუსეთის ინტერესებში არ შედიოდა საქართველოს გამო ოსმალეთთან და სპარსეთთან ურთიერთობის გაფუჭება.

1768 წელს, როდესაც ოსმალეთმა რუსეთს ომი გამოუცხადა, ამ უკანასკნელს გაახსენდა საქართველოს არსებობა¹⁰. რუსეთმა მოახერხა, მოეპოვებინა იმერეთის მეფე სოლომონ I-ის მხარდაჭერა, რომელმაც, თავის მხრივ, დაითანხმა ერეკლე II, საომარი მოქმედებები ეწარმოებინათ ოსმალეთის წინააღმდეგ. ისინი დათანხმდნენ იმ პირობით, რომ რუსეთი გამოგზავნიდა საქართველოში საკმაო რაოდენობით ჯარს. ქართველმა პოლიტიკურმა ლიდერებმა წამოიწყეს საომარი მოქმედები ოსმალეთის წინააღმდეგ. ქართული მხარისათვის არანაირად მომგებიანი არ იყო ამ ომში მონაწილეობა. მოვლენათა ანალიზი ნათლად ადასტურებს, რომ რუსეთს ქართველების მხარდაჭერა ამ ომში სჭირდებოდა მხოლოდ იმისთვის, რომ ოსმალეთი იძულებული ყოფილიყო, საკმაო რაოდენობის ჯარი ჰყოლოდა განლაგებული საქართველო-ოსმალეთის საზღვარზე. შემდგომში, 1772 წელს რუსეთის ჯარმა საქართველო დატოვა.

მიუხედავად იმ მკაფიო მაგალითებისა, როდესაც ქართველ მეფეებს საშუალება მიეცა, დარწმუნებულიყვნენ რუსეთის „მეგობ-

⁹ ვ. მაჭარაძე. რუსეთ-საქართველოს., გვ. 56.

¹⁰ Е. Г. Вейденбаум. Кавказские этюды. Тифлиси, 1901, გვ. 147.

რულ“ და „უანგარო“ ზრახვებში, ისინი იმედს მაინც მასზე ამყარებდნენ. 1783 წელს რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის ხელმოწერილ იქნა გეორგიევსკის ტრაქტატი (შემდგომში ანალოგიური ხელშეკრულება დაიდო რუსეთსა და იმერეთის სამეფოს შორის). ამ ხელშეკრულებით რუსეთი იღებდა ვალდებულებას, ომის შემთხვევაში სამხედრო დახმარება აღმოეჩინა ქართლ-კახეთის მეფისათვის, რომელიც ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას საშინაო საქმეებში. რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, იგი რუსეთთან შეთანხმებული უნდა ყოფილიყო. სამეფო ტახტის მემკვიდრის უფლებამოსილებას რუსეთის იმპერატორი ადასტურებდა.

ყურადღება გვსურს, გავამახვილოთ რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტზე, რომელიც ვფიქრობთ, ნათელს მოჰფენს რუსეთის ზრახვებს საქართველოს მიმართ. ჩვენი აზრით, საქართველოს შემოერთების საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო ტრაქტატის ხელმოწერამდე გაცილებით ადრე. რუსეთს 1780 წლისათვის უკვე გააჩნდა მკაფიო გეოსტრატეგიული დოქტრინა „საბერძნეთის პროექტი“-ს სახელწოდებით. ფაქტობრივად, ეს იყო ერთ-ერთი პირველი პროექტი, რომელშიც უდიდესი ყურადღება ენიჭებოდა გეოცივილიზაციურ ფაქტორებს, რაც ითვალისწინებდა თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში მის მიერ დაპყრობილი კავკასიელი და ბალკანელი ხალხების ჩართვას.

როგორც ცნობილია, გაშლილი სახით „საბერძნეთის პროექტი“ გადმოცემულ იქნა ეკატერინეს მიერ 1782 წლის 10/21 სექტემბრის წერილში ავსტრიის იმპერატორ იოსებ II-ისადმი. რამდენიმე ხნით ადრე, დაახლოებით 1780 წელს, ის დაფიქსირდა ა. ა. ბეზბოროდკოს მემორანდუმში, რომელიც შესაძლოა განკუთვნილი იყო ორი იმპერატორის მოგილიოვში შეხვედრისათვის. თუმცა აშკარაა, რომ 1779 წელს, დიდი თავადის – კონსტანტინე პავლეს ძის დაბადების დროისათვის ის უკვე არსებობდა საკმაოდ გაშლილი სახით. თვით უფლისწულისათვის სახელის შერჩევა, მისი ქვეყნად მოვლინების აღსანიშნავად გამოშვებული სამახსოვრო მედალი ანტიკური ფიგურებითა და წარწერით „უკან ბიზანტიაში“, საკმაოდ მკაფიოდ ადასტურებდნენ ეკატერინე II-ის

განზრახვას¹¹.

თუმცა ეკატერინე II-ის მიმოწერა ვოლტერთან გვაფიქრებინებს, რომ ამ პროექტის ძირითადი პუნქტები რუსეთ-თურქეთის ომის (1768-1772) დაწყების პერიოდისთვის უკვე გამოკვეთილი იყო. ვოლტერი რჩევებს აძლევდა ეკატერინეს და ის, თავის მხრივ, ცდილობდა მიმდინარე ომის ყველა საკითხთან დაკავშირებით საქმის კურსში ჰყოლოდა იგი. 1768 წლის 15 ნოემბრით დათარიღებულ წერილში ვოლტერი ეკატერინეს წერდა: „თუკი ისინი (თურქები – ა.წ.) თქვენ, ყოვლადმოწყალეო ხელმწიფევ, გამოგიცხადებენ ომს, მაშინ ამან ადვილად შეიძლება მიიყვანოს ისინი იქამდე, რაც მათზე მსჯელობისას პეტრე დიდს ჰქონდა მხედველობაში, რომ კონსტანტინოპოლი გაეხადა იმპერიის დედაქალაქი. ... როგორც კი თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობა ინებებს, დააწესოს თავისი ყოფნა კონსტანტინოპოლში, გთხოვთ, ნება დამართოთ, ჩამოვიდე იქ, ვემთხვიო თქვენს ფეხებს და გავატარო რამდენიმე დღე თქვენი სასახლის კარზე, ვინაიდან მე უეჭველად მჯერა, რომ თუკი ოდესმე თურქეთი უნდა იყოს გაძევებული ევროპიდან, ეს უსათუოდ რუსების მიერ აღესრულება“.¹²

როგორც ცნობილია, ვოლტერი მუშაობდა პეტრე I-ის ეპოქის რუსეთის ისტორიაზე. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ თავდაპირველად თავისი სახელმწიფოს გაფართოება პეტრე I-მა სამხრეთის მიმართულებით სცადა, როდესაც მან გადაწყვიტა შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვება. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ცნობილი იყო ვოლტერისათვის, რომელმაც ეკატერინეს თხოვნით დაწერა „რუსეთის იმპერიის ისტორია პეტრე დიდის მეფობის დროს“.¹³

წერილებში საუბარია საქართველოს შესახებაც. 1770 წლის 2 იანვარს ვოლტერი წერს ეკატერინეს: „...მოელიან ქართველების

¹¹ **А. Зорин.** Русская ода конца 1760-х – начала 1770-х годов. Вольтер и „Греческий проект“ Екатерины II. – <http://magazines.russ.ru/nlo/1997/24/> – Журнальный зал „НЛО“, 1997, №24; *Очерки истории СССР.* Под. ред. **А. И. Барановича.** М., 1956, გვ. 366-367.

¹² *Философская и политическая переписка императрицы Екатерины Второй с Г. Вольтером продолжавшаяся с 1763 по 1778 г.* СПб., 1802, გვ. 50-51.

¹³ **Вольтер.** История Российской империи в царствование Петра Великого. СПб., 1809.

მანიფესტს, სადაც ისინი კატეგორიულად აცხადებენ, რომ აღარ სურთ უგზავნონ მუსტაფას თავისი ქალწულები. გულით მწადიან, რომ ეს მართალი გამოდგებოდეს და ყველა მათი მშვენიერი ქალწული თქვენი მამაცი ოფიცრების ხელში გადავიდოდეს: მათ ისინი სავსებით დაიმსახურეს. სილამაზე ჯილდოდ უნდა ექმნეს ვაჟკაცობას“.¹⁴

ვოლტერისა და ეკატერინეს წერილებში განხილულია საქართველოს მონაწილეობა რუსეთ-თურქეთის ომში¹⁵, თუმცა კვლავ გვინდა დავუბრუნდეთ გეოპოლიტიკურ ასპექტებს, რომელიც მოხანს ეკატერინესა და ვოლტერის მიმოწერაში. ვოლტერი უწონებს ეკატერინეს ღუნაის, კავკასიის და ეგეოსის ზღვიდან თურქეთზე შეტევის გადაწყვეტილებას. ამავე დროს, ყურადღება გვსურს გავამახვილოთ 1770 წლის 18 მაისით დათარიღებულ წერილზე: „თუკი ეს მართალია, რომ ეგვიპტემ ჩამოიგდო მუსტაფას უღელი, მაშინ მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენს უდიდებულესობას მონაწილეობა ჰქონდა ამ რევოლუციაში. მან, რომელმაც შეძლო გაეგზავნა ფლოტი ნევის ნაპირებიდან პელოპონესთან, ადვილად შეძლებდა გაეგზავნა პირამიდების ქვეყანაში მოლაპარაკებებში დაოსტატებული ადამიანი. შავი ზღვა დაფარული უნდა იყოს თქვენი თოლიებით, მაშინ სტამბულში შეუძლებელი იქნება საკვები მარაგის მიღება ვერც ეგვიპტიდან, ვერც საბერძნეთიდან, ვერც ალჟირიდან. თქვენ დააბიჯებთ ამ უდიდეს იმპერიას კოლხეთიდან მემფისამდე. ეს ჩემი მოსაზრებაა, მაგრამ ის შეუდარებლად მცირეა მასზე, რაც თქვენმა უდიდებულესობამ ამ დრომდე აწარმოა“.¹⁶

ამ წერილიდან ცხადია, რომ ვოლტერი სთავაზობდა რუსეთს საზღვაო და სახმელეთო ხაზებიდან (ყველა მიმართულებით) თურქეთის ბლოკირებას. რაშიც მკაფიოდ ჩანს „*ანაკონდას პრინციპი*“-ს ელემენტები, რომელიც გამოიყენა პირველად გენერალმა მაკკელელანმა ჩრდილოეთ-სამხრეთი ომის დროს და პლა-

¹⁴ ლ. ასათიანი. ვოლტერიანობა საქართველოში. თბ., 1933, გვ. 33-34; ასევე იხ.: *Философская и...*, გვ. 50-51.

¹⁵ *Философская и...*, გვ. 63, 66, 72, 105-106; ასევე იხ.: ლ. ასათიანი. ვოლტერიანობა..., გვ. 32-37.

¹⁶ *Философская и...*, გვ. 84.

ნეტარულ დონეზე გადაიყვანა ალფრედ მეჰენმა. ეგვიპტის მოკავშირეობა კიდევ ერთი ფაქტორის გამო იქნებოდა მომგებიანი რუსეთისათვის – მას გაეხსნებოდა უმოკლესი გზა ინდოეთისაკენ. მოგვიანებით ასეთი სახის გეგმის განხორციელებას შეეცადა ნაპოლეონი (ეგვიპტის ექსპედიცია – 1798-1801წწ.).

„საბერძნეთის პროექტთან“ დაკავშირებით ისმის კითხვა, ნუთუ მის შესახებ არაფერი იყო ცნობილი ქართული პოლიტიკური ელიტისათვის, თუნდაც იმ წარჩინებულთათვის მაინც, რომელნიც რუსეთში ცხოვრობდნენ 1723 წლის შემდგომ. ვიბორგის ციხეში პატიმრობაში მყოფი ქართველი თავადი ალექსანდრე ამილახვარი ეკატერინე II-ისადმი გაგზავნილ წერილში (დათარიღებულია 1792 წლის 17 ნოემბრით), აღწერს რა იმ მძიმე პირობებს, რომელშიც ის იმყოფება, აღნიშნავს: „...*დიდებულო მონარქინა, გაბედულად მოგახსენებ, რომ ჩემი თავისუფლება და მეგობრობა უფრო სასარგებლო იქნებოდა თქვენი სახელმწიფოსათვის, ვიდრე ჩემი ციხეში გამოძწყვლევა და ასე სასტიკად მოპყრობა. მგონია, რომ ჩემს თანამემამულეთა შორის მხოლოდ მე დავბადებულვარ ისეთი, რომელსაც სურს და შეუძლია კიდევ ხვთის წყალობით, შეუერთოს რუსეთს არა თუ თავისი ხალხი, არამედ ძველთაგანვე ჩვენდამი კუთვნილი ხალხებიც. აქედან გამომდინარე სარგებლობა ჯერ ყველას ვერ შეუგნია. თუ თქვენი იმპერატორობითი უმაღლესობა კეთილ ინებებს ჩემს მოსმენას, დაინახავს, სრულად აღვიღოს და ორივე მხრისთვის უფრო სასარგებლო პროექტს, ვიდრე ყველა დღემდე არსებული პროექტებია“.¹⁷*

სწორედ სიტყვა პროექტი ნახსენები ალექსანდრე ამილახვრის წერილში გვაფიქრებინებს იმას, რომ მისთვის ცნობილი იყო რუსეთის გეგმის შესახებ. ასევე შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა მის მიერ პოლიტიკური პროცესების განჭვრეტის უნარზე. ამავე დროს, მისთვის „საბერძნეთის პროექტი“-ს არსებობის შესახებ ცნობილი შეიძლება გამხდარიყო მისი მეგობრის, მიხეილ ვასილის ძე დანილოვისგან (1722-1790), რომელიც იყო გამომგონებელი არტილერიისა და პიროტექნიკის დარგში. საარტილერიო სასწავ-

¹⁷ პ. გელეიშვილი. XVIII საუკუნის ქართული ლიტერატურის მემკვიდრეობიდან. ალექსანდრე ამილახვარი. თბ., 1936, გვ. 148-149.

ლებლის დამთავრების შემდეგ (1743) მონაწილეობდა სასახლის კარის დღესასწაულებისა და ილუმინაციების მოწყობაში¹⁸.

ალ. ამილახვარი პრაქტიკულად პირველი ქართველი მოაზროვნეა ვინც საქართველოს გარშემო მიმდინარე მწვავე პროცესებს, რუსეთის მიერ მის შეერთებას პოლიტიკური ინტერესით და გეოპოლიტიკური ფაქტორებით ხსნის (პიესა „მოქმედება ასტრახანში“ 1802 წელი). „რუსებს ურჩია (პოლიტიკამ – ა.წ.) მიეღოთ ერეკლე: მე კი, რაც უნდა დაჯდომოდათ, უნდა დავეჭვირეთ, რისთვისაც მან იმათ ოქროს მთები აღუთქვა, მათ არა მარტო საქართველო მისი ოქროს მადნებით, არამედ საქართველოს მეშვეობით თვით თურქების ევროპიდან განდევნა და ირანის, რომელიც იმ დროს აღრეულობაში იყო, სრულიად დაპყრობას დაპირდა, იქამდე მივიდა, რომ რუსეთს შთააგონა მსოფლიო მონარქიის იდეა“. იქვე აღუქსანდრე ამილახვარი აღნიშნავდა: „პოლიტიკა მაშინვე როდი იძლევა სარგებელს. ის სარგებელის მიღებას პირდება ხოლმე რამდენიმე საუკუნის შემდეგ“.¹⁹

რთულია არ დავეთანხმოთ მის ამ სიტყვებს, რომელსაც უფრო მეტად ამყარებს ზურაბ ავალიშვილის მოსაზრება ამავე საკითხთან დაკავშირებით: „საქართველოს შეერთება რუსეთთან იყო უპირველესი მნიშვნელობის მქონე მოვლენა. სწორედ ამ შეერთების დროიდან დგება რუსეთი გზაზე, რომელმაც შესაძლოა მიიყვანოს ის სპარსეთის ყურის ნაპირებთან. მომავალი ყოველთვის სათუთა, მაგრამ საკმარისია შესაძლებლობა ასეთი მომავლისა, საკმარისია იმის ფლობა, რაც რუსეთს აქვს კავკასიის იქით, რომ ვხედავდეთ მოვლენის მთელ მნიშვნელობას, რომლითაც კერძოდ იწყება რუსეთის სამფლობელოების გაფართოება აზიის ამ ნაწილში“.²⁰

შემდგომ პერიოდში, XIX საუკუნის განმავლობაში რუსეთმა შეძლო პოზიციების კიდევ უფრო მეტად გამყარება კავკასიაში და ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. ამავე დროს, საქართველოს შეერთებამ მას შესაძლებლობა მისცა, მარყუჟში მოექცია და დაემყარებინა თავისი მმართველობა ჩრდილოეთ კავკასიაში.

¹⁸ М. А. Данилов. Записки. М., 1842, გვ. 3.

¹⁹ პ. გელეიშვილი. XVIII საუკუნის..., გვ. 168-169.

²⁰ З. Авалов. Присоединение..., გვ. I.

АЛЕКСАНДР Н. ЦУРЦУМИЯ

ИСТОКИ ГЕОСТРАТЕГИИ РОССИИ НА КАВКАЗЕ

Формирование России как централизованного государства произошло в XIV-XV веках. Логическим продолжением этого процесса явилось начало расширения Российским государством во время Ивана IV (Грозного) своих границ и того геополитического пространства, которое на сегодняшний день известно под названием “heartland”. В этот же период проявились общие контуры стратегически важных для России направлений. В очертание этих контуров попал Кавказ. Во время Петра I Россия не смогла укрепить позиции на Кавказе. Это стало возможным во время Екатерины II. К этому периоду, к 1780 году уже существовал выработанный в российских правительственных кругах „Греческий Проект“, который подразумевал участие против Турции порабощенных ею народов Кавказа и Балкан на стороне России. Однако, переписка Екатерины II с Вольтером дает нам возможность думать, что предварительные разработки уже существовали к 1768 году.

ALEXANDRE TSURTSUMIA

**ORIGINS OF GEOSTRATEGY OF RUSSIA IN THE
CAUCASUS**

Russia, as a centralized state was formed in the XIV-XV centuries. A logical continuation of this process was the extension of the borders of the geopolitical space known today as “heartland” by the Russian state in the times of Ivan IV (Ivan the Terrible). It was in the same period that the general contours of the directions strategically important to Russia were determined. The outline of those contours included Caucasus. During the reign of Peter I, Russia failed to strengthen its positions in Caucasus, and succeeded in it only during the reign of Catherine II. By that time, in 1780, Russia already had the “Greece Project” developed by the governmental circles. The Project envisaged the engagement of the Caucasian and Balkan peoples, enslaved by the Turks, on the Russian side against Turkey. However, Catherine’s correspondence with Voltaire enables us to suppose that the outline of the Project existed as far back as in 1768.

გაჟა ჯაფია

სამმართველო მოღვაწეობის სტადიები

სახელმწიფო მართვის სისტემაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს სამმართველო მოღვაწეობის სტადიებს. სამმართველო მოღვაწეობა ხორციელდება გარკვეული თანმიმდევრობით, სადაც შენარჩუნებულია ლოგიკური კავშირი სტადიებს შორის და ყალიბდება სამმართველო მოღვაწეობის ერთიანი პროცესი. სპეციალურ ლიტერატურაში განსხვავებულად და მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი ეს პროცესი. ჩვენი აზრით, შეიძლება გამოვყოთ შემდეგი სტადიები: 1) სამმართველო სიტუაციის ანალიზი და შეფასება; 2) სამმართველო გადაწყვეტილების შემუშავება და მიღება; 3) შესაბამისი სამართლებრივი და ორგანიზაციული ღონისძიების შემუშავება, განხილვა და მიღება; 4) მიღებული გადაწყვეტილების შესრულების ორგანიზაცია; 5) შესრულებაზე კონტროლი და ოპერატიული ინფორმირება; 6) ჩატარებული სამმართველო მოღვაწეობის განზოგადება და ახალი სამმართველო სიტუაციის შეფასება.

პირველ სტადიაზე უმთავრესია სამმართველო ობიექტების ცოდნა, მათი კანონზომიერებებისა და ორგანიზაციული ფორმების შემეცნება, კომპლექსური და სისტემური მიდგომა, ვინაიდან საჭიროა ვიცოდეთ სამმართველო ობიექტები მრავალფეროვნებაში, ერთობლიობაში და ურთიერთდამოკიდებულებაში. გარდა ამისა, ეს ობიექტები ყოველთვის წარმოადგენენ დიდი და რთული სისტემების ნაწილს¹. მეორე სტადიაზე განისაზღვრება, თუ როგორია სამმართველო სიტუაცია, მისი არსი და როგორ გადაწყვეტას მოითხოვს ის. გადაწყვეტილების მიღების პროცესი, წერდ-

¹ Г. Атаманчук. Теория государственного управления. М., 2004, гл. 253.

ნენ რ. სნაიდერი, ხ. ბრაკი და ბ. სეიპინი, არის პროცესი, რომლის შედეგია არჩევანი, შეზღუდული, პრობლემური, ალტერნატიული გეგმებიდან ერთი გეგმა, რომელიც გადაწყვეტილების მიმღების გათვალისწინებით მიზნად ისახავს საქმის ვითარების შეცვლას².

ამერიკელი მეცნიერები ასახელებენ სამმართველო გადაწყვეტილების ოთხ სახეს სამმართველო სიტუაციასთან დაკავშირებით: 1) სტანდარტული გადაწყვეტილება, რომლის მიღების დროს არსებობს ალტერნატივების ფიქსირებული ნაკრები; 2) ბინარული გადაწყვეტა („კი“ ან „არა“); 3) მრავალალტერნატიული გადაწყვეტა (ალტერნატივების ფართო სპექტრი); 4) ინოვაციური (ნოვატორული) გადაწყვეტილება, როცა საჭიროა მოქმედება, მაგრამ არ არსებობს მისაღები ალტერნატივები³.

ცნობილმა ამერიკელმა ფილოსოფოსმა ჯ. დიუიმ გადაწყვეტილების მიღების საჯარო პროცესი დაყო ხუთ თანმიმდევრულ ეტაპად. მისი აზრით, ეს პროცესი იწყება დაბნულობის შეგრძნებით, რომელსაც მოყვება პრობლემის ფორმულირება, შესაძლო გადაწყვეტილების განსაზღვრა, მათი შედეგების ანალიზი და არჩეული გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარება⁴. ჰაროლდ ლასუელის მიერ შემოთავაზებული პოლიტიკური კურსის ცნება ხასიათდება როგორც გადაწყვეტილების მიღების შემოქმედებითი პროცესი, რომელიც შედგება: რეკომენდაციების, მითითების, შესრულების მოწოდების, გამოყენებისა და დამთავრებისაგან⁵. გადაწყვეტილების თეორიის ზოგიერთი წარმომადგენელი იყენებს სისტემური თეორიის დებულებებს, განსაკუთრებით ისეთ ცნებებს, როგორცაა: „შესასვლელი“, „გარდაქმნა“, „გამოსასვლელი“⁶.

ლ. გოზმანი და ე. შესტოპალი გადაწყვეტილების მიღების პროცესს ყოფენ ოთხ ფაზად: 1) ფაქტების დადგენა; 2) ფაქტე-

² R. Snyder, H. Bruck, B. Sapin. The Decision-Making Approach. – *Die Lehre von den internationalen Beziehungen*. Darmstadt, 1969, გვ. 136-168.

³ Л. Планкетт, Г. Хейл. Выработка и принятие управленческих решений. М., 1984, გვ. 176.

⁴ J. Dewey. *The Middle Works*. Carbondale, 1978, გვ. 16.

⁵ H. Lasswell. *A Preview of Policy Sciences*. New York, 1971, გვ. 37.

⁶ D. Easton. *The Political System: An Inquiry into the State of Political System*. New York, 1965.

ბის შეფასება; 3) გადაწყვეტილების ძიება; 4) გადაწყვეტილების მიღება⁷.

პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესს მკვლევრები ჰყოფენ სამ ეტაპად: გადაწყვეტილების მიღების მოსამზადებელი ეტაპი; გადაწყვეტილების მიღების ეტაპი და გადაწყვეტილების რეალიზაციის ეტაპი⁸. სხვა სამმართველო გადაწყვეტილებებისაგან განსხვავებით პოლიტიკური გადაწყვეტილება მოიცავს ურთიერთობის სფეროს, რომელიც დაკავშირებულია ხელისუფლებასთან. მოცემული სტადიის უმთავრესი ამოცანაა – გადაწყვეტილების ოპტიმალური ვარიანტის მოძებნა, არჩევა.

მესამე სტადიაზე მნიშვნელოვანია ამ სტადიის მონაწილეების ურთიერთობას პლუს ხელმძღვანელი რგოლისა და ოპერატიულ-ადმინისტრაციული პერსონალის ურთიერთქმედება. იაპონიის სამმართველო პრაქტიკაში ფართოდ (94%) მოქმედებს გადაწყვეტილების მიღების სისტემა „რანგისეი“, რომელიც ითვალისწინებს მოსამზადებელი გადაწყვეტილების მრავალჯერად შეთანხმებას მართვის რამდენიმე დონეზე დაწყებული რიგითი თანამშრომლიდან დამთავრებული გადაწყვეტილების დამამტკიცებელი უმაღლესი ხელმძღვანელობით⁹. ამ სტადიაზე აუცილებელია აგრეთვე რესურსების გამოყოფა, შეზღუდვების გათვალისწინება, ვადების განსაზღვრა და ა.შ. მთავარია ორგანიზაციულ და სამართლებრივ დონისძიებებში მოვაქციოთ სამმართველო ზემოქმედებისათვის საჭირო პოტენციალი.

მნიშვნელოვანი სიძნელებები ყოველთვის უკავშირდება მეოთხე სტადიას, რომელიც გულისხმობს მიღებული გადაწყვეტილების შესრულების ორგანიზაციას. ის მოიცავს: გადაწყვეტილების დროულ გაფორმებას დოკუმენტის სახით და ყველა საჭირო რეკვიზიტით; გადაწყვეტილების შინაარსის ინფორმაციული გადაცემა შემსრულებლებამდე; გადაწყვეტილების შინაარსის ადეკვა-

⁷ **Л. Гозман, Э. Шестопап.** Политическая психология. Ростов-на-Дону, 1996, გვ. 219.

⁸ **В. Пугачев, А. Соловьев.** Введение в политологию. М., 1998, გვ. 392.

⁹ **Б. Мильнер, И. Олейник, С. Рогинко.** Японский парадокс. М., 1985, გვ. 20-21.

ტური გაგების უზრუნველყოფა; შემსრულებლების მიერ სამოქმედო გეგმის განხილვა და შეთანხმება; კონკრეტული მოქმედებების განხორციელება, რომელიც გამოიწვევს გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარებას. უნდა აღინიშნოს, რომ სამმართველო მოღვაწეობის ეს განმსაზღვრელი სტადია, სამწუხაროდ, ყველაზე ნაკლებადაა ათვისებული თეორიულად და პრაქტიკულად.

მეხუთე სტადიის მთავარი ამოცანაა ის, რომ კონტროლი და ინფორმირება უნდა მიმდინარეობდეს უწყვეტად, გადაწყვეტილების შესრულების დაწყების მომენტიდან.

საბასუხისმგებლოა მეექვსე სტადიაც. მისი განხორციელებისათვის მიზანშეწონილია განისაზღვროს: გადაწყვეტილების რეალიზაციის შედეგების შესაბამისობა იმ მიზნების, ამოცანების, დავალებების, დადგენილებებისადმი, რომლებიც მასში იყო ფორმულირებული. გადაწყვეტილების რეალიზაციის დროს იმ ფორმების, მეთოდების, საშუალებების, რესურსების რეალური გამოყენება, რომლებიც მასში იყო გათვალისწინებული; შემსრულებლების რეალური ქცევები და მოქმედებები, რომელთა წყალობით მიღებული იქნა შესაბამისი შედეგი. თითოეული მომენტისათვის საჭიროა სიმართლე და მხოლოდ სიმართლე, ვინაიდან ერთ რომელიმე რგოლში დამუშავებული შეცდომები თავს იჩენენ სხვაგან, სხვა რგოლში და ექნებათ მზარდი ალბათობა¹⁰. სამმართველო მოღვაწეობის სტადიების შესაძლებლობების სრული და სწორი გამოყენება ხელს უწყობს სახელმწიფო მართვის მიზნებისა და ფუნქციების ეფექტურ რეალიზაციას.

გარდამავალ პოლიტიკურ სისტემაში სამმართველო მოღვაწეობის სტადიების სრულყოფის მიზნით უნდა გაკითვალისწინოთ შემდეგი:

1. სამმართველო გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს თვითნებობა, თუმცა ის მიიღება და ხორციელდება კონკრეტული ადამიანების – პოლიტიკური პროცესის სუბიექტების მიერ, რომელთა მოღვაწეობა შეზღუდულია სხვადასხვა სახის რესურსით, გამოცდილებით, უნარით და ა.შ. პრობლემის მნიშვნელობის არსებობა სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მი-

¹⁰ Г. Атаманчук. Теория государственного управления..., გვ. 255.

სი გადაჭრის გზა წინასწარ განსაზღვრულია. ამასთან, მხედველობაში უნდა გვქონდეს ის, რომ არა ყოველი პრობლემური სიტუაცია მთავრდება გადაწყვეტილებით, არამედ მხოლოდ ის, სადაც შემუშავებულია ქცევის რამდენიმე ხაზი, წინააღმდეგ შემთხვევაში არჩევანი არ არსებობს;

2. გადაწყვეტილების შემუშავებისა და მიღების დროს უნდა გავითვალისწინოთ სოციალურ-ფსიქოლოგიური ხასიათის ფაქტორები: გადაწყვეტილების მიმღები პირის პირადი თვისებები, საზოგადოების განვითარების სოციალურ-ფსიქოლოგიური დონე, სამოქალაქო სამართალშეგნებისა და პოლიტიკური კულტურის დონე, საზოგადოების უნარი პოზიტიურად აღიქვას მოსალოდნელი სასარგებლო ცვლილებები;
3. სამმართველო გადაწყვეტილების მიღების დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მიზნის სწორ არჩევას, აგრეთვე ოპტიმალური გადაწყვეტილების არჩევას, რომელიც თავისი მაჩვენებლებითა და პარამეტრებით უფრო ეფექტური და მისაღებია სხვებთან შედარებით;
4. უმნიშვნელოვანესია სამმართველო გადაწყვეტილების რეალიზაციას არ მოყვეს არასასურველი შედეგები საზოგადოებისათვის. მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი ან საერთოდ გამოირიცხოს რისკები, რომლებიც წარმოიშობა მაშინ, როცა დასახული მიზნები არ შეესაბამება მათი რეალიზაციის რეალურ შესაძლებლობებს. არანაკლებ მნიშვნელოვანია მორალური ზიანი – როცა ხელისუფლება კარგავს ნდობას;
5. სახელმწიფო ორგანოები უნდა მუშაობდნენ კოორდინირებულად და არ უნდა იყოს წინააღმდეგობა და კონფლიქტები როგორც ცალკე აღებულ სამინისტროებსა და დეპარტამენტებს შიგნით, ისე სხვადასხვა სამინისტროებსა და დეპარტამენტებს შორის.
6. თავიდან უნდა ავიცილოთ კორუმპირებული სახელმწიფო ჩინოვნიკებისა და მაფიოზური კლანების შერწყმა, რათა მათ გავლენა არ მოახდინონ გადაწყვეტილების მიღებაზე, უფრო მეტიც, ხელში არ ჩაიგდონ სახელმწიფო მართვის ბერკეტები.

СТАДИИ УПРАВЛЕНЧЕСКОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ

Формы и методы управленческой деятельности применяются в определенной последовательности, цикличности, диктуемой интересами и целями подготовки, принятия и исполнения управленческих решений, проведения организационных мероприятий. Этапы управленческой деятельности со своим особым набором форм и методов именуется в научной литературе стадиями (циклами) управленческой деятельности. Сами стадии имеют логическую связь и образуют в совокупности известный кругооборот управленческих действий – единичный „виток“ управленческого процесса.

На наш взгляд, в управленческой деятельности можно выделить следующие стадии: 1) анализ и оценка управленческой ситуации; 2) разработка и принятие управленческих решений; 3) разработка, обсуждение и принятие соответствующих правовых и организационных мероприятий; 4) организация исполнения принятых решений; 5) контроль выполнения и оперативное информирование; 6) обобщение проведённой управленческой деятельности, оценка новой (результатирующей) управленческой ситуации.

Полное и умелое использование возможностей стадий управленческой деятельности способствует лучшей реализации целей и функций государственного управления, а также упорядочению вообще управленческой деятельности.

В переходной политической системе надо учитывать некоторые специфические особенности в стадиях управленческой деятельности.

THE STAGES OF THE ADMINISTRATIVE ACTIVITY

The forms and the methods of the administrative activity are used in the certain consecution and cyclic recurrence, dictated by the interests and goals of preparation, adoption and execution of the administrative decisions and realization of the managerial procedures. The phases of the administrative activity with the specific set of all forms and methods are called the stages (cycles) of the administrative activity in the scientific literature. The stages themselves have the logical connection and they form in the aggregate the known circulation of the administrative activities – the single circuit of the managerial process.

From our opinion, the following stages can be marked out in the administrative activity: 1) Analysis and evaluation of the administrative situation; 2) Elaboration and adoption of the managerial decisions; 3) Elaboration, discussion and adoption of the corresponding legal and managerial procedures; 4) Organization of the execution of the adopted decisions; 5) Control over execution and the on-line information; 6) Summarizing the executed administrative activity and evaluation of the new (resulting) managerial situation.

Complete and skilful usage of the possibilities of the administrative activity contributes to the better realization of the goals and functions of the government, and to the regulating the administrative activity on the whole.

In the transitional political system some specific features in the stages of the administrative activity have to be taken into consideration.

ГУРАМ Р. МАРХУЛИЯ

ПОНТО-КАВКАЗСКОЕ ПРОСТРАНСТВО И ИДЕЯ „ВЕЛИКОЙ АРМЕНИИ“

„История слишком серьезное
дело, чтобы доверять ее
армянским историкам.“

*Тигран
Саберийский*

На протяжении веков „духовные отцы“ армянского национализма лгали мировому сообществу, что некогда обладали территориями, омываемыми тремя морями и убеждали мир в том, что территории, на которые они претендуют – исконно армянские. С этой целью в историческую литературу были введены такие громкие понятия, как „Великая Армения“, „Турецкая Армения“, „Киллийская Армения“, „Западная Армения“, „Армянский вопрос“, „Армянское нагорье“, Армянское плоскогорье“, „Нор-Ахалцихе“, „Бакуракерт“¹ и пр.

Глобальные политические события конца XX века, связанные с распадом Советского Союза, не могли не привести к реанимации древнеармянской мечты. Армяно-азербайджанская война и оккупация Нагорно-Карабахской области – не что иное, как первый шаг к заветной цели создания „Великого армянского государства“. Окрыленные „успехами“ в Азербайджанском направлении руководители Армении обратили свои взоры к южным районам Грузии. Вскоре влиятельная армян-

¹ Г. Р. Мархулия. Административная политика Российской империи на Южном Кавказе и вопросы армяно-грузинского антагонизма. Тб., 2005, с. 39.

ская националистическая партия Дашнакцутюн, следуя заветной цели, организовала в Джавахети свои филиалы, которые получили названия „*Вирк*“ и „*Джавакх*“. На территорию Грузии проникли бойцы из террористических организаций „*ASALA*“ и „*Крунк*“, которые начали вести подготовку специализированных отрядов для будущей бури. Параллельно, армянское население Южной Грузии снабжают „научными трудами“ сомнительной ценности. В распространяемых работах идеологов „*Великой Армении*“ „утверждается“ право Армении на область Джавахети².

Одновременно, Южную Грузию охватила волна митингов, где дети многострадального гайканского народа со слезами на глазах вспоминали коварных грузин, которые заставляли их забыть свой язык, свои ветхие корни, их вдруг осенило, что живут не в Грузии, а на „территории исторической Армении“ и просили руководство Грузии предоставить им хотя бы автономию для защиты своих национальных интересов. Этот армянский манёвр был схожим с событиями, имевшими место в Ханкенди в феврале 1988 года³. Грузинская общественность недоумевала, а руководители страны стремились не обострять отношения с соседней Арменией. Из исторического прошлого хорошо известно, что если в Грузии что-нибудь плохо лежит, то обязательно становится армянским. Целые области в предыдущие века стали армянскими так, что ни следа не осталось от их грузинской принадлежности⁴.

Грузинская интеллигенция не сочла серьезным вступать в полемику с тачиками из палаты „*Великой Армении*“. Причины появления такой тенденции среди ученых метко охарактеризовал азербайджанский ученый Араз Гурбанов: „Если ... армянин будет утверждать, например, что Гавана (Havana) – столица Кубы – основана неким армянином, не спорьте и даже робко не высказывайте своих сомнений. Это также бесполезно,

² Г. Р. Мархулия. Армянский сепаратизм на Южном Кавказе. – „*Возрождение XXI век*“, №104-105, октябрь-ноябрь. Баку, 2006, с. 109.

³ Г. Р. Мархулия. Армянский сепаратизм на Южном Кавказе., с.110.

⁴ Г. Р. Мархулия. Административная политика Российской..., с. 41.

как пытаться играть симфоническую музыку на бубне: „Мудрец“ непременно вынет из Матенадаранского хранилища пожелтевший фолиант с круглой печатью, заверенный нотариальной конторой №3 города Еревана, где будет написано: „Я, Ованес (HOVANES) Акопович Мкртычан, армянин, уроженец древнего города Ленинакан, обходя в XIII веке от Рождества Христова владения „Великой Армении“ по туристическому маршруту „От моря до Моря“, ненароком причалил к историческому армянскому острову „Свобода“, где и основал город, нарекая его славным именем своим“.⁵

Тачики из палаты „Великой Армении“ сочли, что грузины склонили головы перед величием армянского интеллекта и в своих выступлениях потребовали от Грузии присоединения Джавахети к Армении. В политических и общественных кругах Грузии теперь ясно сознавали, что армянские умы готовятся к путешествию с Ереванской бухты до берегов Каспийского и Черного морей и, если шторм по пути им не помешает, попытаются причалить и к берегам Средиземного моря.

Грузинские ученые с несколько опозданием, но все же приступили к разоблачению армянских „мудрецов“. Вскоре в перёдической печати Грузии появились публикации по армянской проблеме, а также научные статьи и были выпущены даже целые монографии, одним словом, был дан достойный научный отпор всем армянским требованиям. К нашему удивлению армяне притихли, грузинская общественность имела наивность полагать, что армяне осознали свою ошибку, и этому вопросу положен конец. Однако, через некоторое время в армянских средствах массовой информации и в интернет-сайтах появились сногшибательные статьи и заявления армянских борзописцев.

Чтобы не быть голословными, приведем одну из них: „В связи с появлением в грузинской прессе череды материалов антиармянского характера, Совет Земляческого объединения „Трабзон-Ардвин-Батум“ обратился с заявлением, текст которого ИА REGNUM опубликовал без изменений:

⁵ А. Гурбанов. Сказки армянских мудрецов. Баку, 2005, с. 12.

Заявление Земляческого объединения „Трабзон-Ардвин-Батум“

В последнее время в средствах массовой информации Грузии идет „волна“ антиармянских статей, содержание и направленность которых концентрируется, в основном, вокруг тематики „неблагонадежной позиции“ армян Абхазии по отношению к Грузии в прошлом и настоящем. Не считая достойным для себя вдаваться в полемику по поводу выдвигаемых некоторыми грузинскими журналистами армянофобских рассуждений, тем не менее Земляческое объединение „Трабзон-Ардвин-Батум“ не может оставаться безучастным к некоторым тезисам, озвученным в указанных статьях, которые носят исключительно антиармянский характер и могут создать у непосвященного читателя абсолютно искаженное представление относительно прошлого и настоящего армян в Абхазии.

Красной нитью данных статей в печатных органах Грузии (например, статья „**Что задумала Армения против Грузии?**“ в газете „Ауси“, №36, 3-9 октября 2006г., или статья „**Хаджимба требует очистить Абхазию от армян**“ в газете „Ахали Таоба“) проводится мысль о враждебной роли армян в Абхазии по отношению к грузинам в период военных действий на территории самопровозглашенной республики в начале 1990-х годов, о „свокорыстной“ позиции армян Абхазии в отношении самих абхазов в настоящем, что выражается, в частности, в попытках армянского народа Абхазии „захватить участок Черноморского побережья, прилегающий к Абхазии“ и вообще „скупить“ всю Абхазию, после чего изгнать оттуда самих абхазов в силу своего значительного финансового и демографического потенциала.

В связи с этим Земляческое объединение „Трабзон-Ардвин-Батум“ заявляет:

1. Армянский народ является автохтонным этносом на территориях Понто-Кавказского региона, составляющей частью которого является Абхазия. Армяне Абхазии и в прошлом и в настоящем отличались принципиальными признаками ав-

тохтонного этноса, которые проявляются, в частности, в историчности проживания на данных территориях, в компактности расселения и значительном численном присутствии на данных территориях. Являясь автохтонным народом на исторических территориях своего расселения, армяне Абхазии в период военных действий начала 1990-х годов на территории бывшей Абхазской АССР с оружием в руках защищали свои права коренного этноса Абхазии. Представители армянского народа Абхазии воевали не против народа Грузии, они сражались против националистически настроенных военных и полувоенных формирований, образовавшихся на территории распавшейся Грузинской ССР, которые решили путем войны воспрепятствовать праву народа Абхазии определять свой политический статус самостоятельно.

2. Армяне Абхазии являются законопослушным, созидательным и преданным своей Родине народом. Понто-Кавказский регион – это часть тех территорий, на которых автохтонный армянский народ подвергся геноциду со стороны Турции в период конца XIX – первой трети XX веков. Историческая память армян диктует постоянное повышение своего политического, социального и экономического веса в самопровозглашенной республике, который бы с необходимостью сочетался с ведущей политической ролью титульного этноса республики (абхазов). Теми благоприятными признаками геополитического и геоэкономического характера, которыми располагает Абхазия (в частности, выход к морю) должны пользоваться все граждане республики. Историческая же память армян Абхазии, как и любого армянина, гражданином какой бы страны он ни был, и где бы он ни проживал, говорит об особых чувствах армян к своей исторической Родине – Армении. Поэтому любые инициативы армян Абхазии по увеличению своей роли в республике должны, кроме прочего, учитывать затруднительное транспортное положение Республики Армения, образовавшееся и нарастающее со стороны Азербайджана и Турции.

3. Политическое руководство Грузии должно осознать необходимость конструктивного диалога с армянским национа-

льным меньшинством на своей территории через построение, и эффективное развитие которого возможно, в частности, создать благоприятный политический имидж у армянского народа Абхазии, что, в свою очередь, может привести к формированию в лице армян Грузии и Абхазии того связующего звена, который окажется незаменимым ресурсом в абхазо-грузинском политическом урегулировании и взаимовыгодном экономическом сотрудничестве. Вышеуказанные откровенно антиармянские публикации в грузинских печатных органах с очевидностью не способствуют какому-либо урегулированию и сотрудничеству, а главное препятствуют цивилизованному и конструктивному межнациональному диалогу на территории Грузии. Они разжигают националистические чувства и при индифферентной, а тем более пособнической позиции грузинского руководства, могут загнать молодое грузинское государство в „лабиринт“ дальнейшего дробления, сепаратизации и развала“.⁶

Хоть плачь, хоть смейся, хоть стой, хоть падай. Кто этот народ, который так жаждет развала Грузии и доказывает автохтонность на всем пространстве Понто-Кавказского региона? Это – „его величество армянский народ“. „Гиганты армянской исторической и политической мысли“ доказывают, что те территории, которые ныне незаслуженно называются Грузией, Азербайджаном, Турцией. Ираном, Ираком, Сирией, Юго-Восточной Россией, являются территориями „Великой Армении“. Именно отсюда белокурые арийцы – протоармяне – распространялись по всему миру вплоть до Индии, до британских островов и даже до скандинавских стран“. Построение армянами модели Вселенной – Земля, Солнце, Луна и планеты вертятся вокруг единого центра – армянской цивилизации. Благодаря этому откровению армяне вывели, наконец, „плагиатора“ Коперника на чистую воду. А Святая инквизиция в свое время даже предлагала шарлатану Джордано Бруно альтернативный вариант: или он должен чистосердечно признать гениальность доисторических армянских звездочетов и то, что все свои до-

⁶ <http://www.regnum.ru/news/762989.html>.

казательства он черпал из их трудов, или неминуемая смертная казнь. Джордано, краснея от стыда, выбрал костер. Кстати, в архивах Ватикана сохранены стенографические отчеты суда над Галилеем, свидетельствующие о том, что его исторические слова „А все-таки она вертится!“ были сказаны на армянском языке⁷.

„Божественная душа“, присущая армянским историкам, уникальна. Быть армянином – это уже не национальность, а диагноз „великого предназначения“! И все же, кто они – эти великие армяне, где их земля, и откуда они пришли? В начале XX столетия корифей арменистики Н. Адонц писал: VIIIв. до н.э. во Фракии, на Балканах, объявились киммерийцы. Здесь они вступили в контакт с предками армян, которых увели с собой на восток – в Малую Азию⁸. Именно этим путем „попутчики“ киммерийцев оказались в Малоазиатской области Фригии.

В период ослабления Урарту хаи проникли в область территории „арме“. После упадка Урарту хаи стали проникать в глубь Кавказского нагорья, именуемого теперь „Армянское нагорье“ и подчинили себе проживавшие там урартские и другие племена. Большая часть этих племен была с течением времени ассимилирована хайами.

Мидяне и персы, жившие по соседству, называли этот новообразованный этнос, сложившийся в результате слияния нескольких племен и союзов, армянами по имени арменов, своих прежних соседей, смешавшихся с союзом Хайаса, а саму территорию – Арменией. Так же стали именовать новый народ и занятую им территорию греки и римляне, через которых эти названия – этноним „армяне“ и топоним „Армения“ распространились⁹. Между тем хаи оставили и распространили свое племенное имя „хай“ в наследство всем народам Армении, а страна получила название Хайк или Хайастан. На основе вы-

⁷ А. Гурбанов. Сказки армянских мудрецов., с. 12.

⁸ Н. Адонц. Новый энциклопедический словарь Брокгауза и Эфрона. СПб., 1912, т. III.

⁹ История армянского народа. Под ред. Б. Н. Аракеяна и А. Р. Иоанни-сяна). Ереван, 1951, с. 25.

шеотмеченного, можно констатировать, что армяне не являются автохтонами Малой Азии, тем более Южного Кавказа.

В 400 году до н.э., когда Ксенофонт пересек территорию, позже названную „Арменией“, ее население говорило на одном из наречий эламского языка, то есть на азиатском языке, видимо процесс ассимиляции еще продолжался. В 190г. до н.э. при Магнесии войска Антиоха III потерпели поражение от римлян. Это поражение еще более усилило процесс распада Селевкидской державы. Ряд бывших селевкидских наместников поспешили объявить себя независимыми¹⁰. Так совершенно случайно хаи получили определенное географическое пространство в независимое управление. Так возникли в непосредственной близости от территории грузинских государств¹¹ первые самостоятельные армянские государства.

В 95 году до н.э. на армянский престол взошел Тигран II. Время было смутное, Римская империя теряла свои позиции, а парфянские цари из династии Аршакидов воевали с саками. Тигран, который долго маячил между Римом и Парфией, решил воспользоваться подходящим моментом и расширил пределы Армении во всех направлениях¹². Поведение бывшего вассала Риму не понравилось, в 66 году до н.э. Тигран был наказан, его армия была разбита, а он сам, стоя на коленях, просил прощения. Вот и вся история „Великой армянской государственности“, которая длилась почти 30 лет. Однако этого времени хватило для формирования „генетически ценной эпохи“ для всего армянского народа.

Захваченные Арменией территории вернули в пределы своих границ их действительные хозяева. На протяжении истории армянский народ то с мечом, то с перьями в руках ведет неустанную борьбу за воссоздание Армении эпохи Тиграна II.

¹⁰ Г. А. Меликишвили. Взаимоотношения Картли с Селевкидами. Ухудшение внешнеполитической обстановки для Картлийского царства в начале Пв. до н.э. Взаимоотношения с Арменией и Парфией II-III вв. до н.э. – *Очерки Истории Грузии*. Под ред. Г. А. Меликишвили, О. Д. Лордкипнидзе), т. I. Тб., 1989, с. 272.

¹¹ Т.е. Иберии и Колхиды.

¹² А. Гурбанов. Сказки армянских мудрецов..., с. 165.

Следуя заветной цели, Армения во второй половине Хв., пользуясь политическим хаосом в Грузии, захватывает южногрузинские области и создает на территории Грузии армянские царства Ташир-Дзорагетское и Ванандское. В Грузии началась „Великая армянщина“, однако грузинские цари не подозревали, а грузинские историки и поныне считают, что территория, на которой были созданы армянские государства были армянскими, так как они были заняты армянским этническим миром задолго до образования армянских царств.

В 1045 году Византия упразднила Анийское царство и начала переселять гайканский народ в глубь империи. Большая часть армян, не желая находиться в пределах Византии, хлынула в Грузию. Царь Грузии Давид Строитель предпринял некоторые шаги для их интеграции в православие и с этой целью был созван церковный собор, на котором армянам-григорьянам было предложено встать на праведный путь, однако представители Эчмиадзина сохранили свою религиозную самобытность.

Между тем в Византийской империи, в местах компактного проживания армян были созданы органы самоуправления, в последующем армянские историки армянскую общину в Киликии возвели в ранг Киликийского армянского государства. В период наступления турок, армяне, сразу же предав Византию, объявили войну бывшему хозяину, они поочередно доказывали свою преданность каждому из них в поисках выгоды. Армяне, примкнув победителям и доказывая им свою „безграничную преданность“, фактически начали проникать вглубь новой „родины“ – страны захватчика, ибо оставаться на прежних территориях было опасно. Реванш побежденного народа не сулил им добра.

Арабское владычество содействовало их проникновению на территории современной Сирии, Ливана, Ирака и Египта. Методом безоговорочной капитуляции, они освоили Центральный и Восточный Иран. В период процветания военной мощи Византии армяне удачно переселились в Константинополь, Фракию, Македонию, Болгарию, а в дальнейшем, в Румынию, Трансильванию и Крым. Крестовые походы открыли

им долгожданный путь на Кипр, Крит и в Италию. Нашествие армии Тимура дало возможность осваивать север – Казань, Астрахань. На картах армян эти территории составляют часть „Великой Армении“¹³.

В конце XV столетия единая грузинская феодальная монархия распалась. Процесс восстановления единого государства затянулся. Во второй половине XVIII столетия, когда большая часть Армении находилась в пределах Картли-Кахетинского царства, наблюдая за политическим процессом на Кавказе из далекой Индии к Ираклию II поступило предложение образовать Федеративное грузино-армянское государство¹⁴. Армяне обещали финансовую поддержку, однако католикос армян, узнав об этом, опасаясь разорения своих скудных владений, сообщил об этом Иранскому Шаху, план провалился.

Во второй половине XVIIIв., когда Российская империя всё более активно начала демонстрировать свои амбиции в кавказском направлении, у армян появилась надежда, что Россия спасет армян. При дворе Ираклия II армянские мелики усиленно выдвигали доводы о выгодности союза с Российской империей. Ираклий II стал посматривать на Россию, но все же не решился. В политических кругах Ирана и Османской империи понимали, что может сулить им Россия, поэтому они осознавали необходимость создания сильного буферного грузинского государства. Начались грузино-ирано-турецкие переговоры, однако притаившиеся при дворе Ираклия II армянские мелики убедили Ираклия изменить намерения. В результате был подписан Георгиевский трактат. Изменение внешне-политической ориентации не простили грузинскому царю. Ага-Магомед-хан двинулся к границам Грузии, католикос армян по дороге передал персидскому шаху 100 000 туманов¹⁵, для того чтобы персы не истребили проживающих в Грузии и Тбилиси армян. Просьба была выполнена.

¹³ А. Гурбанов. Сказки армянских мудрецов., с.191.

¹⁴ А. Р. Иоаннисян. Россия и армянское освободительное движение в 80-х годах XVIII столетия. Ереван, 1947, с. 137 и след.

¹⁵ И. А. Джавахишвили. Границы Грузии. Тифлис, 1919, с. 38 (на груз. яз.).

Первое столкновение персидских войск с грузинскими завершилось победой грузин. Ага-Магомед-хан усомнился в своих силах и оставил затею завоевания Грузии, однако армянские мелики Абов и Межлум догнали персов и сообщили хану, что у грузин практически нет армии: „Вернитесь и вы возьмете Тифлис“. Так, Тбилиси подвергся опустошению, большая часть грузинского населения города погибла в борьбе, а их дома впоследствии заняли армяне.

В 1801г. Российская империя упразднила Картли-Кахетинское царство, началось завоевание Южного Кавказа, которое продолжалось 3 десятка лет. Российская империя в своих геополитических целях переселила армян из Турции и поселила их на исторических территориях Грузии. Была создана Ереванская губерния – основа государственной территории будущей „Великой Армении“.¹⁶ В Турции, где, как известно, обитало значительное число армян, идеологи создания Великой Армении стремились к объединению Российской и Турецкой Армении. Это было на руку и России. Поэтому в 1914г., когда началась война, и особенной весной 1915г., когда развернулось контрнаступление русской армии, армяне, решив, что пробил их час, подняли всеобщее восстание в нескольких вилайетах и учинили беспощадную резню мирного турецкого населения¹⁷. Турецкое правительство, видя подобные действия дашнакских „героев“, и зная российский план „решения“ армянского вопроса, в апреле 1915г. принимает решение о всеобщей депортации армян. Новые сотни тысяч армян перебрались в Грузию и расселились в ее Южных областях.

После Российской революции 1917г. Турция, чтобы избавиться от армян, допустила ошибку и создала Армению¹⁸.

¹⁶ Г. Р. Мархулия. Административная политика Российской..., с. 35.

¹⁷ Г. Р. Мархулия. Из истории возникновения армянской националистической партии „Дашнакцутюн“ и ее политики в отношении Грузии в 1918-1920 гг. – *Исторические разыскания*, т. II. Тб., 1999, с. 177.

¹⁸ Турецкие министры две недели думали – создать Армению или нет, но все же, как было отмечено выше, допустили ошибку и дали разрешение на создание армянского государства, ошибочно полагая, что так будет выгоднее.

За короткое время независимая Армения с целью расширения территории умудрилась начать войны с Грузией, Азербайджаном и Турцией, однако потерпела поражение¹⁹. В период советской власти об идее Великой Армении не упоминалось, они залечивали раны для будущих баталий. В 1988г., в результате разрушительного землетрясения в Армении, десятки тысяч армян покинуло республику, советские руководители поселили их в Краснодарском крае.

Распад Советского Союза, сплотившего армян, привел, как было отмечено, к реанимации древнеармянской мечты – воссоздания „Великой Армении“. Территория „Малой Армении“ была расширена оккупацией Карабахской области. Российско-грузинская война привела к оккупации Абхазии. В результате этнической экспансии, армянское население в Абхазии превращается в большинство, в Краснодарском крае каждый четвертый житель – армянин, и если взглядеться внимательно, то можно увидеть контуры „Великой Армении“. Армяне покидают Армению и скупают земли на Черноморском побережье Аджарии, перспектива провозглашения свободных экономических зон сулит им большие надежды – вот вам и этническая территория будущей „Великой Армении“.

Однако грузинская общественность зорко следит за армянскими манёврами в Грузии и не допустит таинственного перемещения нынешней „Малой Армении“ в Грузию. К сведению т.н. земляческого объединения „Трабзон-Ардвин-Батум“, повторимся, что армяне не являются автохтонами Понто-Кавказского пространства, а созданная из грузинских и азербайджанских земель Армения на протяжении истории была деструктивной силой, и в настоящее время Армения мешает мирному развитию региона и строительству общекавказского дома, а поиски „Великой Армении“ в пределах территории Грузии тщетны и ни к чему хорошему не приведут.

¹⁹ См. Г. Р. Мархулия. Армяно-грузинская мирная конференция 1919 года и создание Лорийской нейтральной зоны. Тб., 2005.

ბურამ მარხულია

პონტო-კავკასიური სივრცე და „დიდი სომხეთის“ იდეა

XXს. მიწურულს საბჭოთა კავშირის დაშლასთან დაკავშირებულმა გლობალურმა პოლიტიკურმა მოვლენებმა ძველი სომხური ოცნების აღორძინება გამოიწვია. სომეხ იდეოლოგთა აზრით, სომხეთ-აზერბაიჯანის ომი და მთიანი ყარაბაღის ოლქის ოკუპაცია „დიდი სომხეთის“ შექმნის პროცესის დასაწყისად იქცა. მათი გეოპოლიტიკური ოცნებები იმდენად შორს წავიდა, რომ დაიწყეს გეგმების შედგენა საქართველოს სამხრეთ რაიონების მისატაცებლად. საქართველოში მყოფ სომხებს უცებ „გაახსენდათ“, რომ ისინი ცხოვრობდნენ არა საქართველოში, არამედ „დიდი სომხეთის“ „ტერიტორიაზე“. ასე დაედო სათავე თურქეთიდან დევნილი სომხების შთამომავლების მხრიდან ჯავახეთის სომხეთთან შეერთების მოთხოვნას, ხოლო ერევანში დაიწყო „ისტორიული“ ზღაპრების შეთხზვა საქართველოს სამხრეთ რეგიონებზე სომეხთა უფლებების შესახებ.

ქართულმა ინტელიგენციამ საჭიროდ არ მიიჩნია პოლემიკის დაწყება „დიდი სომხეთის“ იდეოლოგებთან, რომლებმაც ჩათვალეს, რომ ქართველებმა ქედი მოიხარეს სომხური ინტელექტის წინაშე და უკვე ღიად მოითხოვეს საქართველოსგან ჯავახეთის სომხეთისთვის გადაცემა. მაშინ ქართველმა მეცნიერებმა, მართალია, ერთგვარი დაგვიანებით, დაიწყეს სომეხთა „ნააზრების“ მხილება და ღირსეული პასუხი გასცეს მათ. ქართულმა საზოგადოებრიობამ ჩათვალა, რომ სომხები გონს მოეგნენ და საკითხი ამოწურულად მიიჩნია, მაგრამ მცირე ხანში სომხურ მასობრივ საშუალებებში და ვებ-გვერდებზე გამოჩნდა სომეხ ფალსიფიკატორთა გამოგონებელი სტატიები და მოწოდებები. კერძოდ, გამოქვეყნდა ე.წ. „ტრაბზონ-ართვინ-ბათუმის“ სათვისტომოს განცხადება, რომლის ავტორებიც ამტკიცებენ, თითქოს სომხები წარმოადგენენ პონტო-კავკასიური სივრცის ტერიტორიების – აფხაზეთისა და მთლიანად დასავლეთ საქართველოს ავტოქტონურ მოსახლეობას. წარმოდგენილი ნაშრომი სწორედ ამ საკითხების განხილვისადმი არის მიძღვნილი.

GURAM MARKHULIA

PONTO-CAUCASIAN AREA AND THE IDEA OF “THE GREAT ARMENIA”

The global political events at the end of 20th century, connected with the disintegration of the Soviet Union revived the old Armenian dream about the formation of “the Great Armenian State”. The Armenian ideologists considered the Armenian-Azerbaijani war and the occupation of the Nagorno-Karabakh province by Armenia as the beginning of the veation of “Great Armenia”. They went so far in their geopolitical dreams that began composing plans to seize the southern regions of Georgia. The Armenians in Georgia suddenly “remembered” that they were living no on the Georgian lands, but on the “territories” of “the Great Armenia”. Thus, the descendants of the refugees from Turkey began to demand unification of Javakheti with Armenia, while the “historical” fairy tales were made up in Yerevan to maintain the right of Armenia on the Southern Georgian provinces.

The Georgian intelligentsia did not consider it necessary to enter into polemics with the ideologists of the “Great Armenia”, who supposed that the Georgians were bending their heads before the “grandeur” of the Armenian intellect and in their statements began to demand passing Javakheti from Georgia to Armenia. Though with a slight delay, the Georgian scholars began the exposure of the Armenian “sages” and gave an adequate scientific rebuff to all of their demands. The Armenians stayed silent for a while, and the Georgian community supposed that they had realized their mistake and the question was exhausted. However, there appeared stunning articles and statements of the Armenian hack writers in the Armenian press and at the web-sites later among which the declaration of the Association “Trabzon-Artvin-Batumi” has to be singled out. The authors of the declaration have mentioned that the Armenians are an indigenous ethnos in the Ponto-Caucasian area – in Abkhazia and in all of the Western Georgia. The denunciation of these ideas is a basic goal of the presented paper.

ომარ არღაშელია

კვიპროსის კრიზისის საპირობითო

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კუნძულ კვიპროსზე¹ განვითარებული მოვლენები კარგად გვიჩვენებენ, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ეთნო-კონფესიურ დაპირისპირებას, რომელიც უშუალო კავშირშია ქვეყნის ისტორიულ წარსულთან და მეზობელი სახელმწიფოების ინტერესებთან. აღნიშნულმა გარემოებებმა დიდი როლი ითამაშეს კონფლიქტის გაჩაღების საქმეში, რომლის საბოლოო შედეგი კვიპროსის ბერძნულ და თურქულ ნაწილებად დაყოფა გახდა.

კუნძულ კვიპროსზე იმთავითვე გადაიკვეთა საბერძნეთის, თურქეთისა და ინგლისის გეოპოლიტიკური ინტერესები. აღნიშნული სახელმწიფოები ხშირად კარნახობდნენ პოლიტიკური მოვლენების განვითარებას, რაც ხელს უშლიდა ინტეგრაციული პროცესების დაჩქარებას ბერძნულ და თურქულ თემებს შორის. გარდა ამისა, ხშირ შემთხვევაში დაპირისპირებული მხარეების მიზანი იყო არა კვიპროსის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა, არამედ მისი გაერთიანება საბერძნეთთან ან თურქეთთან.

კვიპროსზე არსებული შინაგანი წინააღმდეგობანი თავის სათავეებს ჯერ კიდევ XVI საუკუნიდან იღებს, როდესაც 1571 წელს, ვენეციის დამარცხების შემდეგ, ოსმალეთმა ხელთ იგდო კუნძული და მასზე თავისი კონტროლი დაამყარა. თურქეთის მმართველი წრეები ადგილობრივ მართლმადიდებელ ბერძნულ მოსახლე-

¹ კუნძულ კვიპროსი მდებარეობს ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში. მისი ტერიტორია შეადგენს 9251 კვ. კმ. სახელმწიფოს დედაქალაქია ნიქოზია. ოფიციალური ენა ბერძნულია. ეროვნული დღესასწაული 1 ოქტომბერი. ოფიციალური კალენდარი გრიგორიანული. კვიპროსის რესპუბლიკა (სამხრეთი ნაწილი) არის ევროკავშირის წევრი სახელმწიფო 2004 წლიდან.

ობას განიხილავდნენ როგორც მეორეხარისხოვანს, რომელიც, რელიგიური შევიწროების გარდა, ეკონომიკურადაც დიდ წიწხს განიცდიდა. ასეთ დამოკიდებულებას ბერძნულენოვანი მოსახლეობის არაერთი უკმაყოფილება და შეიარაღებული გამოსვლა მოჰყვა².

1821-1829 წლებში ბერძენი ხალხის მიერ ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ მიმართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საბოლოოდ დამოუკიდებელი ბერძნული სახელმწიფოს აღმოცენებით დასრულდა³, მაგრამ ეს არ ნიშნავდა ყველა იმ ტერიტორიების განთავისუფლებას, რომელიც ბერძნული მოსახლეობით იყო დასახლებული. ამ დროიდან მოყოლებული ბერძნული სახელმწიფოსთვის *ენოზისი*⁴ გახდა მთავარი ღოზუნგი, რაც ითვალისწინებდა კუნძულების თესალიის, კრეტის, კვიპროსის და სხვა ტერიტორიების შემოერთებას. კვიპროსელი ბერძნები, რომლებიც არაერთხელ აჯანყებულან ოსმალების წინააღმდეგ, ამ ბრძოლის ავანგარდში იდგნენ. მაგალითად, 1821წ. კვიპროსზე ოსმალების მიერ აჯანყების ჩახშობის შედეგად სიკვდილით დასაჯეს არქიეპისკოპოსი მაკარიოს I, სხვა მღვდელმთავრები და ქრისტიანი მოსახლეობა⁵.

კვიპროსზე ბერძნული მოსახლეობა უხსოვარი დროიდან ცხოვრობდა, ხოლო XVI საუკუნეში, ოსმალების მიერ კუნძულის დაპყრობის შემდეგ აქ თურქული ელემენტიც გაჩნდა, რომელიც უმეტესწილად ანატოლიის ცენტრალური ნაწილიდან გადმოსახლებული თურქებისაგან შედგებოდა. ისინი თანდათანობით იკავებდნენ თავიანთი მიწა-წყლიდან აყრილი ბერძნების ადგილს და დროთა განმავლობაში კვიპროსის ხალხის შემადგენელ ნაწილად ჩამოყალიბდნენ. ამის შემდეგ ბერძნები და თურქები კვიპროსზე ერთად ცხოვრობდნენ, თუმცა ეს ორი ეთნიკური ჯგუფი ტრადიციულად ერთმანეთისაგან იზოლირებული და მტრულად

² აღსანიშნავია 1764, 1804 და 1821 წლების აჯანყებები ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ, რომლებიც ოსმალებმა არნახული სისასტიკით ჩაახშვეს.

³ **აღ. მენთეშაშვილი.** საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორია. II. თბ., 2002, გვ. 106-109.

⁴ *ენოზისი* – ბერძენთა ბრძოლა ბერძნული მოსახლეობით დასახლებული ტერიტორიების შემოერთებისათვის.

⁵ **C. Papardaces.** Cyprus. Athens, 1958, გვ. 8-9.

განწყობილი იყო. კვიპროსელ თურქთა რაოდენობა მთელი მოსახლეობის 20-30% შეადგენდა. ისინი ცხოვრობდნენ, როგორც სოფლად, ასევე ქალაქებში, სადაც ბერძნებისაგან განსხვავებულ ცხოვრების წესსა და ტრადიციებს მისდევდნენ. ეს განსხვავება თვით საცხოვრებელი სახლების არქიტექტურითაც კი იოლი შესამჩნევი იყო.

კვიპროსის საზოგადოებისათვის დამახასიათებელი იყო თავისებური დიფერენციალური სტრუქტურული პლურალიზმი, რაც გამოიხატებოდა, ერთის მხრივ, თურქი კვიპროსელების მისწრაფებით გაეკეთებინათ თავიანთი კარიერა სამხედრო, ადმინისტრაციულ ან სასულიერო სფეროში, ხოლო, მეორე მხრივ, ისეთი პროფესიები, როგორც იყო ვაჭრობა, ხელოსნობა, მევანშეობა, ძირითადად ბერძნული მოსახლეობის არჩევანს წარმოადგენდა. სანამ კვიპროსი ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა თურქი კვიპროსელების პოზიციები კუნძულზე მყარი იყო, მაგრამ, როდესაც 1878 წელს ის ხელთ იგდეს ინგლისელებმა⁶, მათი მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა: თურქებმა დაკარგეს ხელისუფლება და ბერძნებთან შედარებით ეთნიკური უმცირესობის როლში აღმოჩნდნენ. ამიერიდან ნაწილობრივ ბერძნების ხელში გადავიდა, როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური უპირატესობა⁷.

შექმნილ მდგომარეობაში კვიპროსელმა თურქებმა, იმისათვის, რომ შეენარჩუნებინათ პოლიტიკური გავლენა და არ მოხვედრილიყვნენ ბერძნული თემის გავლენის ქვეშ, კოლონიურ ადმინისტრაციასთან თანამშრომლობა არჩიეს, მაშინ როდესაც კვიპროსელი ბერძნების მთავარი პოლიტიკური ლოზუნგი კვლავ ენოზისი და ინგლისური კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა იყო⁸.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ კვიპროსელი ბერძნების

⁶ კვიპროსის მნიშვნელობაზე ინგლისელთათვის მიუთითებს მაშინდელი პრემიერ-მინისტრის ბ. დიზრაელის სიტყვები, რომელიც მან უთხრა ინგლისის დედოფალს ვიქტორიას: „კვიპროსი-აღმოსავლეთ აზიის გასაღებია“ (იხ.: **G. Buckle**. The Life of Benjamin Disraeli, Earl of Beaconsfield. Vol. VI. London, 1920, გვ. 291).

⁷ **C. Papardaces**. Cyprus., გვ. 16-17.

⁸ **C. Papardaces**. Cyprus., გვ. 16-17.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ინგლისელთა წინააღმდეგ განსაკუთრებით გაძლიერდა, რამაც თურქული წარმოშობის კვიპროსელები კიდევ უფრო დაახლოვა კუნძულის კოლონიურ ადმინისტრაციასთან. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ 1931წ. თურქებით დასახლებულმა 218 სოფელმა (ანუ მთელმა მუსლიმურმა მოსახლეობამ) ხელი მოაწერა ე.წ. დეკლარაციას, სადაც ისინი გამოხატეს ბერძენების გამოსვლებს ინგლისელების წინააღმდეგ და სოლიდარობას და მხარდაჭერას უცხადებდნენ კოლონიურ ადმინისტრაციას⁹ (1925 წლიდან კვიპროსი ოფიციალურად იქნა გამოცხადებული ინგლისის კოლონიად).

კვიპროსის ბერძნული მოსახლეობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც საბერძნეთის მთავრობას განიხილავდა, როგორც თავის ბუნებრივ მოკავშირეს საკუთარი ეროვნული ინტერესების დასაცავად. XX საუკუნის 40-50-იან წლებში კვიპროსელი ბერძენების პოლიტიკური ორგანიზაციები, მიუხედავად თავიანთი პოლიტიკური შეხედულებებისა, ენოზისის ლოზუნგით განაგრძობდნენ ბრძოლას ინგლისელთა წინააღმდეგ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბერძნული მართლმადიდებლური სამღვდელთა ამ ბრძოლის ავანგარდში იყო¹⁰. 1950 წლის იანვარში მათ ინგლისური კოლონიური ადმინისტრაციის დაუკითხავად მოაწყვეს პლებისციტი კუნძულის საბერძნეთთან გაერთიანების თაობაზე. პლებისციტის შედეგებმა აჩვენა, რომ ბერძენთა 95% მხარს უჭერდა კუნძულის დეკოლონიზაციის ენოზისურ ფორმას¹¹, ხოლო თურქი კვიპროსელები, პირიქით, როგორც ეს ადრე იყო, მთლიანად ინგლისელების მხარეს იყვნენ. უფრო მეტიც, კვიპროსის პოლიციის შემადგენლობის 70%-ს თურქები შეადგენდნენ. ინგლისელები სწორედ მათ იყენებდნენ ბერძენთა დემონსტრაციების დასარბევად ან სხვა ქმედებების ჩასატარებლად, რაც, თავის მხრივ, იწვევდა მტრული ატმოსფეროს შექმნას ბერძნულ და თურქულ მოსახლეობას შორის.

⁹ Н. Кузупис. Проблемы национально-освободительного движения на Кипре (20-50 годы XX в). М., 1986, გვ. 79.

¹⁰ მაგალითად, კვიპროსელი ბერძენების ლიდერი 1950 წლიდან იყო არქიპისკოპოსი მაკარიოს III.

¹¹ Л. Н. Анисимов. Проблемы Кипра. Исторические и международно-правовые аспекты. М., 1986, გვ. 21.

ბერძნული პოლიტიკური ორგანიზაციების ბრძოლის მეთოდები, ინგლისელთა წინააღმდეგ, სხვადასხვა იყო. მათ შორის იყო შეიარაღებული გამოსვლები. 1955 წელს ერთ-ერთმა ასეთმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ – თავისუფლებისათვის მებრძოლთა ეროვნულმა ორგანიზაციამ (ეოკა)¹² დაიწყო შეიარაღებული ბრძოლა ინგლისელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ. ეს ორგანიზაცია მოითხოვდა კვიპროსის გაერთიანებას „დედა-საბერძნეთთან“, როგორც ეს მოხდა კუნძულ კრეტისა (1913) და ლოდეკანესის კუნძულების (1947) მიმართებაში. ეოკას აზრით, კვიპროსის მიერთება საბერძნეთთან იქნებოდა საბერძნეთის განთავისუფლებისა და გაერთიანების ბოლო ეტაპი, რომელიც ჯერ კიდევ 1821წ. ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ აჯანყებით დაიწყო.

ეოკას მოქმედების ფორმები კოლონიური ადმინისტრაციის მიმართ გამოიხატებოდა ინგლისელი სამხედრო და სამოქალაქო პირების მიმართ ტერორისტული აქტებით. ეს ტენდენცია განსაკუთრებით მას შემდეგ გაძლიერდა, რაც 1956 წელს არქიების-კოპოსი მაკარიოსი¹³ კვიპროსიდან იქნა გასახლებული. მაკარიოსი

¹² ეოკა-ს არაღვრეული ორგანიზაცია შეიქმნა 1951წ. საბერძნეთის არმიის პოლკოვნიკის და წარმოშობით კვიპროსელის გეორგიოს გრივასის (1998-1974) მიერ. ის საინტერესო ბიოგრაფიის მქონე პიროვნება იყო. დაიბადა კ. კვიპროსზე შექმნილი ვაჭრის ოჯახში. იქვე მიიღო დაწყებითი განათლება, სადაც პირველად ეზიარა ელინისტური ნაციონალიზმის დოქტრინას. 17 წლისამ დატოვა კვიპროსი და საბერძნეთში გადასახლდა, სადაც სწავლობდა ათენის სამხედრო აკადემიაში. მსახურობდა საბერძნეთის არმიაში. 1940წ. საბერძნეთში იტალიის არმიის შეჭრის შემდეგ შექმნა მემარჯვენე ყაიღის არაღვრეული ორგანიზაცია „ნაციონალური წინააღმდეგობის პარტია“. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 1949 წელს დაბრუნდა კვიპროსში და შექმნა არაღვრეული სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია ეოკა – კვიპროსის მებრძოლთა ნაციონალური ორგანიზაცია, რომლის მიზანი კვიპროსის საბერძნეთთან გაერთიანება იყო.

¹³ არქიებისკოპოსი მაკარიოს III (1913-1977) – ერისკაცობაში მიხაილ ხრისტოდულოსი მუსკოს არქიებისკოპოსი. კვიპროსის ავტოკეფალური ეკლესიის და ბერძნული თემის ლიდერი 1950 წლიდან. მონაწილეობდა კვიპროსის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რომელიც მიმართული იყო ინგლისელთა ბატონობის წინააღმდეგ. 1959 წლიდან კვიპროსის პირველი პრეზიდენტი.

სი, გეორგიოს გრივასისაგან განსხვავებით, თავისი შეხედულებებით ზომიერი იყო და არ იზიარებდა გრივასის უკიდურესად მემარჯვენე შეხედულებებს, გარდა ამისა, სამხედრო ძალის გამოყენებას ის განიხილავდა როგორც ერთ-ერთ, და არა მთავარ ფორმას მიზნის მისაღწევად. გრივასი თავისი პოლიტიკური შეხედულებებით უკიდურესი ნაციონალისტი იყო და გამოდიოდა მოთხოვნით, გაესახლებინათ კვიპროსელი თურქები კუნძულიდან.

ეოკას ტერორისტულმა მოქმედებამ კვიპროსში ბერძნულ და თურქულ მოსახლეობას შორის 1958 წლისთვის ვითარება უკიდურესად დაძაბა¹⁴. ბრიტანელები, რომლებიც გრძობდნენ, რომ მათი ბატონობა დასასრულს უახლოვდებოდა, ცდილობდნენ, დროებით მაინც შეენარჩუნებინათ თავიანთი პოზიციები სამხედრო და პოლიტიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვან აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის რეგიონში და ცდილობდნენ გაეტარებინათ თავიანთი პოლიტიკის უცვლელი ხაზი – „დაჰყავი და იბატონე“. კვიპროსის მოსალოდნელი დეკოლონიზაციის პირობები აქტიურად განიხილებოდა ინგლისის სახელისუფლო წრეებში, სადაც კუნძულის საბერძნეთთან გაერთიანება მიუღებელი იყო. ლონდონის მოკავშირედ გამოდიოდა თურქეთის ხელისუფლება. ოფიციალური ანკარა დაუშვებლად მიიჩნევდა (1955წ.) თურქეთის სანაპიროსთან 60 კილომეტრში მდებარე კვიპროსის სწრაფვას ენოზისისაკენ, რადგან ეს საფრთხეს შეუქმნიდა ქვეყნის უსაფრთხოებას¹⁵.

ამ პერიოდში კვიპროსელი ბერძნები წარმოადგენდნენ კუნძულის მოსახლეობის უმრავლესობას და შეპყრობილნი იყვნენ ერთგვარი ეიფორიით საბერძნეთთან მოსალოდნელი გაერთიანების გამო. ისინი უგულვებელყოფდნენ კვიპროსელი თურქების არსებობას და მათ სამართლებრივ უფლებებს. საქმის ასეთი ვითარება ხელს აძლევდა ინგლისელებს, რათა მომავალში ჩარეულიყვნენ კვიპროსის საქმეებში და, მეორე მხრივ, აიძულებდა კვიპროსელ

¹⁴ კვიპროსელმა თურქებმა, თავის მხრივ, შექმნეს შეიარაღებული ფორმირება – „ვოლკანი“, რომელიც დაუპირისპირდა ეოკასა და ენოზისის მომხრეებს კუნძულზე.

¹⁵ **Б. М. Поцхверия.** Внешняя политика Турции после Второй мировой войны. М., 1976, გვ. 202.

თურქებს, მხარდამჭერი მოემბნათ თურქეთში, რაც, თავის მხრივ, ამ უკანასკნელის ინტერესებშიც შედიოდა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ პირველი და მეორე მსოფლიო ომების დროს კვიპროსელი თურქების პოზიცია ენოზისთან დაკავშირებით მკვეთრად უარყოფითი იყო. თურქი კვიპროსელების ლიდერების მოთხოვნა იყო ბრიტანელების ბატონობის შენარჩუნება ან კუნძულის გაერთიანება თურქეთის რესპუბლიკასთან.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კვიპროსელ თურქთა ლიდერმა ფ. ქუჩუქმა წამოაყენა კუნძულის გაყოფის იდეა – ტაქსიმა, რომელსაც თურქეთის მმართველი წრეებიც უჭერდნენ მხარს¹⁶. კვიპროსელი ბერძნები, ისევე როგორც საბერძნეთის მთავრობა, ამ იდეას, როგორც მოსალოდნელი იყო, უარყოფითად შეხვდნენ. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ თურქები და ბერძნები კვიპროსზე შერეულად ცხოვრობდნენ, კუნძულის გაყოფა დიდ პრობლემებთან იქნებოდა დაკავშირებული. ამ სიტუაციაში ინგლისელებმა წამოაყენეს წინადადება კვიპროსისთვის დამოუკიდებლობა მიენიჭებინათ იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებული იქნებოდა თურქ კვიპროსელთა ინტერესები და კვიპროსელი ბერძნები უარს იტყოდნენ ენოზისზე.

1959 წელს საბერძნეთმა, ინგლისელთა ზეწოლის ქვეშ, უარი განაცხადა ენოზისის პოლიტიკაზე კვიპროსის მიმართ, რადგან უარის შემთხვევაში ინგლისი იმუქრებოდა, რომ კუნძულის ნაწილს თურქეთის რესპუბლიკას გადასცემდა. იმავე წელს საბერძნეთმა კუნძულის მომავალ სტატუსზე მოლაპარაკება დაიწყო თურქეთთან. მოლაპარაკებები დასრულდა ე.წ. *ციურიხ-ლონდონის შეთანხმების* მიღებით. მხარეები შეთანხმდნენ კვიპროსის სტატუსზე, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოზე და ორივე თემის რაოდენობრივ წარმომადგენლობაზე ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში. ინგლისის, საბერძნეთისა და თურქეთის სახელმწიფოები ხდებოდნენ კვიპროსის დამოუკიდებლობისა და ორივე თემის თანაბარი უფლებების გარანტები. *ციურიხ-ლონდონის შეთანხმების* საფუძველზე შეიმუშავეს კვიპროსის კონსტიტუცია, რო-

¹⁶ ე. მაკარაძე, მ. გოგიტიძე. კვიპროსის საკითხი აღმოსავლეთ პოლიტიკაში XXს. 60-80-იან წლებში. ბათუმი, 2000, გვ. 30-32.

მელიც ძალაში 1960 წელს შევიდა¹⁷.

მიუხედავად იმისა, რომ დანტერესებული მხარეები შეთანხმდნენ კვიპროსის სტატუსზე და შეიმუშავეს კონსტიტუცია, რომელსაც უნდა უზრუნველყო დაპირისპირებული თემების მშვიდობიანი თანაარსებობა, ეს გადაწყვეტილება მაინც მიუღებელი აღმოჩნდა კვიპროსელი ბერძნებისა და თურქებისათვის, რადგან მათი წარმომადგენლები არ მონაწილეობდნენ კონსტიტუციის შემუშავებაში. ინგლისი, საბერძნეთი და თურქეთი ცდილობდნენ თავიანთი პოლიტიკური ინტერესების განხორციელებას: საბერძნეთის მიზანი იყო, არ დაეშვა კვიპროსის ნაწილის გადაცემა თურქეთისათვის; თურქეთი ცდილობდა, თავიდან აეცილებინა კვიპროსის გაერთიანება საბერძნეთთან; ინგლისი აპირებდა მომავალში კვიპროსზე შეენარჩუნებინა თავისი პოლიტიკური და სამხედრო გავლენა. სწორედ ამ გარემოებებმა განაპირობეს ის, რომ კვიპროსის კონსტიტუციაში შეტანილი იქნა ამ ქვეყნის სუვერენიტეტის შემლახველი მუხლები, კერძოდ: კუნძულზე შენარჩუნებული იქნებოდა ინგლისელთა სამხედრო ბაზების ექსტერიტორიულობა, რომელიც 150კმ² აღწევდა. გარდა ამისა, კვიპროსზე უნდა განლაგებულიყო საბერძნეთის და თურქეთის სამხედრო ნაწილებიც, რაც იძლეოდა ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევის საშუალებას. ამავე დროს იკრძალებოდა ენოზისისა და ტაქსიმას მომხრე ორგანიზაციების მოქმედება¹⁸.

კონსტიტუცია, რომელიც ინგლისმა, საბერძნეთმა და თურქეთმა შეიმუშავეს კვიპროსის ახალ მთავრობას დიდ სიძნელებს უქმნიდა ქვეყნის მართვაში. ეს, პირველ რიგში, იმაში გამოიხატებოდა, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში არაპროპორციულად დიდი იყო კვიპროსელი თურქების რაოდენობა ბერძნებთან შედარებით¹⁹,

¹⁷ **Л. Н. Анисимов.** Проблемы Кипра., გვ. 39-40; **C. Tornaritis.** Cyprus and Its Constitutional and Other Legal Problems. Nikosia, 1980, გვ. 41. აღსანიშნავია, რომ კვიპროსის კონსტიტუციის ავტორი არის ინგლისელი იურისტი ლორდი რედკლიფი.

¹⁸ **N. Crawshaw.** The Cyprus Revolt. An Account of the Struggle for Union with Greece. London, 1978, გვ. 349-341.

¹⁹ კონსტიტუციის თანახმად, კვიპროსის მთავრობაში, სახელმწიფო დაწესებულებებში, პოლიციაში და ჟანდარმერიაში 30% უნდა ყო-

გარდა ამისა, ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტს, რომელიც თურქი უნდა ყოფილიყო, ვეტოს უფლება გააჩნდა. კვიპროსზე, ამ კონსტიტუციის თანახმად, იქმნებოდა ცალკე სასამართლოები ბერძნებისა და თურქებისთვის, ცალკე მუნიციპალიტეტები და პარლამენტის პალატები და ა.შ. პრივილეგიების ასეთი ინსტიტუტიზაცია ხელს აძლევდა კვიპროსის თურქულ თემს, რადგან მომავალში ისინი ბერძნებისაგან ეკონომიკურად და პოლიტიკურად დამოუკიდებელნი ხდებოდნენ და საჭიროების შემთხვევაში შეეძლოთ მოეხდინათ ქვეყნის სახელმწიფო სტრუქტურების მუშაობის პარალიზება და აუცილებლობის შემთხვევაში წინააღმდეგობის გაწევა ენოზისის მომხრეებისათვის. კომპრომისის ეს ცალმხრივი ფორმა მისაღები იყო როგორც თურქი კვიპროსელებისათვის, ასევე თურქეთისათვის.

მათგან განსხვავებით, ციურიხ-ლონდონის შეთანხმების მიმართ საბერძნეთისა და კვიპროსელი ბერძნების დამოკიდებულება მკვეთრად ნეგატიური იყო. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთი ამ შეთანხმების ერთ-ერთი ხელმომწერი მხარე იყო, მას უარი არ უთქვამს კუნძულის შემოერთებაზე, რადგან ამ მხრივ დიდი მხარდაჭერა ჰქონდა კვიპროსის ბერძნული მოსახლეობისაგან, რომელიც თვლიდა, რომ ეს ხელშეკრულება თავს მოხვეუნი იყო ინგლისელებისა და თურქების მიერ და საჭირო იყო ბრძოლის გაგრძელება ენოზისისთვის. ამიტომ გასაკვირი არ იყო, რომ კვიპროსის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების შემდეგ კვიპროსელი ბერძნები კონსტიტუციას და სახელმწიფო წყობილებას აღიქვამდნენ, როგორც გარდამავალ ეტაპს და დროებით მოვლენას, რომელიც შემდგომში უნდა გადაზრდილიყო ენოზისში²⁰. კვიპროსელი ბერძნები იმდენად თვითდაჯერებულნი იყვნენ თავიანთ გამარჯვებაში, რომ 1962წ. კვიპროსის შინაგან საქმეთა მინისტრმა და ეოკას ერთ-ერთმა ლიდერმა გეორგიადისმა

ფილიყენენ კვიპროსელი თურქები, არმიაში კი – 40%. მაშინ როდესაც ისინი მოსახლეობის მხოლოდ 18%-ს შეადგენდნენ, ხოლო კვიპროსელი ბერძნები – 78%-ს. იხ.: **თ. კიკნაძე**, ეთნოკონფესიალურ წინააღმდეგობათა ევოლუცია კვიპროსზე 1878-1992წწ. საკანდიდატო დისერტაციის მაცნე. თბ., 1993, გვ. 14.

²⁰ **В. А. Шахбазов**. Проблемы Кипра в политике Турции в 1960-1980 годах. Орджоникидзе, 1983., გვ. 11.

პირდაპირ განაცხადა: „კვიპროსი ყოველთვის იყო ბერძნული და საბერძნეთთან გაერთიანების ოცნება მალე ასრულდება“.²¹ რა თქმა უნდა, ამ განცხადებას კვიპროსელი თურქების დიდი აღშფოთება მოჰყვა, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა ისედაც დაძაბული ვითარება ორ თემს შორის.

პოლიტიკური სისტემა, რომელიც ციურიხ-ლონდონის შეთანხმების საფუძველზე ჩამოყალიბდა, არაეფექტური აღმოჩნდა, რადგან ის არ ემყარებოდა ორი დაპირისპირებული თემის ინტერესებს. მაგალითად, კვიპროსელი თურქები უკმაყოფილო იყვნენ, რომ არ ხორციელდებოდა მათი წარმომადგენლების დანიშვნა სახელმწიფო სტრუქტურებში და ბერძნების მიერ უგულებელყოფილი იქნა ვიცე-პრეზიდენტის მიერ ვეტოს დადების უფლება. ამ და სხვა გარემოებების გამო 1961 წელს თურქმა დეპუტატებმა ფაქტობრივად ბოიკოტი გამოუცხადეს პარლამენტის მუშაობას. მათ უარი თქვეს საგადასახლო კოდექსისათვის ხმის მიცემაზე, ერთიანი კვიპროსის არმიის შექმნაზე და ა.შ. 1963წ. პრეზიდენტმა მაკარიოსმა სცადა კვიპროსის სახელმწიფო სტრუქტურების გამაძლიერებელი კანონების მიღება, მაგრამ ეს ნაბიჯი კვიპროსელი თურქების მიერ აღქმული იქნა, როგორც მათი ინტერესების შელახვა.

დაპირისპირება თურქულ და ბერძნულ თემებს შორის სამხედრო შეტაკებაში გადაიზარდა, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ კუნძულზე დისლოცირებული საბერძნეთისა და თურქეთის სამხედრო ნაწილები²². ამ დროიდან თურქ-კვიპროსელთა ლიდერებმა შეიმუშავეს კვიპროსის გაყოფის გეგმა ეთნიკური ნიშნის მიხედვით და ფაქტობრივად მიზნად დაისახეს კვიპროსის თურქული ნაწილის მიერთება თურქეთის რესპუბლიკასთან²³. ამ გეგმის რეალიზაციის მიზნით თურქები გამოვიდნენ კვიპროსის პარლამენტიდან, რომელშიც მხოლოდ ბერძენი დეპუტატები დარჩნენ და განაცხადეს, რომ კვიპროსის პარლამენტი და მთავრობა ვერ ჩაითვლება ქვეყნის კანონიერ მთავრობად და ისინი ქმნიან პარა-

²¹ **В. А. Шахбазов.** Проблемы Кипра в политике..., გვ. 10.

²² **В. А. Шахбазов.** Проблемы Кипра в политике..., გვ. 10-11.

²³ **Л. Н. Анисимов.** Проблемы Кипра..., გვ. 61.

ლელურ სტრუქტურებს თურქი კვიპროსელებისათვის – ე.წ. „გენერალურ კომიტეტს“, რომელშიც შევიდნენ ყოფილი თურქი დეპუტატები და მინისტრები. გენერალურ კომიტეტს სათავეში ჩაუდგა ფ. კუნუკი, რომელიც იმ პერიოდში კვიპროსელი თურქების ლიდერი იყო. პირველ რიგში, მან გასცა ბრძანება, ყველა თურქს თავი მოეყარა კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში, საიდანაც ბერძნები უნდა გამოეღვენათ, ამით შეიქმნებოდა ანკლავი, რომელიც თავისუფალი იქნებოდა კვიპროსელი ბერძნებისაგან. 1964 წლისთვის ამ ანკლავში, რომელიც კუნძულის 1,5%-ს შეადგენდა, თავი მოიყარა 50 ათასმა თურქმა კვიპროსელმა, ამავე დროს მათ დაგეგმეს, რომ მომავალ თურქულ ნაწილში უნდა ყოფილიყო კუნძულის ტერიტორიის 38%. ამით მათ სურდათ წინააღმდეგობა გაეწიათ ენოზისის მომხრეებისათვის, რომელსაც მხარს უჭერდა საბერძნეთის მთავრობა და რომელმაც კვიპროსზე ფარულად გაგზავნა დამატებითი საჯარისო ნაწილები²⁴.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ თვით კვიპროსელ ბერძნებს შორის იყვნენ ისეთი ძალებიც, რომლებიც ენოზისის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ძირითადად, ეს იყო მემარცხენე მიმართულების ძალები, რომელთაც პრეზიდენტი მაკარიოსი ხელმძღვანელობდა. მათი აზრით, კვიპროსის საბერძნეთთან გაერთიანება ნაჩქარევი ნაბიჯი იქნებოდა და პირველ ეტაპზე საჭირო იყო ახალგაზრდა სახელმწიფოს გაძლიერება და იმ ურთიერთობების დარეგულირება, რომელიც ქვეყნის ორ ეთნიკურ ჯგუფს აპირისპირებდა. მაკარიოსი, რომელიც ზომიერი პოლიტიკის მომხრე იყო და რომელიც ხედავდა, რომ ამ დაპირისპირებას შეიძლება ქვეყანა ორად გაეხლიჩა, ყველა ზომებს მიმართავდა, რათა არ დაეშვა კვიპროსის გაყოფა. მაგრამ თავისი პოლიტიკის გასატარებლად ის სრულყოფილად ვერ ფლობდა სახელისუფლებო ბერკეტებს. გარდა ამისა, მასზე, ერთი მხრივ, ზეგავლენას ახდენდნენ ენოზისის მომხრეები, რომლებიც შექმნილ სიტუაციაში მოითხოვდნენ კუნძულის გაერთიანებას საბერძნეთთან, ხოლო, მეორე მხრივ, ტაქსიმას მომ-

²⁴ ითვალისწინებდა რა კვიპროსში შექმნილ მდგომარეობას, გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, გაეგზავნა გაეროს ჯარები კუნძულზე.

ზრეები, რომლებიც მოითხოვდნენ კუნძულის გაყოფას ეთნიკური ნიშნის მიხედვით²⁵.

ქვეყნის შიგნით შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას კიდევ უფრო ამძაფრებდა საბერძნეთისა და თურქეთის აქტიური ჩარევა ქვეყნის საშინაო საქმეებში²⁶. ამის მაგალითია თუნდაც ის, რომ როდესაც კვიპროსელმა თურქებმა ჩამოაყალიბეს თავიანთი საჯარისო ფორმირებები, მათ სათავეში თურქი გენერალი ჩაუდგა. შესაბამისად, საპასუხოდ ბერძნებმაც შექმნეს ნაციონალური გვარდია, რომელიც 24 ათას გვარდიელს ითვლიდა. საბერძნეთის მთავრობის დაჟინებული მოთხოვნით, ნაციონალურ გვარდიას ენოზისის აქტიური მოძრე ბერძენი გენერალი გეორგიოს გრივასი ჩაუდგა. სწორედ ის სარდლობდა საბერძნეთიდან ფარულად ჩამოყვანილ დივიზიასაც, რომლის კვიპროსზე ყოფნამ უკიდურესად დაძაბა ვითარება, ხოლო გრივასის მოქმედებებმა და მისმა რადიკალურმა ნაციონალისტურმა პოზიციამ გამოიწვია მაკარიოსის მთავრობის მუშაობის პარალიზება, რომელიც კუნძულის ერთიანობის შენარჩუნებას ცდილობდა. ქრონიკულმა პოლიტიკურმა დაძაბულობამ ნეგატიურად იმოქმედა კვიპროსის ეკონომიკაზე, რომელიც მაშინ მთლიანად იყო დამოკიდებული აშშ-ს, ინგლისისა და სხვა ქვეყნების დახმარებაზე. ამ ფონზე მოსახლეობის ბერძნულ ნაწილში დაიწყო უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება ენოზისისადმი, ხოლო თურქი კვიპროსელები, პირიქით, თავისი გაუსაძლისი პირობების შექმნაში მთლიანად ბერძნებს ადანაშაულებდნენ, რისთვისაც კუნძულიდან მათ განდევნას ცდილობდნენ.

1967წ. 21 აპრილს საბერძნეთში მოხდა სამხედრო გადატრიალება და ქვეყნის სათავეში მოვიდა სამხედრო ხუნტა²⁷, რო-

²⁵ **Л. Н. Анисимов.** Проблемы Кипра..., გვ. 75.

²⁶ 1965წ. აშშ-ს ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა დინ აჩესონმა შეიმუშავა გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა კვიპროსის შეერთებას საბერძნეთთან და იქ „თურქული კანტონების“ შექმნას, მაგრამ ეს გეგმა თურქეთმა და კვიპროსმა უარყვეს.

²⁷ 1967 წლის 21 აპრილის სამხედრო გადატრიალების შედეგად საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი გახდა სამხედრო ხუნტის მეთაური პოლკოვნიკი გ. პაპანდოპულოსი. სამხედროები ქვეყნის შიგნით სდევ-

მელიც თავისი ანტიდემოკრატიული საქმიანობით საბერძნეთის მოსახლეობაშიც და კუნძულ კვიპროსზეც ძალიან არაპოპულარული იყო. ამის შემდეგ კვიპროსის ბერძნულ მოსახლეობაში კიდევ უფრო დამკვიდრდა აზრი, რომ კვიპროსი საბერძნეთისაგან დამოუკიდებლად უნდა განვითარებულიყო, თუმცა უნდა შეენარჩუნებინათ მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირები. ამ გარემოებამ ნაციონალისტებს, გეორგიოს გრივასისა და მისი მომხრეების სახით (პირველ რიგში, საბერძნეთის ხუნტის აქტიური მხარდაჭერით, რომელიც თავისი შელახული ავტორიტეტის აღდგენას ცდილობდა), გადაადგმევინა ნაბიჯი, რომელიც საბედისწერო აღმოჩნდა კვიპროსისთვის.

1967წ. ნოემბერში, პრეზიდენტ მაკარიოსის დაუკითხავად გ. გრივასმა თურქულ ანკლავებზე შეტევის ბრძანება გასცა²⁸. მიუხედავად ენოზისის მომხრეების რიცხობრივი უპირატესობისა, გრივასმა ვერ შეძლო თურქი კვიპროსელების და თურქეთის არმიის ნაწილების წინააღმდეგობის დაძლევა. ამ გარემოებამ ისე დაძაბა ურთიერთობა საბერძნეთსა და თურქეთს შორის, რომ საქმე ლამის ომამდეც კი მივიდა, მაგრამ ეს დაპირისპირება საშიში პრეცედენტი იქნებოდა ნატოს წევრი ქვეყნებისათვის, რომლის წევრები საბერძნეთი და თურქეთი იყვნენ, ამიტომ, აშშ-სა და ინგლისის დაჟინებული მოთხოვნით, 1968 წლის დასაწყისში საბერძნეთი იძულებული გახდა, კვიპროსიდან გაეყვანა კუნძულზე ფარულად მყოფი საბერძნეთის ჯარები, ხოლო გენერალი გრივასი თანამდებობიდან გადააყენეს და კვიპროსიდან გაასახლეს²⁹. ამის შემდეგ, საბერძნეთმა და თურქეთმა, შეთანხმების საფუძველზე, შეამცირეს თავიანთი სამხედრო კონტინგენტი³⁰.

ნიდნენ დემოკრატიულ ძალებს და თავიანთ საგარეო პოლიტიკაში გამოდიოდნენ „დიდი საბერძნეთის“ შექმნის იდეით, სადაც კვიპროსის საკითხი ერთ-ერთი უმთავრესი იყო.

²⁸ **თ. კიკნაძე.** კვიპროსის დამოუკიდებლობის გამოცხადება და ბერძნულ-თურქული კონფრონტაციის გამწვავება. – *„ისტორია და თანამედროვეობა“*. თბ., 1993, გვ. 14-15.

²⁹ **Л. Н. Анисимов.** Проблемы Кипра..., გვ. 52.

³⁰ შეთანხმების თანახმად საბერძნეთს უფლება ჰქონდა კუნძულზე ჰყოლოდა 960 ჯარისკაცი, ხოლო თურქეთს – 650.

1967 წლის მოვლენებმა თურქი კვიპროსელები აიძულა, დაეწყოთ თავიანთი ადმინისტრაციული სტრუქტურების შექმნა, რომელიც დამოუკიდებელი იქნებოდა კვიპროსის ცენტრალური ხელისუფლებისაგან. 1967 წლის 29 დეკემბერს თურქი კვიპროსელების ლიდერებმა შექმნეს დროებითი ადმინისტრაცია, რომელშიც შევიდა 10 თურქი მინისტრი მათი ლიდერის ფ. კუჩუკის ხელმძღვანელობით. თურქი კვიპროსელების სამხედრო ფორმირებებში შემოიღეს თურქეთის არმიის სამხედრო ფორმა და მათი განმასხვავებელი ნიშნები.

გ. გრივასის ავანტიურის დამარცხებამ და საბერძნეთის ჯარების გაყვანამ კუნძულიდან ენოზისის მომხრეებს შორის დიდი გულგატეხილობა გამოიწვია, თუმცა მათ ფარ-ხმალი არ დაუყრიათ, რადგან მათ უკან საბერძნეთი იღვავდა, რომლის სათავეში მყოფი სამხედრო ხუნტა მხოლოდ ხელსაყრელ დროს ელოდებდა, რათა კვლავ ეცადა კვიპროსის შემოერთება. ახალ პირობებში ენოზისის მთავარ ძალას არალეგალურად მოქმედი ორგანიზაცია ეოკა-2 წარმოადგენდა, რომელსაც სათავეში კვიპროსზე 1971 წელს არალეგალურად დაბრუნებული გეორგიოს გრივასი ჩაუდგა. ეოკა-2 და მისი ხელმძღვანელები მიზნის მისაღწევად პოლიტიკურ დესტაბილიზაციას გეგმავდნენ, რაც შეიძლებოდა გამხდარიყო საბერძნეთის არმიის ინტერვენციის მიზეზი კვიპროსზე, რასაც მოჰყვებოდა მისი გაერთიანება საბერძნეთთან.

ეოკა-2-ის ტერორისტული აქციები ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა თურქ კვიპროსელებს, რომლებიც კუნძულის გაყოფისკენ ისწრაფვოდნენ. მათი ლიდერები კვიპროსის მთავრობისაგან მოითხოვდნენ, ეცნოთ კვიპროსელი თურქების დროებითი ადმინისტრაცია და ფაქტობრივად კუნძული ეთნიკური ნიშნის მიხედვით გაეყოთ³¹.

შექმნილ ვითარებაში პრეზიდენტი მაკარიოსი, პირველ რიგში, ცდილობდა არ დაეშვა კვიპროსის გაყოფა და აღეკვეთა სა-

³¹ 1974 წელს კვიპროსელმა თურქებმა მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე დაიწყეს თავიანთი საფოსტო მარკების გამოშვება. გარდა ამისა ფულის ერთეულად კვიპროსული ფუნტის ნაცვლად დაიწყეს თურქული ლირის გამოყენება.

ბერძნეთის სათავეში მდგომი სამხედრო ხუნტის ჩარევა ქვეყნის საშინაო საქმეებში, მაგრამ ამაოდ. 1974 წლის 15 ივლისს კვიპროსში მოხდა სამხედრო გადატრიალება, რომლის ინიციატორებიც იყვნენ ნაციონალური გვარდია, ეოკა-2 და ენოზისის სხვა მომხრეები, მათ გადააყენეს მაკარიოსი და პრეზიდენტად გამოაცხადეს ნიკოლას სამპსონი³². ფაქტობრივად, ამ მოვლენების უკან იდგნენ საბერძნეთის სამხედრო ხუნტა და კვიპროსელი ულტრანაციონალისტები. ამ გადატრიალების შედეგები სავალალო აღმოჩნდა კვიპროსისთვის. დაიწყო იმ ბერძნების დევნა, რომლებიც საბერძნეთის ხუნტის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. კვიპროსის ნაციონალურმა გვარდიამ დაიკავა კვიპროსელი თურქებით დასახლებული სოფლები, რის შედეგად ბევრმა მათგანმა ვერ მოასწრო კვიპროსის ჩრდილოეთში, თურქულ ანკლავებში გაქცევა და ციხეებში მოხვდა. ამით ისარგებლა თურქეთმა და კვიპროსელი თურქების დასაცავად 1974 წლის 20 ივლისს კვიპროსში თავისი ჯარები შეიყვანა.

კვიპროსში მიმდინარე მოვლენებს სასწრაფოდ გამოეხმაურა გაერო, რომელმაც 1974 წლის 20 ივლისს (იმავე დღეს, როცა ცნობილი გახდა თურქეთის არმიის ნაწილების შესვლა კვიპროსში) შემდგარ უშიშროების საბჭოს სხდომაზე განიხილა კვიპროსში შექმნილი მდგომარეობა და მოუწოდა ყველა ქვეყანას (პირველ რიგში, იგულისხმებოდა საბერძნეთი და თურქეთი), პატივი ეცათ კვიპროსის სუვერენიტეტისათვის და დაუყოვნებლივ გაეყვანათ ქვეყნიდან უცხო ქვეყნის ჯარები. გაეროს მოთხოვნამ და კვიპროსის მოსახლეობის დიდი ნაწილის დამოკიდებულებამ პუტჩისტებისადმი აიძულა ნ. სამპსონი, 23 ივლისს გადამდგარიყო. ქვეყნის დროებითი მეთაური გახდა პარლამენტის თავმჯდომარე გ. კლირიდისი, რომელსაც, კონსტიტუციის თანახმად, საჭიროების შემთხვევაში შეეძლო შეეცვალა პრეზიდენტი³³.

³² ნიკოლას სამპსონი (1935-1996) – ნამდვილი სახელი ნიკოს გეორგიადისი. გრივასის გარდაცვალების შემდეგ, 1974 წლის იანვარში, სათავეში ჩაუდგა ეოკა-2-ს. სამპსონი, ისევე როგორც გრივასი, გამოირჩეოდა უკიდურესი ნაციონალისტური შეხედულებებით.

³³ C. Tornaritis. Cyprus and its Constitutionale and other Legal., გვ. 36.

კვიპროსზე მომხდარმა მოვლენებმა დიდი გავლენა იქონია თვით საბერძნეთში არსებული სამხედრო მმართველობის დასასრულზე. 1974 წლის 24 ივლისს საბერძნეთში ხელისუფლება გადავიდა სამოქალაქო მთავრობის ხელში, რომელსაც სათავეში კ. კარამანლისი ჩაუდგა. ნატოს წევრ ქვეყნებს შორის (საბერძნეთი და თურქეთი) გამწვავებულმა ურთიერთობამ, აიძულა ნატოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა, მოეთხოვა დაპირისპირებული მხარეებისათვის, საკითხი გადაეწყვიტათ დიალოგის და მოლაპარაკების გზით. 1974 წლის 25 ივლისიდან 14 აგვისტომდე უნერგაში საბერძნეთისა და თურქეთის წარმომადგენლებს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკება, რომელშიც კვიპროსის ბერძნული და თურქული თემების წარმომადგენლები კვლავ არ მონაწილეობდნენ. მხოლოდ ბერძნული მხარის დაუნიებელი მოთხოვნის შედეგად ჩართული იქნენ მოლაპარაკებაში კვიპროსის მოსახლეობის წარმომადგენლები – გ. კლირიდისი და რ. დენკტაში³⁴.

მოლაპარაკებების დროს თურქეთმა და კვიპროსელმა თურქებმა წამოაყენეს კუნძულზე ფედერალური სახელმწიფოს შექმნის იდეა, რომელშიც იქნებოდა ბერძნული და თურქული ავტონომიური ოლქები. კვიპროსელმა ბერძნებმა უარყვეს ეს წინადადება, რადგან ამ შემთხვევაში, ფაქტობრივად, კვიპროსის ტერიტორიის დიდი ნაწილი თურქების ხელში გადადიოდა. საქმეს ართულებდა ისიც, რომ თურქების ხელში მოხვედრილი მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი (კვიპროსის ტერიტორიის დაახლოებით 30%) ბერძნებს ეკუთვნოდა და ამასთან ყველაზე ნაყოფიერი იყო. ამგვარი ადმინისტრაციული დაყოფა არასწორი და უსამართლოც იყო თუნდაც იმიტომ, რომ კვიპროსის თურქული მოსახლეობა, რომელიც მაშინ კვიპროსის მოსახლეობის 18%-ს შეადგენდა, ქმნი-

³⁴ რაუფ დენკტაში, შემდგომში კვიპროსის არაღიარებული თურქული ნაწილის პრეზიდენტი. დაიბადა 1924 წელს. განათლება მიიღო ინგლისში. მუშაობდა კვიპროსზე ინგლისის კოლონიურ ადმინისტრაციაში. 1956-1959 წლებში იყო კვიპროსის გენერალური პროკურორის მოადგილე, 1963-1968 წლებში ტერორისტული საქმიანობისთვის იმალებოდა თურქეთში. 1975 წლიდან „კვიპროსის თურქული ფედერაციული სახელმწიფოს პრეზიდენტი“, ხოლო 1983 წლიდან – ე.წ. „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის“ პრეზიდენტი.

და ეროვნული შემოსავლის მხოლოდ 10%-ს. გარდა ამისა, მიწა, რომელიც რეგისტრირებული იყო კვიპროსელ თურქებზე, შეადგენდა კვიპროსის მთელი მიწის ფონდის მხოლოდ 12,5%-ს, მაშინ როდესაც ბერძნების სახელზე რეგისტრირებული იყო მიწის 58,8%. დარჩენილი 27% მიწისა სახელმწიფოს საკუთრება იყო და თუ მოხდებოდა მისი გადანაწილება მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, კვიპროსელი თურქების წილი საერთო ჯამში მიწის 17,9% დარჩებოდა³⁵. თავად კვიპროსელი ბერძნები იმ პერიოდში, ეყრდნობოდნენ რა თავიანთ რიცხობრივ უპირატესობას, საჭიროდ არ თვლიდნენ დათანხმებას ფედერალური სახელმწიფოს შექმნასა და კუნძულის ორ თემს შორის სრულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ თანასწორობაზე. მოლაპარაკებების დროს არც ერთი მხარე არ წავიდა დათმობაზე, რის შედეგადაც კომპრომისის მიღწევა ვერ მოხერხდა.

სანამ ჟენევაში მოლაპარაკებები მიდიოდა, თურქები გეგმაზომიერად იკავებდნენ კვიპროსის იმ ნაწილებს, რომელიც ბერძნებით იყო დასახლებული, ამ მოვლენებს თან სდევდა ვანდალიზმისა და გენოციდის აქტები³⁶. ეს იყო გამიზნული პოლიტიკა, რომელიც თურქების მიერ იყო შემუშავებული, რათა გამოეწვიათ პანიკა ბერძნულ მოსახლეობაში და აეძულებინათ ისინი, დაეტოვებინათ თავიანთი სახლ-კარი.

ჟენევის კონფერენციის ჩაშლის შემდეგ თურქეთის არმიამ დაიწყო მასირებული შეტევა და 1974 წლის 16 აგვისტოს მიაღწია იმ საზღვარს, რომელიც, ჯერ კიდევ 60-იან წლებში, თურქების მიერ დაგეგმილი იქნა საზღვრად ბერძნულ და თურქულ თემებს შორის. თურქებმა ხელთ იგდეს 3422 კვ. კმ, რაც კვიპროსის ტერიტორიის 37%-ს შეადგენდა, აქ მოხვდა ნიქოზიის ჩრდილოეთი ნაწილი და ყველა მნიშვნელოვანი პორტი, ხილისა და ციტრუსების გადამამუშავებელი საწარმოები, სასტუმროები და სხვა ინფრასტრუქტურა, რომელიც კვიპროსის ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა. საერთო გათვლებით, ამ კონფლიქტ-

³⁵ **Materials of the UN Security Council dated of July, August, September 1974.** The United Nations. New York, 1974, გვ. 167.

³⁶ **Л. Н. Анисимов** Проблемы Кипра..., გვ. 92.

ტის შედეგად კვიპროსის სამხრეთ ნაწილში იძულებით გადასახლდა 200 ათასი ბერძენი, ხოლო 40 ათასი კვიპროსელი თურქი – ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში³⁷.

თურქეთის მთავრობის ამ ქმედებებმა დიდი ზიანი მიაყენა საბერძნეთის მთავრობის მცდელობებს კონფლიქტის მშვიდობიანად მოსაგვარებლად, რაც გამოიხატა კვიპროსის მიმართ საბერძნეთის ხუნტის ავანტიურის დაგმობასა და ენოზისის პოლიტიკაზე უარის თქმაში. კვიპროსელმა თურქებმა და თურქეთის სახელმწიფომ კი, პირიქით, შექმნილი მდგომარეობა გამოიყენეს კვიპროსის ორად გაყოფისათვის, რათა შემდგომში იგი შეეერთებინათ თურქეთთან³⁸. საბერძნეთისა და კვიპროსის მთავრობათა უარმა ენოზისზე შეაფერხა თურქული ტაქსიმას პოლიტიკა, რადგან ამერიიდან არ არსებობდა კვიპროსის საბერძნეთთან მიერთებისა და კუნძულზე ბერძენთა სამხედრო ინტერვენციის საშიშროება. ამიტომ თურქულმა მხარემ ფორმალურად უარი თქვა ტაქსიმას პოლიტიკაზე და გამოვიდა კვიპროსში ფედერალური სახელმწიფოს შექმნის მოთხოვნით.

იმავედროულად კვიპროსელი თურქების მთავარი საზრუნავი იყო მიტაცებული ტერიტორიის სწრაფი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრირება თურქეთის რესპუბლიკასთან. უფრო მეტიც, 1975 წლის თებერვალში კვიპროსელმა თურქებმა, მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, ცალმხრივად გამოაცხადეს ე.წ. „კვიპროსის თურქული ფედერაციული სახელმწიფოს“ შექმნა. თურქეთის ასეთ მოქმედებას, არავითარი კავშირი არ ჰქონდა როგორც კვიპროსის კონსტიტუციასთან, ასევე საერთაშორისო სამართლის ნორმებთან და როდესაც კვიპროსის თურქულ ნაწილში ჩატარდა რეფერენდუმი, სრულიად იგნორირებული იქნა იმ 200 ათასი კვიპროსელი ბერძენის აზრი, რომელიც ცხოვრობდა ამ მიწებზე და შემდგომში დევნილად იქცა თავისივე ქვეყანაში.

თურქული კვიპროსის პრეზიდენტად გამოცხადებულ იქნა

³⁷ C. Tornaritis. Cyprus and its Constitutionale and other Legal., გვ. 65.

³⁸ საგულისხმოა, რომ ამ ფაქტს აფხაზი სეპარატისტები ხშირად იშველიებენ, როცა საუბრობენ აფხაზეთის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შეყვანაზე.

კვიპროსელი თურქების ლიდერი რ. დენკტაში, რომელიც ფორმალურად 1973 წლიდან კვიპროსის ვიცე-პრეზიდენტი იყო. კვიპროსის ამ ნაწილში შეიქმნა საკანონმდებლო ორგანო და მთავრობა, რომელშიც უმრავლესობა კვიპროსის თურქეთთან გაერთიანების მომხრე იყო. ასევე შეიქმნა ადმინისტრაციული და ტერიტორიული ორგანოები. 1976 წელს კვიპროსის თურქულ ნაწილში მიიღეს კონსტიტუცია, რომელშიც პირდაპირ ეწერა, რომ კვიპროსი არის თურქეთის განუყოფელი ნაწილი, ხოლო ჩრდილოეთში დარჩენილი კვიპროსელი ბერძნები ცხადდებოდნენ უცხო სახელმწიფოს მოქალაქეებად, რომელთა ქონება, მათი გასახლების შემდეგ, ექვემდებარებოდა კონფისკაციას კვიპროსელი თურქების სასარგებლოდ³⁹.

დაიწყო კვიპროსის ერთი ნაწილის თურქიზაციის პროცესი, კერძოდ ქალაქების და სოფლების ბერძნული სახელები შეიცვალა თურქულით. მაგ. ნიქოზიის თურქული ნაწილი გახდა ლეფკოშა და ა.შ. მოსახლეობაში ინერგებოდა თურქული შოვინიზმი, იღვენებოდა საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც კვიპროსის ერთიან სახელმწიფოდ შენარჩუნებას მოითხოვდა. დაიწყო კვიპროსის თურქული ნაწილის სწრაფი მილიტარიზაციის პროცესი, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდა ოფიციალური ანკარა. ასევე სწრაფი ტემპით დაიწყო თურქული კვიპროსის ეკონომიკის ინტეგრირება თურქეთის ეკონომიკაში. თურქული ლირა გახდა თურქული კვიპროსის ფულის ერთეული, თურქეთის კონტროლქვეშ გადავიდა კავშირგაბმულობის ყველა სახეობა (ფოსტა, ტელეგრაფი, სატელეფონო კავშირი), საზღვაო და საჰაერო კომუნიკაციები. იქმნებოდა შერეული საწარმოები, სოფლის მეურნეობის, გადამამუშავებელი, ტურიზმისა და სხვა დარგებში.

თურქეთი ყოველნაირად ცდილობდა, ეკონომიკურად დაეინტეგრესებინა კვიპროსელი თურქები. ამ მიზნით მათ თავის თავზე აიღეს თურქული კვიპროსის ბიუჯეტის ნახევრის დაფინანსება. თურქების ეკონომიკურმა დახმარებამ კვიპროსელი თურქების მი-

³⁹ C. Tornaritis. Cyprus and Its Constitutional..., გვ. 78; Л. Н. Анисимов. Проблемы Кипра..., გვ. 92.

მართ თავის შედეგი გამოიღო და თუ 1977 წელს მათი ნაციონალური შემოსავალი სულ რაღაც 3 მილიარდ თურქულ ლირას შეადგენდა, 1982 წელს 33 მილიარდი ლირა შეადგინა. ეკონომიკის ზრდამ 1982 წელს 2,5%, ხოლო საგარეო ვაჭრობის მოცულობამ 2-დან 28 მილიარდი ლირა შეადგინა. გარდა ამისა, აიღო რა ორიენტირი თურქულ ეკონომიკურ მოდელზე, თურქული კვიპროსის ყველა მსხვილი საწარმო გაერთიანდა „სამრეწველო ჰოლდინგში“, რაც ამაღლებდა მათ ეკონომიკურ ეფექტს.

XX საუკუნის 70-იან წლებში კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილში დაიწყო ანატოლიის თურქების ჩამოსახლება. ორგანიზაციების აზრით, ეს ხელს შეუწყობდა თურქული კვიპროსის სწრაფ ინტეგრაციას თურქეთის სახელმწიფოსთან. გარდა ამისა, ყველა გადმოსახლებული დებულობდა იმ ქონებას და მიწას, რომელიც ბერძნების მიერ იყო მიტოვებული (!). რა თქმა უნდა, გადმოსახლებულები თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე, ყოველმხრივ უჭერდნენ მხარს თურქული კვიპროსის ინტეგრაციას თურქეთთან. გადმოსახლებული თურქებისაგან იქმნებოდა პოლიტიკური პარტიები, რომელთა ლიდერები (ისეთი, როგორიც იყო თურქეთის არმიის ყოფილი პოლკოვნიკი ი. ტეზერი – რ. დენკტაშის ერთ-ერთი მინისტრთაგანი) პირდაპირ მოითხოვდნენ ჩრდილოეთ კვიპროსის თურქეთთან მიერთებას. ასე რომ, თავისი მიზნის მისაღწევად კვიპროსელმა თურქებმა ამ პერიოდში ბევრი მომხრე გაიჩინეს.

თურქული კვიპროსის ლიდერები ცდილობდნენ საერთაშორისო არენაზე თავიანთი მიზნებისთვის გამოეყენებინათ ისლამური ფაქტორიც. ისლამის ქვეყნების კონფერენციის ორგანიზაციაში მათ დამკვირვებლის სტატუსი მიიღეს. 80-იან წლებში საუდის არაბეთის პრინციის მოჰამედ ალ-ფეისალ ას-საუდის ინიციატივით თურქულ კვიპროსში გაიხსნა ისლამური ბანკებისა და ეკონომიკის საერთაშორისო ინსტიტუტი, ასევე გაიხსნა კვიპროსის ისლამური ბანკი, რომლის კაპიტალი 10 მილიონ დოლარს შეადგენდა და რომლის მიზანი ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის დაფინანსება იყო (პირველ რიგში, ტურიზმის სფერო). საუდის არაბეთის გარდა, კვიპროსელ თურქებთან აქტიური ეკონომიკური თანამშრომლობა დაიწყო იორდანიაში, ირანმა, პაკისტანმა და სხვა მუსლი-

მურმა სახელმწიფოებმა.

საერთაშორისო არენაზე კვიპროსელი თურქები და მათ უკან მდგომი თურქეთის სახელმწიფო ცდილობდნენ, არ დაეშვათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მათ მიმართ სანქციების დაწესება კვიპროსის ნაწილის უკანონო ოკუპაციისთვის. ამ მიზნით კვიპროსელი თურქები გაეროს ეგიდით აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა სახის მოლაპარაკებებში. ყოველივე ეს სჭირდებოდათ დროის მოსაგებად, რათა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი შეგუებოდა თურქული კვიპროსის არსებობას და მიეღწიათ მისი აღიარებისათვის. ბერძნულ და თურქულ თემებს შორის ათწლიანი უნაყოფო მოლაპარაკებების შემდეგ, თურქულმა მხარემ 1983 წელს შეწყვიტა მოლაპარაკება და გადადგა კიდევ ერთი ნაბიჯი თურქეთთან ინტეგრაციისკენ.

1983 წლის 15 ნოემბერს ე.წ. კვიპროსის თურქული ფედერაციული სახელმწიფოს ადგილობრივმა საკანონმდებლო ორგანომ მიიღო რეზოლუცია კვიპროსის თურქული ნაწილის თვითგამორკვევის შესახებ. ამ რეზოლუციის თანახმად, იმავე წლის 15 ნოემბერს გამოცხადდა „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის“ შექმნა, რომლის პრეზიდენტი კვლავ გახდა რ. დენკტაში. მან პირველსავე საჯარო გამოსვლაში განაცხადა, რომ იმედი აქვს თურქეთის არამართო მხარდაჭერის, არამედ პოლიტიკური აღიარებისაც. თურქეთმა არ დააყოვნა და ეს სეპარატისტული წარმონაქმნი მაშინვე სცნო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ (დღემდე კვიპროსის ამ ნაწილის დამოუკიდებლობას სცნობს მხოლოდ თურქეთი და ყოფილი ავღანეთის თალიბანის რეჟიმი).

მიუხედავად კვიპროსელი თურქების და მათი მფარველების არაერთი მცდელობისა, მსოფლიო თანამეგობრობამ არ აღიარა ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა. უფრო მეტიც, გაეროს უშიშროების საბჭომ თავის რეზოლუციებში გამოხატა სერიოზული შეშფოთება თურქული თემის სეპარატისტულ მოქმედებასთან დაკავშირებით და მათი გადაწყვეტილება უკანონოდ გამოცხადდა. გაერომ, 1984 წლის 15 მაისის რეზოლუციით, ყველა სახელმწიფოს მოუწოდა, არ ეცნოთ ე.წ. ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა, ხოლო კონფლიქტის მხარეებს მო-

ლაპარაკების განახლებისკენ მოუწოდა⁴⁰.

ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის დიალოგის მცდელობა არაერთხელ ყოფილა. ჯერ კიდევ 1968 წლის 3-5 ივნისს ქ. ბეირუთში შედგა კვიპროსის ორი თემის წარმომადგენლების – გ. კლირიდისის და რ. დენკტაშის შეხვედრა, სადაც მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის თანახმად იმავე წლის 24 ივლისს კვიპროსზე, გაეროს წარმომადგენლების მონაწილეობით, დაიწყებოდა მოლაპარაკება. მოლაპარაკებები შედგებოდა რამდენიმე ეტაპისაგან და მისი მთავარი მიზანი იყო, მხარეებს ერთმანეთისთვის გაეცნოთ თავიანთი ხედვა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, სასამართლო სისტემის, პოლიციის, ადგილობრივი თვითმართველობის საკითხების შესახებ.

კვიპროსელი ბერძნების მოსაზრება ქვეყნის მოწყობის შესახებ წარდგენილი იქნა 1970 წლის სექტემბერში გამართული მოლაპარაკებების დროს. მათი აზრი ჩამოყალიბებული იყო რამდენიმე პუნქტად: 1. კვიპროსი უნდა ყოფილიყო უნიტარული და სუვერენული სახელმწიფო თავისი I კონსტიტუციით, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა დემოკრატიის პრინციპებზე და გაეროს წესდებაზე. 2. კვიპროსის ყველა მოქალაქეს, განურჩევლად რასისა და რელიგიური შეხედულებებისა, უნდა ჰქონოდა თანაბარი და სრული უფლებები. 3. კვიპროსელი თურქებისათვის ავტონომიის მინიჭება განათლების, კულტურის და რელიგიის საკითხებში და ა.შ. როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, კვიპროსელი ბერძნები მომხრე იყვნენ არა ფედერალური სახელმწიფოს შექმნისა, როგორც ამას მოითხოვდა მეორე მხარე, არამედ უნიტარულისა და ეროვნული უმცირესობისთვის ფართო კულტურული ავტონომიის მინიჭებისა, მაგრამ 1974 წლის მოვლენებმა მათი პოზიციები შეარბილა. 1975 წლის 10 თებერვალს გ. კლირიდისმა კვიპროსელი თურქების ლიდერს რ. დენკტაშს გაუგზავნა ახალი წინადადებების პაკეტი⁴¹, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო სახე-

⁴⁰ *Resolutions Adopted by the United Nation on the Cyprus problem. 1964-1993. Nikosia, 1993, გვ. 25.*

⁴¹ *Доклад Генерального секретаря ООН Совету Безопасности о событиях на Кипре. Приложение А. Док. ООН S/II 624.*

ლმწიფო მოწყობის ახალი გეგმა. კერძოდ:

- კვიპროსი უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფო.
- მის ძირითად კანონს წარმოადგენდა კონსტიტუცია, რომელიც ქვეყნის ფედერალურ მოწყობას აღიარებდა.
- კვიპროსელ თურქებს მიეცემოდათ ქვეყნის ჩრდილოეთი ნაწილის (ზღვის ორივე მხარეს) მართვის უფლება.
- მათ მართვა-გამგებლობაში გადავიდოდა აგრეთვე სხვა რაიონებიც, თუ მოსახლეობის უმრავლესობას კვიპროსელი თურქები შეადგენდნენ.
- ცენტრალურ მთავრობას ფედერალურ სახელმწიფოში უნდა ჰქონოდა ფართო უფლებები.
- იმ კვიპროსელი ბერძნების სამართლებრივი სტატუსი, რომლებიც იცხოვრებდნენ თურქულ რაიონებში, კანონით უნდა ყოფილიყო რეგულირებული.
- ადამიანის უფლებები უნდა ყოფილიყო გარანტირებული კონსტიტუციით, რომლითაც განსაზღვრული იქნებოდა კუნძულზე თავისუფალი გადაადგილების უფლება.
- განსაზღვრული და დაცული უნდა ყოფილიყო საკუთრებისა და მისი გამოყენების უფლება კვიპროსის ნებისმიერ რაიონში.

1975 წლის 13 თებერვალს კვიპროსელმა თურქებმა ბერძნული მხარის ამ წინადადებებს უპასუხეს შემდეგი კონტრწინადადებით: კვიპროსი უნდა ყოფილიყო „დამოუკიდებელი და საერთო რესპუბლიკა, რომელიც უნდა შედგებოდეს ორი (ბერძნული და თურქული) რეგიონალური ფედერაციული სახელმწიფოსაგან, თავისი კონსტიტუციითა და თავისი სამართლებრივი სისტემით. ფაქტობრივად, ეს ნიშნავდა კუნძულის ორ ნაწილად გაყოფის დაკანონებას, რომელზეც ბერძნული მხარე კატეგორიულად უარს აცხადებდა, მაგრამ თანახმა იყო ქვეყნის მოწყობის ფედერაციულ პრინციპებზე, სადაც ორივე თემს თანაბარი უფლებები ექნებოდა.

მიუხედავად ამისა, თურქეთის მთავრობა ცდილობდა, დიპლომატიური და ეკონომიკური მხარდაჭერა აღმოეჩინა თავის ან-

კლავისათვის⁴². ეკონომიკური ინტეგრაცია გამოიხატა კერძო ინვესტიციების მოზიდვაში. ამ მიზნით ჩრდილოეთ კვიპროსის პარლამენტმა მიიღო კანონი პორტო-ფრანკოსა⁴³ და თურქეთის არმიის მიერ ოკუპირებულ ფამაგუსტაში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის შესახებ. ამ ქალაქს თურქული სახელი მაგოსი ეწოდა და იგი ფრიად მიმზიდველი გახდა უცხოელი ინვესტორებისათვის.

არ გამართლდა თურქეთისა და ჩრდილოეთ კვიპროსის მესვეურების იმედი მუსლიმური სახელმწიფოების მიერ ჩრდილოეთ კვიპროსის აღიარების შესახებ. მათ ყურად იღეს გაეროს უშიშროების საბჭოს შეფასება, რომელშიც დამოუკიდებელი თურქული ჩრდილოეთ კვიპროსის რესპუბლიკის გამოცხადება განიხილებოდა, როგორც იურიდიულად არალეგიტიმური ქმედება.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ქვეყნები და აშშ მხარს უჭერდნენ კვიპროსის ერთიანობას, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მახლობელ აღმოსავლეთში დაძაბული პოლიტიკური ვითარების ფონზე მათი ინტერესები ამ რეგიონის მიმართ გაიზარდა. რეგიონში მშვიდობის შენარჩუნებისათვის აშშ-მ ჩრდილოეთ კვიპროსის ტერიტორიაზე, ლეფაკონიკოს მახლობლად, სამხედრო აეროდრომი ააშენა, რომელსაც ძალიან დიდი სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია და რომლის ღირებულება 500 მილიონ დოლარს აღწევს. რეგიონში აშშ-ის დაინტერესების ზრდა ხელს აძლევს ჩრდილოეთ კვიპროსის მთავრობასაც და ის აშშ-ს სამხედრო ყოფნას რეგიონში განიხილავს, როგორც საერთაშორისო იზოლაციის გარღვევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას.

ჩრდილოეთ კვიპროსის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებამ და ხელსაყრელმა საინვესტიციო ფონმა მართლაც მიიზიდა უცხოური კაპიტალი. ამ მხრივ, განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევიან მუსლიმური ქვეყნები: საუდის არაბეთი, იორდანია,

⁴² თურქეთის სანაპიროდან ჩრდილოეთ კვიპროსის სანაპირომდე ზღვის ფსკერზე გაყვანილ იქნა 100-მეტრის სიღრმის ვაჭარის კაბელი, რომელმაც სრულად დააკმაყოფილა ჩრდილოეთ კვიპროსის მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე, რომელიც მანამდე კვიპროსის ცენტრალურ მთავრობაზე იყო დამოკიდებული.

⁴³ Porto-franko – თავისუფალი ნავსადგური.

კუვეიტი და სხვა მდიდარი არაბული სახელმწიფოები, რომლებმაც დიდი ინვესტიციები ჩადეს კვიპროსის ამ ნაწილში⁴⁴.

ამასობაში კვიპროსის სამხრეთი გაერთიანებული ევროპის ნაწილი გახდა, რომლის გორდიასის კვანძად დღემდე რჩება კვიპროსის გადაუჭრელი საკითხი. ზემოხსენებული მოვლენები ამკარად მიუთითებს, რომ კვიპროსზე არსებული ეთნოკონფლიქტი, ფაქტობრივად წარმოადგენს ორი ქვეყნის პოლიტიკურ ბრძოლას კვიპროსზე გაბატონებისათვის. ეს მოვლენები კიდევ ერთხელ გვიჩვენებენ, რა შეიძლება მოჰყვეს მოსახლეობაში ულტრანაციონალისტურ პროპაგანდას, რომლის უკან ყოველთვის დგანან დაინტერესებული გარეშე ძალები და რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ შექმნილი პოლიტიკური ვითარების თავის სასარგებლოდ გამოყენებას. ძნელია იმის თქმა, როდის გადაწყდება ეს კონფლიქტი, მაგრამ ახლო მომავალში ქვეყნის სახელმწიფოებრივ მოწყობაზე მხარეებს შორის პირდაპირი დიალოგის განახლებას ალტერნატივა არ გააჩნია.

⁴⁴ საუდის არაბეთმა ნიქოზია-კირინეას ავტოსტრადის ასაშენებლად 450 მილიონი დოლარი გამოჰყო, მანვე გასცა 100 მლნ დოლარი საცხოვრებელი სახლებისა და მეჩეთების მშენებლობისათვის და ა.შ.

ОМАР В. АРДАШЕЛИЯ

К ВОПРОСУ КИПРСКОГО КРИЗИСА

В статье вкратце освещена история этноконфликта на Кипре, в результате которого это государство раскололось на две – греческие и турецкие части. Выявлены причины возникновения противостояния двух этносов и вовлечения в конфликт Греции и Турции. Этноконфликт на Кипре наглядное свидетельство того, к чему может привести ультранационализм сторон и как легко разрушить гражданское и этническое равновесие необдуманными действиями. В статье прослеживаются все стадии конфликта, как и попытки сторон, преодолеть в силу своих возможностей затянувшийся конфликт.

OMAR ARDASHELIA

TO THE ISSUE OF THE CRISIS IN CYPRUS

The paper briefly deals with the history of ethnical conflict in Cyprus, which ended with the break-up of island into two parts – Greek and Turkish. Author discusses the origin of the conflict and the causes of the confrontation between two nations and of the involvement of Greece and Turkey. The conflict in the Cyprus is a visual evidence, what can be the results of the ultra nationalism of the parties and clearly shows how easily the civil and ethnical equilibrium can be destroyed due to the hasty actions. The paper traces both the development of all the stages of the conflict and the attempts of the parties to solve the prolonged conflict.

დაზმირ ჯოჯუა

კოსოვოს პრეცედენტი

„კოსოვოს კრიზისი“ თანამედროვე გლობალური პოლიტიკის ერთ-ერთი ცენტრალური ობიექტია და ამა თუ იმ ფორმით მის გადაწყვეტას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ბალკანეთში რეგიონალურ-სუბრეგიონალური პროცესების განვითარების თვალსაზრისით, არამედ საერთაშორისო ურთიერთობათა მსოფლიო სისტემაში თვისობრივად ახალი ტენდენციების დამკვიდრების კუთხით. მხედველობაში გვაქვს ის სერიოზული პარადიგმატული ცვლილებები გლობალურ პოლიტიკაში და, განსაკუთრებით, პოლიეთნიკური სტრუქტურის მქონე ფედერაციული მოწყობის სახელმწიფოების საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში, რომელთა პროვოცირებაც შეიძლება მოახდინოს კოსოვოს საკითხის დარეგულირებამ მისი სუვერენიზაციის ფორმით. კოსოვოს დამოუკიდებლობამ და ამ დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებამ, შესაძლოა, არც თუ ისე შორეულ პერსპექტივაში სტიმული მისცეს სეცესიონისტური პროცესების განვითარებას არა მარტო ბალკანეთში, არამედ მთელს მსოფლიოში. მან შეიძლება დაამკვიდროს რეგიონალური პროცესების მართვის სრულიად ახლებური კოდები და, ასე ვთქვათ, მატრიცული ტექნოლოგიები, რომლებიც დაეფუძნება ერთა თვითგამორკვევის პრინციპის აბსოლუტიზაციას სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ხელშეუხებლობის პრინციპის ერთგვარი უკანდაწევის (ან თუნდაც ნიველირების) ფონზე. ამგვარი პერსპექტივა განსაკუთრებით სახიფათოა იმ ქვეყნებისათვის, რომლებსაც გააჩნიათ მულტიეთნიკური მოსახლეობა და ტერიტორიულ-ეთნიკური ავტონომიები.

„კოსოვოს პრეცედენტი“ გამოიწვევს გლობალურ გეოპოლიტიკურ რეველუციას მთელს პლანეტაზე და თვით ევროკავშირის

მულტიკულტურულ სახელმწიფოებში, ამ ხასიათის რეკლუციებისათვის იმანენტურად დამახასიათებელი ქაოტური პროცესებით, კონფლიქტებით, საზღვრების გადასინჯვის ურთულესი პროცედურებით. შედეგად მთელს რიგ რეგიონებში ჩამოყალიბდება დესტაბილიზებული, ეთნიკური ავტონომიების სეპარატისტული მოძრაობებით ატომიზებული სივრცე, რომლის მართვაც (თუნდაც სამხედრო კონტროლიც კი) პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება. დიდად სამწუხაროა, რომ აშშ და დასავლეთის პოლიტიკური ელიტა იმდენად არიან დაინტერესებულნი ანტიდასავლური ორიენტაციის მქონე სერბეთის დასჯით, რომ ბოლომდე ვერ აცნობიერებენ „კოსოვოს პრეცედენტის“ მადესტაბილიზებელ როლს უახლესი მომავლის გლობალურ პოლიტიკაში.

საქართველო სისხლხორცეულად არის დაინტერესებული კოსოვოს კრიზისის სამართლიანი დარეგულირებით. რასაკვირველია, თავისი პროდასავლური – ევროპული და ევროანტლანტიკური ინტეგრაციის – სტრატეგიის ფარგლებში ჩვენმა ქვეყანამ აქტიურად უნდა დაუჭიროს მხარი ბალკანეთში აშშ-სა და მისი ევროპელი მოკავშირეების პოლიტიკის ისეთ გამოვლინებებს, როგორცაა: სამშვიდობო ოპერაცია ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, კოლექტიური მოქმედებები და „ჰუმანიტარული ინტერვენცია“ იუგოსლავიაში. მაგრამ, ვფიქრობთ, თავისი დამოკიდებულება კოსოვოს კრიზისის გადაწყვეტის დასავლური მოდელის მიმართ საქართველომ ერთგვარი სიფრთხილით და კორელაციის გარკვეული დოზით უნდა გამოხატოს, რასაკვირველია, პოლიტკორექტულობის ფარგლებში. რატომ? იმიტომ, რომ კოსოვოს კრიზისი არ არის რაღაც უნიკალური, უფრო სწორედ, უნიკალურად ბალკანური ან წმინდა სერბულ-ალბანური ფენომენი. ეს არის იმ საერთო პროცესის განუყოფელი ნაწილი, რომელიც ლიბერალიზმისა და ერთა თვითგამორკვევის პრინციპის პრიორიტეტში გამოიხატება და სახელმწიფოებრივი დაშლის საფრთხეს უქმნის საქართველოსნაირ მულტიეთნიკურ ქვეყნებს.

მიუხედავად, ერთი მხრივ, კოსოვოს და, მეორეს მხრივ, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებს შორის სიტუაციის თვისობრივად რადიკალური განსხვავებისა (რაზეც ქვემოთ გვექნება მსჯე-

ლობა), მაინც, გვინდა ჩვენ თუ არ გვინდა, კოსოვოს კრიზისის დარეგულირების მოდელში იმპლიციტურად ფიგურირებს ჩვენი კონფლიქტების საკითხი და, სამწუხაროდ, მათი დარეგულირების ესა თუ ის სქემები. ყოველ შემთხვევაში, რუსეთს უკვე გაუჩნდა საქართველოს ტერიტორიული დეზინტეგრაციის კიდევ ერთი არგუმენტი, აბსოლუტურად აბსურდული, მაგრამ მაინც არგუმენტი. საქართველოს დაუძინებელი მტერი ვ. პუტინი და მისი მილიტოკრატიული ხროვა (ს. ივანოვი, ს. ლავროვი, ა. ბალუევსკი) კოსოვოს და საქართველოს კონფლიქტურ-არაკონტროლირებად რეგიონებს ერთ სიბრტყეში განიხილავენ და კოსოვოს შესაძლო დამოუკიდებლობას აფხაზეთისა და შიდა ქართლის სუვერენიზაციის არგუმენტებად მოიაზრებენ.

ჩვენთვის სრულიად ცხადი უნდა იყოს ის გარემოება, რომ „კოსოვოს პრეცედენტი“ კიდევ ერთი, თანაც საერთაშორისო სტატუსის მქონე, ტაქტიკური სქემაა რუსეთის იმ გეგმისა, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივ დეკონსტრუქციას. რუსეთის ისტებლიშმენტი ისეა დაბრმავებული საქართველოს სიძულვილითა და იმპერიული ამბიციებით, რომ ვერ (თუ არ) აცნობიერებს აღნიშნული „პრეცედენტის“ უკუქმედებას თვით რუსეთის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული სტრუქტურისათვის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რუსეთის შემადგენლობაში შედის ათობით ეთნიკური ავტონომიური წარმონაქმნი, მათ შორის მრავალმილიონიანი მუსლიმური ანკლავები (კოსოვოს სრული ანალოგიები) ჩრდილო კავკასიასა და ვოლგისპირეთში.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, „კოსოვოს პრეცედენტს“ ჩვენთვის სავსებით განსაზღვრული პრაგმატული აქტუალობა აქვს და მხოლოდ შემეცნებითი ფასეულობის მქონე უახლესი ისტორიის რიგითი მოვლენა როდია. ვფიქრობთ, ამ მოვლენის არსისა და შინაგანი ანატომიის კვლევა უფრო ოპტიმალურია დიფერენცირებული მეთოდოლოგიური მოდელის გამოყენებით – ისტორიული, პოლიტიკური და თეორიულ-სამართლებრივი ასპექტების ანალიზით.

რაში მდგომარეობს „კოსოვოს პრეცედენტის“ ისტორიული

და აქედან გამომდინარე – ეთნოგრაფიული და ლინგვოგეოგრაფიული ასპექტი? ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა ალბანელთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური წარმომავლობის შესახებ. მეცნიერთა ერთი ნაწილი მათ აკავშირებს პელაზგებთან, რომლებიც ჯერ კიდევ ნეოლითის ეპოქიდან მოსახლეობდნენ თანამედროვე ალბანეთის სამხრეთში. მაგრამ სამეცნიერო წრეებში უფრო აპრობირებულია და გაცილებით ბევრი მომხრე ჰყავს ალბანელთა ილირიული წარმომავლობის თეორიას, რომლის მიხედვითაც ძვ.წ. II ათასწლეულის შუახანებში ბალკანეთის ნახევარკუნძულის დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილებში გამოჩნდნენ ილირიული ტომები, რომელთა შორის იყვნენ ალბანელებიც, თანამედროვე ალბანელთა წინაპრები¹. თუმცა აღნიშნულ ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულ სახელმწიფოებრივ გაერთიანებებში საკუთრივ ალბანელები არ ფიქსირდებიან. მაგალითად, ისინი არ ფიგურირებენ ძვ.წ. IVს.-ში ილირიული ტომების მიერ შექმნილ სახელმწიფოში – „ენქელეების ფედერაციაში“ და არც ძვ.წ. IIIს.-ში აქ ჩამოყალიბებულ რომის იმპერიის ილირიულ პროვინციაში.

საისტორიო წყაროებში ალბანელთა პირველი მოხსენიება თარიღდება XI საუკუნით. ერთ-ერთი წყაროს ცნობით, ხალხი „არბანონი“ ცხოვრობდა კრუის რაიონში (თანამედროვე ალბანეთის ტერიტორიის ცენტრალურ ნაწილში)² და უკავშირდება ბიზანტიის იმპერიის ბატონობის პერიოდს. პირველი სახელმწიფოებრივი ალბანური გაერთიანება – არბერიის პრინციპატი – შეიქმნა XII-XIIIსს. მიჯნაზე, XIV საუკუნეში. სერბეთის მეფის სტეფანე დუშანის სიკვდილის შემდეგ ალბანეთში ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი ფეოდალური სამთავროები, მაგრამ ამავე პერიოდიდან ხდება აქ თურქების გაბატონება. ერთხანს, XV საუკუნის შუახანებში ალბანელი ხალხის ანტიოსმალურ მოძრაობას მეთაურობდა გიორგი კასტრიოტი, იგივე სკანდერბეგ³.

რაც შეეხება საკუთრივ კოსოვოს, ეტიმოლოგიურად რეგიონის ეს სახელწოდება უკავშირდება სერბულ სიტყვას „კოს“, რაც

¹ *Краткая история Албании*. М., 1965, გვ. 8.

² *Краткая история Албании*, გვ. 9.

³ *Краткая история Албании*, გვ. 20-33.

ნიშნავს „შამვს“, ე. ი. საშამვეთს, ამ ფრინველის განსაკუთრებული გავრცელების არეალს⁴. კოსოვო, ან როგორც მას უწოდებენ, კოსოვოს ველი („კოსოვო-პოლე“) ფაქტობრივად შექმნის დღიდან სერბიის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. აღნიშნული რეგიონის სლავიზაცია ძირითადად ორი ეთნიკური ტაღლის სახით წარიმართა VI-VIII და IX-XI სს., რასაც შედეგად მოჰყვა მისი ჩართვა XIII. ბოლოს სერბიის სამეფოს სახელმწიფოებრივ სტრუქტურაში⁵.

1389წ. კოსოვოს ველზე გაიმართა ისტორიული ბრძოლა, რომელშიც თურქებს დაუპირისპირდა სერბიისა და ბოსნიელების კოალიცია (ბოსნიელთა მხარეს იბრძოდნენ ასევე ვალახებისა და ალბანელების მცირერიცხოვანი რაზმებიც)⁶. კოსოვოს ბრძოლის ისტორიულობას განაპირობებს ის მომენტი, რომ მასში გამარჯვებამ თურქებს საშუალება მისცა, დაეპყროთ ბალკანეთი და თავიანთი იმპერიისათვის ევროაზიული იმპერიის სახე მიეცათ. ამიტომ კოსოვოს ბრძოლა არა მხოლოდ ბალკანეთის, არამედ მთელი ევროპის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, რასაკვირველია, უარყოფითად მნიშვნელოვანი, მოვლენაა. ამავე დროს, კოსოვოს ველი გახდა თურქების წინააღმდეგ სერბი ხალხის წინააღმდეგობისა და გამბრუნების თავისებური სიმბოლო და ასეთივე ადგილი უკავია მას სერბულ ეპოსში, ლიტერატურაში, ხელოვნებასა და კოლექტიურ ცნობიერებაში.

კოსოვოს რეგიონი სერბეთის კულტურული სივრცის ისეთივე განუყოფელი ნაწილია, როგორც აფხაზეთი და შიდა ქართლი – საქართველოსი. ეს პარალელიზმი და ისტორიულ-კულტურული კომპარატივისტიკა მართლაც რომ ნიშანდობლივია: კოსოვოში არის 1300-ზე მეტი სერბული მართლმადიდებლური მონასტერი და ეკლესია, სხვა კულტურული ძეგლი, ტოპონომიკა თითქმის მთლიანად სერბულია. რა შთამბეჭდავი მსგავსებაა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ქართულ კულტურულ-ცივილიზაციურ იდენტურობასთან!

⁴ *История Югославии*. Т. I. М., 1963, გვ. 88.

⁵ *История Югославии*, т. I, გვ. 90.

⁶ *Краткая история Албании*, გვ. 15.

ოსმალეთის ბატონობის ხანაში კოსოვოში რადიკალურად შეიცვალა ეთნოდემოგრაფიული სტრუქტურა. თურქები ეწეოდნენ რეგიონის სერბული მოსახლეობის ძალდატანებით დეპორტაციას და იქ თურქული და ალბანური (საკუთრივ ალბანეთის მთიანი რაიონებიდან) მოსახლეობის ჩასახლებას⁷. ამ დემოგრაფიული პოლიტიკის შედეგად კოსოვოს სტრატეგიულად მნიშვნელოვან ცენტრებში ჩამოყალიბდა ალბანური და თურქული მუსლიმანური ანკლავები, რითაც შეიქმნა ერთგვარი მუსლიმანური დერეფანი, რომელიც შუაზე ჰყოფდა სერბებითა და ჩერნოგორიელებით დასახლებულ ეთნოკულტურულ სივრცეს. სერბი მეცნიერების მიერ XIX ს. ოსმალური მოსახლეობის აღწერითი დოკუმენტების შესწავლა ადასტურებს, რომ XX ს. დამდეგისათვის, ხშირი და მიზანმიმართული დეპორტაციის მიუხედავად, სერბები მაინც წარმოადგენდნენ კოსოვოს მოსახლეობის ნახევარზე მეტს⁸.

კოსოვოს მიმართ ალბანეთის ტერიტორიული პრეტენზიების გენეზისის საკითხში გარკვეული მნიშვნელობა აქვს XX ს. 10-იან წლებში ალბანეთის სახელმწიფოს წარმოქმნასთან დაკავშირებულ მოვლენებს. ცნობილია, რომ 1912 წ. სერბეთმა, ჩერნოგორიამ, ბულგარეთმა და საბერძნეთმა შექმნეს ანტიოსმალური „ბალკანური კავშირი“. აღსანიშნავია, რომ „ბალკანური კავშირის“ დამფუძნებელი ყველა ხელშეკრულების ძალით (სერბეთ-ბულგარეთის, სერბეთ-საბერძნეთისა და სერბეთ-ჩერნოგორიის სამხედრო-სამოკავშირეო შეთანხმებები) კოსოვოს ვილაიეთი სერბეთის კუთვნილებად გამოცხადდა მეტოხიის პროვინციასთან ერთად, როგორც „სერბი ხალხის წმინდა მიწა, საიდანაც იწყება სერბიის სახელმწიფოებრიობა“.⁹

პირველი ბალკანური ომი ოსმალეთსა და „ბალკანურ კავშირს“ შორის მიმდინარეობდა 1912 წ. ოქტომბერ-დეკემბერში. ომში დამარცხების შედეგად ოსმალეთმა დაკარგა თითქმის ყველა ევროპული ტერიტორია ბალკანეთში (სალონიკი, მაკედონია, ნო-

⁷ Э. Валеv. Югославский клубок. – *География*, №13, 1996, გვ. 4.

⁸ С. Терзич. Историческая подоплёка событий в Косово и Метохии. – *„Обозреватель“*, №10, 1998, გვ. 40.

⁹ *История Югославии*, т. I, გვ. 640.

ვიპაზარის სანჯაყი, კოსოვო, მეტოხია და სხვ.). ამავე დროს, სერბეთ-ჩერნოგორია-საბერძნეთ-ბულგარეთის კოალიციის ბრძოლის პარალელურად მიმდინარეობდა ალბანელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ანტიოსმალური აჯანყება, რომელიც წარმატებით დასრულდა. 1912 წლის 28 ნოემბერს ქ. ვლიორაში მოწვეულმა ალბანეთის ეროვნულმა კონგრესმა ალბანეთის სახელმწიფოს შექმნა გამოაცხადა და მისი სუვერენიტეტის დეკლარაცია მიიღო¹⁰. მაგრამ საჭირო იყო ამ სტატუსის საერთაშორისო აღიარება, რაც მოხდა კიდევ პირველი ბალკანური ომის შედეგების იურიდიული გაფორმების ფარგლებში. 1912 წლის 17 დეკემბერს დაიწყო დიდ სახელმწიფოთა (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, იტალია, რუსეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი) ელჩების ლონდონის კონფერენცია, რომელსაც უნდა შეემუშავებინა ოსმალეთთან ზავის პირობები და ბალკანეთში საზღვრების საკითხი უნდა გადაეწყვიტა¹¹.

კონფერენციის მიმდინარეობის დროს გამოვლინდა რეალური წინააღმდეგობები მთელს რიგ საკითხებში, მათ შორის, ალბანეთის სახელმწიფოს სტატუსისა და მისი საზღვრების საკითხში. ავსტრია-უნგრეთმა და იტალიამ მხარი დაუჭირეს ალბანეთის დამოუკიდებლობას, რათა პროანტანტური (ძირითადად პრორუსული) ორიენტაციის მქონე სერბეთისათვის მოეჭრათ აღრიატიკის ზღვაზე გასასვლელი. ამასთან, ვენა და რომი აქტიურად უჭერდნენ მხარს ალბანეთის (ისმაილ-ბეის) დროებითი მთავრობის ტერიტორიულ პრეტენზიებს კოსოვოსა და მეტოხიის მიმართულად. მაგრამ სერბეთის მთავრობა არ მიდიოდა არანაირ კომპრომისზე და რუსეთ-ინგლისის დახმარებით მან შეძლო ალბანელთა ტერიტორიული მოთხოვნების ბლოკირება. 1913 წლის 30 მაისის ლონდონის საზავო ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლის თანახმად, თურქეთმა ცნო ალბანეთის დამოუკიდებლობა, ხოლო მისი ჩრდილოეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვრები დადგინდა იქნა ისე, რომ კოსოვო სერბეთის შემადგენლობაში დარჩა¹².

¹⁰ *Краткая история Албании*, გვ. 173.

¹¹ *История Югославии*, т. I, გვ. 644.

¹² *Краткая история Албании*, გვ. 177.

1913 წლის 29 ივლისს კი ელჩების ლონდონის კონფერენციამ მიიღო საბოლოო აქტი (ე.წ. „ორგანული სტატუსი“) ალბანეთის საკითხში: ალბანეთი გამოცხადდა ნეიტრალურ მონარქიად, ხოლო ნეიტრალური სტატუსის გარანტიად გამოდიოდა ექვსი დიდი სახელმწიფო. მოგვიანებით, 1914 წლის 7 მარტს ალბანეთის მეფე გახდა გერმანელი ვილჰელმ ვიდი¹³.

მანამდე კი, 1913 წლის 13 დეკემბერს ალბანეთის საზღვრების დამდგენმა საერთაშორისო კომისიამ ხელი მოაწერა ფლორენციის ოქმს, რომლითაც დამტკიცდა ალბანეთ-საბერძნეთის საზღვრები და დადასტურებულ იქნა ლონდონის კონფერენციის შეთანხმება ალბანეთის ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვრებთან დაკავშირებით¹⁴.

მაშასადამე, ალბანეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბება იყო არა იმდენად ალბანეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, რამდენადაც „სამთა კავშირის“ ბლოკის გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ინტერესების დამთხვევის შედეგი. იტალიამ და ავსტრია-უნგრეთმა მხარი დაუჭირეს ალბანეთის დამოუკიდებელი მონარქიის შექმნას წმინდა გეოპოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე – გზა გადაეჭრათ სერბეთისათვის (და ე. ი. რუსეთისათვის) ადრიატიკისა და ხმელთაშუა ზღვების სატრანზიტო კომუნიკაციებისაკენ. ამავე დროს, იტალია იმედოვნებდა დამოუკიდებელ ალბანეთზე პროტექტორატის დაწესებას (უკეთეს შემთხვევაში საერთოდ მის ანექსიას, რაც განახორციელა კიდევ მუსოლინის რეჟიმმა 1939 წლის აპრილში). რასაკვირველია, ჩვენი ამგვარი მტკიცება სრულებითაც არ აკნინებს ალბანეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაში შინაგანი იმპულსის – ალბანელი ხალხისა და მისი პროგრესული არისტოკრატიული ელიტის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის როლსა და მნიშვნელობას, უბრალოდ ჩვენ ვახდენთ ფაქტის კონსტატაციას, რომ ამ პროცესში გადამწყვეტი ფაქტორის როლი ითამაშა იმდროინდელმა საერთაშორისო კონიუნქტურამ – „სამთა კავშირის“ სამხედრო-პოლიტიკური კოალიციის წევრი სახელმწიფოების გეოპო-

¹³ *Краткая история Албании*, გვ. 177.

¹⁴ *Краткая история Албании*, გვ. 178.

ლიტიკურმა პროექტმა, რომელშიც ალბანეთმა შეასრულა სერბეთის სივრცობრივი ბლოკირების ფუნქცია.

რაც შეეხება კოსოვოს, ის სერბეთის შემადგენლობაში დარჩა, რაც იურიდიულად განამტკიცა ალბანეთის სახელმწიფოს საზღვრების სტატუსის დამდგენმა ყველა ფუძემდებლურმა საერთაშორისო შეთანხმებამ – 1913 წლის 30 მაისის ლონდონის საზავო ხელშეკრულებამ, 1913 წლის 29 ივლისის ელჩების ლონდონის კონფერენციის გადაწყვეტილებამ და ალბანეთის საზღვრების დამდგენი საერთაშორისო კომისიის 1913 წლის 13 დეკემბრის ფლორენციის ოქმმა.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ კოსოვოს რეგიონი შევიდა სერბეთ-ხორვატია-სლოვენიის ფედერალურ სამეფოში, რომელიც შექმნა 1918 წლის დეკემბერში და რომელსაც 1929 წლის 6 იანვრიდან ეწოდა იუგოსლავია. როგორც ცნობილია, მეორე მსოფლიო ომის დროს იუგოსლავია დაიშალა ცალკეულ სახელმწიფოებად და არსებითად მხოლოდ სერბეთი განაგრძობდა ბრძოლას ფაშისტური ოკუპაციის წინააღმდეგ, რადგანაც 1941 წლის 10 აპრილს ხორვატმა უსტაშებმა, ჰიტლერისა და მუსოლინის სანქციით, ხორვატიისა და ბოსნია-ჰერცეგოვინის ტერიტორიაზე შექმნეს ხორვატიის დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომლის მეფე გახდა იტალიელი ჰერცოგი, სავოიის დინასტიის პრინცი სპოლეტო, პრემიერ-მინისტრი კი – ანტე პაველიჩი¹⁵.

იუგოსლავიის სახელმწიფოს დანაწილების პროცესში კოსოვოს ტერიტორიის უდიდესი ნაწილი აღმოჩნდა იტალიის მიერ შექმნილი „დიდი ალბანეთის“ შემადგენლობაში და სწორედ ამ პერიოდში განხორციელდა კოსოვოდან არაალბანური მოსახლეობის დეპორტაცია. ამგვარი დემოგრაფიული პოლიტიკის დადასტურებაა ალბანეთის პროიტალიური მარიონეტული მთავრობის პრემიერ მინისტრის მუსტაფა კროის განცხადება, რომელიც მან გააკეთა 1942 წლის ივნისში: „...აუცილებლად უნდა განიდევნონ კოსოვოდან ძირძველი სერბები და განთავსდნენ ალბანეთის საკონცენტრაციო ბანაკებში... ხოლო გადმოსახლებული სერბები უნდა

¹⁵ *История Югославии*. Т. 2. М., 1963, გვ. 187.

განადგურდნენ“.¹⁶ ყურადღებას იქცევს ასევე შემდგომში ალბანეთის კომუნისტი ლიდერის ენვერ ხოჯას ერთი წერილი, რომელიც, ამერიკული სპეცსამსახურების ცნობებზე დაყრდნობით, ასეთ სტატისტიკას იძლევა: „1941 წლის აპრილიდან 1942 წლის აგვისტომდე კოსოვოში ალბანელებმა მოკლეს 10 ათასამდე სერბი და განდევნეს 100 ათასზე მეტი. თითქმის იმავე რაოდენობის ალბანელი გადასახლდა ალბანეთიდან კოსოვოში“.¹⁷

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, საწყის ეტაპზე, კოსოვოს საკითხი გახდა ალბანეთისა და იუგოსლავიის კომუნისტურ რეჟიმებს შორის გარკვეული უთანხმოების საგანი. როგორც იოსიფ ბროზ ტიტოს აქტიური თანამებრძოლი, ცნობილი მეცნიერი და პოლიტიკოსი მილოვან ჯილასი თავის მემუარებში წერს, ერთხანს აქტიურად განიხილებოდა იუგოსლავია-ალბანეთის ფედერალური სახელმწიფოს შექმნისა და მასში ავტონომიური სტატუსით კოსოვოს რესპუბლიკის შეყვანის პროექტი¹⁸, მაგრამ ეს პროექტი ჩავარდა. იუგოსლავიის 1946 წლის კონსტიტუციით, კოსოვომ (მეტოხიასთან და უნგრელებით დასახლებულ ვოევოდინასთან ერთად) მიიღო ავტონომიური ოლქის სტატუსი სერბიის შემადგენლობაში¹⁹.

ასეთია, ნიუანსური სახით, კოსოვოს საკითხის ისტორიული ასპექტი. რა დასკვნების გამოტანის საფუძველს იძლევა მისი ანალიზი? მთავარი და ღერძული დასკვნა ამ შემთხვევაში ისაა, რომ კოსოვო არასოდეს, ალბანური სახელმწიფოებრიობის არსებობის არცერთ ეტაპზე არ იყო ალბანეთის ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი სტრუქტურის ნაწილი. ამასთან, კოსოვოს ალბანურ მოსახლეობას არასოდეს შეუქმნია საკუთარი, სერბეთისაგან დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი და რეგიონიც ისტორიულად სერბეთის (შემდგომში იუგოსლავიის) ორგანულ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. კოსოვოში სერბეთისაგან დამო-

¹⁶ **С. Терзич.** Историческая подоплёка событий в Косово..., გვ. 40.

¹⁷ **Восточная Европа в документах российских архивов.** 1944-1953. Т. 2. М., 1988, გვ. 206.

¹⁸ **М. Джилас.** Лицо тоталитаризма. М., 1992, გვ. 96.

¹⁹ **История Югославии,** т. 2, გვ. 256.

უკიდებელი პოლიტიკური ინსტიტუტების (მაგ., კოსოვოს ვილაიეთი XIXს.-ში ან კოსოვოს რაიონი 1941-1943წწ.) ფუნქციონირება აქ კოლონიური ადმინისტრაციების (შესაბამისად – ოსმალური და იტალიური) პოლიტიკის გამოხატულება იყო და არა კოსოვოს ალბანური მოსახლეობის სახელმწიფოებრივი თვითიდენტიფიკაციის შედეგი. და კიდევ: ალბანეთთან კოსოვოს შეერთების ბაზაზე ე.წ. „დიდი ალბანეთის“ შექმნის იდეა გაჩნდა 1941-1942 წლებში, როცა მართლაც შეკოწიწებულ იქნა ეს ერთიანობა ფაშისტური იტალიის პოლიტიკის შედეგად. ამიტომ ეს იდეა ფაშისტური დოქტრინის შემადგენელი ნაწილია, რის გამოც ის მიუღებელი უნდა იყოს ლიბერალიზმის პრინციპებზე აგებული ცივილიზებული კაცობრიობისათვის.

„კოსოვოს პრეცედენტის“ პოლიტიკური (და გეოპოლიტიკურიც) ასპექტი ლოგიკურად უკავშირდება იუგოსლავიის ფედერაციული სახელმწიფოს დაშლას და ამის შემდეგ ბალკანეთში განვითარებულ ეთნო-ტერიტორიულ პროცესებს XXს. 90-იან წლებში. 1991 წლის ივნისში დაიწყო იუგოსლავიის ერთიანი სახელმწიფოს დაშლის პროცესი, რომელსაც სათავე დაუდო სლოვენისა და ხორვატიის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებამ 1991 წლის 25 ივნისს. 1992 წლის გაზაფხულზე ბოსნია-ჰერცეგოვინის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებამ და მისმა გაეროში მიღებამ მოახდინა ამ რესპუბლიკაში სამწლიანი სისხლისმღვრელი ეროვნებათშორისო ომის პროვოცირება. 1995 წლის 15 დეკემბრის დეიტონის ხელშეკრულებით საომარი მოქმედებები შეწყდა, მაგრამ ხელშეკრულებამ იურიდიულად დააკანონა რესპუბლიკის ფორმალური გაყოფა ეთნიკური პრინციპით: მის ტერიტორიაზე შეიქმნა სერბული წარმონაქმნი – „რესპუბლიკა სერბსკა“ და ბოსნიელი მუსლიმანებისა და ხორვატების ფედერალური სახელმწიფო. ამავე დროს, ორივე ამ სახელმწიფოებრივი გაერთიანების ფორმალური შეკავშირებით ჩამოყალიბდა ბოსნია-ჰერცეგოვინის კონფედერაცია.

იუგოსლავიის შიდასახელმწიფოებრივი კრიზისის გაღრმავებისა და მისი ფაქტობრივი დაშლის კვალობაზე გააქტიურდა კოსოვოს ალბანელთა სეცესიონისტური მოძრაობაც. ჯერ კიდევ

1990 წელს, მთელს იუგოსლავიაში მიმდინარე მრავალპარტიული სისტემის ფორმირების ფარგლებში, შეიქმნა კოსოვოს დემოკრატიული კავშირი (კდკ), რომელსაც სათავეში ჩაუდგა კოსოვოელი ალბანელების ავტორიტეტული ლიდერი, ცნობილი მწერალი და დისიდენტი იბრაჰიმ რუგოვა. თავის საპროგრამო სიტყვაში რუგოვამ პირდაპირ დააფიქსირა კოსოვოს დამოუკიდებლობა, როგორც მხარის ალბანელთა ეროვნული მოძრაობის მიზანი, ხოლო მისი მიღწევის საშუალებად – „წინააღმდეგობა სერბულ ოკუპაციას“.²⁰

1991 წლის სექტემბერში კოსოვოში ჩატარდა რეფერენდუმი დამოუკიდებლობის საკითხში, რომელშიც ოლქის მთელმა ალბანურმა მოსახლეობამ ხმა მისცა დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნას, ხოლო 1992 წლის 24 მაისს მიმდინარე საპრეზიდენტო არჩევნებში 95%-იანი წარმატება მოიპოვა ი. რუგოვამ²¹. ოფიციალურმა ბელგრადმა უკანონოდ ცნო არჩევნებისა და რეფერენდუმის შედეგები, მაგრამ ხორვატიისა და ბოსნია-ჰერცეგოვინის მოვლენებში ჩაფლულ მილოშევიჩის მთავრობას რაიმე სერიოზული ღონისძიებებისათვის არ მიუძღრთავს კოსოვოს სეპარატისტული ტენდენციების საწინააღმდეგოდ.

1994 წლის მაისში სერბიის ხელისუფლებამ დაიწყო პირდაპირი მოლაპარაკებები კოსოვოს ალბანელთა პოლიტიკურ წარმომადგენლობასთან. მოლაპარაკებები მიმდინარეობდა ყოფილი იუგოსლავიის საკითხებში საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში. 1996 წლის 1 სექტემბერს მილოშევიჩმა და რუგოვამ ხელი მოაწერეს მემორანდუმს ურთიერთგაგების შესახებ²². თუმცა მემორანდუმი არეგულირებდა კოსოვოში პარალელური (ე. ი. ალბანური) საგანმანათლებლო და ჯანდაცვის სისტემების ორგანიზაციის საკითხებს და მასში არაფერი იყო ნათქვამი კოსოვოს სტატუსის შესახებ.

²⁰ **Dr. Ibrahim Rugova** – President of Kosovo. *A Short Biography*. იხ. ვებგვერდი: <http://www.trepca.net>.

²¹ **Dr. Ibrahim Rugova** – President of Kosovo. *A Short Biography*. იხ. ვებგვერდი: <http://www.trepca.net>.

²² *Документация ООН*. A/51/665; S/1996/931.

ამავე დროს, კოსოვოს ალბანელთა სეპარატისტულ ეთნო-კრატიკაში დასრულებული სახე მიიღო ე.წ. „დიდი ალბანეთის“ შექმნის კონცეფციამ. ამასთან, ამ საერთო გეგმაში ჩართულ იქნა მაკედონიის და ჩერნოგორიის ალბანელებით დასახლებული ტერიტორიები. ის გარემოება, რომ კოსოვოს კრიზისის დარეგულირების ალბანური მოდელი ითვალისწინებს ბალკანეთში არსებული ტერიტორიულ-პოლიტიკური სისტემის ფართომასშტაბიან რეკონფიგურაციას და არსებული სტატუს-კვოს შეცვლას, ნათლად ჩანს ი. რუგოვას შემდეგი სიტყვებიდან: „თუ ბოსნიელი სერბები შევლენ კონფედერაციულ ურთიერთობაში სერბიასთან, ეს მნიშვნელოვნად გაუადვილებს კოსოვოელ ალბანელებს ალბანეთთან კონფედერაციის საწყისებზე გაერთიანებას... პირველ ეტაპზე ალბანელები ჩერნოგორიაში მიიღებენ ავტონომიას, ხოლო მაკედონიელი ალბანელები – სახელმწიფოებრიობაშემქმნელი ხალხის სტატუსს“.²³ ეს არის რეგიონალური პანალბანიზმის უკიდურესად რეაქციული პროექტი, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ სერბეთის ტერიტორიულ მთლიანობას, არამედ სტაბილურობას და უსაფრთხოებას მთელს ბალკანეთში (შესაძლოა, არა მარტო იქ).

კოსოვოს სეცესიონისტური მოძრაობის რეალიზაცია დაიწყო 1998 წელს. ამ ეტაპზე მოძრაობაში აშკარად გამოიკვეთა სამი მეტ-ნაკლებად ანგარიშგასაწევი მიმართულება: პირველი – პოლიტიკური მიმართულება, რომელსაც წარმოადგენდა ი. რუგოვა, თავისი კოსოვოს დემოკრატიული კავშირით. ამ მიმართულების სტრატეგიაში კოსოვოს დამოუკიდებლობის ლოზუნგი არ გამოირიცხავდა სერბიასთან მოლაპარაკების შესაძლებლობას. მეორე მიმართულებას ქმნიდა ე.წ. „იატაკქვეშეთის მთავრობა“ ბ. ბუკომის მეთაურობით, რომლის შტაბ-ბინა განლაგებული იყო გერმანიის ქ. ულში. არსებითად ეს მიმართულება აკონტროლებდა ევროპის ქვეყნებში მცხოვრებ ალბანელ დიასპორას. მესამე იყო ნაციონალისტურ-ექსტრემისტული მიმართულება, რომელიც ევრდნობოდა

²³ **Dr. Ibrahim Rugova** – President of Kosovo. *A Short Biography*. იხ. ვებ-გვერდი: <http://www.trepca.net>.

კოსოვოს განმათავისუფლებელ არმიას და მოქმედებდა ტერორისტული მეთოდებით. საგულისხმოა, რომ კოსოვოში ნატო-ს სამხედრო ოპერაციის შემდეგ, კოსოვოს სეპარატისტულ მოძრაობაში სწორედ ეს მიმართულება გაბატონდა. ამიტომ მისი ორგანიზაციული სტრუქტურისა და საპროგრამო დებულებების გაცნობა გარკვეულ როლს შეასრულებს ჩვენს მიერ დასმული პრობლემის ანალიზში.

კოსოვოს განთავისუფლების არმიაში არის პოლიტიკური და სამხედრო სტრუქტურები. კგა-ს პოლიტიკურ ფრთას მეთაურობს ყოფილი დისიდენტი ადემ დემაჩი, რომელიც იმავდროულად არის რადიკალური მოძრაობის ძირითადი პოლიტიკური პარტიის – კოსოვოს საპარლამენტო პარტიის ლიდერი. დემაჩს ძალიან ფართო მხარდაჭერა აქვს ოფიციალური ტირანის მხრიდან. სამხედრო ფრთას კი ხელმძღვანელობს კგა-ს შტაბის უფროსი, სავსე მეთაური რამუშ ჰარადინაი. ის მეთაურობს კგა-ს შეირადებულ დაჯგუფებებს, რომლებიც შექმნილია ალბანეთის ტერიტორიაზე განლაგებულ სპეციალურ ბაზებზე მომზადებული ბოვეიკებისაგან და ტერორისტებისაგან²⁴.

ყურადღებას იქცევს კგა-ს და მასთან ასოცირებული პოლიტიკური ჯგუფების პროგრამა, რომლის ღერძულ სტრატეგიას წარმოადგენს კოსოვოს ეთნიკური სერბებისაგან „გაწმენდა“, ეროვნულ-განმათავისუფლებელი სტატუსის მოპოვება და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით კოსოვოს, ჩერნოგორიისა და მაკედონიის ალბანელებით დასახლებული ტერიტორიების გაერთიანების ბაზაზე ერთიანი სახელმწიფოს შექმნა, შემდგომში მისი ალბანეთთან ინტეგრაციის პერსპექტივით.

სწორედ კგა-ს ბოვეიკებსა და სერბეთის პოლიციურ ძალებს შორის 1998 წლის დასაწყისში დაწყებულმა შეტაკებამ დაუდო სათავე რეგიონში ფართომასშტაბიან სამხედრო კონფლიქტს. კგა-ს დაჯგუფებები ძირითადად მიმართავდნენ ტერორისტულ საომარ ტაქტიკას – სერბების მასობრივი მკვლელობა და განდევნა, სერბული სოფლების ბლოკადა, მშვიდობიანი მოსახლეობის მძევლად

²⁴ **Group for Kosovo:** *“The Free State of Kosovo”*. იხ. ვებ-გვერდი: <http://www.helsinki.org>.

აყვანა, პერიოდული თავდასხმები მილიციისა და არმიის საპატ-რულო ჯგუფებზე და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ სერბიის სამხედრო ძალებმა იძულებითი საპასუხო ქმედებების ფარგლებში, კგა-ს ნაწილების ალბანეთის საზღვრებისაკენ განდევნის დროს, მიმართეს საერთაშორისო სამართლით დაუშვებელ უკანონო ქმედებებს, მათ შორის – კოსოვოს ალბანელი მოსახლეობის დეპორტაციას და ეთნიკურ წმენდას. შეიქმნა ისეთი სიტუაცია, რომ უკვე 1998 წლის ოქტომბრისათვის კოსოვო დაცარიელდა არა მარტო კგა-ს შეიარაღებული ფორმირებებისაგან, არამედ ალბანელი მოსახლეობის ძირითადი ნაწილისაგანაც.

1998 წლის 13 ოქტომბერს იუგოსლავიის პრეზიდენტმა ს. მილოშევიჩმა და ეუთო-ს სპეციალურმა წარმომადგენელმა რ. ჰოლბრუკმა ხელი მოაწერეს სპეციალურ შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებდა: ოლქიდან სერბეთის სამხედრო ძალების გაყვანას და იქ ეუთო-ს დამკვირვებელთა ორიათასიანი კონტინგენტის განლაგებას, კოსოვოს ტერიტორიულ სივრცეში ნატო-ს საჰაერო კონტროლის რეჟიმის დამყარებას, მეზობელ ქვეყნებში საინტერვენციო ძალების დისლოკაციას სიტუაციის გამწვავების შემთხვევისათვის²⁵.

1999 წლის 6-23 თებერვალს პარიზის გარეუბანში, რამბუიეში გაიმართა იუგოსლავიისა და კოსოვოელ ალბანელთა დელეგაციების მოლაპარაკებების პირველი რაუნდი. ნიშანდობლივია, რომ ალბანეთის დელეგაციას ხელმძღვანელობდა კგა-ს მეთაური ჰაშიმ ტაჩი²⁶, რაც აშკარად მიუთითებს კოსოვოს სეპარატისტულ ბანაკში ძალების გადაჯგუფებაზე რადიკალიზმის მიმართულებით. ამასთან, კგა-ს პოლიტიკური ფრთის ლიდერი ა. დემანი საერთოდ არ წასულა რამბუიეში, რადგანაც ის სერბებთან ნებისმიერი შეთანხმების წინააღმდეგ გამოდიოდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ რამბუიეს სამშვიდობო კონფერენცია მიმდინარეობდა ერთგვარ პრეფერენციულ ფონზე და ალბა-

²⁵ **О. Н. Хлестов.** Если по Югославии нанесут удар. – „Независимая газета“, 24 октября 1998г.

²⁶ **А. Юлдашев.** Хашим Тачи во главе делегации косоваров в Рамбуйе. – „Независимая газета“, 8 февраля 1999г.

ნელთათვის ხელსაყრელ პირობებში: ნატო-ს კონტინგენტი კოსოვოს საზღვარზე, სერბეთის სამხედრო ძალების მიერ კოსოვოს დატოვება და იმავდროულად მის დიდ ნაწილზე კგა-ს კონტროლის დამყარება – ყველაფერი ეს წინდაწინვე ქმნიდა პირობებს სეპარატისტთა მადის გაზრდისა და მათი მოთხოვნების რადიკალიზაციისათვის. კონფერენციაზე განხილულ იქნა რამდენიმე დოკუმენტი: „კოსოვოში მშვიდობისა და თვითმმართველობის დამყარების შესახებ (დროებითი ხელშეკრულება)“, „ჩარჩო ხელშეკრულება“ და მისი დამატებანი კოსოვოს კონსტიტუციის, სასამართლო სისტემისა და თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების შესახებ. ერთი კვირის შემდეგ დელეგაციებმა მიიღეს „ჩარჩო ხელშეკრულების“ მეოთხე დამატება, რომელიც ეკონომიკურ საკითხებს არეგულირებდა.

სრული ტექსტი (უნდა ყოფილიყო ცხრა დამატება) წარმოდგენილ იქნა მხოლოდ მოლაპარაკებათა ბოლო დღეს, 23 თებერვალს. აღმოჩნდა, რომ ტექსტის დიდი ნაწილი უცნობი იყო სერბეთის დელეგაციისათვის, განსაკუთრებით მეორე და მეშვიდე დამატებანი, რომელშიც გათვალისწინებული იყო ნატო-ს ჯარების ავტომატური განლაგება კოსოვოს ტერიტორიაზე და იქ პოლიციური ძალების ორგანიზაცია²⁷. მაშასადამე, პირველი რაუნდის მთავარი შედეგი ის იყო, რომ იუგოსლავიას წაუყენეს ფაქტობრივი ულტიმატუმი: მოაწერთ ხელს ხელშეკრულებას – კოსოვოში შევა ნატო-ს ჯარი, არ მოაწერთ – იქნება დამსჯელი აქცია საავიაციო დარტყმების სახით. ამასთან, რაუნდებს შორის შუალედში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა სეპარატისტული მოძრაობის ელიტაში: 1999 წლის 7 მარტს კგა-ს მთავარსარდლად დაინიშნა სულეიმან სელემი – ცნობილი საველე მეთაური, რომლის მეტსახელი იყო „სულთანი“.²⁸ სელემმა თავის პირველივე ოფიციალურ განცხადებაში უარყო რამბუიეს ხელშეკრულება და მოითხოვა კოსოვოსათვის სრული დამოუკიდებლობის მინიჭება.

²⁷ „Известия“, 25 февраля 1999г.

²⁸ **Н. Паклин.** Делят шкуру неубитого медведя. – „Российская газета“, 11 марта 1999г.

მოლაპარაკებათა მეორე რაუნდი დაიწყო პარიზში, 1999 წლის 15 მარტს²⁹. მილოშევიჩის დელეგაციამ წამოაყენა წინადადება, ხელი მოეწერათ ხელშეკრულების პოლიტიკური ნაწილისათვის, ხოლო სამხედრო ნაწილი, მათ შორის საერთაშორისო ჩარევის დამდგენი მუხლები გამხდარიყო შემდგომი მოლაპარაკების საგანი. სწორედ აქ დაუშვა ს. მილოშევიჩმა, ჩვენის აზრით, სტრატეგიული შეცდომა და ობიექტურად სტიმული მისცა ნატო-ს სამხედრო ოპერაციის დაწყებას. მან უარი თქვა ხელშეკრულების მთლიანი პაკეტის ხელმოწერაზე და მოითხოვა მისი დიფერენციაცია, რაც აპრობირებულ დიპლომატიურ სამართალსა და საოქმო პრაქტიკაში განისაზღვრება, როგორც მოლაპარაკებათა პროცესის ცალმხრივი შეწყვეტა ან ჩაშლა. ნატო-ს რეაქციამაც არ დააყოვნა; 24 მარტს დაიწყო ალიანსის სამხედრო ოპერაცია იუგოსლავიის წინააღმდეგ, რომელიც 78 დღე-ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა. ნატო-ს მხრიდან საჰაერო-სარაკეტო დარტყმების ობიექტი გახდა არა მარტო საკუთრივ კოსოვოს სერბეთის არმიის კონტროლქვეშ მყოფი ტერიტორია, არამედ მთელი იუგოსლავიის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ზონები. სარაკეტო დაბომბვის შედეგად დიდი ზიანი მიაყენეს სერბეთის შეიარაღებული ძალებისა და უშიშროების სამსახურების ინფრასტრუქტურას, კომუნიკაციის საშუალებებს, სამთავრობო რეზიდენციების ქსელს. ფაქტობრივად განადგურებულ იქნა იუგოსლავიის სამხედრო-სამრეწველო პოტენციალი. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ნატო-ს საჰაერო დარტყმების ქვეშ მოექცა ქვეყნის სამოქალაქო ობიექტებიც. იყო მნიშვნელოვანი მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში – 1700-მდე ადამიანი, მათ შორის 400-მდე ბავშვი, 10 ათასზე მეტი მძიმედ დაჭრილი*.

ნატოს სამხედრო ოპერაციამ საგრძნობლად შეცვალა დემოგრაფიული სტრუქტურა და მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა კოსოვოში სერბების საწინააღმდეგოდ. რეგიონი ფაქ-

²⁹ **М. Юсин.** НАТО вступает в битву за Косово. – „Известия“, 25 марта 1999г.

* ეს სტატისტიკური ცნობები მოცემულია იუგოსლავიის ხელისუფლების საინფორმაციო წყაროებიდან.

ტობრივად მონოეთნიკური გახდა ალბანური მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის საფუძველზე. აქტიური საერთაშორისო ზეწოლის, ასევე რუსეთის წარმომადგენლებთან და ფინეთის პრეზიდენტთან მაჰტი ახტისაართან ინტენსიური კონსულტაციების შედეგად, ს. მილოშევიჩმა 1999 წლის 3 ივნისს ხელი მოაწერა „მშვიდობის დამყარების დოკუმენტს“, რომელიც სერბეთის სკუპშინამ (პარლამენტმა) მოიწონა³⁰. „დოკუმენტი“ ითვალისწინებდა კოსოვოში გაერო-ს ეგიდით და ნატო-ს ძალების მონაწილეობით მშვიდობის საერთაშორისო კონტინგენტის განლაგებას, კოსოვოსთვის ავტონომიის მინიჭებას და იქ დროებითი ადმინისტრაციის შექმნას.

1999 წლის 10 ივნისს გაერო-ს უშიშროების საბჭომ მიიღო სპეციალური, 1244-ე რეზოლუცია კოსოვოს შესახებ. რეზოლუციამ ხაზი გაუსვა ოლქში სიტუაციის დარეგულირების შემდეგ ასპექტს: იუგოსლავიის ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი; კოსოვოს „რეალური და არსებითი ავტონომიური თვითმმართველობა“; რეგიონში გაერო-ს ეგიდით საერთაშორისო სამშვიდობო ძალების განლაგება და ოლქის სრული დემილიტარიზაცია³¹. უკვე ივნისშივე კოსოვოში განხორციელდა საერთაშორისო სამშვიდობო ძალების დისლოკაცია. ნატო-ს კონტინგენტი განლაგებულ იქნა სექტორალური დიფერენცირების პრინციპით, კერძოდ: ქ. პაჩის რაიონს აკონტროლებენ გერმანელები და იტალიელები, ქ. გნილანეს – ფრანგები, კოსოვა-მიტროვიცას – ამერიკელები, ხოლო დედაქალაქ პრიშტინას – ინგლისელები. საერთო ჯამში, ნატო-ს კონტინგენტი შეადგენს 50 ათას ჯარისკაცს³².

სამშვიდობო ოპერაციაში ძალიან მოკრძალებული ფორმით მონაწილეობს რუსეთიც. ნატო-რუსეთს შორის დადებული ცალკე შეთანხმებით, რუსეთის სამხედრო კონტინგენტი 3600 ჯარისკაცს არ სცილდება და თანაც რუსებს კონტროლის ცალკე სექტორი არ

³⁰ **М. Юсин.** Белград принимает мирный план. – „Известия“, 4 июня 1999г.

³¹ **М. Юсин.** Война в Югославии остановлена. – „Известия“, 10 июня 1999г.

³² **В. Михеев.** Москве предстоит испытание косовским миром. – „Известия“, 11 июня 1999г.

გააჩნიათ; მათი კონტინგენტის ცალკეული ნაწილები განლაგებულია ამერიკული, ინგლისური, ფრანგული და გერმანული სექტორების სპეციალურად გამოყოფილ ზონებში (მაგ. რუსები აკონტროლებენ პატარა ქალაქ ორაზოვაცს და სლატინის აეროდრომს).

უნდა ითქვას, რომ კოსოვოს სამშვიდობო ოპერაცია მთელი რიგი სერიოზული გართულებებით მიმდინარეობს და უპირატეს შემთხვევებში აშკარად ანტისერბულ ხასიათს ატარებს. ამ თვალსაზრისით ის გარკვეულწილად ემსგავსება კიდევ აფხაზეთსა და შიდა ქართლში რუსეთის იმპერიის მიერ კონტროლირებად ე.წ. „სამშვიდობო ოპერაციებს“. კოსოვოში ნატო-ს კონტინგენტის დისლოკაცია უკვე შვიდ წელიწადს ითვლის, მაგრამ შეუსრულებელია გაერო-ს უშიშროების საბჭოს №1244 რეზოლუციის მთავარი პუნქტი დემილიტარიზაციის შესახებ – კგა არ არის განიარაღებული და დამლელი, ის კვლავ აგრძელებს ეთნიკურ წმენდას და სერბი მოსახლეობის დეპორტაციას. ამასთან, ბელგრადს არა აქვს შესაძლებლობა აღადგინოს კოსოვოს რეგიონზე თავისი იურისდიქცია და შეიყვანოს იქ იუგოსლავიის ჯარის განსაზღვრული კონტინგენტი და პოლიციური ძალები. კოსოვოში ვერ ბრუნდება დაახლოებით 200 ათასამდე სერბი ლტოლვილი.

კოსოვოში აქტიურად მიმდინარეობს ალბანური სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ფორმირების პროცესი. ამასთან, პროცესში მონაწილე ყველა პოლიტიკური ძალა არის კოსოვოს დამოუკიდებლობის მომხრე და გამორიცხავს სერბეთთან ყოველგვარი სახელმწიფოებრივი კავშირის დამყარების პერსპექტივას. 2004 წლის 23 ოქტომბერს საერთაშორისო ადმინისტრაციამ ჩაატარა საპარლამენტო არჩევნები. აღსანიშნავია, რომ დროებითი კონსტიტუციური აქტის ძალით პარლამენტის შედგენილობა კვოტირებულია ეთნიკური პრინციპის საფუძველზე: 120 დეპუტატიდან 100 უნდა იყოს ალბანელი, 10 – სერბი და დარჩენილი 10 ადგილი ეკუთვნის სხვა ეროვნების წარმომადგენელს. კოსოვოს პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს ირჩევს პარლამენტი³³. როგორც ვხედავთ, საერთაშორისო ადმინისტრაციის მიერ კონტროლირე-

³³ **А. Дмитренко.** У «косовского сериала» может быть печальный конец. – „Известия“, 25 октября 2004г.

ბად პოლიტიკურ პროცესში მოქმედებს ერთადერთი მექანიზმი – კოსოვოს დამოუკიდებლობის საფუძვლების შემზადება, რამეთუ ეს მექანიზმი პრაქტიკულად გამორიცხავს კოსოვოს ელიტაში სერბის ან პროსერბული ორიენტაციის ალბანელის გაპრეზიდენტებას და გაპრემიერ-მინისტრებას.

2004 წლის 23 ოქტომბრის არჩევნებში, რომელშიც, ცხადია, ლტოლვილ სერბებს მონაწილეობა არ მიუღიათ, ხმების 47% მიიღო კოსოვოს დემოკრატიულმა კავშირმა (ლიდერი – იბრაჰიმ რუგოვა, რომელიც აირჩიეს კიდევაც პრეზიდენტად), ხოლო 27% – კოსოვოს დემოკრატიულმა პარტიამ (ლიდერი – ჰაშიმ ტაჩი). პარლამენტში თავისი წარმომადგენლობა მოიპოვა ასევე პარტიამ „ალიანსი კოსოვოს მომავლისათვის“, რომელიც მთლიანად დაკომპლექტებულია ალბანელი ბოვეიკებით რადიკალ რამუმ ჰარადინაის მეთაურობით³⁴.

კოსოვოს პოლიტიკური ელიტის ასეთი კონფიგურაცია, მისი ეთნოკრატიული ხასიათი ფაქტობრივად გამორიცხავს (ყოველ შემთხვევაში, სერიოზულად ართულებს) პოლიტიკური და დიპლომატიური მეთოდებით კოსოვოს კრიზისის დარეგულირებას სერბიის ტერიტორიული მთლიანობის პლატფორმაზე (ზუსტად იგივე შეიძლება ითქვას აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ე.წ. „პარლამენტებზეც“, რომლებიც სინამდვილეში წარმოადგენენ რუსეთის მფარველობის ქვეშ მყოფი ეთნოკრატიული დაჯგუფებების ერთობლიობას).

ამრიგად, პოლიტოლოგიური შეფასების თვალსაზრისით, კოსოვოში არსებული სიტუაცია შეიძლება დახასიათდეს შემდეგი ფორმულით – საერთაშორისო პროტექტორატი (ცხადია, ალბანელ სეპარატისტთა პროტექციით) + საერთაშორისო ადმინისტრაცია და სამშვიდობო კონტინგენტი + სუვერენიზაციის აშკარად გამოხატული ტენდენცია.

„კოსოვოს პრეცედენტის“ კონცეპტუალურ-სამართლებრივი ასპექტი მდგომარეობს სერბიის სახელმწიფოსგან კოსოვოს სეცესიის (ანუ გამოყოფის) თეორიულ არგუმენტაციაში, თანაც საერ-

³⁴ А. Дмитренко. У «косовского сериала» может быть...

თაშორისო სამართლის ნორმების აქტუალიზაციით, კერძოდ თვით-გამორკვევის პრინციპის პრიორიტეტული აღიარებით სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის პრინციპთან შედარებით.

2005წ. ოქტომბერში გაერო-ს უშიშროების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება კოსოვოს სტატუსის დამდგენი მოლაპარაკების დაწყების შესახებ, ხოლო 2006წ. 31 იანვარს კოსოვოს საკითხთან დაკავშირებით შექმნილმა „საკონტაქტო ჯგუფმა“^{*} გამოაქვეყნა შემდეგი განცხადება: „კოსოვოს სტატუსის“ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების დროს აუცილებლად უნდა იქნას მიღებული მხედველობაში კოსოვოს პრობლემის ხასიათი. კერძოდ ის, რომ ეს პრობლემა შეიქმნა იუგოსლავიის დაშლის, ამის შემდგომ მომხდარი კონფლიქტების, ეთნიკური წმენდისა და 1999 წლის მოვლენების შედეგად“.³⁵ მასასადამე, კოსოვოს სტატუსის პრობლემის გადაწყვეტა იმთავითვე რელატივიზებულია გარკვეული პირობებით: იუგოსლავიის დაშლის ფაქტით, ნატოს 1999წ. მარტ-ივნისის სამხედრო ოპერაციით და სერბების მიერ რეგიონში ალბანური მოსახლეობის ეთნიკური წმენდით, – რაც იმას ნიშნავს, რომ დასავლეთისათვის კოსოვოს დამოუკიდებლობის საკითხი პრაქტიკულად გადაწყვეტილია. პრობლემა მხოლოდ ვადებში მდგომარეობს.

2006 წლის 20 თებერვალს ვენაში, გაერო-ს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენლის მარტი აპტისაარის შუამავლობით, დაიწყო მოლაპარაკება სერბებსა და ალბანელებს შორის კოსოვოს სტატუსზე. ალბანელები მოითხოვენ კოსოვოს სრულ და უპირობო დამოუკიდებლობას, ხოლო სერბები, რეგიონზე თუნდაც ფაქტობრივი კონტროლის შენარჩუნების მიზნით, მოითხოვენ, რომ კოსოვოში შეიქმნას 16 სერბული ადმინისტრაციული ანკლავი, რომლებსაც ექნებათ თვითმმართველობა განათლების, ჯანდაცვის, სასამართლო სისტემისა და უსაფრთხოების საკითხებში³⁶. ამას-

* ეს სტრუქტურა წარმოადგენს აშშ-ს, რუსეთის, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, ევროკავშირისა და ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების საკონსულტაციო საბჭოს.

³⁵ **В. Белоусов.** Косово остановилось в шаге от независимости. – „*Российская газета*“, 3 февраля 2006.

³⁶ **О. Дмитриева.** Условная независимость. – „*Российская газета*“, 21 февраля 2006г.

თან, მოლაპარაკებებს საფუძვლად უდევს სამი საბაზო პრინციპი: კოსოვო ვერ დაბრუნდება სერბეთის კონტროლქვეშ, ის არ შეუერთდება სხვა სახელმწიფოს და არც მისი ტერიტორიული დაყოფა მოხდება. როგორც ჩანს, კოსოვოს ექნება პირობითი დამოუკიდებლობა, სრულ დამოუკიდებლობას ის ევროკავშირში ინტეგრაციის შემდეგ მიიღებს, მანამდე კი მისი სტატუსის გარანტიას უზრუნველყოფს ნაწილობრივი საერთაშორისო პროტექტორატი (რა თქმა უნდა, გარანტიას სერბეთში რეინტეგრაციისაგან).

ასეთია „კოსოვოს პრეცედენტის“ არსი და მისი ქრონოპოლიტიკური სტრუქტურა. როგორც უკვე ავლინშნეთ, ამ სტრუქტურის მნიშვნელოვანი ელემენტია კოსოვოს დამოუკიდებლობის თეორიულ-სამართლებრივი არგუმენტაცია და ე.წ. სეცესიის ფორმულა. „კოსოვოს პრეცედენტის“ ეს მხარე განსაკუთრებით აქტუალურია ჩვენთვის, რამეთუ აფხაზი და ოსი სეპარატისტები და კრემლის იმპეროკრატია (თვით პრეზიდენტი ვ. პუტინით დაწყებული) აქტიურ პროპაგანდას უწევენ ამ „პრეცედენტს“ სწორედ პოსტსაბჭოთა სივრცეში დე-ფაქტოდ არსებული აუღიარებელი წარმონაქმნების დე-იურე სუვერენიზაციის არგუმენტაციის ჭრილში. ამავე დროს ამ ბაკჟანალიაში კრემლს რატომღაც „ავიწყდება“ ორი არსებითი მომენტი: პირველი ის, რომ რუსეთის იმპერიულ „ფედერაციაში“ ინტეგრირებულია 21 ნაციონალური ავტონომიური ეთნიკური სუბიექტი (ე. ი. 21 „პოტენციური კოსოვო“), და მეორე, სერბეთი ისტორიულად (ყოველ შემთხვევაში, 1903 წლის სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ობრენოვიჩების დინასტიის ყარაგორგევიჩების დინასტიით ჩანაცვლების შემდეგ) ყოველთვის რუსეთის სტრატეგიული მოკავშირე იყო.

ამიტომ ჩვენს მიერ სეცესიის ფორმულის კრიტიკა და კოსოვოს მაგალითზე მისი მიუღებლობის კონსტატაცია ავტომატურად ვრცელდება აფხაზეთისა და შიდა ქართლის პრობლემებზეც. სწორედ ამაში მიგვაჩნია „კოსოვოს პრეცედენტის“ ერთგვარი, ჩვენგან ობიექტურად დამოუკიდებელი და თუნდაც პირობითი ზეგავლენა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის უმწვავეს პრობლემაზე. ვფიქრობთ, სეცესიის ფორმულის კრიტიკა უნდა დავიწყოთ ლიბერალიზმის, როგორც კაცობრიო-

ბის ისტორიის თანამედროვე ეტაპის მთავარი იდეოლოგიური დოქტრინის კონცეპტუალურ ბაზაში გამოყოფის ანუ სეცესიის პრინციპის არარსებობის მტკიცებით. დიახ, რაც არ უნდა პარადოქსულად მოგვეჩვენოს, ლიბერალიზმის პოლიტიკურ ფილოსოფიაში არ არსებობს სეცესიის თეორია, შესაბამისად – არ არსებობს ერთიანი სახელმწიფოდან (რასაკვირველია, ეროვნულიდან და არა იმპერიულიდან) რაიმე ტერიტორიის გამოყოფის თეორიული და სამართლებრივი არგუმენტაცია. ლიბერალიზმის, როგორც უფლებათა თეორიის ტრადიციაში შეიძლება აღმოვაჩინოთ, ასე ვთქვათ, უფლებათა მთელი კომპლექსი – სიცოცხლის უფლება, საკუთრების უფლება, რელიგიური აღმსარებლობის უფლება, საარჩევნო უფლება (აქტიური და პასიური), კულტურული ფასეულობებით ტკობის უფლება, განათლების უფლება, სამოქალაქო დაუმორჩილებლობის უფლება, თვით რევოლუციისა და მთავრობის ჩამოგდების უფლებაც კი, – მაგრამ სეცესიის უფლებას იქ ვერ აღმოვაჩინოთ, რადგან ის უბრალოდ არ არსებობს, როგორც ასეთი.

სეცესიის ნორმატიულ დაუშვებლობას იურიდიულად განამტკიცებს თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, რომლის ფუნქციონალური აქტები – გაერო-ს წესდება, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის აქტი (ე.წ. „*ჰელსინკის აქტი*“), „პარიზის ქარტია ახალი ევროპისათვის“ (ე.წ. „*ჰელსინკი-2*“) და სხვ. – პრიორიტეტულად მიიჩნევენ სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისა და არსებული საზღვრების ხელშეუხებლობა-ურღვეობის პრინციპებს. რაც შეეხება ერთა თვითგამორკვევის პრინციპს, არაიმპერიული ისტორიული წარსულისა და პოლიეთნიკური სტრუქტურის მქონე ქვეყნებში (მაგალითად, საქართველოში) მისი რეალიზაცია უნდა მოხდეს ეთნიკური ავტონომიზაციის ფორმით, ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის ფარგლებში.

ამიტომ, ჩვენის აზრით, კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება არის საერთაშორისო სამართლის ძირითადი ნორმების დარღვევა და, ამდენად, არაკანონიერი, მართლსაწინააღმდეგო აქცია. კოსოვოს დამოუკიდებლობის საკითხზე მიმდინარე მოლაპარაკ-

კვების ანალიზი და ამ აქტის მომხრეთა არგუმენტების განხილვა გვიჩვენებს, რომ აქცენტი კეთდება უმთავრესად პრობლემის არაორდინარულ ხასიათზე, მის ფორს-მაჟორულ წარმომავლობაზე. ამასთან, ხაზი ესმება სერბეთის ხელისუფლების მიერ კოსოვოს ალბანელთა წინააღმდეგ განხორციელებულ გენოციდსა და ეთნიკურ წმენდას, რის გამოც სერბეთის ფარგლებში ალბანელთა უსაფრთხოება ეჭვის ქვეშ დადგა. საკითხის ამგვარად დასმის შემთხვევაში კოსოვოს დამოუკიდებლობის მომხრეთა იდეურ-პოლიტიკური პოზიცია ასე მარტივად აიხსნება: მართალია, საერთაშორისო სამართალი მოითხოვს სერბეთის ტერიტორიული მთლიანობის დაცვას, მაგრამ რა ვქნათ, შექმნილია ფორს-მაჟორული სიტუაცია, ირღვევა კოსოვოელ ალბანელთა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, ისინი განიცდიან დისკრიმინაციას, მათი კულტურა და ცხოვრების წესი საფრთხის ქვეშაა და ა.შ.

გამოდის, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობა უნდა დაეყრდნოს არა პოზიტიურ, ნორმატიულ საერთაშორისო სამართალს, არამედ სერბეთის ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორების აუცილებლობას, ე. ი. ამ შემთხვევაში მოქმედებს, ასე ვთქვათ, გამოსწორებითი სამართალი, რომელიც თავისთავად, ცხადია, ნონსენსია. კოსოვოელ ალბანელებს მართლაც აქვთ ოფიციალური ბელგრადის კრიტიკის მორალური უფლება, მაგრამ სეცესიის სამართლებრივი უფლება არა აქვთ, ყოველ შემთხვევაში, თანამედროვე საერთაშორისო სამართლით. ისიც ცხადია, რომ სეცესიის მორალური თეორიის აბსოლუტიზაცია და მისი აყვანა სამართლის ნორმის დონემდე, უფრო სწორედ, სეცესიის მორალური თეორიის საფუძველზე პოზიტიური საერთაშორისო სამართლის ნორმების კორექცია ერთბაშად დაანგრევს საერთაშორისო სამართლის ნორმატიულ სისტემას და მის ნაცვლად დაამკვიდრებს ე.წ. „პრეცედენტულ სამართალს“. ესეც იქნება ერთგვარი რეცეპტი ძალიან სახიფათო და დამანგრეველი ეთნიკური კონფლიქტების გაჩაღებისათვის. რომ არაფერი ვთქვათ რუსეთის იმპერიაზე, კოსოვოს ანალოგიური „პრეცედენტები“ შეიძლება შეიქმნას ესპანეთში, დიდ ბრიტანეთში, ბელგიაში, იტალიაში, რუმინეთში და ა.შ. ეს კი მთელი ევროატლანტიკური სივრცის ტო-

ტალური დესტაბილიზაციის პერსპექტივაა.

დასასრულს, კიდევ ერთხელ იმ აშკარა უსაფუძვლო და ზედაპირული, წმინდა აბსტრაქტული პარალელიზმის შესახებ, რომელსაც მიმართავს რუსეთი (სამწუხაროდ, არა მხოლოდ ვ. პუტინის ადმინისტრაცია) კოსოვოსა და საქართველოს არაკონტროლირებადი რეგიონების ერთ სიბრტყეში განხილვის სახით. დავუშვათ და კოსოვოს დამოუკიდებლობა მართლაც კანონიერ აქტად წარმოვიდგინოთ. დავუშვათ, რომ სერბეთის ხელისუფლების მიერ გატარებულმა რეპრესიულმა პოლიტიკამ განაპირობა კოსოვოს სეცესიის კანონიერება, რომ კოსოვოელ ალბანელებს აქვთ გამოყოფის მორალური და პოლიტიკური უფლება. ამ შემთხვევაშიც კი დაუშვებელია კოსოვოს საკითხის გაიგივება აფხაზეთისა და შიდა ქართლის კონფლიქტებთან და კოსოვოს დამოუკიდებლობის ცნობის ფორმატის მექანიკური ჩართვა აფხაზეთისა და შიდა ქართლის კონფლიქტების დარეგულირების პროცესში. ჯერ ერთი, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს რომც ჰქონდეთ საქართველოსაგან სეცესიის უფლება, ეს უფლება უნდა დადასტურდეს პლებისციტარული ფორმით. ეს გამორიცხულია, რადგან რეგიონებში ომამდელი დემოგრაფიული სტრუქტურის აღდგენის (ე. ი. ქართველთა დაბრუნების) შემთხვევაში წინასწარვეა ცნობილი ყოველგვარი რეფერენდუმის თუ პლებისციტის შედეგები. მეორე, არსებობს რადიკალური განსხვავება სიტუაციურ ფორმატებს შორის, კერძოდ:

ისტორიულ-სიტუაციური ფორმატი – აფხაზეთი და შიდა ქართლი ყოველთვის საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდნენ და ქართული სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი სივრცის ორგანული ნაწილები იყო, კოსოვო კი მხოლოდ XII ს. ბოლოდან შედიოდა სერბეთის მონარქიაში. ამასთან, იგი არასოდეს ყოფილა ალბანეთის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ სისტემაში.

ეთნო და ლინგვო-გეოგრაფიული ფორმატი – კოსოვო ალბანელთა ილირიული ეთნოსის ეთნოგენეზის ერთ-ერთი არეალი იყო, ამიტომ იქ ალბანური მოსახლეობა არ არის მიგრაციის შედეგი. აფხაზეთი და შიდა ქართლი კი ქართველი ხალხის ეთნო-

გენების კერები და ქართული კულტურულ-ცივილიზაციური სივრცის განუყოფელი ნაწილებია.

პოლიტიკურ-სიტუაციური ფორმატი – კოსოვოში ეთნიკური წმენდა, ალბანელი მოსახლეობის სამოქალაქო და პოლიტიკური დისკრიმინაცია განახორციელა სერბეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამ, ხოლო აფხაზეთსა და შიდა ქართლში გენოციდისა და ეთნიკური წმენდის მსხვერპლი გახდა რეგიონების მკვიდრი ქართული მოსახლეობა. მაშასადამე, გარკვეულწილად, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება თვითონ იყო გენოციდისა და დისკრიმინაციის ობიექტი, რის გამოც საქართველოს მორალური პასუხისმგებლობა არ ეკისრება, ხოლო აფხაზეთსა და ოსებს სეცესიის არავითარი მორალური უფლება არა აქვთ.

ამრიგად, „კოსოვოს პრეცედენტის“ გავრცელება საქართველოზე სრულიად დაუსაბუთებელია, რადგან ამ „პრეცედენტით“ საერთაშორისო პრაქტიკაში მკვიდრდება სეცესიის ლეგიტიმაციის საერთაშორისო მექანიზმი თავისი ისტორიული (ისტორიისა და ეთნოგენეზის პროცესის ფალსიფიკაცია), პოლიტიკური (სეცესიის მხარდაჭერა რომელიმე ზესახელმწიფოს მიერ, მაგალითად, კოსოვოს შემთხვევაში – ნატო-ს ალიანსი, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის შემთხვევაში – რუსეთი) და იურიდიული (პრეცედენტული სამართალი ერთა თვითგამორკვევის პრინციპის უკანდაწევის ფონზე, ეთნიკური უფლების დაყენება ეროვნულ უფლებაზე მაღლა) საფუძვლებით. ამასთან, „კოსოვოს პრეცედენტის“ მიუღებლობის კონსტატაცია სრულებით არ გულისხმობს საქართველოს პროდასავლური ორიენტაციის გადასინჯვას, ჩვენი სახელმწიფოს მიერ უსაფრთხოების ევროატლანტიკური სისტემის გაუთვალისწინებლობას და ოპოზიციას აშშ-ს გლობალური სტრატეგიის მიმართ.

КОСОВСКИЙ ПРЕЦЕДЕНТ

В статье рассматриваются исторические, политические и концептуально-правовые аспекты Косовского кризиса, ставшего одним из краеугольных объектов современной глобальной политики. Сущность этого кризиса выражается в диаметральной противоречии между централистской политикой руководства Сербии и сепаратистским движением албанцев.

Исторически Косовский край, по крайней мере, с конца XII века, был неотъемлемой частью территориально-административной структуры сербского государства, а косовские албанцы, хотя и проживали там испокон веков, никогда не имели статус государство-образующего этноса. Политический аспект проблемы представляется в радикализации сепаратистского движения, в основном ориентированного на методы военного ополчения косовских албанцев, которое нацелено на отторжение этой территории от Сербии, с последующим присоединением её к Албании и на создание т.н. „Великой Албании“.

В статье подвергается критике правовая аргументация признания независимости Косово, доказывается логическое несовпадение этой акции с основными принципами международного права и, прежде всего, с принципом территориальной целостности государств и нерушимости существующих границ. В этой связи отмечается, что правовому и нормативному направлению в идейном аспекте противостоит мнимая теория т.н. морального права на сепессию. Вместе с тем, признана абсолютно несостоятельной позиция политического руководства России относительно использования косовского прецедента в качестве рычага для давления на Грузию в процессе урегулирования грузино-абхазского конфликта и ситуации в Цхинвальском регионе.

Совершенно очевидно, что в случае реализации, Косовский прецедент может стать своеобразным механизмом международной легитимации сепессии самопровозглашённых образований и тем самым стать серьёзным фактором дестабилизации во всём евроазиатском пространстве.

DAZMIR DJODJUA

THE KOSOVO PRECEDENT

The paper deals with the historical, political and legal aspects of the Kosovo crisis, which became one of the fundamental issues in the modern global politics. Historically, at least since the end of the 12th century, Kosovo was a part of the administrative structure of the Serbian state, while the kosovars, who lived there from the ancient times, never had the statehood. The Political aspect of the problem is presented in the radicalization of the separatist movement, which basically is oriented to the military irregulars of the Kosovo Albanians, who are aiming to secede Kosovo from Serbia with the future unification with Albania and creation of the so-called "Great Albania".

The author criticises the legal argumentation of recognizing the Kosovo independence, proves the logical inconsistency between this action and the basic principles of the international law and the inviolability of the existing frontiers. It is mentioned that the legal direction is opposed with the alleged theory of the moral right on secession. At the same time, the political leadership of Russia is going to use the Kosovo precedent as an instrument of pressure on the Georgian government in the process of regulation the Georgian-Abkhaz conflict and the situation in the Tskhinvali Region, although this position is absolutely unfounded.

It is evident that the Kosovo precedent can become the instrument of international legitimization to the secession of the break-up regions and thus develop into the serious factor of the destabilization in the European and Asiatic regions.

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება
აფხაზეთის ორგანიზაცია
საისტორიო ძიებანი, 8-9, 2006

პ რ ი ტ ი კ ა , ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

ზ უ რ ა ბ პ ა პ ა ს ქ ი რ ი

შუა საუკუნეების ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის შესწავლის ისტორიიდან

რეცენზია გიორგი მჭედლიშვილის მიერ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (სპეციალობა 24.00.02 ისტორიული კულტუროლოგია) წარმოდგენილ ნაშრომზე:

„შუა საუკუნეების ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ძირითადი მიმართულებები და „ვეფხისტყაოსანი“

შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“, გარდა იმისა, რომ საყოველთაოდაა აღიარებული მსოფლიო ლიტერატურის შედეგად, გარკვეულწილად XIII ს. საქართველოს ერთგვარ მატთანესაც წარმოადგენს. შემთხვევითი არ არის, რომ XII საუკუნეს ისტორიკოსები არცთუ იშვიათად უბრალოდ „რუსთაველის ეპოქად“ მოიხსენიებენ. და ეს მიუხედავად იმისა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ საქართველოს ხსენებაც კი არ არის და თვით ავტორის პირდაპირი მითითებით, მასში გადმოცემული ისტორია თითქოს „სპარსულ ამბავსაც“ კი წარმოადგენს. სინამდვილეში კი სრულიად უეჭველია, რომ ნაწარმოებში მთლიანად ჩვენი ქვეყნის ისტორიული რეალობაა ასახული. ის იმდროინდელი საქართველოს ერთგვარი სარკეა. ამიტომაცაა, რომ ისტორიკოსები XI-XIII სს. საქართველოს ისტორიის მთელ რიგ პრობლემებზე მსჯელობისას გვერდს ვერ უვლიან ამ გენიალურ ნაწარმოებს და მის მონაცემებზე აგებენ თავიანთ მოსაზრებებს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ამა თუ იმ საკითხზე.

შოთა რუსთაველის პოემა ისტორიოგრაფიული კუთხით საკ-

მაოდ კარგადაა შესწავლილი. პირველი დაკვირვებები ამ მიმართულებით ჯერ კიდევ XIX ს.-ში გაკეთდა (პლატონ იოსელიანი, მარი ბროსე, თედო ჟორდანიას, მოსე ჯანაშვილი და სხვ.). „ვეფხისტყაოსანზე“ დაყრდნობით არაერთი საყურადღებო მოსაზრება საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის საკითხებზე წამოაყენა ივანე ჯავახიშვილმა. დიდია „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორის „საიდუმლოებათა“ გახსნის საქმეში ნიკო მარისა და პავლე ინგოროყვას წვლილი. XI-XII საუკუნეების საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების, სახელმწიფოსა და სამართლის, წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის ცალკეული პრობლემების განხილვისას შოთა რუსთაველის პოემის მონაცემებს საგანგებო ყურადღება ექცევა ნიკო ბერძენიშვილის, შოთა მესხიას*, სარგის კაკაბაძის, მამია დუმბაძის, აბელ კიკვიძის, კოტე გრიგოლიას, პროკოფი რატიანის, გიორგი სოსელიას, ივანე სურგულაძის, ვახტანგ აბაშმაძის, ივანე ლოლაშვილის, ნოდარ შოშიაშვილის, მარიამ ლორთქიფანიძის, როინ მეტრეველისა და სხვა მკვლევართა შრომებში.

ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემას, რომელიც მუდამ იყო რუსთველოლოგიის, კერძოდ, ასე ვთქვათ, „ისტორიული რუსთველოლოგიის“ ყურადღების ცენტრში, წარმოადგენს XI-XII საუკუნეებში, უპირატესად კი თამარის ეპოქაში, მიმდი-

* გამონჩენილი ქართველი ისტორიკოსის, პროფ. შოთა მესხიას შემოქმედებაში ცენტრალური ადგილი ეკავა რუსთაველის ეპოქის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ისტორიის საკვანძო პრობლემების მეცნიერულ შესწავლას (იხ.: **შ. მესხია**, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში. თბ., 1962. იხ. აგრეთვე წიგნში: **შ. მესხია**, *საისტორიო ძიებანი*. ტ. I. თბ., 1982, გვ. 199-324; **შ. მესხია**, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში. თბ., 1979 და ა.შ.). უფრო მეტიც, „შოთა რუსთაველის ეპოქა“ სულაც მისი ერთ-ერთი ნაშრომის სათაურადაა გატანილი (იხ.: **შ. მესხია**, შოთა რუსთაველის ეპოქა. *საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარება რუსთაველის ეპოქაში*. – საიუბილეო კრებული: „თბილისის უნივერსიტეტი შოთა რუსთაველს“. თბ., 1966; აღნიშნული ნაშრომის პუბლიკაცია იხ. აგრეთვე წიგნში: **შ. მესხია**, *საისტორიო ძიებანი*. ტ. III. თბ., 1986, გვ. 240-271). წარმოდგენილი რეცენზიის დაბეჭდვა პროფ. შოთა მესხიასადმი მიძღვნილ კრებულში ამ გარემოებამაც განაპირობა.

ნარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები. მიუხედავად ამისა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართულებით კვლევა სულაც არ არის დასრულებული და ბევრი რამ ჯერ კიდევ გასარკვევი და დასაზუსტებელია. ერთ-ერთ ასეთ პრობლემად ჩვენ გვეჩვენება რუსთაველის ეპოქის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი, რომლის ცალკეული ასპექტების მონოგრაფიული შესწავლის ცდას წარმოადგენს გიორგი მჭედლიშვილის მიერ წარმოდგენილი სადოქტორო დისერტაცია.

გ. მჭედლიშვილის საკვალიფიკაციო ნაშრომი არის ავტორის მრავალწლიანი ნაყოფიერი მეცნიერული კვლევის (რომელიც აისახა მის მიერ გამოქვეყნებულ 20-მდე პუბლიკაციაში) შეჯამება. მასში დასმული და რამდენადმე ორიგინალურად გაშუქებულია შოთა რუსთაველის ვინაობის, პოემის დაწერის დროისა და პირობების, პოეტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მრწამსის, შუა საუკუნეების ქართული საზოგადოებრივი აზრის, როგორც თანამედროვეთა, ისე მოგვიანო ხანის მოღვაწეთა რუსთაველის ნაწარმოებისადმი დამოკიდებულებისა და „ვეფხისტყაოსნთან“ დაკავშირებული სხვა აქტუალური საკითხები.

სარეცენზიო ნაშრომი (საერთო მოცულობა – 332 გვერდი, ძირითადი ტექსტი – 284 გვ.) შედგება შესავლის, ხუთი თავისა და დასკვნისაგან. II და IV თავები შესაბამისად დაყოფილია 3 და 4 პარაგრაფად. ნაშრომს დართული აქვს ვრცელი ბიბლიოგრაფია.

შესავალში ნაჩვენებია საკვლევი თემის აქტუალობა. სავსებით მართებულადაა ხაზგასმული „ვეფხისტყაოსნის“, როგორც პირველწყაროს მნიშვნელობა „შუა საუკუნეების ქართული პოლიტიკური აზროვნებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბრძოლების შესასწავლად“.

პირველ თავში – „*რუსთაველისა და მისი ეპოქის ისტორიული პრობლემები*“ – დისერტანტი იძლევა XIII. ამსახველი ქართული საისტორიო თხზულებების – „*ქართლის ცხოვრების*“ მათიანეთა კრიტიკულ შეფასებას და აყენებს მათში არსებული „შეუმჩნეველი ინფორმაციის“ „*არა მხოლოდ პირდაპირი გაგებით*“, არამედ „*გარკვეული ისტორიული პროცესების ლოგიკური აღდგენის*“ გზით გამოვლენის ამოცანას, თუმცა მთლად კარგად

არ გვესმის, თუ რას ნიშნავს გამოთქმა „ვიხელმძღვანელოთ, წყაროთა ღუმილის შემთხვევაში, აზროვნების ისტორიის ნიადაგზე გამოტანილი დასკვნებით“. ასევე გაუგებარია, რატომ თვლის გ. მჭედლიშვილი, რომ „ქართლის ცხოვრების“ კრიტიკულ შესწავლას არც თუ დიდი ხნის ისტორია აქვს“. როგორც ცნობილია, „ქართლის ცხოვრებაზე“ მუშაობა ჯერ კიდევ XVIII ს. დამდეგს ვახტანგ VI-ის „მეცნიერ კაცთა კომისიამ“ დაიწყო, ხოლო თვისებრივად ახალი ეტაპი საქართველოს ისტორიის „დედა-წიგნის“ წყაროთმცოდნეობითი შესწავლისა მარი ბროსეს სახელს უკავშირდება. ე. ი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ „მეცნიერ კაცთა“ მიერ შესრულებულ სამუშაოს ანგარიშს არ გავუწევთ, „ქართლის ცხოვრების“ კრიტიკული შესწავლა მარი ბროსედან მაინც უნდა დავიწყოთ, რასაც სულ ცოტა საუკუნენახევრის წინ მაინც ჩაეყარა საფუძველი. ეს კი ნამდვილად არ არის ცოტა დრო.

ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ დისერტანტის დასკვნას იმის შესახებ, რომ თამარის ისტორიკოსებს „მოდასეობა“ ნამდვილად უშლიდა ხელს, სრულად და ობიექტურად მოეცათ „მძვინვარე ეპოქის დუღილი“, რომ ეს მხოლოდ მხატვრული ხერხებით („ჭრელად ლაპარაკი“) იყო შესაძლებელი, რაც აღასრულა კიდევ შოთა რუსთაველმა, მაგრამ, ამასთან, მთლად გამართლებულად არ მიგვაჩნია გ. მჭედლიშვილის ერთგვარი მცდელობა, საისტორიო მწერლობას დაუპირისპიროს პოეზია და მას, როგორც „უფრო ფილოსოფიურსა და უფრო მნიშვნელოვანს, ვიდრე ისტორია“ (არისტოტელეს განმარტება), მიანიჭოს უპირატესობა ისტორიული პროცესის აღდგენისას. ჩვენი აზრით, არც დიდი პოეზიაა დაზღვეული „მოდასეობისაგან“ და ამ თვალსაზრისით მისი გაფეტიშება არ შეიძლება. თვით ის ფაქტი, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გენიალურობა უმთავრესად განაპირობა მასში განვითარებულმა ეპოქისათვის თითქმის რევოლუციურმა ჰუმანისტურმა იდეებმა, რომლებიც ვერ თავსდებოდა იმდროინდელი ფეოდალური საზოგადოების იდეოლოგიის ჩარჩოებში, გარკვეულწილად სწორედ მისი ავტორის „მოდასეობის“ მაჩვენებელია.

უადრესად საინტერესოა სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავი: „ძღაუფლების ანატომია XI-XII საუკუნეების საქართვე-

ლოში“: მასში დისერტანტი შეეცადა, თვალი გაედევნებინა სახელმწიფო ხელისუფლების ევოლუციისათვის და ეჩვენებინა ის ცვლილებები, რომლებიც განიცადა მმართველობის სისტემამ XI-XII საუკუნეების საქართველოში. ამასთან დაკავშირებით, გ. მჭედლიშვილი რატომღაც საგანგებოდ ჩერდება გაერთიანებული საქართველოს მეორე მეფის – გიორგი I-ის მოღვაწეობაზე და სვამს კითხვას, რამდენად შეიძლება ის ყოფილიყო ერთპიროვნული მმართველი – ტირანი. დისერტანტის არჩევანი, ამ შემთხვევაში, მთლიანად განაპირობა დიდი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „დიდოსტატის მარჯვენა“ დასმულმა პრობლემამ. ამიტომაცაა, რომ სადისერტაციო ნაშრომში ავტორი გიორგი I-ის მოღვაწეობის შესახებ მსჯელობს არა იმდენად არსებულ საისტორიო მასალაზე დაყრდნობით, არამედ ძირითადად ყურადღებას ამახვილებს კონსტანტინე გამსახურდიას მიერ შექმნილი ლიტერატურული პერსონაჟის დახასიათებაზე.

სინამდვილეში გიორგი I-ის მოღვაწეობის ამსახველი როგორც ქართული, ისე უცხოენოვანი (ბიზანტიური, სომხური, არაბული) წყაროები არ აფიქსირებენ რაიმე განსაკუთრებულს, რომელიც მიგვანიშნებდეს ამ მონარქის გამორჩეულ თვითმპყრობლურ მისწრაფებებზე. როგორც ცნობილია, გიორგი I თავისი ხანმოკლე მეფობის მანძილზე მთლიანად საგარეო-პოლიტიკური პრობლემებით იყო დაკავებული და მას ქვეყნის შიგნით რაიმე სერიოზული ღონისძიებები თავის ე.წ. „ტირანული ხელისუფლების“ განსამტკიცებლად არ გაუტარებია. უფრო მეტიც, გიორგი მეფეს მოუხდა ზოგიერთ დათმობაზე წასვლა, რაც, პირველ რიგში, კახეთ-ჰერეთის ერთიანი ქართული სახელმწიფოდან გამოსვლასა და ქუთაისის ტახტის მხრიდან მისი ცალკე სახელმწიფოებრივ წარმონაქმნად ცნობაში გამოიხატა.

მოუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ გიორგი I-ს ნამდვილად ჰყავდა სერიოზული ოპოზიცია ქვეყნის შიგნითაც, მაგრამ ეს ოპოზიცია მეფეს უპირისპირდებოდა მისი ანტიბიზანტიური პოლიტიკის გამო და მხოლოდ ამდენად ახდენდა გავლენას ქვეყნის შინაპოლიტიკურ ცხოვრებაზე. ანუ ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ გიორგი I შეეწირა არა თავისი „ტირანული ახირე-

ბების“ გამოვლინებას, რომელსაც თითქოს ვერ შეეგუა ფეოდალური არისტოკრატია, არამედ კონკრეტულ საგარეოპოლიტიკურ (ანტიბიზანტიურ) კურსს, რომელსაც არ იზიარებდა საქართველოს მმართველი წრეების ერთი ნაწილი. ეს საკითხი, თავის დროზე, ჩვენ საგანგებოდ დავამუშავეთ¹ და ამჯერად მასზე არ ვაპირებთ ფართო მსჯელობის გამართვას. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ თუ დისერტანტს სურდა ყურადღების გამახვილება სამეფო ხელისუფლების ხასიათზე ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფორმირების დასაწყის სტადიაზე, მას ბევრად უფრო საინტერესო მასალას მისცემდა არა გიორგი I-ის, არამედ მისი მამის ბაგრატ III-ის მოღვაწეობა, რომლის დროსაც ცალკეული ქართული რეგიონების ერთიან სახელმწიფოში გაერთიანების ურთულესი პროცესი მართლაც მოითხოვდა მკაცრი ცენტრალიზებული მმართველობის (თვითმპყრობელური) ფორმების დანერგვას, რასაც წარმატებით გაართვა კიდეც თავი ბაგრატ III-მ.

ბაგრატ III-ის თვითმპყრობელური ტენდენციების პირველი დიდი გამოვლინება, როგორც ცნობილია, იყო ქართლის დიდაზნაურთა გამოსვლის ჩახშობა Xს. 80-იანი წლების დამდეგს², ხოლო მოგვიანებით გაურჩეული ფეოდალის – რატი ბაღვაშის დამორჩილება³. მაგრამ თავისი ნამდვილი „ტირანული“ თვისებები ბაგრატ III-მ მანც XIს. 10-იანი წლების დამდეგს გამოამჟღავნა, როდესაც სასტიკი რეპრესიები გაატარა კლარჯეთის ბაგრატიონთა სახლის მიმართ (ნაწილი დაახოცინა, ნაწილმა თავი ბიზანტიას შეაფარა)⁴ და ამ რეგიონში თავისი დიქტატი დაამყარა.

¹ იხ.: **ზ. პაპასქირი**. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ., 1990, გვ. 102-140.

² **მატიანე ქართლისა**. – *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ, ტ. I. თბ., 1955, გვ. 276; ამ გამოსვლის ხასიათის შესახებ იხ.: **ზ. პაპასქირი**. ერთიანი ქართული..., გვ. 68-71.

³ **მატიანე ქართლისა**..., გვ. 276-277; **ზ. პაპასქირი**. ერთიანი ქართული..., გვ. 38-43.

⁴ **სუმბატ დავითის ძე**. ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა. – *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ, ტ. I. თბ., 1955, გვ. 382.

აქვე საგანგებოდ გვინდა შევნიშნოთ, რომ გარკვეული ისტორიული პროცესების ანალიზისას, მკვლევარი ისტორიკოსი, პირველ რიგში, უნდა აპელირებდეს არა თანამედროვე მწერლის მიერ დანახული სამყაროთი, არამედ კონკრეტული საისტორიო მასალით. რაც შეეხება კონსტანტინე გამსახურდიას გენიალურ ნაწარმოებს – „დიდოსტატის მარჯვენას“, რომლის კრიტიკულ ანალიზსაც ვ. მჭედლიშვილი იძლევა, მასში, მართალია, ნამდვილად საკმარისად ზუსტად (სხვათა შორის, ისტორიოგრაფიული თვალსაზრისითაც) არის ასახული იმდროინდელი საქართველოს ისტორიული სინამდვილე⁵, მაგრამ 900 წლის შემდეგ შექმნილმა მხატვრულმა ნაწარმოებმა მაინც არ შეიძლება გადაწონოს კონკრეტული ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობა.

სადისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილში სავსებით სწორადაა აღნიშნული, რომ „XI საუკუნემ – ქართული ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის ხანამ შექმნა შუა საუკუნეების ყველაზე მნიშვნელოვანი და დიდი ტაძრები“ და რომ „ბაგრატი, სვეტიცხოველი, გელათი, ალავერდი, სამთავისი... მტკიცე, ერთიანი, განუყოფელი საქართველოსათვის ბრძოლის შენამენი“ იყო. სამწუხაროა მხოლოდ, რომ დისერტანტმა ამ სიას რატომღაც ჩამოაშორა ბედი. არადა, სწორედ დიდი ბაგრატ მეფის, საქართველოს გამაერთიანებლის მიერ აგებული ბედი იყო, პირველ რიგში (ქუთაისის ბაგრატის ტაძართან ერთად), იმთავითვე აღქმული ახლადშექმნილი ქართული სახელმწიფოს ძლიერებისა და სიდიადის სიმბოლოდ⁶, რასაც საგანგებოდ გაუსვა ხაზი „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორმა⁷. ასევე სწორია დასკვნა იმის შესახებაც, რომ „სამეფო ხელისუფლება IX-X-XI საუკუნეების საქართველოში პროგრესულ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა, რამდენადაც მთელ ამ საყოველთაო არევ-დარევაში უწინარესად ამყარებდა წესრიგს უწესრი-

⁵ ამის შესახებ იხ.: **ზ. პაპასქირი**. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხის კონსტანტინე გამსახურდიასეული გააზრება. – *საისტორიო ძიებანი*, წელიწადი, VI. თბ., 2003, გვ. 295-304.

⁶ ამის შესახებ იხ.: **ზ. პაპასქირი**. ბედიის ტაძარი – ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის სიმბოლო. – *საისტორიო ძიებანი*, წელიწადი, III. თბ., 2000, გვ. 3-9.

⁷ *მატიანე ქართლისაჲ*, გვ. 281.

გობაში“, მაგრამ უპრიანი იყო ავტორს ამ შემთხვევაში აღენიშნა, რომ ეს ზოგადი ფორმულა სამეფო ხელისუფლების როლზე (ევროპის ქვეყნების მიმართ) ეკუთვნის ფრიდრიხ ენგელსს.

ასევე ჩვენთვის მთლად გასაგები არ არის დისერტანტის თეზისი სამეფო ხელისუფლებასა და დიდაზნაურთა მეტოქეობის განსაკუთრებით IX ს. დამლევდიან გამწვავების შესახებ, როცა, მისი სიტყვებით, „ქართველი ხალხის წინაშე უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი ამოცანა წამოიჭრა საქართველოს გაერთიანების სახით“. გ. მჭედლიშვილის აზრით, „ეს იყო დასაწყისი სამსაუკუნოვანი პროცესისა“. ჩვენთვის უცნობია, თუ რის საფუძველზე მიიჩნევს დისერტანტი IX ს. მიწურულს ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნისათვის ბრძოლის დასაწყისად. ეს პრობლემა გაცილებით უფრო ადრე წამოიჭრა. პირველად ეს ამკარად შეიმჩნევა ვახტანგ გორგასლის ეპოქაში, ხოლო უფრო მკვეთრად – VIII ს. შუა ხანებში, როდესაც, როგორც უკანასკნელი პერიოდის კვლევებმა (ნ. ბერძენიშვილი, დ. მუსხელიშვილი, ზ. ალექსიძე, გ. აბრამიშვილი, ზ. პაპასქირი და ა.შ.)⁸ ნათლად წარმოაჩინეს, შესაძლებელია, „დე-იურე“ მოხდა კიდეც იმერ-ამერიის ქართლის ერისმთავართა სახლის ხელისუფლების ქვეშ გაერთიანება. IX ს. დამლევდიან კი ახლადშექმნილ სამეფო-სამთავროებს შორის გაჩაღებული პერმანენტული დაპირისპირება ქართულ პოლიტიკურ სამყაროში ჰეგემონობისათვის ნამდვილად ნიშნავდა ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლის დაწყებას.

IX ს. მიწურულს ურთიერთობების რაიმე განსაკუთრებული გამწვავება სამეფო ხელისუფლებასა და ფეოდალურ არისტოკ-

⁸ ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ., 1990, გვ. 579; ზ. ალექსიძე. ქართული და სომხური წყაროები VIII ს. დამდეგს ქართლისა და ეგრისის საეკლესიო ერთიანობის შესახებ. – წგნ.: „ეპისტოლეოთა წიგნი“. სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ზ. ალექსიძემ. თბ., 1968, გვ. 173; გ. აბრამიშვილი. სტეფანოზ მამფადის წარწერა ატენის სიონში. თბ., 1977, გვ. 35; დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II. თბ., 1980, გვ. 76-77; ზ. პაპასქირი. ბიზანტიის დიპლომატია და პოლიტიკური ცვლილებები დასავლეთ საქართველოში VIII ს. I ნახევარში. – ქართული დიპლომატია, წელიწდეული, ტ. IV. თბ., 1997, გვ. 297-300.

რატყას შორის, რომელიც თითქოს გამოწვეული იყოს ახალი პროცესის – სამეფო ხელისუფლების მიერ ქვეყნის გაერთიანებისთვის ბრძოლის დაწყებით წყაროებში არ შეინიშნება. პირიქით, ამ პერიოდისათვის „აფხაზთა“ სამეფომ, რომელიც იმ დროს ყველაზე აქტიურად ცდილობდა და მეტ-ნაკლებად ახერხებდა კიდევ მოებოვებინა ჰეგემონობა საერთო-ქართულ სამყაროში, საბოლოოდ დაძლია შინაპოლიტიკური კრიზისი და მიადწია გარკვეულ სტაბილიზაციას. ასევე სტაბილური გახდა ვითარება ტაო-კლარჯეთში, სადაც 80-იანი წლების მიწურულისათვის ფაქტობრივად დასრულდა თითქმის 20-წლიანი ფეოდალური შინაომი, რომლიდანაც გამარჯვებული ბაგრატ აშოტის ძის სახლი გამოვიდა. ამ სახლის წარმომადგენელმა ადარნასე დავითის ძემ კი თავისი გამარჯვება „ქართველთა“ მეფის ტიტულის მიღებით დააგვირგვინა.

სავსებით სწორია ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების იდეოლოგიური საფუძვლების შემზადებაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გადამწყვეტი როლის დისერტანტისეული შეფასება. ჩვენ ასევე მთლიანად ვეთანხმებით ნაშრომში გატარებულ თვალსაზრისს იმის შესახებაც, რომ გაერთიანებისათვის ბრძოლაში თვით ეკლესიას ჰქონდა საკუთარი მიზანი და რომ მას ამოძრავებდა ე.წ. ცეზარო-პაპიზმის მისწრაფებები. ასევე სწორია იმის მტკიცებაც, რომ ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლის პროცესში „ეკლესია მთლიანი ფრონტით“ ყოველთვის არ გამოდიოდა სამეფო ხელისუფლების მხარეზე, რომ მისი გარკვეული ნაწილი ფეოდალურ ოპოზიციას უჭერდა მხარს.

სხვათა შორის, საქართველოს ეკლესიის მესაჭეთა ოპოზიციურობა მკვეთრად გამოვლინდა სწორედ გიორგი I-ის ეპოქაში, როდესაც კათოლიკოსი მელქისედეკი საკმაოდ აქტიურად გამოდიოდა ბიზანტიასთან დაახლოების ინიციატივით (ცნობილია მისი კარგი ურთიერთობა ბიზანტიის იმპერატორებთან: ბასილი II-სთან, კონსტანტინე VIII-სთან და რომანოზ არგვიროსთან) და ამით უპირისპირდებოდა გიორგი I-ის ანტიბიზანტიურ კურსს⁹. ჩვენი აზრით, სწორედ ამ დროიდან იწყება ურ-

⁹ ამის შესახებ დაწვრ. იხ.: **ზ. პაპასქირი**. ერთიანი ქართული... გვ. 133-137.

თიერთობის გამწვავება სამეფო ხელისუფლებასა და ეკლესიის ხელმძღვანელობას შორის, რომელმაც ერთგვარ აპოგეას მიაღწია XI ს. 60-იან წლებში, როდესაც ბაგრატ IV-მ გიორგი მთაწმიდელის ავტორიტეტის გამოყენებით მოინდომა ურჩი მღვდელმთავრების ალაგვება და ეკლესიაში მისთვის სასურველი წესრიგის დამყარება. ამ მცდელობამ, როგორც ცნობილია, მამინ მიზანს ვერ მიაღწია, მაგრამ რაც ვერ მოახერხა ბაგრატ IV-მ, რეალურად განახორციელა მისმა ძლევაძმოსილმა შვილიშვილმა დავით IV აღმაშენებელმა, რომელმაც ნამდვილად შეძლო ეკლესიის სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მოქცევა. ეს ფაქტი კი უდავოდ საქართველოში თვითმპყრობელური რეჟიმის დამყარების მანიშნებელი იყო.

სწორად მიგვაჩნია დისერტანტის დასკვნა იმის შესახებ, რომ XII-XIII საუკუნეების მიჯნის საქართველო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით უახლოვდებოდა იმ სიტუაციას, როდესაც ჩნდება ფეოდალური წყობის რღვევის პირველი ნიშნები და ქვეყანა გარდამავალ ეპოქაში გადადის, რითაც იქმნება პირობები აბსოლუტური მმართველობის დამყარებისათვის. ამასთან დაკავშირებით, უთუოდ გამართლებულია გ. მჭედლიშვილის მიერ გიორგი III-ის პიროვნებაზე ყურადღების გამახვილება და მის მოღვაწეობაში აბსოლუტიზმის ნიშნების ძიება, თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გიორგი III-ის ეპოქაში განვითარებული მოვლენების „მწვავე კლასობრივ ბრძოლებად“ მონათვლა შეცდომაა. უკიდურეს შემთხვევაში, ხელისუფლებისათვის ბრძოლის ფაქტები, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში ამ დროს, შეიძლება შეფასდეს როგორც შიდაკლასობრივი (და არა კლასობრივი) ბრძოლის გამოვლინება. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ჭრილშია განხილული ეს მოვლენები სპეციალურ ლიტერატურაში. პირველ რიგში, მხედველობაში გვაქვს აკად. როინ მეტრეველის ცნობილი მონოგრაფია¹⁰.

ჩვენი აზრით, ასევე რამდენადმე გადასასინჯია ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული და სადისერტაციო ნაშრომ-

¹⁰ რ. მეტრეველი. შიდაკლასობრივი ბრძოლა საქართველოში XII საუკუნეში. თბ., 1973, გვ. 102-137.

ში განვითარებული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ გიორგი III-მ თითქოს პრინციპულად შეცვალა დემეტრე I-ის ე.წ. „თავდაცვითი“ პოლიტიკა და მეზობელი ქვეყნების მიმართ დავით აღმაშენებლის კურსის გამგრძელებლად მოგვევლინა. მიგვაჩნია, რომ დემეტრე I არანაკლებ აქტიურად იბრძოდა საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტის ასამაღლებლად და საკმაოდ მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევდა ამ მიმართულებით. სწორედ ამიტომ იყო ის აღიარებული თანამედროვეთა მიერ უძლიერეს ხელმწიფედ. ამის დამადასტურებელია თუნდაც XIII ს. ცნობილი შირვანელი პოეტის ფელეკი შირვანის ოდა, რომელშიც დემეტრე I მოხსენიებულია „აფხაზეთისა და შაქის შაჰინშაჰად, ჰორიზონტების მეფედ“.¹¹

ჩვენ ვერ გავიზიარებთ დისერტანტის დასკვნას იმის შესახებაც, თითქოს „იმჟამინდელი საქართველოს საზოგადოების ყველა ფენისათვის თამარის, როგორც ქალის გახელმწიფება უფრო მიმზიდველი და მისაღები იყო, ვიდრე გიორგის დემნათი შეცვლა“. ყოველი შემთხვევისათვის, ამის არგუმენტად, ვფიქრობთ, ნამდვილად არ გამოდგება ის გარემოება, რომ ხალხი დემნა უფლისწულის პოზიციას, „მიუხედავად მისი სამართლიანობისა, უგულოდ“ მოეკიდა. დემნას მარცხი და თამარის გამეფება, პირველ რიგში, გიორგი III-ის თვითმპყრობლური რეჟიმის სიძლიერემ განაპირობა და არა საქართველოს მოსახლეობის ფართო ფენების სიმპათია-ანტიპათიამ ტახტის ამა თუ იმ პრეტენდენტის მიმართ.

საინტერესოა დისერტანტის დაკვირვებები ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის ირგვლივ. ჩვენ ვიზიარებთ ნაშრომში განვითარებულ თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ ეს მოვლენა „განვითარებული ფეოდალიზმის რღვევისა და ახალი (ბურჟუაზიული) ურთიერთობების ჩასახვა-წარმოქმნის ერთ-ერთ ნიშნად მივიჩნიოთ“. გ. მჭედლიშვილი ასევე სწორად აღნიშნავს, რომ ყუთლუს დასის გამოსვლას მოჰყვა ე.წ. „მესამე წოდების“ წარმომადგენელთა – დიდვაჭარ-ფინანსისტთა გავლენის ზრდა სახელმ-

¹¹ **3. М. Буниатов.** Грузия и Ширван в I-ой половине XII века. – *Грузия в эпоху Руставели*. Тб., 1966, გვ. 289; **3. В. Папаскири.** У истоков грузино-русских политических взаимоотношений. Тб., 1982, გვ. 122.

წიფობრივ ცხოვრებაში. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს თვალსაზრისი არ არის ახალი, მას საკმაოდ ბევრი მომხრე ჰყავს და მათი დასახელება, თუ ყველასი არა, შ. მესხიასა¹² და რ. მეტრეველის¹³ მაინც, დისერტანტს უთუოდ მართებდა. ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლასთან დაკავშირებით ჩვენი ყურადღება მიიპყრო დისერტანტის კიდევ ერთმა უდავოდ მართებულმა დასკვნამ იმის შესახებ, რომ ყუთლუსა და მისი მომხრეების „პოლიტიკური პროგრამა არავითარ სპარსულ წესს არ შეიცავდა“. თუმცა ამ საკითხზე არის ილ. ანთელავას განსხვავებული მოსაზრებაც, რომელსაც ყუთლუ-არსლანის „კარავი“ დიდ სელჩუკთა სასულთნოში არსებული პოლიტიკური სისტემის ერთგვარ ანალოგიად მიაჩნია¹⁴ და უპრიანი იქნებოდა, გ. მჭედლიშვილს გაეკეთებინა ამ თვალსაზრისის სათანადო კომენტარი.

სარეცენზიო ნაშრომში სავსებით მართებულადაა ხაზგასმული, რომ თამარის ორივე დაქორწინება პოლიტიკური ბრძოლის გაგრძელება იყო, რომლის დროსაც ერთმანეთს უპირისპირდებოდა ორი მოწინააღმდეგე ბანაკი. ასევე სწორია დასკვნა იმის შესახებაც, რომ გიორგი რუსს მხარს უჭერდნენ ის ძალები, რომლებიც ცდილობდნენ მეფის ერთპიროვნული ხელისუფლების შეზღუდვას. ამ თვალსაზრისით, მოსაწონია დისერტანტის მიერ გიორგი რუსის ნოვგოროდში მთავრად ყოფნის პერიოდზე და იქ არსებულ ვითარებაზე (როგორც ცნობილია, ნოვგოროდში პოლიტიკურ ძალაუფლებას მთლიანად ვერე და არა მთავარი ფლობდა) აქცენტის გაკეთება. ჩვენც ასევე ვთვლით, რომ ნოვგოროდში პოლიტიკური წრთობამიღებული რუსი უფლისწულისათვის ნამდვილად არ იქნებოდა უცხო საქართველოში 1184-1185 წლებში შექმნილი სიტუაცია. სხვათა შორის, ამის შესახებ ჩვენ საგანგებოდ მივუთითეთ კიდევ ოცი წლის წინ გამოქვეყნებულ მო-

¹² შ. მესხია. საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში. თბ., 1962, გვ. 100-144. იხ. აგრეთვე: შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. I. თბ., 1982, გვ. 279-318.

¹³ რ. მეტრეველი. შიდაკლასობრივი ბრძოლა..., გვ. 324.

¹⁴ ილ. ანთელავა. ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შესახებ. — მაცნე, ისტორიის... სერია, №4, 1977, გვ. 187-188.

ნოგრაფიაში¹⁵, რომელშიც არ გავიზიარეთ აკად. გ. მელიქიშვილის მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს ძველი რუსეთის სახელმწიფოებრივი კონიუნქტურის პირობებში აღზრდილი იურისათვის ძნელი შესაგუებელი იქნებოდა საქართველოს ფეოდალური არისტოკრატის ყოვლისშემძლეობა¹⁶. დასაძინა, რომ დისერტანტს გამორჩა როგორც აკად. გ. მელიქიშვილის თვალსაზრისი, ისე ჩვენი კომენტარიც. ჩვენი ნაშრომის არცოდნა, რასაკვირველია, დიდი ტრაგედია ნამდვილად არ არის, მაგრამ, ვფიქრობთ, სრულიად მიუტყევებელია აკად. გ. მელიქიშვილის მონოგრაფიის იგნორირება, მით უფრო, რომ დისერტაციაში განხილულ მთელ რიგ საკითხებზე აწვანსვენებულ მეცნიერს ჰქონდა საგანგებო მსჯელობა. საერთოდ რჩება შთაბეჭდილება, რომ დისერტანტი მაინც-დამაინც კარგად არ იცნობს თამარის ქორწინებების პერიპეტიებს, რაზედაც მეტყველებს თუნდაც ის, რომ დავით სოსლანთან მის ქორწინებას შეცდომით 1189 წლით ათარიღებს. არადა, ისტორიოგრაფიაში დიდი ხანია დადგენილად ითვლება (ეს სავსებით დამაჯერებლად დაასაბუთეს ცნობილმა სომეხმა მკვლევარმა პარუირ მურადიანმა¹⁷ და ქართველმა არმენოლოგმა ალექსანდრე აბდალაძემ¹⁸), რომ თამარის მეორედ დაქორწინება მოხდა არა უგვიანეს 1188 წლის პირველი ნახევრისა.

ცოტა უცნაურად გვეჩვენება რეალიკა იმის შესახებ, რომ თამარის პირველი ქორწინების წინ რუსუდან დედოფალი და სამეფო კარის მოხელენი დავით სოსლანს (გ. მჭედლიშვილის შეფასებით, „საუცხოო კანდიდატურას... თამარის ქმრობისა“) თითქოს „განგებ ვერ ხედავდნენ“. ვფიქრობთ, ამგვარი მტკიცების არავითარი საფუძველი არა გვაქვს. სრულიად აშკარაა, რომ 1185წ.

¹⁵ **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских..., გვ. 142.

¹⁶ **გ. მელიქიშვილი.** ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი. თბ., 1973, გვ. 155-157.

¹⁷ **П. М. Мурадян.** К хронологии некоторых событий в Грузии и Армении конца XIIв. – *Вестник Матенадарана*, №9, 1969, გვ. 130-131.

¹⁸ **ა. აბდალაძე.** XII-XIII სს. საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის შესწავლისათვის. – *მაცნე*, ისტორიის... სერია, №2, 1974, გვ. 145.

გიორგი რუსის კანდიდატურას რუსუდანმა იმიტომ კი არ დაუჭირა მხარი, რომ დაივიწყა მისივე გაზრდილი ოსი უფლისწულის არსებობა, არამედ ეს მთლიანად განპირობებული იყო იმ დროს სამეფო კარზე შექმნილი ძალთა თანაფარდობით.

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავში – *„კონსტიტუციური უფლებებისათვის ბრძოლა რუსთაველის ეპოქის საქართველოში და „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის პოლიტიკური მოძღვრება“* – მოცემულია უაღრესად საინტერესო დაკვირვებები შოთა რუსთაველის პოლიტიკურ მრწამსზე. ჩვენი აზრით, უდავოდ გასაზიარებელია დისერტანტის დასკვნა იმის შესახებ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ „ისტორიულ შიფრს“ წარმოადგენს „კონსტიტუციური უფლებებისათვის ბრძოლა და პოლიტიკური თავისუფლების მძაფრი წყურვილი“ და რომ ეს მთლიანად ესადაგება „იმდროინდელი საქართველოს კულტურის, განსაკუთრებით პოლიტიკური აზროვნების არსებულ დონეს და ეპოქის იდეურ ძვრებს“. ამავე თავში მოცემულია პოემის შექმნის თარიღის (1177-1191წწ.) დადგენის მცდელობა.

მეოთხე თავში – *„რუსთაველის ბიოგრაფიის ზოგიერთი საკითხი და პოემა „ვეფხისტყაოსანი“ თანადროული საქართველოს პოლიტიკური ისტორიის სწორი გაგებისათვის“* – განხილულია საქართველოს სამინაო პოლიტიკური ცხოვრების ცალკეული ასპექტები. დისერტანტი, ჩვენი აზრით, სავსებით მართებულად ამახვილებს ყურადღებას თამარის უშვილობაზე და სწორად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ამ გარემოებამ აშკარად დაძაბა სიტუაცია. უფრო მეტიც, ჩვენ საერთოდ მიგვაჩნია, რომ თამარის უშვილობა, თავის დროზე, გახდა საბაბი გიორგი რუსის დადანიშნულებისა „სოლომურ ცოდვაში“, მოგვიანებით კი თამარის გაჭიანურებულმა უნაყოფობამ მეორე ქმართანაც მისცა საფუძველი რუსი უფლისწულის მომხრეებს, გაეფანტათ ყოველგვარი ეჭვები მის, ასე ვთქვათ, „მამაკაცურ ღირსებებთან“ დაკავშირებით. ყოველი შემთხვევისათვის, გიორგი რუსის ამგვარი რეაბილიტაციის გარეშე, წარმოუდგენლად მიგვაჩნია ისეთი გრანდიოზული აჯანყების ორგანიზება, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1191წ. (მასში, როგორც ცნობილია, მონაწილეობა მიიღო ქართველ ღიდებულთა

ფართო წრემ) და რომლის მთავარი მიზანი იყო გიორგი რუსის ადრინდელი სტატუსის (მეფე-ქმრის) აღდგენა¹⁹.

თამარის ქორწინებებთან დაკავშირებით კიდევ ერთი საკითხი იქცევს მკვლევართა ყურადღებას – „მეფე-ქმრის“ სტატუსი. არის მეფე ქმრის როლის დამცრობისა და ამ ფონზე მხარგრძელთა ყოვლისშემძლეობის მტკიცების ტენდენცია (ამ მხრივ, როგორც ცნობილია, განსაკუთრებით სცოდავენ სომეხი ისტორიკოსები, რომლებიც ამ გზით ცდილობენ ე.წ. „სომხური ლობის“ წინ წამოწევას თამარის კარზე). მეორე მხრივ, ადგილი აქვს მეფე-ქმრის როლის გადაჭარბებულ შეფასებასაც და ფაქტობრივად სახელმწიფოს პირველ პირად მის მიჩნევას. გვრჩება შთაბეჭდილება, რომ გ. მჭედლიშვილი უფრო ამ მეორე თვალსაზრისისაკენ იხრება. ამას ადასტურებს მისი ზოგიერთი გამონათქვამი. ასე, მაგალითად: ის აღნიშნავს, რომ 1191წ. „ოპოზიციაზე დიდი ბრძოლისა და სისხლისღვრის შემდეგ“ გამარჯვება სწორედ დავით სოსლანმა მოიპოვა, რასაც მოჰყვა „ხელისუფლების სრული გადახალისება. სოსლანმა, – მიუთითებს დისერტანტი. – თამარის მომხრეთა მხარდაჭერით, როგორც საერო, ისე სასულიერო ასპარეზზე დააწინაურა ცენტრალური ხელისუფლების ერთგული მოღვაწენი“. ამ დასკვნით, დავით სოსლანი, სულ ცოტა, მთავრობის მეთაურის რანგში მაინც გვევლინება, რაც, ჩვენი აზრით, სრულიად გაუძარტლებელია. სინამდვილეში, მეფე-ქმარი არ იყო დამოუკიდებელი პოლიტიკური ფიგურა, მით უფრო – ქვეყნის პოლიტიკური ლიდერი (ამ ფუნქციას ასრულებდა თვით თამარი). მეფე-ქმარი მხოლოდ ვალდებული იყო, შეესრულებინა თავისი გვირგვინოსანი თანამეცხედრისა და ქვეყნის უზენაესი ხელისუფლის განკარგულებები. ერთადერთი სფერო, სადაც ის უშუალოდ ცვლიდა მეფეს და გადაწყვეტ როლს თამაშობდა, ომის დროს

¹⁹ სამწუხაროდ, თავის დროზე, ვერ მოხერხდა აღნიშნულ საკითხზე ჩვენი ამ დაკვირვების სრულად გამოქვეყნება და ის მხოლოდ თეზისების სახით დაიბეჭდა (იხ.: **ზ. პაპასქირი**, XII ს. საქართველოს შინაპოლიტიკური ცხოვრების ერთი მოვლენის გაგების საკითხისათვის. – საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში ახალგაზრდა მეცნიერთა II რესპუბლიკური კონფერენციის *მასალები*. თბ., 1980).

ჯარის მთავარსარდლობა იყო²⁰.

მოყვანილ ფრაგმენტში მთლად გამართულად არ გვეჩვენება აგრეთვე გამოთქმა: „სოსლანმა, თამარის მომხრეთა მხარდაჭერით... დააწინაურა...“ და ა.შ. საქართველო 1191 წლისათვის სულაც არ იყო დაყოფილი უბრალოდ თამარისა და გიორგი რუსის მომხრეებად, ანუ აჯანყების მიზანი ზოგადად თამარის დამხობა და გიორგი რუსის გამეფება არ ყოფილა. ამ შემთხვევაში არგუმენტად ვერ გამოდგება თამარის მემკვიდრის აღშფოთება იმის გამო, რომ ამბოხებულებმა დაიფიცეს „რუსის გამეფებისა და მისის მეფე-ყოფისათვის“ და ეს უკანასკნელი გეგუთის სამეფო რეზიდენციაშიც კი მოიყვანეს. სრულიად აშკარაა, რომ თამარის გარეშე გიორგი რუსის – საზოგადოების ფართო ფენებისათვის ვიღაც გადამთიელის მეფობა წარმოუდგენელი იქნებოდა და რომ ეს შეუძლებელია, არ გაეთვალისწინებინათ აჯანყებულებს. ასე რომ, ერთადერთი მიზანი, რომელიც ამოდრავებდათ თამარის პირველი მეფე-ქმრის მომხრეებს, იყო სწორედ დავით სოსლანის და არა თამარის დამხობა, ანუ ისინი იბრძოდნენ გიორგი რუსის უფლებების აღდგენისათვის მეფე-ქმრის სტატუსში. სხვა ლოზუნგით აჯანყება, რასაკვირველია, იმთავითვე განწირული იქნებოდა და ნამდვილად ვერ მოიპოვებდა ასეთ საყოველთაო მხარდაჭერას.

ამავე დროს, ჩვენ მაინც არ გამოვირიცხავთ, რომ ვარდან დადიანს – აჯანყების ფაქტობრივ ხელმძღვანელს და მის მომხრეებს მართლაც ჰქონდათ ჩაფიქრებული ერთგვარი „სასახლის გადატრიალება“ და სავსებით შესაძლებელია, გამარჯვების შემთხვევაში მათ აეძულებინათ თამარი, რეალური ძალაუფლება, ხაზს ვუსვამთ, **რეალური ძალაუფლება და არა იურიდიული**, მეფე-ქმრის უფლებებში აღდგენილი გიორგი რუსისათვის გადაელოცა. უეჭველია, რომ დასავლეთ საქართველოს ფეოდალური ელიტა ამ გზით ცდილობდა სამეფო კარზე დაკარგული გავლენის აღდგე-

²⁰ მეფე-ქმრის უფლებებზე იხ.: **გ. თოგოშვილი**. საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან. უძველესი დროიდან XIV ს. დამლევამდე. სტალინირი, 1958, გვ. 155-167; **З. В. Папаскири**. У истоков грузино-русских..., გვ. 62.

ნას. აქვე საჭიროდ მიგვაჩნია იმის კონსტატირება, რომ, თავის დროზე, თამარისა და გიორგი რუსის კონფლიქტიც ამ ნიადაგზე უნდა ყოფილიყო წარმოშობილი. თამარის მეორე ისტორიკოსის მიერ დაფიქსირებული გიორგი რუსის აქტიურობა, და არა მხოლოდ სამხედრო სფეროში, არამედ, სავარაუდოა, პოლიტიკურ პროცესებშიც (როგორც ცნობილია, მემათიანე მას მიაწერს ცალკეულ პირთა მიმართ რეპრესიების გატარებას)²¹ მისი მხრიდან რეალური სამეფო უფლებების მოპოვებისათვის ბრძოლის გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ. საფიქრებელია, რომ მეფე-ქმრის ეს სწრაფვა ძალაუფლების უზურპირებისათვის ინსპირირებული იყო იმ პოლიტიკური დასის მიერ, რომლის ინიციატივითაც მოხდა რუსი უფლისწულის ჩამოყვანა საქართველოში და რომ ეს ჯგუფი უკვე მაშინ ცდილობდა ამ გზით სამეფო ხელისუფლების გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევას. ყოველივე ეს, ჩვენი აზრით, მთლიანად ესადაგება XIIს. 80-90-იან წლების დამდეგს საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური დაპირისპირების ქარგას და პრინციპში იმ თვალსაზრისს, რომელსაც ავითარებს დისერტანტი თავის საკვალიფიკაციო ნაშრომში.

სადისერტაციო გამოკვლევის ამ ნაწილში გ. მჭედლიშვილი აზუსტებს XIIIს. მიწურულისა და XIIIს. დამდეგის მეჭურჭლეთუხუცესთა სიას, ზეობის დროს და ცდილობს მეჭურჭლეთუხუცესთა რიგში ადგილი მოუნახოს შოთა რუსთაველს. მისი აზრით, ამ უკანასკნელს აღნიშნული თანამდებობა უნდა სჭეროდა აბულასანის შემდეგ. ამასთან, დისერტანტი სავსებით სამართლიანად მიიჩნევს, რომ აბულასანს თანამდებობა უნდა დაეტოვებინა გიორგი რუსის გაძევებისთანავე, ოღონდ არა 1189წ., როდესაც გ. მჭედლიშვილის ვარაუდით მოხდა „დავითის გახელმწიფება“, არამედ 1188 წლის I ნახევარში მაინც.

დამაჯერებელია დისერტანტის მსჯელობა შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობრივ მრწამსზე. ჩვენ ვეთანხმებით მის დასკვნას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მსოფლმხედველობა უმ-

²¹ ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი. – ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II. თბ., 1959, გვ. 120-121.

თავრესად ქრისტიანული მოძღვრების საფუძველზეა აგებული. საინტერესოა გ. მჭედლიშვილის მსჯელობა შოთა რუსთაველის შესაძლო დიპლომატიურ მოღვაწეობაზე (მას რეალურად მიაჩნია დიდი პოეტის გაგზავნა საგანგებო დიპლომატიური მისიით პალესტინაში 1192წ.), აგრეთვე შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობრივ კავშირზე მაქსიმე აღმსარებელთან და იოანე დამასკელთან.

სადისერტაციო ნაშრომის დასკვნით თავში – „ვეფხისტყაოსნის“ წინააღმდეგ ბრძოლის იდეური მოტივები შუა საუკუნეების ქართულ საზოგადოებაში“ – ყურადღება გამახვილებულია იმ იდეოლოგიურ ფაქტორებზე, რომლებიც ასაზრდოებდნენ „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორის დევნას ოფიციალური ქართული ეკლესიის მესვეურთა მხრიდან. ამ თვალსაზრისით, გ. მჭედლიშვილი საგანგებოდ ჩერდება კათოლიკოსების დომენტი IV-ისა და ანტონ I-ის დამოკიდებულებაზე შოთა რუსთაველის თხზულებისადმი. სხვათა შორის, დომენტი კათოლიკოსის პიროვნებისა და მისი პოლიტიკურ-დიპლომატიური მოღვაწეობის ზოგიერთ ასპექტზე საინტერესო დაკვირვებები აქვს ახალგაზრდა მკვლევარს ბონდო კუპატაძეს²² და არ იქნებოდა ურიგო, დისერტანტს ყურადღება მიექცია ამ პუბლიკაციისათვის.

ჩვენი აზრით, გ. მჭედლიშვილი სავსებით სამართლიანად იზიარებს ზვიად გამსახურდიას დასკვნას იმის შესახებ, რომ შოთა რუსთაველი არ იყო ორთოდოქსი ქრისტიანი და რომ ის მიელტვოდა „რელიგიათა შერიგებას, ერთი ჰარმონიული საყოველთაო რელიგიის ნიადაგზე“. დისერტანტს ასევე სწორად აქვს გააზრებული დავით აღმაშენებლისა (და აგრეთვე მისი მემკვიდრეების) მიერ გატარებული რჯულშემწყნარებლური კურსის პოლიტიკური აუცილებლობა.

ასეთია, ძირითადად, საკითხთა ის წრე, რომელიც გაანალიზებულია გ. მჭედლიშვილის სადისერტაციო ნაშრომში. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ შესრულებულია კოლოსალური სამუშაო. დისერტანტი ამჟღავნებს

²² ბ. კუპატაძე. უპრინციპო კომპრომისი ქართულ დიპლომატიაში (კათოლიკოსი დომენტი IV). – *ქართული დიპლომატია*, წელიწადური, IV. თბ., 1997, გვ. 251-258.

ნაშრომში დასმული საკითხების ღრმა და კვალიფიციურ ცოდნას, ის კარგად იცნობს პრობლემის ირგვლივ არსებულ მეცნიერულ მემკვიდრეობას, რომელიც, სხვათა შორის, საკვლევი თემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ძალზე მრავალფეროვანია და ერთდროულად მოიცავს ისტორიოგრაფიას, სამართალს, ფილოსოფიას, ფილოლოგიას და ა.შ. გ. მჭედლიშვილი ახერხებს XIIს. საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ურთულეს პრობლემებზე არსებული მოსაზრებების ნიუანსებში ჩაწვდომას და მათი სკრუპულოზური ანალიზის საფუძველზე დამაჯერებლად აყალიბებს თავის შეხედულებებს. მისი დასკვნები, ძირითადად, საისტორიო მასალებით შემაგრებული და არგუმენტირებულია. საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ დისერტანტის წერის მაღალი კულტურა. ვფიქრობთ, გ. მჭედლიშვილმა თავისი კვლევით სერიოზული წვლილი შეიტანა XIIს. საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის მთელი რიგი საკითხებისა და საზოგადოებრივი აზრის მეცნიერული კვლევის საქმეში და რამდენადმე წინ წასწია ამ პრობლემათა შესწავლა.

ნაშრომი, ბუნებრივია, არ არის დაზღვეული ცალკეული ნაკლოვანებებისაგან. ძირითადად ეს ეხება ტექნიკურ მხარეს. მაგალითად, ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია ბიბლიოგრაფიაში ჩამოთვლილი თითოეული წყაროს თუ სამეცნიერო ნაშრომის ერთხელ მაინც მითითება ნაშრომში. მართალია, გამოკვლევაში ძირითადად ჩანს ბიბლიოგრაფიაში დასახელებული მონოგრაფიების თუ სამეცნიერო სტატიების კვალი, მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, ეს მასალები კონკრეტულად არ არის მითითებული. სასურველი იყო დისერტანტს სქემატურად მაინც მოეცა მოკლე ისტორიოგრაფიული მიმოხილვა და ამ ფონზე დაესაბუთებინა ამ ხასიათის ნაშრომის შექმნის აუცილებლობა. არის გაპარული ცალკეული ფაქტობრივი შეცდომები. მაგალითად, XIIს. მიწურულის ცნობილი ქართველი დიდებული გუზან ტაოელი რატომღაც „ნაყივჩაყარად“ არის გამოცხადებული. მაგრამ ეს და სხვა შენიშვნები, რომელთა შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა, ზოგადად ვერ აყენებენ ჩრდილს წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომს, რომელიც მთლიანობაში ნამდვილად მაღალ მეცნიერულ დონეზეა შესრუ-

ლებული და პასუხობს სადოქტორო დისერტაციისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, ხოლო მისი ავტორი უდავოდ იმსახურებს სადიებელ ხარისხს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თავს უფლებას ვაძლევთ, ვიშუამდგომლოთ სადისერტაციო საბჭოს წინაშე, რათა გიორგი მჭედლიშვილს ნაშრომისათვის: **„შუა საუკუნეების ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ძირითადი მიმართულებები და „ვეფხისტყაოსანი“** – მიენიჭოს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

ЗУРАБ В. ПАПАСКИРИ

**ИЗ ИСТОРИИ ИЗУЧЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКОЙ МЫСЛИ**

Публикуемый материал является рецензией официального оппонента на докторскую диссертацию Г. Мchedlishvili: „*Основные направления средневековой грузинской общественно-политической мысли и „Витязь в тигровой шкуре“*“, защищённой в Тбилисском государственном университете им. Ивана Джавхишвили в 2002г. В ней дан критический обзор основных положений диссертационного труда. Отмечено, что несмотря на отдельные погрешности, работа, в целом, выполнена на должном научном уровне и её автор заслуживает присвоения учёной степени доктора исторических наук.

ZURAB PAPASKIRI

**FROM THE HISTORY OF STUDYING THE GEORGIAN
SOCIAL AND POLITICAL THOUGHT**

The published material is a review of the official opponent on the G. Mchedlishvili's dissertation for the Doctoral Degree: "*The Basic Directions of the Medieval Georgian Social and Political Thought and 'The Knight in the Panther's Skin'*," which was defended in Tbilisi Ivane Javakhishvili State University in 2002. The review critically analysis the basic theses of the dissertation. It is mentioned that despite some errors, the dissertation is accomplished on the high scientific level and the author deserves the degree of Doctor of Historical Sciences.

ჯაბა სამუშია

ეთნოგრაფთა გულანი

ეთნოლოგიის ქართულ სკოლას დიდი ხნის ისტორია აქვს. XIX საუკუნის შუახანებიდან მოყოლებული ეს დარგი ჩვენში თანდათან ფეხს იდგამდა. განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა ეთნოლოგიის განვითარებაზე რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების და „კავკასიური მუზეუმის“ (1865 წლიდან „კავკასიის მუზეუმი“) დაარსებამ. პირველად სწორედ „კავკასიურ მუზეუმში“ შეიქმნა ეთნოგრაფიული კაბინეტი, რომელსაც რაფიელ ერისთავი ხელმძღვანელობდა. შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალის დიდი ნაწილი გუსტავ რადეს თაოსნობით, მოგვიანებით, გაუქმებული „კავკასიური მუზეუმის“ ბაზაზე შექმნილ „კავკასიის მუზეუმში“ გადავიდა. ქართველი ერის ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი მასალების შეგროვებაში ჩაერთო მთელი იმდროინდელი მოწინავე საზოგადოება. პერიოდულ გამოცემებში იბეჭდებოდა ეთნოგრაფიული ხასიათის წერილები. მაგრამ, სრულიად სამართლიანადაა აღნიშნული, რომ ფართომასშტაბიანი კვლევა-ძიება ამ მიმართულებით მაინც XX საუკუნის დასაწყისში გაიშალა, 1907 წელს შექმნილი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და 1918 წელს დაარსებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წიაღში დაიწყო საქართველოს სამეცნიერო თუ სამუზეუმო არქივებში შეკრებილი მასალების სისტემური დამუშავება.

1938 წლიდან ოსუ ისტორიის ფაკულტეტზე ეთნოგრაფიის ცალკე კათედრა ჩამოყალიბდა (1921წ. ეთნოგრაფია შედიოდა ბიოლოგიის, ანთროპოლოგიისა და ეთნოლოგიის კათედრაზე, 1935-1936წწ. ამ კათედრას ეწოდა წინაკლასობრივი საზოგადოების 520

კათედრა. მოგვიანებით ეთნოლოგია ცალკე კათედრად გამოეყო). საკმაოდ მცირე პერიოდში, სულ რაღაც 70-80 წელში ეთნოლოგიის ქართულმა სკოლამ არნახულ წარმატებას მიაღწია. რასაკვირველია, 70-80 წელი სრულებითაც არაა დიდი პერიოდი იმისათვის, რომ დარგი საფუძვლიანად ჩამოყალიბდეს და განვითარდეს. მაგრამ ქართველმა ეთნოლოგებმა აკად. გიორგი ჩიტაიას თაოსნობით ეს შეძლეს. წიგნთსაცავებს ამშვენებს საქართველოს ეთნოგრაფიის საკვანძო საკითხებისადმი მიძღვნილი ათასობით მონოგრაფია და სამეცნიერო წერილი. კვლევის დიაპაზონი კი მოიცავს ჩვენი ყოფის ყველა საკითხს. უდავოა ქართული ისტორიული მეცნიერებისათვის ეს მართლაც დიდი მონაპოვარია.

ქართველ ეთნოლოგთა წლობით ნაშრომ-ნაღვაწის შეგროვება და ერთიანი ბიბლიოგრაფიის შექმნა არათუ საჭირო, არამედ აუცილებელი იყო. ეს ერთობ საშური საქმე თავის თავზე იღო ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის, ეთნოლოგიის განყოფილებამ (ხელმძღვანელი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ჯულიეტა რუხაძე).

XXI საუკუნე ინფორმაციის საუკუნეა. პრესა და ტელევიზია, სატელევიზიო მაუწყებლობა თუ ინტერნეტი აუარებელ ინფორმაციას აწვდის ადამიანს. გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესებმა ახალი ამოცანა დაუსახა მეცნიერებას. საგრძნობლად გაიზარდა სამეცნიერო ხასიათის მასალა. შეუძლებელია, ნებისმიერი დარგის მკვლევარმა, მოახერხოს და თუნდაც თვალი გაადევნოს თავის სპეციალობით არათუ მსოფლიოში, არამედ თავის ქვეყანაში დაბეჭდილ ყველა პუბლიკაციას.

ამ რეალობამ განაპირობა ბიბლიოგრაფიული საძიებლების შექმნის აუცილებლობა. ამიტომაცაა, რომ დღეისათვის მსოფლიოში გამაღებით მიმდინარეობს დარგების მიხედვით სრულყოფილი ბიბლიოგრაფიების შედგენა და მათი კომპიუტერიზაცია. სწორედ ამიტომაც, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის, ეთნოლოგიის განყოფილების მიერ „*ეთნოგრაფია-ეთნოლოგიური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფია, 1924-1994*“-ის გამოცემა დიდ საქმედ უნდა ჩაითვალოს. წიგნის რედაქტორი პროფ. ჯულიეტა რუხაძე ამ სოლი-

დური ნაშრომისადმი წამძღვარებულ წინასიტყვაობაში მოკლედ მოგვითხრობს ბიბლიოგრაფიის შედგენის ისტორიას.

ასეთი სახის ნაშრომის შექმნის იდეა, ჯერ კიდევ XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში გასჩენია აკად. გ. ჩიტაიას. იმავდროულად, ასეთივე სახის სამუშაოს ჩატარების სურვილი ჰქონიათ მეცნიერებთა აკადემიის ბიბლიოთეკაშიც. გიორგი ჩიტაიას წინადადებით ბიბლიოგრაფიის შედგენა დაევალა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელს რევაზ თოლუას. სამწუხაროდ, ამ უკანასკნელმა აღნიშნული სამუშაო ვერ დაასრულა (ის მოულოდნელად გარდაიცვალა). 1993 წლისათვის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების სხდომაზე კვლავ დაისვა ბიბლიოგრაფიის შედგენის საკითხი. პროფ. ჯ. რუხაძემ ეს საპასუხისმგებლო საქმე მეცნიერ-თანამშრომლებს მედია ქანთარიას და მადონა ხაზარაძეს მიანდო. მართალია, გეგმით სამუშაო 1997 წელს უნდა დასრულებულიყო, მაგრამ მასალის მოცულობამ და დასახული ამოცანის სირთულემ კიდევ რამდენიმე წლით გადასდო „ბიბლიოგრაფიის“ დაბეჭდვა. ნაშრომი დასრულებული სახით ეთნოგრაფიის განყოფილებას გადაეცა მხოლოდ 2004 წლის დასაწყისში.

უშუალოდ „*ანოტირებული ბიბლიოგრაფიის*“ საერთო მოცულობა 627 გვერდია, ამას ემატება პირთა საძიებელი (30 გვერდი). როგორც სათაურიდან ჩანს, წიგნში 1924-1994წწ. მასალაა შესული. შემდგენლებმა ავტორები ალფაბეტის მიხედვით დააჯგუფეს, ხოლო თითოეული ავტორის ნაშრომები ქრონოლოგიურადაა გაწყობილი. პირველ ნაწილში ქართულენოვანი მასალაა თავმოყრილი, მეორე ნაწილში კი – უცხოენოვანი. ნაშრომებს მცირე ანოტაცია ერთვის, რაც ერთობ საინტერესოს ხდის „*ბიბლიოგრაფიას*“.

ქართულ ნაწილში შესულია 4012 ნაშრომი, ხოლო უცხოურში – 902. აღსანიშნავია, რომ ბიბლიოგრაფიაში სათანადო ადგილი ეთმობა აფხაზ და ოს ეთნოგრაფთა გამოკვლევებს, მათ შორის აფხაზურ და ოსურ ენაზე დაბეჭდილს (თუმცადა, ეს უკანასკნელი ნაწილი არასრულია, რაზედაც ბიბლიოგრაფიის რედაქტორიც მიუთითებს). ბიბლიოგრაფიაში აისახა 1924-1994წწ. გამოცემული მონოგრაფიები, სამეცნიერო წერილები, თეზისები,

საგაზეთო პუბლიკაციები და რეცენზიები.

შემდგენელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ურთულესი სამუშაო უკვე შესრულებულია. ქართველ ეთნოგრაფთა 70 წლიანი ნალგაწი შეკრებილია. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამ მიმართულებით მუშაობა უნდა შეწყდეს. საჭიროა ბიბლიოგრაფიის სრულყოფა და მისი გამრავალფეროვნება. აქვე დავსძენთ, რომ ვინაიდან განუზომელი მოცულობის მასალა უკვე კომპიუტერიზებულია, ამჯერად შედარებით ადვილი იქნება ბიბლიოგრაფიის თემატური საძიებლებით გაწყობა. დაინტერესებულ მკითხველს, ამ გზით, უფრო გაუადვილდება მისთვის საჭირო მასალის მოძიება. რა თქმა უნდა, ეს ჩვენი სურვილია, თუმცაღა, ამის გარეშეც ბიბლიოგრაფია უდიდეს დახმარებას გაუწევს მკვლევრებს. და კიდევ ერთი დეტალი: სამწუხაროდ, ბიბლიოგრაფიაში არსადაა მითითებული, არის თუ არა განთავსებული ეს ნაშრომი ინტერნეტში. და თუ არ არის, მაშინ ქართული საისტორიო მეცნიერების, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ საერთოდ, ჰუმანიტარული მეცნიერებების განვითარებისათვის აუცილებელზე აუცილებელია მისი ინტერნეტში განთავსება. ამასთანავე, ჰუმანიტარული დარგის ინტერნეტ-საიტებზე უნდა დაიდოს ბიბლიოგრაფიის ინტერნეტ-მისამართიც.

სამწუხაროდ, ქართულ თუ საქართველოსადმი მიძღვნილ ინტერნეტ-საიტებში სამეცნიერო ბიბლიოგრაფიული ხასიათის მომსახურება თითქმის არ არსებობს. „ეთნოგრაფია-ეთნოლოგიური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფიის“ განთავსებით ამ საქმეშიც მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. აქვე არ შეიძლება არ დავასახელოთ ყველა ის ადამიანი, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ დიდი საქმის სრულყოფაში: შემდგენლები მედია ქანთარია და მადონა ხაზარაძე; კონსულტანტი, ბიბლიოგრაფი დ. პაპუაშვილი; ბიბლიოგრაფიის მომზადებაში წვლილი შეიტანეს ეთნოლოგიის განყოფილების თანამშრომლებმა: ლ. ბერიაშვილმა, ნ. სილაგაძემ და მ. ლელაშვილმა (ეს უკანასკნელნი, იმავედროულად, წიგნის რეცენზენტები არიან). ბიბლიოგრაფიასთან დაკავშირებით მთელ სამუშაოს ხელმძღვანელობდა ეთნოლოგიის განყოფილების გამგე ჯულიეტა რუხაძე. იგი გახლავთ კიდევ ამ წიგნის რედაქტორიც

და გენერალური სპონსორიც. წიგნი აიწყო და გამოსაცემად მომზადდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობაში – „მემატეანე“, დაიბეჭდა გამომცემლობა „არტანუჯში“. კომპიუტერული უზრუნველყოფა შეასრულეს ა. რუხაძემ და მ. ბუტიკაშვილმა, დიზაინი შ. ლეჟავამ.

დასასრულ დავსძენთ, რომ უკვე დროა მსგავსი სახის ბიბლიოგრაფიის შედგენაზე სხვა ჰუმანიტარული დარგის სპეციალისტებმაც იზრუნონ. ამ სახის გამოცემების გარეშე XXI საუკუნეში მეცნიერების განვითარება წარმოუდგენელია.

ДЖАБА Г. САМУШИЯ

НУЖНАЯ КНИГА

Статья представляет собой отзыв на книгу: „*Аннотированная библиография этнографо-этнологической литературы. 1924-1994*“, изданной Институтом истории и этнологии им. Иванэ Джавахишвили в 2004г. под руководством доктора исторических наук, проф. Джулиетой Рухадзе (составители Медея Кантария и Мадона Хазарадзе). В ней дана высокая оценка рецензируемой публикации.

JABA SAMUSHIA

A NECESSARY BOOK

The paper is a review of the “*Annotated bibliography of ethnographic-ethnological literature. 1924-1994*”, which was published by the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology in 2004 under the supervision of Doctor of Historical Sciences, Professor Juliet Rukhadze (authors Medea Kantaria and Madona Khazaradze). The author of the review highly praises the reviewed edition.

თეიმურაზ კაკასქირი

საინტერესო წიგნი ფრანკლინ რუზველტზე

რეცენზია ჯოზეფ პერსიკოს წიგნზე: “Roosevelt’s Secret War: FDR and World War II Espionage”

ფრანკლინ რუზველტს გამორჩეული ადგილი უჭირავს აშშ-ს და მსოფლიო ისტორიაში. შეიძლება ითქვას, რომ ის არის ერთ-ერთი ყველაზე უფრო წინააღმდეგობრივი ფიგურა აშშ-ს პრეზიდენტებს შორის. მის შესახებ უამრავი გამოკვლევაა გამოცემული, თუმცა ჯერ კიდევ არის საკითხები, რომლებიც ან მთლიანად შეუსწავლელია, ანაც მოითხოვს დაზუსტებას და დამატებით კვლევას. ერთ-ერთი ასეთი პრობლემათაგანია ფრანკლინ რუზველტის დამოკიდებულება შპიონაჟისადმი, რასაც ბოლო დრომდე ყურადღება პრაქტიკულად არ ექცეოდა. სწორედ ამ ხარვეზის აღმოფხვრა გადაწყვიტა ჯოზეფ პერსიკომ, რომელმაც აღნიშნულ თემას მიუძღვნა კიდევ თავისი წიგნი: „რუზველტის საიდუმლო ომი: ფრანკლინ დელანო რუზველტი და შპიონაჟი მეორე მსოფლიო ომში“.¹

ჯ. პერსიკოს წიგნი შედგება შესავლის და 30 თავისაგან (უკანასკნელი თავი ერთგვარ ეპილოგს წარმოადგენს). მას თან ერთვის ბიბლიოგრაფიის სია და სახელთა საძიებელი. წიგნის პირველი თავები ეხება იმ მდგომარეობას, რომელიც იყო შექმნილი აშშ-ში მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე. ჯ. პერსიკო სავსებით დასაბუთებულად გვიჩვენებს, რომ აშშ-ს სამთავრობო სტრუქტურებში, კერძოდ, სახელმწიფო დეპარტამენტში, არ არსებობდა საიდუმლოს შენახვის არანაირი ტრადიცია. მთელ რიგ წყაროებზე

¹ **Joseph Persico.** Roosevelt’s Secret War: FDR and World War II Espionage. New York, Random House, 2001.

დაყრდნობით, მას მოჰყავს ამის დამადასტურებელი მაგალითები, რომელთა შორის ალბათ ყველაზე საყურადღებოდ უნდა ჩაითვალოს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის დამოკიდებულება თავისი საიდუმლო შიფრისადმი (ე.წ. „რუნი კოდი“), რომელიც ათწლეულების მანძილზე უცვლელი რჩებოდა. ჯ. პერსიკო ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ XXს. 20-იანი წლებში აშშ-ს კონსულმა შანხაიში თავისი გამოსამშვიდობებელი სიტყვა სწორედ ამ კოდის გამოყენებით წარმოთქვა და მისი ნათქვამი აბსოლუტურად ყველა დამსწრემ გაიგო (გვ. 57). მიუხედავად ამისა, სახელმწიფო დეპარტამენტს აღნიშნული შიფრი არ შეუცვლია და იყენებდა მას 1940 წელსაც კი (გვ. 19-20). ჩვენი აზრით, სავსებით სწორია ავტორისეული დაკვირვება, რომ რუზველტის უარყოფითი დამოკიდებულება სახელმწიფო დეპარტამენტისადმი გამოწვეული იყო ამ უკანასკნელის უუნარობით, ეწარმოებინა სადაზვერვო საქმიანობა და შეენახა საიდუმლო (გვ. 57).

ნაშრომის VI თავი საგანგებოდ ეთმობა აშშ-ში ცენტრალიზებული სადაზვერვო სამსახურის არარსებობის საკითხს და ამის მიზეზებს. ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ავტორისეულ დასკვნას, რომ ეს მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო, ერთი მხრივ, უწყებათაშორისი დაპირისპირებით, მეორე მხრივ კი, თავად ამერიკელების ერთგვარი უარყოფითი დამოკიდებულებით სადაზვერვო საქმიანობისადმი. ამ კუთხით, მეტად საყურადღებოა ავტორის მიერ ნ. პოლმარისა და თ. ალენის გამოკვლევებიდან („ჯაშუშების წიგნი: შპიონაჟის ენციკლოპედია“²) მოყვანილი ცნობა, რომლის თანახმად, 1929წ. ჰენრი სტიმსონმა, სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ, აკრძალა იაპონელების საიდუმლო მიმოწერის გაშიფვრა იმ მოტივით, რომ „ჯენტლმენები ერთმანეთის წერილებს არ კითხულობენ“ (გვ. 96).

ჯ. პერსიკოს წიგნის IX თავი ეთმობა რუზველტის გეგმებს, ჩაერთო აშშ მეორე მსოფლიო ომში. უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი სავსებით სწორად შენიშნავს, რომ რუზველტმა ყველაფერი გააკეთა გერმანიის პროვოცირებისათვის და ამ მიზნით ის იყენებ-

² **Norman Polmar, Thomas B. Allen.** Spy Book: The Encyclopedia of Espionage. New York: Random House, 1997.

და ყალბი ინფორმაციის გავრცელებასაც (გვ. 124-128). ჯ. პერსიკო ასევე დამაჯერებლად და დასაბუთებულად საუბრობს დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურების მხრიდან აშშ-ს პრეზიდენტისათვის არასწორი ცნობების მიზანმიმართულ მიწოდებაზე (გვ. 127-128). ამავე თავში ავტორი ყურადღება ამახვილებს აშშ-ს სამხედრო საიდუმლოებების გაჟონვის სიხშირეზე, რის დამადასტურებელ საბუთადაც მას მოჰყავს მთავარი სამხედრო გეგმის დაბეჭდვა 1941წ. 4 დეკემბერს „ჩიკაგო ტრიბიუნში“. გაზეთში, აღნიშნული დოკუმენტის კომენტარებისას, მითითებული იყო, რომ რუზველტს სურდა 5 მილიონი ჯარისკაცის მობილიზება გერმანიისა და მისი სატელიტების წინააღმდეგ, ხოლო თავად შეჭრა ევროპაში დაგეგმილი იყო 1943წ. 1 ივლისს. ავტორი რაიმე კომენტარს არ უკეთებს აღნიშნულ ფაქტს, გარდა იმისა, რომ „ჩიკაგო ტრიბიუნის“ მფლობელის, პოლკოვნიკ რობერტ მაკკორმიკის ქმედება აშკარად ექვემდებარებოდა 1917წ. შპიონაჟის აქტის მოქმედებას, თუმცა მის მიმართ საქმე აღძრული არ ყოფილა. ჩვენი აზრით, ჯ. პერსიკო სათანადოდ ვერ აფასებს შედეგებს, რომლებიც შეეძლო მოეტანა ამგვარ ანტისახელმწიფოებრივ ქმედებას გაზეთის მეპატრონის მხრიდან (პოლკოვნიკ მაკკორმიკს სძულდა რუზველტი და მისი გეგმების გამოაშკარავებაც ამიტომ გადაწყვიტა). არ არის გამორიცხული, ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც ჰიტლერმა 1941წ. 11 თებერვალს ომი გამოუცხადა აშშ-ს, იყო სწორედ „ჩიკაგო ტრიბიუნის“ ეს ნომერი და გეგმა, რომელიც მასში დაიბეჭდა.

გამოკვლევის X თავი ეთმობა იაპონიის თავდასხმას პერლ ჰარბორზე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ჯ. პერსიკოს წიგნის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწილი. ავტორი სავსებით დასაბუთებულად უარყოფს ე.წ. „შეთქმულების თეორიას“ და თვალნათლივ აჩვენებს, რომ აშშ-ს პრეზიდენტმა და მასთან დაახლოებულმა პირებმა არაფერი იცოდნენ იაპონელთა დარტყმის ზუსტი ადგილის შესახებ. ამავე დროს, ჯ. პერსიკოს მოჰყავს რამდენიმე ცნობა, რომლებიც ცხადყოფს, რომ შესაბამისი სტრუქტურის არსებობის პირობებში და ყველა ინფორმაციის სათანადო ანალიზის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა პერლ ჰარბორ-

რის შეტანა სავარაუდო თავდასხმის ობიექტთა შორის (გვ. 134-156). ის ხაზს უსვამს აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიუროს უფროსის ჯ. ედგარ ჰუვერის შეცდომას, სამხედრო ანალიტიკოსების არასწორ ანალიზს, სხვადასხვა უწყებებს შორის შეუთანხმებელ მოქმედებებს და ასკვნის, რომ პერლ ჰარბორი იყო კატასტროფა, და არა რაიმე შეთქმულების შედეგი (გვ. 156). გარდა ამისა, ჯ. პერსიკო, ჩვენი აზრით, სავსებით დასაბუთებულად, უარყოფს, რომ ჩერჩილს შეიძლება ჰქონოდა ინფორმაცია პერლ ჰარბორზე თავდასხმის შესახებ და მან უბრალოდ დამალა ის აშშ-ს ომში ჩაბმის დაჩქარების მიზნით (გვ. 154-155), რაც ასევე საკმაოდ პოპულარულია ბოლო დროს აშშ-ში³.

ჯ. პერსიკოს მონოგრაფიაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია საბჭოთა კავშირის სადაზვერვო აქტიურობას აშშ-ში. ამ თემას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა XX თავში, თუმცა მონაცემები აღნიშნული საკითხის გარშემო გამოკვლევის სხვა ნაწილებშიც გვხვდება. ჯ. პერსიკოს მიერ გამომზადებული მასალები, ჩვენი აზრით, სავსებით ადასტურებს ეჭვებს, რომ აშშ-ს უმაღლეს ხელმძღვანელობაში საკმაოდ ბევრი საბჭოთა აგენტი იყო. ავტორს მოჰყავს უტყუარი მონაცემები, რომლებიც ცხადყოფს, რომ მხოლოდ სტრატეგიული სამსახურების სამმართველოში (*Office of Strategic Services – OSS*) სსრკ-ზე მუშაობდა 10-ზე მეტი პიროვნება (გვ. 295). უფრო მეტიც, საბჭოთა დაზვერვამ მოახერხა უშუალოდ თეთრ სახლში შეღწევაც. საბჭოთა აგენტები იმდენად დაახლოებული პირები იყვნენ აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტ ჰენრი უოლესთან, რომ ეს უკანასკნელი აპირებდა მათ დანიშვნას სახელმწიფო მდივნისა და ფინანსთა მინისტრის პოსტებზე პრეზიდენტად გახდომის შემთხვევაში⁴. ავტორი აგრეთვე საკმაოდ

³ იხ.: **John Costello**. Days of Infamy: MacArthur, Roosevelt, Churchill—The Shocking Truth Revealed, How Their Secret Deals and Strategic Blunders Caused Disasters at Pearl Harbor and the Philippines. New York, Pocket Books, 1994.

⁴ ჯ. პერსიკო ამ შემთხვევაში ეყრდნობა ე.წ. „მიტროხინის არქივის“ მონაცემებს (იხ.: **Christopher Andrew, Vassili Mitrokhin**. The Sword and the Shield: The Mitrokhin Archive and the Secret History of the KGB. New York: Basic Books, 1999, გვ. 59, 109).

დიდ ყურადღებას უთმობს საბჭოთა კავშირის დაინტერესებას ბირთვული საიდუმლოთი და აცხადებს, რომ საბჭოთა ატომური ბომბის შექმნა, რომელიც იდენტური იყო პირველი ამერიკული ბომბისა, როგორც მინიმუმ, 4 წლით დააჩქარა ლოს ალამოსიდან მიღებულმა ინფორმაციებმა (გვ. 438).

ბუნებრივია, სარეცენზიო წიგნს გააჩნია თავისი ხარვეზებიც. მათი ნაწილი, როგორც ჩანს, კორექტურულ ხასიათს ატარებს, მაგალითად: იაპონიის მიერ ჩინეთზე შეტევის დათარიღება 1932 წლით 1931 წლის ნაცვლად (გვ. 11) ან ჰიტლერის მიერ ჩეხოსლოვაკიის დაპყრობის დასრულება 1938წ. მარტში (გვ. 14. უნდა იყოს 1939წ. მარტი). მსგავსი ლაფსუსები პრინციპულ ხასიათს არ ატარებს და წიგნის ღირსებებზე არანაირად არ მოქმედებს. ამ მხრივ, განსხვავებულ ხასიათს ატარებს ჯ. პერსიკოს მიერ წიგნში გამოხატული ზედმეტი პიეტეტი ფრანკლინ რუზველტის პიროვნების მიმართ. რასაკვირველია, ავტორი ყოველთვის სიმპათიით ან ანტიპათიით ეკიდება პერსონას, რომელზეც ის წერს, მაგრამ ეს არ უნდა გადაიზარდოს მისი ყოველი ნაბიჯის მოწონებაში ან, შესაბამისად, დაგმობაში. მაგალითად, ჩვენ ვერაფრით ვერ გავიზიარებთ ავტორისეულ პათოსს, რომ 1944წ. მიწურულს, როდესაც აშშ-ს სტრატეგიული სამსახურების სამმართველოს მიეცა შესაძლებლობა, ფინეთისაგან ეყიდა საბჭოთა კოდეები, რუზველტის გადაწყვეტილება, გადაეცა ისინი სსრკ-სთვის, იყო გამართლებული (გვ. 380-381). ჩვენი აზრით, აშშ-ს პრეზიდენტი ზედმეტად გულუბრყვილოდ მოიქცა, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეს ყველაფერი ხდებოდა ყირიმის კონფერენციის წინ. აღსანიშნავია, რომ სტალინს სულაც არ აწუხებდა მსგავსი სენტიმენტები და, თავად ჯ. პერსიკოსავე ცნობით, თეირანის კონფერენციის დროს მოსასმენი საშუალებებით აავსო სსრ კავშირის საელჩო ირანში, სადაც გაჩერდა რუზველტი საბჭოთა მხარის მიერ აღმოჩენილი გერმანელების შეთქმულების გამო (გვ. 276). საინტერესოა, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევას ავტორი უკომენტაროდ ტოვებს. იგივე შეიძლება ითქვას რუზველტის გადაწყვეტილებაზე, დაეკმაყოფილებინა სტალინის ყველა მოთხოვნა შორეულ აღმოსავლეთში იაპონიის წინააღმდეგ ომში

ჩაბმის დაპირების სანაცვლოდ. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს პრეზიდენტს ყველა მხრიდან აფრთხილებდნენ საბჭოთა მხარისათვის ამგვარი დათმობების გაუმართლებლობაში⁵, ჯ. პერსიკო მაინც ამართლებს რუზველტის გადაწყვეტილებას ამ უკანასკნელის მიერ ათეულობით ათასი ამერიკელი ჯარისკაცის დალუპვის თავიდან აცილების სურვილით (გვ. 391).

ჩვენი აზრით, ასევე არასწორია ავტორი, როდესაც ანციოს ოპერაციის წარუმატებლობას (1944წ. იანვარი) აბრალებს გერმანელების მიერ რუზველტისა და ჩერჩილის ტრანსატლანტიკური სატელეფონო საუბრის მოსმენას (გვ. 248). ჩვენ, თავის დროზე, შეგვხებთ ამ საკითხს და აღვნიშნეთ, რომ აღნიშნული ოპერაციის ჩავარდნის მთავარი მიზეზი იყო სადესანტო ძალების მეთაურის, გენ. ლუკასის ცუდი სარდლობა⁶.

სრულიად გაუგებარია, თუ რატომ თვლის ავტორი, რომ სტალინი უარს აცხადებდა სსრკ-ს ტერიტორიის გარეთ კონფერენციებში მონაწილეობაზე, რადგანაც თავს იკავებდა ქვეყნის დატოვებისაგან ოპოზიციის შიშით (გვ. 266). უცნაურია, რომ ომის დასრულებიდან თითქმის 60 წლის თავზე ზოგიერთ მკვლევარს კიდევ სჯერა, თითქოს სტალინს ქვეყნის შიგნით გააჩნდა სერიოზული ოპოზიცია მეორე მსოფლიო ომის პერიოდში.

და ბოლოს, მკვლევარი ნამდვილად ცდება, როდესაც აცხადებს, რომ გერმანელები არ ცდილობდნენ ბირთვული იარაღის შექმნას (გვ. 224, 339), თუქცა ამ შემთხვევაში მას ნაკლებად მიუძღვის ბრალი, რადგანაც დადასტურებული ინფორმაცია, რომ 1945წ. გერმანია ახლოს იყო ატომური ბომბის შექმნასთან, სულ უკანასკნელ ხანებში გამოჩნდა⁷ და, ბუნებრივია, 2001წ. გამოცე-

⁵ იხ.: **Ch. E. Bohlen**. Witness to History, 1929-1969, New York, 1973, გვ. 180; **Jim Bishop**. FDR's Last Year, April 1944–April 1945. New York, 1974, გვ. 545; **William A. Harriman, E. Abel**. Special Envoy to Churchill and Stalin. 1941-1946. Random House, New York, 1975, გვ. 400 და სხვ.

⁶ **თ. პაპასქირი**. სტალინი, რუზველტი და ჩერჩილი ჰიტლერის წინააღმდეგ. 1941-1945. *დოკუმენტური ქრონიკა და საომარი მოქმედებები*. თბ., 1996, გვ. 74.

⁷ **Rainer Karlsch**. Die geheime Geschichte der deutschen Kernwaffenversuch. München, 2005.

მულ წიგნში ის ამას ვერ გაითვალისწინებდა.

ასეთია, ძირითადად, ჯოზეფ პერსიკოს წიგნი: „რუხველტის საიდუმლო ომი: ფრანკლინ დელანო რუხველტი და შპინაჟი მეორე მსოფლიო ომში“. მიუხედავად ცალკეული ხარვეზებისა, რომლებზეც ზემოთ გავამახვილეთ ყურადღება, თამამად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულმა გამოკვლევამ პრაქტიკულად შეავსო ფრანკლინ რუხველტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ერთ-ერთი სუფთა ფურცელი და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მეორე მსოფლიო ომის საიდუმლო ისტორიის შესწავლის საქმეში.

ТЕЙМУРАЗ З. ПАПАСКИРИ

ИНТЕРЕСНАЯ КНИГА О ФРАНКЛИНЕ РУЗВЕЛЬТЕ

Рецензия на книгу: Joseph Persico. Roosevelt's Secret War: FDR and World War II Espionage (New York, Random House, 2001)

Статья представляет собой рецензию на книгу известного американского исследователя Джозефа Персико: „Секретная война Рузвельта: ФДР и шпионаж во время Второй мировой войны“. В рецензируемой книге приведены новые факты, свидетельствующие об огромном интересе Франклина Рузвельта шпионскими делами и разведкой. Кроме того, в монографии убедительно доказано, что ни Рузвельт, ни его приближенные лица не имели каких-либо достоверных сведений о месте готовящейся атаки японцев. Тем самым, Дж. Персико практически похоронил теорию заговоров. Кроме того, он показал, что в случае скоординированного действия всех служб разведки и контрразведки США, а также правильной оценки данных можно было предотвратить катастрофу у Перл-Харбора.

Кроме достоинств, в исследовании Дж. Персико имеются и некоторые недостатки. Автор явно страдает излишним пиететом перед персоной Ф. Рузвельта и стремится оправдать его любой шаг, в том числе его уступки И. Сталину на Дальнем Востоке во время Крымской конференции 1945г. Кроме того, объяснение провала операции в Анцио (январь 1944г.) подслушанным немецкой стороной телефонного разговора Ф. Рузвельта с У. Черчиллем представляется неправильным. И уж совсем непонятно заявление Дж. Персико о нежелании И. Сталина оставлять территорию СССР из-за боязни оппозиции.

Несмотря на некоторые изъяны, смело можно заявить, что книга Дж. Персико: „Секретная война Рузвельта: ФДР и шпионаж во время Второй мировой войны“, является весомым вкладом в изучении жизни и деятельности Франклина Рузвельта, а также истории Второй мировой войны.

TEIMURAZ PAPASKIRI

INTERESTING BOOK ABOUT FRANKLIN ROOSEVELT

Review of Joseph Persico's book: "Roosevelt's Secret War: FDR and World War II Espionage"

The paper presents a review on the book of the known scholar Joseph Persico: "*Roosevelt's Secret War: FDR and World War II Espionage*". The author of the book gives the new facts about Roosevelt's great interest with the espionage and intelligence. Besides this, it is proven in the book that neither Roosevelt, nor his inner circle had any data about the place of the supposed Japanese attack. Hence, J. Persico has practically finished off the conspiracy theories. He has also shown that it was possible to prevent the catastrophe at Pearl Harbor if all the services dealing with intelligence data coordinated their actions and made a correct analysis of the received material.

Besides the values, the book has some flaws. J. Persico certainly has some excessive piety towards Roosevelt's person and tries to justify all his moves, even the needless concessions regarding the Far East made to Joseph Stalin during the Yalta Conference (1945). The explanation of the failure of Anzio operation (January 1944) with the German interception of the telephone conversation between Roosevelt and W. Churchill also seems not to be correct. As for the statement that Stalin feared leaving the Soviet Union due to the party opposition, it seems to be unexplainable at all.

Despite some shortcomings, it can be said that Joseph Persico's book "*Roosevelt's Secret War: FDR and World War II Espionage*" is a worthy contribution in studying life and activities of Franklin Roosevelt and the history of World War II.

კ ვ ა ლ ი ნ ა თ ე ლ ი

დიდი მცენიერის ხსოვნას

ანდრია აფაქიძე

ქართულმა საისტორიო მეცნიერებამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. 2005 წლის 25 ნოემბერს შეწყდა დიდი ქართველი მეცნიერის, ეროვნული არქეოლოგიური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლისა და თავკაცის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ანდრია აფაქიძის სიცოცხლე.

აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე ქართველ არქეოლოგთა იმ ახალგაზრდა თაობის ერთ-ერთი წამყვანი წარმომადგენელია, რომელიც ასპარეზზე XXს. 30-იანი წლების ბოლოს გამოვიდა და თავისი საქმიანობა ერთდროულად დაუკავშირა როგორც მშობლიურ უნივერსიტეტს, ისე საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოში დაარსებულ მის ფილიალს (ე.წ. ენიმკი), შემდეგ კი ახლად დაარსებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტს. შემდგომ, ერთგვარი მოგვიანებით, იგი დაინიშნა და ხანგრძლივად დირექტორობდა წარსულში კავკასიის მუზეუმის სახელით ცნობილ სახელგანთქმულ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში აკად. ა. აფაქიძე ასევე ხანგრძლივი დროით სათავეში ედგა საქართველოს არქეოლოგიურ კომისიას, აგრეთვე ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საისტორიო საზოგადოებას, ბოლოს კი იგი დირექტორობდა გ. ნიორაძის სახელობის მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტს.

წინა თაობის, მისი მასწავლებლების მსგავსად, იგი, სოფლიდან ჩამოსული ყმაწვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იმალლებდა განათლებას და სტუდენტობის წლებშივე უჩნდება მისი პედაგოგის, პროფ. გიორგი ნიორაძის მიერ ორგანი-

ზებული არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობის შესაძლებლობა, ამასთან, თბილისის უნივერსიტეტის პირველი ასპირანტია არქეოლოგიაში; იგი დაინტერესდა კახეთის, საქართველოს ამ მანამდე არქეოლოგიურად სრულიად შეუსწავლელი რეგიონის ძეგლებით და დაიცვა დისერტაცია ბრინჯაოს ხანის მასალებზე. ითვლება, რომ ამით საფუძველი დაედო ამ, შემდგომში მნიშვნელოვანი ძეგლებით ცნობილი ისტორიული პროვინციის არქეოლოგიურ შესწავლას. დღეს აქ ქართველ არქეოლოგებთან ერთად უცხოეთის, ძირითადად გერმანიის, არაერთი სამეცნიერო ცენტრის მონაწილეობით, მნიშვნელოვან აღმოჩენებთან გვაქვს საქმე.

მცხეთა, ქართლის სამეფოს ეს მნიშვნელოვანი ცენტრი, იმთავითვე უცხოელ მეცნიერთა დიდ ყურადღებას იქცევდა, მაგრამ იქ ჩატარებული ძიება შემთხვევით ხასიათს ატარებდა. უშუალოდ ომის წინ აქ, პირველ რიგში, არმაზისხევში და სხვაგანაც ქართული სამეცნიერო ცენტრების მხრივ ორგანიზებული არქეოლოგიური სამუშაოები იქნა წამოწყებული. ამ სამუშაოების დაგეგმვა ივანე ჯავახიშვილისა და სიმონ ჯანაშიას სახელს უკავშირდება. მალე იგი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ იქნა მიჩნეული და მთავრობის სპეციალური დადგენილებით მეორე მსოფლიო ომის ვითარებაშიც კი გათხრები განახლდა და ქართული სახელმწიფოს გენეზისის შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი აღმოჩენებით აღინიშნა. ასე იქცა მცხეთა, როგორც იტყვიან, ახალგაზრდა ქართველ არქეოლოგთა მექად. აქ გამოიკვეთა ა. აფაქიძის და მისი თაობის ბრწყინვალე წარმომადგენლების (ალექსანდრე კალანდაძე, გიორგი ლომთათიძე, გერმანე გობეჯიშვილი და სხვ.) და კიდევ უფრო ახალგაზრდა კადრების სამეცნიერო ინტერესები. შემდგომიც აქ, ისევე, როგორც მოგვიანებით არაერთ მნიშვნელოვან ძეგლზე (თრიალეთში, ურბნისში, ბიჭვინთაში, ფაზისის „ქვეყანაში“, ვანში და სხვაგანაც) სამუშაოდ ახალგაზრდა კადრების მოზიდვისა და საველე არქეოლოგიური პრაქტიკული, ასევე თეორიული ცოდნის შეძენის აღნიშნული ტრადიცია წარმატებით გრძელდებოდა.

ომისდროინდელი გათხრების პარალელურად ანდრია აფაქიძე, აგრეთვე ა. კალანდაძე და სხვებიც, ფრონტის ხაზზე მალევე

ივენენ მობილიზებულნი, მაგრამ მცხეთის გათხრების შესრულების მეცადინეობით დაუბრუნდნენ საველე-არქეოლოგიურ სამუშაოებს. ა. აფაქიძე არმაზისხევის შემდეგ, აკად. ს. ჯანაშიას საერთო ხელმძღვანელობით დაწყებულ, წყაროებით (სტრაბონი, პლინიუსი და სხვ.) ცნობილი „არმოზიკის“ (არმაზციხე-ბაგინეთი) საველე-არქეოლოგიურ სამუშაოებში ჩაება, როგორც ხელმძღვანელი. არმაზციხის გათხრები მნიშვნელოვანი შედეგებით აღინიშნა და მისი, ძირითადად საფორტიფიკაციო სისტემისა და ნაგებობების შესწავლის შედეგები ა. აფაქიძის სადოქტორო დისერტაციაში – *„ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში“* აისახა (ნაშრომი გამოქვეყნდა ქართულ (1959წ.) და რუსულ ენებზე). სამწუხაროდ, შემდეგ ეს საველე სამუშაოები ხანგრძლივი დროით შეფერხდა და კვლავ განახლდა 70-იან წლებში და უკანასკნელ ხანებამდე, გარკვეული წყვეტილებით გრძელდებოდა მხცოვანი მეცნიერის ხელმძღვანელობით. ამას გარდა, მცხეთასა და მის შემოგარენში, ანუ წყაროების „დიდ მცხეთაში“ ექსპედიციის სხვადასხვა რაზმი არაერთ მნიშვნელოვან ძეგლს შეისწავლიდა და პუბლიკაციებიც ამ გათხრებზე 10-მდე ტომით განისაზღვრა (აქ არ შეიძლება არ დავასახელოთ ა. აფაქიძის ერთ-ერთი მოწაფე – ვახტანგ ნიკოლაიშვილი, რომელიც მხარში ედგა მასწავლებელს მცხეთის გათხრების პროცესში, აგრეთვე ძეგლების გამოქვეყნების საქმეშიც და დღესაც წარმატებით აგრძელებს მოღვაწეობას ამ მიმართულებით).

ანტიკური საქართველოს ძეგლების შესწავლის ახალ ეტაპზე მკვლევარმა ისტორიული კოლხეთის ცალკეულ მნიშვნელოვან აღმოჩენებზეც (ბორისა და ურეკის ძეგლები) გაამახვილა ყურადღება და საგანგებო პუბლიკაციები მიუძღვნა ამ ძეგლებს. ამასთან, ამ კვლევების ახალ საფეხურზე ქართული მეცნიერების წინაშე ზღვისპირეთის ზოგადად, კონკრეტულად კი აფხაზეთის ძეგლების პრობლემური შესწავლის საკითხი დადგა. ასე დაიწყო 50-იანი წლებიდან ანდრია აფაქიძის მეცნიერულ მოღვაწეობაში ახალი ეტაპი. აღმოსავლეთ საქართველოში, ძირითადად მცხეთაში, მუშაობის შემდეგ, იგი თითქმის მთლიანად დასავლეთ საქართველოს შესწავლაზე გადაერთო და მისი ფართო მეცნიერული ინ-

536

ტერესების ყურადღების ცენტრში ექცევა ძირითადად კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილი. 1950 წელს აკად. ნიკო ბერძენიშვილის თაოსნობით მოეწყო კომპლექსური ექსპედიცია აფხაზეთში, რომელშიც მონაწილეობდნენ აკად. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის და აფხაზეთის ენის, ისტორიისა და ლიტერატურის ინსტიტუტების თანამშრომლები. სწორედ მაშინ დადგა დღის წესრიგში აფხაზეთის ისტორია-არქეოლოგიის ერთობლივად კვლევის გაფართოების საკითხი, რასაც გარდა წმინდა მეცნიერული ინტერესისა, გარკვეული პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა. ბატონი ანდრია არქეოლოგიურ საქმიანობას უდგება სათავეში.

ანდრია აფაქიძის ბიჭვინთის არქეოლოგიურ ექსპედიციაში გაწეული შრომა ბრწყინვალედ დაგვირგვინდა და დღეს ქართულ ისტორიულ მეცნიერებას შეემატა გამოკვლევების შესანიშნავი სერია „*დიდი პეტიუნტი*“, რომლის რამდენიმე ტომია უკვე გამოცემული. აქ შეჯერებულია მრავალწლიანი მუშაობის შედეგები. ხელმძღვანელმა საქმეში ექსპედიციის თითქმის ყველა წევრი ჩააბა და ეს ნაშრომი კოლექტიური შრომის შედეგს წარმოადგენს. „*დიდი პეტიუნტის*“ I ტომი იწყება ანდრია აფაქიძის ვრცელი გამოკვლევით, რომელშიაც კიდევ ერთხელ გამოჩნდა მისი დიდი ერუდიცია და, რაც მთავარია, საქმისადმი უდიდესი ინტერესი.

ანტიკური ხანის საქართველოს ძეგლებისადმი, ზოგადად კი მცხეთისადმი მიძღვნილ, მათ შორის, პოპულარულ ნაშრომებს გარდა, აღსანიშნავია, რომ ანდრია აფაქიძის ინიციატივით შეიქმნა პირველი სახელმძღვანელო საქართველოს არქეოლოგიაში, რომელიც თბილისის უნივერსიტეტის გამოცემლობამ ჯერ კიდევ 1959 წელს გამოსცა. ამ ნაშრომის რედაქტორი, შესავლის და ერთ-ერთი თავის ავტორი ა. აფაქიძეა. „*საქართველოს ისტორიის ნარკვევების*“ პირველ ტომში მას წილად ხვდა ანტიკური ხანის საქართველოს კულტურის დაწერა.

რა თქმა უნდა, ა. აფაქიძის მეცნიერული მემკვიდრეობა მხოლოდ აღნიშნულით არ ამოიწურება. ძნელია მთელი სისრულით მისი მრავალმხრივი მეცნიერული მოღვაწეობის წარმოჩენა. მის კალამს ეკუთვნის მრავალი წერილი საქართველოს არქეოლოგიის

სხვადასხვა საკითხებზე. ღიდ ყურადღებას აქცევდა იგი საველე და ლაბორატორიულ სამუშაოებში საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა მეთოდების გამოყენებას. ჯერ კიდევ სახელმწიფო მუზეუმში მოღვაწეობის დროს მან მთავარი ყურადღება მიაქცია კოლექციების კატალოგიზაციას, ნივთების რესტავრაცია-კონსერვაციის საქმეს. მის დროს გაფართოვდა და მაღალ მეცნიერულ დონეზე ავიდა ქიმიური სარესტავრაციო ლაბორატორიის საქმიანობა. საგანგებო ყურადღება დაეთმო საგამოფენო-საექსპოზიციო სამუშაოებს.

მნიშვნელოვანი ღვაწლი დასდო ა. აფაქიძემ საბუნებისმეტყველო დარგის მეცნიერებთან, სათანადო დაწესებულებებთან თანამშრომლობის საქმეს; თითქმის უკანასკნელ წლებამდე კავშირი ჰქონდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რადიოკარბონული დათარიღების ლაბორატორიასთან, რომელსაც ათეული წლების მანძილზე აწ განსვენებული ალექსანდრე ბურჭულაძე ხელმძღვანელობდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოფიზიკის კათედრასთან და მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტთან თანამშრომლობით გეოფიზიკური მეთოდების (არქეომაგნიტური, რადიომეტრიული, ელექტრომეტრიული) გამოყენებით ტარდებოდა საველე სამუშაოები; ასევე, მოპოვებული მასალების (ძირითადად სამშენებლო კერამიკის) დათარიღებისათვის არქეომაგნიტური გაზომვები (ზ. ჭელიძე). საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მეთოდების გამოყენებამ მაშინვე მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცა; კერძოდ, პიტიუნტში განისაზღვრა ნაგებობათა კედლების მდებარეობა და მიმართულება, რაც შემდგომში არქეოლოგიური გათხრებით იქნა დადასტურებული. ძიების გეოფიზიკური მეთოდი გამოიყენებოდა მცხეთის გათხრების ახალ ეტაპზეც (არმაზციხე-ბაგინეთი), როცა კვლავ მნიშვნელოვანი შედეგები იქნა მიღებული (გ. ტაბაღუა). ტრადიცია ამგვარი თანამშრომლობის უკანასკნელ ხანებამდე გრძელდებოდა. კერძოდ, ბაქო-ჯეიჰანის მშენებლობის ზოგობიექტზე, მნიშვნელოვან ფართობებზე, წინასწარ განისაზღვრებოდა გასათხრელი მონაკვეთების არქეოლოგიური პერსპექტივა.

ღიდი და მრავალმხრივი იყო ანდრია აფაქიძის მეცნიერუ-

ლი ინტერესები. საღი აზრი, ახლის ძიება, მომავლის განჭვრეტის უნარი და, რაც მთავარია, კეთილსინდისიერება და საქმისადმი უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა, ყოველივე ეს იყო მისი მეცნიერული მუშაობის და საზოგადო მოღვაწეობის წარმატების საწინდარი. იგი ახლის ძიებაში იყო მაშინაც კი, როცა იღუპა კამათს იწვევდა, მეტ საბუთიანობას მოითხოვდა. ამ მხრივ ინტერესს იწვევს ა. აფაქიძის მიერ წამოყენებული იღუპა კავკასიის (კავკასიური) ცივილიზაციის არსებობის შესახებ. ჯერ კიდევ აკად. ივანე ჯავახიშვილმა, ძირითადად ენობრივი მონაცემების საფუძველზე, წამოაყენა მოსაზრება კავკასიის ადგილობრივი მოსახლეობის ნათესაობის შესახებ. დღეს ეს აზრი განსაკუთრებით აქტუალურია და გარდა წმინდა მეცნიერული ინტერესისა, გარკვეულ პოლიტიკურ დატვირთვასაც იძენს. არქეოლოგიური მონაცემები ამ საკითხის კვლევაში უთუოდ მეტ სიცხადეს შეიტანს.

ანდრია აფაქიძე წმინდა კვლევით წარმატებით მუშაობას ათავსებდა სამეცნიერო-ორგანიზაციულ საქმიანობას. იგი ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე ეღუპა სათავეში ქართულ არქეოლოგიას. 1967 წელს ბატონი ანდრო აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1983 წლიდან კი იგი აკადემიის ნამდვილი წევრია. 1980-1986 წლებში ანდრია აფაქიძე ხელმძღვანელობდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებას. წლების მანძილზე იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი იყო.

ანდრია აფაქიძე სათავეში ეღუპა საქართველოს საისტორიო საზოგადოებას, რომელიც დიდ მუშაობას ეწეოდა ჩვენი ქვეყნის წარსულის, მისი ისტორიის პროპაგანდის, ძეგლების დაცვა-პატრონობის საქმეში; აქტიურად მოღვაწეობდა ძეგლთა დაცვის საზოგადოების მუშაობაში, რომლის თავმჯდომარის მოადგილე იყო იგი წლების მანძილზე.

ბატონი ანდრია არასდროს არ ყოფილა ვიწრო კაბინეტური მკვლევარი, მხოლოდ თავისი სამეცნიერო საქმეებით დაკავებული, მოწყვეტილი გარე სამყაროს. იგი ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდა და მოღვაწეობდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებში და იზიარებდა თავისი ქვეყნის ჭირ-ვარაჰს.

როგორც აღვნიშნეთ, ა. აფაქიძე თავისი საქმიანობით მჭიდროდ იყო დაკავშირებული აფხაზეთთან; აწუხებდა იქ მიმდინარე მოვლენები და დიდად იყო დაინტერესებული აფხაზურ-ქართული ურთიერთობების მოწესრიგებით. ბატონი ანდრია განსაკუთრებული პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა აფხაზ კოლეგებს შორის. ისინი ყოველთვის ანგარიშს უწევდნენ და ითვალისწინებდნენ მის აზრს. კარგად არის ცნობილი ა. აფაქიძის საქმიანი კონტაქტები და გულითადი დამოკიდებულება გამოჩენილ აფხაზ მეცნიერებთან: ზურაბ ანჩაბაძესთან, გიორგი ძიძარიასთან, მიხეილ თრაპშთან, აგრეთვე ცნობილ ქართველ მეცნიერ-აფხაზმცოდნესთან ბაგრატ ჯანაშიასთან. ბატონი ანდრიას ინიციატივით იქნა პიტიუნტის არქეოლოგიური სამუშაოების საწყის ეტაპზე არქეოლოგიურ კვლევა-ძიებაში ჩართულ იქნა პირველი აფხაზი არქეოლოგი მ. თრაპში. ამიტომაც შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ მ. თრაპშის შრომების მრავალტომეული სწორედ ა. აფაქიძის თანარედაქტორობით გამოიცა. მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და ხელშეწყობით არაერთმა აფხაზმა არქეოლოგმა გაიკვლია გზა მეცნიერებაში. კერძოდ, წლების მანძილზე ბიჭვინთის ექსპედიციასთან ნაყოფიერად თანამშრომლობდა ასპირანტი ზაურ აგრბა, რომლის გათხრების (სოფ. ალაჰაძე) და საღისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი ა. აფაქიძე გახლდათ. მანამდე კი თბილისში, მისი ხელმძღვანელობით, საასპირანტო კურსი გაიარა და წებელდის ძეგლებზე დისერტაცია დაიცვა შემდგომში ცნობილმა აფხაზმა არქეოლოგმა გიორგი შამბამ.

ბატონი ანდრია დიდად აფასებდა აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ცნობილ ინსტიტუტთან ბიჭვინტის არქეოლოგიური ექსპედიციის თანამშრომლობას, განსაკუთრებით კი დახმარებას სებასტოპოლისის (სოხუმის) წყალქვეშა არქეოლოგიური გათხრების (იგი არქეოლოგიის ამ დარგშიც გზის გამკვავლავი გახლდათ) ორგანიზებაში.

დიდა ბატონი ანდრიას ამაგი აფხაზეთიდან დევნილი ქართველი მეცნიერების მიმართ. ის ყოველთვის გვერდში ედგა სოხუმის დევნილ უნივერსიტეტსა და აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიას, რომლის ნამდვილი წევრიც იყო დაარსების დღიდან. ან-

დრია აფაქიძე, როგორც ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარე, აქტიურად გამოეხმაურა აფხაზეთიდან დევნილ მეცნიერ-ისტორიკოსთა ინიციატივას – აღედგინათ ამ ორგანიზაციის აფხაზეთის განყოფილება. ის იყო ამ ორგანიზაციისა და მისი პერიოდული სამეცნიერო გამოცემის – „საისტორიო ძიებანის“ დიდი გულშემატკივარი და ქომაგი.

ა. აფაქიძე როგორც პედაგოგი, აქტიურად თანამშრომლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, სადაც წლების მანძილზე კითხულობდა სპეც-კურსებს, გამოდიოდა მოხსენებებით სამეცნიერო კონფერენციებზე. ვიმედოვნებთ, სიძველეების შესწავლით დაინტერესებული ახალგაზრდა თაობა, ღირსეულად გააგრძელებს 40-იანი წლების ქართველ არქეოლოგთა წარმატებული თაობის უკანასკნელი წარმომადგენლის – ანდრია აფაქიძის საქმეს, რომლის მრავალფეროვანი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა საგანგებო შესწავლას საჭიროებს.

აკადემიკოს ანდრია აფაქიძის სახით ქართველ ისტორიკოსთა და არქეოლოგთა კორპუსმა, ზოგადად ქართულმა მეცნიერებამ დაკარგა დიდი მეცნიერი, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, თავის სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული მამულიშვილი, რომლის კვალიც მარადჟამს წარუშლელი იქნება.

**ოთარ ჯაფარიძე, ვახტანგ ჯაფარიძე,
ჯონი აფაქიძე, ზურაბ პაპასძირი**

**ОТАР М. ДЖАПАРИДЗЕ, ВАХТАНГ М. ДЖАПАРИДЗЕ,
ДЖОНИ Б. АПАКИДЗЕ, ЗУРАБ В. ПАПАСКИРИ**

ПАМЯТИ ВЫДАЮЩЕГОСЯ УЧЁНОГО

АНДРИЯ АПАКИДЗЕ

Статья посвящена кончине выдающегося грузинского учёного, одного из патриархов современной грузинской археологии, академика Андрея Мелитоновича Апакидзе (1914-2005). В ней дан краткий обзор жизни и деятельности учёного, показан его весомый вклад в археологическое изучение Грузии и Кавказа в целом.

**OTAR DJAPARIDZE, VAKHTANG DJAPARIDZE,
JOHN APAKIDZE, ZURAB PAPASKIRI**

REMEMBRANCE OF THE FAMOUS SCHOLAR

ANDRIA APAKIDZE

The paper is dedicated to the famous Georgian scholar, one of the patriarchs of the modern Georgian archaeology, academician Andria Apakidze (1914-2005). The authors give the brief overview of the life and activities of the scientists, and show his great contribution to the archaeological study of Georgia and Caucasus.

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება
აფხაზეთის ორგანიზაცია
საისტორიო ძიებანი, 8-9, 2006

ბორის კვარაცხელია

ცნობილი მმცნიერი და გულისხმიერი აღმწერელი

გახტანგ ადამია – 90

გახტანგ იოსების ძე ადამია აფხაზეთის სამეცნიერო-პედაგოგიური ინტელიგენციის იმ თვალსაჩინო თაობის წარმომადგენელია, ვინც მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება სამშობლოს სამსახურს, ახალგაზრდობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს შეაღწია. ღვთის მიერ ბოძებული ეს ნიჭი კი მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.

გახტანგ ადამია დაიბადა ქ. სოხუმში 1916 წლის 15 ნოემბერს, პირველი გილდიის კომერსანტის, ცნობილი ქველმოქმედის იოსებ ბეგოს ძე ადამიას ოჯახში. ბატონი იოსები აქტიურად მონაწილეობდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სოხუმის განყოფილების მუშაობაში, იყო ქალაქის თვითმმართველობის წევრი. ცნობილია, რომ მან თავისი წვლილი შეიტანა ქ. სოხუმის ქართული სკოლის მშენებლობაში.

აღნიშნული სკოლის მასწავლებელი იყო თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, სახალხო მასწავლებელი, ნიჭიერი-ეთნოგრაფი ნიკო სიმონის ძე ჯანაშია. მისი გარდაცვალების (1918წ.) შემდეგ ოჯახს განზრახული ჰქონდა თბილისში გადმოსვლა, სადაც სწავლა უნდა გაეგრძელებინა სიმონ ჯანაშიას. ბატონმა იოსებ ადამიამ გზა დაულოცა მომავალ მეცნიერს, გადასცა მას 10 მანეთი და შემდეგი ბარათი: „*ძვირფასო სიმონ! აღსანიშნავად თქვენი საშუალო სასწავლებლის ასეთი ჩინებულად დამთავრებისა, ვიგზავნი ათ თუმანს და ვისურვებ აწმყო თქვენი იქნეს ისეთივე არაჩვეულებრივი ნიჭით და მეცადინეობით აღსავსე, როგორც*

არის წარსული. დასაწყისმა თქვენმა დიდი იმედი მისცა საზოგადოებას თქვენს მომავალზე და იმედი უზვად გაგემართლებინოთ. დედ-მამას თქვენსას ვუსურვებ მრავალს ჟამს, რომ დატკბნენ მასეთი სასიქაღულო შვილის აღზრდით. მარადის თქვენი იოსებ ადამია. 1918 წლის 15 მარტი“¹

XX საუკუნის 30-იან წლებში აფხაზეთს რუსეთიდან მოაწვდა მოშიშშილეთა დიდი ტალღა. ისინი თავს ძირითადად ქუროლბით ირჩენდნენ. სოხუმში დაიწყო სავაჭრო ობიექტების ძარცვა და რბევა. ისინი, რასაკვირველია, იოსებ ადამიას მაღაზიასაც მიაღებენ. ამ დროს, ერთ-ერთი მათგანი მივარდა ამ ბრბოს და მორთო ყვირილი: „ხელი არ ახლოთ. ეს კარგი კაცისაა“. როგორც ჩანს, იმათ ახსოვდათ იოსების გულმოწყალება და სიკეთეცხადია, ასეთ ოჯახში აღზრდილ ვახტანგ ადამიას ადამიანური სითბო ბავშვობიდან გამოყვა.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ვახტანგ ადამიამ სწავლა მოსკოვის ისტორიის, ფილოსოფიისა და ლიტერატურის ინსტიტუტში გააგრძელა. იქ სწავლობდნენ აგრეთვე შემდგომში ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები გიორგი ძიძარია, შოთა ბასილაია და ირაკლი ახალაია. 1941 წელს ვ. ადამიამ წარჩინებით დაამთავრა აღნიშნული ინსტიტუტი და კათედრამ მას ასპირანტურაში სწავლის გაგრძელების რეკომენდაცია მისცა. მაგრამ დაწყებულმა ომმა მის ამ ოცნებას ფრთები შეაკვეცა. ბატონი ვახტანგი უყოყმანოდ ჩაღვა ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში.

იმავე წლის ივნისში ვ. ადამია სამხედრო-იურიდიული აკადემიის კურსებზე ჩარიცხეს. გერმანელები მოსკოვს უახლოვდებოდნენ. აკადემიის სტუდენტები დედაქალაქს იცავდნენ. მათ შორის, ვახტანგ ადამიაც იყო. სწორედ მოსკოვის მისაღვომებთან შედგა მისი საბრძოლო ნათლობა. შემდეგ იყო ფრონტის წინა ხაზი, ყირიმის, ქერჩის, კავკასიის მძიმე, შეუპოვარი ბრძოლები. საბრძოლო დავალებათა პირნათლად შესრულებისათვის ვახტანგ ადამია დაჯილდოებული იყო სამამულო ომის მეორე ხარისხის

¹ მეცნიერის არქივიდან. წერილები სიმონ ჯანაშიასადმი. – *სიმონ ჯანაშია – 100*. თბ., 2000, გვ. 151.

ორდენით, მრავალი მედლით. 1944 წლიდან ბატონი ვახტანგი თბილისის სამხედრო გარნიზონის ტრიბუნალში მსახურობდა, ჯერ ტრიბუნალის წევრად, შემდეგ მის თავმჯდომარედ. ეს იყო მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობა, რასაც მან თავი პატიოსნად და ღირსეულად გაართვა. 1946 წელს ვ. ადამია ომგამოვლილი, ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი მშობლიურ სოხუმში დაბრუნდა.

ამ დროიდან იწყება ვახტანგ ადამიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ახალი ეტაპი. საკმაოდ წარმატებული იყო მისი საქმიანობა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტში, ჯერ (1948 წლიდან) აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგისა, ხოლო შემდგომ (1954 წლის ნოებრამდე) საოლქო კომიტეტის მდივნის (იდეოლოგიის დარგში) პოსტებზე. უნდა აღინიშნოს, რომ ეს იყო მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობა, მით უფრო სსრ კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში ნიკიტა ხრუშჩოვის მოსვლის დროიდან, როდესაც აფხაზეთში რადიკალურად შეიცვალა პოლიტიკური სიტუაცია და დაიწყო ქართველთა შევიწროება. ბატონი ვახტანგის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მისთვის ჩვეული ტაქტით გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას.

ვახტანგ ადამიას მიზანი არ იყო პარტიული მოღვაწეობა. ჯერ კიდევ მოსკოვში, სტუდენტობის დროს გამოვლინდა მისი ლტოლვა სამეცნიერო მუშაობისადმი. მომავალი მეცნიერის საკვლევა-ძიებო შემართებაზე და შესაშურ შრომისმოყვარეობაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ პარტიულ თანამდებობაზე ყოფნის დროს ის პარალელურად მუშაობდა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, კითხულობდა ლექციების კურსს მსოფლიო ისტორიაში. მოსკოვში, საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული დისერტანტთა კურსების დამთავრების შემდეგ, ვ. ადამიამ 1953 წელს დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. მისმა საკვალიფიკაციო ნაშრომმა „*საქართველოში ინგლისური ინტერვენციის ისტორიიდან (1918-1921წწ.)*“, რომელიც 1961 წელს პროფ. გიორგი ძიძარიას რედაქტორობით ცალკე მონოგრაფიად

გამოქვეყნდა, საკმაოდ მაღალი შეფასება მიიღო საკავშირო და რესპუბლიკურ სამეცნიერო გამოცემებში.

